The article discusses the ways of developing the sectoral structure of the economy from the perspective of S. Glazyev's concept on the role of technological structures in the development of the economy, and issues of sectoral restructuring are considered taking into account the orientation towards increasing the welfare of the population and reducing poverty. The internal and external economic factors affecting the formation of a modern technological structure are considered, and the development of economic sectors is also considered from the point of view of increasing the level of employment and, thereby, reducing poverty.

In Georgia, as in any other country, the problem of overcoming poverty, in which a certain part of the population lives, is a serious economic task. If we evaluate the level of well-being of Georgia with the level of well-being of other countries, we find that Georgia, in this sense, is not among the leading countries. Hence, it is obvious that the problem of overcoming poverty must be considered in the context of two main directions: the first is the reduction of the level of poverty (increasing the level of well-being) of the country as a whole in comparison with other countries; the second is the reduction of the relative poverty level. However, it is impossible to solve the problem of poverty and increasing the level of well-being, being limited to any measures only at the level of the poorest segments of the population. Overcoming poverty (in terms of the parameters characterizing the level of well-being of the country as a whole and by individual segments of the population) is possible only within the framework of the rapid and effective development of the country's economy as a whole, which determines the need for income growth for all segments of the popula-

tion (entrepreneurs, employees, pensioners, etc.) etc.) in conditions of relative equalization within certain limits of the incomes of various segments of the population.

The following reasons can be identified, the influence of which must be overcome in order to ensure effective economic restructuring, one of the results of which should be a radical increase in the level of employment in the context of rationalizing its structure in line with the types of activities and, as a result, reducing the poverty level in the country: insufficient overcoming of some consequences of the post-Soviet collapse of the economy; the absence in the subsequent period of a program structure-forming economic policy that reflects the demands presented by modern technology; the impact of the current global financial and economic crisis.

The reasons for the deepening or reduction of the poverty level, in particular and in especially, are manifested and determined by the level and quality of structural parameters (indicators), among which we examined: the influence of the economic structure in the context of activities (taking into account the level of unemployment) on the state of poverty; the impact of the export-import balance and its structure; the impact of intra-sector imbalances (in manufacturing, agriculture, services); the impact of the lack of tightness of production relationships between sectors of the economy, etc.

The levels of poverty and welfare of the population largely depend on the state of such structural parameters of the economy as the level of employment and the distribution of employees by occupation, sectoral structure of the economy, technological level of economic sectors, sectoral structure and the balance of exports and imports. Reducing the level of poverty in the country and increasing the welfare of the population will be greatly facilitated by sectoral restructuring of the economy with a gradual transition to a modern technological structure. It is advisable to outline the ways of modernizing the technological structure with a view to solving the problems of overcoming poverty in the context of the following areas: rehabilitation or technological development of traditional industries; full and rational use of agricultural production capacities; identification of development paths in the country for high-tech industries; identification of development paths for industries in which production is based on the use of key technologies; development of strategies and ways to stimulate the development of relevant sectors of the service sphere; determination of development paths in the country for the development and implementation of innovations. To successfully solve these problems, it is advisable to develop a program document (concept) of economic development in the country with consideration, along with the development paths of industries, and an institutional system (a system of coordinating and facilitating economic development of economic mechanisms) support for such development.

გიორგი ბერულავა
ირმა დიხამინჯია

**მიგრაცია და შრომის მიწოდება საქართველოში:
მიკროეკონომიკური პერსპექტივა**

ანოტაცია. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიგრაციას და შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მოქმედებას შორის ურთიერთკავშირი. ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გავვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდიკა მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის მიწოდებას შორის საქართველოში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. მეორე, შევისწავლეთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიული განმარტებები. წინამდებარე კვლევის

შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების ეფექტის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, შრომის მიწოდება, დროის განაწილება, საქართველო

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიგრაცია საქართველოში სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მიგრაციის პროცესს საქართველოში მთელმა რიგმა გარემოებებმა შეუწყო ხელი, მათ შორის პოლიტიკურმა და ეთნიკურმა კონფლიქტებმა, რასაც შედეგად ლტოლვილთა დიდი რაოდენობა მოჰყვა; ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ მოტივებსაც, რაც ეროვნული ეკონომიკის გაუარესებამ გამოიწვია (Gerber & Torosyan, 2013). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, დაახლოებით 867.6 ათასი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში საქართველოდან 1991-2005 წლებში. საერთაშორისო მიგრაციის ზრდასთან ერთად, ფულადი გზავნილების შემოდინება ქართულ ეკონომიკაში მკვეთრად გაიზარდა. 2015 წელს უცხოეთიდან გზავნილების სუფთა რაოდენობამ დაახლოებით 1.5 მილიარდი აშშ დოლარი, ანუ მშპ-ს 10.4% შეადგინა (OECD/CRRC-Georgia, 2017). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მიგრაციის და ფულადი გზავნილების მაღალ დონეს საქართველოში, სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებით გავლენასთან ერთად, შესაძლოა უარყოფითი გავლენაც მოეხდინა სამუშაო ბაზრის ფუნქციონირებაზე.

განვითარებად ქვეყნებში შრომის ბაზრის ცუდი მუშაობა ჩვეულებრივ დაკავშირებულია მიგრაციის მაღალ დონესთან (Kim, 2007). სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ საერთაშორისო მიგრაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს შრომითი ბაზრის მუშაობაზე ორი სახით (Funkhouser, 1992; Rodriguez & Tiongson, 2001; Amuedo-Dorantes & Pozo, 2006). პირველი, იგი პირდაპირ ამცირებს მუშახელს, როდესაც შრომის ბაზრის პოტენციური მონაწილე საზღვარგარეთ ემიგრაციაში მიემგზავრება. მეორე, ფულადი გადმორიცხვების შემოსვლამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს არამიგრანტებზე. ამგვარად, საერთაშორისო ემიგრაციიდან შემოსული გზავნილები შესაძლოა განიხლოს საქართველოში შრომის ბაზრის ცუდად ფუნქციონირების ერთ-ერთ ფაქტორად (Berulava & Chikava, 2012; Berulava & Chikava, 2011; Berulava, 2010).

დღემდე საქართველოში ჩატარებული კვლევები ფულადი გზავნილების შესახებ ძირითადად დაკავშირებული იყო მათ ეფექტზე გარე სავაჭრო ბალანსსა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. თუმცა, ძალიან მწირია ისეთი კვლევების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში ოჯახის ქცევაზე მიგრაციის და ფულადი გზავნილების ეფექტს შეისწავლის (Danzer & Dietz, 2009; Gerber & Torosyan, 2013; OECD/CRRC-Georgia, 2017). დანზერი და დიეცი (Danzer and Dietz, 2009) იკვლევენ დროებითი შრომითი მიგრაციის ფორმებს და გამომწვევ მიზეზებს სომხეთში, ბელორუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში 2004 წელს განხორციელებული ევროკავშირის გაფართოების შემდეგ. მათი კვლევის შედეგად დგინდება, რომ მიგრაციის სიხშირე, დანიშნულების ადგილის არჩევანი და მიგრაციის გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია შედარებით ღარიბ და უკეთესი მატერიალური მდგომარეობის მქონე ქვეყნებს შორის. ავტორების თანახმად, მიგრაცია გამოიყენება როგორც ოჯახის დაზღვევა უმუშევრობისგან და დაკავშირებულია სიღარიბის შედარებით დაბალ მაჩვენებელთან. გერბერმა და

ტოროსიანმა (Gerber and Torosyan, 2013) გამოიყენეს მონაცემები კვლევიდან „Georgia on the Move“ და შეისწავლეს ფულადი გზავნილების ეფექტი ოჯახის ხარჯებზე, დანაზოგებზე, შრომის მოცულობაზე, ჯანდაცვასა და კეთილდღეობის სხვა მაჩვენებლებზე. მათ მიერ დაადგინეს, რომ საქართველოში ფულადი გზავნილები აუმჯობესებს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას და მისი გავლენა გაცილებით მაღალია ურბანულ დასახლებებში. ავტორების თანახმად, ფულადი გზავნილები განაპირობებს სოციალური კაპიტალის შექმნას. ბოლო დროს ჩატარებული კვლევა (OECD/CRRC-Georgia, 2017) მოიცავს მიგრაციას, განვითარების საკითხებს და საჯარო პოლიტიკის ურთიერთკავშირის სიღრმისეულ შესწავლას საქართველოში. აღნიშნული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მიგრაცია/ფულადი გზავნილების გავლენის კვლევას შრომის ბაზარზე საქართველოში. კერძოდ, კვლევის თანახმად, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად ამცირებს ოჯახის შრომის მოცულობას როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, ამასთან, დიდია იმ ქალების უმუშევრობის ალბათობა, რომლებიც ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახებში ცხოვრობენ. კვლევის თანახმად, უმუშევრობის ალბათობა ასევე, მაღალია იმ მამაკაცების შემთხვევაში, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ და ოჯახიდან მინიმუმ ერთი ემიგრანტი ჰყავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არც ერთ არსებულ კვლევაში არ არის განხილული ენდოგენურობის საკითხები ოჯახის გადაწყვეტილებებზე მიგრაციის/ფულადი გზავნილების ეფექტის შესწავლისას. ამგვარად, აღნიშნული კვლევების შედეგებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ენდოგენურობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ამიტომ, მიზეზობრივი კავშირი მიგრაციას და შრომის ბაზარს შორის საქართველოში კვლავ შეუსწავლელია. ამასთან, არსებობს არამიგრანტების შრომის ბაზარზე ქცევის სხვა გამომწვევი მიზეზები, რომლებიც შედარებით შეუსწავლელია საქართველოს კონტექსტში. კერძოდ, ემიგრანტების შინ დარჩენილი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობის მიზეზები (არის იგი გამოწვეული სტიმულის არარსებობით (შემოსავლის ეფექტით), საოჯახო საქმეების ჩანაცვლებით თუ განათლების ეფექტებით) საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ამ სტატიაში, ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე ვცდილობთ შევავსოთ კვლევის ამ სფეროში დარჩენილი პრობლემები, რისთვისაც შევისწავლით შემდეგ საკითხებს:

- მიგრაციის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე/არააქტიურობის გადაწყვეტილებაზე, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით;

- მიგრანტების გამგზავნ ოჯახებში შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები (კერძოდ, ვცდილობთ, დავადგინოთ, არააქტიურობა დამატებითი არაშრომითი შემოსავლით არის გამოწვეული, ჩანაცვლებით/საოჯახო საქმეებით თუ განათლების ეფექტით).

ამასთან, კვლევა ცდილობს, მეთოდურად გააუმჯობესოს საქართველოში ამ საკითხის არსებული კვლევა და ამისთვის ენდოგენურობის პრობლემა გაითვალისწინოს. ემპირიული სტრატეგია, რომელიც ზემოთ მოცემული მიზნების მიღწევისთვის გამოიყენება და რომელიც უფრო დეტალურად არის განხილული მომდევნო ნაწილში, ეყრდნობა ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდიკას ენდოგენურობის საკითხის შესასწავლად.

წინა კვლევების თეორიულ და ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ აღმოვაჩინოთ მიგრაციის უარყოფით და მნიშვნელოვან ეფექტს

შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ეფექტები განსხვავებული იქნება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. ასევე, ვფიქრობთ, არამიგრანტების შრომის ბაზარზე არააქტიურობის ძირითადი მიზეზი შრომის ჩანაცვლება და განათლების ეფექტი იქნება.

მაშასადამე, წინამდებარე ნაშრომში ვიკვლევთ შრომის ბაზარზე მიგრაციის გავლენის რამდენიმე ასპექტს. პირველი, ჩვენ ვიკვლევთ მიგრაციის ზოგად გავლენას შრომის მიწოდების შესახებ შინ დარჩენილი ნათესავების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. მეორე, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ შრომის ბაზარზე არააქტიურობის მიზეზები მიგრანტის გამგზავნი ოჯახის შინ დარჩენილ წევრებს შორის. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა ეკონომეტრული სტრატეგიის გამოყენება. კერძოდ, პირველი საკითხის გადაჭრა შესაძლებელია პრობიტის რეგრესიის მოდელის გამოყენებით ინსტრუმენტულ ცვლადებთან ერთად (IV Probit), ხოლო იმისთვის, რომ პასუხები ბოლო საკითხზეც მივიღოთ, ვაპირებთ მრავალგანზომილიანი პრობიტის რეგრესიის გამოყენებას ინსტრუმენტულ ცვლადებთან ერთად. კვლევის მეთოდოლოგიას და შედეგების დეტალური აღწერა არის მოცემული შემდეგ ნაშრომებში (ბერულავა, დიხამინჯია, ღვინჯილია, 2017; Berulava, 2019). ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენი კვლევის შედეგების მოკლე აღწერა.

ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდიკა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის ბაზრის შედეგებს შორის საქართველოში. ჩვენმა ანალიზმა დაადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიგრაცია და არამიგრანტი ნათესავების გადაწყვეტილებები შრომის ბაზარზე მონაწილეობის დაკავშირებით ერთობლივად განისაზღვრება (ანუ მათ შორის ენდოგენური კავშირი არსებობს). კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. შინ დარჩენილი ქალების შემთხვევაში მიგრაციის ეფექტი მათ გადაწყვეტილებაზე შრომით ბაზარზე მონაწილეობის შესახებ მნიშვნელოვანია და მოსალოდნელი ნიშნით ხასიათდება. ასევე, ეს ეფექტი გარკვეულწილად უფრო ძლიერია იმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, მიგრანტის ყოლა ზრდის მამაკაცების შრომის ბაზარზე მონაწილეობის ალბათობას ურბანული ტიპის დასახლებაში (სოფლად ეს ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის). თეორიული თვალსაზრისით ეს შედეგი შეიძლება აიხსნას მიგრანტის და არამიგრანტი ოჯახის წევრების მიერ ოჯახში შესრულებული ფუნქციების კომპლემენტარობით.

მეორე, ჩვენ შევისწავლეთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიული განმარტებები. კერძოდ, შესწავლილია სამი ეფექტი: სტიმულის არარსებობა, რაც გამოწვეულია ფულადი გზავნილების სახით მიღებული დამატებითი არაშრომითი შემოსავლით; ჩანაცვლება, რაც შრომის ბაზარზე მონაწილეობის ნაცვლად საოჯახო საქმეების შესრულებას გულისხმობს და განათლების მიღება, რა შემთხვევაშიც შრომის ბაზარზე არააქტიურობა უმაღლესი განათლების მიღების პროცესით აიხსნება. მრავალგანზომილებიანი პრობიტი მოდელის გამოყენებით დავადგინეთ, რომ მიგრაციის შედეგების შესახებ შრომის

ბაზარზე მიღებული შეხედულება იმის შესახებ, რომ მიგრაციას გააჩნია სტიმულის არარსებობის ეფექტი შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მონაწილეობაზე, რადგან მათ დამატებითი შემოსავლით უზრუნველყოფს, საქართველოს შემთხვევაში არ დადასტურდა. წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების ეფექტის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერულავა გ., ი. დიხამინჯია, ნ. ღვინჯილია (2017) “მიგრაციის მიკროეკონომიკური ეფექტები შრომის ბაზარზე: საქართველოს მაგალითზე.” ეკონომისტი, 13 (4), გვ. 55-76.
2. Amuedo-Dorantes, C., & A. Pozo (2006). Migration, remittances and male and female employment patterns. *American Economic Review (Papers and Proceedings)* 96 (2), 222–226.
3. Berulava G. & G. Chikava (2011). “The Determinants of Household Labor Supply: A Comparative Study”, EERC Working paper Series №11/13e, 2011, 35 p., <http://www.eerc.ru/paperinfo/322>
4. Berulava G. & G. Chikava (2012). The determinants of household labour supply in Georgia, France and Romania: A comparative study. *Eurasian Journal of Business and Economics*, 5(9), 141-164.
5. Berulava G. (2010) “The Competitiveness of Human Resources: Evidence from Georgia,” *The Caucasus & Globalization, Stockholm, «CA&CC Press», Vol. 4 issue 1-2, pp.98-106.*
6. Berulava G. (2019) “Migration and labor supply in Georgia: an empirical study.” *Eurasian Economic Review*, Springer, vol 9 (3), pp.395-419. <https://doi.org/10.1007/s40822-018-0106-4>
7. Danzer, A. M., & B. Dietz (2009). Temporary labour migration and welfare at the new European fringe: A comparison of five Eastern European countries. *IZA Discussion paper No. 4142*. <http://www.oei-dokumente.de/publikationen/wp/wp-273.pdf>
8. Funkhouser, E. (1992). Migration from Nicaragua: Some recent evidence. *World Development*, 20, 1209-1218.
9. Gerber, T.P., & K. Torosyan (2013). Remittances in the Republic of Georgia: Correlates, economic impact, and social capital formation. *Demography, Springer*, 50(4), 1279-1301.
10. Kim, N. (2007). The impact of remittances on labor supply: The case of Jamaica. *World Bank Policy Research Working Paper 4120, February*. <http://documents.worldbank.org/curated/en/926051468044132562/pdf/wps4120.pdf>
11. OECD/CRRC-Georgia (2017). *Interrelations between public policies, migration and development in Georgia*. OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris. <http://dx.doi.org/10.1787/9789264272217-en>
12. Rodriguez, E. R., & E.R. Tiongson (2001). Temporary migration overseas and household labor supply: Evidence from urban Philippines. *International Migration Review*, 35(3), 709-725.

*George Berulava
Irma Dikhaminjia*

MIGRATION AND LABOR SUPPLY IN GEORGIA: A MICROECONOMIC VIEW Summary

This paper explores the existing interrelationships between migration and labor market outcomes of left-behind household members in Georgia. Based on the Georgian Household Survey, we tried to answer the questions that remained relatively unexplored in economic literature. *First*, we employed IV-technique to establish causal link between migration and labor market outputs in Georgia. The study results suggest the international migration is an important predictor of labor par-

participation choices of non-migrants and that the effects of migration on labor market participation/inactivity decisions of left-behind family members differ substantially by gender of left-behinds and settlement type *Second*, we explored alternative reasons of inactivity among left-behind members in migrant-sending households. Applying multinomial Probit model, we ascertained that disincentive effect of migration on labor participation of left-behind household members, is less likely to occur in Georgia. According to the findings of this study, migration affects inactivity of left-behinds mainly through substitution or education effects.

Keywords: Migration, Labor Supply, Time Allocation, Georgia

მურმან კვარაცხელია

საბაზრო ეკონომიკის გამოწვევების საკითხისათვის საქართველოში

ანოტაცია. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უამრავი გამოწვევით ხასიათდება. სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას შინაგანი წინააღმდეგობები გააჩნია. ესაა, უპირველეს ყოვლისა, წინააღმდეგობა საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანს, რაც გამოიხატება მოგების მიღებისკენ სწრაფვაში და მის სოციალურ ორიენტაციას შორის, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემის რღვევა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გაამწვავა. დღის წესრიგში დადგა რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა. საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგად გამოიკვეთა ეკონომიკის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ტენდენციები, როგორცაა ჰიპერინფლაციის დაძლევა და ფინანსური სტაბილიზაცია, ეკონომიკური სტაგნაციის შეჩერება და ეკონომიკური ზრდის დადებითი მაჩვენებლების მიღწევა, ეკონომიკის სტრუქტურული ლიბერალიზაცია ფასწარმოქმნის სფეროში და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

ცნობილია, რომ ეკონომიკური რეფორმების პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განმსაზღვრელი როლი ენიჭება. ამ პირობებში საკანონმდებლო ხელისუფლების როლი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებების შექმნა უნდა იყოს. ხელისუფლების აღნიშნული განშტოების ჩამოყალიბების პრინციპებიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია პოლიტიკის წარმართვა კონიუნქტურული და ცალკეული ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე. ეს განსაკუთრებით ვლინდება სოციალური პრობლემების სიჭარბისას, როდესაც მოკლევადიან შედეგებზე გათვლილი ნაბიჯები შედარებით ხელსაყრელია პოლიტიკური თვალსაზრისით. აქ წარმოიშობა წინააღმდეგობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს შორის. ამ პირობებში ადვილი დასაშვებია მდგომარეობა, როდესაც ეკონომიკა მოქცეულია პოლიტიკის ქვეშ. მეორე მხრივ, პოლიტიკაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გრძელვადიანი, თანმიმდევრული ნაბიჯების სახით. პრაქტიკაში ძალიან ხშირად გვხვდება ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში განიხილება კანონპროექტი, რომელიც ახალი მარეგულირებელი მექანიზმების შემოღებას ითვალისწინებს. თავისთავად რეგულირების აუცილებლობა ყოველთვის არგუმენტირებულია „რაციონალური“ მოსაზრებით, მაგრამ თითოეული მარეგულირებელი მექანიზმის შემოღებისას, განსაკუთრებით ეკონომიკის

სფეროში, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები: რამდენად შეასრულებს არსებული ღონისძიება ან რეგულირების ფორმა თავის ძირეულ მიზანს იმ პირობებში, როდესაც თითქმის არ არსებობს სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმი; რამდენად შეესაბამება რეგულირების მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრინციპს (მაგ., კონკურენტული გარემოს შენარჩუნება და ა.შ.).

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფო ძნელად ეგუება ეკონომიკაში რეგულაციური ფუნქციის მასშტაბების შემცირებას, რაც თავისთავად ვლინდება ჩინოვნიკური ინტერესების დომინირებაში. საბჭოთა „მფლანგველური“ ეკონომიკიდან ეფექტიანობაზე ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში გამოვლინდა წინააღმდეგობა სადღეისო და სამომავლო ინტერესებს შორის, რაც ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, როდესაც ვსაუბრობთ კრიზისულ სიტუაციაზე ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, უნდა გავანალიზოთ, თუ სახელმწიფოს პოლიტიკა ამ სფეროებში რამდენად გვიცავს ასეთი კრიზისებისაგან.

მსოფლიოში უმწვავეს სოციალურ პრობლემად საუკუნეების განმავლობაში რჩება სიღარიბე. სოციალური ეკონომიკა კი XXI საუკუნის ეკონომიკურ სისტემადაა აღიარებული. ცნობილია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ახალი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის (ახალი ეკონომიკის) ფორმირება დაიწყო. იგი სამ მთავარ საყრდენს ეფუძნება: საბაზრო სისტემას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და სოციალურ მდგრადობას.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, მრავალი ცნობილი პრობლემა განსხვავებული მასშტაბით, ფორმით, შინაარსით, როლითა და მნიშვნელობით წარმოჩინდა. განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა სოციალური პრობლემები.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი ქვეყანაში სტრატეგიულად დაიწყო და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები სტიქიურად განვითარდა. ამის შედეგი შთამბეჭდავი იყო. ეკონომიკა სისტემურ კრიზისში აღმოჩნდა, გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია (5.4 მლნ 1990 წ. 3,730 მლნ ადამიანი 2018 წელს), მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგა. გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, გაძლიერდა რევანშიზმი, დაკნინდა ერის ინტელექტუალური პოტენციალი. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში გაჩნდა უნდობლობა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების და ზოგადად დემოკრატიის მიმართ, დამკვიდრდა ხელჩაქნეულობის და სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგია, გამოვლინდა ქვეყნის დეგრადაციის სხვა სახიფათო სიმპტომებიც.

ჩვენი აზრით, სისტემური გამოწვევები, რომელიც ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე მეტ-ნაკლები სიმწვავეით იჩენს თავს, საჭიროა დროსა და სივრცეში რეალურად შევაფასოთ მისი ერთ-ერთი მთავარი ფორმის - სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამოწვევი მიზეზები, ფაქტორთა ერთობლიობა, თავისებურებანი, ტენდენციები, კანონზომიერებანი. სწორედ არსებული მდგომარეობის სისტემური ანალიზი დაედო საფუძვლად ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას.

როგორც ჩანს, ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ბედი მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების დაპირისპირების პროცესში გადაწყდება, ღია „სამყაროს“ პირობებში ფორმირებადი თუ უკვე ფორმირებული ეროვნული ეკო-

ნომიკის კონკურენტუნარიანობის დონით და მდგრადი განვითარების პოტენციალის უნარით შეფასდება.

მეცნიერული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება სოციალური ეკონომიკა, როგორც საბაზრო ეკონომიკის ტიპი და პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატური ეკონომიკური სისტემა. ეს კი ქმნის მყარ საფუძველს ქვეყნის სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, რომელიც ფაქტობრივად დამთავრებულია. ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ სოციალურ ეკონომიკაში ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკურად ორიენტირებული სოციალ-კულტურული პოლიტიკის ერთიანობა.

სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ჯანდაცვა. დიდია მისი როლი სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ძირითად მიზნად განისაზღვრება - მიღწეულ იქნეს მსოფლიოს ყველა მცხოვრების ჯანმრთელობის ისეთი დონე, რომელიც უპასუხებს სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს, რათა საბოლოო ანგარიშით შეიქმნას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი ბაზა. ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში სერიოზულ რეფორმებთან გვაქვს საქმე.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ჯანმრთელობა შრომის მწარმოებლურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან და არა მხოლოდ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან. ჯანდაცვის სფერო პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე, რაც გამოიხატება იმ მატერიალური ზარალის თავიდან აცილებაში, რომელსაც მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკა, რომ არ ჩატარებულიყო ავადობის, ინვალიდობის საწინააღმდეგო და უდროო სიკვდილიანობასთან ბრძოლის ღონისძიებები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოსა და მსოფლიოს რიგი ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე საშუალოდ შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიანი შიდა პროდუქტიდან შეადგინა 1.8%, გერმანიაში 8.5%, ბელორუსიაში 4.7%, რუსეთში 3.2%, აზერბაიჯანში 0.9%. ეს მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ქვეყნები მოსახლეობის ჯანდაცვაზე.

ამასთან ერთად ჯანდაცვის სფეროში გამოიკვეთა ერთ-ერთი სამედიცინო მომსახურების დონის მკვეთრად დაცემა, რაც გამოწვეული იყო ამ სფეროს კომერციალიზაციით. აქ საქმე გვაქვს სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანების მომსახურების ტრადიციულ (ჰუმანურ) ფუნქციასა და ეკონომიკური (საბაზრო) ინტერესების ბალანსის დარღვევასთან. ინტერესთა დისბალანსი მკვეთრად ნეგატიური შედეგის მატარებელია.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სახელმწიფო სისტემური გამოწვევების წინაშე დადგა. ამ პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული და ჩვენი ქვეყნის გამოცდილებების გათვალისწინებას. საერთაშორისოდ აპრობირებულ საბაზრო ეკონომიკის მრავალ მოდელთა შორის, სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკის ფორმაზე გადასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მყარი

საფუძვლის შექმნას. საქართველოში ამ მიმართულებით აშკარა პროგრესი შეიმჩნევა. აქ მნიშვნელოვანია სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიღწევა, რაც მოითხოვს მის სხვადასხვა სფეროში ახალი რეფორმების გატარებას.

Murman Kvaratskhelia

ON THE ISSUES OF MARKET ECONOMY IN GEORGIA

Summary

World practice has proven that the transition to a market economy is characterized by many challenges. A socially oriented market economy has internal contradictions. It is, first and foremost, a contradiction between the economic objective of a market economy, which is expressed in the pursuit of profit and its social orientation, which can only be achieved by the proper legal and organizational provision of the state.

რევაზ ლორთქიფანიძე

პოსტკომუნისტური საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების გამოწვევები და მათი გადაჭრის მექანიზმების ზოგადთეორიული გააზრება

ანოტაცია. საქართველოს ეკონომიკურ-კონფლიქტური მემკვიდრეობა ყველაზე რთული აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის და, როგორც ყველას კარგად გვახსოვს, 1994 წელს ცხოვრების დონით ქვეყანა ბოლო ადგილზე აღმოჩნდა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთლიანად მსოფლიოში.

ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიო კულტურისა და ეკონომიკის ავანგარდში მოიაზრებიან და ისტორიულადაც მოიაზრებოდნენ ყოველთვის, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში ინიცირებული სამრეწველო რევოლუციის შემდგომ, თუმცა, ყველა ევროპელი დამეთანხმება, რომ ვერ ვიქნებით ევროპის ნამდვილი გულშემმატკივრები თუ არ დავინახავთ და გააზრებული კვლევებითა და სტრატეგიული გეგმებით არ ვიზრუნებთ იმ ეკონომიკურ-დემოგრაფიულ პრობლემებზეც, რომლებიც უმძიმეს ტვირთად დააწვა ევროპას და ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის ეკონომიკასა და მომავალს ყველასათვის.

საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ეკონომიკა, ევროკავშირი, ინტეგრაცია.

საქართველოს ეკონომიკურ-კონფლიქტური მემკვიდრეობა ყველაზე რთული აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის და, როგორც ყველას კარგად გვახსოვს, 1994 წელს, ცხოვრების დონით, ქვეყანა ბოლო ადგილზე აღმოჩნდა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთლიანად მსოფლიოში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრად უფრო მაღალი ცხოვრების დონის მქონე ქვეყნები მთელ რიგ სირთულეებს წააწყდნენ ევროკავშირის ეკონომიკურად სუპერ-განვითარებულ სივრცესთან ინტეგრირებისას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ საბაჟო, სავაჭრო და საერთო ბაზრის ზონალურ გარემოში შესვლის პროცესი არ იქნება ადვილი და ის ყოველმხრივ გააზრებული სტრატეგიით უნდა განვახორციელოთ.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ თავად მრავალფეროვან ევროკავშირსაც, ბუნებრივია, მრავალი საკუთარი სპეციფიკური პრობლემა აწუხებს.

ფაქტია, ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიო კულტურისა და ეკონომიკის ავან-გარდში მოიაზრებადა ისტორიულადაც მოიაზრებოდა ყოველთვის, განსაკუთრებით

დიდ ბრიტანეთში ინიცირებული სამრეწველო რევოლუციის შემდგომ. თუმცა, ყველა ევროპელი დამეთანხმება, რომ ვერ ვიქნებით ევროპის ნამდვილი გულშემატკივრები თუ არ დავინახავთ და არ ვიზრუნებთ ადამიანური რესურსების უმწვავეს პრობლემებზეც, რომლებიც უმძიმეს ტვირთად დააწვა მსოფლიოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის ეკონომიკასა და მომავალს საერთოდ.

გაეროს თანამედროვე პროგნოზების მიხედვით, საუკუნის დასასრულისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 7,5-დან 11 მლრდ კაცამდე გაიზრდება [United Nations System, 2019], თუმცა არა ევროპის ხარჯზე. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიაში მკვეთრად შემცირდა შობადობა, რომელიც დღეს აქ 1,4-1,5 ბავშვს შეადგენს ერთ ქალბატონზე. ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ამ მაჩვენებლის მხრივ (1,3). ცნობილია, რომ დემოგრაფიული წონასწორობის დონედ ითვლება ამ მაჩვენებლის 2,1-იანი ზღვარი, რასაც ევროპა მნიშვნელოვნად ჩამორჩა.

ზემოაღნიშნულს ემატება შრომითი რესურსების კატასტროფული ემიგრაცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ამ მიზეზით, 30 წლის განმავლობაში, რუმინეთმა დაკარგა 3,2 მლნ ადამიანი (მოსახლეობის 14%), ბოსნიამ - დაახლოებით 20%, ბულგარეთმა და ლიეტუამ - 21%, ლატვიამ 25,3% [United Nations System, 2019].

ემიგრაციასთან ერთად, აღსანიშნავია სიკვდილიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი მატება, რასაც, მეტწილად უკავშირებენ ადრინდელი „სოციალისტური“ ჯანდაცვის სისტემის დადებითი მხარეების დაუფიქრებელ უარყოფასაც [United Nations System, 2019].

საერთო ჯამში, თუ 1900 წელს ევროპაში ადამიანური რესურსების 25% იყო კონცენტრირებული, ამჟამად ეს მაჩვენებელი 10%-მდე დაეცა და ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებითაც კი, შემდგომი შემცირების ტენდენციით ხასითდება [United Nations System, 2019].

შრომითი ასაკის გახანგრძლივება ვერ შველის აღნიშნული პრობლემების დარეგულირებას და შრომით რესურსებზე დეფიციტი, ძირითადად, აფრიკელი და აზიელი მიგრანტების გზით ივსება, რაც საგანგაშო მასშტაბებს იძენს.

სამწუხაროდ, დემოგრაფიულ პრობლემებს ამწვავეს ასაკოვანი ადამიანების მნიშვნელოვანი ზრდის დადებითი მოვლენაც ევროპაში, რაც უკავშირდება შობადობის შემცირებასა და მოხუცებზე ხარჯების მატების ცნობილ პრობლემას.

ბუნებრივია, იბადება კითხვა - რა არის გამოსავალი?

ვფიქრობთ, სახეზეა რეგულირების ფაქტორების ერთობლივად ამოქმედების აუცილებლობა და სამხედრო და პოლიტიკური კონფრონტაციების ერა აუცილებლად უნდა შეიცვალოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და აღმშენებლობის შვეიცარული მაგალითებით.

ახლო წარსულში, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესით ვაღრმავებდი ეკონომიკური კონკურენციის საკითხების კვლევას და დაინტერესებულ მკითხველს, ვფიქრობ, ემახსოვრება, რომ მის კლასიკურ ხედვებში გარკვეული ხარვეზებიც კი აღმოვაჩინე, რაც, ჩვენი აზრით, დღემდე აფერხებს კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვის მიმდინარე უაღრესად აქტუალურ რეფორმას.

დარწმუნებული ვართ, კონკურენციის მართებული გააზრება და ინოვაციური კონკურენტული მენეჯმენტის მექანიზმების გამოყენება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციის

არსებითად გაუმჯობესებისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის საუკეთესოდ გამოყენებისა და ჯერ კიდევ არსებული მასობრივი სიდარობის დაძლევის უმწვავესი ამოცანების გადაჭრას.

ცენტრიდან ინიცირებული ბიზნესის ჰუმანიზაციის მიმდინარე რეფორმის მთავარი პრობლემა ის არის, რომ გართულდა პოსტსაბჭოთა თაობებში ხანგრძლივი პერიოდის მემკვიდრეობით ფეხმოკიდებული ინერტული და არაპრაგმატული ხედვების მასობრივი შეცვლა. გამომდინარე, ვფიქრობთ, საბაზრო მექანიზმებისა და რაციონალური კონკურენციის პოტენციალის ამოქმედების პროცესი აუცილებლად უნდა გავააქტიუროთ ე.წ. კლასტერული ფენების მექანიზმებით, რაშიც გონივრულად უნდა ჩაერთოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, უნივერსიტეტები და ბანკები.

საქართველოს თანამედროვე პირობებში “კონკურენციის შესახებ” კანონის სრულყოფის აუცილებლობასთან დაკავშირებით [ლორთქიფანიძე რ., 2019], გამოვეყოფდი 2 უმთავრეს მიმართულებას:

1) კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების საკითხი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი მხოლოდ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

ჩემი აზრით, ერთგოლიანი სტრუქტურა ნამდვილად არასაკმარისია. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ეკონომიკურად სწრაფმზარდი ჩინეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებით, პრაქტიკაში გავრცელებულია კონკურენციის მონიტორინგისა და დაცვის სამსახურების 2, 3 და 4-რგოლიანი ინსტიტუციური სტრუქტურები.

მაგალითისათვის, საბაზრო ეკონომიკის ევოლუციის უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას - აშშ ფლაგმანია კონკურენციის დაცვის პრიორიტეტად გამოცხადებისა და მისი ქმედითობის უზრუნველყოფის საქმეში. ამერიკაში ფუნქციონირებს ე. წ. დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტო „ფედერალური სავაჭრო კომისია“ და მთავრობასთან არსებული „ანტიმონოპოლიური სამმართველო“ (ანტიტრესტული ქვედანაყოფი). გარდა იმისა, რომ მათ შორის გარკვეული კონკურენციაა კონკურენციის უკეთ დაცვის მიზნით, მათი უფლებამოსილებებიც გარკვეულწილად გადანაწილებულია - პირველი მეტწილად სამოქალაქო საქმეებს კურირებს, მეორე - სისხლის სამართლის დანაშაულებებს.

საწყის ეტაპზე, ჩვენი აუცილებლობებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიზანშეწონილია, საქართველოში მინიმუმ 2 სამსახური ფუნქციონირებდეს კონკურენციის სრულფასოვნად დაცვისათვის. ვინაიდან საქართველოში ფუნქციონირებს უკვე საკმაოდ გამოცდილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და კონკურენცია ეკონომიკური კატეგორიაა, მიზანშეწონილია, ანტიმონოპოლიური დეპარტამენტი ან სამმართველო კანონმდებლობით სწორედ აქ აღიჭურვოს საჭირო უფლებამოსილებით, მაგალითისათვის, შერწყმის პროცესების მონიტორინგისათვის. ამასთანავე, ეს სამსახური ინვესტორთათვის საწარმოს ოპტიმალური ზომის შესახებ რეკომენდაციებზეც იმუშავებს ცალკეული რეგიონისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის საწყის ეტაპზე არაკეთილსინდისიერმა მონოპოლიებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქართული ბაზარი, დამატებით, ფინანსთა სამინისტროსთან – ფასების მონიტორინგის კომისია შეიძლება შეიქმნას, რომელიც ე.წ. „მტაცებლურ დემპინგს“ და სხვა მონოპოლიურ მიდრეკილებებს დააკვირდება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კი - უნიკალური ქართული აგრობაზრის მონოპოლიებისაგან დაცვის კომისია.

2) დომინირებული მდგომარეობის შეფასების საკითხი

კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, „ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან.“

ჩემი აზრით, დომინირებული მდგომარეობის შეფასება დასაზუსტებელია როგორც ტერმინოლოგიური, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისითაც. თუ დომინირებულობა ყველაზე მეტობას გულისხმობს (რაც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ამას უნდა ნიშნავდეს), მაშინ რატომ 40 და არა 35 ან 30 და 15. უალტერნატივოდ, დომინირებული მხოლოდ და მხოლოდ 50-ზე მეტი შეიძლება იყოს.

თუ დომინანტი შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელს ვუწოდოთ, რომელიც ბაზრის ნახევარზე მეტს „აკონტროლებს“, მონოპოლიზმისაკენ მიდრეკილება, საერთაშორისო გამოცდილებით, შეიძლება შევაფასოთ 30, 20 და 10%-იანი ხვედრი-წონებითაც, როცა ზოგიერთი უკვე ამ დონეზეც ახერხებს ბაზრის „გაკონტროლებას“. აღნიშნულთან დაკავშირებით, კონკურენტულობის შეფასების მრავალფაქტორული მეთოდები უნდა ავამოქმედოთ და გავითვალისწინოთ, რომ მაღალ მთაში ეს ზღვარი შეიძლება სხვა იყოს (სადაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ნაკლებია ბაზარზე „მოთამაშე“ მიმწოდებლები) და ბარში - სხვა. განსხვავებული იქნება და გასათვალისწინებელია დარგობრივი სპეციფიკებიც.

რაც შეეხება ბაზარზე კონკურენციის დონის შესაბამის დიფერენცირებულ ანალიზს, მიზანშეწონილია, ეფექტიანობის, კონკურენტთა რაოდენობის, ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის, არარეალიზებული და ფალსიფიცირებული პროდუქციის მაჩვენებლების გამოყენება, რაც ეკონომიკური სტრუქტურის შეფასების ევროკავშირის მეთოდოლოგიის ჩემს განვითარებას შეიძლება დავუკავშიროთ.

ვფიქრობ, ეკონომიკური პოლიტიკისა და კონკურენციის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო მოხელეებს და მასობრივ მკითხველს ახსოვთ ეკონომიკური კონკურენციის ჩემი შეფასება, ფიზიკაში დენის ძალის განსაზღვრის ($I = U/R$) მსგავსებით. ამ ფორმულირების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კონკურენციის ძალა და ოპტიმალური - კონკურენციის ყველაზე ეფექტიანი დონეები, მ.შ. საინფორმაციო-ტექნოლოგიურ კლასტერებში, აგრარულ ბაზრებსა თუ შეჭირვებულ რეგიონებში.

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ კლასიკური თეორიიდან დაწყებული დღემდე, რატომღაც ჩამოყალიბდა არასრულყოფილი წარმოდგენა სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რომ, თურმე, უნდა გვქონდეს ძალიან დიდი რაოდენობა კონკურენტებისა, რომლებსაც ბაზარზე არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეთ. ხელოვნურადაც რომ მოვაწყოთ ასეთი პირობები, ეს იქნება არაეფექტიანი ბაზარი. მიმაჩნია, რომ სრულყოფილი ვარიანტი უნდა ვეძიოთ არა გამოგონილ „პოზიციებში“, არამედ, რეალურ ბუნებაში.

ბაზრების კონკურენტულობის შეფასების ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ საუკეთესო მინიმალურ დონეებს სწორედ მცირე მეწარმეთა ძალზე დიდი რაოდენობის შემთხვევაში აღწევს. ჰერფინდალის ინდექსის შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ამ მაჩვენებლის გამოყენება - უკიდურესად არასაკმარისი. ასეთი მიდგომით შეიძლება დავანაწევროთ ეფექტიანი ადგილობრივი მსხვილი ბიზნესები ან ხელი შევეშალოთ ბიზნესების წესიერი გზით საჭირო გაერთიანების მცდელობას, დავარღვიოთ მათი უდანაშაულობის პრეზუმფცია და უკეთესი პირობები შევუქმნათ არაკეთილსინდისიერ საგარეო ფარულ შეთანხმებებს.

ჩვენ არ გვჭირდება უსასრულოდ დიდი რაოდენობის "ჭიანჭველების" კონკურენცია ეკონომიკაში და გვჭირდება კეთილსინდისიერი კონკურენტების ბუნებრივი კონკურენცია, სადაც კონკურენციის ყველა მონაწილე (არა მხოლოდ მცირე, არამედ დიდიც) აკეთებს თავის საჭირო (ეფექტიან) საქმეს.

ბაზრის მონაწილეების ძალზე დიდმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს "მოკლე ჩართვა" და ეკონომიკის "გადახურება", შესაბამისად, ჰიპერინფლაციური სიჭარბე და უმძიმესი კრიზისული შოკები. ამდენად, მრავალფაქტორული მეთოდების აუცილებლობა სახეზეა და საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების წინაშეც უნდა დაისვას საკითხი საერთაშორისო ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის თაობაზე, ვინაიდან, აშშ-სა და ეკონომიკურად უმძლავრეს სხვა სახელმწიფოებსაც კი უჭირთ საერთაშორისო ბუნების ფარულ მონოპოლიებთან დამოუკიდებლად გამკლავება.

ინოვაციური მენეჯმენტის ეფექტიანი მექანიზმების სწრაფი ამოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას დაგეგმვის მეთოდების სრულყოფილი გააზრება და პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დამსახურებულ დაშლასთან ერთად, ზოგმა „სპეციალისტმა“ ნაადრევად ჩამოწერა ყოფილი ხსენებული კავშირის ქვეყნებში დაგროვილი კოლოსალური გამოცდილებაც დაგეგმვის მრავალფეროვანი მექანიზმების შესახებ, რაც უდიდესი ინტერესის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს ეკონომიკურად სუპერგანვითარებულ ქვეყნებსა და ნობელიანტ ეკონომისტთა წრეებშიც კი.

უფრო მეტიც, გონივრული დაგეგმვის გარეშე წარმოუდგენელია წარმატება მოულოდნელად მოვლენილი საყოველთაო გლობალიზების ეპოქაში.

საბჭოთა კავშირი რომ დაინგრეოდა, ყველა ლოგიკურად მოაზროვნე ხედავდა, მაგრამ ეს თუ ასე სწრაფად განხორციელდებოდა, ბევრს ნამდვილად ვერ წარმოედგინა, ვინაიდან ქვეყანა საკმაოდ წარმატებული იყო ეკონომიკურად და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა მას ჯერ კიდევ, განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებდა. მაგრამ, უფალმა ინება და საჭირო ნგრევის პროცესები მოულოდნელად განვითარდა.

როგორც ყოველი ქვეყნის მაკროეკონიკური სივრცე საჭიროებს რაციონალურ დაცვასა და რეგულირებას, კაცობრიობის ახალი ფენომენი - მსოფლიო ეკონომიკაც საჭიროებს რაციონალურ - გეგმაზომიერ ორგანიზებასა და მართვას. გლობალიზება კაცობრიობისა და, ზოგადად, ტექნიკური პროგრესის უდიდესი მონაპოვარია, რაც გლობალური სტრუქტურების გააქტიურებისა და არნახული ეკონომიკური დაწინაურების გააზრებულ (გეგმაზომიერ) შანსს იძლევა.

ელემენტარულად, თუ ოჯახისათვის საჭირო 2-3 დღის სასურსათო პროდუქტებისათვის მარკეტებს წინასწარ მომზადებული გეგმის მარტივი ნუსხითა და რაციონალური სატრანსპორტო მარშრუტებით ვეწვევით, 5 აშშ დოლარზე მეტს დავზოგავთ კვირაში, რაც წელიწადში, დაახლოებით, მინიმუმ 250 დოლარს შეადგენს.

თუ აღნიშნულ ეკონომიკას მსოფლიოში ოჯახების საშუალო რაოდენობაზე გავამრავლებთ, მართა ამ გზით დაგეგმვის მექანიზმების გამოყენება ნახევარი ტრილიონი დოლარის ეკონომიკას მისცემს მსოფლიოს.

სტრატეგიული მეთოდებით დაგეგმვის მასშტაბური (საყოველთაო) ამოქმედების და ფარული საერთაშორისო მონოპოლიებისაგან ადგილობრივი ბაზრების დაცვის გარეშე, გარკვეული ეკონომიკები პრაქტიკულად ვეღარ ვითარდება და გლობალიზების გამოწვევების დაძლევა მნიშვნელოვნად რთულდება, როგორც ახალი დამოუკიდებლობის გამოწვევებით დამატებით დამძიმებული ჩვენი ქვეყნის პირობებში, არანაკლებ - უკვე ინდუსტრიულ-ინფორმაციულ ოაზისებში. სასიხარულოა, რომ დაგეგმვის მეთოდების საუკეთესო მაგალითებს სულ უფრო მეტად ავლენენ თანამედროვე აშშ, ჩინეთი, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ კორეა, მეტ-ნაკლებად ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და მ.შ. საქართველო.

რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს ზოგიერთისათვის, ცხოვრების დონის მაჩვენებლით (სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით), საქართველო საშუალო მსოფლიო დონის 10 ათასდოლარიან დონეს გაუტოლდა, რაც განვითარებული ქვეყნების რიგში შესვლას ნიშნავს თუ ინდუსტრიული (განსაკუთრებით მანქანათმშენებელი) დარგებიც ადეკვატურად განვითარდება.

რეალური დაგეგმვის რაციონალური მეთოდების ჩვენეული პრიორიტეტები, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, შემდეგი თანმიმდევრობით წარმოჩინდეს:

- 1) პროგნოზულ-გრაფიკული ექსტრაპოლირება;
- 2) მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივებისა და ნორმების მომზადება;
- 3) მატერიალური ბალანსების შედგენა;
- 4) სტრატეგიული განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- 5) კომპლექსური გეგმების მიზნობრივი პროგრამებით შევსება და კორექტირება.

დაგეგმვა და ორგანიზება რომ მენეჯმენტის ფუნქციონალური ფუნქციებია, ჯერ კიდევ ფრედერიკ ტეილორი და ანრი ფაიოლი ხედავდნენ, თუმცა ცალკეული ბიზნეს „აქტივისტები“ მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური მეცნიერების მკვლევართა შედეგების გაცნობა ზოგადად და კონკრეტულად სტრატეგიული განვითარების სამსახურების არსებობა ბიზნესორგანიზაციებში, დროისა და ფინანსების ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი. სწორედ ასეთი ხედვები იწვევს მსგავსი ბიზნესმენების ჩამორჩენას ჯანსაღ კონკურენტულ პაექრობაში, რაც აიძულებს მათ, ფარულ შეთანხმებებში შევიდნენ მსგავს პარტნიორებთან და გაერთიანებული ძალისხმევით დაამარცხონ ნაკლებ-დაცული მეტწილად წესიერი მეწარმე.

პროგნოზულ-გრაფიკული ექსტრაპოლირება და მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები საშუალებას მოგვცემს გეგმები რეალურ საფუძველზე შევიმუშაოთ, შესაბამისად, ადგილობრივი მეწარმის დასაცავად სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციასა და მომსახურებაზე აუცილებლად უნდა შემუშავდეს სრულფასოვანი მატერიალური ბალანსებიც.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკური დონისა და ფონდშიარაღების ზრდამ არ უნდა გაუსწროს ადამიანური რესურსების მწარმოებლურობას, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ახალი ტექნიკის ეფექტიანობა უკვე ჩამოწერილი ტექნიკის უკუგებასაც კი ვერ გადააჭარბებს.

თუ გლობალური ეფექტიანობა დაინტერესებულია, ყველა ქვეყანამ თავისი აბსოლუტური უპირატესობა განავითაროს, ეკონომიკური დამოუკიდებლობის

ინტერესები დივერსიფიცირებულ მიდგომებსა და მეცნიერებატევადი მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის პროგრამულ-მიზნობრივ განვითარებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნული შეუძლებელია კომპლექსური სტრატეგიების შემუშავების გარეშე - ადგილობრივი ხელისუფლების, უნივერსიტეტებისა და ბანკების ჩართულობითა და, საჭიროების შემთხვევაში, საყოველთაო განხილვადობით (მ.შ. რეფერენდუმის გზით), რაც, ხშირი პოლიტიკური ცვლილებების ე.წ. „საყმაწვილო სენის“ გამოცდილებით, გამორიცხავს დასახული სტრატეგიების „ჩამოწერას“ ან პირად ინტერესებზე მორგებას.

ერთიანი მსოფლიო ბაზრის კონცეფციით, ეკონომიკური თეორიის ყველასათვის სავალდებულო მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური საფუძვლების შეცვლამ, მრავალფეროვანი ადგილობრივი სპეციფიკის სარეკომენდაციო ხასიათის ინოვაციური ინდივიდუალური გათვალისწინების მწვავე აუცილებლობაც გამოიწვია ცალკეული ქვეყნის შემთხვევაში, მ.შ. ორიგინალური კლასტერული მექანიზმებით, რაც გააზრებული გვაქვს ჩვენი კონკრეტიკის გათვალისწინებით და გაღრმავდება ჩვენს მომავალ კვლევებშიც.

ეკონომიკური კონკურენცია მაქსიმალურ ეფექტიანობას მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის შესაძლოდ ბუნებრივი ფუნქციონირებისას ავლენს, ანუ ფარული შეთანხმებებისა და არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების მინიმალური დონის შემთხვევაში. მაგრამ მსოფლიო დონეზეც კი, კონკურენციის ფაქტობრივი ძალა მნიშვნელოვნად განსხვავდება კონკურენციის მიზანშეწონილი (ოპტიმალური, მაქსიმალურად ეფექტიანი) დონისაგან, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე მუდმივი დამატებითი დაკვირვებების საჭიროებას განაპირობებს.

ბაზრის კონკურენტულობის შეფასების მნიშვნელოვან პარამეტრად შეიძლება გამოგვადგეს მენეჯერული ხარჯების ხვედრითი წონაც მთლიანად ხარჯებში, იმდენად, რამდენადაც, მონოპოლიურობისკენ მიდრეკილების დროს, ჩვენი დაკვირვებით, სწორედ აღნიშნული ტრანსაქციული ხარჯები იზრდება განსაკუთრებით სწრაფად.

ცნობილია, რომ კონკურენცია მოქმედებს არა მხოლოდ მეწარმეებს შორის, არამედ ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს შორისაც. ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩატარებულმა ჩვენმა სადისერტაციო კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურა უფრო მკაცრი კრიტერიუმია ეკონომიკის განვითარებულობის შესაფასებლად, ვიდრე დარგობრივი. ქვეყანას, რომელსაც განვითარებული დარგობრივი სტრუქტურა აქვს, შეიძლება ჩამორჩენილი რეგიონები ჰქონდეს. მაგრამ, თუ რეგიონული სტრუქტურაა განვითარებული, დარგობრივი სტრუქტურაც შესაძლოდ განვითარებული იქნება. ამიტომაც, რეგიონულ-კლასტერული მიდგომა ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისას, მნიშვნელოვან პრიორიტეტად გვესახება.

ჩვენი ზოგადთეორიულ-მეთოდოლოგიური განზოგადებებიც კონკურენციის შესახებ, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანწილად მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც მიზანმიმართულად ფიქრობს ეფექტიანი (კონკურენტული) მსხვილი ბიზნესების დანაწევრების საკითხზე და აღნიშნულს ანტიმონოპოლიური მოქმედებებით „ასაბუთებს“. ვფიქრობთ, მათ უნდა შეიგნონ, რომ პრობლემა ბიზნესის ზომაში კი არ არის, არამედ მის წესიერებასა და შედეგიან პრაქტიკულობაშია.

მართვის პრობლემებზე, ბუნებრივია, უძველესი ადამიანებიც ფიქრობდნენ და მათ შორის 3 ათასზე მეტი წლის სახელმწიფოებრიობის დიდი ქართველებიც. სახელმწიფოსა და ოჯახური მეურნეობის გაძლოლის საკითხების გაცნობიერების პირველი მცდელობები, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტის, საბერძნეთისა და ჩინეთის ცივილიზაციებში გვხვდება, რაც ევროპაში ინგლისის სამრეწველო რევოლუციის შემდეგ სულ უფრო მეცნიერულ ხასიათს იძენს და,

ამერიკული სკოლის ინიციატივითა და უშუალო ორგანიზებით, მე-20 სუკუნიდან მენეჯმენტის მეთოდოლოგიურ საფუძვლებად გვევლინება.

მაგრამ გამოცდილება გამოცდილებად და, თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ მრავლადაა შემთხვევები, როცა მართვის საკითხებში გაურკვევლობა ან მოძველებული ხედვების განუვითარებლობა იწვევს ფარული არაკეთილსინდისიერი საერთაშორისო მონოპოლიების გავლენის გახანგრძლივებას, ცხოვრების დონის გაჭიანურებულ კრიზისულ ჩამორჩენებას და, ჩვენი კონკრეტიკის შემთხვევაში, უნიკალური ბუნებრივი პირობების სოფლებისა და მთის ადრე მჭიდროდ დასახლებული მასივების დაცარიელებას.

აღნიშნულ პრობლემებთან ბრძოლის საქმეში სამთავრობო რეფორმების მცდელობას არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, მაგრამ, რაგინდ კვალიფიციური უნდა იყოს ეს მცდელობა, დამოუკიდებლად არცერთ ქვეყანას არ ძალუძს საერთაშორისო ფესვების მქონე ფარული მონოპოლიების საბოლოო დამარცხება. ამდენად, ვფიქრობთ, კონკურენტული გლობალური მენეჯმენტის მეთოდოლოგიის უმთავრეს სახასიათო ნიშან-თვისებად სწორედ გლობალური მარეგულირებელი (სამართლიანობის დამცავი) სამსახურების ამოქმედება უნდა განისაზღვროს, მათ შორის, ევროკავშირის დონეზე. ჩვენი მომავალი კვლევები ამ საკითხების სათანადოდ გაშუქებას ისახავს მიზნად, რათა ევროპული თანამეგობრობის ყურადღებაც სათანადოდ მივმართოთ ამ ფუძემდებლური საკითხების მისამართით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე რ. საქართველოს თანამედროვე პირობებში “კონკურენციის შესახებ” კანონის სრულყოფის აუცილებლობა. - თბილისი, 2019.
DOI: 10.13140/RG.2.2.33423.12963
2. United Nations System, 2019. <https://www.unsystem.org/content/un-system-human-resources-statistics>
3. https://inosmi.ru/amp/social/20190218/244593477.html?fbclid=IwAR3S7AoQdLqqPgSH-tzXU_UjZqDYVSxGx6tdIkTUqCsrP3wAtyiMXQoU3Xg

Revaz Lordkipanidze

CHALLENGES OF POST-COMMUNIST GEORGIA'S IN THE EU INTEGRATION AND GENERAL THEORETICAL UNDERSTANDING OF MECHANISMS FOR THEIR SOLUTION

Summary

Georgia's economic-conflicting legacy has proved to be the most difficult among the post-Soviet countries, and as we all remember, in 1994, the country was ranked last not only in the region but in the world as a whole.

EU countries are in the forefront for the world culture and economy in this regard and historically it was considered always so, especially after initiated in the UK the Industrial Revolution; however, I think, all Europeans agree with me, that we cannot be the real fans of Europe, if we do not see and understand through the strategic studies and planning of economic-demographic problems, which are the hardest burden for the EU economy and the future of this region.

ადამიანისეული კაპიტალის მართვის
იაპონური მოდელის თავისებურებები

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონური მოდელი, მისი ფორმირების პრინციპები, უპირატესობები და თავისებურებები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „სიცოცხლის მანძილზე დაქირავებისა და „უფროს-უმცროსობის“ სისტემებზე, შრომით კოლექტივებში ნდობითი ურთიერთობების შექმნასა და განმტკიცებაზე, მოტივაციისა და წახალისების მეთოდების გამოყენებაზე. ნაშრომში ხაზგასმითაა მითითებული ადამიანისეული კაპიტალის ფორმებსა და მართვის პროცესში კაპიტალდაბანდებების გაფართოების აუცილებლობაზე, რომელიც გამიზნულია სამუშაო ძალის მოზიდვის, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის განმტკიცების, სწავლებისა და უნარ-ჩვევების სრულად გამოვლინების, მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ადამიანისეული კაპიტალი, ტექნოლოგიები, განათლება, მოტივაცია, დაინტერესება, სამედიცინო დაზღვევა, მართვის მოდელები.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ადამიანი, სრულიად გარდაქმნილი ფორმით, აღჭურვილი უახლესი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, წარმოადგენს მთავარ განმსაზღვრელ ეკონომიკურ რესურსსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალას. ადამიანში განხორციელებული გრძელვადიანი ინვესტიციების გზით ხდება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება, რომელიც გამიზნულია სამუშაო ძალის განათლების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, მიგრაციისა და ინფორმაციის მოძიებისათვის. სწორედ ადამიანისეული კაპიტალის შექმნით, მისი გონივრული მართვითა და გამოყენებით მიაღწიეს უმოკლეს ვადაში არნახულ წარმატებებს მსოფლიო განვითარებული სამყაროს ქვეყნებმა თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური გარდაქმნებისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. ამ მიმართულებით მათ მიერ დაგროვილ გამოცდილებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა იწყებენ ასეთი სახის ეკონომიკურ გარდაქმნებსა და ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებული ახალი ტიპის ეკონომიკაზე გადასვლას.

* * *

განვითარებულ ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია იაპონიას, რომელმაც ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და გონივრული მართვის საფუძველზე დიდი წარმატებები მოიპოვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზაზე. ქვეყანა ხასიათდება მწირი ბუნებრივი პირობებით. სწორედ მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დეფიციტმა განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მიმართულების არჩევანი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკის მეცნიერებატევადი დარგების, მაღალი ტექნოლოგიებისა და ადამიანისეული კაპიტალის სწრაფი განვითარება ქვეყნისათვის უალტერნატივო აუცილებლობად იქცა. ამ მიმართულებით

ეკონომიკური განვითარების პროცესში იაპონიას მოუხდა ურთულესი პრობლემების გადაჭრა, რის გამოც ამ სფეროში მისი გამოცდილების ანალიზსა და გაზიარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა ახორციელებენ ადამიანისეული კაპიტალის პრინციპებზე დაფუძნებულ ახალი ტიპის ეკონომიკაზე გადასვლას.

ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონურ მოდელს საფუძვლად უდევს ქვეყნის მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული თავისებურებები და სპეციფიკური მენტალიტეტი. სხვათა შორის, სწორედ ამ მენტალიტეტმა განსაზღვრა მართვის უნიკალური იაპონური სისტემის შექმნა, რომელიც დღემდე ერთ-ერთ მოწინავე სისტემად ითვლება მთელ მსოფლიოში. იაპონური მენეჯმენტის წარმატებისა და მაღალი ეფექტიანობის მიზეზი სწორედ ადამიანისეული ფაქტორის მაქსიმალური გამოყენების უნარსა და ქვეყნის ეროვნულ მენტალიტეტში უნდა ვეძიოთ. იაპონელებს ძლიერად აქვთ განვითარებული მოვალეობის გრძნობა, ისინი არიან ძალიან მომთმენები, დისციპლინირებული და პუნქტუალურები. მათ აქვთ უნარი, იმუშაონ დიდხანს და მაქსიმალურად ეფექტიანად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. ისინი არიან უაღრესად კეთილსინდისიერები და გულისხმიერნი. მაგალითისთვის, როცა იაპონელი დროზე ადრე ამთავრებს სამუშაოს, სახლში კი არ მიდის, არამედ რჩება სამუშაოდ და ეხმარება თავის კოლეგას. იაპონელები ერთგულები არიან კომპანიისა, სადაც ისინი მუშაობენ, დარწმუნებული არიან იმაში რომ, თუ კარგად იმუშავენ, ეს ხელს შეუწყობს კომპანიის უკეთ ფუნქციონირებას, რაც, საბოლოო ჯამში, სათანადოდ აისახება მათ ხელფასებსა და პრემიულ დანამატებზე.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ადამიანისეული რესურსების მართვა ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზეა დაფუძნებული, რაც მას მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს და რაც შემდეგი ისტორიული გარემოებებითაა განსაზღვრული:

1. იაპონიაში ინდუსტრიალიზაციის პროცესი შედარებით გვიან დაიწყო და უფრო ნელი ტემპით ხორციელდებოდა, ვიდრე ევროპის უმეტეს ქვეყნებსა და აშშ-ში, რის გამოც ისტორიულად არსებობდა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. სწორედ ამითაა განსაზღვრული, რომ დღეს იაპონიაში განსაკუთრებულად ფასობს ცოდნა და განათლება;

2. შრომითი რესურსების მართვის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ განათლება და კარიერა უშუალოდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების და მასთან ერთად ხელფასის გრადაცია პირდაპირ კავშირშია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში მიღწეულ შედეგებთან, ანუ სწავლის შედეგად მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციასთან;

3. იაპონური შრომითი რესურსებისა და ადამიანისეული კაპიტალის მართვის კიდევ ერთი უპირატესობა დაკავშირებულია სამუშაო ძალის მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების სისტემასთან, რითაც მუშაკისა და დაქირავებლის ურთიერთობა მყარდება დიდი ხნის მანძილზე როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით (სამუშაოზე მიღების მომენტიდან, პენსიაზე გასვლამდე 55 წლის ასაკში).

ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონური მოდელი, საბაზრო ეკონომიკის მოდელის მსგავსად, გულისხმობს კომპანიის ხელმძღვანელობის გარე სამყაროსთან კავშირის დამყარებას ორი ინსტრუმენტით – სამუშაო ძალითა და ტექნოლოგიებით. ხელმძღვანელს შეუძლია, მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, დიდი

რაოდენობით დაიქირაოს სამუშაო ძალა, ხოლო მოთხოვნის შემცირების დროს კი ის ვერ გამოიყენებს სამუშაოდან დათხოვნისა და საჯარიმო სანქციების სისტემას. წმის შემდგომ პერიოდში, სამუშაო ძალის დიდმა დეფიციტმა და ამ პირობებში მუშაკთა შენარჩუნების აუცილებლობამ განაპირობა კადრების შერჩევის ძველი მეთოდის გაუქმება და მის ნაცვლად ახალი მექანიზმის – საგანმანათლებლო დიპლომების რანჟირების შემოღება. ამ ვითარებაში ახალგაზრდობა ცდილობს მიიღოს მაღალრანჟირებული განათლება, მაგალითად, ტოკიოს, ჰარვარდისა და სხვა მაღალი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტებში. თავის მხრივ, კომპანიები კი ისწრაფვიან. სამუშაოდ მიიზიდონ ასეთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

ამრიგად, სათანადო მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა ადამიანისეული კაპიტალის მოდელის საფუძველზე დამყარებული იაპონიის შრომითი რესურსების მართვის შემდეგი თავისებურებები:

1. იაპონელი მუშა არის ყველაზე ძვირი რესურსი, უფრო ფასეული, ვიდრე ძვირადღირებული მოწყობილობა, რომლის განსაზღვრა და შეფასება უნდა მოხდეს სამუშაო ძალის მუდმივი მოძრაობის პირობებში, მისი უწყვეტი სწავლების, თანამდებობრივი როტაციისა და უცხოეთში სტაჟირების გათვალისწინებით;

2. იაპონურ კომპანიებში მომუშავეთა ხელფასი დამოკიდებულია მათ ასაკსა და მოცემულ კომპანიაში მუშაობის სტაჟზე. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს შრომის მწარმოებლობის, ბაზრის წილისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით მათ შრომის ანაზღაურების მართვის სათანადო ბერკეტები;

3. ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონური მოდელი გამორიცხავს მუშისა და ტექნოლოგიის ურთიერთდაპირისპირებას, რის გამოც ახალი პროდუქცია, ტექნოლოგია და საწარმოო პროცესები მუშათა მიერ აღიქმება არა როგორც დასაქმების საფრთხე, არამედ როგორც მისი განმტკიცების საშუალება. დასაქმების იაპონური მოდელი, ამერიკულისაგან განსხვავებით, არის უკონფლიქტო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექნოლოგია სწრაფად ვრცელდება არა მხოლოდ კომპანიის, არამედ მთელი დარგის ფარგლებში. კომპანიის ქვედანაყოფებს შორის თანამდებობრივი როტაცია, გახსნილი კომუნიკაციები და მართვის სხვადასხვა დონეთა შორის ინფორმაციის გაცვლის სიადვილე და თვითმყოფადობისადმი იაპონური სწრაფვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის, როგორც კომპანიის მთავარი რესურსის, განვითარებასა და სრულყოფაში.

4. იაპონურ კომპანიებში შრომითი რესურსების მართვა ხორციელდება მუშაკთა შორის თანამშრომლობისა და ერთმანეთისადმი ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროში.

ნებისმიერი კომპანიის წარმატებული საქმიანობა ბევრადაა დამოკიდებული ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის სწორი პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებაზე. ადამიანთა მართვის რესურსების „ზევიდან ქვევით“ მართვის სისტემა ახდენს კადრების შერჩევის, შეფასების, წახალისებისა და განვითარების შესახებ გადაწყვეტილებათა ცენტრალიზებას და გულისხმობს ასეთი გადაწყვეტილებების გადანაწილებას მართვის ყველა დონის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ როგორია კომპანიის მიდგომა კადრებით უზრუნველყოფის პრობლემისადმი, კერძოდ, იგი ისწრაფვის საკუთარი პერსონალის მომზადებისა და განვითარებისათვის თუ მოიზიდოს კადრები გარედან, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „შექმნის თუ ყიდვის“ რომელ ვარიანტს უჭერს იგი მხარს.

გარდა ამისა, პერსონალის მართვის ორგანიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრძანების შესრულების ჯგუფური (გუნდური) თუ ინდივიდუალური პრინციპი. პირველი გულისხმობს შერჩევის პროცესში გუნდის წევრთა სოციალურ შეთავსებადობას, შეფასებისა და წახალისების სისტემას, რომელიც მისაღებია მთელი გუნდისათვის, როგორც ერთიანი მთელისთვის. სწორედ ასეთ კონცეფციას იყენებენ იაპონური კომპანიები, ამერიკელი მეწარმეები კი უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალურს.

შრომითი რესურსების მართვის კონცეფციის დადგენის შემდეგ ხდება მისი ფუნქციების განსაზღვრა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: შერჩევა, დაწინაურება, განვითარება, შეფასება და დაჯილდოება. ამ ფუნქციების შესრულება შეუძლია მხოლოდ სათანადო ცოდნით შეიარაღებულ სპეციალისტებს, პერსონალის მართვის მენეჯერებს, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ ადამიანისეული კაპიტალის მართვის კონცეფციაზე დაფუძნებული პრინციპებით.

ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივაციის იაპონურ სისტემას, რომელიც ვლინდება მუშაკთა დაქირავებისა და შემდგომი შრომითი საქმიანობის დროს. მოტივაციის იაპონური სისტემა ხელსაყრელია როგორც მუშაკთა, ისე სამუშაოს მიმცემთათვის, რაც სათანადო საფუძველს ქმნის მათ შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის და, რაც ძალზე დიდ გავლენას ახდენს როგორც კომპანიის საწარმო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, ისე დაქირავებულ მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე.

შრომითი რესურსების ორგანიზაციის უპირატესობასა და, საერთოდ, იაპონური ადამიანისეული კაპიტალის კრეატიულობაზე მეტყველებს მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დაბალი დონეც. ხელმძღვანელისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის ხელფასები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც კი არ ამწვავებს ურთიერთობებს შრომით კოლექტივში, არამედ ზრდის მუშაკთა დაინტერესებას, იმუშაონ მაქსიმალური ძალისხმევით, რაც ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. გაეროს მონაცემებით, ქონებრივი განშრევების კოეფიციენტი იაპონიაში არის მხოლოდ 4,5, საფრანგეთში კი – 9,1, დიდ ბრიტანეთში – 13,8, აშშ-ში – 15,9, ჩინეთში – 21,6 [2].

მუშაკთა „სიცოცხლის მანძილზე“ დაქირავება, „უფროს-უმცროსობის“ სისტემა ხელფასის განსაზღვრისა და სამახურებრივი დაწინაურების დროს აქტიური და, იმავდროულად, საკმაოდ ლოიალური პროფკავშირები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს იაპონიის საფინანსო-ეკონომიკური და სოციალური კლიმატის სრულყოფას. ადგილობრივ პირობებსა და ეროვნულ ფსიქოლოგიას მორგებული იაპონური მენეჯმენტის სისტემა პრაქტიკულად მუშაობს უზადოდ როგორც ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის პერიოდებში, ისე მისი შენელებული ზრდის დროს, რაც დიდ ყურადღებას იპყრობს ევროპელი და ამერიკელი კონკურენტების მხრივ. ექსპერტ-სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ „სიცოცხლის მანძილზე“ დაქირავებისა და „უფროს-უმცროსობის“ სისტემამ გადაამწყვეტი როლი შეასრულა ომის შემდგომ პერიოდში იაპონიის ეკონომიკის განვითარებაში. ისინი მიიჩნევენ, რომ იაპონური კომპანიების უპირატესობა ძირითადად პერსონალის მართვის სისტემებსა და მეთოდებში უნდა ვეძიოთ, რაც საბოლოო ჯამში, ადამიანისეული რესურსებისა და, საერთოდ, ადამიანისეული კაპიტალის პრაქტიკულ რეალიზაციაში აისახება.

იაპონური კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ მუშაკთა შორის ნდობითი ურთიერთობების შექმნასა და განმტკიცებას. ნდობა წარმოშობს საპასუხო ნდობას,

რაც ადამიანებს აძლევს უკეთ მუშაობის სტიმულს. იაპონური მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ფირმების პატერნალური დამოკიდებულება თავისი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ. ასეთი დამოკიდებულების ფსიქოლოგიური ასპექტია ის, რომ როცა მუშაკი სამუშაოდ მიდის კომპანიაში, ის იქ თავს გრძნობს როგორც საკუთარ ოჯახში. ასეთ ვითარებაში ყველა მუშაკი ზრუნავს კომპანიის კეთილდღეობაზე, რაზედაც კომპანია მათ ასეთივე დამოკიდებულებით პასუხობს, რაც მისაღებია ორივე მხარისთვის.

ადამიანისეული კაპიტალის მართვის იაპონური მოდელი გულისხმობს კაპიტალდაბანდების უპირობო მხარდაჭერას, რომელიც მოწოდებულია, სამუშაო ძალის მოზიდვის, მისი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნების, სწავლებისა და უნარ-ჩვევების სრულად გამოვლინებისა და მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XI, თბ., 2018.
2. Касаева Т. и др., Креативный человеческий капитал в Японии, 2017.
<https://irron.ru/articles/>
3. Касимханов М., Роль человеческого капитала в экономике Японии, 2016.
<https://irron.ru/articles/>
4. Как улучшить человеческий капитал, 2016. <https://softblog.am/post/>
5. Мусаелян А., Особенности формирования человеческого капитала в аспекте здоровья на примере Японии, 2016. <https://irron.ru/articles/>
6. Седальцев С. Инвестиции в человеческий капитал, 2016.
https://allbest.ru/otherterats/economy/00208919_0.htm/
7. Татулов В., Японская и Американская модели управления человеческим капиталом в диверсифицированных холдингах. <https://cyberlenika.ru/article/n/>
8. Японская модель управления человеческими ресурсами.
https://stugoredia.ru/2_127499

Revaz Javakhishvili

FEATURES OF THE JAPANESE MODEL OF HUMAN CAPITAL MANAGEMENT

Summary

The Japanese model of human capital management is based on the peculiarities of the country's historical-cultural development and a specific national mentality, which essentially defined the creation of a unique Japanese system of management, which is still one of the most advanced systems in the world. The paper analyzes the principles, advantages and features of human capital management. He pays particular attention to `lifetime 'sourcing and` precedence ~ systems, labor collectives fiduciary relationship to the creation and strengthening of the investment growth of the number, which is targeted for workforce attraction, education and qualification level, health and performance enhancement, m shakta material and moral incentives for.

გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტები

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების არსი, აუცილებლობა და გავრცელებული მეთოდები. გაშუქებულია ამგვარი რეგულირების პროცესში ფინანსურ-ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების უცხოური გამოცდილება. შეფასებულია საქართველოში გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა; მაკროეკონომიკური რეგულირება; ფინანსური ინსტრუმენტები; ეკოლოგიური გადასახადი.

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესების აქტივიზაციის პარალელურად დაჩქარდა მსოფლიო ეკონომიკური განვითარება და მკვეთრად გაიზარდა მომპოვებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის ჯამური პროდუქცია. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემებით, ის ამჟამად მსოფლიო მშპ-ის 18-20%-ს შეადგენს (12). ეს ნათლად ცხადყოფს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბების ზრდას, რისი გამოვლინებაც არის ლოკალური და გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და, ზოგადად, ეკოლოგიური მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება: კლიმატის ცვლილება, სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაოდენობის შემცირება, გარემოს კომპონენტების გაჭუჭყიანება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, გაუდაბნოება და სხვა. სულ უფრო მეტად ირღვევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის ბუნებრივი კავშირები და თითქმის შეუძლებელი ხდება მათ შორის ჰარმონიული თანაარსებობა, მატულობს გარემოს გაჭუჭყიანებით დაავადებულთა და დაღუპულთა რაოდენობა (მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების მონაცემებით, მოსახლეობის ჯანმრთელობა 50-52%-ით დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ უზრუნველყოფასა და ცხოვრების წესზე, ხოლო 18-20%-ით გარემოს მდგომარეობაზე. ამავე ორგანიზაციის უფრო ახალი მონაცემებით, არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობა განაპირობებს მსოფლიოში რეგისტრირებული დაავადებების 25-33 %-ს), ადგილი აქვს სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან მცდელობას ახალი პარადიგმების შესაქმნელად ნედლეულის ბაზარზე დომინირებისათვის, რაც, თავის მხრივ იწვევს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაპირისპირებულობას და კატაკლიზმებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური ვითარების გაუარესებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების არსი და მეთოდები

არათუ გლობალური, არამედ ლოკალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა ავტონომიურად მოქმედ საბაზრო ძალებს არ შეუძლიათ. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, საზოგადოებას უჭირს იმის გააზრება, რომ მისი საქმიანობით გამოწვეული ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების რეციპიენტი ისევ თვითონ არის, დაბალია ეკოლოგიური აღზრდა და განათლება, სუსტია ეკოლოგიური

პასუხისმგებლობა და ა.შ. ამიტომ აუცილებელი ხდება გარემოს დაცვის მაკრო-ეკონომიკური რეგულირება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი რეგულირების ერთიანი, უნივერსალური და სრულყოფილი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს რაციონალურ ბუნებათსარგებლობას და გარემოს დაცვას და ქვეყნის ეკოლოგიური განვითარების მიღწევას, არ არსებობს. ეს გამოწვეულია ქვეყნების ეკონომიკების ეროვნული, სპეციფიკური თავისებურებებით და განვითარების დონით, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მოცულობით, ეკონომიკის სტრუქტურით, ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავეთ და განვითარების ტრაექტორიით.

გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება გულისხმობს სპეციალურ სამართლებრივ და ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტების მეშვეობით და მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე, გარემოს სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე, გარემოს დაცვის სტიმულირებასა და ზოგადად ეკოლოგიურად ორიენტირებულ ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე.

გარემოს დაცვის ეფექტიანი მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური მეთოდების შერჩევას ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

ამჟამად მსოფლიოში ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში 100-მდე განსხვავებული შინაარსის, ფორმის და დანიშნულების რეგულირების ინსტრუმენტი გამოიყენება (6), რომლებიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროცესებს, გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებას, შეზღუდვებს და სტიმულირებას ეკოლოგიის სფეროში, გარემოს სისუფთავის მდგომარეობის მონიტორინგს და კონტროლს და ა.შ.

გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს, თუმცა დიდი განსხვავება მათ შორის არ არის. ერთ-ერთი გავრცელებული კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ მდგენელებს:

- ადმინისტრაციული, რომელშიც შედის: გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, ეკოლოგიური სტანდარტები, ტექნიკური და საექსპლუატაციო ნორმები, შეზღუდვები და ჯარიმები, სამეურნეო საქმიანობის ლიცენზირების სისტემა და ა.შ.

- ფინანსურ-ეკონომიკური. ის თავის მხრივ იყოფა სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო ინსტრუმენტებად. პირველს მიეკუთვნება: ეკოლოგიური გადასახადები და შეღავათები, გადასახადელები გაჭუჭყიანებისთვის, დაჩქარებული ამორტიზაცია, სუბსიდიები, სახელმწიფო პროგრამები, შეღავათიანი დაკრედიტება და სხვა.

- საბაზრო ინსტრუმენტებია: „მწვანე“ ობლიგაციები, ეკოლოგიური დაზღვევა, ეკოლოგიური ფონდები, გაჭუჭყიანების უფლებით ვაჭრობა, ლიცენზიებით ვაჭრობა და ა.შ.

- სოციალურ-ფსიქოლოგიური. ეს არის მორალური სტიმულირების მეთოდი, რომელიც რეალიზდება გარემოს დამცველების წახალისებით ან გარემოს გამაჭუჭყიანებლებზე სანქციების დაწესებით.

- ინფორმაციული მეთოდები, რაც გულისხმობს ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციაზე საზოგადოების ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას (3).

მსოფლიო გამოცდილება და მრავალი თეორიული და ემპირიული კვლევა ადასტურებს, რომ საუკეთესო შედეგი ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში მიიღწევა ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენების პროცესში ოპტიმალური

შეთანაწყობით, თუმცა ფინანსურ-ეკონომიკური ინსტრუმენტებისათვის დომინანტი როლის მინიჭებით.

**გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების
ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების
უცხოური გამოცდილება და საქართველო**

საქართველოში ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროცესში ეფექტიანი მაკროეკონომიკური რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტების ფორმირებისა და პრაქტიკული რეალიზაციის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით აუცილებელია საუკეთესო უცხოური გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა. კერძოდ, ამით უფრო შესაძლებელი გახდება დასაბუთდეს არსებული ფინანსური მექანიზმის ოპტიმალურობა ან მისი გაფართოების მიზანშეწონილობა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, „მწვანე“ ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, და მთლიანობაში, ეკონომიკის ეკოლოგიზაციის თვალსაზრისით.

ბუნებათსარგებლობის სფეროში რეგულირების ფინანსურ-ეკონომიკური მეთოდი წარმოადგენს სპეციალურ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც იძლევა ბუნებრივ - რესურსული პოტენციალის მოხმარების, მათი ფასების, გადასახადებისა და გადასახდელების რეგულირების შესაძლებლობას სახელმწიფოს დეკლარირებული ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნების შესაბამისად.

საზღვარგარეთის ქვეყნებში (აშშ, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები) გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება : გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, ბუნებრივი რესურსების ხარისხის გაუარესების ან მათი არამიზნობრივი გამოყენებისათვის საკომპენსაციო გადასახდელები, გადასახადი გარემოს გაჭუჭყიანების და ნარჩენების განთავსებისათვის, გადასახადი ეკოლოგიურად მავნე პროდუქციის წარმოების და ეკოლოგიურად სახიფათო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, საგადასახადო შეღავათები, მავნე ნივთიერებების გამოშვებაზე კვოტები და სხვა (3).

თანამედროვე პირობებში ყველაზე მეტად გავრცელებული და ქმედითი ფინანსური ინსტრუმენტი არის ეკოლოგიური გადასახადი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრავალი ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ეს გადასახადი შემოღებული იქნა 1972 წელს ევროკავშირის გარემოს დაცვის სფეროში სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, სადაც საფუძველი ჩაეყარა პრინციპს „გამჭუჭყიანებელი იხდის“. მოგვიანებით, 1982 წელს ის გავრცელდა მთელს მსოფლიოში (7). ეკოლოგიური გადასახადი დანიშნულების მიხედვით კომპლექსურია და მისი შემოღება ხელს უწყობს გარემოს დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, ასტიმულირებს რესურსების დაზოგვას და ამალღებს მის რაციონალურად გამოყენებას, ეკონომიკური ტექნოლოგიების დანერგვას, აფერხებს ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის გამოშვებას საწარმოების ტექნოლოგიური სრულყოფით და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკოლოგიური გადასახადების სხვადასხვა სახეები გამოიყენება:

1) გადასახადი გარემოს გაჭუჭყიანებაზე, რაც ფაქტობრივად, „გამჭუჭყიანებელი იხდის“ პრინციპის რეალიზაციას გულისხმობს. ის ერთ-ერთი გავრცელებული გადასახადია მსოფლიო მასშტაბით. მისი გადამხდელია უშუალოდ გარემოს გამაჭუჭყიანებელი და გაიანგარიშება გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების სახეებისა და

გამოშვების მოცულობის მიხედვით (7). პირველად ეს გადასახადი წყლის რესურსებისა და ჰაერის გაჭუჭყიანებისათვის საფრანგეთში იქნა გამოყენებული (4).

2) აქციზური ეკოლოგიური გადასახადი, რომელიც აისახება იმ პროდუქციის ფასში, რომელიც იწვევს გარემოს გაჭუჭყიანებას მისი წარმოებისა და მოხმარების სტადიებზე. მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში ამოიღება გადასახადი საპოხი ზეთიდან, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში - ნავთობპროდუქტების გამოყენებაზე, ნორვეგიაში და შვედეთში - მინერალურ სასუქებსა და პესტიციდებზე (7).

აშშ-ში ძირითადად გამოიყენება ეკოლოგიური გადასახადის სამი სახე: ა) გადასახადები ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე (გარემოსდაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად). ბ) გადასახადები, რომელიც ეკისრება გარემოს გამაჭუჭყიანებელ წყაროებს. მაგალითად, კომპანიებს, რომლებიც მუდმივად აბინძურებენ ჰაერსა და წყალს მავნე ნივთიერებებით. გ) დაზღვევითი ხასიათის გადასახადები (ეკისრება გარემოს გამაჭუჭყიანებელ კომპანიებს ტექნოგენური კატასტროფების შემთხვევაში სარეზერვო ფონდის შესაქმნელად) (7).

ცხადია, საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული გარემოს დაცვის ფინანსური ინსტრუმენტები. ეს განპირობებულია ამ ქვეყნებში ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში მიღწეული წარმატებებით და საქართველოს მიერ დეკლარირებული ევროინტეგრაციის კურსით, ასევე, სხვადასხვა ოფიციალური შეთანხმებებით, რაც ბევრი მიმართულებით, მათ შორის ეკოლოგიურ ასპექტშიც ითვალისწინებს ევროკავშირში ადაპტირებული რეგულირების მოდელთან ეტაპობრივ ჰარმონიზაციას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე პირობებში არ არსებობს საყოველთაოდ გავრცელებული გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ერთიანი მოდელი. ასევე, ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ერთიანი შეთანხმებული პოლიტიკა ეკოლოგიური გადასახადების დანერგვის მიმართულებით, თუმცა ევროკავშირში გარემოსდაცვითი საქმიანობა ხორციელდება დირექტივების ფარგლებში, რომელთა რეალიზაცია ითვალისწინებს გარემოზე ამა თუ იმ სახის ზიანის შემცირებას. მაგალითად, დირექტივა Community framework for the taxation of energy products and electricity, რომლის მიზანია ენერჯის ხარჯვის შემცირება (12). ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებისათვის, ერთიანი დირექტივების გარდა, ნებადართულია ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნებიდან და არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის სიმწვავიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ეკოლოგიური გადასახადის შემოღება. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ევროპის ეკოლოგიური პოლიტიკის ინსტიტუტის ექსპერტების მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, შეუთანხმებლობა და ეკოლოგიური რეგულირების ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება იწვევს გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაბალეფექტიანობას, ხოლო ჰარმონიზაცია კი ხელს უწყობს ეკოლოგიის სფეროში საგადასახადო ინსტრუმენტების გამოყენებისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ეს ექსპერტები მაღალ შეფასებას აძლევენ ეკოლოგიური გადასახადის პოტენციალს, როგორც ახალი ფისკალური პარადიგმის საფუძველს, რომელიც იწვევს საზოგადოების ჰარმონიზებას და ჰუმანიზაციას ფისკალური დატვირთვის ნაწილობრივი გადატანის მეშვეობით საშემოსავლო გადასახადიდან მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადებზე (9).

ბოლო წლების მონაცემებით, თითქმის ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ეკოლოგიური პროცესების რეგულირების მიზნით იყენებს ეკოლოგიურ გადასახადებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ჩეხეთი, დანია, საფრანგეთი, შვედეთი, ფინეთი,

ესტონეთი და სხვა, სადაც ფისკალური ეკოლოგიური გადასახდელებისა და გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში მერყეობს 5-10%-ის ფარგლებში (11). გადასახადი ტრანსპორტზე, სათბობსა და ენერგორესურსებზე არსებობს ევროპის 33 ქვეყანაში, ნახშირბადის გამოშვებაზე - 12 ქვეყანაში, გადასახდელი ნარჩენების განთავსებისა და და გადამუშავებისათვის - 26 ქვეყანაში, მავნე პროდუქტზე გადასახადი-30 ქვეყანაში, წყლის გადასახადი ასევე 30 ქვეყანაში (8). ეკოლოგიური გადასახადების უმრავლესობა ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება ისეთ ეკოლოგიურად მგრძობიარე სფეროებში, როგორიცაა: ტრანსპორტის ინდუსტრია, ენერგეტიკა და მრეწველობა. საკმაოდ გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში გადასახდელი ჰაერის დაბინძურებისათვის. განსაკუთრებით მაღალია ასეთი გადასახდელები შვედეთში, ნორვეგიასა და დანიაში - 1300 და 1600 ევრომდე ჰაერში ერთი ტონა მავნე ნივთიერების გამოშვებისათვის. ყველაზე დაბალი გადასახდელია იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში - 50 ევრო ტონა მავნე ნივთიერების გამოშვებისათვის (9). ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში დაწესებულია გადასახადი რიგი ეკოლოგიურად მავნე მასალების მოპოვებასა და გადამუშავებაზე. ამავე დროს ხდება წახალისება სხვადასხვა რესურსების გადამუშავების (მაგალითად, სამშენებლო მასალების), მათი მოპოვების შემცირებისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით (9).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ეკოლოგიური გადასახადების ფართოდ გავრცელებისა, ქვეყნების მთავრობები მისი დაწესებისას გარკვეულ წინააღმდეგობებს და სირთულეებს აწყდებიან. სახელდობრ, გადასახადები გარემოს გაჭუჭყიანებისათვის იწვევს ბიზნეს - სექტორის, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა, უკმაყოფილებას. ეს განპირობებულია იმით, რომ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ე.წ. „ჭუჭყიანი“ საწარმოების დახურვით ან მათი თანამედროვე ეკოტექნოლოგიური მოდერნიზებით, რაც, თავის მხრივ დიდ დანახარჯებს უკავშირდება. მეწარმეები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკოლოგიური კომპონენტის შესუტებით, რადგან მათი მომავალი უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, დაბანდებებს წარმოებაში და არა ეკოლოგიურ დანახარჯებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესს, სოციალურ და სხვა ტიპის პასუხისმგებლობასთან ერთად, უნდა გააჩნდეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობაც. უფრო მეტი, თანამედროვე მსოფლიოში მასშტაბურად ვრცელდება მეინსტრიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად ეფუძნება ენერგოეფექტიანობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაჩვენებლებს. გარდა ამისა, აღნიშნული გადასახადი იწვევს თვით ორთოდოქსი ეკოლოგების უკმაყოფილებასაც. მათი აზრით, სახელმწიფო ამით ამართლებს გარემოს გაჭუჭყიანებას და ნერგავს პრინციპს „გააჭუჭყიანე და გადაიხადე“.

გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების პროცესი საქართველოში დაიწყო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისიდან, თუმცა საწყის პერიოდში, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების გამო, მას გააჩნდა სტიქიური ხასიათი. უპირატესობა მიენიჭა რეგულირების ადმინისტრაციულ მეთოდს (ნორმები, აკრძალვები, შეზღუდვები). მოგვიანებით საქართველოს ხელისუფლებამ ამ მეთოდთან ერთად გადაწყვიტა ფინანსური ინსტრუმენტების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელის მოძებნას. 1999 წელს შემუშავდა ინსტრუქცია მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამავე წელს შემუშავდა აგრეთვე - ინსტრუქცია - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. 1996-2000 წლებში მაშინდელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში ჩაირიცხა 20,5 მლნ. ლარი, ხოლო მანვე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადებიდან ბიუჯეტში თავმოყრილი თანხების მოცულობამ კი შეადგინა 39,5 მლნ. ლარი. მაშასადამე, ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა პრინციპის „ გამჭუჭყიანებელი იხდის“ დამკვიდრების მცდელობას (2).

2005 წელს გაუქმდა გადასახადი მანვე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების მიზანი იყო ის, რომ ეს გადასახადი არ გამხდარიყო შემზღვეველი ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ გადაწყვეტილებით საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. მაშასადამე, საქართველოში შეიქმნა მდგომარეობა და ის დღესაც გრძელდება, როდესაც გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილ ზარალს ანაზღაურებს არა უშუალოდ დამაბინძურებელი, არამედ საზოგადოება.

ამჟამად საქართველოში გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა შერეული სახისაა და წარმოდგენილია ფინანსურ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული (სამართლებრივი) ინსტრუმენტებით. პრიმატული მდგომარეობა გააჩნია ამ უკანასკნელს, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტები საკმაოდ მწირი და არასრულყოფილია. კერძოდ, გამოიყენება მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“. ამასთან, ამ კანონის მიხედვით, ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე არ არის ვალდებული, გადაიხადოს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, თუ მას არ გააჩნია ლიცენზია ან ნებართვა. საქართველოში არ არსებობს ეკოლოგიური გადასახადი, თუ არ ჩავთვლით მიწის გადასახადს და ნავთობპროდუქტებზე აქციზურ გადასახადს, რომელიც უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაზე. ეკოლოგიურ გადასახადს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა გადასახადს, აქვს მარეგულირებელი, მასტიმულირებელი და ფისკალური ფუნქციები. შესაბამისად, მისი არარსებობით არ ხდება გარემოს დაცვის პროცესების ფინანსური ინსტრუმენტებით რეგულირება და სტიმულირება, რომ არაფერი ვთქვათ ფისკალურ ეფექტზე. თუმცა არც ეს უკანასკნელია უმნიშვნელო, ვინაიდან მწირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში (რასაც ადგილი აქვს საქართველოს სინამდვილეში), ამ გზით აკუმულირებული თანხებით შესაძლებელია დანახარჯების გაზრდა გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზე.

დასკვნა

მსოფლიოში შექმნილი მწვავე ეკოლოგიური სიტუაცია განაპირობებს გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობას. ამ მიზნით წამყვანი ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ყველაზე უკეთესი შედეგი მიიღწევა ადმინისტრაციული და ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების ოპტიმალური სიმბიოზით, სადაც ამ უკანასკნელის როლი უფრო დომინირებადია. საქართველოში გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ამჟამინდელი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ეს პროცესი ხორციელდება შერეული მეთოდით (ადმინისტრაციული და ფინანსურ-ეკონომიკური ინსტრუმენტები). დომინირებადია ადმინისტრაციული ინსტრუმენტები, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტები არასრულყოფილია და ნაკლებად გამოიყენება. ის ნაკლებად შეესაბამება ეკოლოგიურად განვითარებული ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნების)

პრაქტიკას და ვერ ასრულებს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიზაციის ფუნქციას. საქართველოში სრულად არ მოქმედებს „ფასიანი ბუნებათსარგებლობის“ პრინციპი, ვინაიდან ყველა სახის ბუნებრივი რესურსით სარგებლობა არ არის ფასიანი. კერძოდ, არსებული ეკოლოგიური კანონმდებლობით, ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე არ არის ვალდებული, გადაიხადოს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, თუ მას არ გააჩნია ლიცენზია ან ნებართვა. აგრეთვე, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადის გაუქმების გამო გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილ ზარალს ანაზღაურებს არა უშუალოდ დამაბინძურებელი, არამედ საზოგადოება.

რეკომენდაციები:

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გარემოს დაცვის სფეროში მომავალი თანამშრომლობის უზრუნველყოფისა და გაფართოების მიზნით აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში არსებული გარემოს დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტების ეტაპობრივი ჰარმონიზაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აპრობირებულ ინსტრუმენტებთან;

- საქართველოში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოებისათვის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია „ფასიანი ბუნებათ-სარგებლობის“ პრინციპის საყოველთაო დანერგვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია ყველა სახის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა იყოს ფასიანი და დაწესდეს გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის. თუმცა, ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ბუნებრივი რესურსების ადეკვატური ღირებულებითი შეფასება;

- საქართველოში უნდა დაინერგოს პრინციპი „გამაჭუჭყიანებელი იხდის“ და დაწესდეს გადასახადი გარემოს დაბინძურებისათვის, რომელიც ეკოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვის სტიმულირების ერთ-ერთ ეფექტიან ინსტრუმენტად არის აღიარებული. ასეთი გადასახადი უნდა დაწესდეს ჰაერის, წყლის და ნიადაგის გაჭუჭყიანებისათვის;

- საგადასახადო პოლიტიკა ეკოლოგიის სფეროში გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტიმულირების მიზნით უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო შეღავათებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის;

- ფართოდ უნდა დაინერგოს დაჩქარებული ამორტიზაციის პრინციპი, რაც ასტიმულირებს ეკონომიკური ტექნოლოგიების გამოყენებას;

- უნდა ამოქმედდეს შეღავათიანი დაკრედიტების მექანიზმი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში. „მეცნიერება“, თბ., 2004.

2. ხუსკივაძე მ. ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის პრობლემები და მათი დაძლევის ძირითადი გზები საქართველოში. თბ., 2017.

3. Баширова А.А. Особенности финансового механизма регулирования отношений природопользования в России. 2017.

4. Бурматова О. П., Сумская Т. В. Финансовые аспекты обеспечения эколого-ориентированного развития, 2017.

5. Зарипов В. М. Кризис правового регулирования экологических платежей. Экономика. Налоги. Право. 2014.
6. Заболотнев Н. Н. Государственное регулирование охраны окружающей среды. 2018.
7. Седаш Т. Н. Экономические инструменты стимулирование природоохранной деятельности: анализ зарубежного опыта. 2018.
8. Смирнов Д. А., Заворыкин А. А. Фискальные инструменты в сфере регулирования природоохранной и экологической деятельности: зарубежный опыт. 2017.
9. Environmental tax reform in Europe: opportunities for the future. A report by the institute for European Environmental policy for the Netherlands ministry of infrastructure and the environment, Brussels, 2014.
10. OECD. Taxation, innovation and the environment. OECD publishing, 2016.
11. Evaluation of environmental tax reforms: international experiences. A report by IEEP for the state secretariat for Economic Affairs (SECO) and federal finance administration of Switzerland. Brussels, 2013.
12. Eurostat. Environmental tax statistics.
13. EUR-Lex. Laws Database.
14. Geostat.ge
15. <https://mepa.gov.ge>

Mamuka Khuskivadze

FINANCIAL INSTRUMENTS FOR MACROECONOMIC ENVIRONMENTAL REGULATION Summary

The article is analyzed the essence of macroeconomic regulation of the environment protection, necessity and common methods. In the process of such regulation is discussed the foreign experience to using the financial and economic instruments. In Georgia is evaluated the modern state of macroeconomic regulation of environment protection and suggested the recommendations on the feasibility of using financial instruments.

თეა ლაზარაშვილი

ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ინსტიტუციური საფუძვლები და მისი გაზომვის მეთოდები

ანოტაცია. ცოდნის ეკონომიკაში სუბიექტებს შორის ურთიერთქმედებაში ინსტიტუტები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემებში. ისინი ხელს უწყობენ ურთიერთქმედების მდგრადი სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ზემოქმედებენ ეკონომიკურ პროცესზე გაცვლისა და წარმოების დანახარჯების გზით.

ცოდნის ეკონომიკის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია ისეთი სტიმულების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციას, ინოვაციური პროექტების კომერციული მიმზიდველობის გაზრდას და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდოლოგიები არსებობს, ცოდნის ეკონომიკის მნიშვნელოვან საკითხად მისი გაზომვის პრობლემა გამოდის.

საკვანძო სიტყვები: ცოდნის ეკონომიკა, ინსტიტუციური გარემო, ინსტიტუტები, ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციის გლობალური ინდექსი.

შესავალი

როგორც ცნობილია, ინსტიტუტი ფორმალური ნორმების მდგრადი სისტემაა, რომელიც განაპირობებს ორ ან მეტ აგენტს შორის ურთიერთქმედებას, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი მექანიზმებით.

ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუციური გარემოს ქვეშ მოიაზრება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და იურიდიული სტრუქტურები, ურთიერთობებისა და წესების კომპლექსი, რომლებიც წარმოადგენს ცოდნის ეკონომიკის გენერაციის, დაცვისა და გამოყენების საფუძველს.

ინსტიტუციური გარემო ინოვაციურ სფეროში მოიცავს სამეურნეო სუბიექტების სამეცნიერო-კვლევით სფეროს, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და მეცნიერებატევადი დარგების საწარმოო სექტორის, საგანმანათლებლო კომპლექსის, წარმოებისა და მომსახურების სფეროს გაერთიანებას.

ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუციურ გარემოში შემავალი ინსტიტუტებია: განვითარების, ცოდნის ათვისების, ცოდნის მწარმოებელი, ცოდნის გამავრცელებელი, სამართლებრივი და საფინანსო.

ცოდნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის დროს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს:

- ინვესტიციის წახალისება, რომელიც მოიცავს კეთილსასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში;

- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკურ ზრდას;

- თითოეული ეკონომიკური აგენტისათვის კონკურენტული პირობების შექმნა და მხარდაჭერა ინოვაციის წახალისებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის მიზნით;

- ისეთი შრომითი რესურსების ფორმირება, რომლებსაც აქვთ ადაპტირების უნარი სწრაფადცვალებადი პირობებისადმი;

- მოქნილი ინსტიტუციური გარემოს სტიმულირება, განსაკუთრებით სახელმწიფო მართვის სფეროში.

ცოდნის ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და რისკებიდან გამომდინარე, მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომებს, მისი განვითარების უზრუნველსაყოფად მიმართული ხერხების შემუშავებასა და რეალიზაციაში. მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი სტიმულების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციას, ინოვაციური პროექტების კომერციული მიმზიდველობის გაზრდას და სხვ. ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სხვადასხვა მეთოდებისა და ინსტრუმენტების ამოქმედებას.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ყველა სახელმწიფო მეთოდი ძირითადად დაყოფილია ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ მეთოდებად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში იგულისხმება ინოვაციური პროექტებისა და სამეცნიერო ღონისძიებების საბიუჯეტო (მ.შ. ვენჩურული) დაფინანსება, საკრედიტო საგადასახადო, კვლავწარმოებითი პროცესების, სადაზღვევო და საბაჟო სტიმულირება.

რაც შეეხება ორგანიზაციულ-სამართლებრივ მეთოდებს, აქ შედის: ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა (მ.შ. რეგისტრაციის გაადვილებული პროცედურა); ინოვაციურ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთების ფორმირება და განთავსება; ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა; ორგანიზაციაში ინოვაციური მიმართულების სამეცნიერო

დონისძიებების თანადახმარება; ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში ჩართული კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლებაში თანადახმარება; ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა.

აღსანიშნავია ეფექტიანი სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების მსოფლიო გამოცდილების შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- მიწოდებაზე ორიენტირებული ტრადიციული წრფივი მოდელიდან („სამეცნიერო კვლევა და ცოდნისა და ტექნოლოგიის ტრანსფერი მეწარმეთათვის და ინოვაცია“) მოთხოვნაზე ორიენტირებულ არაწრფივ მოდელზე გადასვლა, რომელშიც მოიაზრება აღნიშნული ელემენტების რთული სისტემური ურთიერთდამოკიდებულება;

- ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული განვითარება (ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით), რომელიც ახდენს ისეთი ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებას, რომლის სტრუქტურა მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის ახალი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური ინოვაციები ეკონომიკის მიერ საწყის ეტაპზე არ აღიქმება და მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას ქმნის მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. პერიოდები, როდესაც ეკონომიკა მგრძობიარეა ინოვაციების მიმართ, განისაზღვრება ე.წ. ეკონომიკური კონიუნქტურის გრძელი ციკლებით.

როდესაც საუბარია ცოდნის ეკონომიკაზე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მისი გაზომვის პრობლემა გამოდის.

მსოფლიო პრაქტიკაში ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდოლოგიები არსებობს, თუმცა ყველაზე უფრო სრულყოფილად ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკური განვითარების დონეს ინოვაციის გლობალური ინდექსი ასახავს.

ინოვაციის გლობალური ინდექსი მოიცავს გლობალურ კვლევას და მსოფლიო ქვეყნების რეიტინგს ინოვაციის განვითარების დონის მიხედვით. ეს გათვლები კეთდება საერთაშორისო ბიზნესსკოლის INSEAD (საფრანგეთი) მეთოდის მიხედვით 2007 წლიდან და დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინოვაციური განვითარების მაჩვენებლების სრულ კომპლექსს.

ინოვაციის გლობალურ ინდექსში შედის 80 სხვადასხვა ცვლადი, რომლებიც დეტალურად აღწერს ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას.

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის წარმატებულობა დაკავშირებულია არა მარტო ინოვაციური პოტენციალის არსებობაზე, არამედ მისი განხორციელების პირობებზეც. აქედან გამომდინარე, ინდექსის გამოთვლა ხდება 2 ჯგუფის მაჩვენებლების შეწონილი ჯამის მიხედვით.

პირველ ჯგუფში შედის ინოვაციის გასატარებლად არსებული რესურსები და პირობები: ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, შიდა ბაზრისა და ბიზნესის განვითარების დონე.

მეორე ჯგუფი მოიცავს ინოვაციის განხორციელებაში მიღწეულ პრაქტიკულ შედეგებს: ტექნოლოგიებისა და ცოდნის ეკონომიკის განვითარება, კრეატიული საქმიანობის შედეგები.


ინდექსის საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს დანახარჯებისა და ეფექტიანობის თანაფარდობას, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს ინოვაციის განვითარებაზე გაწეული ძალისხმევის ეფექტიანობა ამა თუ იმ ქვეყანაში.

ბოლო 3 წლის მონაცემებით ამ ინდექსის მაჩვენებლით პირველი ათეული თითქმის ერთი და იმავე ქვეყნებს უკავია, სადაც შვეიცარია უპირობო ლიდერს წარმოადგენს. 2018 წლის მონაცემებით ეს ათეული შემდეგნაირად გამოიყურება.

ქვეყანა	ადგილი	ქულა (100-დან)
შვეიცარია	1	68,4
ნიდერლანდების სამეფო	2	63,32
შვედეთი	3	63,08
დიდი ბრიტანეთი	4	60,13
სინგაპური	5	59,83
აშშ	6	59,81
ფინეთი	7	59,63
დანია	8	58,39
გერმანია	9	58,03
ირლანდია	10	57,19

წყარო: https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia

ამავე მონაცემებით საქართველო 59-ე ადგილზეა. რაც განპირობებული იყო შემდეგ კომპონენტებში ქულების შეფასებით.



წყარო: https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia

ინოვაციის გლობალური ინდექსის კვლევაში ხდება აგრეთვე ქვეინდექსების დადგენა ინოვაციის დანახარჯებისა და ინოვაციური პროდუქტისათვის. ამ ქვეინდექსების მიხედვით საქართველო დანახარჯების კუთხით 62-ე ადგილზეა, ხოლო პროდუქტის მხრივ – 53-ე ადგილზე.

დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ჯგუფში ინოვაციის გლობალური ინდექსით საქართველო 30 ქვეყნიდან მე-6 ადგილზეა უკრაინის, ვიეტნამის, მოლდოვას, მონღოლეთისა და ინდოეთის შემდეგ.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ ცოდნის ეკონომიკის განვითარებულობის მახასიათებლის კიდევ ერთ მაჩვენებელზე - საკუთრების უფლების დაცვის საერთაშორისო ინდექსზე.

საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი არის კომბინირებული მაჩვენებელი, რომელიც ზომავს ქვეყნების მიღწევას საკუთრების უფლების დაცვის კუთხით. ეს ინდექსი შემოღებულია საკუთრების დაცვის საერთაშორისო ალიანსის მიერ. კვლევის მიზანს წარმოადგენს გლობალური მასშტაბით კერძო საკუთრების უფლების დაცვის მდგომარეობისა და ეფექტიანობის (როგორც ფიზიკურის, ისე ინტელექტუალურის) დადგენა.

საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი გამოხატავს ქვეყნის მიღწევას კერძო საკუთრების უფლების დაცვის მდგომარეობასა და ეფექტიანობაში, რაც 3 ძირითად კატეგორიაში გამოიხატება:

- სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო: სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, კანონის უზენაესობა, პოლიტიკური სტაბილურობა, კორუფციის დონე;

- ფიზიკურ საკუთრებაზე უფლება: ფიზიკური საკუთრების უფლების დაცვა, საკუთრების რეგისტრაცია, სესხების ხელმისაწვდომობა;

- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლება: ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, საპატენტო უფლების დაცვა.

მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ამ ინდექსისათვის ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთაშორისო და ეროვნული კვლევითი ცენტრების მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს. ამ მონაცემებით ლიდერი პოზიციები უჭირავს ფინეთს, ნორვეგიას და ახალ ზელანდიას.

მსოფლიო პრაქტიკაში აგრეთვე ხდება ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუციური უზრუნველყოფის ხარისხის გაზომვა, რომლისთვის გამოიყენება ცოდნის ინდექსი და ცოდნის ეკონომიკის ინდექსი.

ცოდნის ეკონომიკის ინდიკატორების შემუშავებას ახორციელებს 2 საერთაშორისო ორგანიზაცია: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი. თითოეულ ორგანიზაციას ცოდნის შეფასების თავისებური მიდგომა გააჩნია სახელმწიფოებისა და რეგიონების დონეზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შემოგვთავაზა ისეთი ინდიკატორების სისტემა, რომელთა შემადგენლობაში შედის ის მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ცოდნის გასაზომად და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებს შორის მათი შედარებისათვის. სისტემა მოიცავს 200-ზე მეტ ინდიკატორს, რომლებიც 4 ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი: ინფორმაციული საზოგადოება, ეკონომიკის გლობალიზაცია, მწარმოებლურობა და საფინანსო სტრუქტურა. მნიშვნელოვანია, ცოდნის გასაზომად გამოყენებულ იქნეს ისეთი ინდიკატორები, როგორცაა: მეცნიერებისა და მკვლევარების საერთაშორისო მობილობის დონე; დაპატენტებული ინოვაციების რაოდენობა; ახალ ტექნოლოგიებზე დანახარჯებში, იმ ქვეყნების წვლილი, რომლებიც არ შედიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში, მსოფლიო მეცნიერებისა და ინოვაციის განვითარებაში; ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების ხარისხი; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოწინავე ქვეყნებში მწარმოებლურობის ზრდა; ფირმების წლიური ბრუნვა.

მსოფლიო ბანკმა აგრეთვე შეიმუშავა ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს 81 მაჩვენებელს 132 ქვეყნისათვის. მაჩვენებლები დაყოფილია შემდეგი მიმართულებებით: ეკონომიკური მაჩვენებლები, ინსტიტუციური რეჟიმი, ხელისფუფლება, ინოვაციური სისტემა, განათლება, გენდერული მაჩვენებლები და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები. ყველა მაჩვენებელი ნორმირებულია 0-დან 10-მდე სკალით.

ამ მაჩვენებლების საფუძველზე შემუშავდა 2 შეჯამებული ინდექსი – ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და ცოდნის ინდექსი.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი გვიჩვენებს, რამდენად კეთილსასურველი გარემოა ცოდნის ეფექტიანად გამოყენებისათვის კონკრეტულ ქვეყანაში. ეს რთული ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს ქვეყნის განვითარების საერთო დონეს ეკონომიკის მიმართულებით, დაფუძნებულია ცოდნაზე. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი ინდიკატორების 4 ჯგუფისაგან შედგება: ინსტიტუციური რეჟიმი, განათლება და ადამიანური რესურსი, ინოვაციები და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები.

ცოდნის ინდექსი გვიჩვენებს ქვეყნის შესაძლებლობას, შექმნას, გაითავისოს და გაავრცელოს ცოდნა. ეს არის კონკრეტულ ქვეყანაში ცოდნის საერთო პოტენციალის განვითარების მაჩვენებელი. ცოდნის ინდექსში შედის მაჩვენებლები, რომლებიც ინდიკატორების 3 ჯგუფს მოიცავს: განათლება და ადამიანური რესურსი, ინოვაციური სისტემა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები.

დასკვნა

უდავოა, რომ ცოდნის ეკონომიკის პირობებში მსოფლიო ბაზარზე უპირატესობას მოიპოვებენ ის ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ პერსპექტიული სამეცნიერო ფონდი და რომლებმაც მოახერხეს შედარებით ეფექტიანი ინსტიტუციური პირობების შექმნა ინოვაციური საქმიანობისათვის. ინოვაციური განვითარების ინსტიტუტები წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც სტიმულირებენ ინოვაციურ პროცესებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველო აღიქმება, როგორც დაბალი ინოვაციური კულტურის მქონე ქვეყანა. ეს ძირითადად აიხსნება იმით, რომ საქართველოში ძალიან მცირე ფინანსები იდება კვლევებსა და განვითარებაში, რაც ინოვაციების შექმნას უშლის ხელს. იმისათვის, რომ ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკა განვითარდეს, პირველ რიგში, საჭიროა ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში კეთილსასურველ გარემოსა და პირობებს შექმნის ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის. ამისათვის კი, აუცილებელია, პრიორიტეტი სამეცნიერო-კვლევითი სფეროს განვითარებას მიენიჭოს, უნდა მოხდეს მეცნიერებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობა საწარმოო სექტორის მეცნიერებატევად დარგებთან, წარმოებისა და მომსახურების სფეროსა და საგანმანათლებლო კომპლექსთან. სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური პოტენციალის შექმნა და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2018. https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia
2. Организация экономического сотрудничества и развития. <http://www.oecd.org>

3. Ю.И.Смагин. Экономика знаний и реальность. Метеор-Сити наука развития, №4,2016.
4. Паникарова С.В. Стратегии и политика экономики знаний. Екатеринбург: изд-во Урал. ун-та, 2016.
5. И. Н. Тюкавкин. Экономика знаний. Вестник СамГУ. 2014. №6 (117).

Tea Lazarashvili

INSTITUTIONAL FOUNDATIONS OF KNOWLEDGE ECONOMY FORMATION AND ITS MEASUREMENT METHODS

Summary

Institutions play an important role in the interplay of subjects in the knowledge economy, as in any other economic system. They help to build a sustainable structure of interaction and impact the economic process through the exchange and production costs.

For the development of the knowledge economy, it is important to create incentives that encourage the activation of innovation activities, increase the commercial attractiveness of innovative projects and more. Although there are various methodologies for determining the level of innovation development of a country in world practice, the problem of measuring it is an important issue in the knowledge economy.

Undoubtedly, in a knowledge-based economy, countries that have a promising scientific background and have managed to create relatively effective institutional conditions for innovative activities will gain advantage on the world market. Innovative development institutions are state policy instruments that stimulate innovation processes.

The European Bank for Reconstruction and Development views Georgia as a country with a low innovation culture. This is mainly explained by the fact that very little funding is invested in research and development in Georgia, which impedes innovation. In order to develop an innovative economy, first of all, it is necessary to develop a state policy that will create a favorable environment and conditions for the development of an innovative economy. To this end, priority must be given to the development of the scientific and research field, and close collaboration between science and research institutes and the scientific sector of manufacturing, production and services and the educational complex should be pursued. Otherwise it would be impossible to create and develop the country's innovative potential.

ლინა დათუნაშვილი

**აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის თანამედროვე
მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი**

ანოტაცია. სტატიაში შესწავლილია ბოლო 15 წლის მანძილზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკაში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ის გარკვეული წარმატებები, რასაც ქვეყანამ ამ წლებში მიაღწია. განხილულია ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის დიდი ყურადღება აგრარული სექტორის მიმართ და ის ამოცანები (თანამედროვე აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება, სადაც გამოყენებული იქნება ახალი ტექნოლოგიები გადიდებული საექსპორტო შესაძლებლობებით, დარგის ინტენსიური განვითარების უზრუნველყოფა, რაიონების მიხედვით სპეციალიზაცია, სადაზღვევო ფონდის, აგროპარკებისა და მსხვილი ფერმერული მეურნეობების შექმნა და სხვა), რომელთა ნაწილი განხორციელებულია და ნაწილის პრაქტიკაში რეალიზაცია კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დარგის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, „ზუსტი“ მიწათმოქმედება, აგრო-დაზღვევა, ინვესტიციები, რეფორმები.

შესავალი

როგორც ყველა ქვეყნისათვის, ისე აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის სასურსათო უსაფრთხოება ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ცნობილია, რომ სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის კვების პროდუქტებზე მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფა. ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარების დონეზე. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი სექტორია და წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ძირითად სფეროს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგრარულ რეფორმებს და ამ ფონზე დარგის განვითარებას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა - დედაქალაქი ბაქო; მთლიანი ფართობი: 86,6 ათასი კმ². ტერიტორიული ადმინისტრაციული მმართველობა: 66 რაიონი, რესპუბლიკის დაქვემდებარებაში 11 ქალაქი და ერთი ავტონომიური რესპუბლიკა შედის. აზერბაიჯანის მოსახლეობა 2017 წელს შეადგენდა 9 810 000. ქვეყნის აქტიური სამუშაო ძალის 36% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირის დაშლა და არსებული ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა, სამხედრო (ყარაბაღის) კონფლიქტი, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი და მასთან დაკავშირებული პროცესები ნეგატიურად აისახა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკაზე, რამაც ქვეყნის ეკონომიკის დონის ვარდნა გამოიწვია. აღნიშნული ვითარება რამდენიმე წელს გაგრძელდა. 1995 წელს, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის ძალისხმევით, აზერბაიჯანში დაიწყო რეფორმების გატარება ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში.

ბოლო წლებში აზერბაიჯანის ეკონომიკის დინამიურ განვითარებას ხელი შეუწყო აგრარულმა რეფორმებმა და ფინანსური საშუალებების ფართო გამოყენებამ, რითაც ახალი შესაძლებლობები დაისახა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაც. გატარებული ღონისძიებების შედეგად სოფლისმეურნეობრივი პროდუქცია ბოლო 15 წლის მანძილზე 1,7-ჯერ, ხოლო 2018 წლის 8 თვეში 4,3%-ით გაიზარდა. 2019 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშში აზერბაიჯანი შევიდა რეფორმატორი ქვეყნების ათეულში და გამოცხადდა მნიშვნელოვანი რაოდენობის რეფორმის გამტარებელ ქვეყნად. ამ ანგარიშით აზერბაიჯანი დაწინაურდა 32 საფეხურით, დაიკავა 190 ქვეყანას შორის 25-ე ადგილი და გახდა ლიდერი დსთ-ს ქვეყნებს შორის.

აზერბაიჯანში გატარებული აგრარული პოლიტიკა ვითარდება საბაზრო ეკონომიკასთან კავშირში, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის კომერციული ბანკების აქტიური მხარდაჭერა დარგის შეღავათიანი დაკრედიტებით. ახლო მომავალში ტურიზმის განვითარებასთან ერთად 40%-ით გაიზრდება აგრარული სექტორის დაკრედიტება, ხოლო წარმოებისა და ვაჭრობის - 20%-ით.

2003-2017 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალურმა ზრდამ შეადგინა 166,4%, მათ შორის მემცენარეობაში - 156,7%, მეცხოველეობაში - 177,8%.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა მაღალი იყო მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელზე და, შესაბამისად რეგიონის ქვეყნების მაჩვენებელზე.

დარგის დინამიური განვითარება გაგრძელდა 2018 წელსაც. 9 თვის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 4,3%-ით. მათ შორის, მემცენარეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 5,8%-ით, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის ზრდამ შეადგინა 2,7%.

აგრარული პროდუქციის ექსპორტი 6,3-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ხილის და ბოსტნეულის - 10,4-ჯერ, ხოლო ბამბის ნედლეულის - 2,2-ჯერ.

ქვეყნის პრეზიდენტი ილხამ ალიევი დიდ ყურადღებას აქცევს და ახალ ამოცანებს უსახავს აგრარულ სექტორს, რაც ითვალისწინებს თანამედროვე აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებას, სადაც გამოყენებული იქნება ახალი ტექნოლოგიები გადიდებული საექსპორტო შესაძლებლობებით, ინტენსიური განვითარების უზრუნველყოფა, რაიონების მიხედვით სპეციალიზაცია და სხვა. გათვალისწინებულია, რომ წლის ბოლოს ქვეყანაში უნდა შეიქმნას 13 აგროპარკი, 6 აგროპარკი უკვე ფუნქციონირებს, ქვეყნის 30 რაიონში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები აგროპარკებისა და მსხვილი ფერმერული მეურნეობების შესაქმნელად.

მაღალი შედეგები და წარმატებები, რაც მიღწეულია ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფეროში, მათ შორის აგრარულ სექტორში, არის აზერბაიჯანის დინამიური განვითარების მაჩვენებელი, ესაა კეთილდღეობა და მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია.

დღეისათვის აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობის დარგი არა ნავთობის სექტორის ერთ-ერთ სტრატეგიულ სფეროს წარმოადგენს, ამიტომ მის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში. აგრარულ რეფორმებს ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება. აი რამდენიმე მონაცემი: ქვეყნის მოსახლეობის აქტიური სამუშაო ძალის 36% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. ამ დარგის წილად მოდის დაახლოებით მშპ-ის 6%, ხოლო აგრარულ გადამამუშავებელი მრეწველობის ჩათვლით 10%.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში ჩაიდო მსხვილი ინვესტიციები. პრეზიდენტმა ალიევმა აღნიშნა, რომ „მე რამდენადმე გაკვირვებული ვარ, რომ წარსულ წლებში ინვესტიციების ასეთი მოცულობით დაბანდების, სუბსიდიების გამოყოფის, შეღავათიანი კრედიტის და სხვა დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის ზრდამ შეადგინა მხოლოდ 2-3%. ამჟამადაც ამ დარგისათვის ისევ გათვალისწინებულია სერიოზული დახმარება. ბოლო 9 თვის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქცია 7%-ზე მეტად გაიზარდა“.

აზერბაიჯანში ყველა პირობა არსებობს დარგის წარმატებული განვითარებისთვის. ნაყოფიერი ნიადაგი, რბილი კლიმატი, საგარეო ბაზართან სიახლოვე და სხვა. და, რაც მთავარია, - შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებსაც უბრალოდ უნდა შეუქმნა პირობები ნაყოფიერი შრომისათვის. აზერბაიჯანული სოფლის მეურნეობის პროდუქცია საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ამ ქვეყნის ხილს და ბოსტნეულს გააჩნია განსაკუთრებული გემო, რომელიც გამოარჩევს სხვა ქვეყნის ანალოგისაგან. ასეთია ბაქოს პომიდორი, ბუზინის ვაშლი და ზაქათალის კაკალი. როგორც საგარეო, ისე საშინაო ბაზარზე აღნიშნული პროდუქცია დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა ახალი ტექნოლოგიები და დარგის მოდერნიზაცია, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მნიშვნელოვან მატერიალურ და ფულად რესურსებს.

სოფლის მეურნეობის სფეროს დაკრედიტების შეფასების ახალი ინოვაციური ინსტრუმენტი შესთავაზა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა.

ეს ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს აზერბაიჯანის ბანკებს, უფრო ეფექტურად განახორციელონ დარგის დაკრედიტება.

მოცემული შეფასების სისტემა შემუშავდა EBPP-ის და ფინანსებისა და მართვის ფრანკფურტის სკოლის მიერ ევროსაბჭოს მხარდაჭერით. სისტემამ მოიცვა ყველა კომერციული სიცოცხლისუნარიანი სოფლის მეურნეობის კულტურა და მეცხოველეობის პროდუქცია და ეხმარება კრედიტორებს, უფრო ეფექტურად შეაფასონ რისკები, უფრო სწრაფად დაამუშაონ კრედიტზე განაცხადები და გააუმჯობესონ წვრილი მეურნეობების დაფინანსება. სისტემა გახდება რეფორმების შემავსებელი ღონისძიება, რომელიც უკვე განხორციელდა აზერბაიჯანში და შესაძლებლობას მისცემს შესაბამის ორგანოებს, მოახდინონ სიტუაციის კორექტირება.

2018 წელს აზერბაიჯანში დაიგეგმა აგროსადაზღვევო ფონდის შექმნა. ასეთი გადაწყვეტილება გათვალისწინებულია სოფლისმეურნეობრივი პროდუქციისა და გადამამუშავებელ წარმოებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ დოკუმენტში „სტრატეგიული საგზაო რუკა“.

დოკუმენტი იტყობინება, რომ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით შეისწავლის ასეთი სადაზღვევო ფონდის შექმნის შესაძლებლობას აგროსადაზღვევის გაფართოების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხედველობაში მიიღებს ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას, მოამზადებს ანგარიშს, სადაც იქნება ფონდის შექმნის პოტენციური გავლენის ანალიზი მწარმოებლების დაზღვევაზე და დარგის შემდგომ განვითარებაზე. ამასთან ერთად, იგეგმება საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელიც მოიცავს კლიმატზე მონაცემებს, ბუნებრივ კატაკლიზმებზე ინფორმაციას, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებს, აგრეთვე მონაცემებს მოსავლიანობის შესახებ.

სიახლე იგეგმება სოფლის მეურნეობის სფეროს დაზღვევის მიმართულებით. შესაბამისი მექანიზმის რეალიზაცია განხორციელდება მომავალი წლის ბოლოს, სადაც გათვალისწინებული იქნება სადაზღვევო შენატანის სუბსიდირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ღირებულების ნაწილს გადაიხდის ფერმერი, ხოლო მეორე ნაწილს – სახელმწიფო. ასევე იგულისხმება ხელახალი დაზღვევის გარანტია. ამგვარად, ფერმერების რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფის პრობლემა გადაიჭრება და დაცული იქნება სოფლისმეურნეობრივი წარმოების მდგრადობა.

2020 წლის 1 იანვრიდან დაიწყება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების სუფსიდირება ახალი ზომით, რაც დამტკიცებული იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული საბჭოს მიერ.

გადაწყვეტილების თანახმად, სუბსიდიების საბაზისო ზომა იქნება თითოეული 3 ანათესი ფართობისათვის 200 მანათი. ამასთან, ცალკეული სახის ს/მეურნეობის პროდუქციაზე შერჩეული და გამოყენებული იქნება განსხვავებული კოეფიციენტი, რის შემდეგ ჩამოყალიბდება სუბსიდიის საბოლოო რაოდენობა. მხედველობაში იქნება მიღებული მრავალწლიანი ნარგავების მსხმოიარე პერიოდი, ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა, მაგ.: ჩაის პლანტაციებზე მაღალი იქნება სუბსიდიების რაოდენობა, სუბსიდიები გაიცემა მხოლოდ ოთხ რაიონზე, რომლებსაც ყველაზე კარგი პირობები აქვს ამ კულტურის განვითარებისათვის.

აგრარული დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანმა სახელმწიფო პროგრამამ. პროგრამა დამთავრდა 2018 წელს და მისი შედეგებით აღინიშნა მნიშვნელოვანი წარმატებები, მათ შორის ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენისა და აღორძინების მიმართულებით, ისეთების, როგორც არის მეაბრე-

შუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოეობა, თხილის წარმოება. ეს ის დარგებია, რომლებსაც შეუძლია არა მხოლოდ დაფაროს სუბსიდიები, არამედ ქვეყანას მოუტანოს მეტი მყარი ვალუტა.

პროგნოზის მიხედვით, 2025 წლისათვის აზერბაიჯანი შემლეს აწარმოოს 6 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი და გადალახოს ამ დარგის პროდუქციის წარმოების საბჭოთა პერიოდის რეკორდი.

თხილის წარმოება დღეისათვის ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია არა ნავთობის სექტორიდან, რომელსაც მოაქვს ქვეყნისთვის მყარი ვალუტა. დარგში გატარებული რეფორმების წყალობით, ქვეყანა მყარად დგას კარგ პოზიციაზე ამ დარგის როგორც წარმოების, ისე ექსპორტის მიმართულებით. ამ სეგმენტში ქვეყანას უკავია მესამე ადგილი თურქეთისა და იტალიის შემდეგ. 2018 წელს აზერბაიჯანმა თხილის ექსპორტისაგან მიიღო 40,5 მლნ დოლარი შემოსავალი.

აზერბაიჯანის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია მებამბეობა. 2017 წელს პრეზიდენტის ინიციატივით მიღებული იქნა სახელმწიფო პროგრამა მებამბეობის განვითარების მიმართულებით 2017-2022 წლებში. 2018 წელს ქვეყანაში აღებული იქნა 230 ათასი ტ ბამბა, რაც 6,5-ჯერ მეტია 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. აღნიშნული შედეგები შთამბეჭდავია. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა ასეთია:

მემცენარეობა

აზერბაიჯანში მემცენარეობის შემდეგი დარგები და კულტურებია განვითარებული:

1. მებამბეობა - არის ქვეყნის სოფლის მეურნეობის უძველესი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც გაადგილებულია: განჯაში, გეჩკაეში, საატლიში, საბირაბადში, სალიანში და სხვა.

2. მეთამბაქოეობა - მებამბეობის შემდეგ მეორე ტექნიკური კულტურაა. იგი მოჰყავთ ზაქათალაში, ბელაქანში, ოგუზში, მასალში, მთიან ყარაბაღში და ნახჩივანში.

3. მეჩაიეობა. სოციალიზმის პერიოდში აზერბაიჯანს საქართველოს შემდეგ მეორე ადგილი ეკავა კავკასიაში ჩაის მოყვანის თვალსაზრისით. დარგი განვითარებულია ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში: ლენქორანში, ასტარაში და ნაწილობრივ ზაქათალაში.

4. მებაღეობა და მებოსტნეობა განვითარებულია თითქმის ყველა რეგიონში.

5. მეკარტოფილეობა განვითარებულია ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში: ტოვუზოში, შამკირში, ნაწილობრივ დაშკესანში და გუსარში.

6. მევენახეობა ყველაზე განვითარებული და შემოსავლიანი დარგია. იგი გაადგილებულია განჯა-გაზახის, კურა-არაკსინის, შემახინის და ნახჩივანის ზონაში. რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გავრცელებულია 70 ჯიშზე მეტი საუკეთესო ჯიშის ვენახი საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ირანიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, უზბეკეთიდან და სხვა.

7. მებაღეობა განვითარებულია თითქმის ყველა რეგიონში. ვაშლი - გუბა-ხაჩმაზის ზონაში, კაკალი, წაბლი - შეკი-ზაქათალას ზონაში, ციტრუსები (ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ფეიხოა) - ლენქორან-ასტარაში.

8. მებრეშუმეობა განვითარებულია არანის ზონაში, ბალაკანის, ზაქათალისა და გახის რაიონებში.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა წარმოადგენს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას ხორცსა და რძის პროდუქტებზე. მეცხოველეობა უფრო განვითარებულია ქვეყნის მთიან რაიონებში, განსაკუთრებით შირვანისა და კალბაჯარ-ლაჩინის ზონაში.

1) მესაქონლეობა განვითარებულია ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. ძირითადი ადგილი უკავია ადგილობრივ მსხვილფეხა რქოსან საქონელს. არანისა და შეკი-ზაქათალის რაიონებში აშენებენ კამეჩს. მსხვილფეხა რქოსან მესაქონლეობაში 70%-ს შეადგენს ძროხები და კამეჩები.

2) მეცხვარეობისთვის ქვეყანაში საკმარისი ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებია. ცხვრის ტყავი და მატყლი წარმოადგენს ნედლეულს მსუბუქი მრეწველობისთვის.

3) მეფრინველეობა - ძირითადად განვითარებულია ბაქოს რაიონის განჯისა და ნახჩივანის კერძო მეურნეობებში. დარგი აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას ქათმის ხორცსა და კვერცხზე. საკვები ბაზის უკმარისობა ხელს უშლის მეფრინველეობის შემდგომ განვითარებას.

კასპიის ზღვაში გავრცელებულია მრავალი სახის მაღალი ხარისხის სარეწაო თევზი. ინტელექტუალური სისტემის შექმნა და მისი დანერგვა სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ბოლო წლების აზერბაიჯანის ეკონომიკისათვის. ამ სისტემის პარამეტრი განიხილებოდა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის XIII საერთაშორისო გამოფენაზე Caspian Agro, რომელიც გაიხსნა ბაქოში 2019 წლის 16 მაისს.

ციფრულ მიწათმოქმედებას ხშირად უწოდებენ ზუსტს, რადგან იგი იოლად სამართავია. ეს სრულფორმატიანი კონსტრუქცია მოგვაგონებს მობილური დანართით ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც კოორდინაციას უწევს მსხვილ მონაცემთა ბაზას. იგი ითვალისწინებს რიგ ღონისძიებებს:

შეიქმნება აგრობიზნესის სუბიექტებისათვის ხელმისაწვდომი ნიადაგის ქიმიური აღწერილობითი ბაზა, მისი წყლის და მარილიანობის დახასიათებით, ნაკვეთის ღირებულება და მისი მესაკუთრის მონაცემები. აზერბაიჯანში ამ სფეროში სამუშაოები უკვე მიმდინარეობს: ყალიბდება ინტელექტუალური სისტემის სახელმწიფო მხარდაჭერა (სუბსიდია, ინვესტიცია და სხვა). ხდება სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების პირადი მონაცემების ტესტირება, მათი, ვინც მიიღებს სახელმწიფო მხარდაჭერას.

ქვეყანაში მსხვილი სალიზინგო კომპანიები არენდით სთავაზობენ სოფლის მეურნეობას თანამედროვე ტექნიკასა და მოწყობილობას. მოწყობილობას თანამედროვე მათ შორის უპილოტო მფრინავ აპარატს ნათესების ზონდირებისთვის, ხოლო მომავალში – უპილოტო ამღებ ტექნიკას. ამჟამად ტექნიკის პარკი ივსება განჯის ავტოქარხანაში აწყობილი მოდელებით. ერთ-ერთი მაგალითია მარცვლეულის ასაღები მანქანა, რომელიც აღჭურვილია მართვის ინტელექტუალური სისტემით.

საექსპორტო პარტიის ფორმირება მინდვრებიდან განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: მარცვლეულის აღება, სწრაფი შეფუთვა, მიტანა ლოჯისტიკის ცენტრებში, საექსპორტო ცენტრების კოორდინაციით. ფერმერების მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის შექმნილია Enterprise Azerbaijan u Azexport. az. პორტალი.

Azerbaijan Digital HUB სისტემის მუდმივი გაფართოებისათვის იქმნება დინამიური პლატფორმა ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი ციფრული ტრანსფორმაციისათვის.

მიმდინარე ათწლეულის ბოლოს მსხვილი მეურნეობის მფლობელები მინიმუმამდე შეამცირებენ ნათეს ფართობებზე გასვლას და მიიღებენ სრული მოცულობის ინფორმაციას მოსავლის შესაძლო რაოდენობის, ასევე სამუშაო ძალისა და აუცილებელი ტექნიკის ონლაინ რეჟიმში მოზიდვის შესახებ.

აზერბაიჯანში ციფრული სისტემის ელემენტები უკვე იღებს რეალურ გამოსახულებას. ეს თემა აქტიურად განიხილება მთავრობის დონეზე.

ციფრული მოდელი სწრაფად შემოდის ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაში, რაზედაც ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 2019 წლის იანვარ-მარტში „Azexport. az.“ პორტალით მიღებულ იქნა ექსპორტზე შეკვეთა 1784 აშშ მლნ დოლარის (თითქმის მთელი ექსპორტის 30%) ქვეყნის ხილისა და ბოსტნეულის პროდუქციიდან. 2018 წელს განაცხადი ექსპორტზე ასეთია: რუსეთი - 11,5%, თურქეთი - 9,9%, აშშ - 7%, ინდოეთი - 6,6%, საქართველო - 5,3%.

რეგიონებში განვითარებული ინტერნეტის შეღწევის წყალობით და საკუთარი თანამგზავრის არსებობით პერსპექტივაში არსებული და მოდერნიზებული ინფრასტრუქტურის ბაზაზე დაინერგება შემდეგი სისტემები და ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტილებები: ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი, მოსავლიანობის მონიტორინგის რუკა თანამგზავრისა და აეროგადაღების საფუძველზე, სასუქის დიფერენცირებული შეტანის სისტემა და სხვა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯანში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები ინვესტორების ინტერესების დაცვის სფეროში. საბაჟოზე უზრუნველყოფილია „მწვანე დერეფანი“, ამ მიმართულებით განხორციელებულია საგადასახადო რეფორმა, გაფართოებულია სამრეწველო პარკი, იზრდება აგროპარკების რაოდენობა.

აღნიშნული ღონისძიებები იძლევა დადებით შედეგს. ქვეყნის სოფლის მეურნეობა და მისი სასაქონლო წარმოება მყარად გავიდა „ახალ მიჯნაზე“. ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი გაიზარდა 11%-ით ანუ 530 მლნ აშშ დოლარით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 2018 წელს გადიდა 4,6%-ით(მემცენარეობა - 6,8%, მეცხოველეობა - 2,7%). აღნიშნულ წელს წარმოებული იყო 1,5 მლნ ტ-ზე მეტი ბოსტნეული და 1 მლნ ტ ხილი და კენკროვნები, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დამოუკიდებლობის მთელი წლების მანძილზე. 2019 წლის პირველ კვარტალში ხილისა და ბოსტნეულის პროდუქციის ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 28,2%-ით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეჩაიეობის, ბრინჯის, ციტრუსებისა და მევენახეობის სფეროს განვითარებას, რაც ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნისთვის. ქვეყანაში ფრიად პერსპექტიულ ამოცანად თვლიან მსოფლიოს ბაზარზე თხილის დამკვიდრებას. ამ მიზნის განსახორციელებლად თხილის ბალები 84 ათას ჰა-მდე გაიზრდება. სუმგაითის კარბიდის ქარხნის შემწეობით აგრარული სფერო სრულად იქნება უზრუნველყოფილი აზოტის სასუქით.

ციფრული სისტემისკენ მოძრაობის პერიოდი შეიძლება დაიყოს ეტაპებად: პირველი თითქმის დასრულებულია. ადრინდელი სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომელიც შედიოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გარდაიქმნა ადმინისტრაციული სტრუქტურიდან მომსახურების სფეროს დაწესებულებად. მხარდაჭერის ცენტრი პრინციპით „ერთი ფანჯარა“ ფერმერებს უწევს 70 სახეობამდე მომსახურებას. ადრე მოქმედი ოთხი სტრუქტურიდან, რომელიც შედიოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შეიქმნა აგრარული მომსახურების სააგენტო, რაც უზრუნველყოფს ვეტერინარული, ფიტოსანიტარული სამსახურების, თესლის და ტექნიკური კონტროლის მოქნილ და ეფექტურ მართვას. ტარდება მიწის სისტემატიზაცია და საადრეო თესვისთვის უვარგისი ნიადაგების გაუმჯობესების ღონისძიებები.

ამჟამად, ციფრულ პორტალში მეორე ეტაპზე მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სრულყოფილი შეყვანის ინტეგრაციის სამუშაოები. სისტემის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მომსახურება ფერმერებისთვის იქნება უფრო ხელმისაწვდომი, გამჭვირვალობის მხრივ უზრუნველყოფილი და სუბსიდიების გაცემისას მოქნილი. მომავალი წლიდან სუბსიდიები გაიცემა სწორედ ამ სისტემის მიხედვით. ელექტრონული სისტემა ფერმერებს დაეხმარება, ზუსტად დაგეგმონ თავიანთი სათესი ფართობი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ასევე გაამარტივონ საქონელზე მოთხოვნის ზუსტი პროგნოზი. დღეისათვის 100 ათასზე მეტმა ფერმერმა გაიარა რეგისტრაცია აღნიშნულ სისტემაში.

ამ ეტაპზე განხორციელდება უფრო ღრმა ინტეგრაცია მეცნიერებასთან. აგრარული მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროთან არსებული ინოვაციების ცენტრი გეგმავს, შექმნას ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და კარტოფილის ახალი ჯიშები და ჰიბრიდები.

სტრატეგიული ამოცანა, რაც დღეისათვის რამდენადმე ფანტასტიკურად გამოიყურება, ინოვაციების დანერგვის ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი ეს სრულად განხორციელდება 10 წლის მანძილზე.

მოცემული მასალის ანალიზი გვამღევეს საშუალებას, აღვნიშნოთ: აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად აამაღლა ეკონომიკის დონე, რაც შეეხო ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის სოფლის მეურნეობას, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან სექტორს.

აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო აგრარულმა რეფორმებმა და ფინანსური საშუალებების ფართო გამოყენებამ, მსხვილი ინვესტიციებისა და ქვეყნის კომერციული ბანკების ატიურმა მხარდაჭერამ დარგის შეღავათიანი დაკრედიტებით. ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებითა და გადიდებული საექსპორტო შესაძლებლობებით, ასევე აგროპარკების შექმნას და ფუნქციონირებას. აგროდაზღვევის გაფართოების მიზნით ხორციელდება აგროსადაზღვევო ფონდის შექმნა. სოფლის მეურნეობაში ინერგება ინტელექტუალური სისტემა ციფრული მიწათმოქმედების სახით, რაც ბოლო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ამ სფეროში.

ვფიქრობთ, აღნიშნული ღონისძიებების გატარება, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გარკვეულად წაადგება საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Экономика Азербайджана по итогам 2018 года...
turk.az>ext/news/2019/1/free/analytics/ru/... Валютные резервы Азербайджана за 2018 го
2. Сельское хозяйство Азербайджана — Википедия
ru.wikipedia.org>Сельское хозяйство Азербайджана
3. Азербайджан выводит сельское хозяйство на новый...
news.day.az>Политика>1062651.html
4. Аграрное будущее Азербайджана - реформы Президента...
news.day.az>Политика>1062651.html
5. В Азербайджане к 2018 году создадут Фонд...
vestikavkaza.ru>Новости>...-k-2018-godu-sozdadut...

6. Аграрное будущее Азербайджана - реформы Президента...
news.day.az>Политика>1169347.html

7. Темпы роста сельского хозяйства превысят нефтегазовой...
az.sputniknews.ru>economy/20181106/417753305...

8. Научный сотрудник Института экономики РАН Александр...
moscow-baku.ru>Новости Азербайджана и России>Экономика>..._selkoe...

Lina Datunashvili

SOME ASPECTS OF THE CURRENT STATE OF AGRICULTURE IN AZERBAIJAN

Summary

The article examines some of the successes the country has achieved in the economy of the Republic of Azerbaijan over the past 15 years, including agriculture. The focus of the President's and the Government's attention is on the agrarian sector and its objectives (formation of a modern agro-industrial complex, where new technologies will be used with increased export opportunities, intensive sector development, specialization by districts, insurance fund, agro-parks and large farms. The creation of national farms, etc.), some of which have been implemented and partly implemented in practice will further contribute to the development of the sector.

Keywords: *agriculture, "precise" agriculture, agro insurance, investments, reforms.*

Вугар Бахрам оглы Керимли

СОВРЕМЕННЫЕ ЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ЭКОЛОГИЧЕСКИХ ПРОБЛЕМ

Аннотация. *В статье с экономической точки зрения обсуждается необходимость научного исследования, оценки объективных расчетов наносимого вреда живой природе, здоровью человека, его трудовой деятельности и производительности труда.*

Ключевые слова: *экологические факторы, экологическая опасность, человеческое здоровье, производительность труда, экономический ущерб, оценка.*

Введение

Одним из важнейших научно-теоретических требований и тезисов классической биологии, в частности физиологии и экологии, заключалось в том, что в формулировку определения (дефиниции) живого организма обязательно необходимо ввести понятие или термин «внешняя среда». Наука доказала, что реально каждое живое существо, живая природа в целом, в том числе человек и общество, постоянно находятся под влияниями как благоприятных, так и повреждающих внешних факторов различной природы. В таких условиях их выживаемость, жизнедеятельность, поведенческая и физическая активность обусловлена тем насколько они могут приспосабливаться (адаптироваться) к неблагоприятным воздействиям вредных факторов внешней среды.

Науке также стало ясно, что организм человека может осуществлять свои физиологические, психологические, творческие и производительные функции и способности в нормальном русле только в условиях наличия равновесия (баланса) жизненно важных факторов окружающей его внешней среды и его приспособления к возможным вредным воздействиям этой же среды. При таких адекватных условиях жизни, для человека или отдельного индивидуума или же для людских популяций, биологическая, а также психологическая, нравственная, физическая, и очень важно отметить, проявленная к нетрудовая и производительная выгода и интерес являются очень важными критериями в их деятельности. А при сильных нарушениях в биосфере, в окружающих нас географических ареалах экологических состояний, или при возникновении экологических опасностей и тенденций, их устойчивого роста, эти критерии могут приобретать негативный знак, а человек, общества и государство

могут оказаться перед целым рядом очень серьезных медицинских, экономических и других проблем [9, с.10-14].

Основная часть

Тесные взаимоотношения и взаимодействия между организмом человека и окружающей средой, их значения для его здоровья, репродуктивной функции, долголетия, физической и умственной работы, трудовой деятельности и её производительности и общая выгода для него от всего этого, стали глубже изучать и понимать еще со середины прошлого века. Со временем на научной арене появляются новые области естествознания – экология, экология человека, токсикология. В настоящее время формируются новые направления и тематические ориентации в экологических исследованиях, их круг постоянно расширяется [1, с. 260].

Без сомнения, что экологические и экономические науки, их взаимные научные интересы и аспекты развития, совместные разработки в некоторых пограничных вопросах может занимать важное место в политике и социально экономической сфере каждого общества и государства. Так как, устойчивые биологические и социально-экономические показатели экологических систем в отдельности и глобальной экологической среды в целом (человеческой фактор играет здесь решающую роль) в настоящее время является одним из приоритетных научных направлений, требующей глубокого исследования, аналитического подхода, объективного оценивания и точных расчетов.

По мнению многих ученых–экологов и экспертов по экологическим вопросам, вредные факторы окружающей среды и последствия по губных действий человека на природу (комплекс отрицательных факторов антропогенного происхождения) непосредственно и опосредованно, а часто тесно связано могут вызвать такие экологические опасности, которые способны оказывать на живую природу, жизнь человека, различные области деятельности людей, и в конце – концов, на экономическое состояние государства и общества, сильного негативного действия, а таких факторов много. Они в отдельности или же в комплексе способны вызывать разно направленных и широкомасштабных (глобальных и региональных) катастроф в жизни людей, в их трудовой деятельности.

Существуют определенные естественные глобальные факторы, которые способны оказывать дегенеративного и деградирующего воздействия на экосистемы, и особенно на экосистемы иерархического и циклического характера, возникающих в тесной связи с производством и другими формами деятельности человека и общества.

Среди них мощные циклические электромагнитные активности возникающие на Солнце и на Земле, (сильные гелио гео электромагнитные буры или волны), резкое потепление или похолодание в планетарных (глобальных) масштабах, длительные жесткие климатические изменения на широких территориях (ураганы, засухи, сильные осадки, наводнения и т.д.), массовое размножение вредно насекомых и грызунов, массовая гибель насекомых-опылителей, уменьшение запасов кислорода в атмосфере, постепенное осушение источников питьевой воды относятся к разряду очень опасных экологических ситуаций. Они обуславливают возникновение длительных катастрофических состояний не только на региональных уровнях, но и в мировых масштабах.

Некоторые естественные, экологически опасные факторы, экстремального, стресс сорного и патогенного характера, могут вызвать в организме человека широкого спектра устойчивые метаболические, функциональные, нервные, эмоциональные, поведенческие, психологические, двигательные, пищеварительные, био ритмические нарушения [3, с. 195-198], [4, с.192], [5, с. 217-225], [7, с. 364-365], [8, с. 940-945].

А это непосредственно отрицательно сказывается на физическую и умственную работу, на трудовую активность и производительность, на её результативность и выгодность, а в конечном счете, может нанести и наносит социально-экономическим и производственным сферам государства колоссальный вред.

Возникновение многих вредных экологических факторов антропогенного характера (факторы вытекающие из деятельности человека) связанных с интенсивным научно-техническим прогрессом последних лет, и особенно, с ускоренным развитием ряда областей в тяжелой и средней промышленности - металлургической, химической, нефти и газодобывающей, нефти - обрабатывающей промышленности, широким производством и использованием в быту пластиковых материалов, выбросом в воздух, в почву и водоемы вредных промышленных отходов, загрязнение окружающей среды (особенно, городской) выхлопными газами миллионов транспортных средств и другими результатами нынешних возрастающих технических и производственных мощностей.

Отдельная проблема, это возникновение таких антропогенных экологических напряженностей, как постоянный рост объемов бытовых отходов в городах, канализационных сточных вод, поступающих в реки, озере и морей, большие лесные пожары, уничтожение зеленых массивов и так далее. Известно, что в настоящее время вокруг больших промышленных центров и мегаполисов по вине их населения образуются огромные свалки, распространяющие токсичных веществ и болезнетворных микро организмов. Их очистка или переработка некоторых промышленных и бытовых отходов, требуют большие технические работы и финансовые затраты.

В настоящее время одной из наиболее беспокоящих передовую научную общественность мира, властных кругов высокоразвитых государств, и по этой причине, широко обсуждаемых глобальных экологических проблем, выступает постоянно растущий и так называемый «парниковый эффект», который может создать всему наземному живому миру и человечеству очень опасные экологические состояния планетарного масштаба. «Парниковый эффект», это возникновение на земле необычного потепления из-за чрезмерного накопления в атмосфере различных (таких как карбон диоксид, метан и т.д.), газообразных веществ, паров, пыли и дыма в результате чего там образуется толстые газовые «пленочные» полосы, обратно отражающие земное тепло, а это может вызывать расставание с огромными ледяными покровами в Арктике и Антарктиде, а также значительного повышения уровня мирового океана и потопление многих территорий земного шара.

Известно, что согласно Парижскому соглашению (2015 г.) по вопросам мероприятий дающих возможность снизить риска возникновения «парниковых эффектов» планетарного масштаба принятому более, 30-тью передовыми странами, развитые страны в целом должны выделять из своих госбюджетов десятки миллиардов долларов, чтобы промышленные объекты чрезмерно загрязняющие атмосферу и биосферу смогли бы обеспечить себя новыми, с экологического точка зрения, чистыми технологиями, чтобы минимизировать возникающие отдельных странах мира экологические напряженности.

Другая важная экологическая проблема – это широкое использование в сельском хозяйстве химических пестицидов и удобрений токсичного действия, которые в большинстве случаев опасны для человека, скота и сельскохозяйственной продукции. Применение таких веществ в сельскохозяйственных целях приводит к широкому химическому загрязнению почвы, подпочвенных вод, воздуха и особенно, пищевых продуктов, производимых в сельских хозяйствах. Социально – экономической ущерб этого реален и этот вопрос в настоящее время - очень актуален.

Научно-исследовательские работы К. Викхаусина, сотрудника Сиднейского Университета (Австралия) и Китайской Академии Сельскохозяйственных Наук показали что, в результате широкого использования в сельском хозяйстве пестицидов и удобрений, загрязнения воздуха токсичными веществами и климатических изменений погибает 41% всех видов насекомых, и этот процесс ускоряется и приобретает более катастрофический характер. По мнению некоторых экологов, гибель 70% насекомых подставляет под большой риск вопросы питания всего человечества. Так как, эти маленькие живые существа составляют основу огромной экосистемы, а их уничтожение способствует к отрицательным цепным реакциям: так уничтожение насекомых приводит к гибели животных питающихся ими, и растений, которые опыляются насекомыми, а когда растения гибнут, тогда и гибнут травоядные живот-

ные, и в след за ними звери и люди, по причине нехватки пищи. Ущерб и расходы, возникающие в связи с этой проблемой лежат больше на плечах отдельных государств.

Загрязнение морей пресноводных рек и водоемов токсичными отходами (выбросы нефтяных отходов, пластиковых материалов, сточных канализационных вод и т.д.), это тоже одна из проблем привлекающей к себе особое внимание с социально – экономической и медицинской точки зрения. Например, по мнению экологов Азербайджана, чрезмерное загрязнение нефтепродуктами и другими выбросами широкой акватории Каспийского моря в течение десятилетий повысило темпы устойчивого падения численности здешних полезных видов фауны, особенно ресурсов ценных промысловых рыб. Реальные отрицательные социально-экономические эффекты этого процесса все еще продолжаются [6, с. 215-222].

Выводы

- В связи с возникшими и вероятными экологическими проблемами, правительство Азербайджанской республики за последние годы претворило в жизнь крупномасштабные целевые экологические программы, и для этого израсходовало значительные финансовые средства и соответствующие материально - технические ресурсы. В этой области, то есть в сфере оздоровления нашей экологической среды, у нас имеются определенные успехи, но этим наши экологические проблемы не исчерпываются. Некоторые авторы правильно отмечают, что в деле защиты экологической среды важную роль могут играть и этнопсихологические факторы самого народа, проживающего в той или иной естественной эколого-географической системе [2, с. 181-184].

- Конечно, естественные и антропогенные вредные экологические состояния, вызывающие в обществе тревогу и беспокойство, рассматриваются с научной, медицинской, психологической, деловой, управленческой, и экономической точки зрения, обсуждаются на уровне государства, принимаются и претворяются в жизнь в виде действенных решений и мероприятий. Вместе с тем, в решениях местных или региональных экологических вопросов активное участие должны принимать также научные организации и государственные структуры, непосредственно связанные с экономикой. В нашей стране нельзя допускать резких, серьезных нарушений в экологическом равновесии окружающей среды, поскольку в настоящее время такие последствия могут очень отрицательно сказываться на темпах ускоренного развития нашего государства. Определение экономических аспектов экологических проблем, и серьезное отношение к ним при оценке их негативных последствий стоят на повестке дня как очень важные вопросы, которые обязательно нужно решать [10,с.324-377].

Использованная литература

1. Гамбаров Д. Гусейнов А. Экологическая права (на азербайджанском языке), Баку, изд. «Сабах», 2017, 260 с.
2. Алиев Б. Экология и этнопсихология (на азербайджанском языке), журнал Возрождение XXI век, 2001, № 1-2, с. 181-184.
3. Аллахвердиева А.А., Аллахвердиев А.Р. Функциональное состояние неспецифических систем мозга человека в дни магнитных бурь / Труды Института физиологии и Общества Физиологов Азербайджана,, 2009, том. XXII, с. 195-198.
4. Берусь Т.К., Раппорт С.И. Магнитные бури: Медико-биологические аспекты. М., изд. «Спорт», 2003, 192 с.
5. Григорьев Ю.Г. Человек в электромагнитном поле (существующая ситуация, ожидаемые биоэффекты, оценка) // Радиоэкология, 2000, т.40, с. 217-225.
6. Гасимов Р.Ю., Палатников Г.М., Рустамов Э.К. и др. Эко токсикологическое исследование в Азербайджане / Матр. Международной научно-практической конференции «Сохранение и восстановление биоресурсов Каспийского бассейна», Баку, изд. «Элм», 2012, с.215-222.

7. Моисеева Н.И., Любицкий Р.Е. Зависимость структуры суточных биоритмов деятельности человека отослицейгелио - географических факторов /Матр. съезда Всесоюзного Физиологического Общества им. И.П.Павлова, Баку, 1983, т.2, с. 364-365.
8. Обридко В.Н., Рагульская М.В., Хабарова О.В. и др. Реакция организма человека на факторы, связанные с вариациями солнечной активности // Биофизика, 2001, №5, с. 940-945.
9. Хабарова О.В. Влияние катастрофических факторов на биосферу // Биомедицинские технологии и радиоэлектроника, 2007, № 5, с. 10-24.
10. И.Г.Ибрагимов «Экономика аграрной сферы» Баку, 2016, с.533-578.

Vugar Bahram Kerimli

MODERN ECONOMIC ASPECTS OF ECOLOGICAL PROBLEMS

Summary

From the economic point of view, the article discusses the need for scientific research, assessment of objective calculations of the harm caused to living nature, human health, his labor activity and labor productivity.

The use of economic tasks to optimize the interaction between nature and society, to prevent environmental damage from natural resources, and to eliminate negative environmental impacts is an urgent task. This issue requires balanced development of the economy, its environmentalization and efficient management as a complex and multifaceted problem, both internal and external. The activity of a person is related to the environment surrounding him.

The use of economic tasks to optimize the interaction between nature and society, to prevent environmental damage from natural resources, and to eliminate negative environmental impacts is an urgent task. This issue requires balanced development of the economy, its environmentalization and efficient management as a complex and multifaceted problem, both internal and external. Human activity is related to the environment that surrounds it. Nature is a necessary source of raw materials for human activities, as well as waste production activities that pollute its environment. Protecting the environment and ecological balance is to ensure environmental safety, preventing the harmful effects of economic and other activities on natural ecosystems, preserving biodiversity, and ensuring efficient use of the environment and nature. The intensification and savings of the use of natural resources in the environmentalization of economic development should consider the end result. Achieving this goal requires the creation of a natural-raw-product chain for each reserve.

Currently, their economic classification is based on the form and direction of the use of natural resources into two groups:

- Inevitable natural resources for human survival (resources);
- natural resources as a source of livelihood (resources).

As it is known, "environment" is a combination of natural and anthropogenic factors. Natural factors characterize the climatic, geological, and biological characteristics of the area and its impact on the person. Natural resources affect people through their living conditions, clothing, nutrition, water supply, service sector development, recreation and access. Ever since its inception, humans have always struggled with natural disadvantages in the face of natural disasters. Thus, human activity is related to the environment that surrounds it.

These factors have a major impact on human productivity and economic activity. When a person's economic activity falls below the impact of the environment, it has a negative impact on the economic development of the state as a whole, because development is linked to human capital. To this end, we have decided to carry out scientific research, given the relevance of this topic.

Key words: *environmental factors, environmental hazard, human health, labor productivity, economic damage, assessment.*

თბილისის სატრანსპორტო სისტემის
წარმოშობისა და განვითარების შესახებ

ანოტაცია. თბილისი უდიდეს ურბანულ ქალაქთა რიცხვშია მილიონზე მეტი მუდმივი მცხოვრებით და ასიათასობით სტუმრით, რომლებიც სატრანსპორტო მომსახურებას საჭიროებენ. ეს პროცესი ქალაქის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით მუდმივად უმჯობესდება, თუმცა მგზავრთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაში კვლავ არაერთი პრობლემაა.

სტატიაში განხილულია თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება ისტორიულ ჭრილში და გაანალიზებულია მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების მიღწეული დონე ტრანსპორტის სახეობებთან დამოკიდებულებით.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ტრანსპორტი, საქალაქო ტრანსპორტი.

შესავალი

თბილისი არა მარტო საქართველოს დედაქალაქია, არამედ მისი უდიდესი ურბანული ცენტრი. ქვეყნის საერთო მოსახლეობის 3 723.5 ათასი კაციდან თბილისზე მოდის 1171.1 ათასი კაცი. ქალაქებიდან მომდევნო ადგილზე მყოფი ბათუმის მოსახლეობა მხოლოდ 197.7 ათასი კაცია, ხოლო მომდევნო ქალაქის - ქუთაისის მოსახლეობა 138.2 ათასი კაცი [დემ...2019:21-22], რაც იმის მანიშნებელია, რომ თბილისი, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო მომსახურების მიმართულებით საგანგებო ზრუნვას და აგლომერაციული განვითარების მიმართულებით სტრატეგიულ დაგეგმვას და მენეჯმენტს საჭიროებს. ამდენად, თბილისში ტრანსპორტის წარმოშობა და მისი დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი მნიშვნელოვანია.

თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ა/კავკასიის უდიდეს სავაჭრო, კულტურულ, პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა მისი მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებულად XIX ს-დან შეინიშნება, რამაც საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტის შემოსვლა განაპირობა საქალაქო ცხოვრებაში. პირველ ასეთ ტრანსპორტად ეტლები, ძირითადად დროშკა უნდა მივიჩნიოთ. 1850 - 1883 წლებში იგი თბილისის ძირითად სატრანსპორტო საშუალება იყო. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საიტზე მითითებულია ბარონი ტორნაუს ციტატა: "დროშკები გამწვრივებულნი იდგნენ შუა ბაზარში, მადათოვის მოედანზე. ტფილისის მედროშკენი ისე დააქროლებდნენ თავიანთ ცხენებს, რომ გამვლელებს შიშის ზარს სცემდნენ" [თბილ... ისტორია]. 1870 წელს 439 ერთეული ორცხენიანი, 117 ერთეული ერთცხენიანი ეტლი და 672 ერთეული საზიდარი ყოფილა ქალაქში.

XIX ს-ის შუახანებამდე თბილისი უმეტესად გალავნის შიგნით ფუნქციონირებდა, ამიტომ საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების საჭიროებაც ვერ იქნებოდა. ამ დროისათვის თბილისში ტვირთის გადატანა უმეტესად ურმებით და ჩარდახებით, იშვიათად ცხენშებმული ტაჭკებით ხორციელდებოდა. ასევე იყენებდნენ მტკვარსაც, უმეტესად ქალაქის ხის საშენი მასალებით და შეშით მოსამარაგებლად. ამ მხრივ გავრცელებული იქნებოდა ტივის გამოყენება. უცხოელი სოვდაგრები იყენებდნენ

აქლემებსაც, რომელთა განსათავსებლად თბილისის ქარვასლებს სპეციალურად გააჩნდათ სადგომები.

თბილისის ფართობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში შექმნილიყო საცხენოსნო რკინიგზა, ანუ ე.წ. კონკა. პიველი კონკა ქალაქში 1883 წლის 10 მარტს გამოჩნდა და მან, დავით აღმაშენებლის გამზირის (მაშინდელი მიხეილის ქუჩის) გავლით, რკინიგზის სადგური და ვორონცოვის მოედანი დააკავშირა ერთმანეთთან. შემდგომში მარშრუტი გაგრძელდა ერევნის მოედნამდე, მოგვიანებით კი გოლოვინის გამზირი და ვერის ნაწილიც მოიცვა, საიდანაც ვერის ხიდის გავლით მარჯანიშვილის ქუჩაზე მიდიოდა. ვინაიდან იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო, ამიტომ თითოეულ ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, რომელიც მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს. 1899 წელს თბილისში კონკის 22,4 კილომეტრი ლიანდაგი იყო გაყვანილი. კონკამ 1910 წლამდე იარსება.



სურ. 1. ტივით მგზავრთა გადაყვანა თბილისში მტკვარზე⁶



სურ. 2. ერთ-ერთი პირველი ტრამვაი დღევანდელ ბარათაშვილის აღმართზე

⁶ სურათი აღებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ფოტოარქივიდან. სურათის ავტორი ს.ს დიდაროვი. ფოტო ინახება ელექტრონულ ლაფაჩის პირადი არქივში.

თბილისი განლაგებულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. ბუნებრივია არსებობდა მათ შორის კომუნიკაციის აუცილებლობაც. რადგან XIX ს-ში მტკვარზე მხოლოდ ორი-სამი ხიდი არსებობდა, ხშირი იყო ბორნების გამოყენების შემთხვევები.

თბილისი ვითარდებოდა, ცხოვრების ტემპიც მატულობდა, რამაც ცხენის ძალის ელექტროენერგიით, კონკის ტრამვაით ჩანაცვლება გამოიწვია. ეს სამუშაოები ბელგიელმა სპეციალიტებმა განახორციელეს და გარკვეული პერიოდით ტრამვაის ექსპლუატაციაც მათი მოვალეობა იყო. 1904 წელს დაიწყო ელექტრო ტრამვაის მშენებლობა, რითაც ბელგიური კომპანია დაკავდა. 1904 წლის 25 დეკემბერს ამოქმედდა ელექტრო ტრამვაი, რომლის ლიანდაგის სიგანე 1000 მილიმეტრი იყო. 1910 წელს „კონკამ“, რომლის ლიანდაგის სიგანე 914 მმ იყო, არსებობა შეწყვიტა [თბილისის... ისტორია].

ტრამვაის როლი საქალაქო მგზავრთგადაყვანაში განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 20-იან წლებში, 1930 წ-ს თბილისის ცენტრი მის ახლად გაშენებულ რაიონებს ტრამვაითაც დაუკავშირდა. მნიშვნელოვანია, რომ ომის წინ - 1940 წელს თბილისში ტრამვაიმ რეკორდული რაოდენობის მგზავრი გადაიყვანა - 194 მილიონი. ომის შემდგომ ტრამვაის ხაზების სიგრძეც და გადაყვანილი მგზავრების მოცულობაც იზრდებოდა. 1985 წ-ს ქალაქის ტრამვაის ქსელი 100 კილომეტრსაც კი აჭარბებდა და 50 მლნ მგზავრზე მეტი გადაჰყავდა წლიურად. ტრამვაის გაუფასურება 1990 წლებიდან იწყება და საბოლოოდ 2006 წელს მისი გაუქმებით დამთავრდა.

1933 წელს თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტს ავტობუსი დაემატა, მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე დღეში ხაზზე მხოლოდ 5 ავტობუსი მოძრაობდა და მისი სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრი იყო, პირველივე წელს მგზავრთა რაოდენობამ 1 200 000-ს მიაღწია. მომდევნო წლებში ქსელის სრულყოფასთან ერთად იზრდებოდა მგზავრთა რაოდენობაც - 1970 წელს მათმა რიცხვმა 125 მილიონს გადააჭარბა, მომდევნო ათ წელიწადში კი თითქმის 100 მილიონით გაიზარდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი დინამიურად მზარდი თბილისის მოსახლეობა და ფართობი იყო. თუ 1933 წელს თბილისის მოსახლეობა მხოლოდ 314 000 ადამიანს შეადგენდა 1980 წელს მათმა რიცხვმა 1 მილიონს გადააჭარბა [თბილისის... ისტორია].

ავტობუსთან დროში თანხვედრით თბილისში ტროლეიბუსიც გამოჩნდა. პირველი ასეთი ხაზი 1937 წ-ს ამუშავდა და მისი სიგრძე მხოლოდ 15 კმ-ს შეადგენდა, რაც სწრაფად იზრდებოდა. ტროლეიბუსის დაბალი ხმაურის და ნაკლები ვიბრაციის გამო ტრანსპორტის ამ სახეობამ სწრაფად განდევნა ტრამვაი თბილისის ცენტრალური ქუჩებიდან. ტროლეიბუსმა 2006 წ-ს თბილისში არსებობა შეწყვიტა.

საქალაქო ტრანსპორტის განვითარებაში რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა მეტროს აშენებას, რომელიც 1952 წ-ს დაიწყო და 1966 წ-ს მისი გახსნით დაგვირგვინდა. ამ დროისათვის იგი მხოლოდ ხუთ სადგურს წარმოადგენდა. ესენია: "დიდუბე", "ელექტროდეპო", "ოქტომბერი" (შემდგომ "ნაძალადევი"), "ვაგზლის მოედანი", "მარჯანიშვილი" და "რუსთაველი". რასაც მალევე 1967 წ-ს დაემატა სამი ახალი სადგური - „თავისუფლების მოედანი" (ძველი "ლენინის მოედანი"), სად. „ავლაბარი" (ძველი "26 კომისარი"), ხოლო 1971 წ-ს კიდევ ორი - ისნისა და სამგორის სადგურებიც.

1985 წ-ს გაიხსნა სადგურები „თავისუფლების მოედანი" (ძველი "ლენინის მოედანი") და „ავლაბარი" (ძველი "26 კომისარი").

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა საბაგირო და ფუნქციონირი, რასაც განაპირობებს უპირატესად თბილისის რელიეფი.

თბილისში მოქმედებს ორი საბაგირო გზა - კუს ტბის და რიყე-ნარიყალას. მთაწმინდის, ლისის, დიდუბის და სამგორის საბაგირო გზები გაუქმებულია. კუს ტბის საბაგიროს ორი, ხოლო ნარიყალას - 7 გონდოლა ემსახურება.

ფუნქციულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო, მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები ხოლო მფლობელი ის ბელგიური კომპანია იყო, ვინც თბილისის ტრამვაის ფლობდა. მშენებლობის პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა, არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთ-მოდღვარმა ა. შიმკვევიჩმა. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები ი. რაგოლერი და ა. ფონტანა-როსი. ფუნქციულიორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივით მოკლე დროში შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის. ფუნქციულიორი გაიხსნა 1905 წლის 27 მარტს [ვიკიპ....ფუნქციულიორი].

დღეისათვის თბილისის ტრანსპორტი წარმოდგენილია მეტროს, ავტობუსის, ტაქსის, საბაგიროს და ფუნქციულიორის სახით. მეტრო მოიცავს ორ ხაზს საერთო სიგრძით 53,7 კმ. 2018 წ-ს მეტროთი გადაყვანილი იქნა 113 827 037 მგზავრი, ავტობუსების მარშრუტების საერთო სიგრძეა 2450.5 კმ. და მოიცავს 101 მარშრუტს. ავტობუსებით 2018 წ-ს გადაყვანილი იქნა 128 406 202 მგზავრი. საბაგირო ტრანსპორტი კი მოემსახურა 1 783 496 მგზავრს [TBIL....; 44].

რაც შეეხება ტაქსს, მგზავრთა მომსახურებას ეწევა რამდენიმე კომპანია, მაგრამ ძირითადი მაინც კერძო პიროვნული მომსახურებაა. მომსახურების ამ სეგმენტში არავითარი რეგულაციები არ არსებობდა. ახლახან რეგულაცია დაუწესდა მხოლოდ მანქანის ფერს. მერამ მოითხოვა ტაქსების თეთრად გადაღება, რასაც მძღოლთა გარკვეული ნაწილი არ დათანხმდა და ტაქსების რიცხვი შემცირდა, რამაც, რამდენადაც მგზავრთა ტაქსით მომსახურების ტარიფები არ არსებობს (გარდა რამდენიმე კომპანიის მიერ თვითრეგულაციით დადგენილი ტარიფებისა), ტაქსით მგზავრთა გადაყვანის გამძირება გამოიწვია, შედეგად გაიზარდა ავტობუსებით და მეტროთი გადაყვანილი მგზავრების რიცხოვნობა.

თბილისის სამარშრუტო ტაქსების ქსელი მოიცავს 194 მარშრუტს, რომელთა სვლაგეზის საერთო სიგრძე 3852 კმ-ია და საშუალოდ დღეში გადაჰყავს 400 000 მგზავრი. [თბილის....], გარდა აღნიშნულისა, თბილისში არის 438230 მსუბუქი ავტომანქანა, საიდანაც 598 ერთეული ელექტროა, 12815 - ჰიბრიდული, 160988 - ბენზინზე მომუშავე და 40647 დიზელის საწვავზე [TBILISI....; 44].

საზოგადოებრივ ტრანსპორტს, გარდა სამარშრუტო და ჩვეულებრივი ტრანსპორტისა, ემსახურება თბილისის სატრანსპორტო კომპანია, მისი მფლობელია მერია და აერთიანებს სამ ავტოსატრანსპორტო საწარმოს, მეტროს და საბაგირო ტრანსპორტს. თბილისის სატრანსპორტო კომპანია, ისე, როგორც სხვა დიდი ქალაქების საზოგადოებრივი ტრანსპორტის კომპანიები, დოტაციურია და ფინანსდება თბილისის მერიის მიერ.

დასკვნა

თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება განუწყვეტელ განვითარებას განიცდის. უკანასკნელ პერიოდში მოეწყო ავტობუსების გაჩერებები, ისინი აღიჭურვა ციფრული ტაბლოებით, საიდანაც მგზავრებს საშუალება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო მარშრუტებზე ავტობუსის მოსვლის შესახებ. ხორციელდება საავტობუსო პარკის განახლება. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საიტიდან შესაძლებელია მგზავრობის რაციონალურად დაგეგმვა. ხელმისაწვდომია

მგზავრობის დასაგეგმად და ინფორმაციის მისაღებად სპეციალური მობილური აპლიკაციის გადმოწერა და სხვ. მიუხედავად ამისა, გატარებული ღონისძიებები აშკარად არასაკმარისია, რასაც ადასტურებს „საცობების“ სიმრავლე ქალაქში და ქალაქის ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლები.

აუცილებელი ხდება თბილისის საგზაო ინფრასტრუქტურის რადიკალური გაუმჯობესება, ახალი მონორელსური ტრანსპორტის დანერგვა და თხევად საწვავზე მომუშავე ტრანსპორტის ჩანაცვლება ელექტრული ტრანსპორტით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2019.
2. ვიკიპედია. თავისუფალი ენციკლოპედია. საიტი: <https://ka.wikipedia.org/wiki>. გადამოწმებულია 06.11.2019;
3. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საიტი: <http://ttc.com.ge/ka/history>. გადამოწმებულია 06.11.2019;
4. თბილისის ტრანსპორტი - ანგარიში და პერსპექტივები. საიტი: <https://www.youtube.com/watch?v=mkh9fqANjkY>. გადამოწმებულია 07.11.2019.
5. TBILISI IN FIGURES 2018. Tbilisi Municipality City Hall. Economic Development Office. Tbilisi, 2019;

*Goderdzi Tkeshelashvili
Zviad Elizbarashvili
Ilia Sharashenidze*

ON THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF TBILISI TRANSPORT SYSTEM

Summary

Tbilisi is one of the largest urban cities with more than a million permanent residents and hundreds of thousands of visitors in need of transport services. This process is constantly improving with the impact of city and science and technology progress, but there are a number of problems with public passenger transport services.

The article discusses the development of Tbilisi public transport in the historical context and analyzes the level of passenger transport services depending on the type of transport.

*მარინა მუჩიაშვილი
მერაბ ხმაღამე
ნინო აბესაძე*

სტუდენტების მიგრაციული განწყობის სტატისტიკური შეფასებები

ანოტაცია. სტუდენტების მიგრაციული განწყობის სტატისტიკური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. მიზნობრივი კვლევითი პროექტის - „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“ - ფარგლებში განხორციელდა სტუდენტების ემიგრაციული განწყობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ანკეტური მეთოდით და მისი სტატისტიკური ანალიზი. შეგროვილი ინფორმაციის დამუშავებისა და მისი სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტუდენტთა მიგრაციული განწყობის

შეფასება და სტუდენტთა ემიგრაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორების დადგენა საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, ემიგრაციული განწყობა, ემიგრაციის ძირითადი ფაქტორები, სტატისტიკური ანალიზი.

* * *


დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევად იქცა. ეკონომიკის კოლაფსის, პოლიტიკური კონფლიქტების, გაუსაძლისი სიღარიბის გამო 1990-2000 წლებში ქვეყანა მილიონამდე ადამიანმა დატოვა. სამწუხაროდ, ეს პრობლემა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე არ კარგავს სიმწვავეს.

ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის შესწავლის მიზნით ჩვენ მიერ განხორციელებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2452 რესპონდენტმა, რომელთა შერჩევა მოხდა სრულიად შემთხვევითი შერჩევით, გუგლის ელექტრონული დოკუმენტების სისტემაში ჩაშენებული აპლიკაციით. გენერალური ერთობლიობა შეადგენდა 150 000 სტუდენტს, დოქტორანტების ჩათვლით (საქსტატის 2018 წლის მონაცემი სტუდენტთა რიცხოვნობის შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში). შერჩევის ზომა განისაზღვრა 95%-იანი ნდობის ინტერვალით. შერჩევაში მონაწილეობდა 1732 ქალი (ვალიდური პროცენტი 70.9), და 710 კაცი (ვალიდური პროცენტი 29.1). გამოუპასუხებელი ანკეტების რაოდენობა შეადგენდა 10-ს (0.4%). კვლევაში მონაწილე რესპონდენტების სქესობრივი თანაფარდობა არ არის პროპორციული და, სავარაუდოდ, პასუხები უმეტესწილად ქალების პოზიციით არის განპირობებული, რადგან მათი რაოდენობა თითქმის 2.5-ჯერ აჭარბებს მამაკაცებისას. ზოგადად, ელექტრონული ანკეტური გამოკითხვების სიმარტივეს, რომელიც საგრძნობლად ამსუბუქებს რესპონდენტის ტვირთს, თან ახლავს სქესთა შორის არაპროპორციული გადანაწილება, რაც, ჩვენ შემთხვევაში, მამაკაცთა აბსოლუტურ და შეფარდებით სიმცირეში გამოიხატა, თუმცა ეს არ მეტყველებს შერჩევის არარეპრეზენტატულობაზე.

სტუდენტი ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობის შესწავლის მიზნით გრანტის პროექტში ყურადღება დავუთმეთ სტუდენტების პოტენციური მიგრაციის მიგრაციული განწყობისა და მათი ოჯახის წევრების ფაქტობრივი მიგრაციის შესწავლას. ამ მიზნით რესპონდენტებს დავუსვით შემდეგი შინაარსის კითხვები: “არის თუ არა წასული თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი სამუშაოდ საზღვარგარეთ?“, „იღებთ თუ არა მატერიალურ დახმარებას საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებისაგან?“, „მიანიჭეთ ქულა საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილ/ გადაუჭრელ პრობლემებს“, „თუ აპირებთ წასვლას საქართველოდან, მიანიჭეთ ქულა წასვლის მიზეზს“.

სტუდენტთა ემიგრაციული განწყობის შესაფასებლად შესწავლილ იქნა მონაცემები მათი საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების შესახებ.


ნახაზი 1. საზღვარგარეთ წასული/არწასული ოჯახის წევრების სიხშირული განაწილება, 2019 წელი



გამოკითხვიდან გაირკვა, რომ საზღვარგარეთ იმყოფება სტუდენტების ოჯახის წევრების დაახლოებით 26 %.

გამოკითხული სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებიდან მიღებულ მატერიალურ დახმარებაზე.

ნახაზი 2. ოჯახის წევრისგან მიღებული/მიუღებელი მატერიალური დახმარების სიხშირული განაწილება 2019 წელს




მიღებული შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ დღეისათვის საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარება სტუდენტების მრავალი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს წარმოადგენს საქართველოში. როგორც მოსალოდნელი იყო, მათგან გამოიყოფა ისეთი სამი ძირითადი მიმართულება, როგორცაა: საკვები პროდუქტების შეძენა, ბინისა და სწავლის გადასახადები.

საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით
გადაჭრილი/გადაუჭრელი პრობლემების რეიტინგების
სიხშირული განაწილება 2019 წელს

	1	2	3	4	5
ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად	30.9%	8.7%	15.6%	14.5%	30.2%
გავიუმჯობესეთ საბინაო პირობები	27.4%	11.6%	16.6%	18.1%	26.3%
გადავიხადეთ სწავლის საფასური	32.3%	8.3%	11.4%	15.0%	33.1%
უკეთესად ვზრუნავთ ჯანმრთელობაზე	31.0%	12.1%	15.3%	15.7%	25.8%
დავიწყეთ საკუთარი ბიზნესი	51.5%	16.5%	10.1%	8.9%	13.1%
შევიძინეთ ავტომობილი ან სხვა ნივთები	39.4%	15.4%	17.1%	8.5%	19.5%
არავითარი პრობლემა არ გადაგვიჭრია	55.2%	12.2%	11.7%	5.2%	15.7%

თუ გავანალიზებთ საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელი პრობლემების შემაჯამებელ ცხრილს, ვნახავთ, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულით საკვებისა და ტანსაცმელის პრობლემატიკაზე პასუხები დააფიქსირა გამოკითხულთა 55.3%-მა, ბინაზე - 52%-მა, სწავლის გადასახადზე 51-მა, ჯანმრთელობაზე 49.8%-მა, ბიზნესზე-47.5%, სხვა ნივთების შეძენაზე 49.3 და არავითარზე - 45.9%-მა.

ნახაზი 3. საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილ/გადაუჭრელ პრობლემების რეიტინგების სიხშირული განაწილება




დეტალურად განვიხილოთ საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელ პრობლემების განაწილება მეხუთე,

ყველაზე მაღალი პრიორიტეტისა და პირველი, ყველაზე დაბალი რეიტინგების მიხედვით.


მეხუთე, ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით გამოკითხულთა მესამედზე მეტმა უპირატესობა მიანიჭა ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით სწავლის გადასახადის გადახდას. ეს, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, როდესაც საქმე ეხება სტუდენტ-ახალგაზრდობას და ეს საკითხი მათთვის უმნიშვნელოვანესია. ასევე, სტუდენტთა მესამედმა 5 ქულა მიანიჭა ფაქტორს - ვიკვებებით და ვიცმევთ უკეთესად, შემდეგ მეოთხედმა ზრუნვას ჯანმრთელობაზე. ნიშანდობლივია, რომ საკუთარი ბიზნესის დაწყებას და ავტომობილის შეძენას მეხუთე პრიორიტეტი რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილმა მიუთითა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი სახსრებით ძირითადად პირველი მოთხოვნილების საგნებსა და აუცილებელ სერვისებზე წვდომა ხერხდება, ხოლო უფრო კაპიტალურ ხარჯებზე - მხოლოდ მცირე ნაწილისა.

ნახაზი 4. საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელ პრობლემების სიხშირული განაწილება მეხუთე რეიტინგის მიხედვით




მეხუთე პრიორიტეტთან შედარებით, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი თანხებით მიღებულ სარგებელზე რესპონდენტების ერთი ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას, ვიდრე შედეგისადმი კმაყოფილებას, რაზეც მეტყველებს კმაყოფილების მაღალი და დაბალი დონეების შედარება. აქვე აღსანიშნავია, რომ კმაყოფილება და უკმაყოფილება სამ ტოპ ფაქტორთან დაკავშირებით, როგორცაა სწავლის გადასახადის გადახდა, უკეთესი კვება და ჩაცმა და საბინაო პრობლემების გაუმჯობესება, თითქმის ერთნაირია, ხოლო კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებით - რადიკალურად განსხვავებული.

ნახაზი 5. საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მატერიალური დახმარებით გადაჭრილი/გადაუჭრელი პრობლემების სიხშირული განაწილება პირველი რეიტინგის მიხედვით



ნახაზი 6. საქართველოდან ემიგრაციის მიზეზების რეიტინგების სიხშირული განაწილება



ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მიხედვით ემიგრაციის მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა სწავლა, მას მოჰყვება სამუშაოს მოძიება და არასახარბიელო მატერიალური პირობები.

მაშასადამე, ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოდან სტუდენტების ემიგრაციის მიზეზები რეიტინგების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავდება მოსახ-

ლეობის მიგრაციის საერთო მიზეზებისაგან. კერძოდ, გამოკვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებში ემოგრაციის ძირითად მიზეზად სახელდება საზღვარგარეთ სწავლის სურვილი, რაც მოსალოდნელიც იყო, შემდეგ ოჯახის წევრთან გაერთიანების სურვილი, მესამე ადგილზეა სამუშაოს მოძებნა და დასაქმების პერსპექტივა, ასევე, ემიგრაციის მნიშვნელოვანი მიზეზია საქართველოში მათი ცხოვრებისათვის არსებული არასახარბიელო საბინაო და მატერიალური პირობები,

სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური ემიგრაციის სავარაუდო რეალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე ორმხრივ ზეგავლენას მოახდენს. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა იმყოფება აქტიურ ფერტილურ ასაკში, ემიგრაცია გააუარესებს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს. მეორე მხრივ, ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ნაწილობრივ შეავსებს დემოგრაფიული ზრდისთვის საჭირო რესურსებს და ამ თვალსაზრისით, გარკვეული ზომით დადებით როლს ითამაშებს და ხელს შეუწყობს აქ დარჩენილი მოსახლეობის ზრდასა და აღწარმოებას. გარდა ამისა, სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და ღირებულებები უკან დაბრუნების შემთხვევაში დიდ როლს შეასრულებს ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში.

დასკვნა

საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში სტუდენტი ახალგაზრდობის პოტენციური ემიგრაციის სავარაუდო რეალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე ორმხრივ ზეგავლენას მოახდენს. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა იმყოფება აქტიურ ფერტილურ ასაკში, ემიგრაცია გააუარესებს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს, თუმცა, მეორე მხრივ, ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ნაწილობრივ შეავსებს დემოგრაფიული ზრდისთვის საჭირო რესურსებს და, სავარაუდოა, გარკვეული ზომით დადებით როლს ითამაშებს ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის ზრდისა და აღწარმოების პროცესის ხელშეწყობაში. გარდა ამისა, სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და ღირებულებები უკან დაბრუნების შემთხვევაში დიდ როლს შეასრულებს ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, საქართველოდან მოსახლეობის გადინების საგანგაშო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად შექმნილი ურთულესი ვითარება მოითხოვს სახელმწიფოს მიერ გონივრული მიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარებას და შესაბამისი მიგრაციული პოლიტიკის გატარებას. დღეისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება შრომითი მიგრაციის ლეგალიზაციის საკითხი, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა, შრომითი ემიგრაციის თაობაზე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების გაფორმება, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო მოსახლეობის მიგრაციის დარეგულირებას, არამედ მრავალი უმწვავესი სოციალური პრობლემის გადაჭრას. ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში უშუალოდ ახალგაზრდების განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული პროგრამების ზომებისა და რაოდენობის ზრდა. მათი მიახლოება ეკონომიკურად განვითარებული და მზარდი ეკონომიკების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი”, თბილისი, 2019.

2. მ. მუჩიაშვილი, მ. გორგობიანი, ზ. შონია „საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 2019.

3. მ.ხმალაძე, „სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, (2004-2005 წლების გრანტის პროექტით გათვალისწინებული ნაშრომი), ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2005.

4. მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., გორგობიანი მ. სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი“, „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული“, თბილისი, თსუ, 2019.

5. Forbes Georgia, Tbilisi, 2019.

6. geostat.ge

Marina Muchiashvili

Merab Khmaladze

Nino Abesadze

STATISTICAL ASSESSMENT OF STUDENT'S MIGRATION MOOD

Summary

Statistical assessment of a student's migratory mood can only be done in the context of relevant information provision. In the framework of the targeted research project “Student's Demographic Mood in Georgia”, the survey was conducted to collect information on the students' migration attitudes and their statistical analysis. On the basis of the collected information and its statistical analysis the assess of the students' emigration attitudes was made and identified the key factors causing student emigration in Georgia.

Key words: *Student, emigration mood of students, main factors of emigration, statistical Analysis.*

Гюльшен Заид кызы Юзбашиева

Тариел Мусаллим оглы Гурбанов

Асиф Мирлазым оглы Мустафаев

ВЛИЯНИЕ ЛИБЕРАЛИЗАЦИИ НА ОТРАСЛЕВОЙ СТРУКТУРЫ ПРОМЫШЛЕННОСТИ ПРИ УСИЛЕНИИ ГОСУДАРСТВЕННОГО ВМЕШАТЕЛЬСТВА ВО ВРЕМЯ ЦИКЛИЧЕСКОГО ВОЗРОЖДЕНИЯ

Аннотация. *В статье отмечается, что Азербайджан обрел имидж сильной страны и у Президента есть четкая идея развития, чему основой служат экономические показатели, инфраструктурные проекты, масштабная благотворительная и культурно-просветительная деятельность, развитие инициативы прозрачности добывающей промышленности (ЕІТІ) и ненефтяного сектора экономики, запуск искусственного спутника, служба ASAN, названная Президентом брендом Азербайджана. По мнению специалистов, изменение имиджа страны (кроме новых стратегий, инвестиций и инноваций) требуют долгий период времени, а Азербайджан прошел его за 10 лет. Проводимый правительством курс на модернизацию и технологическое развитие экономики подразумевает отход от сырьевой зависимости с помощью инновационного развития. Президент страны объявил о новом этапе экономических преобразований, так как нецелесообразна экономика, не гарантирую-*

щая устойчивость, стабильность и не обеспечивающая благосостояние народа.

Особо подчеркивается, что одной из важнейших задач структурной политики является влияние государства на формирование эффективных пропорций между государственным и частным секторами. Задача не обоснование необходимости и значимости государственного сектора, а в определении его масштаба и эффективного соотношения, взаимодействие с частным сектором. Целесообразно исследовать не только современную структуру, но и структурные сдвиги, происходящие в последнее время, показывающие изменения в соотношении государственного и частного секторов в экономике. Важны структурные изменения и на этой основе – повышение экономической активности, обеспечение конкурентоспособности и эффективности экономики. Совершенствование организационной структуры управления и проведение кадровых реформ. Усиление государственного финансового контроля для сокращения нерациональных расходов. За счет сокращения нерациональных расходов оптимизировать расходную часть бюджета и направить значительную ее часть на обслуживание приоритетных сфер развития, своевременного выполнения социальных программ.

Ключевые слова: *либерализация, государственное вмешательство, промышленность, экономические реформы, управление, моделирование, экономическое развитие, эффективность и др.*

Основная часть

«В любой стране экономическое развитие непосредственно зависит от политических факторов. Сложившаяся в Азербайджане политическая атмосфера оказывает позитивное влияние на экономическое развитие. Так, сильное государство и сильная политическая власть имеют принципиальное значение для страны, формирующей свою национальную экономику. Сохранение общественно-политической стабильности и сегодня выступает для нашей страны в качестве «окна возможностей» ... Фундаментальные экономические преобразования, прежде всего, зависят от принятия смелых политических решений, адаптации политических и идеологических ориентиров к новым социально-экономическим условиям» (1).

Проведение экономических реформ и ведение политики «открытости» в течение 25 лет дало возможность экономике достичь определенных успехов. Азербайджан имеет собственную модель социально-экономического развития и государственного управления (совокупность признаков, определяющих место и роль государства в политической системе). Характерными чертами этой модели развития являются: сильная и эффективная государственная власть; развитие всех форм собственности (стремление к достижению оптимального соотношения государственного и частного секторов с учетом национальных интересов); усиление значимости приватизации как средство привлечения заинтересованных инвесторов; разнонаправленная внешнеэкономическая политика; основу экономической модели составляет социальная политика.

Сложившаяся модель экономики включает в себе пять основных направлений развития, которые взаимозависимы и взаимообусловлены друг от друга. Эти направления учитывают особенности экономической политики государственного управления и национального менталитета. Они следующие:

- выявление роли государства в управлении или «модель сильной и эффективной власти»;
- эффективность инвестиционного процесса или «модель притока инвестиций», где инвестиции выступают как часть процесса экономического развития;
- «модель развития экспорта» для решения проблем импортозамещения и сосредоточения средств на развитие экономики страны.
- «модель приоритетного развития промышленности и сельского хозяйства».
- эффективная социальная политика – основа экономической модели.

Начался процесс совмещения моделей развития. Во-первых, соотношение моделей развития экономики «сильная и эффективная власть» и модель «сервисной экономики» созда-

ющей условия для развития рыночной экономики. Государство, на прямую, не вмешивается в экономику, только формирует нормативно-законодательную базу и косвенным путем регулирует рынок. Во-вторых, необходимо совмещение развития экономики по пути «модель притока инвестиций» и развития роста потребления. В-третьих, необходимо скорректировать «модель развития экспорта» и перейти на критерий сбалансированности внешней торговли и товарооборота. В-четвертых, «модель приоритетного развития промышленности и сельского хозяйства» создает основу стабильного экономического роста, развивает определенные отрасли и усиливает значимость продуктовой конкурентоспособности. В-пятых, эффективная социальная политика способствует повышению благосостояния населения. Основной задачей проводимых реформ должно стать превращение национальной модели экономики в систему, что дает возможность корректировать, изменять модель и, в конечном результате, определить новое направление развития.

На Азербайджан, как и на многие страны-экспортеры нефти, повлияло снижение цен на сырую нефть (снижение мировых цен на 70% привело к снижению нефтяного сектора почти на 35%). Несмотря на некоторые существенные проблемы в промышленности закладываются основы ее реструктуризации для достижения реального роста в обрабатывающих отраслях с целью решения внутренних и внешних проблем. Переходный период способствовал освобождению экономики от большинства убыточных и неперспективных по рыночным критериям объектов реального сектора, некоторому устранению структурного и технологического дисбалансов. Это создало предпосылки для создания основ становления новой структуры в процессе диверсификации и модернизации экономики, которая, исходя из критериев индустриально развитого общества, и ныне далека от оптимальной. Также, существенное улучшение инвестиционного климата в стране не сопровождалось повышением инвестиционной активности частного бизнеса. Накопленный денежный капитал пока не способствовал переходу к инновационному пути развития. С целью проведения диверсификации и модернизации национальной экономики денежный капитал не переходил в промышленный капитал. В итоге:

- за прошедшее время так и не была осуществлена реструктуризация промышленности в пользу отраслей обрабатывающей промышленности при наличии у государства большого инвестиционного потенциала (2015г.: нефтяной сектор – 67.0%, не нефтяной – 33.0%, 2017г.: нефтяной сектор – 73.9%, не нефтяной – 26.1%);

- государство не смогло переориентировать частный капитал на инновационное развитие, располагая большой мировой практикой, многообразными и эффективными инструментами воздействия (2017г. иностранные инвестиции в промышленности – 6989.5 млн. манат из которых 90.0% идет в добывающую отрасль и 10.0% в не-нефтяной сектор, внутренние – 3620.6 млн. манат из которых 59.1% идет в добычу и 40.9% в не-нефтяной сектор);

- не были четко разграничены сферы частного и государственного предпринимательства;

- рыночный механизм технико-технологического обновления производственного потенциала также не был использован, как и государственный механизм пока не обрел опыта рыночного регулирования.

Исходя из вышеотмеченного можно отметить, что развитие экономики и ее модернизация связана с необходимостью изменения структуры экономики. Важно знать, за счет каких ресурсов будут происходить структурные изменения, какие инвестиции нужны будут для этого и насколько сложившаяся структура будет способствовать потоку инвестирования. Поэтому целесообразна качественно новая структурная политика, исходя из анализа тех изменений, которые наблюдались за последние годы экономического развития. Именно эти количественные и качественные изменения повышают актуальность управленческого воздействия на экономическую структуру, что требует оценки происходящих структурных сдвигов, т.е. сложившаяся ситуация и реалии инвестиционного процесса.

В настоящее время выделяются три модели госсектора: западноевропейская (Португалия, Франция и ряд других стран), североамериканская (США и Канада) и азиатская (Япония

и Южная Корея). Для западноевропейской модели в основном характерен довольно большой по объему, высокоэффективный и финансируемый госсектор, имеющий весьма разнообразную отраслевую структуру. Для североамериканской модели, наоборот, типичен недоразвитый, низкоэффективный госсектор, специализирующийся главным образом на чисто государственных функциях, обороне и социальной инфраструктуре, исходя из системы «прижизненного финансирования». Обеим моделям присуща четкая грань между частным бизнесом и государством. Для азиатской модели эта грань размыта, переплетение интересов государства и бизнеса идет через представителей во властных и корпоративных структурах. Результатом такой модели является формально небольшой госсектор, которому государство оказывает ощутимую финансовую и организационную поддержку.

Среди двух главных моделей - западноевропейской и североамериканской - Азербайджан выбрал вторую. Действительно, размеры госсектора за прошедшие годы стали незначительными, его финансирование снижено, результаты деятельности также неудовлетворительные. Проблема усугубляется еще и тем, что пока не построена североамериканскую модель госсектора в чистом виде. Более того, просматривается преемственность хозяйственного механизма функционирования предприятий отечественного госсектора с азиатской моделью. Переплетение интересов чиновников и представителей бизнеса лишает отечественный госсектор необходимой прозрачности и эффективности, присущих североамериканской модели. Учитывая, что отечественный госсектор продолжает эволюционировать и внедряются в практику в большей степени европейские методы и стандарты работы с госсектором, что позволяет улучшению сложившейся ситуации.

Изменить сложившуюся ситуацию можно за счет совершенствования политики развития госсектора, которая должна предусматривать два относительно самостоятельных блока: политику в отношении предприятий госсектора, действующих в рыночных условиях, и политику в отношении предприятий госсектора с общественными интересами. Этого пока нет, поэтому их разработка будет необходимым условием для повышения эффективности государственного промышленного комплекса. Сложившийся структурный перекос не зависел от высокой доли государственного сектора, так как за годы реформ его процент сильно снизился и, за его счет произошло становление частного сектора и бизнеса. Поэтому возможно эффективно повышать долю госсектора для решения задач изменения структуры промышленности с одновременным ростом его эффективности. Пропорции должны формироваться вне зависимости от внешних факторов для изменения закономерности закрепления сырьевой и отсталой в производственном отношении структуры.

Сегодняшняя отраслевая структура промышленного госсектора пока далека от оптимальной структуры. Главная причина тому - ошибки, допущенные на стадии выбора направлений приватизации отечественной экономики. Для устранения образовавшихся структурных несоответствий необходим радикальный пересмотр существующей парадигмы. Таким образом, структурный анализ подтверждает вывод о том, что госсектор промышленности пока неконкурентоспособен по сравнению с негосударственными хозяйственными структурами. Наличие разнонаправленных тенденций развития промышленного госсектора с общемировыми тенденциями по двум направлениям: во-первых, соотношение эффективности государственного сектора ниже, чем негосударственного сектора (не положительные результаты работы предприятий отечественного госсектора, обусловленные спецификой организации отечественной модели низким качеством управления); второй аспект проблемы - существующие диспропорции (например, в топливной промышленности производительность труда в госсекторе ниже, чем в негосударственном, вследствие наличия неадекватной системы управления отечественным госсектором).

Слабая взаимосвязь бизнеса, государства и общества означает утрату государством рычагов воздействия на экономику. С одной стороны, влияние на экономику через постоянно уменьшающийся госсектор становится меньше, с другой - влиять на частный сектор не удается. Государство поддерживает рост цен на продукцию естественных монополий, который сдерживает экономический рост и ухудшает положение предприятий госсектора. Существу-

ют недостатки в области управления государственными предприятиями. Предприятия госсектора функционируют практически как частные хозяйственные структуры, обеспечивая реализацию интересов их менеджмента и выводя финансовые активы из-под контроля государства. Большая часть научных учреждений находится в руках государства, а собственность - в частных руках, наука обслуживает частный сектор за государственный счет при низких ставках зарплат и пенсий научных работников. Таким образом, как между государственным и частным секторами, так и между отдельными сегментами госсектора сложились отношения, тормозящие развитие экономики, где посредником и инициатором таких отношений является государство.

Ошибочно мнение, что проблемы может решить или государство или рынок. Государство и частный сектор должны быть взаимодополняющими структурами в экономике страны. Важно институциональное многообразие форм взаимодействия государства и бизнеса, их сосуществование в системе смешанной экономики. Неверно отождествлять бизнес и экономику, так как бизнес является составной частью экономики. Государство ответственно за экономику, за народ, а бизнес только представляет интересы и отвечает за прибыль. Не всякое государство способно защитить интерес народа в противовес бизнес-интересам. Важно укреплять государство, а не снижать его экономические функции, так как невозможно будет ограничить интересы бизнеса, стремящегося к быстрому обогащению. Все сказанное касается не только Азербайджан, но и некоторые страны СНГ. (т. 1, 2, 3, 4)

Таблица 1

Структурная независимость экономики по странам

Структурная независимость	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Азербайджан	0.056	0.053	0.064	0.069	0.073	0.135	0.120	0.090
Казахстан	0.185	0.285	0.195	0.152	0.171	0.245	0.319	0.267
Россия	0.364	0.355	0.282	0.287	0.309	0.403	0.773	0.751
Литва	2.690	2.390	2.534	2.690	3.608	3.831	4.465	4.291
Эстония	3.202	3.237	3.405	4.917	4.682	4.618	5.289	4.917
Киргизия	3.032	1.959	1.849	2.367	3.082	4.320	2.851	2.546
Грузия	2.509	3.149	5.579	7.264	7.265	2.984	2.460	2.322
Латвия	3.717	3.329	3.951	3.855	3.785	4.435	4.988	5.410
Украина	5.494	4.814	6.813	6.353	6.092	7.621	8.804	7.621
Белоруссия	49.002	65.668	82.332	61.494	61.497	51.634	42.478	40.663
Молдова	11.337	13.283	22.801	19.836	31.265	37.441	46.609	48.938

Примечание: рассчитано автором на основе статистических данных стран СНГ.

Структурная независимость низкая, несмотря на предпринятые меры для стимулирования развития промышленности. Показатель носит волновой характер, что зависело от проводимых мер правительством. Лучшие показатели в Белоруссии и Молдове, так как структура не сильно зависит от конъюнктуры мирового рынка.

Таблица 2

Закрытость экономики

Закрытость экономики	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Азербайджан	1.36	1.31	1.38	1.36	1.45	1.65	1.54	1.52
Казахстан	1.34	1.28	1.30	1.37	1.29	1.45	1.49	1.42
Россия	2.42	2.32	2.34	2.50	2.40	2.69	2.83	2.78
Литва	0.40	0.36	0.34	0.31	0.32	0.34	0.36	-
Эстония	0.39	0.31	0.32	0.33	0.35	0.36	0.34	-
Киргизия	1.75	1.57	1.16	1.25	1.34	1.75	1.88	1.89
Грузия	1.30	1.33	1.32	1.15	1.28	1.40	1.54	1.39

Латвия	0.45	0.39	0.35	0.34	0.32	0.33	0.33	-
Молдова	1.92	1.71	1.77	1.64	1.73	1.60	1.50	1.27
Таджикистан	3.80	2.84	2.50	3.50	4.20	3.34	2.72	2.56
Украина	2.78	2.63	2.66	2.80	2.38	2.31	2.52	2.09
Белоруссия	2.29	1.53	1.62	1.86	1.86	1.74	1.77	1.68

Примечание: рассчитано автором на основе статистических данных стран СНГ.

Показатель закрытости экономики за соответствующие годы возрастал, затем снижался, то есть тоже носит волновой характер. Повышение уровня закрытости отражало проводимую промышленную политику, направленную на поддержание отечественных производственных систем в этот период. Снижение закрытости экономики ведет к уменьшению показателя структурной независимости, приводя к сокращению занятости и технологической отсталости производства, увеличению зависимости от импорта.

Таблица 3

Величина несырьевого экспорта на одного занятого

Величина несырьевого экспорта на одного занятого	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Азербайджан	0.33	0.39	0.43	0.45	0.42	0.40	0.30	0.25
Казахстан	1.19	2.28	1.67	1.32	1.38	1.10	1.05	-
Россия	1.50	1.91	1.63	1.63	1.64	1.36	1.70	2.10
Литва	10.72	15.21	15.93	17.88	18.73	14.69	14.15	16.86
Эстония	12.67	18.50	17.84	20.17	20.06	14.00	14.86	16.00
Киргизия	0.55	0.70	0.70	0.87	0.79	0.55	0.50	0.55
Грузия	1.07	1.47	1.71	2.18	2.06	1.36	1.20	1.47
Латвия	8.75	11.13	12.38	11.56	12.0	10.45	10.67	12.12
Молдова	0.92	1.34	1.34	1.50	1.50	1.25	-	-
Украина	-	-	2.92	2.65	2.40	1.91	1.85	2.17

Примечание: рассчитано автором на основе статистических данных стран СНГ.

Как видно из таблицы, лучшие результаты по этому показателю в странах Прибалтики: Литва – 16.86, Эстония – 16.0, Латвия – 12.12. Несмотря на лучшие показатели, тоже наблюдается то понижательная, то повышательная тенденция.

Таблица 4

Величина сырьевого экспорта на одного занятого

Величина сырьевого экспорта на одного занятого	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Азербайджан	5.63	7.38	6.74	6.58	5.72	2.94	2.48	2.89
Казахстан	6.39	7.98	8.55	8.67	8.06	4.43	3.30	-
Россия	4.12	5.37	5.75	5.68	5.31	3.37	2.20	2.79
Литва	3.98	6.35	6.37	6.68	5.18	3.84	3.26	4.06
Эстония	4.13	5.60	5.03	3.96	4.11	3.32	3.05	3.45
Киргизия	0.18	0.35	0.39	0.36	0.25	0.13	0.17	0.21
Грузия	0.42	0.47	0.32	0.31	0.29	0.44	0.48	0.63
Латвия	2.47	3.40	3.05	3.01	3.21	2.35	2.15	2.24
Молдова	0.08	0.11	0.06	0.08	0.05	0.03	-	-
Украина	-	-	0.43	0.42	0.39	0.25	0.21	0.29

Примечание: рассчитано автором на основе статистических данных стран СНГ.

Как видно из таблицы, растет коэффициент импортной зависимости. Импортная зависимость экономики увеличилась. Экономика пока сохраняет сырьевое направление развития.

Доля импорта преобладала, а выработка не росла, что свидетельствует о невысокой эффективности функционирования отраслей. Важно, исходя из сложившихся условий макроэкономической динамики, идти в направлении улучшения базовых структурных параметров, что свидетельствует о целесообразности определения структурной политики нового этапа развития. Целью ее является противодействие сырьевой направленности экономики, перейти от негативной структуры к приемлемой для страны структуре с учетом национальных интересов и повышения ее конкурентоспособности, способствующей изменению сложившихся пропорций.

Выводы

- активизация воздействия государства на экономическое развитие страны будет способствовать процессу оптимизации структуры производства с целью обеспечения эффективности функционирования экономических систем. Основным является обеспечение экономического роста и развития за счет качественных факторов, включающие в себя достижения науки и новые знания, так как важны не просто инновации, квалификация, а их рациональное соотношение для получения синергетических эффектов от их использования;

- речь должна идти не об увеличении присутствия государства в экономике, а о повышении эффективности и качества государственного регулирования, диверсификации и модернизации промышленности, поддержке оптимума в соотношениях между прямым и косвенным государственным вмешательством (не допуская превалирования первого над вторым, не позволяя государственному бюрократическому аппарату паразитировать на частном секторе, бизнесе), так как переплетение интересов чиновников и представителей бизнеса лишает отечественный госсектор необходимой прозрачности и эффективности;

- ошибочно мнение, что проблемы может решить или государство или рынок. Государство и частный сектор должны быть взаимодополняющими структурами в экономике страны. Важно институциональное многообразие форм взаимодействия государства и бизнеса, их сосуществование в системе смешанной экономики. Невверно отождествлять бизнес и экономику, так как бизнес является составной частью экономики. Государство ответственно за экономику, за народ, а бизнес только представляет интересы и отвечает за прибыль. Не всякое государство способно защитить интерес народа в противовес бизнес-интересам. Важно укреплять государство, а не снижать его экономические функции, так как невозможно будет ограничить интересы бизнеса, стремящегося к быстрому обогащению.

- структурная независимость низкая, несмотря на предпринятые меры для стимулирования развития промышленности. Показатель закрытости возростал, затем снижался. Повышение уровня закрытости отражало проводимую промышленную политику, направленную на поддержание отечественных производственных систем в этот период. Снижение закрытости экономики ведет к уменьшению показателя структурной независимости, приводя к сокращению занятости и технологической отсталости производства, увеличению зависимости от импорта. Растет коэффициент импортной зависимости. Важен переход от взятого курса правительства закупать новые технологии за рубежом и оттуда же приглашать на работу специалистов к возрождению своей науки и подготовке своих специалистов, реализация интеллектуального потенциала общества в условиях перехода на инновационный путь развития. Важна структурированность инновационных процессов, то есть эффективные инновационные процессы должны иметь повторяющийся, итерационный характер (проверка и последовательное приближение к условиям достижения результата), так как обеспечивает быструю практическую разработку перспективных идей и отказ от неудачных идей, переход от традиционного к инновационному.

- реальная и эффективная реализация многих проектов зависит не от количества инвестиций (вложенных денег), а от качества и эффективности системы управления. Целесообразно эффективнее оптимизировать государственные траты и там искать недостающие средства. Реальной причиной роста цен является не избыток денег в экономике, а отсутствие правильной ее координации, наличие монополий и периодические девальвации, которые под

предлогом снижения инфляции ухудшают ситуацию в экономике. Важно создание реальной рыночной среды и реальное развитие конкуренции. Улучшить управление государственной собственностью. Высокая доля государства в экономике – это следствие, а не причина экономических перекосов. Для этого нужно ввести стратегическое планирование, которое дает четкий прогноз и ориентиры, позволяющие строить корпорациям и бизнесу собственные стратегии в рамках общей линии.

Использованная литература

1. Мехтиев Р. Основные направления стратегии экономического развития президента И.Алиева. «Новая политика: по пути развития». 16.04.2018.
2. Кордонский С.Г. «Ресурсное государство». Москва, 2007г., с.108.
3. Выступления по итогам социально-экономического развития страны за девять месяцев 2015 года Президента страны И.Г.Алиева
4. Данные ГСК Азербайджана за соответствующие годы.
5. Данные Всемирного Банка.
6. Артемов А.В., Брыкин А.В., Шумаев В.А. Управление государственным сектором экономики в зарубежных странах. Журнал «Менеджмент в России». 2007, №6

*Gulshan Yuzbashieva
Tariel Gurbanov
Asif Mustafaev*

THE IMPACT OF LIBERALIZATION ON THE SECTORAL STRUCTURE OF INDUSTRY WITH INCREASED GOVERNMENT INTERVENTION DURING THE CYCLICAL REVIVAL

Summary

The article notes that Azerbaijan gained the image of a strong country and the President has a clear idea of development, which is based on economic indicators, infrastructure projects, large-scale charitable and cultural-educational activities, development of the Extractive Industry Transparency Initiative (EITI) and the non-oil sector of the economy, launch of artificial satellite, ASAN service, named by the President as the brand of Azerbaijan. According to experts, changing the country's image (except for new strategies, investments and innovations) require a long period of time, and Azerbaijan has gone through it for 10 years. The government's policy of modernization and technological development of the economy implies a move away from raw material dependence through innovative development. The President of the country announced a new stage in economic transformation, since an economy that does not guarantee stability, stability and does not ensure the well-being of the people is inappropriate.

It is emphasized that one of the most important tasks of structural policy is the influence of the state on the formation of effective proportions between the public and private sectors. The task is not justification of the need and importance of the public sector, but in determining its scale and effective correlation, interaction with the private sector. It is advisable to study not only the modern structure, but also the structural shifts taking place recently, showing changes in the ratio of public and private sectors in the economy. Structural changes are important and, on this basis, increase in economic activity, ensuring competitiveness and economic efficiency. Improving the organizational structure of management and conducting personnel reforms. Strengthening state financial control to reduce wasteful spending. By reducing irrational expenditures, optimize the expenditure side of the budget and direct a significant part of it to serving priority areas of development, timely implementation of social programs.

Key words: *liberalization, government intervention, industry, economic reforms, management, modeling, economic development, efficiency, etc.*

1929-33 წლების დიდი დეპრესიის 90-ე წლისთავი

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია გასული საუკუნის 30-იანი წლების დრამატული მოვლენა, რომელიც „დიდი დეპრესიის“ სახელით შევიდა ისტორიაში. უკვე თითქმის საუკუნე მიიწურა და დღემდე გრძელდება კამათი კრიზისის მიზეზებზე. თვალსაზრისი მრავალგვარია. ამათგან ზოგიერთი ერთმანეთს ავსებს, მაგრამ ზოგიერთი თვალსაზრისი კი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოა.

მკვლევართა და ექსპერტთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ, თითქოს, 30-იანი წლების კრიზისის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, რომ თითქოს ის გახდა მავანთა შეთქმულების ან უბრალოდ, მრავალი გარემოების შემთხვევითი თანხვედრის შედეგი.

სხვები ვარაუდობენ, რომ კრიზისი გარდაუვალი იყო, ის გახდა „რკინის“ კანონების მოქმედების შედეგი: საუბარია ისტორიულ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ კანონებზე და ა.შ.. მათი აზრით, მსგავსი კრიზისების გამეორება არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალიც კია.

არსებობს კიდევ ერთი თვალსაზრისი. თითქოს, 30-იანი წლების კრიზისი იყო „მონეტარული ხელისუფლების“ შეცდომების შედეგი. ამ თვალსაზრისით, თითქოს, ფედ-ი არასწორად მოქმედებდა იმ წლებში, რომლებიც წინ უსწრებდა საბირჟო პანიკას და თვით პანიკის პირველ დღეებში. კერძოდ, მონეტარიზმის კლასიკოსები მილტონ ფრიდმანი და ანნა შვარცი თავიანთ ფუნდამენტურ კვლევაში „აშშ-ის მონეტარული ისტორია 1867-1960 წლებში“ ამტკიცებენ, რომ დანაშაული კრიზისში მიუძღვის ფედერალურ სარეზერვო სისტემას. ამ უკანასკნელს პასუხისმგებლობა ეკისრება „ნდობის კრიზისის“ შექმნაში, ვინაიდან ბანკებს დროულად არ გაეწია დახმარება, რის გამოც დაიწყო ბანკროტობის მთელი ტალღა. ბანკების დაკრედიტების გაფართოების ღონისძიებები, რომელიც განხორციელდა 1932 წლიდან, მათი აზრით, ადრეც შეიძლებოდა განხორციელებულიყო, კერძოდ, 1930 ან 1931 წელს.

30-იანი წლების კრიზისის ანალიზით დაკავებულნი იყვნენ და ახლაც არიან დაკავებულნი მრავალი სახელოვანი ეკონომისტი: ჯონ მეინარდ კეინზი, ჯონ გელბრეიტი, პოლ კრუგმანი, ჯორჯ კუპერი, რობერტ ლუკასი, მიურეი როტბარტი და მრავალი სხვა, რომელთა შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. ერთი სიტყვით, კამათი დიდი დეპრესიის დაწყების ნამდვილი მიზეზების შესახებ დღემდე გრძელდება, თუმცა, ერთი რამ ნამდვილად უდავოა: 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი კარგი გაკვეთილია სწორი დასკვნების გასაკეთებლად, რაც უნდა გახდეს იმის გარანტია, რომ მსგავსი ხასიათის დამანგრეველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები არასოდეს განმეორდება.

საკვანძო სიტყვები: დიდი დეპრესია, საფონდო ბირჟა, პანიკა, რეცესია, ვარდნა, კრიზისი, ცენტრალური ბანკი, ფედერალური სარეზერვო სისტემა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში 90 წელი შესრულდა გასული საუკუნის მეორე და მესამე ათწლეულის დრამატული მოვლენიდან, რომელიც „დიდი დეპრესიის“ სახელით შევიდა ისტორიაში. მოვლენები განვითარდა შემდეგი თანმიმდევრობით: 1929 წლის 24 ოქტომბერს, რომელიც ცნობილია „შავი ხუთშაბათის“ სახელწოდებით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე პანიკა დაიწყო.

ბირჟის სამუშაო დღის დასრულებისთანავე უოლ-სტრიტის 35 უმსხვილესი ბანკის მიერ გაკეთდა დამამშვიდებელი განცხადება, რომ თითქოს ბირჟაზე მდგომარეობა

„მთლიანობაში მდგრადია“ და რომ ფინანსური თვალსაზრისით საქმის ვითარება უკეთესია, ვიდრე ბოლო თვეების განმავლობაში“. განცხადების ბოლოს ისმოდა შემდეგი ფრაზა: „უარესი უკვე უკან მოვიტოვეთ“. უნდა ითქვას, რომ ამან გარკვეულწილად იმოქმედა: მომდევნო დღეს - პარასკევს ადგილი ჰქონდა ბაზარზე ნაწილობრივ სტაბილიზაციას. პრეზიდენტმა ჰუვერმა ამერიკის მოსახლეობისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ „ქვეყნის ეკონომიკა დგას მყარ ფუნდამენტზე“ და რომ ბირჟაზე პანიკა პროვოცირებულ იქნა მხოლოდ „ტექნიკური მიზეზების“ გამო. მაგრამ, მომდევნო კვირიდან პანიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. ორშაბათს, 28 ოქტომბერს, რომელსაც უწოდეს შავი, ბირჟაზე მდგომარეობამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. ამას მოჰყვა კიდევ უფრო „შავი“ სამშაბათი. 29 ოქტომბერს მუშაობის პირველი 30 წუთის განმავლობაში ბირჟაზე გაიყიდა 3 259 800 აქცია, რომელთა გაუფასურებამ ორ მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ეს იმ ეპოქისათვის წარმოუდგენელ მასშტაბებს ნიშნავდა. „შავი“ სამშაბათის ბოლოსათვის 880 ემიტენტის დანაკარგებმა, რომელთა აქციების კოტირება ხდებოდა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, თითქმის 9 მლრდ დოლარი შეადგინა. ამჯერად არანაირ, თვით უმნიშვნელო რემისიასაც კი არ ჰქონია ადგილი [5].

დაიწყო ბირჟის სრული ჩამოშლა მთიდან მოწყვეტილი ზვავის მსგავსად. აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია ოქტომბრის დასაწყისში არსებული 87 მლრდ დოლარიდან 1929 წლის ბოლოსთვის 40 მლრდ დოლარამდე შემცირდა. 1932 წლის შუა პერიოდისთვის საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია უკვე სულ რაღაც 16 მლრდ დოლარს შეადგენდა [7].

ოქტომბრის ბოლო „შავი“ დღეების შემდეგ, ძალიან მალე საბირჟო კრიზისი გაცდა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის შენობის კედლებს და მოედო ამერიკის მთელ ეკონომიკას. პანიკის დაწყებიდან მხოლოდ წლის ბოლოსათვის (ორი თვის მანძილზე) სამრეწველო წარმოება 9%-ით დაეცა. შემდეგ, ეკონომიკური კრიზისი 1929 წლის ბოლოსათვის გადაწვდა სხვა ქვეყნებს - ლათინურ ამერიკას, იაპონიას, ჩინეთს. 1930 წლისათვის კი მან ევროპასაც მიაღწია. ამგვარად, საბირჟო პანიკების „ნაპერწყალი“ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ხანძარში გადაიზარდა. ამასთან, ეს კრიზისი 1939 წლის 1 სექტემბრამდე გაგრძელდა, ვიდრე ის არ გადაიზარდა მეორე მსოფლიო ომში.

ზოგიერთი მკვლევარი კრიზისის ათვლას 1929 წლის 29 ოქტომბრიდან იწყებს იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ სწორედ ამ დღის შემდეგ ბირჟაზე სიტუაციის მცირედი გაუმჯობესების თეორიული შესაძლებლობაც კი გაქრა.

ბევრმა ასევე იცის, რომ კრიზისმა საკმაოდ სწრაფად მოიცვა ჯერ ამერიკის მთელი ეკონომიკა, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებზეც გავრცელდა, რის გამოც მან „მსოფლიო კრიზისის“ სახელწოდება მიიღო. 1929-1939 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თემაზე ეკონომისტებისა და ისტორიკოსების მიერ უამრავი მსხვილი მონოგრაფიაა დაწერილი. პოლიტიკოსებმა დაგვიტოვეს თავიანთი მემუარები. მწერლებმა ამ კრიზისს მიუძღვნეს რომანები, კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს აურაცხელი რაოდენობის ფილმი. მიუხედავად ყოველივე ამისა, აღნიშნულ გლობალურ კრიზისთან მიმართებაში კითხვები დღემდე რჩება.

რამდენად კანონზომიერი და გარდაუვალი იყო იმდროინდელი კრიზისი? ხომ არ იყო ის პოლიტიკური სცენის მიღმა არსებული ძალების მიერ პროვოცირებული ერთგვარი სპეცოპერაცია? ნამდვილად გახდა თუ არა კრიზისი მეორე მსოფლიო ომის მთავარი მიზეზი? როგორი იყო კრიზისის რეალური შედეგები? რა მასშტაბის ზარალი მოუტანა მან მთელ კაცობრიობას? რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა მთავრობების ძალისხმევა ამ კრიზისის დასაძლევად? დიდი ომის გარდა ნუთუ არ არსებობს სხვა გზა მსგავსი მასშტაბის კრიზისების დასაძლევად? ხელი შეუწყო თუ არა მსოფლიო

ეკონომიკურმა კრიზისმა საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას თუ პირიქით, მას დამატებითი სირთულეები შეუქმნა? რა ისწავლეს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებებმა იმდროინდელი ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილიდან და შეძლეს თუ არა ახალი კრიზისების წარმოშობის პრევენციული აღკვეთა ომის შემდგომ წლებში? რა გავლენა მოახდინა იმდროინდელმა კრიზისმა ეკონომისტების, ფილოსოფოსებისა და პოლიტიკოსების მსოფლმხედველობაზე? ჰქონდა თუ არა ადგილი კაცობრიობის ისტორიაში 1929-1939 წლების ეკონომიკური კრიზისის ანალოგებს? შესაძლებელია თუ არა მსგავსი კრიზისის განმეორება და ა.შ.

ეს და მსგავსი კითხვები მრავალჯერ დასმულა ბოლო 90 წლის განმავლობაში. პასუხები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია და კამათი კრიზისის თემაზე დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ათწლეულის გასვლის შემდეგ ბევრი დეტალი ქრება, იმავდროულად, მოვლენის საერთო სურათი უკეთ იკვეთება. შევეცადოთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ მოვლენას 90 წლის გადასახედიდან.

უპირველეს ყოვლისა, ცალკეულ ავტორებს შორის უთანხმოება იწყება ტერმინოლოგიით. ავტორთა ერთმა ნაწილმა იმ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1929 წლის ოქტომბრის ბოლოს მომხდარი საბირჟო კრახის შედეგად, იმთავითვე უწოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. გარკვეული დროის შემდეგ არანაკლებ პოპულარული გახდა სახელწოდება „დიდი დეპრესია“. როგორც ჩანს, მეორე დასახელება მოწოდებული იყო შეერბილებინა იმ კატაკლიზმების აღქმის სიმწვავე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებში. აკადემიურ ლიტერატურაში ეკონომიკური კრიზისის ანალიზის დროს ამკარად იხატება ევფემიზმის არსებობა - „უხეში“ სიტყვების შეცვლა უფრო „რბილი“ სიტყვებით.

ცნობილი ეკონომისტი, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი მიურეი ნ. როტბარტი (1926-1995) თავის ესეში „ეკონომიკური დეპრესიები: მათი მიზეზები და მკურნალობის მეთოდები“ ყურადღებას აქცევს ამ ევფემიზმს:

„ჩვენ ვცხოვრობთ ევფემიზმების ეპოქაში. მესაფლავებები დღეს იწოდებიან „დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლებად“, სარეკლამო აგენტები - „საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველებად“, ხოლო დარაჯები - „მეთვალყურეებად“. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ცხადი ჭეშმარიტებები გარკვეული დროიდან ინიღბება ბუნდოვანი ფორმულირებებით“ [1].

სამწუხაროდ, იგივე ეხება ეკონომიკასაც. ძველი დროიდან მოყოლებული, არაერთხელ ჰქონია ადგილი პერიოდულ ეკონომიკურ კრიზისებს, რომელთა უეცარი დაწყება იწოდებოდა პანიკად, ხოლო პანიკის შემდგომი გაჭიანურებული პერიოდი - დეპრესიად.

ახალი ეპოქის ყველაზე ცნობილ დეპრესიად, რასაკვირველია, ითვლება ის მოვლენა, რომელიც დაიწყო 1929 წელს ტიპური ფინანსური პანიკით და გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომამდე. 1929 წლის კატასტროფის შემდეგ ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა ჩათვალეს, რომ მსგავსი მასშტაბის კრიზისი არასოდეს განმეორდებოდა. ამიტომ, მათ ხმარებიდან საერთოდ ამოიღეს სიტყვა „დეპრესია“. მაგრამ, როდესაც 1937-1938 წლებში ადგილი ჰქონდა მორიგ მკაცრ დეპრესიას, ეკონომისტებმა უბრალოდ უარი თქვეს ამ სახელწოდების გამოყენებაზე და შემოიღეს ახალი, უფრო კეთილხმოვანი ცნება - „რეცესია“. მას შემდეგ მრავალ რეცესიას ჰქონდა ადგილი, მაგრამ არც ერთ დეპრესიას.

ამასთან, სიტყვა „რეცესიაც“ ძალიან მალე გავიდა ხმარებიდან. გამოდის, რომ ბოლო რეცესიას ადგილი ჰქონდა 1957-1958 წლებში. ამის შემდეგ გამოიყენება სიტყვები: „ვარდნა“, „შენელება“, ან კიდევ „გადახრა“.

ტერმინები „დეპრესია“ და თვით „რეცესიაც“ კი ეკონომისტების სემანტიკური გადაწყვეტილებით უკანონოდ გამოცხადდა; ამიერიდან ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება დაგვემართოს, ესაა შენელება. ასეთია „ახალი ეკონომიკის“ ახირებები.

დღეისათვის როგორც უცხოურ, ისე სამამულო ლიტერატურაში, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში, სამწუხაროდ მაშინდელ კრიზისს რატომღაც მოიხსენიებენ ბუნდოვანი სიტყვებით: „დეპრესია“, „რეცესია“ და „ვარდნა“.

რაც შეეხება სიტყვას „კრიზისი“, ის მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვისგან κρισις – „განაჩენი“, „დასასრული“, აგრეთვე მონათესავე სიტყვისგან κρινω – „გარჩევა“, „განსჯა“. ხოლო წმინდა ნიკოლოზ სერბი, რომელიც მოესწრო 1930-იანი წლების კრიზისს, სრულიად მართებულად შეგვახსენებს, რომ ქრისტიანული გაგებით „კრიზისი“ ნიშნავს „ღვთის სამსჯავროს“. კრიზისი - ესაა ადამიანთა დასჯა „დეკალოგის“ - ათი მცნების დავიწყებისა და დარღვევისათვის.

პლანეტის მასშტაბით კრიზისის ასეთი სწრაფი გავრცელება გამოიწვია იმან, რომ 1920-იანი წლების ბოლოსათვის უკვე ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომით განადგურებული სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის სრულ აღდგენას. წარმოიშვა სახელმწიფოების ძლიერი ეკონომიკური ურთიერთკავშირი სავაჭრო, საინვესტიციო, სასესხო და საკრედიტო კავშირების ხარჯზე.

კრიზისის მწვავე ფაზა (რეცესია) ამერიკაში გრძელდებოდა დაახლოებით 1932 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში კრაზი განიცადა 135 ათასზე მეტმა სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო კომპანიებმა. ამერიკის ეროვნული შემოსავალი 1929 წელს არსებული 87,8 მლრდ დოლარიდან 40,2 მლრდ დოლარამდე შემცირდა 1933 წლისათვის, ე.ი., თითქმის ორჯერ და უფრო მეტად. ამის შემდეგ დაიწყო სტაგნაციის, დეპრესიის ფაზა, რომელიც დასრულდა 1940 წელს, როცა ამერიკულმა ეკონომიკამ დაიწყო სამხედრო რელსებზე გადასვლა [6].

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გახდა კრიზისის მიზეზი. აკი, თითქოსდა, საამისოდ არანაირ წინაპირობას არ ჰქონდა ადგილი. „შავ“ ხუთშაბათამდე და „შავ“ სამშაბათამდე მთელი თერთმეტი წელი იყო გასული პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან. მთელი ევროპა იქნა განადგურებული. ის ქვეყნებიც კი, რომლებიც სამხედრო მოქმედების ევროპული თეატრიდან შორს იმყოფებოდნენ, ასევე გამოიფიტნენ ეკონომიკურად. თითქოს ჩანდა, რომ ეკონომიკა დინამიკურად უნდა განვითარებულიყო იმისათვის, რათა მომხდარიყო ნგრევის ლიკვიდაცია და დანაკარგების კომპენსაცია.

თუ ამერიკაზე ვისაუბრებთ, 1929 წლის „შავი“ დღეები მზადდებოდა მთელი ათწლეულის განმავლობაში, რამაც მიიღო „მღელვარე ოციანების“ (Roaring Twenties) სახელწოდება. საფრანგეთსა და კანადის ფრანგულენოვან ნაწილში ამ დროს უწოდებდნენ რამდენადმე სხვანაირად: „გადარეული ოციანები“ («Années Folles»). გერმანიაში XX საუკუნის მეორე ათწლეულის შუა პერიოდის მიმართ გამოიყენებოდა „ოქროს ოციანები“ (Goldene Zwanziger). ამერიკის პრეზიდენტმა კელვინ კულიჯმა (1923-1929) ამ ათწლეულს უწოდა „აყვავების ერა“, ანუ „era of prosperity“. მაგრამ, მოგვიანებით ისტორიკოსებმა და სოციოლოგებმა დაიწყეს შემდეგი დეფინიციის - „მღელვარე ოციანების“ გამოყენება ამერიკისა და ევროპის, კერძოდ, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მიმართ [2].

ქვეყნები უბრუნდებოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას. მაგრამ ეს არ ყოფილა მარტივი დაბრუნება იმისკენ, რასაც ადგილი ჰქონდა 1914 წლამდე. აქ საუბარია იმაზე, რასაც, სოციოლოგებისა და ისტორიკოსების აზრით, ერქვა ვიქტორიანული ეპოქის ტრადიციული ფასეულობები. ეს იყო ახალ სტილზე, შეიძლება ითქვას, ცხოვრების ახალ ყაიდაზე გადასვლა. „მღელვარე ოციანები“ - ესაა ტანსაცმლის ახალი სტილი, ახალი ჩვევები (მაგალითად, ცეკვის საღამოები, ჯაზური მუსიკა), ქცევის ახალი მანერები, ხელოვნებაში ახალი მიმართულებები, ლიტერატურის ახალი ჟანრები, არქიტექტურისა და ინტერიერის ახალი დიზაინი, ტექნიკის ახალი სახეები, ახალი აღმოჩენები მეცნიერებაში, რადიოსა და კონემატოგრაფიის მასობრივი გავრცელება და სხვ.

ზემოჩამოთვლილი მხოლოდ „მღელვარე ოციანების“ ცხოვრების გარეგანი გამოვლინებებია, რომლებიც იმთავითვე იყო თვალში საცემი. მაგრამ, ახალი ეპოქის ამ გარეგანი გამოვლინებების მიღმა იმალებოდა საზოგადოებაში კმაყოფილების, მოხმარების, სიმდიდრისადმი დაუოკებელი სურვილის და, რაც ხაზგასმითაა აღსანიშნავი, სპეკულაციური მოგების სრულიად მიზანმიმართული კულტივირება.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა იმ როლს, რომელიც ამერიკაში ითამაშა აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ „მღელვარე ოციანების“ ატმოსფეროს შექმნაში. გავიხსენოთ, რომ აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა (ამერიკის ცენტრალური ბანკი) შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე - 1913 წლის დეკემბერში. ფედერალური სარეზერვო სისტემის დამფუძნებლები, რომლებმაც საკუთარ კონტროლს სრულად დაუქვემდებარეს აშშ დოლარის გამოშვება, იმედოვნებდნენ, რომ პირველი მსოფლიო ომი მათ დაეხმარებოდა დოლარი გადაეციათ მსოფლიო ვალუტად. მათ ეს შეძლეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. აშშ დოლარის გარდა მსოფლიო ვალუტის რანგში გრძელდებოდა ბრიტანული ფუნტი სტერლინგის გამოყენებაც. სავალუტო სამყაროში მონოპოლიური პოზიციების მოპოვება დოლარმა მოგვიანებით - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეძლო.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ფედ-ი მსოფლიოში ერთადერთი ცენტრალური ბანკი იყო, რომელიც ახდენდა ოქროს ვალუტის ემისიას. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოაცხადეს მორატორიუმი საკუთარი ვალუტების ოქროთი უზრუნველყოფასა და ოქროზე გაცვლაზე. ფედ-ი კი აგრძელებდა დოლარების ემისიის მიზმას ოქროს მარაგებთან, რაც აშშ დოლარის მდგრადობის გარანტიას ქმნიდა. მაგრამ, „ფულის გამგებლებს“ - ფედერალური სარეზერვო სისტემის მთავარ აქციონერებს ძლიერი სურვილი ჰქონდათ მოეხდინათ ამერიკის ეკონომიკის „გახურება“. საამისად საჭირო იყო ეკონომიკაში ფულის ახალი ნაკადების გადასროლა, ხოლო აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის „საბეჭდი მანქანა“ იზღუდებოდა „ოქროს მუხრუჭით“ (ფულადი ემისია იზღუდებოდა ოქროს მარაგებით).

ამგვარად, გასული საუკუნის ოციან წლებში აშშ-ში ფულადი მასა 60%-ით გაიზარდა. ცხადია, ამერიკას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ოქროს მარაგების ამგვარი მატება, შესაბამისად, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, „ფულის გამგებლებმა“ ნელ-ნელა შეასუსტეს „ოქროს მუხრუჭის“ მოქმედება, ე.ი. მათ შეამცირეს ძვირფასი ლითონებით ფულადი ემისიის გადაფარვის მასშტაბი.

განსაკუთრებით მრავალი ფული მოხვდა მიმოქცევაში 1927 წელს, როცა გამოჩნდა აშშ ეკონომიკაში ვარდნის ზოგიერთი ნიშანი, რა დროსაც ფედ-მა მაშინ პირველად სცადა გამოეყენებინა ფულადი ემისიის ზრდა ეკონომიკური ციკლის „გამოსასწორებლად“. მაშინ ამან იმუშავა. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნიუ-იორკის

ფედერალური სარეზერვო ბანკის (იმ დროისთვის უფრო გავლენიანი, ვიდრე თვით აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა) მეთაურმა ბენჯამინ სტრონგმა და ინგლისის ბანკის მეთაურმა მონტეგუ ნორმანმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ფუნტი სტერლინგის კურსი უნდა დაბრუნებოდა ომამდელ დონეს. ამისთვის საჭირო იყო ხელოვნურად გაიაფებულიყო დოლარი ამერიკული ვალუტის დამატებითი ემისიის დახმარებით.

აშშ-ის ფედ-ის ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გამოიხატებოდა არა მარტო ფულადი მასის გაფართოებით, არამედ აგრეთვე ამერიკული ცენტრალური ბანკის დისკონტის განაკვეთის შემცირებით. მაშინდელი დისკონტის განაკვეთი ცენტრალური ბანკების თანამედროვე საბაზისო განაკვეთების ანალოგიურია.

დისკონტის განაკვეთი 1921 წელს არსებული 6,5%-დან შემცირდა 4%-მდე 1927 წლის დასაწყისისთვის. ხოლო იმავე წლის აგვისტოში ის კიდევ 0,5 პროცენტული პუნქტით - 3,5%-მდე იქნა შემცირებული. ბანკების ფული გაიფდა, ის სულ უფრო მატულობდა. მაგრამ ისინი სულაც არ მიემართებოდა წარმოების განვითარებისკენ. ბანკები უპირატესობას ანიჭებდნენ გაცილებით უფრო მომგებიან, მათი აზრით, ნაკლებრისკიან ოპერაციებს - კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ყიდვას, რომლებიც თვიდან თვემდე მყარად ძვირდებოდა. გარდა ამისა, ბანკები აკრედიტებდნენ საბირჟო ბროკერებს, რომლებიც, თავის მხრივ, თავიანთ კლიენტებს სთავაზობდნენ კომერციული კრედიტების მსგავს მომსახურებას [5].

ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ფიზიკურ პირებს შეეძლოთ ეყიდათ კორპორაციული ფასიანი ქაღალდები კრედიტით, იხდიდნენ რა საკუთარი ჯიბეებიდან მათი ფასის მხოლოდ 10%-ს, დანარჩენი 90% იფარებოდა კრედიტებით, რომელთა უზრუნველყოფა ხდებოდა თვით ამ ფასიანი ქაღალდებით. ამას ეწოდებოდა „მარჟინალური“ ოპერაციები საფონდო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ყიდვის მიხედვით. რაც შეეხება კრედიტებს საწარმოთათვის, ბანკებისთვის ეს ნაკლებად მომგებიანი და ძალზე პრობლემური გახდა.

ამერიკაში „მდეღვარე ოციანების“ განსაკუთრებულ თავისებურებად იქცა მილიონობით უბრალო მოქალაქეების ჩათრევა სპეკულაციურ თამაშებში კორპორაციული ფასიანი ქაღალდებით. ეს იყო ნამდვილი სიგიჟე: 120 მილიონი უფროსი ასაკის ამერიკელებიდან 30 მილიონი თამაშობდა ქაღალდებით (არათუ თამაშობდნენ, არამედ უაზროდ ყიდულობდნენ). ყოველი მეოთხე! მილიონნახევარი დაკავებული იყო „პროფესიული“ თამაშით, საბროკერო ფირმებში ანგარიშების გახსნით.

1920-იანი წლების მეორე ნახევარში ფული საბოლოოდ გადაადგილდა ეკონომიკის რეალური სექტორიდან საბირჟო მოედნებზე. კორპორაციულ ქაღალდებზე ფასები იზრდებოდა კომპანიების მოგების დინამიკასთან ყოველგვარი კავშირების გარეშე, საბირჟო კოტირებები შეიძლებოდა გაზრდილიყო ემიტენტ-კომპანიების ზარალის დროსაც კი. კორპორაციული ქაღალდების საერთო კაპიტალიზაციამ 1929 წლის 1 სექტემბრისათვის მიაღწია იმდროისათვის არნახულ სიდიდეებს - თითქმის 90 მლრდ დოლარს.

რაც შეეხება ფულად მასას, მან 1928 წლის ბოლოსათვის თავის რეკორდულ მაქსიმუმს - 73 მლრდ დოლარს მიაღწია. ახალ 1929 წელს ის ამ ნიშნულზე გაიყინა. საბირჟო მოედნები კი მოითხოვდნენ ფულის მომდევნო ნაკადების მოდინებას. მათი მიღება კი არსაიდან არ იყო შესაძლებელი. რამდენიმე თვის განმავლობაში დამატებითი დოლარების შეგროვება ხდებოდა სხვადასხვა საშუალებით. ხშირად კანონიერი დოლარების ჩანაცვლება ხდებოდა ფულადი სუროგატებით (თამასუქები და სხვა ლიკვიდური ინსტრუმენტები), რომლებსაც ქმნიდნენ კერძო კომპანიები. მაგრამ, ოქტომბრის თვისათვის სიტუაცია სახიფათო გახდა. „ნედლეული“ (ფული) „სავალო

კომპის“ მშენებლობის გასაგრძელებლად (კორპორაციული ქაღალდების საბირჟო კოტირების ზრდის შესანარჩუნებლად) გამოილია. ამან კი გამოიწვია „შავი“ დღეები ნიუ-იორკის ბირჟაზე.

უნდა ითქვას, რომ „მღელვარე ოციანების“ დროს ადგილი ჰქონდა სერიოზულ ძვრებს ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევებში იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ეხებოდა ფულად სფეროს. მილიონობით ამერიკელმა შეწყვიტა ინტერესი საკუთარი სამუშაოს და ხელფასის მიმართაც კი. მათ უფრო აინტერესებდათ შემოსავლები, რომლებსაც ისინი ღებულობდნენ და შეეძლოთ მიეღოთ ფასიანი ქაღალდების ყიდვით. უფრო მეტიც, ხელფასების გარდა მათ გაუჩნდათ ფულის ისეთი მარტივი წყარო, როგორცაა საბანკო კრედიტები, რომლებსაც გასცემდნენ ბანკები მათზე ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, ვინაიდან ბანკებისთვის სრულიად საკმარისი იყო უზრუნველყოფის სახით ფასიანი ქაღალდების წარმოდგენა. თვით, ერთი შეხედვით, ისეთი პროფესიონალი ფინანსისტები, როგორებიც იყვნენ ბანკირები, უფრო ორიენტირებულნი გახდნენ არა ეკონომიკის რეალური სექტორის მაჩვენებლებზე, არამედ საბირჟო კოტირებებზე.

„მღელვარე ოციანებში“ ადამიანთა ცნობიერებაში მოხდა ეკონომიკის სფეროს დაყოფა ორ შემადგენელ ნაწილად: რეალურ ეკონომიკად, სადაც იქმნება საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული სიმდიდრე და საბირჟო მოედნებად, სადაც მიმდინარეობს აზარტული თამაშები მზარდი განაკვეთებით. მთელი საზოგადოების ყურადღება გადართულ იქნა მეორე შემადგენელ ნაწილზე, რომელიც, როგორც შეშლილ მოთამაშეებს ეგონათ, თვითკმარი იყო. რატომღაც თითქმის არც ერთ ფინანსისტს, სამთავრობო ჩინოვნიკს და ეკონომისტს არ შეუძინებია, რომ რეცესია ამერიკის ეკონომიკაში დაიწყო უკვე 1929 წლის დასაწყისში, ხოლო ზაფხულისათვის ის ძალზე აშკარა გახდა.

საბირჟო „აზარტული თამაშების“ ჰიპნოზის ქვეშ ხვდებოდნენ ის ადამიანებიც კი, რომლებიც „ეკონომიკური გურუების“ რანგში იყვნენ აღზევებულნი. უდიდესი ამერიკელი ეკონომისტი-მათემატიკოსი, ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ირვინგ ფიშერი პათეტიკურად წერდა: „ქვეყანა მიაბიჯებს აყვავების მაღალმთიან პლატოზე“. სხვათა შორის, ეს სიტყვები დაიბადა 1929 წლის 19 ოქტომბერს - „შავ სამშაბათამდე“ ათი დღით ადრე

კრაზის საშიშროებაზე ნიშანი უნდა მოეცათ ადამიანებს, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ეკონომიკური მეცნიერებით და ითვლებოდნენ მიუკერძოებელ არბიტრებად. მაგრამ ვაი, რომ მათგან მრავალი ბრმა აღმოჩნდა. საინტერესო მასალა შეგროვდა იქნა თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტისა და მწერლის მარკ სკოუზენის ნაშრომში „ვინ იწინასწარმეტყველა 1929 წლის კრაზი?“, მოვიყვანოთ რამდენიმე საგულისხმო მაგალითი.

უპირველეს ყოვლისა, მარკ სკოუზენი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ 1929 წლის საბირჟო კრაზი სრულად გამოჩნდა ნაქებ ჰარვარდის უნივერსიტეტს, რომელიც მაშინ და ახლაც ითვლება ამერიკული ეკონომიკური აზრის ყველაზე „მსხვილ“ ცენტრად. „ეკონომიკური გურუების“ სიაში მეორე ნომრად, რომელმაც ვერ შეძლო ეწინასწარმეტყველა „შავი ხუთშაბათი“, სკოუზენი ასახელებს ამერიკელ ეკონომისტს, ფულის რაოდენობრივი თეორიის შემქმნელს, იელის უნივერსიტეტის პროფესორს ირვინგ ფიშერს. ეს ეკონომიკური „გენიოსი“ (მას სწორედ ასე თვლიან დღემდე) კვერს უკრავდა ამერიკის პრეზიდენტებს კულიჯსა და ჰუვერს, რომ ამერიკა შევიდა „ახალ ერაში“, „მუდმივი აყვავების“ ერაში (ან იქნებ პირიქით იყო ყველაფერი, ამერიკელი პრეზიდენტები ფიშერის „ჰიპნოზის“ ქვეშ იმყოფებოდნენ?).

პროფესორი უარყოფდა, რომ აქციების კოტირების ზრდაში მონაწილეობდა „სპეკულაციური შემადგენელი“ და თავდაჯერებული აცხადებდა: საფონდო ინდექსების დროებითი შემცირება შესაძლებელია, თუმცა არავითარი კრაზი და დეპრესია არ იქნება. ფიშერის ოპტიმიზმის წყაროს ზედმიწევნითი მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ახსნა ძვეს ზედაპირზე: პროფესორი ბირჟის აქტიური მოთამაშე იყო და მან ამგვარად დიდ ფულს მოუყარა თავი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თავად იყო „ნახირის“ ნაწილი, რომელზეც ვისაუბრეთ [3].

გავიხსენოთ სკოლუზენი და ლეგენდარული ჯონ მეინარდ კეინზი, იმ თეორიის დამაარსებელი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა - კეინზიანელობა. მასაც ასევე სწამდა ამერიკული ეკონომიკის მუდმივი აყვავების (პროსფერითის). მას საერთოდ არ აღელვებდა ფასიანი ქაღალდების კოტირების სწრაფი ზრდა უოლ-სტრიტზე 1927-1928 წლებში, რომელიც რამდენჯერმე აღემატებოდა წარმოების რეალურ ზრდას. და აქვე ვგებულობთ, რომ ცნობილმა „გურუმ“ 1927 წელს გამოთქვა სურვილი „შეესყიდა“ რამდენიმე ამერიკული აქციები. ეს სურვილი მან გაუზიარა შვეიცარიელ ბანკირს ფელიქს ზომარის. და როცა ამ უკანასკნელმა შეშფოთება გამოხატა საფონდო ინდექსების სპეკულაციურ შემადგენელზე ნიუ-იორკის ბირჟაზე, ინგლისელმა თავდაჯერებულად განაცხადა: „ნუ ღელავთ, ძვირფასო, ჩვენს დროში კრაზს მეტად არ ექნება ადგილი“.

როგორც ცნობილია, ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის მიმდინარეობს ფარული კონკურენცია. იელის უნივერსიტეტი და ჰარვარდის უნივერსიტეტი დრო და დრო ცვლიან ერთმანეთში „თავაზიანობას“ და გვახსენებენ, თუ როგორ გამოეპარათ „კონკურენტულ ფირმას“ 1929 წლის საბირჟო კრაზი.

1980-იანი წლების ბოლოს ორივე უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ეკონომეტრიკის სფეროში გადაწყვიტეს გარკვეულიყვნენ, კონკურენტებიდან რომელს ჰქონდა უფრო სრულყოფილი პროგნოზირების მოდელი 1920-იანი წლების ბოლოსათვის და რატომ არ იმუშავა ამ მოდელმა. აღმოჩნდა, რომ ორივე უნივერსიტეტის მოდელი თანაბარი ხარისხით უუნარო იყო კრიზისის პროგნოზირებისათვის. მაგრამ, რაც უფრო გასაოცარია: სტატის ავტორები მივიდნენ არასანუგეშო, მაგრამ, ამავე დროს პატიოსან დასკვნამდე ორი წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტის საპროგნოზო შესაძლებლობებთან მიმართებაში. მათ აღიარეს, რომ 1920-იანი წლების ბოლოსათვის გამოყენებული რომ ყოფილიყო 1980-იანი წლების ბოლოსათვის არსებული მეთოდოლოგია, მაშინაც ამერიკული ეკონომიკური „გურუები“ ვერ შეძლებდნენ კრიზისის წინასწარმეტყველებას [4].

ასე რომ, 1929-1932 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა აშშ-ში გამოიწვია ბანკროტობა არა მარტო ფერმერული მეურნეობის, კომპანიებისა და ბანკების, აგრეთვე ე.წ. ეკონომიკური მეცნიერების. და ამგვარ ფარულ ბანკროტად რჩება ის დღემდე. მის ამკარა ბანკროტობას ჩვენ აღმოვაჩინეთ კიდევ ერთხელ, როცა ამერიკას მოიცავს ახალი კრიზისი. აკი ჰარვარდის, იელის და სხვა „ეკონომიკური მეცნიერების ტამრები“ აგრძელებენ ისეთივე ოპტიმიზმის გამოსხივებას, რასაც ისინი ასხივებდნენ ჯერ კიდევ „შავი ხუთშაბათის“ დადგომამდე ერთი დღით ადრე [6].

ვსწავლობთ რა ისტორიას იმაზე, თუ როგორ მზადდებოდა ნიადაგი 1929-1932 წლების კრიზისისათვის ამერიკაში, მივდივართ დასკვნამდე, რომ ამის მომზადებაში გადაწყვეტი როლი ითამაშა აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ. „მღელვარე ოციანების“ მისებურ პოლიტიკას შეიძლება ვუწოდოთ ლიბერალური. მას გააჩნდა იმ პოლიტიკის ნიშნები, რომელსაც ატარებს ფედერალური სარეზერვო სისტემა ჩვენს დროში და რომელსაც უწოდებენ „რაოდენობრივ შერბილებას“. მაშინ ამერიკაში ჯერ

კიდევ მოქმედებდა „ოქროს სტანდარტი“, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავდა „ფულის გამგებლების“ დაუოკებელ სურვილს ფულადი ემისიის გაფართოების მიმართ. მაგრამ მანაც კი, რისი გაკეთებაც მოასწრო ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 1920-იან წლებში, გამოიწვია ისეთი კატასტროფული შედეგები, როგორცაა 1929-1932 წლების კრიზისი და 1933-1940 წლების მომდევნო დიდი დეპრესია.

ძალზე რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ კატასტროფას გამოიწვევს ფედ-ის მიმდინარე „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკა. აკი ახლანდელი „ფულის გამგებლების“ „საბეჭდო მანქანას“ „ოქროს მუხრუჭი“ დიდი ხანია, რაც გაუქმებული აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Murray N. Rothbard. Economic Depressions: Their Cause and Cure – 1969.
2. Jerome Blum, Rondo Cameron, Thomas G. Barnes. The European world: a history. Little, Brown; 2nd edition, 1970
3. Mark Skousen. Who Predicted the 1929 Crash? – 1993.
4. Dominguez K. M., Fair R. C., Shapiro M. D. Forecasting the Depression: Harvard versus Yale // American Economic Review. September 1988.
5. К 90-летию «чёрных» дней октября 1929 года, https://tsargrad.tv/articles/k-90-letiju-chernyh-dnej-oktjabrja-1929-goda_219799.
6. «Чёрный четверг» 1929 года: Банкротство бизнеса и человеческого рассудка, https://tsargrad.tv/articles/chjornyj-chetverg-1929-goda-bankrotstvo-biznesa-i-chelovecheskogo-rassudka_218813.
7. Немного цифр к 90-летию начала Великой депрессии, <https://www.fondsk.ru/news/2019/09/19/nemnogo-cifr-k-90-letiu-nachala-velikoj-depressii-49043.html>

Malkhaz Chikobava

90TH ANNIVERSARY OF THE GREAT DEPRESSION OF 1929-33

Summary

The paper analyzes the dramatic events of the 30s of the last century that went down in history in the name of the Great Depression. Almost a century has passed, and debates are still ongoing about the causes of the crisis. The point of view is diverse. Some of them complement each other, but some points of view are completely contradictory.

One group of researchers and experts argues that the crisis of the 30s could have been avoided.

Others believe that the crisis was inevitable, it was the result of historical, economic, psychological laws, etc. They believe that such crises are not only possible, but also inevitable.

There is another point of view. It seems that the crisis of the 30s was the result of the mistakes of the "monetary authorities." In this sense, the impression is that the Fed has mismanaged the years preceding the stock market panic and the first days of the panic itself. In particular, the classics of monetarism, Milton Friedman and Anna Schwartz, in their fundamental study, Monetary History of the United States 1867-1960, argue that the crisis was provoked by the Federal Reserve. The latter is responsible for creating a "crisis of confidence", since banks were not provided with loans on time, so the entire wave of bankruptcy began. In their opinion, measures to expand bank lending, which had been carried out since 1932, could have been implemented earlier, especially in 1930 or 1931.

The crisis analysis of the 1930s was and remains the subject of heated debate. In short, the debate about the true causes of the Great Depression continues to this day, but one thing is certain: the economic crisis of the 1930s is a good lesson to draw the right conclusions, which must ensure that such devastating global economic crises never happen again.

Keywords: *Great Depression, Stock Exchange, Panic, Recession, Downturn, Crisis, Central Bank, Federal Reserve.*

MODELING OF IMPACT OF HUMAN CAPITAL ON ECONOMIC GROWTH

***Annotation.** Strategies of many countries are focused on two area of growth: sustainable and inclusive that couldn't be achieved without major contribution of human capital. It clear that these goals could be realized without a good education and training system, a large diffusion of knowledge in manufacturing services, a creative industries and a great effort to create a research-intensive economy. The contribution of human capital to economic growth has been accepted as by theoretical models and as by empirical studies. This study aims at providing a theoretical concept of human capital and its impact on economic growth. Another focus is overview of models describe relationship "Human capital – Economic growth".*

***Keywords:** modeling, human capital, economic growth.*

* * *

The role of human capital on economic growth has received much scientists attention. There are many study in economic literature that show the channels through which human capital accumulation and education may lead to economic growth.

Human capital affects growth through two mechanisms. Firstly, human capital directly participate in production as a productive factor. Therefore, the accumulation of human capital would directly generate the growth of output. Secondly, human capital can contribute to raising technical progress. In this way, the level of human capital affects productivity growth.

Human capital was generally defined into five categories: 1. Health facilities and services; 2. On-the-job training; 3. Formally organized education at the elementary, secondary and higher levels; 4. Study programs for adults; 5. Migration of individuals and families to adjust to changing job opportunities. The concept of human capital refers to the abilities and skills of human resources of countries, while human capital formation refers to the process of acquiring and increasing the number of people who have the skills, good health, education and experience that are crucial for economic growth.

There are a number of studies to investigate the relationship between human capital and economic growth. A lot of economist paid attention in estimating the relationship between these two issues like education and growth. According Keynesian Theory public expenditure can contribute positively to economic growth. Hence, an increase in the government consumption is likely to lead to an increase in employment, profitability and investment through multiplier effects on aggregate demand. As a result, government expenditure augments the aggregate demand, which provokes an increased output depending on expenditure multipliers. In Solow model, other things being equal, saving/investment and population growth rates are important determinants of economic growth. Higher saving/investment rates lead to accumulation of more capital per worker and hence more output per worker. On the other hand, high population growth has a negative effect on economic growth simply because a higher fraction of saving in economies with high population growth has to go to keep the capital-labor ratio constant. In the absence of technological change & innovation, an increase in capital per worker would not be matched by a proportional increase in output per worker because of diminishing returns.

Mankiw, Romer, and Weil (1992) have built a model to explain the growth endogenously by extending the Solow growth model to enlist human capital as a separate input from labor (known as MRW models). The variables in their model can be expressed in terms of efficiency unit of labor. Based on the similar production function and by assuming that the country specific shock is not correlated with the saving rate and population growth, the OLS estimation can be employed. They use average percentage of working people in secondary school to proxy for human capital investment rate and other traditional variables as well as the baseline coefficients, and establish relations among

the variables through the so called Augmented Solow model. The results show this model can explain over 67% of the cross-country difference in income per capita. Also, another interesting result is that the poor countries tend to converge to the steady state faster than the rich countries.

According to a framework of endogenous growth model, the production function takes the Cobb-Douglas form as the following.

$$\ln Y(t) = \ln A(t) + a \ln K(t) + b \ln L(t) + c \ln H(t) + \varepsilon(t), \quad (1)$$

where Y is GDP or output, K is the capital stock, L is labor, H is human capital, \ln is natural log, ε is disturbance term, a , b , c , and $\ln A$, are coefficients.

The coefficient in front of each variable is the elasticity of output with respect to that input. Such interpretation explicitly makes human capital an endogenous determinant of growth because if the stock of human capital increases by one percent, how many percentages the GDP rise, which is the same notion of growth. However, the objective of this section is to find the casual relationship patterns between human capital and economic growth, a prerequisite that needs to be verified is the existence of linear relationship as assumed by the econometric estimation method widely used, so called OLS (Ordinary Least Squares).

One of the main methodological problems is to choose the proxy indicator used to measure human capital, since the amount of influence is affected by the indicator chosen for this purpose. Nonnemen and Vanhoudt (1996) use as proxy in MRW model, the share of education expenditure in GDP and they conclude that the relationship between human capital and economic growth is insignificant. Murthy and Chien (1997) as a proxy of human capital using a weighted average of the population registered in tertiary education, secondary and primary and they conclude that there is a significant positive and direct links with economic growth. Barro and Lee (1993), Islam (1995) used as a proxy for human capital the average number of years of schooling of the population over 25 years. María Serena (2001) used as a proxy for human capital both individual income and the educational attainment of the population aged 25 years and over, as an average years of education. Izu-shi and Huggins (2004) used as a proxy for human capital the number of people in research development in the private sector. In many papers, because the average number of years of schooling is difficult to determine, this indicator was replaced by gross enrolment rate in primary, secondary and tertiary school or by enrolment rate (literacy rate).

There are a lot of research papers that estimate the relationship between public funding of education and economic growth both in developed and transition countries. Some results of Barro (1999), showed positive link between education quality and economic growth. Gregorious and Ghosh (2007) made use of the heterogeneous panel data to study the impact of government expenditure on economic growth. Their results suggest that countries with large government expenditure tend to experience higher economic growth. The positive impact of education quality more than quantity is highlighted by Hanushek and Woessmann (2007) who use as indicators of human capital the results of PISA and TIMS tests. Hanushek and Schultz (2012) for example showed that a deviation of 100 points in PISA test results may lead to a difference of 2 percentage points in the growth rate of GDP per capita.

In many researches Human Development Index (HDI) is chosen as a proxy indicator describing human capital. a statistic composite index of life expectancy, education, and per capita income indicators, which are used to rank countries into four tiers of human development. A country scores a higher HDI when the lifespan is higher, the education level is higher, and the gross national income GNI (PPP) per capita is higher. It used to measure a country's development by the United Nations Development Programme (UNDP)'s Human Development Report Office. Some scientist pay attention on Human Capital Index witch quantifies the contribution of health and education to the productivity of the next generation of workers. The Human Capital Index is a report prepared by the World Bank. The Index measures which countries are best in mobilizing the economic and professional potential of its citizens. The index measures how much capital each country loses through lack of education and health. The Index was first published in October 2018 and ranked 157 coun-

tries. The Human Capital Index ranges between 0 and 1 with 1 meaning maximum potential is reached.

The models mentioned above are positive relationship, statistically significant between GDP per capita and innovative capacity of human capital and qualification of employees (secondary education) as expected according to economic theory.

References:

1. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2019;
2. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. „ადამიან-კაპიტალი და მისი გაზომვის მიდგომები“. თსუ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 1-2 ნოემბერი, 2019;
3. Advancing Green Human Capital. A FRAMEWORK FOR POLICY ANALYSIS AND GUIDANCE. ILO, 2017;
4. Barro, R. J. (1991). Economic Growth in a Cross Section of Countries. *The Quarterly Journal of Economics*, 106(2), 407-419. <http://dx.doi.org/10.2307/2937943>;
5. Inclusive Wealth Report 2018. Measuring Progress Towards Sustainability. Taylor and Francis Group. New York, 2018;
6. Izushi Hir, Huggins R. Empirical analysis of human capital development and economic growth in European regions. Office for Official Publications of the European Communities, 2004;
7. Lyroni A., Anastasiou A., Liargovas P., Dermatis Z., Komninos Di. Factors Affecting the Relationship between Research and Development (R&D) and Economic Development in EU;
8. Mankiw, N. G., Romer, D., & Weil, D. R. (1992). A contribution to the empirics of economic growth. *Quarterly Journal of Economics*, 107, 407-438;
9. Mincer, J. J. (1997). The Production of Human Capital and the Life Cycle of Earnings: Variations on a Theme. *Journal of Labor Economics*, 15(1), S26-S47. <http://dx.doi.org/10.1086/209855>;
10. Romer, P. M. (1990). Human capital and growth: theory and evidence. National Bureau of Economic Research Working Paper No. 3173;
11. Pelinescu E. The impact of human capital on economic growth 2nd International Conference ‘Economic Scientific Research - Theoretical, Empirical and Practical Approaches’, ESPERA 2014, 13-14 November 2014, Bucharest, Romania. *Procedia Economics and Finance* · December 2015;
12. Tiruneh M., Radvansky M. The Contribution of Human capital to European Economic Growth: An empirical exploration from a panel data.

თენგიზ ქავთარაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორული და რეგიონული პრობლემები

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ბუნებრივ-რესურსობრივი პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინებით, ქვეყანაში აგრარული რეფორმების მიმდინარეობის პროცესი. განხილულია სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორული და რეგიონალური პრობლემები, დადგენილია მიზეზები რომლის მეშვეობითაც სექტორული პრობლემები იწვევენ რეგიონულ პრობლემებს.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, სექტორული ეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა.

შესავალი

განვითარებულმა ქვეყნებმა არაერთხელ გამოსცადეს სასურსათო როდუქციის არასტაბილური მიწოდებით გამოწვეული სექტორული უმწვავესი კრიზისები. ხანგრძლივი ძიების შემდეგ მათ შეძლეს გამოენახათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ პრობლემების გადაჭრის რეალური მექანიზმები. ამოსავალი გზების ძიების პროცესში თანდათან დაიმსხვრა მითი, რომ ბაზარს შესწევს უნარი ნებისმიერ სიტუაციაში თვითრეგულირების გზით მოაწესრიგოს მოახერხოს მოთხოვნა მიწოდების დაბალანსება. ნათქვამი სრულადაც არ ნიშნავს თვითრეგულირების პრინციპის აბსოლუტურ უარყოფას. პირიქით, ასეთი მდგომარეობა იდეალური პირობების არსებობის შემთხვევაში ყოველმხრივ დასაშვები და მისაღებია. რეალობამ აჩვენა, რომ საბაზრო კანონების სტიქიური მოქმედება დიდი რისკ-ფაქტორია. ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის - აგრო სასურსათო წარმოების განვითარების სექტორული კრიზისი, უმნიშვნელოვანეს მადესტაბილურ ფაქტორად იქცა მთელი სახელმწიფოსთვის, რის შედეგადაც მათ ამოქმედეს რეგულირების მექანიზმი და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მართვადი და პროგნოზირებადი გახადეს. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დააგროვეს ევროკავშირის ქვეყნებმა, სოფლის მეურნეობის სექტორული განვითარების მიზნით იაონიაში 1946 წელს მიღეს კანონი „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“, ანალოგიური კანონი აქვთ მიღებული ევროკავშირის ქვეყნებშიც იქ არსებული „სასურსათო კეთილდღეობა“ მიღებულია სახელმწიფო ქმედებათა ერთობლიობით.

სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორული რეგულირების მექანიზმები სამ ძირითად ჯგუფად ერთიანდება. ესენია: ფასებით რეგულირების, რაოდენობრივი რეგულირებისა და საბაჟო რეგულირების მექანიზმები. ასეთი სექტორული რეგულირების ძირითადი ამოცანაა საკუთარი მწარმოებლის დაცვა და წარმოების ოპტიმალური დონის შენარჩუნება.

* * *

აგრარული ბაზრის ფასებით რეგულირება გულისხმობს აგროპროდუქციაზე ოპტიმალური ფასების დაწესების ხელშეწყობას, რისთვისაც ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წარმოების საშუალებების ფასების დოტირება. ამით ხდება აგროპროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ფასები რეგულირდება ძირითად სასურსათო პროდუქციაზე, რათა წონასწორობაში იქნას მოყვანილი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, შემცირდეს საგარეო ბაზრის უარყოფითი ზემოქმედება და გაიზარდოს ნამეტი პროდუქციის ექსპორტი. ევროკავშირის ქვეყნებში ფასებით რეგულირების ჩარჩოებში ხშირად იყენებენ მინიმალურ (გარანტირებულ, ინტერვენციულ) ფასებს, რომლითაც ხდება აგროპროდუქციის შესყიდვა მაშინ, როდესაც საბაზრო ფასები დაწესებულ მინიმალურ ზღვარს ქვემოთ ეცემა. ამგვარი ოპერაცია ხორციელდება მაშინ, თუ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დაწესებულ კვოტებს არ აჭარბებს. გარდა მინიმალური ფასებისა, ფართოდ გამოიყენება საორიენტაციო ფასები, რომლებიც პროდუცენტს წარმოდგენას აძლევს ფასების შესაძლო (უმაღლესი ან უდაბლესი) დონის შესახებ.

აგრარული ბაზრის საბაჟო რეგულირებით ხდება იმპორტის შეზღუდვა და ექსპორტის სტიმულირება. თუმცა არის შემთხვევები (მაგალითად, როცა შიდა ბაზარზე, რომელიმე, სახის სურსათის დეფიციტ იქმნება), როდესაც საბაჟო რეგულირებას იყენებენ იმპორტის ხელშესაწყობად ან ექსპორტის აღსაკვეთად.

აგრარული ბაზრის რაოდენობრივი რეგულირების მეშვეობით ხდება მიწოდების ამპლიტუდის სტაბილურობა, რათა არ მოხდეს ფასების მკვეთრი ცვლილება, რისთვისაც გამოიყენება ბაზარზე ინტერვენციული ჩარევის მეთოდი აგროპროდუქციის ყიდვით და გაყიდვით (დეფიციტის ან ჭარბწარმოებისას).

აგროწარმოების სექტორული განვითარების ხელშეწყობისათვის ხორციელდება საგადასახადო სისტემის გამარტივება სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა და სხვ.

ეკონომისტთა ერთ ნაწილში დომინირებს აზრი, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისუფლების კრიტერიუმის შემოტანით ყველა მოქმედება ნებადართული ხდება, რაც ნიშნავს, რომ არაფერი არ არის აკრძალული. ასეთმა მიდგომამ, როგორც უკვე ავლნიშნეთ ვერ გაუძლო დროის მოთხოვნებს და იგი არ გასცდა თეორიული მიდგომის ჩარჩოებს. პრაქტიკულად საბაზრო ეკონომიკა უფრო რთული და ძნელად „მოსათვინიერებელი“ აღმოჩნდა, ვიდრე იგი ერთ შეხედვით წარმოჩინდება. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობის გაძლიერებაში სასურსათო ბაზრის რეგულირება ამა თუ იმ დოზით ნებისმიერი ქვეყნისათვის აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე რეალურად იბადება კითხვა – რა ობიექტური ფაქტორებითაა გამოწვეული სასურსათო ბაზრის რეგულირების განვითარების სექტორული აუცილებლობა და გარდუვალობა?

ბუნებრივია ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა დასმულ კითხვაზე სერიოზული პოლემიკის საგანს წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ წინ წამოგვეწია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებსაც პირდაირი კავშირი აქვს გარდამავალ ეტაზე მმყოფი საქართველოს აგროსასურსათო სექტორის მდგომარეობასთან,

– ადმინისტრაციულ-მბრძანებლური და გეგმიანი მეურნეობის ეკონომიკური სისტემიდან თანაბდროვე თავისუფალ-ლიბერალურ პრინციპზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წარმოადგენს რთულ გარდამავალ პროცესს. უნდა დაიშალოს ძველი სისტემა და ნანგრევებზე, ქაოსიდან შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური სისტემა, რომელიც დამყარებული იქნება ინციატივებზე და საბაზრო ეკონომიკის კანონებზე. ეს ქმნის იმის აუცილებლობას, რომ რეგულირების გზით ბაზარმა გარკვეული დოზით გაითვალისწინოს აგროსასურსათო სექტორის პერსპექტივაში განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები.

– ისტორიულად საქართველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოკლიმატური პირობების მეშვეობით, თანდათან ჩამოყალიბდა მაღალი კულტურის მრავალპროფილიან აგრარულ სახელმწიფოდ. ეს კი პერსპექტივაში მისი შემდგომი განვითარების ბუნებრივი აუცილებლობისაკენ მიგვითითებს. ასეთ სიტუაციაში წარმოიქმნება ზოგიერთი არაორდინალური გადაწყვეტის მიღების საჭიროება.

– სოფლის მეურნეობა, როგორც ქვეყნის მეურნეობის წამყვანი დარგი არა უბრალოდ პრიორიტეტული სფეროა, არამედ მისი ბიუჯეტის შევსების ყველაზე პერსპექტიულ წყაროსაც წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემებით 2017 წელს მთლიანად ერთობლივ პროდუქციაში, არახელსაყრელი კლიმატური ირობების მიუხედავად მისი ხვედრითი წილი 25%-ს შეადგენდა, რაც მრეწველობის შესაბამის მაჩვენებელს ორჯერ აღემატებოდა. მასზე მოდიოდა ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48,5%).

აღნიშნული მომენტების გათვალისწინება და სასურველი მიმართულებებით წარმართვა რეგულირებადი ბაზრის გარეშე შეუძლებელია. ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა არ მიიღწევა სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის გარეშე.

სიღარიბის პრობლემის გადაჭრა პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას. ამ მხრივ უმთავრესია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ფაქტორი, რომელიც ასახვას შემდეგი ამოცანების გადაჭრაში პოულობს:

- სურსათით თვითუზრუნველყოფის აუცილებელი დონის მიღწევა;

- სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება პროდუქციის მიწოდების რეგულირების გზით:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების შენარჩუნება და ზრდა;

- სასოფლო მწარმოებლების დაცვა მათზე საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისაგან;

საბაზრო ეკონომიკა ისეთი სისტემაა, რომლის მართვა მხოლოდ კანონებით ხორციელდება. ამ კუთხით იგი მეტად დატვირთულია და „მდიდარია“. თვისობრივად სისტემა თავის თავში გულიახმობს და ამასთან აუცილებლად მოითხოვს კანონების პრიორიტეტს. მიღებული კანონები ნათლად უნდა ასახავდეს და მიუთითებდეს ვინ რას აკეთებს? ვის რა ევალეზა? ვინ ვის წინაშე და რა საკითხებში აგებს პასუხს? სხვა შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკა, მასში არსებული უდიდესი მასტიმულირებელი პოტენციის მიუხედავად, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

საერთაშორისო დონეზე სასურსათო სიტუაციის მართვის მექანიზმები არ არის ისეთი მოქნილი, რომ მდგომარეობა არ გამოვიდეს კონტროლიდან, როგორც ეს 1972-73, 1979-80, 1995-96 წლებში მოხდა და სურსათზე (ძირითადად მარცვლეულზე) ფასები რამდენჯერმე გაიზარდა, როდესაც ამგვარ შემთხვევებს აქვს ადგილი, სახელმწიფოთა მთავრობები მყის ივიწყებენ დეკლარირებულ ჰუმანურ იდეებს და საკუთარ ეროვნულ ინტერესებს ხისტად გამოხატავენ.

საქართველოსთვის ყველაზე არსებული ის არის, რომ ქვეყნის აგროსასურსათო წარმოების აღორძინება ისე წარიმართოს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. სურსათი კი იმდენი უნდა ვაწარმოოთ, რასაც ჩვენი ბუნებრივი შესაძლებლობები იძლევა. ხელისუფლებისა და ეკონომიკის ყველა რგოლი მოვალეა განუხრელად ასრულებდეს მას.

90-იანი წლების დასაწყისის კატასტროფული მოვლენები სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორსაც შეეხო. გარკვეულ წილად ამის მიზეზი იყო სსრკ-ს დაშლა. ძველი, ხელოვნურად ინტეგრირებული სისტემის დანგრევა და გარდამავალი პერიოდის სიძნელები. მაგრამ რიგი პრობლემების გაჩენა არასწორმა, სუბიექტურმა პოლიტიკამაც განაპირობა.

პოპულისტური, ნაჩქარევი ნაბიჯების გამო დაიქსაქსა და გაიძარცვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პარკისა (ყოფილი სსრკ-ს გამოშვებისა), გარდა უკანასკნელ 10 წელიწადში შემოტანილი რამდენიმე ათეული ტრაქტორისა და კომბაინისა, ამორტიზირებულია და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს ან განახლებას, ხოლო მისი განახლება დღეისათვის გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს.

არსებული სექტორული აგრარული პრობლემები ქვეყანაში მოიცავს ა) წვრილ მიწათმფლობელებს (1056 ათას კომლს), რომელთა მფლობელობაშია საშუალოდ 0,34-1,25 ჰა; ბ) საშუალო მიწათმფლობელებს (32,0 ათასს კომლს), რომელთაც გააჩნიათ 11-12 ჰა; და გ) მსხვილ მიწათმფლობელებს (6,3 ათას იურიდიულ პირს), რომელთას საშუალოდ გააჩნიათ 93 ჰა ყოველ აღნიშნულ მწარმოებელთა (ფერმერთა) კატეგორიას აქვს თავისი სპეციფიკური პრობლემები და საჭიროებენ დიფერენცირებულ მიდგომას. დღეისათვის ყველაზე უმეტეს ნაწილს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა აწარმოებენ გლეხური მეურნეობანი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან თვითუზრუნველყოფაზე და ხასიათდებიან სასაქონლო წარმოების დაბალი დონით.

რეალობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ერთის მხრივ, საფუძვლიანად მოიშალა (ან ამჟამადაც მიმდინარეობს) წინა სისტემისთვის დამახასიათებელი, სოფლის მეურნეობის სექტორული ხელშემწყობი სამსახურები და, მეორეს მხრივ, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი რეალობებიდან გამომდინარე, გლეხური და სხვა საშუალო თუ მსხვილი მეურნეობების განვითარების ხელშემწყობი სამსახურების წარმოქმნა ან ძველი სამსახურების ტრანსფორმაცია. მრავალი რაიონული სოფლის მეურნეობის სამსახური ჯერკერობით ვერ მოერგო თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს, ვერ ახორციელებს თავის მომსახურებას და განწირულია სრული განადგურებისათვის. რეგიონებისა და რაიონების დონეზე ძველი სისტემიდან დღეს შემორჩენილია: მცენარეთა დაცვის სადგური, თესლის ხარისხის ინსექცია, ზოო-ვეტერინარული სადგური, ბიოლაბორატორია (დერატიპიკაციის), ხელოვნური დათესვის პუნქტი, ჯიშთა გამოცდისა და სელექციის სადგური, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის ხარისხის ინსპექციის განყოფილება, წყალთა მეურნეობის (მელიორაციის) სამმართველო და სხვა. ამათგან ზოგიერთი სამსახური ახერხებს ფუნქციონირებას, მაგრამ შეზღუდული მასშტაბებით, ზოგიერთი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს, ზოგიერთი კი განიცდის ინფორმაციის დეფიციტს. ხსენებული სამსახურების კოორდინაცია მეტად არადამაკმაყოფილებელია. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო სათანადოდ ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას.

აღსანიშნავია, რომ სწორედ რეგიონულ დონეზე არის შესაძლებელი ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა მასშტაბის მწარმოებლებთან, შესაძლებელია საჭიროებებისა და მოთხოვნები ფიქსირება, ადგილობრივი სეციალისტების მობილიზება და ინფორმაციისა და კონსულტაციის განხორციელება, სოფლის მეურნეობის მომსახურე სამსახურების კოორდინაცია. რაიონულ დონეზე არსებულმა რაიონელმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოებმა უნდა შეიძინონ ინფორმაციულ-კონსულტატური და ტექნიკური მომსახურების ფუნქცია.

დასკვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორული რობლემა ხშირად წარმოქმნის რეგიონალურ პრობლემებს, ნაგალითად, მიწების გამოფიტვამ და ქარისმიერი ეროზიის ხანგრძლივმა პერიოდმა მკვეთრად შეამცირა მიწის ნაყოფიერება დედოფლის წყაროს რაიონის ატარა შირაქის, ზილიჩის, დიდი შირაქისა და სხვა მარცვლეულის მწარმოებელი რაიონების ფერმერების დიდ ნაწილში, მიწა გამოიფიტა ინტენსიური გამოყენების გამო. მარცვლეულის მოსავლიანობა დავიდა 600 კილოგრამამდე (სათესლე მასალის 200 კგ-ის პირობებში).

ქარიშხლების შედეგად გამოფიტულ მიწებზე იკარგება მარცვლეულის მოსავლის დიდი რაოდენობა.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად აშშ-ს ინოვაციური ცოდნის სისტემების გამოცდილების განზოგადოების მსგავსად, დედოფლის წყაროს და სხვა მარცვლეულის მწარმოებელ რაიონებში უნდა გატარდეს მიწების გამოყენებისა და კონსერვაციის ოლიტიკა. მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, რომ მიწების უკეთ გამოყენებისათან დაკავშირებით ფერმერებს სჭირდებათ წახალისება და ცოდნიწს გადაცემა. მათ დახმარების სახით უნდა გაეწიოს უფასო მომსახურება ბელტის გადაუბრუნებლად ნიადაგის წინმხვნელიანი გუთნებით მოხვნისათვის ან მიეცეთ ფულადი დახმარება მიწების გასაუმჯობესებლად. რუზველტის ადმინისტრაციის მსგავსად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ფერმერები სესხებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჰიბრიდული თესლების და სასუქების შესანახად და არა მხოლოდ შესაძენად.

სოფლად მცხოვრები ფერმერების აბსოლუტური უმრავლესობა ფლობენ ერთ ჰექტარამდე მიწის ფართობებს, აღნიშნული მიწების ინტენსიური გამოყენების მიზნით, ვენჩერული დაფინანსების გამოცდილების გაზიარებით უნდა მოეწყოს „საჩვენებელი“ ფერმები, სადაც შეისწავლიდნენ, დაადგენდნენ და რჩევას მისცემდნენ ფერმერულ კადრებს და ოჯახებს თუ რომელი სახეობის, ჯიშის და რა რაოდენობის მოსავლის მიღებაა შესაძლებელი და ეკონომიკურად ხელსაყრელი აღნიშნულ მიწის ფართობებზე.

სოფლის მეურნეობაში არსებული რეგიონალური პრობლემების მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ხელისუფლებას სოფლად კოოპერაციული სისტემის დანერგვა-განვითარება მიაჩნია რაც შეეხება შეკითხვას – „წარმოადგენს თუ არა კოოპერაციული შისტემა ინოვაციას საქართველოსთვის?“ ჩვენი აზრით საქართველოში სრულიად გასაგები მიზეზებისა და გარემოებების გამო, რამდენადმე საგულისხმო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება ამ სისტემასთან მიმართებაში არ არსებობს და შეუძლებელიცაა რომ არსებობდეს, რადგან სამოცდაათი წლის მანძილზე ხელოვნურად რეგულირებული გეგმიური ეკონომიკა, თავისუფალი ბაზრის აკრძალვის, კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის დათრგუნვისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით ძალმომრეობითი „საწარმოო კოოპერაციის“ დანერგვის ირობებში, აღნიშნული სისტემა ვერ განვითარდებოდა. მეტიც 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ოცწლიან პერიოდშიც დარგის განვითარებასთან დაკავშირებული რამდენადმე გააზრებული და გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული პოლიტიკა არც შემუშავებულა და არც გატარებულა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები-ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010.
3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003.

4. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უზიარობა: რეალობა და პროგნოზები, თბილისი, 2004.
5. მესხია ი. ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები. ჟ. "ეკონომიკა". 1996, № 1-3.
6. Илларионов А. Критерии экономической безопасности. ж. "Вопросы экономики". 1998, № 10.
7. Сенчагов В. К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие (книга четвертая). Институт экономики РАН, Москва, ЗАО "фин-статинформ", 2002.

Tengiz Kavtaradze

SECTORAL AND REGIONAL PROBLEMS OF AGRICULTURAL DEVELOPMENT OF GEORGIA

Summary

Reality shows that in Georgia, on the one hand, thoroughly destroyed (or still in progress) the previous system of the agricultural sector contributing services and, on the other hand, the slow is pace of emergence or transformation of services contributing to development of farmers and other medium or large farm in the new reality. Many district agricultural departments fail to adapt to free market relations, fail to deliver their services, and are doomed to complete destruction. At the regional and district level, the old system remains today: Plant Protection Station, Seed Quality Inspection, Zoo-Veterinary Station, Biolaboratory, Artificial Seeding Station, Breed Test and Selection Station, Agricultural Product and Food Quality Inspectorate, Water Quality Inspection Division etc. Some of these services can be operated, but the scales are limited, some are virtually non-operational, some suffer from a lack of information. The coordination of these services is very unsatisfactory. All of the above shows that the Ministry of Agriculture and Food is not properly performing its function.

It is noteworthy that at the regional level it is possible to have intensive relations with producers of different scales, to identify needs and requirements, to mobilize local specialists and to provide information and consultation, to coordinate agricultural services. At the district level, the Department of Agriculture and Food should acquire information-consulting and technical services.

Development of Agriculture Sector problems often generate regional problems, long period of wind erosion and land depletion sharply reduced the productivity of the land of Dedoplistskaro in Shiraki, Zilicha, Large Shiraki grain producing regions much of the land is depleted due to the intensive usage. Grain yields dropped to 600 kg (200 kg of seed material). Large amounts of grain crop are lost in lands affected by hurricanes.

Similar to the generalization of US innovation knowledge systems experience to decide this problem, land use and conservation policies must be implemented in the Dedoplistskaro and other grain producing areas. The government should decide that farmers need encouragement and knowledge to make better use of the land. They should be provided with free assistance or cash assistance to improve the land. Like the Roosevelt administration, the government should provide farmers with loans, agricultural machinery, hybrid seeds and fertilizers, not just for purchase.

Rural farmers overwhelming majority holds one hectare of land for the land intensive use, owing to venture funding practices should be organized 'tracks' farms, where will be studied, established and advised the farm staff and families to see which species, varieties and quantity of harvest, etc. is economically advantageous to the land.

In agriculture, to overcome the difficult situation in the existing problems, the government considers the rural cooperative system development and implementation; the question whether co-operation system is innovation or not for Georgia. In our opinion due to quite understandable reasons and circumstances, considerable practical knowledge and experience in this system does not exist, because seventy years of artificially controlled planned economy, prohibition of the free market, the private property and private enterprise, in the conditions of Soviet economies in the form of

violent "Industrial Cooperation" could not be developed. Moreover, since the declaration of independence in 1991, for some twenty years, a policy that has been well thought out and based on long-term strategic vision has neither been developed nor implemented.

Ната Давлашеридзе

НОВЕЙШИЕ ТЕНДЕНЦИИ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ ПОЛЬШИ

Аннотация. В статье рассматриваются новейшие тенденции инновационного развития Польши на основании анализа различных информационных ресурсов в данной сфере и данных последних региональных отчетов.

В настоящее время в Польше четко определены следующие основные задачи в разработке политики в области R&I и принимаются важные меры по их решению: увеличение интенсивности частных исследований и разработок; укрепление сотрудничества науки и промышленности; повышение качества государственной исследовательской базы; усиление процесса определения приоритетов в системе управления R&I.

По данным портала Компас STIP наиболее распространенными инструментами инновационной политики Польши являются проектные гранты для общественных исследований, гранты для R&D бизнеса и инноваций, стипендии для студентов и аспирантов ВУЗов, реформирование государственных структур управления в области инноваций.

Также отмечается, что одной из ключевых тенденций инновационного развития Польши является следование концепции Smart Specialization (Программа RIS3), представляющей собой региональный подход, при котором определение стратегических областей для регулирования основано как на анализе сильных сторон и потенциала экономики, так и на Процессе открытого предпринимательства (EDP). Принятый в январе 2019 г. закон о фонде «Платформа для индустрии будущего» направлен на содействие росту конкурентоспособности предпринимателей и их развитию в направлении промышленности, путем поддержки их цифровой трансформации в сфере процессов, продуктов и бизнес-моделей, использование новейших достижений в области автоматизации, искусственного интеллекта и информационных технологий.

В материалах платформы RIS3 выделены следующие приоритетные направления умной специализации Польши: производство и промышленность; устойчивые инновации; ключевые технологии; информационные и коммуникационные технологии; деятельность в сфере здравоохранения и социальной работы.

На национальном уровне на данный момент Польша располагает 13 центрами цифровых инноваций (6 полностью функционирующих и 7 находящихся в стадии подготовки), охватывающими различные области рынка и широкий спектр технологических областей.

В целом, согласно оценке портала Компас STIP Польша является умеренным инноватором и в 2019 году занимает 39 место среди 128 стран по данным Глобального индекса инноваций.

Ключевые слова: инновации, умная специализация, европейские и глобальные показатели, платформы RIO, S3P, RIS3, STIP

Введение

Для того, чтобы оценить динамику развития инноваций в Польше за последние годы, традиционно используются следующие сравнительные источники информации и показатели:

- Научно-инновационная обсерватория Евросоюза (RIO - Research and Innovation Observatory);
- Платформа по вопросам инновационной политики ОЭСР и Всемирного банка (IPP-Innovation Policy Platform);

– Специальный ресурс Еврокомиссии Smart Specialization Platform (S3P). На основании этой единой стратегии страны разрабатывают собственные и принимают соответствующие законы. Одним из успешных примеров такого подхода является Польша.

В целом страна показывает хорошую динамику развития, что связано прежде всего с прогрессом в сфере инноваций.

* * *

Научно-инновационной обсерваторией Евросоюза (RIO), которая разработана совместно Объединенным исследовательским центром двух Директоратов Еврокомиссии по исследованиям (JRC) и инновациям (RTD), подготовлен новейший региональный отчет по Польше в 2018 году⁷.

Согласно документу, в настоящее время в стране определены следующие задачи в разработке политики в области R&I и принимаются важные меры по их решению:

Задача 1. Увеличить интенсивность частных исследований и разработок

- повышенная привлекательность налоговых льгот на R&I
- деятельность государственных финансирующих агентств, предлагающих большой портфель поддержки компаниям, интенсивно занимающимся исследованиями и разработками, и нацеливающих их на проведение информационной кампании
- запуск новых фондов венчурного капитала (Witelo, NCBR VC, NCBR CVC, STARTER, BIZNEST, KOFFI) с корпоративными партнерами

Задача 2. Укрепить сотрудничество науки и промышленности

- ориентация политиков на реформу высшего образования, планы реформирования научно-исследовательских институтов и развитие ориентированных на промышленность карьерных путей для ученых
- запуск схемы промышленной докторантуры
- наличие различных грантов, поддерживающих сотрудничество и коммерциализацию

Задача 3. Повысить качество государственной исследовательской базы:

- подготовка Закона о высшем образовании и науке, а также Закона о научно-исследовательской сети Лукашевича
- консультации с заинтересованными сторонами и экспертная оценка (PSF H2020) в поддержку подготовки Закона о высшем образовании и науке
- планы проведения различия между исследовательскими и преподавательскими университетами, изменение методов институциональной оценки и распределения финансирования R&I
- создание Польского национального агентства по академическому обмену (NAWA) для внутренней и международной мобильности исследователей

Задача 4. Усилить процесс определения приоритетов в системе управления R&I

- повышенная межведомственная координация в некоторых областях, например, в создании электромобилей
- объявленное намерение упорядочить / расставить приоритеты в списке умных специализаций, представленных в Стратегии ответственного развития

В то же время на смену платформе IPP- Innovation Policy Platform пришел **Компас STIP**⁸, который является инициативой Европейской комиссии и ОЭСР по сбору в одном окне количественных и качественных данных о национальных тенденциях в области науки, технологий и инноваций (STI). Портал ведет постоянный мониторинг и анализ политики стран в STI-области и ставит своей целью стать центральной платформой для политических исследований и консультирования правительственных чиновников, аналитиков и ученых. STIP Compass включает в себя более 500 интерактивных информационных панелей и предоставляет сложный инструмент поиска с интеллектуальной фильтрацией, которая облегчает анализ широкого круга вопросов страновых политик STI.

⁷ <https://rio.jrc.ec.europa.eu/en/country-analysis/Poland/country-report>

⁸ <https://stip.oecd.org/stip.html>

Согласно оценке Компаса STIP, Польша является умеренным инноватором.

Основные инструменты инновационной политики страны и их финансирование представлены в следующей таблице⁹:

<i>Инструменты политики</i>	Less than 1 M	1M-5M	5M-20M	20M-50M	50M-100M	100M-500M	More than 500M	Don't know	Not applicable
Грантовая поддержка Центров превосходства									
Кластеры и другие сетевые и совместные платформы									
Создание или реформа структуры управления или государственного органа									
Выделенная поддержка новых исследовательских инфраструктур									
Акционерное финансирование									
Займы и стипендий студентов и аспирантов									
Официальные консультации для заинтересованных сторон или экспертов									
Гранты для R&D бизнеса и инноваций									
Горизонтальные координационные органы по STI									
Инновационные ваучеры									
Институциональное финансирование общественных исследований									
Регулирование и стимулирование мобильности рабочей силы									
Займы и кредиты на инновации в фирмах									
Национальные стратегии, повестки дня и планы									
Политический анализ (например, оценки, обзоры и прогнозы)									
Программы закупок для НИОКР и инноваций									
Проектные гранты для общественных исследований									
Кампании по информированию общественности и другие пропагандистские мероприятия									
Вызовы в науке и инновациях, призы и награды									
Стандарты и сертификация в сфере технологий									

⁹ <https://stip.oecd.org/stip/countries/Poland>

Большой интерес для оценки тенденций инновационного развития Польши также представляет ресурс Исследовательских и инновационных стратегиях умной специализации Европейского союза (EU Research and Innovation Strategies for **Smart Specialization, RIS3**)¹⁰. Концепция Smart Specialization, разработанная в рамках реформированной Европейской комиссией политики сплочения, представляет собой региональный подход, при котором определение стратегических областей для регулирования основано как на анализе сильных сторон и потенциала экономики, так и на Процессе открытого предпринимательства (Entrepreneurial Discovery Process - EDP). Важность EDP связана с признанием того, что у правительства нет изначальной мудрости или предварительных знаний о будущих приоритетах. Политики должны остерегаться логики, согласно которой оно с самого начала знает, какие области специализации должны быть разработаны, и поэтому ограничивается созданием стимулов для частного сектора выполнить план. Но что, если нет руководителя с надежными и панорамными знаниями, необходимыми для этой ведущей роли? Эта неопределенность является основной причиной того, что администрация и политика должны быть готовы выслушать предпринимателей, исследователей и граждан, чтобы определить приоритеты и способствовать появлению и росту новых видов деятельности.

В материалах платформы названы следующие приоритетные направления умной специализации Польши:

1. Производство и промышленность
2. Устойчивые инновации
3. Ключевые технологии
4. Информационные и коммуникационные технологии
5. Деятельность в сфере здравоохранения и социальной работы

В соответствии с данной программой RIS3 в конце января 2019 года президент Польши подписал **закон** о фонде «Платформа для индустрии будущего». Целью фонда являлось содействие росту конкурентоспособности предпринимателей и их развитию в сторону промышленности. Сюда входила поддержка их цифровой трансформации в сфере процессов, продуктов и бизнес-моделей, использование новейших достижений в области автоматизации, искусственного интеллекта, информационных технологий и связи между машинами и человеком и машинами. В документе показано, что на национальном уровне Польша располагает 13 центрами цифровых инноваций (6 полностью функционирующих и 7 находящихся в стадии подготовки), охватывающими различные области рынка - сельское хозяйство, строительство, обрабатывающую промышленность (продукты питания, текстиль, химикаты, основные и готовые металлические изделия, электрическое и оптическое оборудование, машины, электрооборудование), транспорт, энергосистему, государственное управление, образование и здравоохранение - охватывающими широкий спектр технологических областей, представленных ниже:

- «Аддитивное производство» (3D печать) – процесс создания цельных трехмерных объектов практически любой геометрической формы на основе цифровой модели.
- Продвинутое или высокопроизводительные вычисления - НРС (High-Performance Computing)
 - Искусственный интеллект и когнитивные системы
 - Дополненная и виртуальная реальность, визуализация
 - Широкополосные и другие сети связи (например, 5G)
 - Облачные вычисления- Cloud computing
 - Кибербезопасность (включая биометрию)
 - Интеллектуальный анализ данных, большие данные, управление базами данных
 - Игрофикация - (геймификация, от англ. *gamification*) — применение для прикладного программного обеспечения и веб-сайтов подходов, характерных для компьютерных игр, в

¹⁰ <https://s3platform.jrc.ec.europa.eu/home>; <https://s3platform.jrc.ec.europa.eu/regions/PL/tags/PL>

неигровых процессах с целью привлечения пользователей и потребителей, повышения их вовлечённости в решение прикладных задач, использование продуктов, услуг

- Управление информационно-коммуникационными технологиями – ICT (Information and communications technology), логистика и бизнес-системы
- Технологии взаимодействия (например, взаимодействие между человеком и машиной, распознавание движения и языковые технологии)
- Интернет вещей (например, подключенные устройства, сенсоры и сети исполнительных механизмов)
- Интернет-услуги (например, веб-разработка, веб-производство, проектирование, создание сетей и электронная торговля)
- Технологии на основе местоположения (например, GPS, GIS, внутренняя локализация)
- Микро- и нанoeлектроника, интеллектуальная системная интеграция (smart system)
- Новые медиа-технологии
- Фотоника, электронные и оптические функциональные материалы
- Органическая и крупногабаритная электроника (OLAE)
- Робототехника и автономные системы
- Экраны и технологии отображения
- Сенсоры, приводы, MEMS, NEMS, RF
- Симуляция и моделирование
- Программное обеспечение как сервис и сервисная архитектура

На региональном уровне деятельность каждого центра должна соответствовать требованиям RIS3, обеспечить увеличение инвестиций в научные исследования. В документе «Платформа для индустрии будущего» представлены шесть важнейших шагов, которые необходимо сделать стране и каждому региону для разработки стратегии «умной специализации» на основе базовых принципов, описанных в RIS3. Эти шаги проиллюстрированы примерами передового опыта скандинавских стран. Особое внимание уделено использованию концепции четырехзвенной спирали (quadruple helix) в контексте RIS3. Данная концепция расширяет популярную парадигму тройной спирали (triple helix), указывая на то, что наряду с наукой, промышленностью и государством ключевую роль в инновационном процессе играет общество, которое зачастую является конечным пользователем инноваций и поэтому существенно влияет на создание знаний и технологий через спрос и реализацию пользовательской функции. Несмотря на то что такой подход требует более значительных усилий, «четырёхзвенная» модель вполне пригодна для разработки стратегий «умной специализации». Реализация потенциала этой инициативы и демонстрация ее преимуществ предполагают соответствующий пересмотр мер политики. Кроме того, растет потребность в методиках количественной оценки эффекта «умной специализации».

Заключение

Традиционно для обобщенной оценки тенденций развития стран используются данные **Глобального индекса инноваций** (The Global Innovation Index (GII) 2019: *Creating Healthy Lives—The Future of Medical Innovation*)¹¹, который рассчитывается по методике международной бизнес-школы INSEAD и Всемирной организации интеллектуальной собственности (WIPO). GIИ составлен на основе 80 различных переменных, детально характеризующих инновационное развитие стран мира, находящихся на разных уровнях экономического развития и отражающих как наличие инновационного потенциала, так и условия для его воплощения. В GIИ Польша в 2016 году заняла 39 место среди 128 стран, получив 44,2 балла из 100 возможных пунктов, поднявшись с 45-го места 2015 года на семь пунктов (46 баллов). В 2019 году Польша осталась на 39 месте.

¹¹ <https://www.globalinnovationindex.org/home>

Здесь можно отметить, что и Грузия значительно улучшила свои показатели и поднялась с 73 места 2015 г. (имея 33.8 балла) на 64 место в 2016 г., и на 48 место в 2019 году – это самый высокий темп в регионе. Такие улучшения подкрепляются темпами роста производительности, где страна занимает 8-е место, положительным чистым притоком прямых иностранных инвестиций (11-е место) и легкостью открытия бизнеса, где она занимает 2-е место в мире. По основным требованиям Грузия улучшила свои позиции в шести из семи пунктов, что особенно заметно по развитости рынка (15-е место). В инвестиционном подразде Грузия сейчас занимает 1-е место в мире (по сравнению с 21-м в прошлом году) и является 2-й по величине экономикой по легкости защиты миноритарных инвесторов.

Использованная литература

1. The Global Innovation Index (GII) 2019: Creating Healthy Lives—The Future of Medical Innovation
2. Klinecicz K., Marczevska M., Szkuta K., RIO Country Report 2017: Poland, EUR 29150, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2018
3. Financing innovative business investment in Poland. (DCT) Country report. http://innovation.oecd.org/corpus/10_1787_d7605f72-en. Jan 18, 2019
4. Strengthening innovation in Poland. http://innovation.oecd.org/corpus/10_1787_abf2c877-en. Jul 31, 2018

Nata Davlasheridze

THE LATEST TRENDS IN POLAND 'S INNOVATIVE DEVELOPMENT

Summary

The article considers the latest trends of innovative development of Poland based on review of different information sources in this area and latest regional reports data.

The main tasks in R&I policy development in Poland are now to increase the level of private research and development, to strengthen cooperation between science and industry, to improve the quality of the public research base, to strengthen the process of determining priorities in the R&I management system. The article states that those tasks were clearly defined, and major efforts have been made to solve them.

According to STIP COMPASS the most common instruments of innovation police in Poland are project grants for public research, grants for business R&D and innovation, fellowships and postgraduate loans and scholarships, reform of governance structure or public body.

The article also notes that one of the Poland's innovation development key trends is following the Smart Specialization concept (RIS3 Program). This is a regional approach where the strategic areas of regulation selections are based on the analysis of economy strengths and potential, and also on the Entrepreneurial Discovery Process (EDP).

The Act on the Platform for the Industry of the Future Foundation signed in January 2019 should aim at promoting the growth of entrepreneurs' competitiveness and their development towards industry. These objectives should be met through the digital transformation in the scope of processes, products and business models using the latest achievements in automation, artificial intelligence and IT.

According to RIS3 Platform the main Smart Specialization priorities of Poland are manufacturing and industries; sustainable innovations; key technology; information and communication technology; health care and social policy.

On a national level Poland has 13 Digital Innovation Hubs (6 fully operational and 7 in preparation status) covering various market domains through a large spectrum of technology areas.

Upon the whole, Poland is a moderate innovator according to the STIP COMPASS, and takes 39th place among 128 countries based on the Global Innovation Index (GII) 2019 data.

**მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი
კრიტერიუმები და განვითარების მაჩვენებლები
თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველოში**

ანოტაცია ნაშრომში განხილულია თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის კრიტერიუმების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივი მასალები და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის კრიტერიუმები, და მათი სტატისტიკური სიდიდეები; ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლის დეკლარირებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა და გამოთქმულია მოსაზრებანი ბიზნესის ამ სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, კრიტერიუმი, მაჩვენებლები, სტატისტიკა, სტატისტიკური სიდიდეები.

შესავალი

პოსტინდუსტრიული სახელმწიფოების ეკონომიკის დამახასიათებელ თვისებებს შორის გამოკვეთილია მცირე და საშუალო ბიზნესის როლის გაძლიერება. ბიზნესის ეს სექტორი განიხილება, როგორც ქვეყნის სოციალური ფენის - საშუალო კლასის ფორმირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, „ნოუ-ჰაუ“-ს და სტაბილურობის გარანტი. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხი მხოლოდ დღევანდელი პრობლემა არ არის ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში მცირე ბიზნესის რეცესიული მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში დღემდე არ არის შექმნილი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ერთიანი ინფრასტრუქტურა, ისეთი, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად საქართველოში განხორციელდა რეფორმები, მსბ-ს (მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს ახალი ხედვისა და მიდგომების ჩამოყალიბების მცდელობა. მიუხედავად ამისა, განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით, მცირე და საშუალო საწარმოებს კვლავ ხვდება სირთულეები. ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება „მცირე ბიზნესის აქტით“ გათვალისწინებული პრინციპების დანერგვას. მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში საკანონმდებლო გარემო, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საქართველოში.

კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ თანამედროვე პოსტსაბჭოთა საქართველო რამდენად ახლოსაა ევროკავშირთან ბიზნესფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი) სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით, რა შედეგები მოგვცა ბოლო წლებში ჩატარებულმა რეფორმებმა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში.

* * *

მეოთხედ საუკუნეზე მეტია რაც საბჭოთა იმპერია დაიშალა, მასში შემავალი ყოფილი ქვეყნები და მათ შორის საქართველო დღემდე ცდილობს მხარი აუბას მსოფლიო განვითარებას. საქართველომ განვითარების ძირითად სტრატეგიად გაიხადა

ევროკავშირის და მსოფლიო განვითარებულ საზოგადოებასთან (ქვეყნებთან) ინტეგრაცია, თანამეზობლობა და თანამშრომლობა.

ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროპასთან ასოცირების სამოქმედო პროგრამებით საქართველოსთვის გაწერილია რიგი სტრატეგიული მიმართულებები, რომელთა შორის ერთ-ერთს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

ამ გამოწვევის გამოხმაურება იყო ის, რომ 2016 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020“. სტრატეგია ეფუძნება „ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First) [საქართველოს მცირე და...], სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება ეკონომიკის მდგრადი ზრდისთვის.

ბიზნესის განვითარების მიმართულებით რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარებამდე აუცილებელია განისაზღვროს ბიზნესფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი) სტატუსი (დადგინდეს კრიტერიუმები და მათი სტატისტიკური სიდიდეები), ასევე მათი განვითარების მაჩვენებლები.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც დგინდება, ეკუთვნის თუ არა საწარმო მცირე ბიზნესის სფეროს, 50-ს აჭარბებს [C. Мазоля ...]. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად საანგარიშო პერიოდში (ერთი წელი) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა მიიჩნევა. კრიტერიუმებად კი ითვლება: პერსონალის რაოდენობა; საწესდებო კაპიტალის ოდენობა; აქტივების მოცულობა; მოგების ან შემოსავლის ოდენობა; ბრუნვა და ა. შ.

2003 წლის 6 მაისს ევროკომისიამ მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის გაზომვის ახალი კრიტერიუმები მიიღო, რომლებიც ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ამ კრიტერიუმების თანახმად, შემდეგნაირი კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1

ევროკავშირისთვის მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების (ბიზნესის) კრიტერიუმები, მათი სტატისტიკური სიდიდეები 2005 წლის 1 იანვრიდან (ევროკომისიის მიერ განსაზღვრული)

ბიზნეს ფორმები	დასაქმებულთა რაოდენობის ზღვარი (კაცი)	ბრუნვის ზღვარი წელიწადში (მლნ ევრო)	ბალანსი (მლნ ევრო)
მსხვილი	≥ 250	≥ 50	≥ 43
საშუალო	50 - 249	$= 10 < 50$	$= 10 < 43$
მცირე	10 - 49	$= 2 < 10$	$= 2 < 10$
მიკრო	< 10	< 2	< 2

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, სტატისტიკის სამსახურთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტების (ეკონომიკის სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის საკანონმდებლო ორგანოს და სხვ.) მიერ, ბიზნესის ამა თუ იმ ფორმაზე საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების და მათი სტატისტიკური სიდიდეების შეფასებაში, ექვსჯერ განხორციელდა ცვლილებები (რეფორმა) [ე. კაკულია, მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება საქართველოში. ჟ. „ეკონომისტი“, 2018, N 1].

ბოლო რეფორმა ამ მიმართულებით 2016 – 2018 წელს განხორციელდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიით განისაზღვრა ბიზნესის ამა თუ იმ ფორმაზე საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმები (დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა; საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა) და მათი სტატისტიკური სიდიდეები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოსთვის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების (ბიზნესის) კრიტერიუმები, მათი სტატისტიკური სიდიდეები 2017 წლიდან

ბიზნეს ფორმები	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა (კაცი)	საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა (მლნ ლარი)
მსხვილი	აღემატება 249	აღემატება 60 მლნ ლარს
საშუალო	მერყეობს 50-დან 250 კაცამდე	მერყეობს 12 მლნ-დან 60 მლნ ლარამდე
მცირე	არ აღემატება 50 დასაქმებულს	არ აღემატება 12 მლნ ლარს

წყარო: სასტატი ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიით მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 60 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

ამასთან აღსანიშნავია ის, რომ 2017 წლიდან ევროკავშირსა და საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებიდან დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობის სტატისტიკური სიდიდეები ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო რაც შეეხება მიკრობიზნესის სტატუსს, განსხვავებით ევროკავშირისა, სტატისტიკის მეთოდოლოგიით საერთოდ არ არის განსაზღვრული.

საქართველოში მიკრობიზნესი არ განიხილებოდა ახალ საგადასახადო კოდექსში (2011წ.) მისი სტატუსის განსაზღვრამდე .

კოდექსის მიხედვით, მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება **30 000** ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. ამავე

კოდექსით, მიკრობიზნესის სტატუსის და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი მიმდინარე გადასახდელებს არ იხდიან.

2018 წელს კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მისი ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება **500 000**, ხოლო 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა, ცალ-ცალკე 2 კალენდარული წლის მიხედვით **500 000** ლარს გადააჭარბა [საგადასახადო კოდექსი, 28.06.2019, მუხ. 90]. ამ ცვლილებით ბეგარის პროცენტი შემცირდა 5-ჯერ (5%-დან 1%-მდე), ხოლო დასაბეგრი შემოსავალი გაიზარდა 5-ჯერ (მანამდე არსებული 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე).

ამ კოდექსით მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში **500 000** ლარს გადააჭარბა;

ბ) პირმა ამ მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს კალენდარული წლის დასრულება- მდე მიმართა;

გ) პირი ახორციელებს მთავრობის მიერ განსაზღვრულ იმ საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს;

დ) პირი კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ დაჯარიმდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის.

2016 წლიდან საწარმოთა კატეგორიები „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (8 ივნისი, 2016 წ., N5386-III) საქართველოს კანონით განსაზღვრულია შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 3):

ცხრილი 3

საწარმოთა კატეგორიებად დაყოფა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (8 ივნისი 2016 წ. N5386-III) საქართველოს კანონით

საწარმოს კატეგორია	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	შემოსავლები (მლნ ლარი)	აქტივების ღირებულება (მლნ ლარი)
პირველი კატეგორიის საწარმო	>250	≥ 100	≥ 50
მეორე კატეგორიის საწარმო	50 - 250	= 20 < 100	= 10 < 50
მესამე კატეგორიის საწარმო	10 - 49	= 2 < 20	= 1 < 10
მეოთხე კატეგორიის საწარმო	0 - 9	< 2	< 1

გამოდის, რომ ამ კანონის მეორე მუხლის მიხედვით:

„ტ) მეოთხე კატეგორიის საწარმო-სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ტ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება; უ) მესამე კატეგორიის საწარმო-სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

უ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

ფ) მეორე კატეგორიის საწარმო-სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ფ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება;

ქ) პირველი კატეგორიის საწარმო-სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ქ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება“ [„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა...].

როგორც კანონიდან ჩანს, მოცემულია საწარმოთა დაჯგუფება ოთხი კატეგორიის მიხედვით, კანონის მიხედვით კრიტერიუმად აღებულია: დასაქმებულთა რაოდენობა; შემოსავლები; აქტივების ღირებულება და განსაზღვრულია მათი სტატისტიკური სიდიდეებიც. ამ სამი კრიტერიუმიდან ორს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო, რომ მოხვდეს შესაბამის კატეგორიაში. საქსტატის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით კი კრიტერიუმად აღებულია: დასაქმებულთა რაოდენობა და ბრუნვა. დღეს გამოდის, რომ ბიზნესის ფორმები (საწარმოთა კატეგორიები) საქართველოში განსაზღვრულია სამი სამართლებრივი ინსტიტუტის მიერ: ახალი საგადასახადო კოდექსით, კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ და საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით. საქსტატისტიკის მეთოდოლოგიით მცირე ბიზნესს საშუალო ბიზნესის სტატუსი ენიჭება (ე.ი.მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება) თუკი საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მილიონი ლარიდან 60 მილიონ ლარამდე მერყეებს. გამოდის, რომ როცა მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება საგადასახადო კოდექსის მიხედვით (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა), მაშინ მცირე ბიზნესის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა უნდა აღემატებოდეს 12 მილიონ ლარს (საქსტატის მეთოდოლოგიით).

როგორც ჩანს, საგადასახადო კოდექსით და სტატისტიკის მეთოდოლოგიით მოცემული ბიზნესის ფორმების სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, რაც, ვფიქრობთ, არ გვამღევეს შესაძლებლობას, ვნახოთ მცირე და საშუალო ბიზნესის (საერთოდ ბიზნესფორმების) განვითარების რეალური სურათი. მაგალითად, საგადასახადო კოდექსით დაბეგვრის მიზნით კრიტერიუმთა კლასიფიკაციის მიხედვით თუ შევაფასებთ, მივიღებთ განსხვავებულ სურათს, ვიდრე საქსტატის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციით. ასევე სხვა სურათს მივიღებთ, თუ შევაფასებთ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით. ამ კანონით მიკრობიზნესს (სუბიექტს, რომელიც ქმნის საქონელს ან მომსახურებას) აქვს უფლება,

დასაქმოს 1-დან 9 კაცის ჩათვლით ან იყოს დაქირავების გარეშე, მაშინ როდესაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით მას არა აქვს დაქირავების უფლება. ვფიქრობთ, სტატისტიკის, საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურებისთვის ცალ-ცალკე არ უნდა დგებოდეს საწარმოთა კატეგორიები, მათი კრიტერიუმები და სტატისტიკური სიდიდეები, არამედ ის ქვეყნისთვის ერთიანი უნდა იყოს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე ხასიათდება უამრავი მაჩვენებლით: ინდიკატორთა სისტემა მოიცავს იმ მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დავადგინოთ მცირე ბიზნესის განვითარებაში არსებული საერთო მდგომარეობა, ასევე შევაფასოთ და გამოვავლინოთ რეგულირების პროცესში წარმოშობილი სიძნელები და ნაკლოვანებები. ასეთი მაჩვენებლებია, მაგალითად: მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში (მთლიან შიდა პროდუქტში); მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში; გამოშვებული პროდუქციის მოცულობა; პროდუქციის გამოშვება საწარმოთა მიერ საკუთრების ფორმების მიხედვით; ძირითადი კაპიტალის მოცულობა; ბრუნვა; ბრუნვის სტრუქტურა (საწარმოთა ზომების, ეკონომიკური საქმიანობის სახეების და რეგიონების მიხედვით); ბრუნვა საკუთრების ფორმების მიხედვით; აქტივების ჯამური ღირებულება; საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით; მცირე ბიზნესის საწარმოთა „სიმჭიდროვე“; შრომის მწარმოებლურობა; საშუალო ხელფასის სიდიდე; ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის წილი (ბიზნეს სექტორში, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით); ინოვაციურ მცირე ბიზნესში დანახარჯები სკსსს-ზე (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე); მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის სტრუქტურა და ა.შ.

2016 – 2018 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით გატარებული ცვლილებების (რეფორმის) საფუძველზე სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული, საწარმოთა ზომების მიხედვით განვითარების მაჩვენებლები: ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, შრომის მწარმოებლურობა მოცემულია მე-4 ცხრილში.

შედარებისათვის, ამავე ცხრილში მოცემულია ადრინდელი მეთოდოლოგიით განგარიშებული 2014-2015 წლების მონაცემებიც.

ცხრილი 4

**ბიზნესის ზომების მიხედვით განვითარების მაჩვენებლები:
ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება,
შრომის მწარმოებლურობა საქართველოში (20014-2018)**

მაჩვენებლები, ბიზნესის ფორმები	წლები. სტრუქტურა	2014	%	2015	%	2016 აბ. მეთ. ¹	%	2017 აბ. მეთ.	%	2018 აბ. მეთ.	%
		სულ	50064,7	100	56984,8	100	64081.8	100	71740.1	100	86625.1
ბრუნვა (მლნ ლარი)	მსხვილი	41026,2	82	470195	83	28256.3	44.1	32201.1	44.9	42902.7	49.5
	საშუალო	4378,0	8,7	4792,4	8,4	14039.1	21.9	16568.3	23.1	18543.2	21.4

	მცირე	4660,6	9,3	5173,0	9	21786.4	34.0	22970.7	32.0	24179.1	29.1
პროდუქციის გამომშვება (მლნ ლარი)	სულ	26068,6	100	29993,9	100	34156.9	100	38206.8	100	41649	100
	მსხვილი	20901,8	80,2	24107,5	80,4	142015	41.6	15594.7	40.8	16843.5	40.4
	საშუალო	2489,0	9,5	2923,8	9,7	8573.9	25.1	9719.2	25.4	11082.51	26,6
	მცირე	2677,8	10,3	2962,6	9,9	11381.4	33.3	12892.9	33.7	13723.34	33.0
დასაქმება (კაცი)	სულ	592147	100	626739	100	666790	100	708165	100	734215	100
	მსხვილი	332731	56,2	356543	56,9	217 800	32.7	233589	33.0	243318	33.1
	საშუალო	90937	15,4	100843	16,1	142 447	21.4	145463	20.5	160095	21.8
	მცირე	168480	28,4	169353	27	306 543	46.0	329112	46.5	330803	45.1
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი)	სულ	800,5	----	896,8	----	938.3	---	1019.7	---	1101	---
	მსხვილი	1029,5	----	1120,8	----	1129.5	---	1195.9	---	1224.6	---
	საშუალო	636,9	----	650,3	----	1085.9	---	1196.9	---	1276.3	---
	მცირე	375,2	----	443,3	----	697.7	---	776.1	----	892.4	---
შრომის მწარმოებ- ლურობა (ლარი)	სულ	44024	----	47857	----	51226	---	53952	---	56726	---
	მსხვილი	62819	----	67615	----	65204	---	66761	---	69224	---
	საშუალო	27371	----	28994	----	60190	---	66815	---	69225	---
	მცირე	15894	----	17493	----	37128	---	39175	---	41485	---

წყარო: საქსტატი; მეწარმეობა საქართველოში 2015 - 2018; ბიზნეს სექტორი საქართველოში 2019. (2016, 2017 და 2018 - ის მონაცემებს საფუძვლად უდევს ახალი მეთოდოლოგია)

მონაცემებიდან ჩანს, რომ 2015 წელთან მიმართებაში 2017-2018 წელს მცირე და საშუალო ბიზნესში მკვეთრი ზრდა არ შეიმჩნევა ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა: შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება და შრომის მწარმოებლურობა, ხოლო მკვეთრი ცვლილება ჩანს ბრუნვის, პროდუქციის გამომშვების და დასაქმების მაჩვენებლებში, 2015 წელთან მიმართებაში ეს მაჩვენებლები 2016, 2017, 2018 წლებში გაიზარდა თითქმის 2 ან 3-ჯერ და მეტად. 2017 და 2018 წლის მონაცემების შედარებიდან ჩანს, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა, ბიზნესსექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის ხვედრითი წილის მაჩვენებელი შესაბამისად შემცირდა 2.9 და 1.9 %-ით, ხოლო პროდუქციის გამომშვების და დასაქმების ხვედრითი წილის მაჩვენებლები მცირე ბიზნესში შემცირდა შესაბამისად 0.7 და 1.4%-ით, საშუალო ბიზნესში კი გაიზარდა შესაბამისად 1.2 და 1.3%-ით. როგორც ჩანს, ამავე წლებში (2017, 2018) ბიზნესსექტორში მსხვილი ბიზნესის ბრუნვის ხვედრითი წილის მაჩვენებელი ნაცვლად შემცირებისა, გაიზარდა 4.6%-ით. საერთოდ, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიზნესსექტორში მსხვილი ბიზნესის ხვედრითი წილი საგრძნობლად დაბალია მცირე და საშუალო

ბიზნესთან შედარებით. ასე მაგალითად, საწარმოთა საერთო რაოდენობაში მცირე და საშუალოს ხვედრითი წილი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია და გერმანია, აღემატება 99%. უმეტეს ქვეყნებში მცირე ბიზნესში წარმოების მოცულობა შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქციის 33-დან 67%-მდე, გამოგონებებისა და „ნოუ-ჰაუს“ თითქმის ნახევარს. ევროკავშირის ქვეყნებში 23 მილიონი მცირე და საშუალო საწარმო ითვლება, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების 70%, მთლიანი ბრუნვის 53%, ხოლო დამატებითი ღირებულების 53%. ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მოცემული სექტორი წარმოადგენს ევროპის ეკონომიკის ხერხემალს. აღსანიშნავია ის, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში დომინირებს მიკროსაწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს, მაგალითად იტალიასა და პოლონეთში ეს მაჩვენებელი (მიკროსაწარმოების წილი საწარმოთა საერთო რაოდენობაში) შესაბამისად უდრის 47 და 41%-ს [В. А. Гражданкин, О. А. Гражданкина. Практика..]. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს საქართველოში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს რათა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს. საქსტატის ბიზნესსტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელმაც მოახდინა საწარმოების გადამისამართება მსხვილიდან საშუალოში, ხოლო საშუალოდან მცირეში, ბუნებრივია, ბიზნესსექტორის საერთო მაჩვენებლებზე არსებით ცვლილებას ვერ გამოიწვევდა, რადგან შესაკრებთა ადგილის გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

დასკვნა

საქართველოში მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესფორმების სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. სტატისტიკის მეთოდოლოგიით მიკრობიზნესი საერთოდ არ განისაზღვრება, საქართველოს საგადასახადო კოდექსი მიკრობიზნესის სტატუსს განსაზღვრავს დასაქმების უფლების გარეშე, 30 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლით. ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით მიკრობიზნესს აქვს 10 კაცამდე დასაქმების უფლება, წლიური შემოსავალი კი არ უნდა აღემატებოდეს 30 ათასი ლარის ნაცვლად 2 მილიონ ლარს. ასეთი რადიკალურად განსხვავებული მიდგომა კრიტერიუმების შეფასებისას ნადვილად ვერ იმოქმედებს დადებითად მიკრობიზნესის განვითარებაზე.

საქართველოს ჩამორჩენა აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. მაგალითად, მიკრო ბიზნესი დასაქმებით 10 კაცამდე საქართველოს ეკონომიკაში საერთოდ არ ფიგურირებს (სტატისტიკის დეპარტამენტი ასეთ მაჩვენებელს არ ცნობს) მაშინ, როდესაც პოლონეთში მიკრო საწარმოების წილი საწარმოთა საერთო რაოდენობაში უდრის 41%.

2016-2018 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის როლის გაუმჯობესების მიზნით გატარებულ რეფორმებს რაიმე განსაკუთრებული შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. დაბალია მათი წვლილი დასაქმების, საერთო ბრუნვის მაჩვენებლებში და ა. შ.

რეფორმის შემდგომ პერიოდში დადებითი შედეგი იქნებოდა ბიზნესსექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წილის მაჩვენებლის გაზრდა, ხოლო მსხვილი ბიზნესისთვის კი - შემცირება. რეალობა კი საწინააღმდეგო მდგომარეობას გვიჩვენებს. რეფორმის ასეთი დაბალი შედეგები, ვფიქრობთ, გამოწვეულია იმითაც, რომ, როგორც ჩანს, არ ხდება იმის შეფასება, თუ ახალმა ცვლილებებმა (რეფორმამ) რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბიზნესსექტორზე, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე, ანუ განისაზღვროს ის მოლოდინი, რისი შესაძლებლობაც აქვს ამ ცვლილებებს. არადა, ევროპის „მცირე ბიზნესის აქტი“

ითვალისწინებს RIA-ს (რეგულირების გავლენის შეფასება) სისტემის არსებობას სამეწარმეო გარემოს უკეთესი რეგულირებისა და მცირე და საშუალო მეწარმეებზე არაპროპორციული ტვირთის თავიდან აცილებისა და შემცირებისთვის, რისი დანერგვა უნდა დაჩქარდეს.

ბიზნესსექტორში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია: შეიქმნას მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, შესაბამისი ინსტიტუტები, რომელიც მოიცავს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეგულირებისთვის: სამართალს, განათლებას, სტიმულებს, ფინანსებს და ა.შ.;

უფრო დაჩქარდეს მცირე ბიზნესის პოლიტიკის ევროპული მოდელის და „მცირე ბიზნესის აქტის“ ათი პრინციპის დანერგვა;

სხვადასხვა კანონში (თუ სხვა იურიდიულ დოკუმენტებში) გაბნევა და თან მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი (თუ არასამართლებრივი) მექანიზმის ხშირი ცვლილება მათ უქმნის წინააღმდეგობებს, ურთულებს საქმის წარმოებას, ხშირად დაჯარიმების წინაშე აყენებს. მიზანშეწონილია, მიღებულ იქნეს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“, სადაც თავმოყრილი იქნება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ყველა საკითხის სამართლებრივი რეგულირება. ამ უკანასკნელით უნდა განისაზღვროს ბიზნესფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი) შესაბამისი კატეგორიების საწარმოებისთვის კრიტერიუმები, სტატისტიკური სიდიდეები და მათი განვითარების მაჩვენებლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020.
3. საქსტატი <http://www.geostat.ge>
4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. <https://www.google.ge/search?q=>
5. ნინო ელიზბარაშვილი, თენგიზ სვანიძე, ალუ გამახარია. მცირე ბიზნესის აქტი და საკანონმდებლო გარემო საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში eap-csf.ge © აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა.
6. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი (8 ივნისი 2016 წ. N5386-III).
7. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.
8. В. А. Гражданкин, О. А. Гражданкина. Практика государственной поддержки малого и среднего предпринимательства в США и странах Европейского союза <https://cyberleninka.ru/article/n/praktika-gosudarstvennoy-podderzhki-malogo-i-srednego-predprinimatelstva-v-ssha-i-stranah-evropeyskogo-soyuza>
9. საქსტატი: მეწარმეობა საქართველოში 2015 – 2018.
10. საქსტატი: ბიზნეს სექტორი საქართველოში 2019.
11. საქსტატი: ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია.
12. ე. კაკულია მცირე ბიზნესის ფორმირება–განვითარება საქართველოში. ჟ. „ეკონომისტი“, 2018, N 1.

**CRITERIA FOR DETERMINING THE STATUS OF SMALL AND
MEDIUM ENTERPRISE AND DEVELOPMENT INDICATORS
IN MODERN POST-SOVIET GEORGIA**

Summary

The strengthening of the role of small and medium enterprise (SME) is clearly reflected in the characteristic features of the economy of postindustrial states. This sector of business is seen as the guarantor of the country's social status - the formation of the middle class, the creation of new jobs, know-how and stability. Thus the question of small and medium enterprise(SME) development is not just a topical issue for a country like Georgia.

In Georgia for many years, the recessionary situation of small businesses is mainly conditioned due to the fact that the country has not yet been created unified infrastructure to support small and medium businesses,as it is in EU countries.

In line with the Association Agreement with the EU, reforms have been implemented in Georgia, efforts are underway to develop new approaches and approaches to the development of the small and medium business, however, small and medium enterprise (SME) still face difficulties in terms of growth and development. Not enough attention has yet been paid to the implementation of the principles set out in the Small Business Act. An important factor for the development of small business is the legislative environment in the country that has not yet been established in Georgia.

The aim of the study is to show how close modern post-Soviet Georgia is to the EU in terms of criteria for determining the status of business forms (micro, small, medium and large). What kind of results have been obtained of recent reforms in SME development.

The Eastern Partnership and the European Association for Action Programs outline a number of strategic directions for Georgia, one of which is SME development.

The response to this challenge is that in 2016 the Government of Georgia developed a “Georgia SME Development Strategy 2016-2020”. The strategy is based on the European Small Business Act and its basic principle of Think Small First. The main objective of the strategy is to enhance the competitiveness of the SME sector, which will be an important basis for sustainable economic growth.

Before taking any action in the field of business development, it is necessary to determine the status of business forms (micro, small, medium and large) (criteria and their statistical values), as well as their development indicators.

In the EU, the European Commission has defined the status (criteria and their statistical values) for all business forms (micro, small, medium and large), it has been in force since 1 January 2005 and is still in force today.

Criteria for determining the status of micro, small, medium and large business forms in Georgia are not yet complete. According to the statistic methodology, micro business is not defined at all; the Tax Code of Georgia defines the status of micro business without right of employment with annual income less than 30 thousand GEL. According to the Law on Accounting, Reporting and Auditing, a micro business has the right to employ up to 10 people, with annual income not exceeding GEL 30,000 instead of GEL 2 million. Such a radically different approach to benchmarking cannot have a positive impact on micro business development.

Georgia is lagging behind the post-Soviet countries. For example, micro-businesses employing up to 10 people do not appear in the Georgian economy at all (the statistics department does not recognize this figure), while in Poland the share of micro-enterprises is 41% of the total number of enterprises.

Reforms aimed at improving the role of SMEs in 2016-2018 have not yet yielded any particular results. In the post-reform period, the increase in the share of small and medium-sized businesses in the business sector would be a positive result, while for large businesses it would be the reduction. But reality shows the opposite. We think that the low results of the reform are also

due to the lack of assessment of the impact of the new changes (reform) on the business sector, especially on the development of small and medium-sized enterprises, ie the expectations that these changes may have. However, the European Small Business Act provides for the existence of a RIA (Better Regulation assessment) system to better regulate the entrepreneurial environment and to accelerate the introduction and reduction of disproportionate burdens on SME.

In order to improve the situation in the business sector, it is necessary to: Create a supportive micro and small business infrastructure, relevant institutions, which include micro, small and medium business development regulation: law, education, incentives, finance etc. The European model of small business policy and the ten principles of the Small Business Act should be accelerated; Frequent changes to the legal (or non-judicial) mechanism for regulating micro, small and medium-sized businesses in various laws (or other legal documents), create contradictions, complicate proceedings, and often penalize. It is advisable to adopt the Law on Small Business, which will regulate all issues of micro, small and medium business development. The latter should define the criteria, statistical values and indicators of their development for the relevant categories of business (micro, small, medium and baked) enterprises.

Thus, the paper discusses the legal materials of the legislature defining the criteria for SMEs in modern post-Soviet Georgia and the methodology for calculating the key indicators of Sakstat's business statistics. The paper shows that the criteria for micro, small and medium-sized businesses are not yet fully developed, and their statistical values, as well as some statistical indicators of SME growth indicators, are summarized and opinions are expressed for the purpose of further development of this sector of business.

გიორგი ბრეგვაძე

ინოვაციური აქტივობა საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია უკანასკნელ ხანებში საქართველოში ინოვაციური აქტივობის საკითხები. უახლესი სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოში ინოვაციური აქტივობის მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური ეკონომიკა, სტატისტიკური მაჩვენებლები.

თანამედროვე ეკონომიკაში ინოვაციების როლი საგრძნობლად გაიზარდა. ინოვაციების გამოყენების გარეშე შეუძლებელია შექმნა კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის, მეცნიერებატევადი და ამავე დროს სიახლე. თანამედროვე პირობებში ინოვაციები წარმოადგენს კონკურენციული ბრძოლის ეფექტურ საშუალებას. ქმნიან რა ახალ მოთხოვნილებას, ისინი ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, ხელს უწყობენ ინვესტიციების მოზიდვას, ამალაღებენ უახლესი პროდუქციის ან მწარმოებლის იმიჯს (რეპუტაციას). ხელს უწყობენ ახალი ბაზრების აღმოჩენასა და დაპყრობას, მათ შორის საგარეოს.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკურენციულ მეტოქეობაში გამარჯვებული აღმოჩნდება ის, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს უპირატესად ინოვაციური პროდუქციის საწარმოებლად და სტრატეგიული გეგმის მთავარ მიმართულებად ისახავს ახალი (უახლესი) საქონლისა და მომსახურების შექმნას.

ინოვაციური აქტივობის მაჩვენებელია ის, რომელიც ასახავს იმ სიახლეებისა და ინოვაციების ტემპებს, მასშტაბებს, შემუშავებისა და დამზადების ხანგრძლივობას,

რომელიც შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სექტორში ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესწავლა.

აღნიშნული გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად და მოიცავს ქვეყნის კონტროლირებადი ტერიტორია.


სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემოთ ჩამოთვლილ დარგებში (ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორს (NACE Rev.2) შესაბამისად) მოქმედი საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 9 კაცს:

- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება;
- მრეწველობა;
- მშენებლობა;
- წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა;
- ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი;
- ტრანსპორტი და დასაწყობება;
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წლის განმავლობაში საწარმოთა 13,3%-მა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 14,0%-ით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები, უმეტეს შემთხვევაში, საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 54,3% და 41,0%). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 42,1% ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 57,9% სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორცაა მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - 19,5%. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა აგრეთვე დიზაინს (14,6%), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (14,4%) და საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (12,9%):

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში (%)




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში საწარმოთა 3.2 პროცენტმა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა ასევე 3.2 პროცენტით.

საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 60.1 და 45.8 პროცენტი). სხვა შემთხვევებში ამ მიმართულებით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. ამასთან, განხორციელებული ინოვაციების 44.9 პროცენტი ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 55.1 პროცენტი - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორცაა მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - 20.8 პროცენტი. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (15.1 პროცენტი), საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (13.6 პროცენტი) და დიზაინს (13.4 პროცენტი):

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში საწარმოთა 31.2 პროცენტმა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 28.7 პროცენტმა შეიმუშავა საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 20.7 პროცენტმა უზრუნველყო ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Инновационная активность и ее содержание - <https://studme.org/>
2. Инновационная активность - <https://works.doklad.ru/>
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საწარმოთა ინოვაციური აქტივობა 2017-2018 <https://www.geostat.ge/>

George Bregvadze

INNOVATION ACTIVITY IN GEORGIA Summary

The paper deals with the issues of innovative activity in Georgia in recent times. Upcoming statistics show the state of innovation activity in Georgia.

*ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური*

აზერბაიჯანის ტურიზმის განვითარების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი

ანოტაცია. ყოფილი პოსტკომუნისტური ქვეყნების სწრაფვა მოწინავე განვითარებულ ქვეყნების რიგში ყოფნის მიზნით დღის წესრიგში აყენებს სწრაფი ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული გზების ძიების საკითხს. სტატიაში განხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის ბაზაზე ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ეკონომიკის დივერსიფიკაციის პოლიტიკის გატარების ის გადაწყვეტილება სადაც უმნიშვნელოვანესი ვექტორის როლს ასრულებს ტურიზმი. ასევე აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის იშვიათი ბუნებრივი რესურსი, კულტურული, ეროვნული, ეთნოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, 9 კლიმატური ზონა, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, კასპიის ზღვა, არაჩვეულებრივი სამზარეულო, საუკუნეობრივი ტრადიციები ტურიზმის განვითარების დიდ პერსპექტივებს ქმნის; ეკონომიკის გარდაქმნის გეგმით ტურიზმის როლის წამოწევას ქვეყანაში ამყარებს სხვადასხვა დროს მიღებული კანონები და პროგრამები. შესწავლილია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური მაჩვენებლები. საყურადღებოა ქვეყნის მიზანდასახული მისწრაფება ევროპის ტურისტულ ქვეყნებთან ფართო ურთიერთ თანამშრომლობისკენ. ნაშრომში გაანალიზებულია დარგის განვითარების ხელშემწყობი ზოგიერთი ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ქვეყნები, აზერბაიჯანი, ტურიზმი, ექსპორტ-იმპორტი, განთავსება, კვალიფიციური კადრები.

ტურიზმი წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ (WTTC) 2018 წელს თავის ყოველწლიურ მოხსენებებში წარმოადგინა ტურიზმის მსოფლიო ეკონომიკაზე გავლენის ხარისხობრივი შეფასება 185 ქვეყნის და 25 რეგიონის მაგალითზე. ამ კვლევამ აჩვენა, რომ ამ სექტორზე მოდის მსოფლიო მშპ-ს 10,4% და 319 მლნ სამუშაო ადგილი, ანუ საერთო დასაქმებულთა 10%. ტურისტული დანახარჯების უმეტესი წილი მოდიოდა თავისუფალი დროის ბაზარზე – 78,5%, ხოლო საქმიანი დანახარჯები 21,5%-ს უდრიდა. ტურიზმის სექტორზე მოდიოდა მსოფლიო ექსპორტის 6,5% და მომსახურების მსოფლიო ექსპორტის 27,2%. ჩვენი კვლევის მიზანია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ტურიზმის განვითარების გზები და თანამედროვე მდგომარეობა. ჩვენ გადავწყვიტეთ კვლევა შეგვესრულებინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის - აზერბაიჯანის მაგალითზე.

განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სექტორია. საერთოდ ტურიზმის განვითარებაზე ძალიან მოქმედებს ქვეყნის პოლიტიკური განვითარების მდგომარეობა. პოლიტიკურად გარდამავალ პერიოდს ძალიან შორს მიმავალი შედეგები შეიძლება მოჰყვეს როგორც საერთოდ ეკონომიკის, ასევე ქვეყნის მოსახლეობისათვის. უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ძირითადად სამ ეტაპად მოხდა: სოციალისტური ტურიზმის დაშლა; სტაბილიზაციის სტადია; თანამედროვე ტურიზმის ეტაპი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანში, ისევე, როგორც ყველა სხვა რესპუბლიკაში, დაიწყო კარდინალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პერიოდი, შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც რესპუბლიკაში არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქმნიდა, რაც რესპუბლიკის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. აზერბაიჯანმა რეფორმების გატარება, სწორედ არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დაიწყო. დღეისათვის ქვეყანამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. დიდი ხნის განმავლობაში აზერბაიჯანული ეკონომიკის ლოკომოტივის როლს ნავთობის სექტორი წარმოადგენდა და მისი წილი ქვეყნის მშპ-ში 50%-ს აჭარბებდა. ბოლო წლებში სურათი ცოტათი შეიცვალა და 2014 წლისათვის ეს მაჩვენებელი 36,7%-მდე შემცირდა. აზერბაიჯანის მთავრობამ მიიღო ეკონომიკის დივერსიფიკაციის პოლიტიკის გატარების გადაწყვეტილება და ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი ვექტორის როლი ტურიზმზე იქნა გადატანილი.

აზერბაიჯანის იმჟიათი ბუნებრივი რესურსი, კულტურული, ეროვნული, ეთნოგრაფიული კომპლექსი გააჩნია. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, 9 კლიმატური ზონა, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, კასპიის ზღვა, არაჩვეულებრივი სამზარეულო, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, სტუმართმოყვარეობის საუკუნობრივი ტრადიციები ტურიზმის განვითარების დიდ პერსპექტივებს ქმნის ქვეყნებში. ქვეყანაში ცნობილია ისეთი ტურისტული ცენტრები, როგორცაა: განჯა, ნახიჩევანი, გაბადა, შეკი, დუზგანი, გალაალთი, ნაფტალანი და სხვ., არქიტექტურული მემკვიდრეობა – შეკინის ხანის სასახლე, რომელიც 1763 წელსაა აგებული სხვადასხვა ციხესიმაგრეებით; 3500 წლის წინათ აგებული ნახიჩევანი ტრადიციული მედიცინის ცენტრად ითვლებოდა, რადგან აქ მარილის მაღაროები და მავზოლეუმებია განლაგებული. კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს 10 საუკუნის ისტორიის მქონე - ლენქორანი. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ აზერბაიჯანში დაიწყო ირანული და ინდური ქორწილების მასიური გადახდა.

2018 წელს აზერბაიჯანში 195 ქვეყნიდან 2 633,5 ათასი უცხოელი ჩავიდა, რაც 6,1%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. **Media.Az**-ის მონაცემებით, ჩამოსულების 31,1% რუსები იყვნენ, 20,9% კი - ქართველები, 10,1% - თურქები, 8,6% - ირანიდან, 3,1% – არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან (OАЭ), 2,7 % – საუდის არაბეთიდან, 2,4% – ერაყიდან, 2% – უკრაინიდან, 1,5% – ისრაელიდან. WTTC-ის 2017 წლის მონაცემებით, ტურიზმის წილი ქვეყნის მშპ-ის საერთო ოდენობაში 14,6% იყო, 2018 წელს კი 13%-მდე შემცირდა და 5,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ტურიზმის დარგის ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება (ცხრილი 1 და ცხრილი 2).

ცხრილი 1

**ჩამოსული და გასული ტურისტების რაოდენობა [5]
2008-2017 წლებში**

წელი	აზერბაიჯანი			
	ჩამოსულთა რაოდენობა		გასულთა რაოდენობა	
	მნიშვნელობა	ცვლილება, %	მნიშვნელობა	ცვლილება, %
2017	2 454 000	20,06%	4 109 000	-4,04%
2016	2 044 000	6,35%	4 282 000	4,54%
2015	1 922 000	-11,02%	4 096 000	-3,49%
2014	2 160 000	1,41%	4 244 000	-0,96%
2013	2 130 000	7,25%	4 285 000	10,61%
2012	1 986 000	27,14%	3 874 000	9,13%
2011	1 562 000	22,03%	3 550 000	11,78%
2010	1 280 000	27,36%	3 176 000	34,41%
2009	1 005 000	-3,64%	2 363 000	9,30%
2008	1 043 000	42,49%	2 162 000	32,56%

ცხრილი 2

ტურიზმის მთლიანი წილი მშპ-ში (წილი,%) [5]

წელი	აზერბაიჯანი	
	მნიშვნელობა	ცვლილება, %
2018	13,0	-4,61%
2017	13,6	2,66%
2016	13,3	29,74%
2015	10,2	19,14%
2014	8,6	5,18%
2013	8,2	2,22%
2012	8,0	31,88%
2011	6,1	16,49%
2010	5,2	-16,37%
2009	6,2	23,36%
2008	5,6	-10,01%

ეკონომიკის გარდაქმნის გეგმით ტურიზმის როლის წამოწევას ქვეყანაში ამყარებს სხვადასხვა დროს მიღებული კანონები და პროგრამები. მაგ., 2010 წელს დამტკიცდა "აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2010-2014", სადაც ხაზგასმულია ტურისტული რესურსების, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საშუალების, ეფექტური გამოყენების აუცილებლობა, ასევე ტურიზმის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულების მნიშვნელობა. შესაბამისად აზერბაიჯანში შეიქმნა

ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს გზებს, აეროპორტებს, ოტელების მშენებლობას, კადრების მომზადებას და სხვ. 2018 წელი იყო ინოვაციების, მათ შორის სტრუქტურული ინოვაციების წელი. ოქტომბერში შედგა ტურიზმის პირველი სამიტი, სადაც წარმოდგენილი იყო ახალი ტურისტული ბრენდი, ტურისტული კონცეფცია, რომელიც 2018-2023 წლებს მოიცავს, კონცეფცია ითვალისწინებს, რომ აზერბაიჯანი უნდა გახდეს რეგიონის მთავარი ტურისტული ვექტორი. ამ მიზნით 6 ქვეყანაში გაიხსნა ტურისტული წარმომადგენლობები, 2019 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობა 10-მდე უნდა გაიზარდოს: ჩინეთში, ინდოეთში, საუდის არაბეთში, ემირატებში, გერმანიაში, რუსეთში. მარკეტინგისა და მიზნობრივი ბაზრების დანიშნულებით შეირჩა 18 ქვეყანა და დაიწყო მათი ბაზრების შესწავლა. მიღებული შედეგების მიხედვით გატარდება ტურისტების მოზიდვის კამპანია.

ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს პრესსამსახურის REPORT-ის ინფორმაციით, 2018 წელს აზერბაიჯანში შემოსული ტურისტების რაოდენობა გაიზარდა: დიდი ბრიტანეთიდან - 23,5%-ით, გერმანიიდან - 21,4%-ით, იტალიიდან -12,6%-ით, საფრანგეთიდან - 14,7%-ით, პოლონეთიდან - 32,7%-ით, ნიდერლანდებიდან - 5,3%-ით, შვეიცარიიდან - 23%-ით, უნგრეთიდან - 31,6%-ით და ლატვიიდან - 5,1%-ით. აზერბაიჯანი ფართოდ თანამშრომლობს საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებთან, როგორცაა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, დსთ და სხვა. ასევე ქვეყანას ხელი აქვს მოწერილი მთავრობათაშორის ხელშეკრულებებზე თურქეთთან, პოლონეთთან, იტალიასთან, საქართველოსთან, უკრაინასთან, რუმინეთთან, ბელარუსთან, საბერძნეთთან, მოლდოვასთან, ყატართან და სხვ. რადგანაც ევროპაში მატერიალური კეთილდღეობის დონე შედარებით მაღალია და იქაურ ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მეტი დახარჯონ უფრო ძვირადღირებული მომსახურების მისაღებად, ამ მიმართულებით სამუშაოდ აზერბაიჯანში მოწვეულები არიან სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ ბაზარს. ერთ-ერთი მიმართულებაა სხვადასხვა გამოფენებში რეგულარული მონაწილეობა, განსაკუთრებით ITB ბერლინში, FITUR მადრიდსა და World Travel Market ლონდონში. ტურისტების მოზიდვის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია დანახარჯების შემცირება ტრანსპორტზე, ლოგისტიკაზე, ჩარტერულ რეისებზე.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ევროპიდან ტურისტების შემოდინების ხელშემშლელი ფაქტორია საჰაერო ტრანსპორტი, არ არის პირდაპირი რეისები (ხშირად ტურისტები ქ. ქუთაისის აეროპორტით სარგებლობენ), ფასები მაღალია. აზერბაიჯანის აეროპორტები ცდილობენ ჰაბერის როლის მოპოვებას. აქ თვლიან, რომ აუცილებელია "ღია ცის" (Open sky) პოლიტიკის გატარება. ღია ჩარტერული რეისების განხორციელება. დღეისათვის ბაქოს აეროპორტი ემსახურება 30 ავიაკომპანიას 40 მიმართულებით. 2017 წელს დანახარჯებმა მგზავრების გადაყვანაზე 145 მლნ აშშ დოლარი, ხოლო მოგებამ ამ გადაყვანებიდან 202 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი 3).

ცხრილი 3

აზერბაიჯანი – საერთაშორისო ტურიზმი, შემოსავლები და ხარჯები ტურისტების გადაყვანაზე [5]

წელი	შემოსავლები		ხარჯები	
	მნიშვნელობა (დოლ. აშშ)	ცვლილება, %	მნიშვნელობა (დოლ. აშშ)	ცვლილება, %
2017	202 000 000	43,26%	145 000 000	46,46%
2016	141 000 000	-37,61%	99 000 000	-29,29%
2015	226 000 000	-19,57%	140 000 000	-9,68%

2014	281 000 000	11,07%	155 000 000	0,00%
2013	253 000 000	25,87%	155 000 000	10,71%
2012	201 000 000	-5,63%	140 000 000	57,30%
2011	213 000 000	57,78%	89 000 000	20,27%
2010	135 000 000	-18,67%	74 000 000	-9,76%
2009	166 000 000	-13,09%	82 000 000	-27,43%
2008	191 000 000	37,41%	113 000 000	-3,42%

ცხრილი 4

აზერბაიჯანი – საერთშორისო ტურიზმი, შემოსავლები და ხარჯები (% საერთო ექსპორტიდან და საერთო იმპორტიდან) [5]

წელი	შემოსავლები (% საერთო ექსპორტიდან)		ხარჯები (% საერთო იმპორტიდან)	
	მნიშვნელობა	ცვლილება, %	მნიშვნელობა	ცვლილება, %
2017	16,2	-0,26%	16,4	4,45%
2016	16,2	28,33%	15,7	5,51%
2015	12,7	51,88%	14,9	-7,30%
2014	8,3	14,31%	16,0	3,13%
2013	7,3	1,53%	15,6	3,38%
2012	7,2	77,29%	15,0	32,92%
2011	4,0	44,38%	11,3	35,36%
2010	2,8	17,14%	8,4	67,71%
2009	2,4	99,90%	5,0	22,70%
2008	1,2	-15,52%	4,1	-1,21%

ყველაზე პოპულარული მიმართულებების TOP-10 შემდეგია: სტამბოლი, მოსკოვი, დუბაი, კიევი, შარჯა, თეირანი, ბაღდადი, თბილისი, ანტალია და თელ-ავივი. ამ მიმართულებებით 247 ათასმა ტურისტმა ისარგებლა. ტრანსპორტის გარდა ასევე აუცილებელია ტურისტების კვებით, განთავსებით და ღამის გასათევით უზრუნველყოფა.

დღეისათვის აზერბაიჯანში ფუნქციონირებს 230 ტურისტული კომპანია და 560 სასტუმრო. ბაქოში ყოველწლიურად შემოდის რამდენიმე ათასი ტურისტი ევროპიდან, რომლებიც ირჩევენ ეკონომ-კლასის ოტელებს, ამიტომ ყველა აზერბაიჯანული სასტუმრო გადის სერტიფიცირებას, თავიანთი ხარისხიანობის დასამტკიცებლად. სერტიფიცირებას ატარებენ კლასიფიკაციის ნაციონალური სისტემის შესაბამისად, რომელიც შექმნილია ოტელების ევროპული ასოციაციის ჰოტელ-სტარის - Hotelstars Union - პრინციპების მიხედვით. თუ ოტელების სერტიფიცირება ჩატარდება ევროპული სტანდარტებით, მაშინ აზერბაიჯანს გაუჩნდება აკრედიტაციის ევროპულ ორგანიზაციებთან ბილატერალური (ორმხრივი) შეთანხმების გაფორმების საშუალება. შესაბამისად, საბოლოო ანგარიშით, აზერბაიჯანულ სერტიფიკატებს ყველა ქვეყანაში სცნობენ. იმავედროულად, ვარსკვლავების რაოდენობა პირდაპირპროპორციულად აისახება ოთახების ფასზე. ეს სისტემა უკვე დიდი ხანია გამოიყენება მეზობელ საქართველოსა და თურქეთში.

2018 წელს, სტატისტიკის მიხედვით, ოტელების დატვირთვის საშუალო დონე რესპუბლიკაში 21,4% იყო, აქედან: ბაქო – 36,1%, ნაფტალანი – 54,8%, გაბალა – 37,3%, აღსტაფა – 32,7%, შამკირი – 30,4%, ბეილაგანი - 26,3%.

WTTC-ის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, აზერბაიჯანში დასაქმებულთა მხოლოდ 3,8% მოდიოდა ტურიზმზე – 173,5 ათასი ადამიანი. ტურიზმის მონა-

თესავე დარგებში ეს მაჩვენებელი უფრო დიდია – 611 ათასი ადამიანი – 13,2%. სასტუმროების თანამშრომლების რაოდენობა საშუალოდ 9,911 ათასს უდრიდა.

აზერბაიჯანის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცენტრის მონაცემებით რესპუბლიკა ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის მიხედვით 148 ქვეყნიდან 39-ე ადგილზეა. მოგზაურობების და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემებით, აზერბაიჯანი ტურისტების რიცხვითა ზრდის მაჩვენებლით 2010-2016 წლებში პირველ ათეულში შევიდა. 2017 წელს კი ქვეყანაში იყო მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი მოგზაურობის და ტურიზმის მაჩვენებელი 46,1%. ტურიზმის განვითარება ქვეყანაში დაასპონსორა Atletio Madrid-მა სლოგანით „აზერბაიჯანი სინათლის ქვეყანა“. 2018 წელს წარმოდგენილი იქნა ახალი ტურისტული ბრენდი სლოგანით „შეხედე კიდევ“ - „Take another look“.

2017 წლის იანვრიდან აზერბაიჯანმა შემოიტანა 30 დღიანი ერთჯერადი დათვალიერების ელექტრონული ვიზები 93 ქვეყნისათვის.

აზერბაიჯანის ტურიზმის ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია კადრების ნაკლებობის აღმოფხვრა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. სპეციალიზებული ტრენინგების გარდა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან საერთო პროექტების განხორციელების მიზნით. აზერბაიჯანის ტურიზმის ასოციაციის მიერ ხელმოწერილია მემორანდუმი საერთაშორისო ტურისტულ უმაღლეს დაწესებულებებთან Les Roches და Glion, რაც წარმატებული ნაბიჯია აზერბაიჯანის ტურისტული სფეროსათვის. 2006 წელს გაიხსნა აზერბაიჯანის ტურიზმის ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამად ტურიზმისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი ჰქვია. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ორი დიპლომი ეძლევათ: აზერბაიჯანული და ავსტრიის კრემის უნივერსიტეტის დიპლომი, რაც კურსდამთავრებულებს ასევე ევროპაში მუშაობის უფლებას აძლევთ. უნივერსიტეტებში არსებობს ტურიზმის კათედრა. დედაქალაქში უნივერსიტეტების გარდა არსებობს ტურიზმის კოლეჯი, რეგიონებში კი - პროფესიული სკოლები. როგორც ჩანს, აზერბაიჯანს აქვს რამდენიმე პლატფორმა მაღალი კლასის სპეციალისტების მოსამზადებლად, მათი კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ ოთხ და ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში. აქ მუდმივად მოწმდება სწავლების ხარისხი, განსაკუთრებით რეგიონებში. ტურიზმის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტისა და კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმებას თავიანთი სპეციალობით, ასევე ახალი სასტუმროების მშენებლობას, რაც, ლოგიკურია, საჭიროებს მეტი კვალიფიციური კადრების ყოლას, ისინი კი სტატისტიკის მიხედვით არა საკმარისია. მაგ., 2017 წელს, ნოვრუზ ბაირამის დროს, ყველა ტურისტი ნომრების ნაკლებობის გამო ვერ განთავსდა სასტუმროებში, რის გამოც ტურისტებს ბინების ქირაობა მოუწიათ, ეს კი სახელმწიფოს ინტერესებით არ არის მომგებიანი როგორც ეკონომიკის, ისე საგადასახადო სისტემის და უსაფრთხოების თვალსაზრისით. პრობლემებია ასევე ტურიზმის გარკვეულ სახეობებში სპეციალიზებული კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხში (ზამთრის სახეობებში), ზოგიერთ სპეციალობას ესაჭიროება არა იმდენად თეორიული ცოდნა, როგორც პრაქტიკული. ახლა ამ სპეციალობაში მხოლოდ სამთვიანი კურსები ფუნქციონირებს.

ზამთრის ტურიზმი აზერბაიჯანისთვის სრულიად ახალი მიმართულებაა და ტურისტული დანიშნულების სათხილამურო კურორტების განვითარებას ითვალისწინებს, სანაპიროს ტურიზმის განვითარება კი - კასპიის ზღვის სანაპიროს პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. საერთოდ ტურიზმი აზერბაიჯანში

სეზონურ ხასიათს ატარებს – საზაფხულო ტურისტული მიმართულებების გარდა, 2020 წლის ტურიზმის განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტებზე ინფრასტრუქტურის განვითარებით ტურისტების მოზიდვის ზრდა. აღსანიშნავია რომ სწორედ სეზონურობა უშლის ხელს ტურიზმის უფრო სწრაფ განვითარებას. აზერბაიჯანში ტურისტული სეზონის სიმცირის გამო ფასები მაღალია და სხვა ქვეყნებთან კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აზერბაიჯანმა აირჩია იაფი მომსახურების გზა: იაფი ოტელები, ჰოსტელები, რესტორნები, უნიფორმებისა და ინვენტარის არენდა და ა.შ. 4 სეზონის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის სწრაფ განვითარებას.

აზერბაიჯანს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ტურიზმის ისეთი სახეობების, როგორცაა - კულტურული, ეკოლოგიური, სოფლის მწვანე ტურიზმი, ზამთრის, გოლფ-ტურიზმი, სამკურნალო, სამეცნიერო, მღვიმის ტურიზმი, ეთნო-ტურიზმი, რაფტინგ ტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი - განვითარება სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენაში გახდა აზერბაიჯანის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტში „საველოსიპედო ტური აზრემუმის გზაზე“ სტამბულიდან პეკინამდე (2007).

ბოლო წლებში აზერბაიჯანში დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესს. ექსპერტების აზრით აზერბაიჯანის ტურისტულ სექტორს ბევრი მოსაგვარებელი პრობლემა აქვს: ქვეყნის ტურისტული პოტენციალის არასრული შესწავლა; კვალიფიციური პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა; არასწორად ორგანიზებული ტურისტული პროპაგანდა; დისბალანსი ფასსა და მომსახურებაში; ნაკლები ინფორმირებულობა რეგიონებში; სახელმწიფო, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე, რაც შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში პოვებს ასახვას. მათი სტრატეგიული განვითარების მიზანია ამ სფეროს უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მხარდაჭერით ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, გაუმჯობესებულია კანონმდებლობა, იქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი - „ტურიზმის შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, რომლებიც მიმართულია აზერბაიჯანის ტურიზმის ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებაზე, ტურიზმის საქმიანობის საფუძვლებზე და ტურიზმის სექტორში წარმოქმნილი ურთიერთობებით რეგულირებაზე; განსაზღვრავს ბუნებრივი, ადამიანური და ტურისტული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთერთ საშუალებას. სტრატეგიის მიზანია მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება; ტურისტული სერვისების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან; ამ სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება და შიდა ტურიზმის განვითარებისათვის სათანადო ზომების მიღება. ასევე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები ტურიზმის პოტენციალის განვითარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Oxi.az - Цель - сделать туризм вторым источником...ru.oxi.az>Экономика>292475.
2. Стало известно, сколько заработает Азербайджан от...

navigator.az>nbr/wttc-obnarodoval-skolko...turizma...

3. Туризм в Азербайджане - АТІ.АZ ati.az>ru/blog/tourism-in-azerbaijan/
4. 6 причин, мешающих развитию туризма в Азербайджане
ria.ru>20180427/1519556924.html
5. wyaro: <https://knoema.ru/atlas/>
6. Азербайджан - Статистика туризма bstudy.net>696359/turizm/azerbaydzhan
7. Основные цели развития туризма в Азербайджане...
report.az>Русский>...-celi-razvitiya-turizma...
8. Сколько туристов посетили Азербайджан в этом году, на...
media.az>economy/1067715806/turisty-vybirayut-...
9. В Азербайджане туризм остается сезонным
az.sputniknews.ru>economy/20191110/422280394/...
10. Азербайджан и туризм в 2018 | ЭХО ru.echo.az>?p=66159
11. Статистика доходов гостиниц в Азербайджане | azeritour
azeritour.az>statistiki-dohodov-gostinits-v-...
12. Доходы гостиничного бизнеса в Азербайджане...
massa.az>news/ru/6200/dohody-gostinichnogo-...

*Ketevan Kveladze
Medea Melashvili
Nunu Kistauri*

SOME OF ECONOMIC ASPECTS OF TOURISM DEVELOPMENT OF AZERBAIJAN Summary

The quest for the former post-communist countries to stay in the advanced developed countries raises the issue of seeking alternative ways of rapid economic development. Formed on the basis of the collapse of the Soviet Union, the government of the independent Azerbaijan Republic made the decision to pursue a policy of economic diversification, and in this context the role of the major vector was shifted to tourism, which is one of the largest sectors of the modern economy. Azerbaijan's special natura resources, cultural, national, ethnographic, cultural-historical heritage, favorable geographical position, 9 climatic zones, diversity of flora and fauna, existence of the sea, fine cuisine, centuries-old traditions create great prospects for tourism development. The economic transformation strategy of the country is supported by the laws and programs adopted at different times in the country. According to the Azerbaijan Center for Economic and Social Development, Azerbaijan ranks 39th out of 148 countries in terms of tourism competitiveness.

Currently there are 230 tourism companies and 560 hotels in Azerbaijan. There are four and five star hotels in Baku each year with several thousand tourists from Europe opting for economy class hotels in Baku, so all Azerbaijani hotels are certified to prove their quality (number of stars). One of the pressing issues of the Tourism Association of Azerbaijan is to eliminate the lack of staff and improve their qualifications, despite the fact that there are tourism universities, colleges and professors in the regions. In addition, there is an imbalance in price and service; Less awareness in the regions; Azerbaijan seeks to eliminate these problems through a strategic development plan for tourism, which aims to ensure the continuous development of this field. State-supported major projects are underway, legislation is being improved, infrastructure is being developed, marketing activities are being organized, tourism services are being harmonized with international standards, scientific research is being carried out and measures are being taken to promote domestic tourism.

ბელარუსის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემის შესახებ

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ბელარუსის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ რელსებზე გადასვლა, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საკვანძო საკითხი. აღნიშნულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკადრო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებას. ავტორები ყურადღებას უთმობენ ამ კუთხით დასახულ ამოცანებს, როგორცაა: მეცნიერული შრომის ანაზღაურების დონე, მეცნიერების ეკონომიკური და სოციალური დაცულობა, სამეცნიერო საქმიანობის პრესტიჟულობის ამაღლება, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ითვალისწინებს ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრების, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, ბიზნესინკუბატორების, კადრების მომზადების ცენტრების და სხვ. შექმნას.

სტატიაში მოყვანილია აგრეთვე საკმაოდ საინტერესო სტატისტიკური მასალა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები.

ბოლო წლებში ბელარუსის რესპუბლიკაში მეცნიერება საკმაოდ დინამიურად ვითარდება. 2006 წელს ბელარუსში მეცნიერების და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის მიერ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მეცნიერების სამინისტროსა და სხვადასხვა უწყებათა მონაწილეობით შემუშავდა ბელარუსის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ძირითადი მიზანი, რაც მან დაისახა, ეს არის - 2010 წლისათვის გაიზარდოს მშპ-ში მეცნიერების დაფინანსება 1.4%-მდე. სტატისტიკის მიხედვით დანახარჯებმა სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე 2010 წელს მხოლოდ მშპ-ს 0.67%-ს მიაღწია და იგი უცვლელია 2017 წლის მონაცემებითაც.

ბელარუსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაში მითითებულია ქვეყნის გადასვლის აუცილებლობა განვითარების ინოვაციურ კურსზე, ინოვაციური ეკონომიკის - მეცნიერებაზე დამყარებული ეკონომიკის - აშენება. პროგრამის სტრატეგიული მიზანია - ინოვაციური, კონკურენტუნარიანი, მეცნიერებატევადი, რესურსდამზოგავი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის აშენება, რომელიც უზრუნველყოფს ბელარუსი ხალხის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამაში მითითებულია შემდეგი გზები: ქვეყანაში ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალურ-კულტურული გარემოს შექმნა; წარმოების და სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური მოდერნიზაცია ახალი, მაღალი ტექნოლოგიების მიღწევების ბაზაზე; მაღალტექნოლოგიური ექსპორტის, იმპორტჩანაცვლების, ეკონომიკური თუ ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლება; მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის სამეცნიერო-საკადრო პოტენციალის შენარჩუნებას, განვითარებას და ქვეყნის წარმატებული სამეცნიერო-ინოვაციური კომპლექსის შექმნას. ამ კუთხით დასახულია შემდეგი ამოცანები:

მეცნიერული შრომის ანაზღაურების დონის, მეცნიერების ეკონომიკური და სოციალური დაცულობის, სამეცნიერო საქმიანობის პრესტიჟულობის ამაღლება; მეცნიერების საკადრო შემადგენლობის გაახალგაზრდავება, დამატებითი პირობების შექმნა ნიჭიერი ახალგაზრდების მოსაზიდად მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში; ინტელექტუალური ემიგრაციის შემცირება და ქვეყნიდან წასული მეცნიერების და სპეციალისტების დასაბრუნებლად საჭირო პირობების შექმნა. როგორც ეს დამახასიათებელია უკლებლივ ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის, ბელარუსის რესპუბლიკაშიც ადგილი აქვს კვალიფიციური კადრების და მეცნიერული კადრების, ნიჭიერი ახალგაზრდობის იმიგრაციას უცხოეთში, სადაც არსებობს მათი შესაძლებლობების რეალური რეალიზაციის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღირსეული მატერიალური კეთილდღეობის მიღების შესაძლებლობა (2018 წელს ქვეყნიდან წასასვლელად 6000 ადამიანმა შეიტანა განცხადება). ბოლო წლებში სამეცნიერო კვლევებით დაკავებულ ადამიანთა რიცხვის საკმაო შემცირება შეიმჩნევა. ეს მაჩვენებლები 2010-2017 წლებში შემდეგნაირადაა განაწილებული: 2010 -31.7 ათასი კაცი; 2012 – 30.4 ათ. კაცი; 2014 – 27.2ათ. კაცი; 2015 – 26.2 ათ. კაცი; 2016 – 2.9 ათ. კაცი; 2017 – 26.5ათ. კაცი. რაც შეეხება რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

ცხრილი 1

სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შემსრულებელ ორგანიზაციათა საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შემსრულებელ ორგანიზაციათა რიცხვი, ერთეული	530	482	457	439	431	454	455
სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შემსრულებელ მუშაკთა სიობრივი რიცხვი, ადამიანი	30,437	28,937	27,208	26,153	25,942	26,483	27,411
მათ შორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	720	704	672	649	631	646	627
მეცნიერებათა დოქტორი	3,099	2,974	2,896	2,844	2,841	2,884	2,864
მეცნიერებათა კანდიდატი	19,315	18,353	17,372	16,953	16,879	17,089	17,804
მათ შორის მკვლევარები	3,537.8	4,372.3	4,073.1	4,495.4	475,3 ²	617.7	739.3

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ითვალისწინებს ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრების, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, ბიზნესინკუბატორების, კადრების მომზადების ცენტრების და სხვ. შექმნას და შემდგომ განვითარებას. დღეისათვის რესპუბლიკაში შემდეგი მდგომარეობაა (იხ. ცხრ. 2):

ინოვაციური ინფრასტრუქტურის სუბიექტების ფუნქციონირება

ინოვაციური ინფრასტრუქტურის სუბიექტების დასახელება	2015	2016	2017	2018
სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები	9	10	14	15
ტექნოლოგიის ტრანსფერის ცენტრები	4	7	9	9
ბელარუსის ინოვაციური ფონდი	-	1	1	1
ინოვაციური ინფრასტრუქტურის სუბიექტები, სულ	13	18	24	25

ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში საგანმანათლებლო პროცესი ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი ხდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ბელარუსში განათლება განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის, ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უძლიერესი მამოძრავებელი ძალა, ასევე როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, ისე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის ფაქტორი. XXI საუკუნეში ბელარუსმა შეაბიჯა განვითარებული განათლების სისტემით, ამაზე მეტყველებს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა განათლებული მოსახლეობის წილი საერთო (99.8%) რაოდენობაში, საბაზო, ზოგადი და პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობის წილი (98%) მთელ მოსახლეობაში. თუმცა ანალიტიკოსების დასკვნებით აქ პედაგოგიური კადრების დაბერების ტენდენცია შეიმჩნევა. მაგალითად, კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტების დიდი რაოდენობა პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსში უმეტესად 50-60 წლის ასაკის პედაგოგებზე მოდის. ჩვენ ვთვლით, რომ ამისი ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ ახალგაზრდა პერსპექტიული სამეცნიერო კადრების იმიგრაციაა. ყველა პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის, მათ შორის ბელარუსისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, განათლებული კადრების სიმრავლე, რომლებიც შეძლებენ გადაწყვიტონ ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი ურთულესი გლობალური ამოცანები. აქედან გამომდინარე, პროფესიული კადრების მომზადების და მათში აზროვნების ინოვაციური ტიპის ჩამოყალიბების საქმეში შემდეგი პრინციპები უნდა ლიდერობდეს: მეცნიერების და უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსება (მშპ-ში მისი 2-4%-იანი წილი), შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და თვითრეალიზაცია, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის შექმნა მისი ინოვაციური პროდუქციის შექმნის სისტემაში ინტეგრირების მიზნით, მაღალკვალიფიციური და მაღალინტელექტუალური სპეციალისტების მომზადება პრიორიტეტული სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებებით.

ყველა ზემოაღნიშნულ გარდასახვათა მიმდინარეობის პროცესში ბელარუსში ანალიტიკოსების დასკვნებით აუცილებელია ისეთი საუნივერსიტეტო კომპლექსების შექმნა, რომლებიც უმაღლესი სკოლისათვის სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებას და ცოდნის და უნარების დაგროვების პროცესის ოპტიმიზაციას მოახდენს, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების საერთო დონის ამაღლება და სხვ. უმაღლესი სკოლის ამდაგვარი მოდერნიზაცია აუცილებელია სამამულო განათლების ხარისხობრივი ზრდისათვის, რათა იგი მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს და შეძლოს, შექმნას ქვეყნის მდგრადი ინოვაციური განათლების სოციალური საფუძველი,

მთლიანად ბელარუსის ნაციონალური ინოვაციური სისტემა შედგება რამდენიმე ელემენტისაგან: სახელმწიფო, განათლების დაწესებულებები, ბაზარი, ინფრასტრუქტურა, ბიზნესი. სწორედ ეს ელემენტები განსაზღვრავს სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებას მათი მჭიდრო ურთიერთკავშირის გზით, რადგანაც, პირველ რიგში, სახელმწიფო ქმნის საზოგადოებაში ინოვაციების დანერგვის პირობებს და თვით დანერგვის იდეასაც, აყალიბებს ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო აზრის განვითარების ვექტორს, საშუალებას იძლევა შეიქმნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც თანამედროვე განვითარების მოთხოვნებს შეესაბამება, განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯებს მშპ-ში 2010-2017 წლებში შემდეგი სახე აქვს: 2010 წელი - 4.9%, 2012 - 4.7%, 2014 - 4.6%, 2015 - 4.7%, 2016 - 4.8%, 2017 - 4.7%. მეორე მხრივ, ბიზნესი - ეს არის სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების საფუძველი მატერიალური და საფინანსო კაპიტალის შექმნის გზით; მესამე - განათლება, როგორც მდგრადი განვითარების საფუძველი; მეოთხე - საბაზრო ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს, ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების, განათლების დაწესებულებების ძალისხმევას. ბელარუსში სამეცნიერო კვლევებზე დანახარჯებმა საქმიანობის სექტორების მიხედვით 2017 წელს ასეთი სახე მიიღო: სახელმწიფო სექტორი - 23%; სამეწარმეო სექტორი - 67.6%; უმაღლესი განათლების სექტორი - 9.4%.

ბელარუსის რესპუბლიკაში მომზადებულია და დამტკიცებულია სტრატეგია „მეცნიერება და ტექნოლოგიები: 2018-2040“, სადაც დადგენილია განვითარების პრიორიტეტული გზები და ამოცანები. ამ სტრატეგიის ძირითადი თეზისებია:

- მეცნიერება, მოწინავე ტექნოლოგიების საფუძველი;
- ინოვაციები უნდა შეესაბამებოდეს ძირითად მსოფლიო ტენდენციებს და საზოგადოების ინტერესებს;
- აუცილებელია კონკურენტუნარიანობის ახალ დონეზე გასვლა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ რესურსებს და საერთაშორისო სამეცნიერო თანამეგობრობას.

ამ თეზისების წარმატებით განხორციელების გარანტიად ბელარუსის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოცხადებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://belisa.org.by/ru/nis/innovac_infrastr/ Инновационная инфраструктура Республики Беларусь
2. <http://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/realny-sector-ekonomiki/nauka-i-innovatsii/> Кадры науки в 2018 году
3. https://knowledge.allbest.ru/management/3c0b65625a3ad78a5d53a88521216d37_0.html Национальная инновационная система Республики Беларусь
4. <https://viafuture.ru/katalog-idej/innovatsii-v-belarusi#10-belorusskih-innovatsij-2018-9-10-1> Содержание Особенности и приоритеты направления инновационной деятельности Беларуси
5. http://www.gknt.gov.by/deyatelnost/innovatsionnaya-politika/natsionalnaya_innovatsionnaya_sistema/ Национальная инновационная система
6. <http://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/makroekonomika-i-okruzhayushchaya-sreda/okruzhayuschaya-sreda/> Совокупные расходы на охрану окружающей среды ` по видам экономической деятельности ОКРБ 005-2011 (сопоставим с NACE Rev. 2.0)
7. Природные ресурсы в республике беларусь [gstu.by>sites...resursy_i...ispolzovanie_v...belarus.pdf](http://gstu.by/sites...resursy_i...ispolzovanie_v...belarus.pdf)
8. Национальный статистический комитет [belstat.gov.by>upload/iblock/abf/...pdf](http://belstat.gov.by/upload/iblock/abf/...pdf)

ON THE INNOVATIVE SYSTEM OF THE REPUBLIC OF BELARUS

Summary

The transition to innovative rails of economic development of the republic of Belarus is a key issue of the country's socio-economic development program. The program focuses on the preservation and development of the republic's scientific and human resources. The most significant tasks in this respect are: level of remuneration, economic and social security of science, raising the prestige of scientific activities, creation of innovative infrastructure, including technology transfer centers, innovation technology centers, technoparks, business incubators, staff Training Centers etc.

მარინე ცუცქერიძე

პოსტკომუნისტური ეკონომიკის განვითარების პროცესში მაღალი ტექნოლოგიების ბიზნესში გამოყენების შესახებ

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ბიზნესის სისტემაში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობის და მიზანშეწონილობის საკითხები და ამ გზით ევროინტეგრაციაში გაერთიანებული პოსტკომუნისტური სახელმწიფოების საბაზრო ურთიერთობების განვითარების მიმართულებები; გადმოცემულია თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების ბიზნესის რაციონალურად წარმართვის მიზნებისა და საწარმოო რესურსების ურთიერთშესაბამისობის საკითხები, რაც მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ტექნიკის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვითი და ორმაგი ტექნოლოგიები, ბიზნესის სისტემა, ინოვაციური ტექნიკა, ინტეგრაცია, ბიზნესის უსაფრთხოება.

შესავალი

გლობალიზაციისა და პოსტკომუნისტური გარდაქმნის პროცესში ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე პროცესების ვითარებაში ძირითადი ადგილი უკავია ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემების მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური საფუძვლების სრულყოფას. ასეთი ტექნოლოგიები წარმოიქმნა და ვითარდება ევროკავშირის მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის ამაღლების და ეროვნულ წარმოებათა ინტეგრაციის გზით. ამიტომ მაღალი ტექნოლოგიების მთავარ თავისებურებას თავდაცვითი ორმაგი დანიშნულება და ეკონომიკური პროცესების ეფექტიანად წარმართვა წარმოადგენს.

ამ მიმართულებით ნაშრომში გადმოცემულია ინოვაციური ბიზნესის სისტემის ფუქციონირებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი ასპექტები, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების შეფასების საფუძვლები და სხვ. ამისათვის გამოყენებულია ევროკავშირის სტრატეგიებისა და პარტნიორების შესახებ არსებული დოკუმენტები და მასალები, რომლებშიც ასახულია ინოვაციური ბიზნესის განვითარებისა და ფუნქციონირების თანამედროვე მექანიზმი.

ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის შემოსავლების ზრდის მიზნებისათვის, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ევროგაერთიანების და პოსკომუნისტურ სახელმწიფოთა სამეცნიერო და ტექნიკურ გამოკვლევათა საფუძველზე შემუშავებულ ტექნოლოგიებს ახასიათებს თავდაცვითი და ასევე ორმაგი დანიშნულება, რადგან ისინი გამოიყენება სახელმწიფოს თავდაცვისა და წარმოების, ასევე სოციალური მომსახურების სისტემის დასაცავად. მაღალი ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება ბიზნესის უსაფრთხოების წინაპირობაა და საფუძვლად უდევს მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის წარმოქმნას. იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ფირმის მმართველობითი სისტემის გარდაქმნის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ახალი ტექნოლოგიების ათვისება ფირმების საკუთრების დაცვის მიზანს ემსახურება. ასეთი ტექნოლოგიების საფუძველზე ხორციელდება როგორც სახელმწიფოს თავდაცვის საშუალებათა, ასევე სამრეწველო პროდუქციის წარმოება. აღნიშნული ტექნოლოგიები მიმართულია ბიზნესის ობიექტების თავდაცვაზე, რაც მის ორმაგ დანიშნულებაზე მიანიშნებს.

ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარებისა და პროცესის წარმოებათა ინტეგრაციის პროცესისათვის ძირითადი მიზანია:

1. პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიები, რომლითაც შესაძლებელია ტექნოლოგიურ მოწყობილობათა დამზადება;

2. ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ფირმათა საქმიანობის წარმართვისათვის, მისი კონტროლის ზუსტი ტექნიკის საშუალებებით – ხელსაწყოებით ფირმის უზრუნველყოფისათვის.

3. პროდუქციის წარმოების პროცესში გამოყენებული ლაზერული ტექნოლოგიები;

4. ფირმის საბაზრო ურთიერთკავშირების დასამყარებლად გამოყენებული ტექნოლოგიები, რომლის საშუალებით წარმოებულ ტექნიკის გაღვანური დაფარვა ხორციელდება და სხვა.

5. ფირმის მმართველობითი პროგრამებისათვის საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტების ავტომატიზებული დამუშავების ტექნოლოგია, რომელიც საწარმოო პროცესების წარმართვისთვისაც გამოიყენება;

6. სამრეწველო ბიზნესში გამოიყენება ავტომატური მონიტაჟის შემსრულებელი ტექნოლოგია, მისთვის დამახასიათებელი კომპონენტებით და მიკროსქემებით.

7. ბიზნესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიები ინოვაციური კომპლექტებით, რომლებიც ორმაგი დანიშნულებისაა და აუცილებელია მინიპროგრამების დასამონტაჟებლად.

ამრიგად, ასეთი ტექნოლოგიები წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროდუქციას, რომელიც მიეკუთვნება მაღალ ტექნოლოგიებს და ასევე მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საბაზრო პროდუქტს. იგი საშუალებას იძლევა დაცული იქნეს კომპიუტერული ტექნიკის მართვისათვის საჭირო ნაწილები სამუშაო ადგილზე, რაც განაპირობებს ინფორმაციის შენახვის სისტემის გაფრთხილებას. ამის წინაპირობებია: 1. ტექნიკური მონაცემები, ანუ დოკუმენტები, რაც აუცილებელია ფირმის მმართველობითი ფუნქციების შესასრულებლად; 2. საქმიანობის სახეები და მახასიათებლები; 3. ფირმის დამკვეთი ორგანიზაციები, მათი სახეები, გამოსახულებები და შეკვეთების ინდივიდუალური ესკიზები. ამისათვის გამოყენებულ ტექნოლოგიებს შორის მთავარს წარმოადგენს ლაზერული კავშირისა და თერმოტრანსფერული ბეჭდვის

ტექნოლოგია, სტანდარტული ჰოლოგრამების გამოყენებით კომპანიის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გამოსახვა – ლოგოტიპებით, გამოსახულებით ან ნუმერაციით.

ასეთი თავდაცვითი და ორმაგი ტექნოლოგიის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს: ბიზნესის სისტემისათვის მისაღები ფასებით დამცავი კომპლექტების ცალობრივი შესყიდვის შესაძლებლობა, ასევე თავდაცვის მაღალ დონეზე დიზაინისადმი ნებისმიერი მოთხოვნის დაცვა, შემკვეთი ორგანიზაციისათვის ინდივიდუალური ნიშნის მიკუთვნება და სხვა. იგი გამოიყენება კომპანიის სტა-ტუსის ასამაღლებლად, თავდაცვის მაღალი დონის მისაღწევად, როდესაც ფირმის შეკვეთაზე მოთხოვნა დროის მცირე მონაკვეთების და ტირაჟით გაითვალისწინება.

მაღალი ტექნოლოგიების ბიზნესის სისტემაში გამოყენების ძირითად ასპექტს წარმოადგენს უსაფრთხოების მიზნებისათვის თავდაცვითი და საწარმოო დანიშნულების, ანუ ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობის შეფასება. ფირმებში ასეთი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და მისი პროგრამული უზრუნველყოფა, კერძოდ მიწოდების მარშრუტების დაგეგმვა და ტერიტორიული განაწილების ოპტიმიზაცია სავაჭრო ობიექტებისა და მიწოდების მარშრუტებისათვის.

მომსახურების სისტემაში მისი მაღალი ხარისხის მისაღწევად გამოიყენება სპეციალური პროგრამები (WMS პროგრამა), რომლის საშუალებით ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება პროდუქციის მიღება, შენახვა, შეგროვება, დატვირთვის ოპერაციები, ასევე ამ პროცესების კონტროლი. სამუშაო პროცესები აისახება ელექტრონულ სისტემაში (ERP), ხოლო პროდუქციის საბაზრო და სხვა მიწოდებათა პროცესის მონიტორინგის განხორციელებისათვის გამოიყენება თანამედროვე ვიდეოტექნოლოგიები.

ინფორმაციული ტექნოლოგიებით ხდება ბიზნესისათვის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება, რაც შეიცავს ინფორმაციას ბიზნესით დაინტერესებული კომპანიების შესახებ. იგი განაპირობებს ბიზნესის მახასიათებლების და შედეგების პროგნოზირების, საწარმოო და საბაზრო რისკების, ასევე ბიზნესის რისკის შეფასების საშუალებას.

აღნიშნული განაპირობებს ბიზნესის სისტემებში ასეთი ტექნოლოგიების მიზანშეწონილ გამოყენებას, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალურ შესაძლებლობათა გამოვლენას, ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციას თანამედროვე ინოვაციური ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასეთი ინოვაციური ტექნოლოგიები ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემათა კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

ბიზნესის განვითარება და ევროგაერთიანება, წარმოებათა ინტეგრაცია თავისუფალი კონკურენციის მიზნებს ემსახურება, ამავე დროს, ევრო-კავშირის ინოვაციური პოლიტიკით გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნებისათვის. ბიზნესის სისტემის ეფექტიანობა ძირითადად დამოკიდებულია ასეთი ტექნოლოგიების წარმოებაში გამოყენების უნარზე მსოფლიო ბაზარზე მზარდი კონკურენციის ვითარებაში. ამიტომ ინოვაციურ პოლიტიკაში ძირითადია სამეცნიერო კვლევების აუცილებელი გარემოს წარმოქმნა და ტექნოლოგიების განვითარება ელექტრონიკისა და კომპიუტერულ წარმოებაში; აგრეთვე ისეთ წარმოებათა გაფართოება, რომლებშიც უახლესი, არსებითად გაუმჯობესებული ტექნიკა და ტექნოლოგიები გამოიყენება, და სადაც ახალი ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე ხორციელდება პროდუქციის პოპულარიზაცია;

გამოირჩევინ ინოვაციურობის მაღალი მაჩვენებლებით და ტექნოლოგიური გამტარუნარიანობით, რაც ბიზნესის სარგებლიანობის ამაღლებას განაპირობებს.

ამ მიმართულებით ინოვაციური განვითარების პროცესისათვის დამახასიათებელია თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება. ბიზნესის დარგებისა და მომსახურების სისტემებში იგი განაპირობებს ბიზნესის ტექნოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებას და მისი ელემენტების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ტექნოლოგიური განვითარება. მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას და ბიზნესისათვის თავდაცვითი და ორმაგი ტექნოლოგიების მნიშვნელობას განაპირობებს წარმოებისა და მომსახურების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინოვაციური ტექნიკის არსებობა საწარმოებში. ასეთი ტექნოლოგიებით შესაძლებელია ბიზნესის განვითარება და მისი ფინანსური, საწარმოო და ინფორმაციული პროცესების უსაფრთხოების დაცვა. მათ შორის ძირითადია: 1. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება წარმოებისა და მომსახურების პროცესების წარმართვასა და საწარმოო საკუთრების დაცვისათვის სხვადასხვა დარგის ფირმებსა და მეწარმეობის სექტორებში; 2. საბაზრო პროცესებში ფირმების წარმატებით მონაწილეობისა და ადმინისტრაციულ ვალდებულებათა შესრულების დროს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ტექნიკის გამოყენება; 3. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე ბიზნეს სისტემის ფინანსური და ინფორმაციული უსაფრთხოების დასაცავ ღონისძიებათა შესრულება; 4. ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების და თავდაცვითი ტექნიკის გამოყენებით ინოვაციური ბიზნესის განვითარების პროცესის რაციონალურად წარმართვა; 5. ინოვაციური გამომთვლელი, ძირითადად კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების მიღწევა და სხვა.

ტექნოლოგიური განვითარების ძირითად შედეგს წარმოადგენს ბიზნესის ტექნოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება, ამის საფუძველს ევროგაერთიანების სამეცნიერო და ტექნიკური კვლევებისა და ინოვაციური ტექნიკის წარმოების გაფართოების, ბიზნესის დარგობრივი საქმიანობისა და წარმოების პროცესების ინტეგრაცია წარმოადგენს. ბიზნესის ტექნოლოგიური სისტემა აქტიურად ზემოქმედებს წარმოებისა და მომსახურების დარგების ფუნქციონირებაზე და მათ ორგანიზებულობას განაპირობებს. იგი მოიცავს ფირმის ფინანსურ და საბაზრო საქმიანობაში სიზუსტეს და პროდუქციის მიწოდების ეფექტიან ორგანიზაციას, რაც ფირმის საბაზრო მიზნების მისაღწევ მიმართულებას წარმოადგენს. ბიზნესის თავდაცვისა და უსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიის გამოყენება წარმოშობს ისეთ სიტუაციებს, რომელიც არ საჭიროებს ფირმათა საქმიანობის გადასინჯვას, საბაზრო პროცესებში შეფერხებებს, ფინანსური რესურსების გადახარჯვას, ასევე განაპირობებს მათ შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვას კონკურენტებისაგან. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების ბიზნესში გამოყენების დროს ფირმის მმართველობითი სისტემის საქმიანობა აქტიურად უკავშირდება ისეთი პროცესების განხორციელებას, რომლის დროსაც შესაძლებელია ბიზნესის ობიექტების დაცვა პროდუქციისა და მომსახურების დატაცებისა და მითვისებისაგან. ამავე დროს საწარმოებში ტექნოლოგიური განვითარების პროცესი ხორციელდება ბიზნესის უსაფრთხოებასთან ურთიერთმიმართებაში. ამ მიზნით წარმოქმნილი ბიზნესის უსაფრთხოების სისტემა აერთიანებს: კომპანიების ფინანსური უსაფრთხოების დაცვის, მისი ორგანიზაციული და ინფორმაციული უსაფრთხოების მისაღწევად გამოყენებულ უახლეს ტექნიკას,

ტექნოლოგიებს და ფირმათა მართვის ინოვაციურ მეთოდებს. ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების მიზანშეწონილობა განაპირობებს ფირმის მთლიანობის, მისი საბაზრო უპირატესობის დაცვისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკაში გატარების ინტერესებს. ამისათვის საჭირო ინოვაციური ტექნიკა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების პროცესების ინტეგრაციის საშუალებას იძლევა ევროგაერთიანების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ კვლევებში მონაწილე სახელმწიფოებისათვის.

ამრიგად, ტექნოლოგიური განვითარება წარმოადგენს ბიზნესის საწარმოო და საბაზრო საქმიანობის, მისი შემოსავლების გადიდების საშუალებას. იგი განაპირობებს ინოვაციური ტექნოლოგიების ბიზნესში გამოყენებას. კერძოდ ფირმის საწარმოო, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ტექნოლოგიებიდან მთავარია თავდაცვის ტექნიკური საშუალებანი, საწარმოო ტექნოლოგიები, ავტონომიური თავდაცვის სისტემები, თავდაცვის ავტომატიზებული სისტემები და სხვ.

ინოვაციური ტექნოლოგიები. ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებად წარმოებათა შიდასაბაზრო ინტეგრაციისათვის გამოიყენება: 1. თავდაცვითი დანიშნულების, სწრაფადგანვითარებადი ტექნოლოგიები. ტექნოლოგიური ზრდის მიზანს წარმოადგენს ინოვაციური ტექნიკის წარმოების გადიდება და მისი გამოყენება ორმაგი დანიშნულებით – სახელმწიფოს თავდაცვის, ტექნიკისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების დარგებში; 2. ფირმათა მართვის პროცესების რაციონალურად წარმართვისათვის ინოვაციური კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა წარმოების გადიდებისათვის, რაც მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურად განვითარებადი ბიზნესის დარგების განვითარებისათვის; 3. ევრომეწარმეობაში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები, ავტომატური გადახდისა და ავტომატიზებული მომსახურების სისტემები. მათი გამოყენების დროს ბიზნესში თავდაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება ინოვაციური ტექნიკა; 4. საპატენტო სისტემა, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევების გაფართოებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისათვის, რისთვისაც ინოვაციური საქმიანობის კომერციალიზაციაა მიზანშეწონილი; 5. საბაზრო პროცესებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური პროგრესის შედეგები, ანუ საბაზრო ტექნოლოგიები. მათ შორის ძირითადია მარკეტინგული ტექნოლოგიები, საბაზრო ფასწარმოქმნის ინოვაციური სისტემა და სხვა.

ევროინტეგრაციული სახელმწიფოებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა. ტექნოლოგიების და წარმოებათა ინტეგრაციული ურთიერთკავშირის გაფართოება და უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, მათი გამოყენება ბიზნესის შემოსავლების ზრდის მიზნით, წარმოადგენს ერთ-ერთ მმართველობით ღონისძიებას, რომლის შედეგია წინაპირობების შექმნა ინოვაციური ბიზნესის წარმოქმნისათვის.

ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესი დაკავშირებულია მაღალი ტექნოლოგიების წარმოების სექტორის გაძლიერებასთან. იგი ძირითადად ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების საფუძველზე შეიძლება იქნეს მიღწეული. ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ბიზნესის საწარმოო სისტემაში გამოიყენება ინოვაციური ტექნიკის საწარმოებლად. მათ გააჩნიათ როგორც საწარმოო, ასევე ბიზნესის პროცესებში თავდაცვითი დანიშნულება. ამავე დროს ინოვაციური ტექნოლოგიები გამოირჩევიან მათი დანიშნულების მრავალსახეობით, წარმოადგენენ მეცნიერებატევადს, ასევე პოტენციურ საშუალებას ბიზნესის წარმართვისათვის აუცილებელი თავდაცვითი ტექნიკის წარმოებისათვის.

ინოვაციურ ტექნოლოგიებს ახასიათებს: მათი შექმნისა და დანერგვის ვადების შემცირება და ამ პროცესის რაციონალურად წარმართვის შესაძლებლობა, ამისათვის გამოყენებული ფინანსური რესურსების ოპტიმალურობა, ბიზნესის სისტემებში მათი გამოყენების დროს ტექნოლოგიურ განსხვავებათა შემცირება საწარმოო და მომსახურების სექტორებს შორის, იგი საშუალებას იძლევა თავდაცვითი მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული ბიზნესის სისტემაში არსებული სამრეწველო პოტენციალი; იგი წარმოადგენს ფირმის მმართველობითი კაპიტალის ოპტიმიზაციის საშუალებასაც და განაპირობებს საწარმოო პოტენციალის გამოყენებისა და პროდუქციის მისაღებად საჭირო დანახარჯების შემცირებას. ამით იგი ბიზნესის ობიექტებზე სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში და მის ბიზნეს სისტემაში ძირითადად უკავშირდება საწარმოთა ევროინტეგრაციის პროცესში ახალი ტექნოლოგიების წარმოქმნას და მეცნიერულ და ტექნიკურ გამოკვლევათა შედეგების რეალიზაციას. მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის უსაფრთხოებისა და სამრეწველო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. იგი საფუძვლად უდევს სახელმწიფოს მეცნიერული და ტექნიკური, ასევე ინოვაციური პოტენციალის წარმოქმნას, ეკონომიკასა და ბიზნესის სისტემაში ევროინტეგრაციის და შიდასაბაზრო ინტეგრაციის განხორციელებას.

ევროგაერთიანების ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება და სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების შექმნის პროცესების ინტეგრაცია წარმოადგენს ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბების საფუძველს, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება წარმოების დარგებსა და მომსახურების სისტემებში, ასევე თავდაცვითი ტექნიკის წარმოებისა და სამრეწველო ბიზნესის გაფართოება, რაც განაპირობებს ბიზნესის ტექნოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებას და მისი ელემენტების ეფექტიან ფუნქციონირებას. ამ მიზნით ინოვაციური ტექნიკის საშუალებებიდან თანამედროვე ბიზნესის საწარმოებში ძირითადად გამოიყენება: კომპიუტერული ტექნიკა ინფორმაციული თავდაცვის და ორმაგი დანიშნულების მქონე დამცავი კომპლექტებით; ასევე თავდაცვის საშუალებანი – ლაზერული ტექნიკა და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები; სამრეწველო ბიზნესში გამოყენებული რობოტოტექნიკა, რომელიც მომსახურების პროცესებშიც გამოიყენება; ბიზნესის ფინანსური ოპერაციების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინოვაციური ტექნიკა. ორმაგი დანიშნულების ასეთი ტექნოლოგიების და ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია ინოვაციური ბიზნესის განვითარების პროცესის რაციონალურად წარმართვა, რომელიც თანამედროვე ევროინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელ წინაპირობასაც წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რამაზი, ევროკავშირის ინოვაციური სისტემა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.
2. პაპავა ვლადიმერი, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება. სამეცნიერო შრომების კრებუ-

ლი, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017

3. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, „დიოგენე“, 2000.

4. ბერულავა გიორგი, კაკულია ეთერი, გოგოხია თეიმურაზი, ინოვაციური მცირე ფირმების (ბიზნესის) ფუნქციონირების თავისებურებები ევროკავშირის ქვეყნებში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.

5. ცუცქირიძე მარინე, ბიზნესის განვითარების ტენდენციები და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

Marine Tsutskiridze

**ON THE USE OF HIGH-TECH BUSINESS
IN THE DEVELOPMENT OF THE POST-COMMUNIST ECONOMY
Summary**

The paper deals with issues of the use of basic High technologies in business development, which is the specificity of the use of high technologies in the economy. While describing defense technologies, we consider their dual-use feature, which is its main peculiarity. The paper discusses the types of defense and dual-use technologies that are used for rational management of business system. It addresses the problems of integration into scientific and technical researches and technological processes of the European Union. These technologies are discussed in relationship with the EU's innovative policies and its use as a major innovation resource in the industry sectors of business is clarified.

While analyzing technological business development the paper focuses on aspects of the use of innovative computer technologies in the production, service and financial, as well as information sectors of the firm, which use defense equipment and dual-use technologies for the development of state and industrial businesses.

The paper also discusses the means of production of innovative robotics, laser and cloud technologies, computer system protection dual-use software packages, innovative techniques of automatic payment for safety and technological growth of business, as well as the problems of the use of galvanic technologies, important for industrial business, innovative technologies for the information security of the firm and other scientific technological innovations.

This determines the establishment of technological system of business, the growth of the competitiveness of products and services, as well the growth of technical means for business and state security and the development of the national economy.

ზურაბ წერეთელი

**სასურსათო უსაფრთხოება,
როგორც ძირითადი გლობალური პრობლემა**

ანოტაცია. ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული გარდაქმნების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც ამასთანავე გლობალურ ეკონომიკურ პრობლემასაც წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემასთან. გლობალიზაციის გაღრმავებამ და ღია ეკონომიკების განვითარებამ იგი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი უდიდეს როლს თამაშობს ქვეყანაში დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის მიღწევა-განმტკიცებაში, ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში, ამ პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულირების შესუსტებამ მრავალი ნეგატიური ტენდენცია წარმოქმნა საქართველოში – დააქვეითა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და გარკვეული საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოებრიობასაც.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, სასურსათო უსაფრთხოება, სასიცოცხლო უზრუნველყოფა, სრულფასოვანი ბალანსირებული სურსათი, უვნებელი სურსათი, ხელმისაწვდომი სურსათი.

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური ხასიათის ძირითად გლობალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ: სიდარობის დაძლევა და სასურსათო უსაფრთხოებას.

სასურსათო უსაფრთხოება განეკუთვნება გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, რადგან დედამიწის მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც [კაკულია. რ. 2003, გვ.104]

სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება და შენარჩუნება.

სასურსათო უსაფრთხოება ისევე, როგორც ეკოლოგიური და სხვა ხასიათის გლობალური პრობლემები განხილული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ რეალობათა კონტექსტში, ერების თანაარსებობისა და მათი შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. იგი საზოგადოების კეთილდღეობის ამალგების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა.

* * *

სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ცნება, პირველად 1970-იან წლებში გაჟღერდა და მას შემდეგ მისი შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. დღესდღეობით მას გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) შემდეგნაირად განმარტავს: სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.

მოსახლეობის სურსათით სრულფასოვანი უზრუნველყოფის დროს მიიღწევა პიროვნების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადი განვითარება. ვინაიდან სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველად სასიცოცხლო საჭიროებას, სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია.

ცნობილი რუსი სპეციალისტის კოვალევას თვალსაზრისით, მსოფლიო საკვების პრობლემას აქვს ორმაგი ბუნება: სოციალურ-ეკონომიკური, რომელიც დაკავშირებულია საკვების წარმოებისა და განაწილების მეთოდთან, რაც განსაზღვრავს მათი განაწილებისა და მოხმარების დიფერენციაციას (მათ შორის შიმშილსა და დაქვეითებას) და გლობალურ მდგომარეობას, რაც ასახავს სურსათის წარმოებისთვის ბუნებრივი რესურსების საბოლოო ბუნებას [Ковалев Е. С., 5].

სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას: 1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით; 2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით; 3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით და 4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით [კოლუაშვილი პ., <https://agronews.ge/9282-2/>].

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების საკითხის შესწავლა, გაანალიზება და დანერგვა დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, გასული საუკუნის 90-იან წლებში. ვფიქრობთ, დღესაც არ ექცევა მას ჯეროვანი ყურადღება, რაზედაც მოწმობს თუნდაც ის, რომ სასურსათო უსაფრთხოება არ არის მოხსენიებული არცერთ სამთავრობო პროგრამაში და არ განიხილება ის ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში სხვა უსაფრთხოებების გვერდით, მაგალითად, ისეთ დოკუმენტშიც კი, როგორცაა „საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020“, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოქმედ დებულებაში არ ფიგურირებს სასურსათო უსაფრთხოება როგორც ასეთი, თუმცა ამ სამინისტროში არსებობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფა ანუ სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი (მე-3) მიმართულება. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ამავე სამინისტროსთან არსებულ სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც მხოლოდ სურსათის უვნებლობის მონიტორინგს ანხორციელებს და არ მიდის სასურსათო უსაფრთხოების სხვა მიმართულებებზე მუშაობა (სურსათის საკმარისობა, სრულფასოვნება, დაბალანსებული კვება, ხელმისაწვდომობა). იგივე ითქმის ამავე სამინისტროსთან შექმნილი სამეცნიერო ცენტრის მიმართაც, სადაც არის რისკის ანალიზის დეპარტამენტი, რაც სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთ მიმართულებას (ისევე მე-3) სურსათის უვნებლობას ეხება.

მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. საგულისხმოა, რომ ამ ტერმინის ქვეშ საქართველოში ძირითადად გულისხმობენ სურსათის უვნებლობას (სასურსათო უსაფრთხოების მე-3 მიმართულებას) და შედარებით ნაკლებად — სურსათის საკმარისობას (პირველი მიმართულება), რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს სურსათის წარმოებას, ხოლო რაც შეეხება მოსახლეობის სრულფასოვანი სურსათით უზრუნველყოფას, სურსათის მოხმარების დონეს, ფიზიოლოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას (მე-2 კომპონენტი), მოსახლეობის მიერ რეალური საარსებო მინიმუმის ათვისებას, ყურადღების მიღმა რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი უმნიშვნელოვანესი საკითხებია და ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უმთავრესია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად 2013-2015 წლებში მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისა (მობილიზებული იქნა 1,8 მილიარდი ლარი), რაც განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის მიმართულებით (უსასყიდლოდ მიწების დახვნა 700-800 ათასზე მეტი ოჯახური მეურნისათვის, მათთვის უსასყიდლოდ თესლის, სასუქების, შხამქიმიკატების, პესტიციდების, ვეტ. პრეპარატების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გადაცემა;

დაბალპროცენტიანი კრედიტების გამოყოფა კოოპერატივებისა და კვების გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების შექმნისათვის; სოფლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების გაყვანა, ელ. დენით, ბუნებრივი აირით, სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა, სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სხვა, გაკვირვებას იწვევს „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის“ პროექტში სასურსათო უსაფრთხოების თემისა და მისი მნიშვნელობის არადამაკმაყოფილებლად და არასრულყოფილად გაშუქება.

სამწუხაროდ, ეს პროექტი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სასურსათო უსაფრთხოების ორ მიმართულებაზე, როგორცაა: საკვების ფიზიკური არსებობა (საკმარისობა) და მისი ხელმისაწვდომობა. არაფერია ნათქვამი ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორცაა საკვების მოხმარება, რასაც ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს მასზედ, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც არ არსებობს სასურსათო უსაფრთხოება იმ შინაარსით, რა შინაარსითაც ესმით ის საერთაშორისო ორგანიზაციებს. ტერმინი სასურსათო უსაფრთხოება ხშირად გაიგივებულია სურსათის უვნებლობასთან, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთ-ერთ მის შემადგენელ მიმართულებას წარმოადგენს.

ამ მიმართებით ჩატარებულმა კვლევებმა, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ (13 ორგანიზაციის კონფედერაციაა, რომლებიც 3000 პარტნიორთან ერთად 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ, რათა სათანადო გადაწყვეტა მოუძებნონ სიღარბესა და უსამართლობას) ეგიდით აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს სასურსათო უსაფრთხოების არა მარტო ერთიანი სტრატეგია, პროგრამა და მისი განმახორციელებელი ინსტიტუტი, არამედ სასურსათო უსაფრთხოების სისტემის სახელმწიფოებრივი გაგება. სასურსათო უსაფრთხოების ელემენტები მიმოფანტულია სხვადასხვა სამინისტროებში, უწყებებში, მათ ნორმატიულ აქტებში და არ არსებობს მათ შორის კომუნიკაცია, რაც არ იძლევა ერთი ცენტრიდან კოორდინაციის შესაძლებლობას.

საქართველოს მოსახლეობის 50%-ს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს, - ამის შესახებ საუბარია „ოქსფამის“ კვლევაში.

2013 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით, „ოქსფამი“ ახორციელებდა 4-წლიან პროექტს „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში“. იმისთვის, რომ მომხდარიყო სასურსათო უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება და პროცესში ჩართული მხარეების ცნობიერების დონისა და შესაძლებლობების გამოკვლევა, „ოქსფამმა“ 2014 წლის ზაფხულის პერიოდში საბაზისო კვლევა ჩაატარა, რომელმაც, მათი ინფორმაციით, მნიშვნელოვან საკითხებზე საგანგაშო შედეგები გამოავლინა როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში.

საქართველოსთან მიმართებაში კვლევის ძირითადი დასკვნებიდან ჩანს, რომ: მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 1/3 და ქალებისა და ბავშვების 33-34% მოიხმარს რკინით მდიდარ ხორცის პროდუქტს; მოხუცი ქალები და ასაკოვანი მოსახლეობის მხოლოდ 24-25%-ს მიუწვდება ხელი ცხოველური წარმოების პროდუქციაზე, რომელიც მდიდარია A ვიტამინით; ქალების 50%, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 100-1000 ლარია, მოიხმარს 4 ჯგუფის საკვებს, რეკომენდებული 10 ჯგუფის ნაცვლად, მაშინ როდესაც ოჯახის დანარჩენი წევრები მოიხმარენ 5 ან მეტი ჯგუფის საკვებს, ქალები თავს იკავებენ ხორცეულისა და ხილის მოხმარებისგან; საქართველოს მოსახლეობის 50%-ს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აღენიშნება; მოსახლეობის 61% - ხორცეულისა და თევზეულის, 45% - ხილის და ბოსტნეულის, 20%

კი რძის ნაწარმის დეფიციტს განიცდის; ოჯახების 14% სისტემატურად სესხულობს ფულს სურსათის შესაძენად; საქართველოში 10-17 წლის ასაკის მოზარდების 50% მოკლებულია ვიტამინებით, ცილებით და რკინით მდიდარ სურსათს, რაც უარყოფითად აისახება მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ქმნის ცილოვანი დეფიციტით გამოწვეულ მდგომარეობას, ანემიის განვითარებისა და ზრდის შეფერხების რისკს.

კვლევების საფუძველზე და გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ 4 მიმართულებაზე დაყრდნობით, „ოქსფამმა“ სასურსათო უსაფრთხოების კუთხით სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა შეაფასა და დაასკვნა, რომ: სურსათის წარმოების ინდექსი დაბალია, ხოლო სურსათზე ფასები - ძალიან მაღალი. ამასთან, რეგიონში ძირითადი პრობლემა არის ჭარბი სახამებლიანი სურსათი, ხოლო ცილები ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც ბავშვებში ზრდის შეფერხებასა და განუვითარებლობას იწვევს. ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველოსა და სომხეთში მოხმარებული საკვების 50%-ზე მეტი იმპორტირებულია და სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების დონე ამ ორ ქვეყანაში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონში ან განვითარებულ ქვეყნებში. საყურადღებოა, რომ რეგიონში სურსათის ძირითადი მწარმოებლები და გადამამუშავებლები ქალები არიან - მცირე მეურნეთა 54% საქართველოში და 58.7% სომხეთში ქალია. მთლიანი მოსახლეობის სამუშაო ძალას რაც შეეხება, 53% საქართველოში და 40% სომხეთში სოფლის მეურნეობის სფეროში არიან დასაქმებულნი. სომხეთის მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის 64%, ხოლო საქართველოს მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის 54% სურსათზე იხარჯება. ამასთან, სურსათზე მუდმივი ხელმისაწვდომობა მაღალმთიან რეგიონებში უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს, რაც ისეთი ლოგიკური შემაფერხებელი ფაქტორებით არის გამოწვეული, როგორცაა ინფრასტრუქტურა და კლიმატი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგია ის, რომ მთელი რიგი საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით სასურსათო უსაფრთხოება საქართველოში არ არსებობს, რის საფუძველსაც იძლევა ის ფაქტიური მდგომარეობაც, რაც მისი ოთხივე მიმართულების უხეში დარღვევითაა გამოხატული.

მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით მიიღწევა როგორც ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით (თვითუზრუნველყოფა), ასევე დეფიციტური პროდუქციის იმპორტით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ძირითადი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თუმცა, მნიშვნელოვანია ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობაც (ინვესტიციების მოზიდვა, მწარმოებელთა ხელისშეწყობა იაფი კრედიტებით, ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით, წარმოებული პროდუქციის ბაზრის მოძებნა, დაზღვევის ორგანიზაცია, ასევე იმპორტით დაინტერესებული ბიზნესმენების ხელშეწყობა და სხვა) [კოლუაშვილი პ.. <https://agronews.ge/9282-2/>] .

სასურსათო უსაფრთხოების მე-2 მიმართულება: **მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით**, ძალიან შორსაა სასურველისაგან. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაბალი სოციალური პირობების გამო ვერ ახერხებს ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად საკვების შეძენას და მოხმარებას, რის გამოც უხეშადაა დარღვეული სასურსათო უსაფრთხოების ეს კომპონენტიც.

მოსახლეობისათვის შეთავაზებული სურსათი უნდა იყოს მრავალფეროვანი, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა პროდუქციის იმ რაოდენობით

მიღება-მოხმარებას, რაც განაპირობებს ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ინგრედიენტებით: ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით შევსება-გამდიდრებასა და მათი ურთიერთ-შეფარდების ბალანსის დაცვას.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად პრიორიტეტული როლი ენიჭება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსაც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგი 2005 წლის ჩათვლით ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში დამკვიდრებული საბჭოთა სტანდარტის — ГОСТ-ის შესაბამისად. 2006 წლიდან მაშინდელი ხელისუფლების მიერ საერთოდ გაუქმდა კონტროლი სასურსათო პროდუქციაზე, რამაც გზა გაუხსნა იმპორტიორებს შემოეტანათ საქართველოში სხვაგან დაწუნებული, ფალსიფიცირებული, მიკრობებითა და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებული, ასევე გენმოდიფიცირებული, დაბალი ღირებულების პროდუქტები, რამაც, გამოიწვია არამართო მომხმარებელთა მასიური დაავადებები (განსაკუთრებით ავთვისებიანი სიმსივნით 7-8 ათასი ადამიანი წელიწადში), არამედ სურსათის ადგილობრივი წარმოების პარალიზება. მცირე მეწარმეების მიერ მოყვანილმა ადგილობრივმა პროდუქციამ კონკურენცია ვერ გაუწია შედარებით იაფფასიან იმპორტულ პროდუქციას და ფაქტიურად სამამულო წარმოება მოკვდა (2013 წლამდე საქართველოში სახნავ-სათესი მიწების 80% ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩებოდა). ყოველივე ამან განაპირობა სოფლის მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება და მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიატოვა სოფელი და სამუშაოსა და სარჩოს საძებნელად ქალაქს მიაშურა (ასეულობით სოფელი დაცარიელდა და ყველაზე შეძლებულად სოფელში პენსიონერი ითვლება).

2013 წლიდან ინტენსიურად დაიწყო სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლი, რასაც საწარმოებში და სავაჭრო ქსელში ანხორციელებს სურსათის ეროვნული სამსახური, ხოლო საბაჟოზე — ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. საგულისხმოა ის, რომ 3 წელიწადში მონიტორინგის (სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა) რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 6 ათასს მიაღწია, რაც მისასალმებელია, თუმცა, მონიტორინგის მასშტაბები ჯერ კიდევ არასაკმარისია. საჭიროა ამ სამსახურისათვის დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა და შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უზრუნველყოფას უვნებელი სურსათით ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა ხელისუფლების მხრიდან (რაც ზემოთაც აღინიშნა). ამ მიმართულებით მუშაობს: სურსათის ეროვნული სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი, ამავე სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის რისკის მართვის დეპარტამენტი, ასევე ქვეყანაში სპეციალურად შექმნილი 11 ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტ — ISO-ს შესაბამისად.

მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათითაც უხეშად იყო დარღვეული და ჯერჯერობით თითქმის ისეთივე მდგომარეობაა, რადგან ზემოთ აღნიშნული დაბალი სოციალური პირობების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მისთვის საჭირო რაოდენობის სურსათის შეძენას.

ხელმისაწვდომობა თავისთავად არსებობს: ფიზიკური და მატერიალური.

ფიზიკური გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის ნებისმიერი რეგიონისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი მისთვის საჭირო სურსათი. მაგალითად, ახალქალაქს უნდა მიეწოდოს აჭარაში მოწეული ციტრუსი და პირიქით, ახალქალაქიდან აჭარას — კარტოფილი. ამის განხორციელებაში სახელმწიფომ უნდა მიიღოს თუ პირდაპირი არა, ირიბი მონაწილეობა მაინც მოვაჭრეთა ხელის შეწყობის გზით.

მატერიალური ხელმისაწვდომობა გულისხმობს იმას, რომ სასურსათო პროდუქცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის ეკონომიკურად, შეეძლოს მომხმარებელს მისი შესყიდვა, რაც კი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება მსყიდველობითი უნარი, რაც დამოკიდებულია მის შემოსავალზე, ეს უკანასკნელი კი მის დასაქმებაზე.

იმისათვის, რომ სურსათის უსაფრთხოება იყოს გარანტირებული, საჭიროა ოთხივე მიმართულების არსებობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება, ინდივიდი ან ქვეყანა შეიძლება დადგეს სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და მისი განმტკიცება დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან:

— მაკროეკონომიკური რისკები, რასაც განაპირობებს: 1. დაბალი ინვესტიციები, ინვესტორებისათვის ნაკლებ საინტერესო გარემო; 2. სამამულო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა; 3. ქვეყნის სხვადასხვა დარგების საგარეო-ეკონომიკური კონიუნქტურის მიმართ დამოკიდებულება (დამოუკიდებლობის დეფიციტი);

— პოლიტიკური და სოციალური რისკები, რასაც განაპირობებს: პოლიტიკური დამაბულობები, შეიარაღებული კონფლიქტები, ხელისუფლების შეცვლა, სამოქალაქო ომები, სოციალური დამაბულობები და სხვ.;

— ტექნოლოგიური რისკები, რასაც განაპირობებს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის დაბალი დონე;

— აგროეკოლოგიური რისკები, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მოულოდნელი მოვლენებით: სტიქიური კლიმატური ცვლილებები (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა, მცენარეთა ან ცხოველთა დაავადებები, მიწისძვრები და სხვა საგანგებო სიტუაციები);

— საგარეო-ეკონომიკური რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან (სურსათზე ფასების ზრდა, ვალუტის კურსის ცვლილება და სხვა).

ჩვენი აზრით, სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საკუთარი კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა (ობიექტურად შესაძლო ფარგლებში), რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული, ერთი მხრივ, როგორც შიდა სურსათის ბაზრის დაცვა დაბალი ხარისხის პროდუქციის შეღწევისგან და მეორე მხრივ, როგორც აუცილებელი პირობა სოფლის შემოსავლის უზრუნველყოფისათვის;

- სურსათის სახელმწიფო რეზერვის მუდმივი განახლება, გარე და შიდა უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებისაგან განურჩევლად;

- ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული საკვები პროდუქტების (რომელიც გამოტანილია ბაზარზე) ხარისხის, შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი სახელმწიფო და სურსათის უვნებლობის ხარისხის სტანდარტებთან;

- სასოფლო-სამეურნეო სექტორის მართვის ეფექტური სისტემის შექმნა ყველა დონეზე, მიღწეული მოცულობის შენარჩუნება და საექსპორტო ორიენტაციით კონკურენტუნარიანი საკვები პროდუქტების წარმოების გაფართოება, აგრეთვე კვების

სექტორში ერთიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გატარება.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: 1) სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას საქართველოში, ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა (რაც ძირითადად სასურსათო უსაფრთხოების 4 მიმართულებიდან მინიმუმ ორის იგნორირებაშიც კი ჩანს); 2) არ არსებობს კანონი უშუალოდ სასურსათო უსაფრთხოების შესახებ; 3) არ მოიპოვება არც მკაცრად გაწერილი სამოქმედო გეგმა; 4) არ გვაქვს სახელმწიფო სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სხვადასხვა სტრუქტურებში გაბნეულ საკითხებს; 5) დაბალია სასოფლო-სამეურნეო ასიგნებების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში და სხვა.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ჩემი აზრით საჭიროა:

- სასურსათო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღება;
- სასურსათო უსაფრთხოების საკითხების საკოორდინაციო სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა;
- სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებების ხვედრითი წილის გაზრდა 10%-მდე;
- სასურსათო ბიზნესისა და ექსპორტის გაფართოების ხელშეწყობა;
- კონკურენტული გარემოს შექმნა;
- სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ფერმერების ჩართვის წახალისება/ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს, კერძო სექტორის, მომხმარებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი პაატა. სიღარიბე, სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია. <https://agronews.ge/9282-2/>
2. კაკულია რ. 2003. გლობალიზაცია და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. III, თბილისი, - გვ.104-125.
3. ასათიანი რ. 2018. ეკონომიკური უსაფრთხოება და ჰოლანდიური დაავადება. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტ კონფერენციის მასალათა კრებული, თბ.. გვ. 15-26.
4. ქავთარაძე თ.. 2018. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტ კონფერენციის მასალათა კრებული, თბ., გვ. 131-137.
5. Голубев А. 200. Проблемы продовольственного обеспечения на основе сбалансированного развития агропродовольственного комплекса // Международный сельскохозяйственный журнал, N4, - С. 41-44.
6. Демьяненко В. В. 2006. Продовольственная безопасность - самая острая проблема современной России // Вестник Саратовской государственной академии права, N 3. - С. 87-90.
7. Ковалев Е. Новые аспекты мировой продовольственной проблемы. // Мировая экономика и международные отношения. 2005. №3. с.3-9.

8. Ушачев И. 2006. Продовольственная безопасность страны: проблемы и решения. АПК: экономика, управление, N 10. - С. 5-9.
9. Вартанова М.Л. 2016. Продовольственная безопасность страны и пути выхода из мирового продовольственного кризиса. / Монография. - М.: ИД «БИБЛИО-ГЛОБУС»,– 220 с.
10. Факторы экономической безопасности <http://center-yf.ru/data/stat/factory-ekonomicheskoy-bezopasnosti.php>.

Zurab Tsereteli

FOOD SECURITY AS A CATEGORY OF THE MAIN ECONOMIC PROBLEM

Summary

During the last years in Georgia, in spite of implemented transformation, the problem of food security again is important and it's closely connected with problem of economic security. This issue has become more actual by deepen the processes of globalization and open economy.

Economic security as a part of the national security plays the greatest role into reaching – consolidating independence and stability of country, in formation of economic discipline, the slight-easing of state regulation of this issue created many negative tendencies in Georgia. It denoted the economic potential of country and even created a danger for the statehood.

In the article is presented food security as a category of the main economic problem. There is considered 4 (four) directions of evaluating of its negative influence in Georgia.

With using materials of researches that are made by international organizations and data which is based on the statistics of national agency, in the article are intentioned the concrete ways for resolving indicated problems.

*ლალი ხიხაძე
ალექსანდრე შულაია*

მცირე ბიზნესის განვითარების რელიგიური მოტივები და მახასიათებლები

ანოტაცია. რელიგიური სისტემები და სხვა სოციო-კულტურული ფენომენები არათანაბარ და არაერთგვაროვან გავლენას ახდენს ამა თუ იმ დარგსა და ბიზნესსუბიექტზე, მათი ზომის, სტრუქტურისა და მიზნების შესაბამისად. კერძოდ, როდესაც მსხვილი ბიზნესი თავისი მასშტაბებისა და პროდუქტ(ებ)ის უნივერსალური მახასიათებლებისა და ფართო ასორტიმენტის გამო ნაკლებად სენსიტიურია განსაკუთრებული, რელიგიური ფაქტორებით მცირედ განპირობებული საბაზრო მოთხოვნის მიმართ, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სამიზნე აუდიტორიად შესაძლოა სწორედ ეს განსაკუთრებული სამომხმარებლო ჯგუფები იქცეს. გარდა ამისა, რელიგიური მახასიათებლები თავად წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობის წამოწყების, შესაბამისი დარგის უპირატესობისა და მისი განვითარებისათვის ბიძგის მიძღვმ ფაქტორებს. ბაზარზე ორიენტაციისა და ბიზნესის მართვის თვალსაზრისით, რელიგიური ფაქტორების გავლენა მცირე ბიზნესზე ვლინდება ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, საქმე გვაქვს იმ საკრალური ხასიათის მოტივებთან, რომლებიც ადამიანებს უბიძგებს მეტი მოგების მიღებისაკენ რელიგიური მორალის, ღირებულებებისა და ეთიკის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს საბაზრო მოთხოვნის მახასიათებლებს.

ქვეყნებში, რომლებშიც პროტესტანტულ რელიგიას მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ისტორია აქვს, ლუთერანული და კალვინისტური მოძღვრების გავლენით შრომით და

სამეწარმეო ურთიერთობებში სახელმწიფოს როლის სიმცირის წყალობით, მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარების, მეტი პერსპექტივა გააჩნია აღმოსავლეთთან შედარებით. ბიზნესის ზრდის სტიმულს წარმოადგენს დაბალი სახელმწიფო გადასახადები და შრომითი საქმიანობის მცირედი დანახარჯები, რაც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, დაზოგონ გარკვეული რესურსები და მიმართონ ისინი კაპიტალიზაციისა და რეინვესტირებისაკენ. განსხვავებული ვითარებაა კათოლიკური და მართლმადიდებლური ევროპის, აზიის ისლამურ და მულტირელიგიურ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლებები დასაქმებულთა მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებენ, ხოლო ბიზნესსუბიექტებს შედარებით მაღალ გადასახადებს აკისრებენ. დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ განსხვავებებს ინდივიდუალისტურ (აშშ) და კოლექტივისტურ (იაპონია, ჩინეთი) კულტურებს შორის სწორედ რელიგიური ფაქტორები განაპირობებს. გარდა სახელმწიფო რეგულაციებისა, რელიგია გავლენას ახდენს შიდაორგანიზაციულ მოწყობასა და თანამშრომელთა შორის სუბორდინაციაზეც. პროტესტანტული რელიგიური ღირებულებებით განსაზღვრულ კორპორაციულ კულტურებში ბიზნესის მფლობელები ხშირად ნაკლებად ან საერთოდ არ ერევიან კომპანიის საქმიანობაში, მაშინ როდესაც კოლექტივისტური რელიგიური ღირებულებებით დომინირებულ კულტურებში, კომპანიების მფლობელები შედარებით მეტი ინტენსივობით მონაწილეობენ მათ საკუთრებაში არსებული ბიზნესის მართვაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, რელიგიური ფენომენი, მცირე ბიზნესი, სოციო-კულტურული ღირებულებები, სამომხმარებლო ქცევები.

შესავალი

გლობალიზაციის მზარდი ტემპის პირობებში, როდესაც ინფორმაციისა და მატერიალური რესურსების გავრცელების ხელის შემშლელი ფაქტორების გავლენა დღითი დღე მნიშვნელოვანდ მცირდება, რადგან გლობალურ სამომხმარებლო და საწარმოო ბაზრებზე ადგილი აქვს ისეთ გამოწვევებს, რომლებიც ეკონომიკისა და ბიზნესის ზოგად ისტორიულ სურათზე საყურადღებო გავლენას ახდენს. ამ გამოწვევათა თანრიგში, საწარმოო და სავაჭრო პროცესებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე მიმდინარე სოციო-კულტურული ცვლილებები, რომლებზეც უშუალოდაა დამოკიდებული ნებისმიერი ბიზნესსუბიექტის წარმატება. კერძოდ, საზოგადოებათა სოციალური სტრუქტურები და კულტურული ღირებულებები განაპირობებ მათ სამომხმარებლო და საწარმოო ქცევებსაც, ხოლო გლობალიზაციის თანამდევ კულტურული დიფუზიისა და ღირებულებათა ინტერფერენციის ფონზე საერთაშორისო ბაზრებზე მომხმარებელთა სეგმენტაციისა და ამგვარად კონკრეტული, უნიკალური მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე იჩენს თავს. ამასთან ერთად, ბიზნესსაქმიანობაც თავად წარმოადგენს ხსენებულ ცვლილებათა ზეგავლენის ქვემდებარე ობიექტს.

რელიგიები, როგორც ღირებულებათა და შეხედულებათა სისტემები, წარმოადგენს კულტურულ ფენომენს, თუმცა მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის განმავლობაში კონკრეტულ ეთნიკურ კულტურებსა და რელიგიებს შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი მტკიცე კავშირი და დღეისათვის რთულია ამა თუ იმ ღირებულების სისტემური იზოლაცია. შესაბამისად, რელიგიური ღირებულებები ისე ღრმადაა ინტეგრირებული ეთნიკურ და ეროვნულ კულტურებში, რომ ხშირად სეკულარულ თუ განსხვავებულ რელიგიათა მიმდევარ სოციალურ ჯგუფებში ადგილი აქვს ღირებულებათა და შეხედულებათა იმგვარ დიფუზიას, რომლის პირობებშიც

რთულდება იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომელთაც სავაჭრო პროცესებზე მნიშვნელოვანი, ცალსახა ფაქტორული გავლენა გააჩნიათ და კონკრეტული პროცესების ანალიზისას და ახსნისას შესაძლოა მყარ დამოუკიდებელ ცვლადებად იქნეს განხილული.

რელიგიური სისტემები, ისევე როგორც სხვა სოციო-კულტურული ფენომენები არათანაბარ და არაერთგვაროვან გავლენას ახდენს ამა თუ იმ დარგსა და ბიზნესსუბიექტზე, მათი ზომის, სტრუქტურისა და მიზნების შესაბამისად. კერძოდ, მაშინ როდესაც მსხვილი ბიზნესი თავისი მასშტაბებისა და პროდუქტ(ებ)ის უნივერსალური მახასიათებლებისა და ფართო ასორტიმენტის გამო ნაკლებად სენსიტიურია განსაკუთრებული, რელიგიური ფაქტორებით განპირობებული საბაზრო მოთხოვნის მიმართ, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სამიზნე აუდიტორიად შესაძლოა სწორედ ეს განსაკუთრებული სამომხმარებლო ჯგუფები იქცეს. გარდა ამისა, რელიგიური მახასიათებლები თავად წარმოადგენენ ბიზნესსაქმიანობის წამოწყების, შესაბამისი დარგის უპირატესობისა და მისი განვითარებისათვის ბიძგის მიმცემ ფაქტორებს.

საკითხის არსი და მისი კვლევის მნიშვნელობა

ბიზნესპროცესებისა და რელიგიური ღირებულებების ურთიერთკავშირის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მას საფუძვლად უდევს ეკონომიკაში მიმდინარე ისეთი მსხვილი მასშტაბის გარდამტეხი მოვლენები და პროცესები, რომლებიც განაპირობებს საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის მნიშვნელოვან ძვრებს (ინდუსტრიალიზაცია, სატრანსპორტო საშუალებების განვითარება, ეკონომიკური ინტეგრაცია, სტრატეგიული ალიანსები და ა.შ.) (Khikhadze, 2019). ამ მიმართულებით ერთი-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი - მაქს ვებერის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ (1905) ცხადად წარმოგვიდგენს ეკონომიკური აქტივობის რელიგიური ფაქტორებით ინსპირირებულობის მტკიცებულებებს დასავლეთი და ცენტრალური ევროპის მაგალითზე, თუმცა მას შემდეგ არაერთხელ იქნა შესწავლილი კონკრეტული საკითხები შედარებით ვიწრო მიმართულებით.

ბიზნესსაქმიანობაზე რელიგიური სისტემების/მისი მდგენელი ელემენტების ზეგავლენას ადგილი აქვს არა მხოლოდ საბაზრო პროცესების მიმდინარეობისას, როგორებიცაა მომხმარებელთა სეგმენტაცია რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პროდუქტის პოტენციური აუდიტორიის სამომხმარებლო ქცევითი თუ ღირებულებითი პატერნების გათვალისწინებით ფორმირებისა და შეთავაზების თვალსაზრისით, არამედ ისინი გვევლინება ამა თუ იმ ბიზნესსაქმიანობაში ჩაბმის ხელშემწყობ ან ხელის შემშლელ ფაქტორებად. ამავდროულად, რიგი ცხადი და ცალსახა რელიგიური ნორმების პარალელურად, რომელთა მაგალითია ისლამური შარიათით რეგულირებული საფინანსო-საკრედიტო პროდუქტები, საბაზრო და ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენას შესაძლოა სეკულარული კულტურის გავლით ლატენტურ გავლენას ახდენდეს მრავალი რელიგიური საფუძვლის მქონე მნიშვნელოვანი ნორმა, მაშინაც თუკი გადაწყვეტილების მიმღები პირი ცდილობს მაქსიმალურად აარიდოს თავი რელიგიურ შეზღუდვებს ან საერთოდ არ იცნობს მათ. საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ საკრალური საფუძვლების მქონე ნორმები და ღირებულებები სეკულარულ სამოქმედო გარემოში არ კარგავს მნიშვნელობას.

ვებერის მიერ აღწერილი პროტესტანტული რელიგიისთვის დამახასიათებელი სტიმულები, რომლებიც მისივე მტკიცებით საფუძვლად დაედო დასავლური

კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას, არა მხოლოდ ღრმად მორწმუნე და რელიგიურად განათლებულ ადამიანებს უბიძგებს სამეწარმეო საქმიანობისა და მოგების მაქსიმალიზაციის მოტივით, არამედ რელიგიისადმი სკეპტიკურად განწყობილ იმ მეწარმეებსაც, რომლებიც კალვინიზმთან ადაპტირებული საზოგადოების წევრები არიან. ამავდროულად, რელიგიური და კულტურული ნორმებისა და ღირებულებების ამგვარი შესაძლო დიფუზია შესაძლოა ერთგვარ წინააღმდეგობაში მოვიდეს იმ შემთხვევებთან, რომელიც გლობალიზაციის კვალდაკვალ რელიგიათა გავრცელებას ახლავს თან. კერძოდ, თუკი გარკვეული რელიგიური ჯგუფები წარმოიქმნება ამ რელიგიებისთვის ისტორიულად უცხო საზოგადოებებში, რომელთა კულტურული ნორმები თანდართული ავთენტური რელიგიური დეტერმინანტებით რთულად ესადაგებიან ამ კონკრეტული რელიგიის თავისებურებებს, საქმე გვექნება ე.წ. კულტურულ შოკთან, რომელიც ამ ჯგუფების საბაზრო და საწარმოო ქცევებს წინასწარ განუსაზღვრელს გახდის და, ამასთან, ხელს შეუშლის მათ ბიზნეს აქტივობასა და ეფექტიანობას.

ბაზარზე ორიენტაციისა და ბიზნესის მართვის თვალსაზრისით, რელიგიური ფაქტორების გავლენა მცირე ბიზნესზე ვლინდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს იმ საკრალური ხასიათის მოტივებთან, რომლებიც ადამიანებს უბიძგებს მეტი მოგების მიღებისაკენ რელიგიური მორალის, ღირებულებებისა და ეთიკის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს საბაზრო მოთხოვნის მახასიათებლებს. ამავდროულად, ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა გააჩნია როგორც მსხვილ, ისე საშუალო და მცირე ბიზნესს, თუმცა მოთხოვნისა და მოსალოდნელი მოგების მოცულობის გათვალისწინებით მსხვილი და საშუალო ბიზნესი შესაძლოა არ დაინტერესდეს მცირე სეგმენტების ათვისებით. მაგალითად, საკვები პროდუქტების ქართულ ბაზარზე სამარხვო პროდუქტების არსებობა განპირობებულია ადგილობრივი მზარდი მოთხოვნით, თუმცა, პარალელურად არსებობს განსაკუთრებული ხასიათის პროდუქტიც (მაგ., სეფისკვერი, მონასტრის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქტი და ა.შ.), რომელიც შედარებით მცირე მოთხოვნით ხასიათდება და შესაბამისად, მსხვილი და საშუალო ბიზნესისათვის, რომელთა ინტერესებში ფართო მოხმარების პროდუქტების შედარებით ნაკლები დანახარჯებით წარმოებაა, ნაკლებად პრიორიტეტულია.

რელიგიური შეხედულებები და ანტერპრენერობა

ბიზნესის განვითარებასა და წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის მფლობელებისა და კონკრეტულ ოპერაციებზე პასუხისმგებელი პირების მოტივაცია და შრომის ეფექტიანობა. ამ ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის წარმოებისას, რამდენადაც სახეზე გვაქვს ფუნქცია-მოვალეობების, მსხვილ ბიზნესთან შედარებით, ნაკლები გადანაწილება, რასაც თან ახლავს ორგანიზაციული სტრუქტურის არამდგრადობა, რის გამოც, ანტერპრენერთა გადაწყვეტილებები და სამუშაო მოტივაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთელი ორგანიზაციის მდგომარეობას. ამ თვალსაზრისით, დამწყებ მეწარმეთა საკრალური ხასიათის ღირებულებითი კავშირი კონკრეტული დარგის, პროდუქტისა თუ გასაღების ბაზრების მიმართ პირდაპირპროპორციულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ავლენს მათ შრომის- ნაყოფიერებასა და შესაბამისად ბიზნესის წარმატებასთან (Weber, 1905, Carswell&Rolland, 2004; Valliere, 2018; Henley, 2016; Kauanui and others, 2010).

სამუშაო ადგილის მოწყობის თავისებურებების თვალსაზრისით მცირე ბიზნეს ორგანიზაციებში ისევე, როგორც მსხვილ კომპანიებში, მნიშვნელოვანია გარემოს ადაპტაციის ხარისხი დასაქმებულთა კულტურული და რელიგიური შესაბამისობების გათვალისწინებით (Metters, 2019; Kauanui and others, 2010). მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოს ადგილმდებარეობა, სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა და ვიზუალური მახასიათებლები პირდაპირპროპორციულ დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს იქ მყოფთა შრომის ეფექტიანობასა და მოტივაციაზე, ამასთან განაპირობებს ერთგვარ კავშირს წარმოებულ პროდუქტსა და მწარმოებლებს შორის ღირებულებით, სპირიტუალურ დონეზე, რაც მცირე ბიზნესისათვის, რომელიც შესაძლოა განვითარებისა და ზრდის საწყის ეტაპზე იმყოფება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მცირე საწარმოებისაგან განსხვავებით, მსხვილი ბიზნესისათვის კორპორატიული კულტურა, ვიწრო სპეციალიზაცია და დროთა განმავლობაში აპრობირებული შიდა განაწესი გარკვეულწილად ზღუდავს ადამიანთა რელიგიური, სპირიტუალური განცდებისა და ღირებულებების გავლენას ზოგად სამუშაო პროცესზე და ამგვარად მეტ ნაკლებად სტაბილურს ხდის ორგანიზაციის ეფექტიანობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შეზღუდვებით მხოლოდ არაეფექტურობით გამოწვეული ხარვეზების შემცირებაა შესაძლებელი.

მეცნიერ-მკვლევარების მიერ სამართლიანად მიიჩნევა ქრისტიანული რელიგიის დასავლური კონფესიებისათვის დამახასიათებელი ღირებულებები – ღრმად მორწმუნეთა შემთხვევაში პირდაპირ, ხოლო კულტურის სეკულარიზაციის პირობებში არაპირდაპირ თამაშობს პოზიტიურ როლს ბიზნესის წარმატებაში, აღმოჩნდა, რომ აღმოსავლურ რელიგიებშიც, როგორცაა ბუდიზმი, ინდუიზმი და კონფუციონიზმი, არსებობს მორწმუნეებში ფინანსური მოგების სურვილის წამახალისებელი მექანიზმები. ახალ ზელანდიაში ჩატარებული კვლევის მაგალითზე, სადაც ბოლო წლების განმავლობაში რელიგიური მრავალფეროვნების ხარისხი, სულ მცირე, 400%-ით გაიზარდა, რომლის ხარჯზეც დასავლური ქრისტიანული დენომინაციების მიმდევართა ხვედრითმა წილმა იკლო, სახეზეა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისა და კომპანიების ეფექტურობის ხარისხის ზრდა (Carswell&Rolland, 2004). თუკი ამ ფაქტით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რელიგიური მოტივებით და ღირებულებებით მხარდაჭერილი საქმიანობა ანტერპრენერებსა და რიგით დასაქმებულებს საშუალებას აძლევს, საკუთარი სულიერების მდგომარეობისა და შეხედულებების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ მათი საქმიანობა წინააღმდეგობაში არ მოდის რელიგიური და მორალური ხასიათის შეხედულებებთან, სწორად უპასუხონ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და შესაბამისად მიაღწიონ ფინანსურ წარმატებასაც. ამ ტიპის ბალანსის პირობებში ადგილი აქვს ერთგვარ საწარმოო და საოპერაციო პატიოსნებას კომერციული ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის, პარალელურად, წარმოებული პროდუქტის ხარისხიც მეტ ნაკლებად ადეკვატურად პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნას.

რელიგიური შეხედულებების გავლენა მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ მოწყობაზე

კომპანიის თანამშრომელთა შორის საკრალური მოტივებისა და რწმენების ხარისხის სიმტკიცის კვალდაკვალ, რასაც თან ერთვის კულტურული ფონიც, ორგანიზაციის სტრუქტურა ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურისაკენ ინაცვლებს. კერძოდ, საკრალურისადმი რწმენით გაჯერებულ კომპანიებში დასაქმებულთა შორის ურთიერთობა ნაკლებად მკაცრადაა რეგულირებული და მცირეა სუბორდინაციის

ხარისხიც, ამავდროულად ამ მიმართულებითაც ვაწყდებით გარკვეულ განსხვავებებს - აღმოსავლური რელიგიებისგან განსხვავებით დასავლური ქრისტიანული კულტურის მატარებელ ორგანიზაციებში სუბორდინაციის ხარისხი გაცილებით მაღალია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს არამხოლოდ რელიგიური ფაქტორებით, არამედ კომპანიათა მართვის გაცილებით ხანგრძლივი ტრადიციებით, ეს მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციისა და კაპიტალიზაციის პროცესებს შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს, ამასთან დადგენილია, რომ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში რელიგიური ფაქტორები განვითარებად ეკონომიკებთან შედარებით დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციულ და სამეწარმეო გადაწყვეტილებებზე.

აღსანიშნავია, რომ რელიგიური შეხედულებები განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიზნესის ფლობისა და მისი მართვის ხელოვნებაზე. თუკი ქრისტიანული დენომინაციების წამომადგენლები ნაკლებად ერევიან საკუთარ მფლობელობაში არსებული საწარმოების ოპერაციულ საკითხებში, ბუდიზმის შემთხვევაში, როგორც ჩინეთის მცირე საოჯახო კომპანიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მორწმუნე ინდივიდები გაცილებით მეტად არიან კონცენტრირებული საკუთარი ორგანიზაციების მართვასა და მენეჯმენტზე (Shen & Su, 2017).

რელიგიურ შეხედულებათა შორის განსხვავებებს ვაწყდებით არა მხოლოდ ძალზე განსხვავებული, არამედ მსგავსი რელიგიური კონფესიების შესაბამისი კრიტერიუმებით შედარებისას. მცირე ბიზნესის განვითარებაზე განსხვავებულად ზემოქმედებს კათოლიკური და პროტესტანტული ქრისტიანული კონფესიების შეხედულებებიც. წმინდა მარტინის კულძულზე ჩატარებული კვლევა (Baldacchino & Dana, 2016) გვიჩვენებს, რომ ნიდერლანდების იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნაწილში, სადაც პროტესტანტული რელიგია დომინირებს, სახელმწიფოს როლი სამეწარმეო და შრომითი საქმიანობის რეგულირებაში შედარებით მცირეა, ხოლო სავაჭრო პროცესი გამარტივებული, ადგილობრივი კომპანიები კი ორიენტირებულები არიან ამერიკულ ბაზარზე, რის შედეგადაც ძირითად სამომხმარებლო ვალუტად გამოიყენება აშშ დოლარი, მაშინ როდესაც ოფიციალურ ფულად ერთეულს წარმოადგენს ნიდერლანდების ალტინების გულდენი. გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობის რეგულაციის შედარებით მცირე ხარისხი ხელს უწყობს ამ პატარა კუნძულის ჰოლანდიური ნაწილის ეკონომიკურ აღმავლობას. პარალელურად კათოლიკური საფრანგეთის დაქვემდებარებაში მოქცეული (ფრანგული ნაწილი) ფულად ერთეულად იყენებს ევროს და ვაჭრობს კონტინენტურ საფრანგეთთან, შესაბამისად, მასზე ვრცელდება საფრანგეთის კანონმდებლობა და სახელმწიფო პროტესტანტულ ნაწილთან შედარებით გაცილებით მკვეთრად ერევა ადგილობრივი კომპანიების სავაჭრო საქმიანობაში. ამ განსხვავებების ფონზე კუნძულის ჰოლანდიური ნაწილი ხასიათდება ფრანგულთან შედარებით საგრძნობლად დიდი ეკონომიკური ზრდით, რაც ადგილობრივი მცირე საწარმოების ეფექტიანობით, რელიგიური და კულტურული მოცემულობებით განპირობებული სახელმწიფო რეგულაციების კოორდინირებითაა გამოწვეული. შიდა ორგანიზაციული მოწყობისა და შრომითი ურთიერთობების თვალსაზრისით პროტესტანტული შეხედულებებით გამსჭვალულ კულტურებში წარმოქმნილი კომპანიები შრომითი ურთიერთობების დამყარებისას არ არიან შეზღუდულნი ოფიციალური რეგულაციებით და სახელმწიფო დასაქმებულს ნაკლებ პროტექციონიზმს უწევს, შესაბამისად კომპანიასა და თანამშრომელს შორის მესამე მხარის ფაქტორი მაქსიმალურადაა შემცირებული. მეორე მხრივ, კათოლიკური ღირებულებებით შექმნილი ფრანგული სახელმწიფო სისტემა მაქსიმალურად იცავს

დასაქმებულის უფლებებს, აწესებს მინიმალური ხელფასის ზღვარს და სხვა ისეთ შეზღუდვებს, რომელიც მას შრომითი ურთიერთობების მხარედ აქცევს და გარკვეულწილად ხელს უშლის კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიან მართვას დანაზოგების შექმნისა და რეინვესტირების შესაძლებლობების შეზღუდვის გზით.

დასკვნა

რელიგიური ხასიათის სპირიტუალურ შეხედულებებსა და რწმენებს, ადგილობრივი ეროვნული და ეთნიკური კულტურული ნორმების პარალელურად, ერთობ მნიშვნელოვანი როლი გააჩნია სამომხმარებლო და საწარმოო/კაპიტალის ბაზრების ფორმირებაში. მცირე ზომის სამეწარმეო ორგანიზაციებისა, ანტერპრენერებისა და ორგანიზაციის თანამშრომლების საკრალური შინაარსისა და საფუძვლების მქონე კავშირები მათ მიერ წარმოებულ პროდუქტსა და პოტენციურ მომხმარებელთან, კომპანიის ფინანსური წარმატების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.

დასავლური ქრისტიანული რელიგიური კონფესიებისათვის დამახასიათებელი სამეწარმეო და შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები, აღმოსავლურთან შედარებით, გაცილებით მეტად უწყობს ხელს მორწმუნეთა შორის ფინანსური წარმატების მიღწევის მოტივაციის ზრდას. ამავდროულად, პროტესტანტული დენომინაციებით დომინირებულ საზოგადოებებში, სახელმწიფოს, როგორც მესამე ძალის მიერ ნაკლებად რეგულირებული შრომითი და ბიზნესურთიერთობების წყალობით, რითაც მეწარმეებს რესურსების რეინვესტირებისა და ბაზრების დივერსიფიკაციის მეტი საშუალება ეძლევათ, ამასთან აღმოსავლეთ ევროპას, აზიის ქვეყნებთან შედარებით, მცირე ბიზნესის განვითარებაში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის პერსპექტივა გაცილებით მეტი გააჩნია.

რელიგიურ შეხედულებებს შორის განსხვავებები მოქმედებს კომპანიების სტრუქტურისა და შრომითი ორგანიზაციის თავისებურებებზეც. დასავლურ ქრისტიანული და მასთან ახლოს მყოფი მეტ-ნაკლებად სეკულარული ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელია დასაქმებულთა შედარებით მკაცრი სუბორდინაცია, რასაც თან ერთვის კომპანიის მფლობელების (თანამფლობელების) ნაკლები ჩართულობა კონკრეტული კომპანიების საოპერაციო/საწარმოო პროცედურებში, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკური, მართლმადიდებლური კონფესიებისა და აღმოსავლური რელიგიების წარმომადგენლები შედარებით ინტენსიურად ერევიან კომპანიის საქმიანობაში ან სრულიად მართავენ მათ.

დღეისათვის, გლობალიზაციის პროცესების შედეგად, ორგანიზაციული მოწყობის დასავლური კულტურისა და სტანდარტების აღმოსავლურ საზოგადოებებში გავრცელების კვალდაკვალ, შეინიშნება პროტესტანტული დასავლეთისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციული მოწყობის, შრომითი და საწარმოო ურთიერთობების ნორმების გავრცელება არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთის, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რაც ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობის ხელშემწყობი ფაქტორია; ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსმა დიფუზიურმა პროცესებმა, გარკვეული ზღვარის მიღწევის შემდგომ, ქცევითი ღირებულებითი ნორმებისა და სტანდარტების შეუთავსებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას მცირე ბიზნესის საწარმოებში შრომის ორგანიზაციის სტრუქტურულ მდგრადობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Baldacchino, G., Dana, L. P. The Impact of Public Policy on Entrepreneurship: A Critical Investigation of the Protestant Ethic on a Divided Island Jurisdiction, *Journal of Small Business & Entrepreneurship*, Volume 19, Issue 4, 2006;
2. Carswell, P., Rolland, D. The role of religion in entrepreneurship participation and perception, *International Journal of Entrepreneurship and Small Business*, DOI: 10.1504/IJESB.2004.005659, January, 2004;
3. Kauanui, K. S., Thomas, D. K., Rubens, A., Sherman C. L. Entrepreneurship and Spirituality: A Comparative Analysis of Entrepreneurs' Motivation, *Journal of Small Business & Entrepreneurship*, Volume 23, Issue 4, 2010;
4. Khikhadze, L. Modern Trends of the Development of Economic and Cultural Globalism, *Asociatia de Cooperare Cultural-Educationala Suceava*, ISSN: 1584-9066, 2019;
5. Henley, A. Does religion influence entrepreneurial behaviour?, *International Small Business Journal*, DOI: 10.1177/0266242616656748, July, 2016;
6. Metters, R. The Effect of Employee and Customer Religious Beliefs on Business Operating Decisions, *Religions*, 2019;
7. Shen, N., Su, J. Religion and succession intention - Evidence from Chinese family firms, *Journal of Corporate Finance*, DOI: 10.1016/j.jcorpfin.2017.04.012, May 2017;
8. Valliere, D. Exploring Buddhist influence on the entrepreneurial decision, *International Journal of Entrepreneurial Behaviour & Research*, DOI: 10.1108/13552550810874682, April, 2008;
9. Weber, M. *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, Roxbury, Los Angeles, CA, 1905.

Lali Khikhadze
Aleksandre Shulaia

RELIGIOUS MOTIVES AND FEATURES IN SMALL BUSINESS DEVELOPMENT Summary

Religious systems and other sociocultural phenomena have an unequal and ambiguous effect on a particular industry or business of a subject in terms of their size, structure and purpose. In particular, although large enterprises, due to their scale and universal characteristics of the product / products, are less sensitive to specific market demand due to religious factors, these specific consumer groups may be the target audience for small enterprises. In addition, the religious features themselves are factors that determine the start-up of a business, an advantage of the relevant field and an incentive for its development. From the point of view of business orientation as well as its management, the influence of religious factors on small business is manifested in two directions: on the one hand, we are dealing with sacred motives that push people to make a profit, taking into account religious morality, values and ethics, on the other hand, determine the characteristics of market demand.

In countries with a more or less long history of the Protestant religion, under the influence of Lutheran and Calvinist doctrines, the development of small and medium-sized businesses is more promising, compared with the East, due to the reduced role of the state in labor and business relations. The incentive for business growth is low state taxes and a small or complete absence of a minimum or maximum number of types of labor activity, which allows organizations to save on certain resources and turn them into capitalization and reinvestment. The situation is different in the Islamic and multiconfessional countries of Asia, as well as in the countries of Catholic and Orthodox Europe, where local authorities pursue a protectionist policy regarding workers, while business entities are subject to relatively high taxes. There is reason to say that such differences between individualistic and collectivist political and economic cultures are due precisely to religious factors.

Beside government regulations, religion also affects the internal organization and subordination of staff. In corporate cultures defined by Protestant religious values, business owners are often less or involved or not involved at all in company affairs, while in culturally dominant collectivist religions, business owners are involved in managing their own business with greater intensity.

Keywords: Globalization, Religious Phenomenon, Small Business, Sociocultural Values, Consumer Behaviors.

ლალი ხურცია

ციფრული პლატფორმები და ეკონომიკური გავლენები

ანოტაცია. სტატიაში გაკეთებულია ციფრული პლატფორმების მზარდი როლი თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში. განსაზღვრულია ციფრული პლატფორმების არსი და მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ის ხელშემწყობი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს ციფრული პლატფორმების მოქნილობას და ეფექტურობას. აღწერილია ის საკვანძო საკითხები, რომლებიც ციფრული პლატფორმების დამსახურებით დადებით ზეგავლენას ახდენს სოციალურ და პოლიტიკურ გარემოზე. ასევე გაანალიზებულია ციფრული პლატფორმების ბიზნეს მოდელისთვის დამახასიათებელი უარყოფითი გავლენები საზოგადოებაზე მათ შორის მონოპოლიური მისწრაფებები, უთანასწორობის ზრდა, კონფიდენციალობის პრობლემები. დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ ციფრულ პლატფორმებს გააჩნია უნივერსალურობის ამბიცია და მათი გავლენა კიდევ უფრო მასშტაბური გახდება ფინანსურ ანგარიშსწორებებში ციფრული ვალუტების შემოღების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული, გლობალიზაცია, ბიზნესმოდელი, კრიპტოვალუტა, ფეისბუქი, ამაზონი.

თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების დანერგვამ დასაბამი მისცა მნიშვნელოვან გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ქვეყნის სიძლიერესა და ეკონომიკურ კეთილდღეობას განსაზღვრავდა განვითარებული ინდუსტრია, ბუნებრივი წიაღისეული თუ სხვის მიწებზე სამხედრო ექსპანსიური ინტერვენციების განხორციელების შესაძლებლობა, დღეისათვის მთავარ ფაქტორად იქცა ინფორმაციის ფლობა და საწარმოო ტექნოლოგიების სრულყოფა.

ინფორმაციის ფლობა, განსხვავებით ინდუსტრიული სიმძლავრეების ფლობისაგან, ზრდის გლობალიზაციის ხარისხს. ერთი მხრივ მცირდება კომუნიკაციასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული ხარჯები, ხოლო მეორე მხრივ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი შესაძლებლობა ინდივიდების დონეზე კიდევ უფრო აჩქარებს და ამძაფრებს კონკურენციის ხარისხს სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ციფრული ტექნოლოგიების გავრცელება ასევე მნიშვნელოვან კავშირშია თანამედროვე კულტურასა და იდეებთან. ჩვენი დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი ფრენსის ფუკუიამა მიუთითებს, რომ ლიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეების გავრცელება, რომლის ფუნდამენტში სწორედ ინდივიდის უფლებები და საკუთრების ინტერესები დევს, თანამედროვე გლობალიზაციის შედეგია (Fukuyama, 1989). ადამიანის უფლებების გლობალიზაცია და კულტურული ექსპანსია ვრცელდება არა მხოლოდ აიფონებისა და

სამსუნიგის ტელეფონების მფლობელების მიერ ისეთ კონსერვატიულ ქვეყნებში, როგორც ირანი და არაბეთია, არამედ უშუალოდ მეწარმეების მიერ, როგორც არის მაგალითად ელონ მასკი, რომელმაც ტესლას სატვირთო მოდელში მძღოლის ადგილი კაბინის შუაში განათავსა და ამით ფეხი აუწყო დღევანდელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ე.წ. უნისექს მოდას.

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ციფრული პლატფორმების ხელში, რომლებიც დღეისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებში. ციფრული პლატფორმები, რომლებიც შუამავალ რგოლს წარმოადგენს სერვისის მიმწოდებლებსა და საბოლოო მომხმარებლებს შორის, ხელშესახებად აქცევს ისეთ მომსახურებასა და საქონელთან წვდომას, რომელთა მოპოვება და მიღება დაკავშირებული იყო ტერიტორიულ სიძნელებებსა და უცხო ბაზრების სამომხმარებლო და სასაქონლო ნიშან-თვისებების შესწავლასთან. დღეს, ციფრული პლატფორმების გამოყენებით, ადგილის შეცვლის გარეშე შესაძლებელია მგზავრობის დაგეგმვა, სასტუმროების დაჯავშნა, ტაქსის გამოძახება, საქონლის შეძენა, ხმის მიცემა და გადაწყვეტილებების პროცესში აქტიური მონაწილეობაც კი. უმსხვილეს ციფრულ პლატფორმებს შორის გამოირჩევა საზოგადოებისთვის ცნობილი ისეთი ონლაინ პლატფორმები როგორცაა Google, Facebook, Amazon, Tweeter, Apple და ა.შ. ყველაზე მთავარი, რაც ასეთ პლატფორმებს გამოარჩევს სხვა ციფრული კომპანიებისგან, არის მათ სერვერებზე აკუმულირებული მონაცემები, ამ მონაცემების გადამუშავებისა და ანალიზის დახვეწილი შესაძლებლობები, მომხმარებლებისთვის შეთავაზებული უმნიშვნელოვანესი სერვისები სხვადასხვა აპლიკაციებისა თუ ქლაუდ-სერვისების სახით.

ციფრული პლატფორმების გაბატონება განპირობებულია ინფორმაციის, მონაცემების, საქონლისა და მომსახურების იოლი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობით. დომინანტი ციფრული პლატფორმები წარმოშობს მნიშვნელოვან სარგებელსა და ღირებულებებს ეკონომიკის და საზოგადოების სხვადასხვა კლასებში. ის, თუ როგორ არის ეს სარგებელი გადანაწილებული პლატფორმის მფლობელებს, პლატფორმის მომხმარებლებსა და პლატფორმის მიმწოდებლებს შორის, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამართულია ეს პლატფორმა, როგორ მართავენ მას და ვის ინტერესებს ემსახურება იგი. გადამწყვეტია ის, თუ როგორია პლატფორმასთან მიდგომის საკითხი, თუ როგორაა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები გაცნობიერებული და განხილული ბიზნესმოდელში.

დაგროვებული მონაცემების გავრცელება, მათი ანალიზი წარმოქმნის უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების საქონელსა და მომსახურებას. თუმცა, ამავდროულად, ამ ყველაფერს ასევე შესაძლოა თან ახლდეს პოტენციურად უარყოფითი შედეგების მქონე მოვლენებიც, რომელთაც ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ.

სარგებელი, რომელიც მოაქვთ პლატფორმებს მომხმარებლებისა და ბიზნესებისთვის

ჩვეულებრივი სამომხმარებლო სარგებელი პირველ რიგში გამოხატულია საქონელსა და მომსახურებაზე იოლი, იაფი და ზოგჯერ სრულიად „უდანახარჯო“ ხელმისაწვდომობით - მართლაც, გარკვეული საქონელი და მომსახურება უფასოა გამოყენების პროცესში, თუმცაღა, როგორც წესი, ასეთი „უფასო სადილის“ საზღაური არის მომხმარებლის მონაცემებზე კონტროლი. ინფორმაციის დაბალი ან უსასყიდლო გადაცემის ნაცვლად, პლატფორმა იღებს სამომხმარებლო მონაცემებს, რომელიც ფასდაუდებელი სარგებელია გამძაფრებულ კონკურენტულ ბრძოლაში, მაშინ, როცა

სასიცოცხლოდ აუცილებელია ბაზარზე შესვლის დაბრკოლებების დაძლევა და მომხმარებლის გემოვნებასა და სპეციფიკაზე გათვლილი საქონლის შეთავაზება (განსაკუთრებით მცირე საწარმოების შემთხვევაში).

მეტი არჩევანის შესაძლებლობა ასევე წარმოადგენს სარგებელს, რომელსაც ციფრული პლატფორმები სთავაზობს მომხმარებლებს - გაუმჯობესებული წვდომა ბაზარსა და მიმწოდებლებთან, უფრო ფართო არჩევანი მომხმარებლებისა და სხვა ტიპის კლიენტებისთვის, და, რაც მთავარია, საქონელი და მომსახურება უფრო იოლად აღწევს მომხმარებლამდე, მიუხედავად გეოგრაფიული განსხვავებებისა. ეს ყველაფერი მოიცავს მოქნილი და მომხმარებელზე მორგებული სერვისების ზრდას, თუმცა ეს ყველაფერი ხდება მომწოდებლის მიერ განსაზღვრულ ფასად. სამომხმარებლო მონაცემები, მათი სურვილებისა და სპეციფიკის ანალიზი საშუალებას იძლევა, გათვალისწინებულ იქნეს სერვისების პერსონალიზაცია, საქონლისა და მომსახურების გაყიდვის გამოცდილება და ბაზარზე ჩნდება უფრო რელევანტური საქონელი, მომსახურება ან სხვა შინაარსის მატარებელი პროდუქტი (პოტენციურად, იმ ფასად, რომელიც ნაკარნახევია წარსული არჩევანის გამოცდილებითა და სამომავლო გაყიდვების მოცულობებით, რაც ამცირებს დივერსიფიცირებულობას დროთა განმავლობაში).

რაც შეეხება ბიზნესებს, არ აქვს მნიშვნელობა პლატფორმაზე ორიენტირებულები არიან თუ არა, ისინი ასევე იღებენ სარგებელს პლატფორმების გამოყენების შედეგად, რაც გამოიხატება პირველ რიგში ბაზრის გაფართოების შესაძლებლობაში. პლატფორმა საშუალებას აძლევს ბიზნესებს, რომ იმოქმედონ მყიდველებისა და გამყიდველების უფრო ფართო მასასთან, იმ ფორმებთან, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, რეკლამირება გაუწიონ და დააკავშირონ ბიზნესები ნებისმიერ მომხმარებელთან, რომელიც იყენებს ციფრულ პლატფორმას.

ხარჯების შემცირება ასევე მნიშვნელოვანი სარგებელია ბიზნესებისთვის. ელექტრონული კომერციის პლატფორმები სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიით; ონლაინ პლატფორმები მომხმარებლებს სთავაზობს საქონლისა და მომსახურების მოძიების უფრო ხელსაყრელ და ეფექტურ გზებს. ამცირებენ საჭირო პროდუქტის მოძებნისათვის აუცილებელ რესურსებს, დროსა და ფასს, ასევე მნიშვნელოვნად ზოგავენ გაყიდვებთან დაკავშირებულ ტრანსაქციულ ხარჯებსაც.

ინფორმაციის შეგროვება და აკუმულირება კიდევ ერთი სარგებელია ბიზნესებისთვის. ისეთი ონლაინ პლატფორმები, როგორცაა მაგალითად სოციალური მედიის პლატფორმები, აუმჯობესებენ ფორმების შესაძლებლობებს, შეაგროვონ და დაახარისხონ ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად მომხმარებლების გამოხმაურება და, საერთო ჯამში, დააკვირდნენ მოთხოვნა-მიწოდების განზოგადებულ მაჩვენებლებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ციფრული პლატფორმები ხელს უწყობს რისკების გაყოფასაც. მაგალითად, ბიზნესებს საშუალება აქვთ მოიპოვონ საჭირო კაპიტალი მცირე ინვესტიციების აგრეგირების შედეგად. შედეგად კი ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სტარტაპ ბიზნესების განვითარებისთვის.

ამგვარად, პლატფორმებს, თავიანთი კავშირებისა და ურთიერთობების შედეგად საშუალება აქვთ მოახდინონ სოციალური ძალის გაერთიანება, გააძლიერონ ქსელური კავშირები და მობილიზება გაუკეთონ მიზნობრივ ქმედებებს. შესაბამისად შეგვძლია ჩამოვთვალოთ ის საკვანძო საკითხები, რომლებიც ზოგადად დადებით ზეგავლენას ახდენს სოციალურ და პოლიტიკურ გარემოზე.

ქსელური სამყარო: პლატფორმები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კავშირების დამყარების შესაძლებლობებს სხვადასხვა საზოგადოებებსა და არსებულ ქსელებს შორის ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად. ამგვარი ურთიერთობები საერთო

ჯამში ქმნის არეალს დისკუსიისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისთვის, რაც ხელს უწყობს საჯარო სივრცეების გაძლიერებასაც.

ეფექტურობა: პლატფორმები, აგრეგირებული მონაცემებისა და ამ მონაცემების ანალიზის შედეგად საშუალებას აძლევს საჯარო ინსტიტუტებს, უფრო ეფექტურად გადაამუშაონ ინფორმაცია და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები, ეფექტურად დაარეგულირონ კრიტიკული ბაზრები.

გარემოსთან დაკავშირებული სარგებელი: პლატფორმების არსებობა ხელს უწყობს მნიშვნელოვან დემატერილიზაციას ქონების გაციფრების ხარჯზე, რაც ამცირებს წარმოების საჭიროებას და ფიზიკური საქონლის დისტრიბუციას. ეს, თავის მხრივ, საკმაოდ შესამჩნევ დადებით კვალს ტოვებს გარემოსთან მიმართებაში. პლატფორმები შესაძლებელს ხდის, მოიძებნოს საქონლის გაზიარების უფრო ეფექტური გზები, რაც ამცირებს ინდივიდუალური ფლობის საჭიროებას (მაგალითად, თანამგზავრების მიერ ერთ მარშრუტზე ავტომობილის გაზიარება), რაც ამცირებს მომხმარებლის უარყოფით გავლენას გარემოზე.

ხელოვნური ინტელექტი და მწარმოებლურობის ზრდა: საზოგადოებრივი საქონლის მართვაში მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღწევა ხელოვნური ინტელექტის განვითარების საფუძველზე რაც აისახება სოციალურ თუ ეკოლოგიურ სფეროებზე, ხდება ეკონომიკის მწარმოებლურობის გაუმჯობესება და სამომავლოდ საფუძველს ქმნის საზიარო ეკონომიკური დოვლათის შესაქმნელად.

ამგვარად, ციფრული პლატფორმებისა და მთ მიერ შემოთავაზებული სერვისების დადებითი გავლენა თვალნათელია. ისინი ქმნიან არსებით სარგებელს მომხმარებლების, ბიზნესების, მოქალაქეებისა და ზოგადად სოციუმისთვის.

პლატფორმების უარყოფითი ზეგავლენა

ის ბიზნესმოდელი, რომელზედაც დაფუძნებულია ციფრული პლატფორმები - მონაცემების მოპოვება და ანალიზი გაფართოებისა და შემცირების დინამიური ციკლების განმავლობაში სარგებლის მისაღებად ქმნის სერიოზულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს. უადრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ნეგატიური გავლენები არ არის მოულოდნელი ანდა დროებითი ფენომენი და წარმოადგენს უმრავლესი ციფრული პლატფორმის მიზნების და შემოსავლის საწყისს. ისეთი შემთხვევები, როგორცაა მაგალითად Facebook-Cambridge Analytica სკანდალი არის არა უბრალოდ საგანგაშო კერძო შემთხვევა, რომ რაღაცა ისე არ მოხდა, არამედ ტიპური მოვლენა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და მათი მეშვეობით ფულის შოვნაზე.

ინოვაციების შემცირება მონოპოლიური ქცევისა და რენტის პირობებში - ციფრული პლატფორმები ხშირად გვევლინება მონოპოლიების როლში. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ, მოიპოვონ და შეინარჩუნონ მონოპოლიის სტატუსი, ისინი ყიდულობენ ინოვაციურ სტარტაპებს, რასაც საკმაოდ მზარდი ტენდენცია აქვს. ასეთი შესყიდვის მიზანია მოხდეს სტარტაპების მიერ წარმოებული საქონლის, მომხმარებლებისა და შემოსავლების ინკორპორირება და ტექნიკური ტალანტების პლატფორმაზე მომაგრება. მეორე მხრივ კი ასეთი შესყიდვების მიზანი შესაძლოა იყოს კონკურენტების ჩანასახშივე მოსპობა და მოწინააღმდეგეების შემდგომი განვითარების შეჩერება. მაგალითად Alphabet-ს 2017 წლისთვის შეძენილი ჰქონდა 190 ბიზნესზე მეტი, ხოლო Facebook-ს 2018 წლისთვის 60-ზე მეტი. ეს შენაძენები ემსახურებიან როგორც მონაცემთა მოპოვებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას, ასევე კონკურენტი ფირმების განვითარების შეზღუდვას. იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ მოხვდნენ

შესყიდულ კომპანიათა სიაში, დიდი პლატფორმების შეზღუდვებს აწესებენ მონაცემთა ბაზებთან წვდომაზე, რითაც საერთო ჯამში ზღუდავენ ეკონომიკის ინოვაციურ პოტენციალსა და ახალი დამწყები კომპანიების გაჩენას ბაზარზე, რომლებსაც, თავის მხრივ, ახალი ხედვებისა და წარმოების განვითარების გზაზე ხელი აღარ მიუწვდებათ მონოპოლისტი პლატფორმების უზარმაზარ მონაცემთა ბაზებზე.

როგორც მონოპოლიის ეკონომიკური თეორიიდან ვიცით, ბაზრის კონცენტრაციის ზრდა დაკავშირებულია ინვესტიციებისა (ეცემა კაპიტალური ხარჯები) და ინოვაციების (ეცემა განვითარებისკენ მიმართული კვლევების დონე) შემცირებასთან. შესყიდვები ხორციელდება დიდი ფულადი რეზერვების საფუძველზე, რომლებიც აკუმულირებულია პლატფორმის მფლობელი ფირმების ანგარიშებზე. უნივერსალური პლატფორმების ფინანსური სიძლიერე აძლევს მათ საშუალებას, განახორციელონ ჯერარნახული მასშტაბური გაერთიანებები და შენამენები, რომელიც არც კი დაესიზმრებოდათ ძველ ინდუსტრიულ გიგანტებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეზერვების დიდი მოცულობა წამოადგენს რეალურ ეკონომიკაში განუხორციელებელი ინვესტიციის ალტერნატიულ ღირებულებას. პლატფორმები ნაღდი ფულის რეზერვებს ახლა იყენებენ ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების ჩასატარებლად და ინახავენ დიდი მოცულობით ნაღდ ფულს ოფშორულ ზონებში, რითაც თავიდან ირიდებენ გადასახადების გადახდას რეალური ეკონომიკის სასარგებლოდ.

უთანასწორობის ზრდა

ციფრული მონოპოლიის ზრდა, როგორც ჩანს, იწვევს უთანასწორობის მატებას ეკონომიკური რენტის ზრდის შედეგად და წვლილი შეაქვს შრომით ძალაზე მოსული ეროვნული შემოსავლის წილის შემცირებაში (სარგებლის და ხელფასის წილობრივი შემცირება ეროვნულ შემოსავალთან მიმართებაში).

2000 წლიდან ეკონომიკური რენტა თანდათანობით იზრდებოდა და წარმოადგენდა ხელფასების უთანასწორობის ზრდის მთავარ ფაქტორს ამ პერიოდის განმავლობაში. ამის მიზეზი ნაწილობრივ ეკონომიკის ციფრულ პლატფორმებზე გადასვლაა. ფირმები, რომლებსაც უფრო მეტი საბაზრო ძალა აქვთ, შეიძლება მოიქცნენ მონოპოლისტურად: ჰქონდეთ უფრო მაღალი ფასები და მიიღონ კონკურენტულ ნიხრზე მაღალი მონოპოლური ქირა. ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ბაზრის კონკურენტუნარიანობის დაქვეითება იწვევს შემოსავლის უთანასწორო გადანაწილებასა და ხელფასების ზრდის შეჩრებას, რადგან პლატფორმების სარგებელი მიმართულია არა შრომითი ძალის ანაზღაურებაზე, არამედ ინვესტირდება კაპიტალურ მოგებაში და აღმასრულებელი მმართველი კლასის დივიდენდებსა და კომპენსაციებში. მართლაც, მიჩიგანის, ჰარვარდისა და ციურიხის უნივერსიტეტის ეკონომისტების თანახმად, იმ ინდუსტრიებში, სადაც ყველაზე მეტად იზრდებოდა მსხვილი ფირმების საბაზრო წილი, რომელთა შორის უმრავლესობა ციფრული პლატფორმების კომპანიები იყვნენ, შეინიშნებოდა მუშახელზე გაცემული სახელფასო განაკვეთების წილობრივი შემცირება, მაშინ როცა იზრდებოდა კაპიტალური ხარჯებისა და მაღალ თანამდებობებზე დასაქმებული პერსონალის სახელფასო ანაზღაურებები.

გადასახადის თავიდან აცილება - იმის გამო, რომ ციფრული ტრანსაქციები არ უკავშირდება კონკრეტულ ტერიტორიულ ადგილმდებარეობას, პლატფორმული კომპანიები საკუთარი იურიდიული საქმიანობის ადგილად ყველაზე დაბალ საგადასახადო იურისდიქციებს ირჩევენ.

კონფიდენციალურობა, ავტონომია და ყურადღების ეკონომიკა

პლატფორმა, მოგების მისაღებად, ხშირად მომხმარებლის პერსონალურ ინფორმაციას ინახავს. შესაბამისად, ინდივიდუალურ პრივატულობას საფრთხე ემუქრება ასეთი ბიზნესმოდელისგან, რომელიც ცდილობს უფრო და უფრო მეტი იცოდეს ადამიანების შესახებ. ხშირად ინდივიდი ან სოციალური ჯგუფი ნაკლებად ინფორმირებულია, თუ რა რაოდენობით, რა ტიპით და რა მიზნით გასცემს ინფორმაციას. ამავე დროს, პლატფორმები ყოველგვარ ჩვენ მიერ ყურადღების სახით გამოხატულ ინტერესს. ინფორმაცია, რომელიც მათ მოიპოვეს ჩვენს შესახებ, შეიძლება მოხვდეს მესამე მხარის ხელში და გამოყენებულ იქნეს ჩვენი ყურადღების მისაპყრობად და შემდგომში ჩვენს ქცევებზე გავლენის მოსახდენად. ეს საფრთხეს უქმნის პირად ავტონომიას, რადგან შეუძლია ჩვენი ყურადღების და პლატფორმაზე დამოკიდებულების გაკონტროლება. საფრთხე ექმნება ასევე ჩვენს ჯანმრთელობასაც. მაგალითად, სოციალური მედიის გამოყენებამ, რაც უკავშირდება გაუარესებულ ფსიქიკურ ჯანმრთელობას ახალგაზრდებს შორის.

საზოგადოების ეროზია და დემოკრატიული სისტემის დასუსტება

პლატფორმების საშუალებით რეკლამირების, სიახლეების და პროდუქტების პერსონალიზაცია სარგებელთან ერთად საზიარო საზოგადოებრივი ცხოვრების ეროზიას იწვევს. საფრთხის ქვეშ დგება დემოკრატიული ცხოვრების წესი და საზოგადოებრივი ურთიერთობების სიჯანსაღე, რაზეც დიდ გავლენას ახდენს ე.წ. „ფეიკ ნიუსების“ დაუბრკოლებელი გავრცელება. Facebook-მა და Google-მა 2017 წელს ციფრული რეკლამირების გლობალური ბაზრის 84% მოიზიდა (ჩინეთის გამოკლებით), რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არა მხოლოდ რეკლამის ფორმებზე, არამედ ჟურნალისტიკის ტრადიციულ სახეობებზე როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რადგან გაზეთებმა რეკლამის ციფრული პლატფორმების მიერ გადაქაჩვის შედეგად მნიშვნელოვანი შემოსავალი დაკარგა.

გარემოზე ზემოქმედება

მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმების უმრავლესობას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკის ეფექტურობა, მათი უარყოფითი გავლენები გარემოზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს - პლატფორმების სერვერებს სჭირდება სულ უფრო და უფრო მზარდი ენერჯია მუშაობისთვის. გარდა ამისა, შექმნილი საქონლის სწრაფი მიწოდების სერვისი ასევე წარმოშობს მზარდი ემისიის პრობლემებს გარემოსთვის. მკვლევარების აზრით, ციფრული კომუნიკაციების პლატფორმები საჭაერო და საზღვაო გადაზიდვების შედეგად 2020 წლისთვის გლობალურ ემისიას 3,5%-ით, ხოლო 2040 წლისთვის 14%-ით გაზარდის, რაც შეეხება ელექტროენერჯის გამოყენებას, პლატფორმების წილად 2025 წლისთვის ისინი მსოფლიოს ელექტროენერჯის 20%-ს მოიხმარენ.

პლატფორმების უნივერსალური ამბიცია და მისი პოტენციური გავლენა

დომინანტური ციფრული პლატფორმების საფუძველში მყოფი ბიზნესმოდელი მათ ახალ და უნივერსალურ შესაძლებლობას აძლევს - ესაა უფრო და უფრო მეტ ბაზრებზე შესვლა, რათა უზრუნველყონ მომხმარებელთა წვდომა ამ ბაზრებზე პლატფორმის ინფრასტრუქტურის ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, პლატფორმებს აძლევს კიდევ უფრო მეტი ქცევითი მონაცემის ამოღებისა და ანალიზის

შესაძლებლობას მოგების კიდევ უფრო მეტად გასაზრდელად. ამგვარად, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ამ პლატფორმებს „უნივერსალურ პლატფორმებად“ მოვიხსენიებთ, რათა ხაზი გავუსვით მათი ამბიციის მასშტაბებს.

უნივერსალური ამბიციის კუთხით აღსანიშნავია, რომ 2020 წლისთვის მსოფლიოს ლიბრას სახით ახალი კრიპტოვალუტა მოეწოდება. მართალია ციფრული ფულის არსებობის ისტორია ჯერ კიდევ 2012 წლიდან იწყება, მაგრამ ლიბრა ახალი მოვლენა იქნება ელექტრონული ფინანსების სამყაროში. 2019 წლის დასაწყისში ფეისბუქმა დააანონსა, რომ აპირებდა ახალი ვალუტის - ლიბრას გამოშვებას. მართლაც, ბიტკოინის არსებობამ იოლი და უსაფრთხო გახადა მანამდე არალეგალური და ტრასირებადი ტრანსაქციები. გლობალური ციფრული ფულის სისტემა თანხის გადაგზავნას ისევე იოლს ხდის როგორც ტექსტის გაგზავნის შემთხვევაშია. გარდა იმისა, რომ შესაძლებელი ხდება გვერდის ავლა სერვისების საკომისიოზე, დროის დანაკარგებსა თუ სხვა დაბრკოლებებზე, ის საშუალებას აძლევს ნებისმიერ ჩვენგანს, სახლიდან გაუსვლელად მოახდინოს ეროვნულ ვალუტაში გამომუშავებული ხელფასის მყარ ვალუტაში კონვერტირება მოსალოდნელი ინფლაციისგან თავის დასაცავად.

ფეისბუქის მენეჯმენტში ახალი ციფრული ვალუტის იდეას, როგორც ჩანს, თავიდანვე დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. 2017 წლიდან მისი კონცეფციის განვითარებაზე მხოლოდ ერთი თანამშრომელი მუშაობდა. თუმცა ამ გიგანტური ონლაინ პლატფორმის ხელმძღვანელობამ მალე აულო ალლო ამ ახალ წამოწყებას და უკვე 2019 წელს ლიბრას ირგვლივ 50 თანამშრომელი იყო დასაქმებული. ლიბრა, რომელიც ამ ახალ ვალუტას ლათინურ რომში გავრცელებული ფულის სახელის მიხედვით ეწოდა, შესაძლოა საკმაოდ გავლენიანი ვალუტის როლი შეასრულოს. საქმე ისაა, რომ facebook-ს ამ ეტაპისთვის უკვე ჰყავს 2.4 მილიარდზე მეტი მომხმარებელი და თუ თითოეული მათგანი საკუთარი დანაზოგებიდან მცირე ნაწილის კონვერტირებას მაინც მოახდენს ლიბრაში, ეს ლიბრასა და მის გამომშვებ კომპანიას ყველაზე უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტად აქცევს მსოფლიო ისტორიაში. მართალია Facebook აცხადებს, რომ ლიბრას გამოშვების მისი „გააძლიეროს მილიონობით ადამიანი“, თუმცა რეალურად, თუ ლიბრას მასიური გამოყენება ექნება, ის ჯერარნახულ სიძლიერეს სწორედ მის გამომშვებს მოუტანს.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის არაკეთილ-სინდისიერი მოპყრობის გამო facebook რეპუტაცია მომხმარებლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მხრიდან ბოლო პერიოდში საკმაოდ შეიზღალა, ლიბრას, ან ახალი ციფრული ვალუტით დაინტერესება საკმაოდ მაღალია ინვესტორთა შორის. დღეისათვის მხარდამჭერ კომპანიებს შორის არიან როგორც ფინანსური ინსტიტუტები, ასევე ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი: ჟენევაში ლიბრას დაფუძნების ცერემონიაზე დამფუძნებელთა შორის ფინანსური ინსტიტუტებიდან იყვნენ Mastercard, PayPal, PayU, Stripe, Visa Inc. ტექნოლოგიური თუ კომერციული ორგანიზაციებიდან - Booking Holdings, eBay, Farfetch, Lyft, MercadoPago, Spotify, Uber, ტელეკომუნიკაციებიდან - Iliad SA, Vodafone, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან - Mercy Corps, Women's World Banking და ა.შ.

რა საშუალებებით გავრცელდება ლიბრათი გადახდა, ამისთვის პლატფორმები უკვე არსებობს. პირველ რიგში ესაა თვით facebook-ის აპლიკაცია messenger და whatsapp. დღეისათვის ორივე მათგანი ფულადი გადარიცხვების სერვისებს უკვე სთავაზობს საკუთარ მომხმარებლებს. პირველი ამერიკელებს, ხოლო მეორე ინდოეთში მცხოვრებლებს. თუმცა ორივე მათგანი გადარიცხვებში იყენებს რეალური ფულის საბანკო ანგარიშებს.

ფეისბუქის სამომავლო გეგმები ახლა ვალუტასთან დაკავშირებით გასაგებს ხდის მსგავსი პლატფორმების უნივერსალური ამბიციების არსს. მათი ეკონომიკური ბუნება, ის ბიზნესმოდელი, რომელზედაც ისინი არიან აწყობილი, უზარმაზარი მონაცემების ფლობა და მათი გადამუშავების შესაძლებლობა მათ აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროცესში.

ამ გიგანტების უსაზღვრო ამბიცია იწვევს ე.წ. "სათვალთვალო კაპიტალიზმის" აღმავლობას. თუ ადრე, ინდუსტრიული კაპიტალიზმის დროს, შემოსავლების ზრდა, დაკავშირებული წარმოებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვასთან, შემდეგ, ფინანსური კაპიტალიზმის პირობებში, ფინანსურ სპეკულაციებთან, ახლა, ციფრული პლატფორმების ეპოქაში, შემოსავლების ზრდა ეფუძნება პლატფორმების მომხმარებლებისა და მომსახურების მიმწოდებლის თვალთვალს და აგრეგირებული, გაანალიზებული მონაცემების მონეტიზაციას მესამე მხარეზე მიყიდვის შედეგად. სათვალთვალო მექანიზმები გამოყენებადი გახდა ფიზიკური და ციფრულ ეკონომიკის ყოველდღიურ მუშაობაში. მაგალითად, ამაზონმა დააპატენტა ტექნოლოგია, რომელიც თვალყურს ადევნებს საწყობების მუშების მოძრაობას და ეფექტურობას, Facebook-მა კი ექსპერიმენტები ჩაატარა მომხმარებელთა ქცევაზე თვალთვალით სიახლეთა ლენტაზე მასობრივი ფსიქოლოგიური მანიპულირების საშუალებით ისე, რომ მომხმარებლებისგან ამაზე ნებაართვა არ მიუღია.

ეს ამბიცია მომავალში გავლენას იქონიებს თავისუფლებაზე, საზოგადოებაში ძალაუფლების წონასწორობასა და ყველას შესაძლებლობებზე, რომ ვისარგებლოთ ამ ახალი ტექნოლოგიების პოტენციალით. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ჩინეთის მთავრობა ავითარებს „სოციალურ საკრედიტო სისტემას“, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, გააკონტროლოს და შეაფასოს მოქალაქეთა ქცევა ეროვნული მასშტაბით. შესაბამისად, სათანადო რეგულაციების შემოღება იქნება საჭირო იმისთვის, რომ დასავლურმა ფირმებმა მსგავსი საქმიანობის განხორციელება ვერ შეძლონ.

ამ გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა შემუშავდეს ალტერნატიული ამბიცია უნივერსალური პლატფორმების მიზნებთან მიმართებაში. ჩვენი აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია არა მხოლოდ კომერციული სარგებლის მიღება, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია საერთო კეთილდღეობის გასაზრდელად ისე, რომ სარგებელი ყველამ მიიღოს, კოლექტიური სოციალური უსაფრთხოების მკვეთრი გაფართოება. აღნიშნული მიმართულებით მონაცემების ანალიზის შედეგების წარმართვა ხელს შეუწყობს უზარმაზარ პროგრესს საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში - დაწყებული ჯანდაცვის გაუმჯობესებული სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიებიდან და დამთავრებული რესურსების გამოყენების მკვეთრად გაზრდილი ეფექტურობით ეკონომიკურ საქმიანობაში. იმისათვის, რომ შეიცვალოს პლატფორმული კომპანიების ქცევა და მათი პოტენციალი წარიმართოს კოლექტიური უსაფრთხოების ზრდის მიმართულებით, ჩვენ მოგვიწევს ძირეულად გადავხედოთ ციფრული გენერირებული მონაცემების მართვისა და ფლობის საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fukuyama, Francis. "The End of History?" The National Interest, no. 16 (1989): 3-18.
2. გოგორიშვილი ი., გველესიანი რ. პროგრესი - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის ცვლილების მამოძრავებელი ძალა. თსუ III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, 26-27 ოქტომბერი, 2018.

3. Strowel, A., & Vergote, W. (2016, 7). Digital Platforms: To Regulate or Not To Regulate? Retrieved from <http://ec.europa.eu/>: http://ec.europa.eu/information_society/newsroom/image/document/2016-7/uclouvain_et_universit_saint_louis_14044.pdf
4. Srnicek N (2017). Platform Capitalism. Polity Press, Cambridge Malden, MA.
5. Caribou Digital (2016). Winners and losers in the global app economy. Caribou Digital Publishing, Farnham, Surrey
6. "China outlines its first social credit system". news.xinhuanet.com. 27 June 2014. Archived from the original on 3 May 2015. Retrieved 26 December 2015.
7. ერქომაიშვილი გ. (2019), რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა - ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
8. Khurtsia L., Gaprindashvili G. (2018), Education as a factor of employment and Income. Globalizacia da Biznesi, №6, p.165-169.

Lali Khurtsia

DIGITAL PLATFORMS AND ECONOMIC IMPACT

Summary

The article explores the growing role of digital platforms in the modern global economy. The essence and characteristics of digital platforms, the conditions that give digital platforms flexibility and efficiency in the market are revealed. Key issues that have a positive impact on the social and political environment through digital platforms are listed. For the business model of digital platforms, negative impacts on society are also analyzed, including monopoly aspirations, growing inequality, and privacy issues. The article concludes that digital platforms are striving for universality, and their influence will be further enhanced by the introduction of digital currencies in financial transactions.

Keywords: Digital, Globalization, Business Model, Cryptocurrencies, Facebook, Amazon

დალი მაგრაქველიძე

რისკის პირობებში მომხმარებელთა არჩევანის ანალიზი სარგებლიანობის ფუნქციის გამოყენებით

ანოტაცია: მომხმარებლებს არჩევანის გაკეთება უწევთ რისკის პირობებში, ამიტომ ამ პრეფერენციების აღსაწერად გამოიყენება მოსალოდნელი სარგებლიანობის ფუნქცია ან ფონ ნოიმან-მორგენშტერნის სარგებლიანობის ფუნქცია. ეს ისეთ ფუნქციაა, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო მოხმარების დონეზე, არამედ ალბათობებზეც. თუ მომხმარებელი რისკის უარყოფელია და ცდილობს მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას და თუ მას სამართლიან დაზღვევას შესთავაზებენ ზარალის წინააღმდეგ, მაშინ იგი ოპტიმალურად აირჩევს სრულ დაზღვევას.

საკვანძო სიტყვები: ფონ ნოიმან-მორგენშტერნის სარგებლიანობის ფუნქცია; ალბათობის განაწილება; სრული სუბსტიტუტები; რისკისადმი დამოკიდებულება.

შესავალი

რისკი ცხოვრებისეული ფაქტია. იგი არსებობს ყოველთვის. მაგრამ არსებობს საფინანსო დაწესებულებები, როგორებიცაა სადაზღვევო ბაზარი და აქციების ბაზარი (საფონდო ბირჟა), რომელთაც ძალუძთ რისკის თუნდაც ნაწილობრივ შემცირება.

ჩვენი მიზანია გავერკვეთ თუ როგორი იქნება მომხმარებელთა არჩევანი რისკის პირობებში. ამ დროს მომხმარებელი აუცილებლად შეხვდება საქონელთა სხვადასხვა სამომხმარებლო კალათების შექმნის ალბათობის განაწილებას. ალბათობის განაწილება შედგება სამომხმარებლო კალათების ჩამონათვალის და თითოეულ კალათასთან დაკავშირებული ალბათობისაგან. როდესაც მომხმარებელი დგას გადაწყვეტილების წინაშე, რა სახის საავტომობილო დაზღვევა იყიდოს ან რა თანხა დააბანდოს აქციების ბაზარზე, იგი, სინამდვილეში, ირჩევს ალბათობის კომბინაციას მოხმარების სხვადასხვა რაოდენობას შორის. თუ მომხმარებელს გააჩნია გონივრული პრეფერენციები სხვადასხვა პირობებში მოხმარების შესაბამისად, მაშინ ამ პრეფერენციების აღსაწერად შეგვიძლია სარგებლიანობის ფუნქცია გამოვიყენოთ. თუმცა ის ფაქტი, რომ რისკის პირობებში გაკეთებულ არჩევანს ვიხილავთ, არჩევანის საკითხს განსაკუთრებულ სახეს აძლევს. ზოგადად, ის, თუ როგორ შეაფასებს მომხმარებელი მოხმარებას ერთ მდგომარეობაში მეორესთან შედარებით, დამოკიდებულია ამ მოცემული მდგომარეობის არსებობის რეალურ ალბათობაზე.

ამ მიზეზის გამო სარგებლიანობის ფუნქციას წარმოვადგენთ, როგორც ისეთ ფუნქციას, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო მოხმარების დონეზე, არამედ ალბათობებზეც. აღვნიშნოთ c_1 და c_2 ცვლადებით პირველი და მეორე მდგომარეობის შესაბამისი მოხმარება, ხოლო π_1 და π_2 იყოს პირველი და მეორე მდგომარეობის რეალური ალბათობები.

თუ ორი მდგომარეობა ურთიერთგამომრიცხავია, ერთ მომენტში მხოლოდ ერთი მათგანი შეიძლება მოხდეს, მაშინ $\pi_2 = 1 - \pi_1$. მაგრამ ჩვენ სიმეტრიულობისათვის ორივე ალბათობას გამოვიყენებთ. ამ აღნიშვნების გამოყენებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ პირველ და მეორე მდგომარეობაში მოხმარების სარგებლიანობის ფუნქცია, როგორც $u(c_1, c_2, \pi_1, \pi_2)$. ეს არის ფუნქცია, რომელიც ასახავს ინდივიდის პრეფერენციებს თითოეულ მდგომარეობაში მოხმარებისათვის [1].

რისკის პირობებში არჩევანის გასაანალიზებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სარგებლიანობის თითქმის ყველა ფუნქცია. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება ავიღოთ სრული სუბსტიტუტების შემთხვევა. აქ, ბუნებრივია, შევაფასოთ თითოეული მოხმარება იმის მიხედვით თუ როგორია მისი მოხდენის ალბათობა. ეს გვამლევს სარგებლიანობის ფუნქციის შემდეგ სახეს:

$$u(c_1, c_2, \pi_1, \pi_2) = \pi_1 c_1 + \pi_2 c_2$$

სარგებლიანობის ფუნქციამ შეიძლება მიიღოს შემდეგი მოხერხებული ფორმა:

$$u(c_1, c_2, \pi_1, \pi_2) = \pi_1 \gamma(c_1) + \pi_2 \gamma(c_2)$$

ეს გამოსახულება გვიჩვენებს, რომ სარგებლიანობა შეიძლება ჩაიწეროს, როგორც თითოეულ მდგომარეობაში მოხმარების - $\gamma(c_1)$ და $\gamma(c_2)$ - და მათი ალბათობების შესაბამისად π_1 და π_2 - ნამრავლთა ჯამი.

გამოსახულება $\pi_1 \gamma(c_1) + \pi_2 \gamma(c_2)$ ასახავს (c_1, c_2) კალათის მოხმარების საშუალო სარგებლიანობას, ანუ მოსალოდნელ სარგებლიანობას.

ამის გამო ზემოთ აღწერილი ფორმის სარგებლიანობის ფუნქციას ვუწოდებთ მოსალოდნელი სარგებლიანობის ფუნქციას ან ფონ ნოიმან-მორგენშტერნის სარგებლიანობის ფუნქციას.


რისკის პირობებში არჩევანის გაკეთებისას არსებობს ბუნებრივი „დამოუკიდებლობა“ სხვადასხვა ხდომილობათა შედეგებს შორის, ვინაიდან მათი მოხმარება ერთმანეთისაგან განცალკევებით ხდება - ბუნების სხვადასხვა მდგომარეობაში. არჩევანი, რომელსაც მომხმარებელი გეგმავს ერთ მდგომარეობაში, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა მდგომარეობისთვის დაგეგმილი არჩევანისაგან. ეს დაშვება ცნობილია დამოუკიდებელი დაშვების სახელით. ეს ნიშნავს, რომ თუ c_1, c_2 და c_3 სხვადასხვა მდგომარეობათა შესაბამის მოხმარებას აღნიშნავს, ხოლო π_1, π_2 და π_3 ამ სამი მდგომარეობის ხდომილობის ალბათობებს წარმოადგენს, მაშინ, თუ დამოუკიდებლობის დაშვება კმაყოფილდება, სარგებლიანობის ფუნქციას შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს:

$$U(c_1, c_2, c_3) = \pi_1 u(c_1) + \pi_2 u(c_2) + \pi_3 u(c_3)$$

სწორედ ეს არის ფუნქცია, რომელსაც მოსალოდნელი სარგებლიანობის ფუნქციას ვუწოდებთ. პირველი და მეორე საქონელს შორის სუბსტიტუციის ზღვრულ ნორმას შემდეგი სახე აქვს:

$$MRS_{12} = \frac{\Delta U(c_1, c_2, c_3) / \Delta c_1}{\Delta U(c_1, c_2, c_3) / \Delta c_2} = \frac{\pi_1 \Delta u(c_1) / \Delta c_1}{\pi_2 \Delta u(c_2) / \Delta c_2}$$

MRS დამოკიდებულია მხოლოდ პირველ და მეორე საქონლის რაოდენობაზე, რომელიც ჩვენ გვაქვს და არ არის დამოკიდებული მესამე საქონლის რაოდენობაზე.



ნახ. 1. რისკის უარყოფა. რისკის უარყოფელი მომხმარებლისათვის ქონების მოსალოდნელი ღირებულებების სარგებლიანობა $u(10)$ მეტია, ვიდრე ქონების მოსალოდნელი სარგებლიანობა $0.5u(5)+0.5u(15)$

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოსალოდნელი სარგებლიანობის ფუნქციას რისკის პირობებში არჩევანის ანალიზისათვის საჭირო თვისებები აქვს. განვიხილოთ მაგალითი, რომელიც მიესადაგება მოსალოდნელი სარგებლიანობის მარტივი არჩევანის პრობლემას. დავუშვათ, მომხმარებელს აქვს 10 ლარი და იგი აპირებს ჩაერთოს თამაშში, რომელიც იძლევა 5 ლარის მოგების 50%-იან ალბათობას და 5 ლარის წაგების 50%-იან ალბათობას. ამგვარად, მისი მომავალი ქონება საალბათოა: საბოლოოდ მომხმარებელს აქვს 5 ლარის ფლობის 50%-იანი და 15 ლარის ფლობის 50%-იანი ალბათობა. მისი ქონების მოსალოდნელი ღირებულება 10 ლარის ტოლია, ხოლო მოსალოდნელი სარგებელი ტოლია:


$$\frac{1}{2}u(15 \text{ ლ}) + \frac{1}{2}u(5 \text{ ლ})$$

ეს შემთხვევა ნახ. 1-ზეა ასახული. ქონების მოსალოდნელი სარგებლიანობა ორი რიცხვის, $u(15 \text{ ლ})$ და $u(5 \text{ ლ})$ -ის, საშუალო არითმეტიკულის ტოლია და გრაფიკზე ნაჩვენებია $0,5u(5) + 0,5u(15)$ გამოსახულებით. შევნიშნოთ, რომ ამ გრაფიკზე ქონების მოსალოდნელი სარგებლიანობა ნაკლებია, ვიდრე მოსალოდნელი ქონების სარგებლიანობა:

$$u\left(\frac{1}{2}15 + \frac{1}{2}5\right) = u(10) > \frac{1}{2}u(15) + \frac{1}{2}u(5)$$

ამ შემთხვევაში მომხმარებელი რისკს თავს არიდებს, ვინაიდან ის ამჯობინებს იქონიოს თავისი ქონების მოსალოდნელი ღირებულება, ვიდრე ჩაერთოს თამაშში. რა თქმა უნდა, მომხმარებლის არჩევანი შეიძლება ისეთი იყოს, რომ მან ამჯობინოს ქონების მოსალოდნელი ღირებულების შემთხვევითი მატება და ამ შემთხვევაში ის რისკის მოყვარული მომხმარებელი იქნება. ამის მაგალითი ნახ. 2-ზეა გამოსახული. მივაქციოთ ყურადღება ნახ. 1-სა და ნახ. 2-ს შორის განსხვავებას. რისკის თავს ამრიდებელ მომხმარებელს სარგებლიანობის ამოზნექილი ფუნქცია აქვს - მისი დახრილობა მცირდება ქონების ზრდისას. რისკის მოყვარული მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქცია კი ჩაზნექილია - მისი დახრილობა იზრდება სიმდიდრის ზრდისას. ამგვარად, სარგებლიანობის ფუნქციის სიმრუდე მომხმარებლის რისკისადმი დამოკიდებულებას ასახავს, რაც უფრო მეტად ამოზნექილია სარგებლიანობის ფუნქცია მით უფრო მეტად უარყოფს მომხმარებელი რისკს, და რაც უფრო ჩაზნექილია სარგებლიანობის ფუნქცია, მით უფრო მეტად უყვარს მას რისკი.

მოვიყვანოთ მოსალოდნელი სარგებლიანობის სტრუქტურის გამოყენების მაგალითი დაზღვევაზე მოთხოვნისათვის. ვთქვათ, პიროვნებას გააჩნია 35 000 ლარის ქონება და მოსალოდნელია 10 000 ლარის ქონების დაკარგვა. ზარალის ალბათობა 1,5%-ია და K ლარის ღირებულების დაზღვევის შემენა მას yK ლარი უჯდება.



ნახ. 2. რისკის სიყვარული. რისკის მოყვარული მომხმარებლისათვის ქონების მოსალოდნელი სარგებლიანობა - $0.5u(5)+0.5u(15)$ - მეტია, ვიდრე ქონების მოსალოდნელი ღირებულების სარგებლიანობა - $u(10)$

ზარალის არარსებობის შემთხვევას პირველი მდგომარეობა ვუწოდოთ. ამ მდგომარეობაში პიროვნების ქონება იქნება:

$$c_1 = 35\,000 - \gamma K$$

ხოლო მეორე მდგომარეობა შევუსაბამოთ ზარალის შემთხვევას. ასე რომ,

$$c_2 = 35\,000 - 10\,000 + K - \gamma K$$

მაშინ მომხმარებლის დაზღვევის ოპტიმალური არჩევანი განსაზღვრული იქნება პირობით, რომ MRS ორი ხდომილობის შესაბამის მოხმარებას შორის ტოლი იქნება მათი ფასების შეფარდებისა:

$$MRS = -\frac{\pi \Delta u(c_2) / \Delta c_2}{(1-\pi) \Delta u(c_1) / \Delta c_1} = -\frac{\gamma}{1-\gamma} \quad (1)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო კომპანია ხელშეკრულების შედეგად არც მოგებას ნახულობს, არც წაგებას, დაზღვევის მოსალოდნელი ღირებულება ზუსტად დაზღვევის ფასის ტოლია. მაშინ,

$$P = \gamma K - \pi K - (1-\pi) \cdot 0 = \gamma K - \pi.$$

რაც ნიშნავს, რომ $\gamma = \pi$.

თუ ამ მნიშვნელობას (1) ტოლობაში ჩავსვამთ და π -ს შეკვეცავთ მივიღებთ პირობას, რომელიც დაზღვევის ოპტიმალურმა რაოდენობამ უნდა დააკმაყოფილოს:

$$\frac{\Delta u(c_1)}{\Delta c_1} = \frac{\Delta u(c_2)}{\Delta c_2}. \quad (2)$$

ეს ტოლობა გვეუბნება, რომ შემოსავლის დამატებითი ერთი ლარის ზღვრული სარგებლიანობა ზარალის შემთხვევაში ტოლი უნდა იყოს შემოსავლის დამატებითი ერთი ერთეულის ზღვრული სარგებლიანობისა იმ შემთხვევაში, როდესაც ზარალი არ ხდება.

დავუშვათ, მომხმარებელი რისკის უარმყოფელია, ასე რომ ფულის ზღვრული სარგებლიანობა მცირდება, როდესაც მისი საკუთარი ფულის რაოდენობა იზრდება. თუ $c_1 > c_2$, მაშინ c_1 -ის შესაბამისი ზღვრული სარგებლიანობა ნაკლები იქნება c_2 -ის შესაბამისი ზღვრულ სარგებლიანობაზე, და პირიქით. უფრო მეტიც, თუ c_1 -ისა და c_2 -ის შესაბამისი შემოსავლის ზღვეული სარგებლიანობა ტოლია, როგორც (2) ტოლობაში, მაშინ უნდა გვექონდეს ტოლობა $c_1 = c_2$. თუ c_1 -ისა და c_2 -ის ნაცვლად მათ მნიშვნელობებს ჩავსვამთ, მივიღებთ:

$$35\,000 - \gamma K = 25\,000 + K - \gamma K,$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ $K = 100$. ეს ნიშნავს, რომ როდესაც გვაქვს შესაძლებლობა, შევიძინოთ დაზღვევა „სამართლიან“ სადაზღვევეო პრემიად, რისკის უარმყოფელი მომხმარებელი ყოველთვის სრულ დაზღვევას აირჩევს.

ეს იმიტომ ხდება, რომ თითოეულ მდგომარეობაში ქონების სარგებლიანობა დამოკიდებულია მოქალაქის საერთო ქონებაზე და არა იმაზე, თუ რა ქონება ექნებოდა მას სხვა მდგომარეობაში. ასე რომ, თუ სხვადასხვა მდგომარეობაში მომხმარებლის ქონების სიდიდეები ერთმანეთის ტოლია, ქონების ზღვრული სარგებლიანობაც ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს.

დასკვნა

ამგვარად, თუ მომხმარებელი რისკის უარმყოფელია და ცდილობს მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას და თუ მას სამართლიან დაზღვევას შესთავაზებენ ზარალის წინააღმდეგ, მაშინ იგი ოპტიმალურად აირჩევს სრულ დაზღვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰ.ლ. ვარიანი, მიკროეკონომიკა, თბილისი, დიოგენე, 1998.

Dali Magrakvelidze

ANALYSIS OF CUSTOMER'S BEHAVIOR IN TERMS OF RISK BY UTILITY FUNCTION Summary

When making a choice in terms of risk, the consumer will inevitably face the distribution of probability of purchasing different consumer baskets. If the customer has reasonable preferences according to consumption under different conditions, then we will use the utility to describe those preferences.

Generally, how a consumer assesses consumption in one situation relative to another depends on the actual probability of the given situation. For this reason, we present the utility function as a function that depends not only on the level of consumption but also on the probabilities.

To analyze choice under risk we can use almost all we can use almost all utility functions. As an example we took case of complete substrates. Here it is natural to evaluate each consumption according to its probability of occurrence. This gives us the following type of utility function:

$$u(c_1, c_2, \pi_1, \pi_2) = \pi_1 c_1 + \pi_2 c_2.$$

Utility function can get the following convenient form:

$$u(c_1, c_2, \pi_1, \pi_2) = \pi_1 \gamma(c_1) + \pi_2 \gamma(c_2)$$

This equation shows that the utility can be written as the sum of the product of consumption in each condition - $\gamma(c_1)$ and $\gamma(c_2)$ – and appropriately probabilities π_1 and π_2 .

If c_1, c_2 and c_3 denotes the corresponding consumption of the various conditions, and the probabilities of accessing all three of these states, then if the independence is satisfied, the benefit function should have the following form:

$$U(c_1, c_2, c_3) = \pi_1 u(c_1) + \pi_2 u(c_2) + \pi_3 u(c_3).$$

This is the function we call the expected benefit function.

ბესიკ ბოლქვაძე

ფულადი ნაკადების ანალიტიკური მნიშვნელობა კომპანიათა ფინანსურ გადაწყვეტილებებში

ანოტაცია. საქართველოში კომპანიათა ფინანსური ანგარიშგებების სახელმწიფოსადმი წარდგენის აუცილებლობა, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად იქნა განმტკიცებული, რადიკალურად ზრდის ფინანსური ანგარიშგებითი ვალდებულების როლს და მნიშვნელობას და ამდღებს ე.წ. ანგარიშგებით კულტურას. ფინანსური ანგარიშგების ორგანულ და განუყოფელ ნაწილს კი ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოადგენს. ნაშრომი მიმოიხილავს და ასაბუთებს ფულადი ნაკადების ანალიზისა და მართვის აუცილებლობას შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით, რაციონალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, ფულადი ნაკადები, ლიკვიდობის პოზიცია, ხარისხობრივი ანალიზი, რაოდენობრივი ანალიზი.

1. ფულადი ნაკადების ანალიზის აუცილებლობა

ეკონომიკის ბიზნესსექტორში კომპანიათა გამართული ეკონომიკური საქმიანობის ორ მთავარ მიზნობრივ პარამეტრს, როგორც ცნობილია, მისი რენტაბელობის და ლიკვიდობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ ვერც ბალანსი (ლიკვიდობის ბაზისი) და ვერც მოგება-ზარალის ანგარიშგება (რენტაბელობის ბაზისი) ვერ განსაზღვრავს კომპანიის ოპერირების ისეთ აუცილებელ ფინანსურ მახასიათებლებს, როგორცაა ფულადი სახსრების ნაკადების სტრუქტურა, დინამიკა და ხარისხი. სწორედ აღნიშნულ ნაკლოვანებას ავსებს ფულადი ნაკადების ანგარიშგება (Lucian, Dorel), რომელიც გვიჩვენებს კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობის ტრენდულ მდგომარეობას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესსუბიექტის შიგა და გარე დაინტერესებულ მხარეებს ისეთი წონადი ფინანსური ინფორმაციით, როგორცაა: კომპანიის მიერ ფულადი სახსრების გენერირების პოტენციალი; ვალდებულებების დაფარვის უნარი; საოპერაციო აქტიურობის მასშტაბი (საოპერაციო სეგმენტი), საინვესტიციო შესაძლებლობების გამოყენების უნარი (საინვეს-

ტიციო სეგმენტი), გარე დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულების დონე (საფინანსო სეგმენტი); წმინდა მოგების (რენტაბელობის საზომი) და ფულადი სახსრების წმინდა ცვლილების (ლიკვიდობის საზომი) განსხვავების მიზეზები; ფულადი ნაკადების გამოყენების შესაძლებლობა (რეინვესტირება, დივიდენდების გაცემა და ა.შ.). ფულადი ნაკადების ანგარიშგების სტრუქტურას და მისი ცალკეული კომპონენტების შემადგენლობას განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), კერძოდ, სტანდარტი ბასს 7 – ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

ითვლება, რომ კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისით დაინტერესებულ პირთა წრე მრავალრიცხოვანია, თუმცა არსებითად, პრაქტიკული ანალიტიკური გამოყენების თვალსაზრისით, აღნიშნული წრე რეალურად ვიწროვდება და მოიცავს საკუთრივ ბიზნესსუბიექტის კორპორაციულ ბირთვს, სახელმწიფოს შესაბამის უწყებას (სამინისტროს), პოტენციურ ინვესტორებს და კრედიტორებს, როგორც „ქემ ფლოუ“-ს აქტიურ მომხმარებლებს.

კომპანიის ფულადი ნაკადების რაციონალური მენეჯმენტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების ანგარიშგების სათანადო შედგენა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო გარე მომხმარებლების მიერ, არამედ ასევე შიგნითადაც ანალიტიკური მიზნებისათვის. ასეთი ანგარიშგების მომზადება კი ეყრდნობა ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშისა და მთავარი სააღრიცხვო წიგნის ანგარიშებზე დაგროვილ ინფორმაციას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ბიზნესსექტორის ნებისმიერი სუბიექტის ფულადი ნაკადების მართვის ძირითადი ფინანსური დოკუმენტია, რომლის ანალიზის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სამი აუცილებელი ფაქტორ-გარემოება: 1. ფულადი ნაკადების ცალკეული მუხლების (პოზიციების) შესაბამის საქმიანობებზე (სეგმენტებზე) სწორი მიკუთვნება; 2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ადეკვატური აგება და მომზადება შესაბამისი მეთოდების (პირდაპირი და ირიბი) გამოყენებით; 3. ფულადი ნაკადების რელევანტური ანალიზი და ინტერ-პრეტაცია (თვისებრივ-ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების მიხედვით). შევნიშნავთ, რომ აღნიშნულთაგან პირველი ორი ფაქტორი გამომდინარეობს შესაბამისი ანგარიშგებითი სტანდარტიდან და აუცილებლად გათვალისწინებადი სავალდებულო მოთხოვნაა, მაშინ, როდესაც მესამე ფაქტორის ამოქმედება დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მენეჯმენტის მიდგომებზე, ანალიტიკურ „კულტურაზე“ და მთავარი დაინტერესებული მხარეების – ინვესტორებისა და კრედიტორების – მოთხოვნებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით დაშვებულია ფულადი ნაკადების უწყისის აგების ორივე მეთოდის გამოყენება, თუმცა იგი რეკომენდაციას იძლევა უპირატესად პირდაპირი მეთოდის გამოყენებაზე, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს თვალსაჩინო ინფორმირებას ფულადი ნაკადების წყაროე ბისა და გამოყენების შესახებ (ბასს 7.19), თუმცა კომპანიების მხოლოდ მცირე პროცენტი იყენებს ხსენებულ მეთოდს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, განსხვავებით ირიბი მეთოდისაგან, რადგან იგი უფრო მეტად გაანგარიშებატევადია (Harrison, Horngren, Thomas, 2013:716). ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა-გამოყენება შეიძლება კომპანიის კორპორაციული პოლიტიკის დოკუმენტით იყოს განსაზღვრული, სათავე ოფისის მოთხოვნა, მომსახურე ფინანსური ინსტიტუტის მიდგომა და ა.შ. აქვე დავაზუსტოთ, რომ საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის შესაბამისი მარეგულირებელი უწყება (ბუღალტრული აღრიცხვის,

ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური) არ უთითებს კონკრეტულად კომპანიებს რომელიმე ზემოხსენებული მეთოდის გამოყენების პრიმატის თაობაზე, ამიტომ რეალური (არაფინანსური) სექტორის კომპანიები პრაქტიკაში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მეთოდს ძირითადად ირჩევენ საკუთარი სურვილის მიხედვით.

შევნიშნავთ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება არსობრივად ბიზნეს-სუბიექტის ლიკვიდობის პოზიციის (მოკლევადიანი გადაწყვეტილებების) განმსაზღვრელ ინდიკატორთა კომპლექსია. პრაქტიკულ ეკონომიკურ საქმიანობაში კომპანიების უმეტესობა მას იყენებს (უფრო ზუსტად, მომავალში ინტენსიურად გამოიყენებს) როგორც სავალდებულო ანგარიშგებით დოკუმენტს სახელმწიფოსადმი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზემოხსენებული სამსახური) წარდგენის თვალსაზრისით ან როგორც დაინტერესებული მხარეებისადმი (ძირითადად ინვესტორებისა და კრედიტორებისადმი) წარსადგენ საანალიზო ბაზა-დოკუმენტს გადახდისუნარიანობის შეფასების კონტექსტში. რაც შეეხება ფულადი ნაკადების ანგარიშგების შიგა ანალიზს, შეფასებას და ინტერპრეტაციას (რაც ფულადი ნაკადების მართვის ფუნდამენტია), მისი განხორციელება ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია ან, საუკეთესო შემთხვევაში, მინიმალურია.

2. ფულადი ნაკადების ხარისხობრივი ანალიზი

ფულადი ნაკადების ანგარიშგების თვისებრივ-ხარისხობრივი ანალიზი არის უადრესად მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი საჭიროება ნებისმიერი ბიზნეს-სუბიექტის მმართველი ფინანსური ბირთვისათვის, რადგან იგი იძლევა მრავალმხრივ ანალიტიკურ ინფორმაციას არა მხოლოდ ლიკვიდობის თვალსაზრისით, არამედ კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მთლიანობაში. ფულადი ნაკადების ანალიზისა და მართვის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ნიუანსების მხედველობაში მიღება:

1. ფულადი ნაკადების ანგარიშგება და განსაკუთრებით მისი ძირითადი შედეგობრივი მაჩვენებელი – ფულადი ნაკადების ჯამური წმინდა ცვლილება – არის ნებისმიერი კომპანიის ერთ-ერთი საბაზისო-საკვანძო გადახდისუნარიანობის ინდიკატორი, ვინაიდან სწორედ იგი გვიჩვენებს ნაღდი ფულადი სახსრების გენერირების არა მარტო არსებულ დონეს, არამედ მის სამომავლო პოტენციალსაც, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირია ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. კერძოდ, „ფულადი ნაკადების ანგარიშგება საშუალებას იძლევა, შეფასდეს კომპანიის წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა და კომპანიის უნარი, დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე“ (ბასს 7.4). თუმცა, მეორე მხრივ, ფულადი სახსრების დიდი ოდენობით ნაშთის არსებობა შესაძლოა სრულებითაც არ მიუთითებდეს ეფექტიან ფინანსურ მართვაზე, თუ ასეთი ფულადი რესურსი არ იქნა მიზანმიმართულად გამოყენებული მოგების რეგენერირების მიზნით;

2. ფულადი ნაკადების ანგარიშგება და შესაბამისი ფულადი „მიმოქცევის“ ცოდნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა ანგარიშგებითი თვალსაზრისით, არამედ იგი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს კომპანიათა სამომავლო საპროგნოზო გათვლებისათვის, როგორც ინვესტირების საშემფასებლო ინსტრუმენტი. თანამედროვე მსხვილი კომპანიების პრაქტიკაში სწორედ საპროგნოზო ფულადი ნაკადები მიიჩნევა ბიზნესის ღირებულების განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად.

კერძოდ, როდესაც ხდება საინვესტიციო პროექტების შემუშავება, ანალიზი და შეფასება, გაანგარიშებით მანიპულაციებში გამოყენებამ არა იმდენად საადრიცხვო მოგების მაფორმირებელი სიდიდეები, რამდენადაც „ქემ ფლოუს“ დაგეგმილი წმინდა ფულადი ნაკადები. ამდენად, მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებლების გამოყენებით და მათზე დაყრდნობით, ნაღდი ფულის ბიუჯეტირების კომპონენტის გააქტიურება გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების უკუგებრივი შეფასების მიზნით;

3. ფულადი სახსრების სტრუქტურაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საოპერაციო ფულად ნაკადებს, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ გამომუშავებული ლიკვიდური ნაკადების ფორმირების მთავარ წყაროს. თუ ბიზნესი მოკლებულია საოპერაციო ნაკადების გენერირების უნარს, მას გაუჭირდება ერთი მხრივ, ინვესტირება, ხოლო მეორე მხრივ – დაფინანსების დამატებითი წყაროების მოხიფება საჭიროების შემთხვევაში. შედეგად, ცხადია, შემცირდება თავის მხრივ ინვესტირებისა და კრედიტორების ნდობა მოცემული კომპანიისადმი. უფრო კონკრეტულად, საოპერაციო საქმიანობის დადებითი წმინდა ფულადი ნაკადი შეიძლება მიუთითებდეს კომპანიას მზარდ საოპერაციო აქტიურობაზე და პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ხოლო უარყოფითი სალდო, პირიქით, არასასურველია. თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, როდესაც შესაძლოა უარყოფითი საოპერაციო სალდო არ იყოს სარისკო, მაგალითად დამწყები ბიზნესისათვის (Start-up) ეკონომიკური შოკის პირობებში ან ახალ ბაზრებზე შეღწევის დროს. ამასთან, ფულადი ნაკადების ანალიზისას მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, უარყოფითი საოპერაციო სალდოს (არსებობის შემთხვევაში) დაფინანსება ხდება უპირატესად საინვესტიციო ნაკადებით თუ ურატესად საფინანსო ნაკადებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიას კაპიტალის სტრუქტურის ანალიზს და კაპიტალის ღირებულებას. ამასთან, წმინდა საოპერაციო ნაკადის მაჩვენებელი საკვანძო ინდიკატორია, თუმცა მისი დაბალი ან უარყოფითი მნიშვნელობისას კომპანიები შეიძლება დადგნენ „ფინანსური ტრილემის“ წინაშე, კერძოდ: ა) მოიზიდოს სესხები, როგორც ბიზნესის დაფინანსების წყარო; ბ) მიმართოს კაპიტალში დამატებითი ინვესტირებების განხორციელებას; გ) მზარდი და ჭარბი უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გამო შეწყვიტოს ეკონომიკური საქმიანობა;

4. საინვესტიციო საქმიანობის დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის ცოდნა მნიშვნელოვანია რამდენიმე ზეგავლენის შესაფასებლად. კერძოდ, იგი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ა) მოცემული კომპანია ზრუნავს ლიკვიდობის გაზრდაზე (მაგალითად, რეალიზაციას უკეთებდეს არალიკვიდურ აქტივებს); ბ) აფინანსებს საოპერაციო საქმიანობის უარყოფით სალდოს. უარყოფითი წმინდა საინვესტიციო ნაკადების არსებობა კი შეიძლება გვიჩვენებდეს და მიუთითებდეს: ა) კომპანიის ზრდის ტენდენციაზე კაპიტალური ხარჯების გადიდების გზით; ბ) ე.წ. საინვესტიციო ქონების დაგროვებაზე. გარდა ამისა, ფულადი ნაკადების უწყისი საშუალებას იძლევა, გამოთვლილ იქნეს ე.წ. თავისუფალი ნაღდი ფულადი ნაკადი, რაც წარმოადგენს სხვაობას საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილებასა და საინვესტიციო საქმიანობის კაპიტალურ ხარჯებს შორის და გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია კომპანიას საოპერაციო საქმიანობით გამო-მუშავებული ნაკადებით მოახდინოს საინვესტიციო აქტიურობის გაზრდა, ანუ კაპიტალური ხარჯების დაფინანსება. ცალკეულ შემთხვევებში, თავისუფალი ფულადი ნაკადის ქვეშ მოიაზრება, ასევე, წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები

არა მხოლოდ კაპიტალური ხარჯების, არამედ დივიდენდების გამოკლებითაც (Fridson, Alvarez, 2011:221). მეორე მხრივ, თავისუფალი ფულადი ნაკადის მაჩვენებელი არის ინვესტორთათვის მნიშვნელოვანი საზომი, რაც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად შეიძლება ჰქონდეს კომპანიას „საკმარისი ფული“ თავისი ძირითადი ოპერაციებისა და კაპიტალური ხარჯების (ნაკადების) დაფინანსების შემდგომ, რათა უპრობლემოდ მიიღონ ინვესტორებმა თავიანთი კუთვნილი ბიზნესწილი დივიდენდების სახით;

5. საფინანსო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადის დადებითი მაჩვენებელი შეიძლება მიუთითებდეს დაფინანსების გაზრდის ტენდენციაზე, რაც პოზიტიური შეიძლება იყოს, თუ მისი ზრდა ბიზნესის აქტიურობის ზრდის თანხვედრილია და იყოს ნეგატიურიც, თუკი საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის ჩამოყალიბდება არასასურველი თანაფარდობა. ასევე, მეორე მხრივ, დადებითი ნაკადი შეიძლება ასახავდეს იმ რეალობას, რომ კომპანიას არ ჰყოფნის საკუთარი ფულადი სახსრები და იძულებულია გაზარდოს ნასესხები რესურსი, რამაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული ნაკადების „დამინუსება“ სასესხო გადასახდელების შემდგომი ზრდის გამო. ასევე, საფინანსო საქმიანობის წმინდა ფულადი ნაკადის უარყოფითი მაჩვენებელი შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც კომპანია მეტისმეტად ორიენტირებულია აქტიურ სადივიდენდო პოლიტიკაზე და ახდენს რაოდენობრივად მნიშვნელოვანი თანხების მიმართვას დივიდენდების გაცემა-განაწილებაზე, რაც შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით იყოს განპირობებული (კომპანიის ფინანსური სტრატეგია, საბაზრო ღირებულების ზრდის პრიმატი, აქციონერთა მიდგომები და გადაწყვეტილებები და ა.შ.). იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ბიზნესიდან ფულადი ნაკადების ინტენსიურ და აქტიურ „გაწოვას“ დივიდენდების სახით, წარმოიქმნება ე.წ. აქსელირებული გადინება, რაც, ცხადია, უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის „ქემ ფლოუზე“ და, მთლიანობაში, რეინვესტირების პროცესზე;

6. ერთმანეთს უნდა შევადაროთ საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომჟღავნებული ფულადი ნაკადები და შესაბამისი „გასვლის“ მიმართულებები, რათა ანალიზი გავუკეთოთ ფულადი ნაკადების სტრუქტურას და მოძრაობის ძირითად ვექტორებს (Gitman, Hennessey, 2005:49). სტრუქტურულ ანალიზთან ერთად, აუცილებელია გაანალიზდეს ცალკეული საქმიანობების მიხედვით შემოსული და გასული ნაკადების ნაშთების წმინდა ცვლილებები იმისათვის, რომ შეფასდეს მათი მოძრაობის დინამიკა. ამის პარალელურად, უნდა მოხდეს ფულადი ნაკადების საქმიანობის სახეობათა ცალკეულ კომპონენტებზე დაკვირვება მომიჯნავე წლების მიხედვით იმისათვის, რომ დადგინდეს, ხომ არა აქვს ადგილი რომელიმე პუნქტთან მიმართებით ნაკადების არსებით, ე.წ. „ნახტომისებურ“ ცვლილებას (გადახრას ზრდის ან კლებისკენ) და, არსებობის შემთხვევაში, გამოკვლევულ იქნეს გადახრის წარმომშობი მიზეზები;

7. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების სიხშირის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენას ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, რათა გამოირიცხოს ფულადი ნაკადების გადახრათა ცდომილების რისკები (საბაური, კვატაშიძე, სრესელი, 2017:306). არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. გაუთვალისწინებელი ფულადი ნაკადების ანალიზი და მხედველობაში მიღება, რომლებიც მართალია დროებითი ხასიათისაა და არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას რეალურ შემომავალ და გამავალ ფულად

ნაკადებზე, მაგრამ შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში დიდ გავლენას ახდენდეს კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ერთიან „სურათზე“;

8. საუკეთესო შემთხვევაში, სასურველია შიგა ანალიტიკური მიზნებისათვის კომპანიებმა შეადგინონ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება ორივე – პირდაპირი და ირიბი მეთოდით, რაც მათ საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, მოახდინონ ნაკადების დეტალური ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი, მეორე მხრივ – მოგებისა და წმინდა ფულადი ნაკადების შედარება ლიკვიდობა-უკუგების ურთიერთმიმართების შეფასებისათვის. თუმცა, ხსენებული მიდგომები არ გამორიცხავს ე.წ. მოდიფიცირებული პირდაპირი ანუ „ნახევრად“ პირდაპირი მეთოდის გამოყენებას (Alver);

9. ბიზნესის გადახდისუნარიანობის და დინამიკური ანალიზის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. ისტორიულ ფულად ნაკადს. ისტორიული ფულადი ნაკადი წარმოადგენს კომპანიის წლების განმავლობაში გამომუშავებული ფულადი ნაკადების დინამიკურ ერთობლიობას, რომელიც მისი კრედიტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი სანდო ინდიკატორია, რისთვისაც შეიძლება გამოიყენებოდეს ფულადი ნაკადების გასაშუალებელი მაჩვენებლები;

10. კომპანიათა ფულადი ნაკადების შეფასების ერთ-ერთ არსებით ელემენტს ე.წ. ფულადი ნაკადების „ხარისხი“ წარმოადგენს. მაღალი ხარისხის ფულად ნაკადებად, ჩვეულებრივ, ითვლება საოპერაციო საქმიანობის დადებითი ფულადი ნაკადები, რადგან ისინი დაკავშირებულია გაყიდვების ზრდის ფაქტორთან და რეგულარულ და განმეორებად შემომავალ ფულად ნაკადებთან. ასევე, მაღალი ხარისხის ფულად ნაკადებად ითვლება ისეთი კომპონენტები, რომლებიც წარმოდგენილია მიმდინარე ან უახლოესი პერიოდის რეალური ფულადი ნაკადებით. შედარებით დაბალი ხარისხის ფულად ნაკადებად კი ითვლება: ერთჯერადი ოპერაციით გამომუშავებული ფულადი ნაკადები, დამფუძნებელი პარტნიორების დამატებითი თანხების ინვესტირება კაპიტალში, ფიქსირებული აქტივების გაყიდვით მიღებული ფულადი ნაკადები, გაუთვალისწინებელი ფულადი ნაკადები და სხვა მსგავსი წყაროები. შევნიშნავთ, რომ ბიზნესში ინვესტირებები და განსაკუთრებით კრედიტორები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ „ხარისხიანი“ ფულადი ნაკადები;

11. დადებითი ფულადი ნაკადების პარალელურად, აუცილებელი და მნიშვნელოვანია უარყოფითი ფულადი ნაკადების სისტემატიზაცია და ანალიზი. კერძოდ, ანალიზისა და შეფასების პროცესში ცალკე უნდა გამოიყოს ყველა მიმართულების უარყოფითი ფულადი ნაკადი, შესწავლილ იქნეს მათი გამომწვევი მიზეზები, დადგინდეს ასეთი ნაკადები ერთჯერადი თუ რეგულარული ხასიათისაა, ხომ არ არის ისინი უჩვეულოდ მაღალი მნიშვნელობის, რამდენად კონტროლირებადია მენეჯმენტის მხრიდან და ა.შ.;

12. პრინციპულად მნიშვნელოვანია, კომპანიებმა მოახდინონ ფულადი ნაკადების ანგარიშგების აგების და გაანალიზების სისტემატიზაცია დროის შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდების მიხედვით ფულად ნაკადებზე, მათ სტრუქტურასა და დინამიკაზე ინტენსიური დაკვირვების მიზნით, ამასთან ერთად კი, ფულის კონვერსიის ციკლის პერიოდული გაანგარიშება მარაგების, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა ბრუნვადობების მაჩვენებლებზე დაყრდნობით და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება.

3. ფულადი ნაკადების რაოდენობრივი ანალიზი

ფულადი ნაკადების თვისებრივ-ხარისხობრივ ანალიზთან ერთად მნიშვნელოვანია რაოდენობრივი ანალიზის ინსტრუმენტების ქმედითი და სათანადო გამოყენება. ფულადი ნაკადების ინდიკატორთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად ეყრდნობა ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, რაც დაეხმარება კომპანიების ფინანსურ მენეჯერებს წმინდა ფულადი ნაკადების რაოდენობრივი ანალიზის განხორციელებაში (Fridson, Alvarez, 2011:220). აღნიშნული ფინანსური ინდექსები ერთმანეთთან აკავშირებს ფულადი ნაკადების ცალკეულ კომპონენტებს და, ამასთან ერთად, უკავშირდება საბალანსო და მოგება-ზარალის ანგარიშგებათა ცალკეულ საბაზისო მაჩვენებლებს (აქტივებს, რეალიზაციას, წმინდა მოგებას და სხვ.), რითაც ხელს უწყობს ბიზნესსუბიექტის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსურ შეფასებას. აღნიშნული ფინანსური ინდექსები ახასიათებს ბიზნესში წმინდა ფულადი ნაკადების გამომუშავების რეალურ უნარს და მათი გამოყენებით სხვადასხვა გამავალი ფულადი ნაკადების პოტენციური დაფარვის შესაძლებლობას. ფულადი ნაკადების კოეფიციენტების გამოთვლა უმთავრესად ეფუძნება წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მაჩვენებელს, რადგან სწორედ მის სიდიდეზეა დამოკიდებული სხვა ტიპის (საინვესტიციო და საფინანსო) ფულადი ნაკადების ფორმირებისა და გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები ითვლება ყველაზე მაღალი ხარისხის ფულად ნაკადებად. ამასთან, წმინდა საოპერაციო ფულადი რესურსი განსაზღვრავს ბიზნესის საოპერაციო მასშტაბს და სხვადასხვა ვალდებულებათა რეალური (საკასო) დაფარვის პოტენციალს. ფინანსური ინდექსების მოცემულ ჯგუფში შემავალი კოეფიციენტები პირობითად შეიძლება დავეყთ სამ ჯგუფად: 1. საკუთრივ ფულადი სახსრების ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები; 2. საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები; 3. მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები.

1. ფულადი სახსრების ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები:

1.1. თავისუფალი ფულადი ნაკადების კოეფიციენტი = თავისუფალი ფულადი ნაკადი / წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი.

თავისუფალი ფულადი ნაკადი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს სხვაობას წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებსა და საინვესტიციო საქმიანობის გამავალ ფულად ნაკადებს (კაპიტალურ ხარჯებს) შორის და გვიჩვენებს ძირითადი საქმიანობით გამომუშავებული ფულადი სახსრების პოტენციალს, დაფაროს კაპიტალური ფულადი ნაკადები. რაც უფრო მაღალია თავისუფალი ფულადი ნაკადის მაჩვენებელი წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადთან მიმართებით, მით უფრო მეტი თავისუფალი ფულადი რესურსი რჩება კომპანიებს კაპიტალური ხარჯების დაფინანსებისა და მიმდინარე საოპერაციო ამოცანების ნაღდი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფისათვის.

1.2. საფინანსო და საოპერაციო ნაკადების თანაფარდობის კოეფიციენტი = წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადი / წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი.

ე.წ. გარე დაფინანსების კოეფიციენტი ასახავს წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადების მიმართებას წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებთან. საფინანსო ფულადი ნაკადები კი დაკავშირებულია კომპანიათა კაპიტალის სტრუქტურის ცვლილებასთან სასესხო (ან საემისიო) ინსტრუმენტების გამოყენებით. რაც უფრო

მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი, მით უფრო მეტადაა ბიზნესსუბიექტი დამოკიდებული გარე დაფინანსების ფულადი ნაკადების გამოყენებაზე.

1.3. კაპიტალური ნაკადების დაფარვის კოეფიციენტი = წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი / კაპიტალური ხარჯები (%).

მოცემული ფინანსური ინდექსი, თავისი შინაარსით, ახლოს დგას პირველ მათგანთან და ახასიათებს გამომუშავებული ფულადი ნაკადების უნარს, დაფაროს გამავალი კაპიტალური ნაკადები, რომლებიც დაიხარჯა კაპიტალური ხარჯების დაფინანსებისათვის. განსხვავებით თავისუფალი ფულადი ნაკადის მაჩვენებლისაგან, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურ მაჩვენებელს, მოცემული კოეფიციენტი ფარდობითი მნიშვნელობისაა და მისი გამოყენება მიზანშეწონილია დინამიკური ანალიზის კონტექსტში. ინდექსის მნიშვნელობა ასახავს, თუ კაპიტალური ნაკადების რამდენ პროცენტს ფარავს წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები.

1.4. ფულადი დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი = წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი / გადახდილი ფულადი დივიდენდები.

აღნიშნული ფინანსური ინდექსი აჩვენებს კომპანიათა შესაძლებლობას, წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადებით შეძლონ დივიდენდების დაფარვა. ამასთან, იგულისხმება მხოლოდ ფულადი სახით გასაცემი დივიდენდები, რადგან სწორედ ისინია დაკავშირებული ნაღდი ფულადი სახსრების გამოყენებასთან. შევნიშნავთ, რომ მოცემული ინდექსის მსგავსია დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელ შემთხვევაში წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ნაცვლად გამოიყენება წმინდა მოგების მაჩვენებელი, ხოლო ფულადი დივიდენდების ნაცვლად – როგორც ფულადი, ასევე არაფულადი დივიდენდები, მ.შ. დივიდენდების სანაცვლოდ აქციების ან წილობრივი მონაწილეობის გაზრდის შეთავაზება.

2. საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები:

2.1. აქტივების ეფექტიანობის კოეფიციენტი = წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი / აქტივების საშუალო სიდიდე (%).

მოცემული ფინანსური ინდექსი ასახავს კომპანიის აქტივების გამოყენების უნარს, მოახდინოს ნაღდი ფულადი ნაკადების გამომუშავება საოპერაციო ბიზნეს-აქტივობებიდან საანგარიშგებო პერიოდში. იგი აძლევს კომპანიების მენეჯმენტს შესაძლებლობას, შეაფასონ და განსაზღვრონ, თუ რამდენად იქნება ხელმისაწვდომი ნაღდი ფულადი ნაკადები სამომავლო ოპერირებისათვის. სხვაგვარად, იგი უჩვენებს დაინტერესებულ მხარეებს, რამდენად ეფექტიანად იყენებენ კომპანიები თავიანთ საოპერაციო აქტივებს ნაღდი ფულადი სახსრების მობილიზებისათვის.

2.2. ვალდებულებათა დაფარვის კოეფიციენტი = წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი / ვალდებულებების საშუალო სიდიდე (%).

მოცემული ფინანსური ინდექსი ასახავს წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადებით კომპანიათა ვალდებულებების დაფარვის უნარს. რაც უფრო მაღალია მოცემული ინდექსის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია ბიზნესის „სავალო დატვირთვის“ შემცირებისა და ვალდებულებათა გასტუმრების პოტენციალი. აღნიშნული ინდექსის გამოთვლისას არ ხდება ვალდებულებათა დაყოფა მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად. მიმდინარე ვალდებულებებთან მიმართებით გამოყენებისას იგი ახლოსაა აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტთან.

3. მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ინდექსები:

3.1. ფულადი ნაკადების მარჟის კოეფიციენტი = წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი / რეალიზაცია (%).

ფულადი ნაკადების მარჟის ინდექსი ერთმანეთთან აკავშირებს „ქემ ფლოუს“ და მოგება-ზარალის ანგარიშგების კომპონენტებს და, თავისი შინაარსობრივი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, ახლოს დგას მოგებათა მარჟების მაჩვენებლებთან იმ განსხვავებით, რომ მოგების ნაცვლად იყენებს წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მაჩვენებელს. ინდექსის მაღალი მნიშვნელობა გულისხმობს იმას, რომ კომპანიები ეფექტიანად ახდენენ გაყიდვების „კონვერტირებას“ ნაღდ ფულად ნაკადებში. მაჩვენებელთა დინამიკაში განხილვა საშუალებას იძლევა, მოხდეს კომპანიათა ოპერირების გრძელვადიანი ტრენდების განსაზღვრა.

3.2. წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტი = წმინდა ფულადი ნაკადი / წმინდა მოგება.

ზემოთ განხილული კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, რომლებიც იყენებენ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადის მაჩვენებელს, მოცემული ფინანსური ინდექსი ეყრდნობა წმინდა ფულადი ნაკადის მაჩვენებელს, რომელიც მოიცავს სამივე სახეობის (საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო) ფულადი ნაკადების წმინდა სიდიდეს. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ წმინდა მოგებას უნდა შეუპირისპირდეს სწორედ ჯამური წმინდა ფულადი ნაკადი. წმინდა ფულადი ნაკადი, როგორც ვიცით, ბიზნესსუბიექტის ლიკვიდობის საზომია, ხოლო წმინდა მოგება – საქმიანობის ეფექტიანობის საზომი. მოცემული ინდექსი მოქნილი და ეფექტური ინდიკატორია სწორედ ორივე საზომის შესაპირისპირებლად და ბიზნესში არსებული პრობლემების გამოსავლენად, რისთვისაც საჭიროა უფრო დეტალური ანალიზის წარმოება.

დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოხსენებული ნიუანსების კონსტატაცია-შეჯერება გვაძლევს ობიექტურ საფუძველს დავასკვნათ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება, როგორც ნებისმიერი ბიზნესსუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი, კომპანიათა მიერ უნდა გამოიყენებოდეს არა მარტო, როგორც აუდიტირებას დაქვემდებარებული ფინანსური დოკუმენტი ან, კიდევ, როგორც სახელმწიფოსადმი ანგარიშგებითი ვალდებულების ნაწილი, არამედ, ასევე, პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი გადაქცევა ქმედით ანალიტიკურ ინსტრუმენტად ეფექტიანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი მონიტორინგის კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alver J. Preparation and Analysis of Cash Flow Statements: The Net Profit Approach and Operating Profit Approach.
Retrieved from: <https://www.researchgate.net/publication/24137703>
2. Fridson M., Alvarez F. 2011. Financial Statement Analysis. Fourth Edition. New York, Wiley.
3. Gitman L.J., Hennessey S. M. 2005. Principles of Corporate Finance. Toronto, Addison Wesley.
4. Greuning H.V. 2009. International Financial Reporting Standards (IFRS). A Practical Guide. Fifth Edition. Danvers, Copyright Clearance Center.
5. Harrison W., Horngren C., Thomas W. 2013. Financial Accounting. Ninth Edition. New Jersey, Prentice Hall.

6. Lucian C., Dorel M. The Statement of Cash Flows. Retrieved from: <http://www.oeconomica.uab.ro/upload/lucrari/920071/31.pdf>

7. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 (ფულადი ნაკადების ანგარიშგება).

8. საბაური ლ., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ. 2017. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო საწარმოებში. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

Besik Bolkvadze

ANALYTICAL IMPLICATION OF CASH FLOWS IN COMPANIES' FINANCIAL DECISIONS

Summary

The article is dedicated to the issues of corporate finance as follows: cash flow statement, qualitative analysis of cash flows, quantitative analysis of cash flows, company's liquidity position, cash flows analytical instruments, the importance and inevitability of assessment of cash flow statement. The work suggests author's opinions towards abovementioned topical issues.

In transition phase of the economy of Georgia the accounting, reporting and auditing systems of the country experienced significant systematic changes and challenges from reformation point of view according to IFRS, Georgia-EU DCFTA and the country's legislation.

Cash flow statement is the base of the liquidity position of any business entity. It should provide the companies stakeholders with such valuable information as: Potential of cash flow generated; ability of covering of liabilities; scale of operating activity; capability of utilization of investment potential; level of dependence on external sources of financing; causes of differences between net income and net cash flow etc. The structure and regulation of cash flow statement is determined by the International Financial Reporting Standards, namely by the IAS 7 – Statement of Cash Flows.

CFS is the main document of cash flow management of business entities that requires taking into consideration the following factors: 1. Proper relation of cash flows positions to corresponding segments (operating, investing and financing activities); 2. Adequate preparation of cash flow statement according to direct or indirect methods; 3. Relevant analysis and interpretation of cash flows by qualitative and quantitative approaches.

The author considers the researchable problem of cash flow managing from qualitative and quantitative point of view and highlights the role and importance of those characteristics in companies' economic performance. In particular, qualitative analysis encompasses the following factors: cash flows as the basic liquidity indicator and instrument of assessment of investing, net cash flows as the analytical tools from operating, investing and financing activities and their positive and negative meanings, historic cash flows, cash flow quality, impact of exchange rate on cash flows, etc. Regarding the quantitative characteristics the cash flow ratios are considered as follows: Free Cash Flow Ratio, External Financing Index Ratio, Capital Expenditure Cover Ratio, Cash Dividend Cover Ratio, Cash Flow to Total Assets Ratio, Cash Flow to Debt Ratio, Cash Flow Margin Ratio, Cash Flow to Net Income Ratio.

პოსტკომუნისტურ საქართველოში ეკონომიკის განვითარების
ზოგიერთი აქტუალური საკითხი

ჩვენს პლანეტაზე ყველა ქვეყანას, მცირე გამონაკლისის გარდა, გააჩნია კონსტიტუცია, რომლის თანახმად, ხელისუფლება ზრუნავს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, თავისი მოსახლეობის განუხრელი კეთილდღეობისთვის. ადამიანები კი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღწვიან როგორც ქვეყნის, ასევე პირადი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ამ ქვეყნებს შორის თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს საქართველოს, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და საბჭოთა კონსტიტუციით დადგენილი სამართლებრივი ნორმებით სარგებლობდა. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, კონსტიტუციურად მიკუთვნებული უფლებების მიუხედავად, ჰქონდა დიდი შეზღუდვები იმ თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემურ საკითხებს, ამასთან ერთად ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი მიდიოდა საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობა დამოკიდებული იყო საკავშირო მთავრობის გულმოწყალებაზე. ერთი სიტყვით, საქართველო მთლიანად დამოკიდებული იყო მოსკოვზე, რასაც ის ბრძანებდა და ავალებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მისი უსიტყვოდ შესრულება აცილებელი იყო. ამას ემატებოდა დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემა. მისი დამახასიათებელი და ხელშემშლელი ძირითადი ნიშნები იყო სახელმწიფო საკუთრების ბატონობა, საყოველთაო სახელმწიფო კონტროლი, პარტიული და პოლიტიკური მოტივების პრიორიტეტულობა ეკონომიკურ რეალობაზე და განაწილების გათანაბრების პრინციპი.

საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, თავი იჩინა საქმისადმი საბჭოურმა მენტალურმა დამოკიდებულებამ. საწარმოს მმართველობაში მოკალათდა ძველი პარტიული და სამეურნეო ნომენკლატურა, რომელთაც არ ჰქონდათ საბაზრო ეკონომიკის მართვის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ამას თან ერთვოდა უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური, შინაგანი თუ გარეგანი პრობლემები, რამაც დიდი და გამოუსწორებელი დაღი დაასვა ქვეყნის განვითარებას. მმართველი ელიტა შეჩვეული იყო ზემდგომი ორგანოების დირექტივების უსიტყვოდ შესრულებას და მათი წარმატებულობა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ როგორ მოახერხებდნენ გამოყოფილი ფონდების დროზე მოპოვება-ათვისებას, შემსრულებლები მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ ხელმძღვანელობაზე და სრულიად ინერტულად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ფორმალურად ასრულებდნენ სამუშაოს. ადამიანებს არ გააჩნდათ სახელმწიფოებრივი აზროვნება, რადგანაც ამაზე კომუნისტური პარტია და მთავრობა „ზრუნავდა“.

საუკუნის მეოთხედზე მეტია გასული, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის წინსვლა და ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, გაიზარდა მოსახლეობის ემიგრაცია საზღვარგარეთ, ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს, საჭიროა თითოეულმა ქართველთაგანმა გაისიგრძეგანოს დამოუკიდებლობის ფასი და მისი შენარჩუნებისათვის საჭირო პატრიოტიზმი, შრომისადმი სიყვარული და, რაც მთვარია, სახელმწიფოებრივი ნება-აზროვნება. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში უფრო მეტი დოზით იყო განვითარებული კერძო საკუთრება (უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში)

და უფრო ნაკლებად იყო მოსკოვის დიქტატი, რამაც დადებითი როლი ითამაშა ამ ქვეყანებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქმეში. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ეფექტური კონტროლი. ცხადია, ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა საზოგადოების ყველა წევრი გამოფხიზლდეს, დაადგეს პოზოტიური განვითარების გზას. მარტო ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და მშრალი ლოზუნგები არ კმარა, საჭიროა თითოეულმა მოქალაქემ გაითვითცნობიეროს, რომ აუცილებელია, შევიმუშაოთ და შევქმნათ ისეთი პროექტები, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს და ქართველი კაცი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდება იმაში, რომ ადგილზე დასაქმდება და სოციალურ მდგომარეობას გაიმჯობესებს და აღარ დასჭირდება სამათხოვროდ ემიგრაციაში წასვლა.

ახლახან ქართული ოცნების ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელება ითავა, რომ საკუთარი ფინანსური რესურსებით დააფინანსებს კურორტ წყალტუბოს მთლიან რეაბილიტაციას. ეს იქნება საუკუნის პროექტი, რომელიც შექმნის ათასობით სამუშაო ადგილს, გააუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას და ინფრასტრუქტურას. ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას და სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. განახლებული უნიკალური წყალტუბო ქვეყნის სავიზიტო ბარათი იქნება, როგორც ტურისტების, ასევე უცხოელი ქვეყნებიდან სამკურნალოდ ჩამოსული ვიზიტორებისათვის. როგორც ჩვენი ერის სახელოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი აღნიშნავს, ისტორიულმა გარემომამ ცუდ გზაზე დაგვყენა, მაგრამ ვინ უნდა გამოგვიყვანოს სწორ გზაზე, სხვისი იმედით თუ ვიქნებით ვერას გავხდებით. ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუპატრონოდ, ცხადია, მგოსანმა სწორად განჭვრიტა, რომ ჩვენი მომავალი ჩვენ ხელშია, თუ არადა უფსკრულში გადავიჩვენებით. ბევრი არ გვიკლია... სწორედ ცუდმა ყოფაცხოვრებამ, მოუთმენლობამ, დაბალმა განსწავლულობამ, ცხოვრებისეულმა შეცდომებმა და მრავალმა სხვამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. როგორც სტატისტიკური ინფორმაციით ირკვევა, ბოლო რვა წლის განმავლობაში 2905 ადამიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 37894 ოჯახი დაინგრა, რამდენ ადამიანს შეექმნა ცხოვრებისეული პრობლემა. მომავალი თაობის აღზრდაში თავს იჩენს მრავალი სახის ნეგატიური მოვლენა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო მოსახლეობის ცხოვრების დონით. ახლა კი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით საქართველო თავისი კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 135 ქვეყნიდან ორმოცდამეათე ადგილზე იყო, 2012 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობით 1990 წლის მაჩვენებელს 25%-ით ჩამორჩებოდა. მაგალითად, ამავე პერიოდში ესტონეთში ზრდამ შეადგინა 63%, ლატვიაში 24%, სომხეთში 60%, აზერბაიჯანში 87%. მშპ საქართველოში, 1997 წლიდან 2004 წლის ჩათვლით, გაიზარდა 70%-ით, ხოლო 2005 წლიდან 2009 წლის ჩათვლით მხოლოდ 36%-ით, ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მაგრამ რეალური ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდა. ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის დიდი რაოდენობით კრედიტი იქნა აღებული, გაიზარდა საგარეო ვალდებულებები და გასხვისდა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმებაში, იზრდება უმუშევრობა, რომელი კრიტიკულ ნიშნულს მიუახლოვდა. ცხოვრების პირობებს ამძიმებს საკვებ პროდუქტებზე ფასების მომატება, აგრეთვე იზრდება ინფლაცია, რაც საცალო ფასების დიდ რყევებს იწვევს. ამ ბედოვლათი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იციან

გერმანელი ეკონომისტის ლუდვიგ ერხარდის ბრძნული გამონათქვამი, რომელმაც ქვეყანა ააყვავა, ის აღნიშნავდა, ინფლაცია - ეს არის იმ ხელმძღვანელობის მოღვაწეობის გვირგვინი სახელმწიფოს რომ მართავენო. ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს ყველა ხელისუფალმა, რომ საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება, შეეძლოს ეფექტური მართვა, ფლობდეს მენეჯერულ აზროვნებას და ზრუნავდეს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე. ჩვენს ქვეყანაში ადამიანმა ბანკიდან სესხი რომ აიღოს მას ელის კატასტროფა, რადგან ელის საშიშროება სახლის გაყიდვის პრობლემის სახით, რადგან საპროცენტო განაკვეთის გადახდას ვერ ახერხებს, ძალიან მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მაშინ როცა ნორმალურ ქვეყანაში საპროცენტო გადასახადი 5%-ს არ აღემატება. მარკ ტენი აღნიშნავდა - ბანკი, ეს არის ადამიანი, რომელიც გათხოვებს ქოლგას კარგ ამინდში და წაგართმევს მაშინვე, როგორც წვიმა წამოვა. ერთმა კურორტულმა ფაქტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება 67 წლის პენსიონერმა ქალბატონმა კუთვნილი პენსია საკუთარ ანგარიშზე დააგროვა და ბანკიდან არ გამოუტანია, სახელმწიფომ დაბლოკა. სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიმართვის შემდეგ მას მხოლოდ ერთი წლის თანხა აუნაზღაურეს. დარჩენილი 6 თვის პენსიის გადახდაზე კი უარი უთხრეს, როგორც განუმარტეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მიხედვით კუთვნილი 6 თვის პენსია აღარ ეკუთვნის. საიდან მოიტანეს ეს დრაკონული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ისედაც დაბეჩავებული პენსიონერების ყოფა-ცხოვრებას. ყველა პენსიონერს, თუ შესაძლებლობა აქვს, უვადოდ უნდა ენახებოდეს დაგროვილი პენსია და როცა მოესურვება აიღოს კუთვნილი თანხა. ბანკმა დაგროვილი თანხის სარგებლის პროცენტი უნდა გადაუხადოს პენსიონერს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. ყველა პენსიონერს უნდა ჰქონდეს პლასტიკური ბარათი და სურვილისამებრ იღებდეს თავის კუთვნილ თანხას. თუ წინასწარ ვადაზე უნდა პენსიის აღება ნუ დაუკავებთ ნურც-ერთ თეთრს, თუ იმის საშუალება არ აქვს ბანკს, აკეთოს კეთილი საქმე პენსიონერების სასარგებლოდ, 36%-იან წლურ განაკვეთს მაინც ნუ დაუწესებს. ბანკებმა ასეთი გზით თუ დაიწყო სიარული მას კარგ შედეგს არ მოუტანს, იფიქრონ სიახლეების შემოტანაზე და პროგრესული მეთოდების დანერგვაზე, იმუშაონ პროგრამების შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ადამიანური რესურსების დასაქმებას. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, ქვეყანაში უმუშევრობის 6,5%-იანი მაჩვენებელი გვაქვს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 27%-ზე მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს არც სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ტექნოლოგიურად და არც ეკონომიკის სხვა სექტორებში არ იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები. ამასთან, უკვე მრავალი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბდა საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაო ძალის გადინების სახიფათო ტენდენცია. ქვეყნიდან გასული სამუშაო ძალის აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია დაბალკვალიფიციური, დაბალანაზღაურებადი შრომით.

ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემების გადაჭრისას სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მეტად გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას, რადგან ქვეყანაში ცხოვრების დონემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. შრომისუნარიანი ადამიანების უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია და მოსახლეობაში ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტი იგრძნობა, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ მოკალათებულ ბევრ სახელმწიფო მოხელეს არ ადარდებს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და სტაბილურობა. თუ სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოხელეები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან უფლება-მოვალეობას და წარმატებას აღწევენ ყველა

რგოლში, რა მოსდის ჩვენს სახელმწიფო მოხელეს? საქმე ისაა, რომ ძალზე დაბალია მათი ცოდნის დონე და კვალიფიკაცია, ვერ პასუხობენ თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნილებებს. მათ ავიწყდებათ, რომ საჭიროა მენეჯერული აზროვნება, მართვის კულტურა, ქვეყნისა და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა, ნუთუ არ იციან, რომ ყოველი ლარის უაზროდ და უყაირათოდ ხარჯვას, არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, თან ახლავს საზოგადოების ნიჰილიზმი, რომელიც ანგრევს ადამიანის გუნება-განწყობას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე მყოფი ჩინოვნიკები პირველ რიგში მთლიანად უნდა იხარჯებოდნენ, რათა თავიანთი კვალიფიციური შრომის შედეგებით წინ წასწიონ ქვეყნისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა, რათა გაამართლონ ეკონომიკურად შეჭირვებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე დახარჯული ფულადი რესურსები. სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები, ცხადია, ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი სამუშაოები კვალიფიციურად შეფასდეს, რათა ადგილი არ ჰქონდეს ფულადი რესურსების უყაირათოდ და არაეფექტურ ხარჯვას. ფინანსური რესურსების სწორად ხარჯვის მიმდინარეობის შემოწმება ამ ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია უცხოეთის ქვეყნებიდან მოწვეულ ექსპერტებს მივანდოთ. ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება, ვიმედოვნებთ, კარგ შედეგს მოგვიტანს, რადგან უცხოელი ექსპერტები დათმობაზე არ წავლენ და ასეთი ღონისძიება დადებითად იმოქმედებს შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. გაზრდის უფლება-მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ამავე დროს მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციულ გარიგებებს, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ეს ფინანსური რესურსების ყაირათიან ხარჯვაში დაგვეხმარება. ალბათ საბჭოური ხანიდან აქვთ გადმოყოლილი ჩვენს ქართველ საქმის მწარმოებლებს, რომელიც მთელ საქართველოს სენად აქვს გადაქცეული, როცა უნდა ჩატარდეს კანალიზაციის, წყალსადენის, ელსადენების და სხვა კომუნალური სამუშაოების განხორციელება, არ ითვალისწინებენ კომპლექსურად აღნიშნული სამუშაოების შესრულებას, კერძოდ, როცა დამთავრდება წყალსადენის მილების ჩაწყობა რომელიმე ქუჩაზე, ასფალტს გადააგებენ ცოტა ხნის შემდეგ იწყებენ კვლავ ქუჩის გაჭრას სხვა კომუნიკაციის გაყვანის მიზნით. ასე გრძელდება სხვა მესამე და ა.შ. სამუშაოების შესრულება. ხომ შეიძლება წინასწარ კომპლექსურად იქნას გათვალისწინებული აღნიშნული სამუშაოების შესრულება, რომელიც აგვაცილებს სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველო იძულებული იყო, საკავშირო ბაზრისათვის მიეწოდებინა რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის 73% და, ამასთან, შემოეტანა მრავალი დარგის პროდუქცია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. უდავო ფაქტია, რომ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი ნებისმიერი ქვეყნისათვის ნორმალური საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია როცა ექსპორტის თუ იმპორტის მიზანშეწონილობა ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. ცხადია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა გავიტანოთ ისეთი მაღალკონკურენტურობის, შიგა ბაზარზე ჭარბი პროდუქცია, როგორცაა საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები მინერალური წყალი (ბორჯომი, ნაბეღლავი და სხვა), ღვინო, ღვინომასალები და მრავალი სხვა. შემოვიტანოთ ისეთი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

საბჭოთა სივრცეში ქვეყნის ეკონომიკაში ექსპორტი მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი წილი შემცირდა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი და დაუღალავი შრომა, კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნოლოგიების დახვეწა და ახალ-ახალი ინოვაციები გვჭირდება, რათა დავაკმაყოფილოთ მსოფლიო ბაზრების გაზრდილი მოთხოვნები მაღალ კონკურენტუნარიან პროდუქციაზე. ბოლო ხანებში იმპორტის წილი თითქმის ყველა სამრეწველო, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ერთიორად გაიზარდა. მიზანშეწონილია, იმპორტის ზრდის მაღალი ხვედრითი წილი ნელ-ნელა შემცირდეს. ამისათვის საჭიროა განვითარდეს სამეწარმეო სექტორი. სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ბიზნესმენები ჩვენში თითოეუ ჩამოსათვლელია. მიუხედავად ფართო დეკლარირებისა, საფინანსო ორგანოები მცირე ბიზნესის დაჩქარებული ტემპებით განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ. ხელისუფლების მხრიდან მეტი ყურადღება და მხარდაჭერაა საჭირო, რომ ბიზნესს განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები შეუქმნას. ცხადია, ექსპორტის ზრდა ტრადიციული საექსპორტო კატეგორიების-სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მეტალების გაზრდილი გაყიდვების შედეგია, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება დადებით ეკონომიკურ დინამიკას ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში, რასაც თან დაერთო უკანასკნელ წლებში მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაც და სწრაფად მზარდი ახალი საექსპორტო მიმართულება ჩინეთი, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ზრდის თვალსაზრისით, რაც შემდგომში აუცილებლად აისახება სოფლის მეურნეობის ინვესტიციების ზრდაზე.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ რეგიონებში აუცილებლად შეიქმნას ბიზნესსკოლები, რომლებიც დიდ როლს შეასრულებს ბიზნესით დაინტერესებულთათვის, რომლებსაც სურთ, შეისწავლონ ბიზნესის განვითარებისათვის მეტად საჭირო საკითხები, რომელიც აქტიურ როლს შეასრულებს ბიზნესში ჯერ კიდევ არსებული პრობლემების გადაჭრის საქმეში. ამ დიდი საქმის წინ წაწევაში უდავოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია ქვეყანაში ადრე არსებულ მეცნიერულ პოტენციალს და მის საყრდენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც თითქმის განადგურებულია და მისი აღდგენა-განვითარება სოლიდურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს, ამიტომ არსებული ხელისუფლებამ უნდა შეეცადოს, მოიზიდოს ინვესტიციები და საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს მისცეს შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა - 21-ე საუკუნეში მეცნიერულ კვლევებსა და გამომგონებლობის დარგში მაღალი ავტორიტეტული სიტყვა თქვან, რაც ახალი ეპოქალური დასაწყისი იქნება სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ტემპით განვითარებისათვის.

როგორც ირკვევა, დღევანდელ საქართველოში, ბევრი კარგი და წარმატებული საქმიანობის მიუხედავად, მძიმე და სავალალო მდგომარეობაშია მრავალი დარგის არსებობა, რადგან არ იცავენ ტექნოლოგიით გათვალისწინებულ აუცილებელ პროცესებს, რაც, ცხადია, ცუდად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. გაუარესებულია ბორჯომის ხარისხი, რომელიც არ შეესაბამება ევროსტანდარტს. რაც ახლა მარკეტებში იყიდება, ის უკვე ნატურალური ბორჯომი აღარ არის. ასევე განადგურებულია და არ ფუნქციონირებს რეგიონებში უნიკალური საკონსერვო ქარხნები, ასევე მიწასთანაა გასწორებული უიშვიათესი ღვინის მარნები, საკონდიტრო, პურის, რძის და უალკოჰოლო სასმელების ქარხნები, წისქვილკომბინატები და მრავალი სხვა საწარმო. მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია მრავალი მძლავრი სოფელი, რომელიც ტონის

მიმცემი იყო ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში, სადაც განვითარებული იყო მეჩაიეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა და სხვა მრავალი დარგი და ქვედარგი, შესაბამისად ფუნქციონირებდა აღნიშნული ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო ათიათასობით მუშახელი. ბაღნარად იყო ქცეული ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი, ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფიული მდგომარეობა, ასე თუ ისე, სტაბილურ ხასიათს ატარებდა. ადგილი არ ჰქონდა ადამიანური რესურსების ინტენსიური ხასიათით მიგრაციას. დღეს დაწყებულმა მიგრაციამ მთლიანად სოფლის დაცარიელება და რესტრუქტურისაცია გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსები სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის პროპორციულად არ არის განლაგებული, რადგან მათ რაოდენობასა და შემადგენლობაზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის მცხოვრებთა ასაკობრივი სტრუქტურა. ეს უკანასკნელი კი ბევრადაა დამოკიდებული შობადობასა და სიკვდილიანობაზე, მიგრაციულ პროცესებზე. სამწუხაროდ, საქართველოში აღნიშნული ბალანსი დარღვეულია, როცა რიგ რეგიონებში სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას. ამასთან ერთად, შრომისუნარიანი ადამიანების გარკვეული ნაწილი მიემგზავრება ემიგრაციაში. სულწასულ ემიგრანტ ქართველებს უცხოეთის ქვეყნების „სამოთხე“ მოელის. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე და დემოგრაფიულ სიტუაციაზე. როგორც დემოგრაფები ვარაუდობენ, უახლოეს 30 წელიწადში ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. როგორც ცნობილია, ადამიანური რესურსები მჭიდროდაა დაკავშირებული მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების განვითარებასთან. ნორმალურ პირობებში წარმოების თითოეული დარგი მოითხოვს გარკვეული სპეციალობის მქონე შრომით კონტინენტს. ამასთან დაკავშირებით ადამიანური რესურსები და წარმოება გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. წარმოება იზიდავს ადამიანურ რესურსებს, თავის მხრივ, ადამიანური რესურსების არსებობა ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. ყოველივე ამან ქვეყანა და მოსახლეობა კრიზისამდე მიიყვანა. მოსახლეობის უმრავლესობა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა და ბეწვის ხიდზე მოუხდა გავლა.

ისმის კითხვა: რატომ ცხოვრობს ქართველი კაცი სიღარიბის ზღვარს მიღმა? რაშია საქმე? სად ვეძებოთ მიზეზი? რატომ აიცრუა გული თავის მამულზე და რატომ მიუწევს გული უცხოეთში? საჭიროა ხელისუფლების მხრიდან მეტი და განსაკუთრებული ყურადღება, რაც მთავარია, ხელშეწყობა სამუშაო ადგილების შესაქმნელად და თვითონ მშრომელების მხრიდან მეტი დაინტერესება და პრინციპულობა თავის გამოსაჩენად, რომ უზრუნველყოს თავის ქვეყანაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და არ იყოს სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე მიჯაჭვული. ქართველ კაცს ვერავინ შეეცილება ოჯახისა და სტუმარმასპინძლის ტრადიციების დაცვაში. საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი საუკეთესო წეს-ჩვეულებებით და ტოლერანტობით, მაგრამ დღესდღეობით ნელ-ნელა ძირი ეცლება იმ სათაყვანებელ ტრადიციებს, რაზედაც დგას ქართველი კაცის ხვალისდელი დღე და მომავალი.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ადამიანების უმრავლესობა ხელს ჰკიდებს კომერციულ საქმიანობას, რომელიც ადვილ საქმედ მიაჩნია. ის კი სინამდვილეში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ადამიანებმა ვერ გაითვალისწინეს საბაზრო ეკონომიკის სირთულე და ბიზნესისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ნათქვამია, პური მეპურეს გამოაცხობინეო. ამისათვის საჭიროა ადამიანური რესურსების ძირეული სტრუქტურული ცვლილებები, რაც დაკავშირებულია ახალი კვალიფიკაციის დაუფლებასთან.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო მოსახლეობის ცხოვრების პირობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ჩამორჩენილ რეგიონად ითვლება, მაშინ როცა ქვეყანას გააჩნია როგორც ბუნებრივი წიაღისეული, ისე ადამიანური თუ ინტელექტუალური რესურსი, რომელიც საჭიროებს სწორ და ეფექტურ მენეჯმენტს, რის შედეგადაც შესაძლებელია ქვეყნისათვის საჭირო შემოსავლის მიღება. როცა ჩვენში მიღწეული იქნება საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილების საშუალება და ქვეყანაში უკეთესობისაკენ შეიცვლება მდგომარეობა და ადამიანური რესურსების გამოყენებას სტაბილური ხასიათი მიეცემა, ცხოვრებას მეტი ხალისი და დაინტერესება ექნება. გლობალიზაციის პირობებში ბევრი რამ გადაფასდება, მაგრამ საჭიროა არ დავკარგოთ და არ დავივიწყოთ ის საუკეთესო ტრადიციები, რომელსაც დავიწყება არ უწერია. სწორედ ის ტრადიციები და ბუნების საოცრებანი იზიდავს პლანეტის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს, ვიზიტორებს. მნახველთა ნაკადი წლიდან წლამდე იზრდება. რა დროც არ უნდა დადგეს, შრომა ყოველთვის იქნება წამყვანი სასიცოცხლო საშუალება და, ამასთან, ადამიანური რესურსები შეუცვლელი და აუცილებელი ბერკეტი იქნება ნებისმიერ ეპოქაში.

ქვეყნის ძლიერება, ცხოვრების დონის ამაღლება, წესრიგი და სამართლიანობა ემყარება კანონის სწორად დაცვას და მის ცხოვრებაში გატარებას. ქართველი ერი კანონმორჩილი არ არის, იგნორირებას უკეთებენ, ყველა თავისი კანონებით ცხოვრობს, რაც ადამიანებს შორის ურთიერთობებს აკნინებს. ჩვენდა სამწუხაროდ, შედეგი სახეზეა. გვინდა ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა კანონი ქუჩებში, სკვერებში, ბაღებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სისუფთავის დაცვის შესახებ. ეს კანონი არ მუშაობს, რადგან მოქალაქეებს არ აქვს გათვითცნობიერებული კანონის არსი და მისი აუცილებელი შესრულება. გვინდა დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ არ გვსურს მისი დაცვა. ამ ეტაზე ქვეყანაში ცხოვრების მიმღე ფონია შექმნილი. რა არის მიზეზი? თითოეული მოქალაქის უფლებამოვალეობის არცოდნა, უპასუხისმგებლობა, მეტისმეტი ამბიციურობა და მეტისმეტი პატივმოყვარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ, რიგითი მოქალაქიდან დაწყებული, პრეზიდენტის ჩათვლით, უკლებლივ ყველას ევალება კანონის დაცვა, პატივისცემა კონსტიტუციისადმი. კანონის დაცვა ქვეყნის წინსვლის აუცილებელი და გადაუდებელი პირობაა. კანონის დარღვევა არავის არ უნდა ეპატიოს. დასასჯელი ვინც არ უნდა იყოს დაისაჯოს. დამნაშავეს დანაშაული არ უნდა ეპატიოს. ადამიანს დაუსჯელობის სინდრომი რომ შეეყრება დანაშაულს დანაშაულზე ჩადის. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს მტკიცე და სისტემური მონიტორინგი კანონის შესრულებაზე, რათა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ყველა სფეროში ზეიმობდეს სამართლიანობა. საზოგადოებაში ყველა ადამიანი ცოდნის, კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის, გამოცდილებისა და არა ნეპოტიზმით იკავებდეს კუთვნილ ადგილს. ქვეყანა წინ რომ წავიდეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლებას, რადგან ისინი არიან ქვეყნის ხვალისდელი დღე. XXI საუკუნეს სულ სხვა ხედვა და მიდგომები სჭირდება, რადგან გლობალიზაციამ ასე მოიტანა. ამიტომ საზოგადოების მაღალი ტემპებით განვითარებას და ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მეტი და მეტი ინვესტიციების მოზიდვა და ახალ-ახალი ინოვაციების დანერგვა სჭირდება. ამ დიდი საქმის განხორციელებაში უდავოდ დიდ როლს შეასრულებს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც თავს მოიყრის უცხოეთის უნივერსიტეტების თანამშრომლები და განსწავლული ქართველი მეცნიერების გარკვეული ნაწილი ერთობლივი ძალით შეუდგებიან საბაზრო ეკონომიკის საჭიროებისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების საქმეს.

სწორედ განათლებულ კადრს შეუძლია ეფექტურად გადაწყვიტოს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები. დღეს ქვეყნის შენება განათლებას, სიყვარულს, კვალიფიკაციის და პატრიოტიზმის მაღალ სულისკვეთებას ეფუძნება.

*Tamaz Gamsakhurdia
Teimuraz Pestvenidze*

SOME ACTUAL ISSUES OF ECONOMIC DEVELOPMENT IN POST-COMMUNIST GEORGIA

Summary

The paper deals with some issues of economic development in Post-Communist Georgia. In particular, the declaration of Georgian independence gave the birth to Soviet mental attitude towards the work. Old party and farm nomenclature took a place in government and industrial Governance, who did not have enough knowledge and some experience in effective implementation of activities and market management, which caused the problem of country development. Obviously, that the country is in crisis, therefore, more effort is needed to awaken all members of society, to embark on a path of positive development. Every citizen should understand that we need to design and implant the new projects that will create jobs.

The paper emphasizes that the most urgent tasks of improving the well-being of the population should be vital in resolving the acute problems facing the country, as the standard of living in the country has reached a critical level. Most state employees do not pay attention to well-being of the population, improvement and stability of their living conditions. State employees are obliged to use their knowledge and experience for the development and well being of the country.

It is general truth that import and export of the product are important parts for the foreign economy, but it is completely unjustified when the export or import feasibility is economically baseless.

It would be better to reduce import growth slowly. To do this, the entrepreneurial sector needs to be developed. Despite widespread declarations, financial organizations are failing to take appropriate actions to accelerate the growth of small businesses. More attention and support are needed from the government to create the conditions for business development. We consider that it is necessary to establish business schools in the regions, which will play a big role for the people who are interested in business. The pre-existing scientific potential and its supporting material-technical base can play an essential role for its development, which is almost destroyed and its recovery-development requires solid capital investment. Despite many good and successful activities in today's Georgia, the existence of many disciplines are in the deplorable conditions, because they do not follow the processes required by technology, which obviously has a bad effect on the country's economy. There are no unique canning plants, wineries, confectionery, bread, dairy and non-alcoholic beverages factories, flour-milling plant and many more plants in the regions, in fact our country has many powerful villages, which play important role for strengthening country, there were developed tea-planting, viticulture, livestock, poultry and so on. According to this raw material processing plants were functioning, where thousands workers were employed. All of our country regions were very beautiful. Country's economic and demographic situations were rather stable.

It can be said that Georgia is poor among the former Soviet Union countries, in fact the country has natural minerals, as well as human and intellectual resources, which requires proper and effective management, according to this it is possible to obtain the necessary income for the country. In terms of globalization, many things will be revalued, but it is necessary not to lose and forget our tradition's best parts, which we will never forget. These traditions and the wonders of nature attract tourists, visitors from different countries of the planet.

ბელარუსის რესპუბლიკის ეკოლოგიური სისტემის
ზოგიერთი ასპექტი

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას, როგორცაა დედამიწის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა და „მწვანე ეკონომიკის“ უდიდესი მნიშვნელობა.

აღნიშნული საკითხი განხილულია ერთ-ერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის - ბელარუსის მაგალითზე, რომელიც სწორედ ეკოლოგიური თვალსაზრისით უძლიერესად დაზიანდა ჩერნობილის კატასტროფის შედეგად.

ნაშრომში გაანალიზებულია ბელარუსის ეკოლოგიური კრიზისის ძირითადი მიზეზები: დაბინძურება რადიონუკლიდებით და მისი გავლენა ადამიანების ჯანმრთელობასა და ქვეყნის ფლორასა და ფაუნაზე; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, მათ შორის ქალაქებში; წყლის ხარისხის გაუარესება და წყალსაცავების დაბინძურება, წყლის ბალანსის დარღვევა; ნიადაგის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება; ლანდშაფტების ტექნოგენური დეგრადაცია; დაბინძურებული ნარჩენების უტილიზაციის პრობლემა.

ნაშრომში გაანალიზებულია საკმაოდ საინტერესო სტატისტიკური მასალა.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, ჩერნობილი, რადიონუკლიდები, რადიაციული სარკოფაგი.

* * *

დაახლოებით 20-25 წლის წინ მეტად მწვავედ დადგა მრეწველობის სწრაფი ტემპებით ზრდის და პარალელურად გარემოს მოფრთხილებისა და დაცვის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. მრეწველობის უსწრაფესი ტემპებით ზრდის პროცესმა საგრძნობლად შეცვალა კლიმატი დედამიწაზე. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ წყლისა და მიწის რესურსები ჭუჭყიანდება და იწურება; მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახეობა გადაშენდა, მრავალიც გადაშენების პირასაა; სამრეწველო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების გამრავლება და გახშირება კატასტროფულ ტემპებს იძენს. ამ პრობლემის ფონზე მეტად აქტუალური ხდება ე.წ. „მწვანე ეკონომიკა“. ეს ტერმინი პირველად 1972 წელს გახშიანდა სტოკჰოლმში გაეროს კონფერენციაზე, ხოლო 1980 წელს გამოყენებულ იქნა მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიის ანგარიშში - „რესურსების კონსერვაცია მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც ერთობლივად განახორციელეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა IUCN (International Union for Conservation of Nature), WWF (World Wildlife Fund) და UNDP (United Nations Development Programme).

მოგვიანებით გაეროს მიერ შემუშავებულ გარემოს დაცვის პროგრამაში (UNEP) მწვანე ეკონომიკა განსაზღვრულია როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის და სოციალური თანასწორობის ზრდის ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე არასასიკეთო გავლენას და ეკოლოგიური დეგრადაციის რისკებს, ინარჩუნებს რა გარემოს და ეკოლოგიას, მომავალ თაობებს უჩენს შანსს, იცხოვრონ ჯანმრთელი გარემოს, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის პირობებში, ე.ი. აუცილებლად და უპირობოდ ითვალისწინებს მომავალი თაობების ინტერესებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

სწორედ აღნიშნული საკითხის შესწავლა დავისახეთ მიზნად. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უპირველესად ამ ქვეყნის ბუნებრივ პირობებზე, მის ეკოლოგიურ მდგომარეობასა და გარემოს დაცვის სწორ და წარმატებულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული, რადგანაც ერთმნიშვნელოვნად ეკოლოგია, გარემოს დაცვა, სოციალური პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა უნდა განიხილებოდეს როგორც „ერთი“, მაგრამ ერთიანი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები.

ჩვენ სამაგალითოდ ერთ-ერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა - ბელარუსი - ავირჩიეთ, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მისი ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური პრობლემები. ჩვენი ინტერესი პირველ რიგში განპირობებული იყო იმით, რომ ყველას ძალიან კარგად ახსოვს ის ეკოლოგიური კატაკლიზმები, რაც ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა ბელარუსში ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ დაიწყო.

თვითონ ბელარუსი მეცნიერეკონომისტების აზრით ბელარუსის რესპუბლიკაში ეკოლოგიური კრიზისია, რომლის მთავარი მიზეზი ძირითადად მრავალი წლის განმავლობაში რესურსტევადი დარგების უპირატესი განვითარება და, ამასთან, ქვეყნის ბუნებრივი პირობების სპეციფიკის არგათვალისწინებაა. 2006 წლიდან იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური პოლიტიკის ცენტრის მეთოდის მიხედვით საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის დახმარებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოითვლება ეკოლოგიური ეფექტურობის რეიტინგი. იგი უჩვენებს ქვეყნის მიღწევებს ეკოლოგიის მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კუთხით 10 კატეგორიის 22 მაჩვენებლის საფუძველზე.

2016 წლისათვის ამ ინდექსმა ბელარუსში 82.3 პუნქტი შეადგინა და მან 100 ქვეყნიდან 35-ე ადგილი დაიკავა, 2018 წლისათვის კი 44-ე ადგილზე გადაიწია 64.98 მაჩვენებლით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის გამოკვლევამ უკვე 180 ქვეყანა მოიცვა.

ქვეყნის ყველაზე სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებად სპეციალისტები მიიჩნევენ რესპუბლიკის ტერიტორიის 1/5-ის დაბინძურებას რადიონუკლიდებით (დაბინძურებულია სასოფლო-სამეურნეო მასივების 22% და ტყის მასივების 21%). რა თქმა უნდა ყველასთვის ცნობილია მიზეზი - 1986 წელს ჩერნობილში მომხდარი კატასტროფა, რომლის დროსაც დაბინძურდა ქვეყნის ტერიტორიის 22%, სადაც 2.2 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ამ კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით რესპუბლიკაში გატარდა საგანგებო ღონისძიებები: ტერიტორიიდან გასახლებული იყო 135 ათასი ადამიანი ქვეყნის სუფთა რაიონებში, ლიკვიდირებულ იქნა 415 დასახლებული პუნქტი, 287 საწარმოო ობიექტი, 607 სკოლა და საბავშვო ბაღი, 95 საავადმყოფო და ა.შ. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა ძირფესვიანად შეისწავლეს რადიოაქტიური მდგომარეობა ქვეყანაში, გამოიკვლიეს რადიონუკლიდების თვისებები და მათი აქტივობის ფორმები ნიადაგში, წყალში, ჰაერში და გავლენები ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფლორასა და ფაუნაზე. დათვლილია, რომ ჩერნობილის ავარიის შედეგად მიყენებული ზიანი 30 წლის განმავლობაში 235 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება. ყველაზე საშინელი კი ის არის რომ, სპეციალისტების დასკვნებით, გამომდინარე მომწამვლელი ელემენტების ქიმიური თვისებებიდან, მათი მაქსიმალური დაგროვება ნიადაგში 2050 წლისათვის მოხდება და ე.წ. ტრანსურანული ელემენტების აქტივობა ამ დროისათვის ორჯერ გაიზრდება. ამ კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით ბელარუსის რესპუბლიკაში შექმნილია სახელმწიფო პროგრამები, მიღებულია კანონები და დადგენილებები. პროგრამებში ჩართულია არა მარტო უშუალოდ დარგის სპეციალისტები, არამედ თითქმის ყველა სხვა დარგისაც: ექიმები, ბიოლოგები, ზოოლოგები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვ.

ბელარუსში არსებულ სხვა ეკოლოგიურ პრობლემათა შორის აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ამის ძირითადი წყაროა საავტომობილო ტრანსპორტი, ენერგეტიკის ობიექტები, სამრეწველო საწარმოები.

მავენე ნივთიერებებით ატმოსფეროს დაბინძურების მაჩვენებელი 2017 წელს 1.2 მლნ ტონას უდრიდა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 2 ათეული ტონით ნაკლებია. მისი შემცირება მიღწეულია სატრანსპორტო პარკის განახლებით მაღალტექნოლოგიური ავტომობილების და საწვავის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე. მაგალითად, რესპუბლიკის დიდი ქალაქების მონიტორინგმა აჩვენა, რომ მინსკში დაბინძურების მაჩვენებელი 17-26%-ით შემცირდა, მოგილევიში 16-35%-ით, სვეტლოგორსკსა და პოლოცკში - 24-46%-ით და ა.შ. თუმცა ყველა ეს ქალაქი ბელარუსის ყველაზე ატმოსფერულად დაბინძურებული ქალაქების Top5-ეულში შედის.

რაც შეეხება ატმოსფეროს ე.წ. სამეურნეო დაბინძურებას, მეურნეობის დარგების მიხედვით ბოლო წლების ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრ. 1):

ცხრილი 1

2016-2018 წლებში ატმოსფეროს დაბინძურების სამეურნეო მაჩვენებლები (ათასი ტონა) [5]

	2016	2017	2018
სხვადასხვა წყაროები სულ	453.1	453.4	453.3
სოფლის, ტყის და თევზის მეურნეობა	163.2	165.3	168.6
სამთო მოპოვებითი მრეწველობა	5.0	4.6	4.7
გადამამუშავებელი მრეწველობა	176.8	175.2	173.5
ელექტროენერჯია	67.7	61.8	62.1
მშენებლობა	4.3	4.6	4.4
ტრანსპორტი	23.0	29.2	25.5

გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი გლობალური მაჩვენებელია სხვადასხვა მავენე ნივთიერებების გამონაბოლქვის რაოდენობა ატმოსფეროში. ბოლო წლების განმავლობაში ამ მაჩვენებლის მიხედვით ბელარუსში შემდეგი სიტუაცია ჩამოყალიბდა (იხ. ცხრ. 2):

ცხრილი 2

სხვადასხვა მავენე ნივთიერების გამონაბოლქვი ატმოსფეროში ბელარუსში (ათას ტონა)

	გოგირდის დიოქსიდი		აზოტის ოქსიდები		ნახშირორჟანგი	
	2015	2017	2015	2017	2015	2017
ბელარუსი	56.8	47.6	49.3	48.8	75.4	75.1

ბელარუსი სპეციალისტები თვლიან, რომ ქვეყნის ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წყლის რესურსები წარმოადგენს. ქვეყნის ტერიტორიაზე 20 ათასზე მეტი მდინარე მიედინება, მათ შორის ისეთი წყალუხვი, როგორცაა: დნეპრი, დვინა, ნემანი. ქვეყანაში ასევე 11 ათას ტბას ითვლიან. მაღალი ხარისხისაა მიწისქვეშა წყლები (სულ 280 აუზი), რომელთა შორის სასმელად გამოსაყენებელი წყლების რესურსი 15.9 კმ³-ს უტოლდება წელიწადში, ანუ 43.5 მლნ მ³ დღეღამეში, რაც მოსახლეობის ერთ სულზე დღეღამეში 20 მ³-ს უდრის.

ამის გარდა ქვეყანაში შექმნილია 153 წყალსაცავი, რომელთა ფართობი 797 კმ²-ია, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 0.5%. წყლის ძირითადი მომხმარებლები დღეს არის კომუ-

ნალური მეურნეობები - საერთო მოხმარების 47%, სამრეწველო მოხმარება - 44%, სასოფლო-სამეურნეო მოხმარება - 9%.

საერთოდ სასმელი წყლის რესურსები 2017 წელს ბელარუსში შემდეგი რაოდენობით არსებობდა (იხ. ცხრილი 3):

ცხრილი 3

სასმელი წყლის რესურსები

აღდგენითი რესურსები, მლნ მ ³	ბუნებრივი აუზებიდან ამოღებული მლნ მ ³			ამოღებული სასმელი წყლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, მ ³
	სულ	ზედაპირული აუზებიდან	მიწისქვეშა აუზებიდან	
60 400	1 396	586	810	147

იმისდა მიუხედავად, რომ ბელარუსის რესპუბლიკაში არ შეიმჩნევა წყლის რესურსების ნაკლებობა, სპეციალისტების შეშფოთებას იწვევს მათი სისუფთავის ხარისხის პრობლემა.

წყლების ხარისხის გაუარესება რესპუბლიკაში განპირობებულია არა მარტო მდინარეებში, წყლის აუზებში გაუწმენდავი ჩანადენების არსებობით, ასევე ჩამოდნობილი და ჩამოლექილი წყლების დაბინძურებით (მათ შორის რადიაქტიული ელემენტებითაც), რაც აუარესებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მიწისქვეშა წყლების ხარისხს. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად რესპუბლიკას ესაჭიროება თანამედროვე, მაღალხარისხიანი გამწმენდი მოწყობილობები, ასევე წყალდამცავი ზონების შექმნა, რომლებიც დაცული იქნება მავნე მინარევებისაგან და ა.შ.

ბელარუსის ეკოლოგიური სისტემის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად იქცა მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მიმდინარე მელიორაციული სამუშაოები. ტერიტორიების 16.4 %-ის დაშრობამ გამოიწვია წყალშემკრები აუზების და სამდინარო ქსელის წყლის რეჟიმის ტრანსფორმაცია. ამან გამოიწვია ის, რომ დაირღვა ქვეყნის წყლის ბალანსი, შეიცვალა სხვადასხვა აუზის და ობიექტის წყლის რეჟიმი (წყლის დონე და სიჩქარე), გრუნტის წყლების დონის დაწვევა, მცირე ზომის წყალნაკადების გაქრობა, ჭების ამოშრობა სოფლად და სხვ. მაგალითად, მელიორაციამ ქვეყანაში 40%-ით შეამცირა ბიოსფერული პროცესების რეგულირების მძლავრ ფაქტორებად ცნობილი ჭაობების ფართობი. ამიტომ დღეს რესპუბლიკის წინაშე ე.წ. ნაწილობრივ „უკან“ დაბრუნების პრობლემა დგას აღნიშნულ სექტორში.

გასული საუკუნის 70-90-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია მთელ საბჭოთა კავშირში ხორციელდებოდა ქიმიკო-ტექნოგენური სისტემის დანერგვის, პესტიციდების ფართოდ გამოყენების გზით, რაც გარკვეული დროით მართლა იწვევდა მოსავლიანობის ზრდას, მაგრამ პერსპექტივაში გამოიწვია ნიადაგის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. ბელარუსში ეროდინებული და ეროზიულად საშიში მიწები მთელი ტერიტორიის 41.5%-ს შეადგენს, რაც სახნავი მიწების 6%-ია. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ დაბინძურების აღმოფხვრას ათწლეულები სჭირდება.

სოფლის მეურნეობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩერნობილის ტრაგედიამ. 1.6 მლნ ჰა სასოფლო სავარგულები დაბინძურებულია და აქედან ბრუნვიდან საერთოდ ამოგდებულია 300 ათას ჰექტრამდე.

ეს ყველაფერი პირველ რიგში ადამიანების ჯანმრთელობაზე აისახება. მაგალითად, დაბინძურებულ ტერიტორიებზე ნახევარ მილიონზე მეტი მარტო ბავშვი და მოზარდი ცხოვრობს და უმეტესობა მათგანი ფარისებრი ჯირკვლის კიბოთია

დაავადებული. ეს შეადგენს 100 ათას ბავშვზე 2.1-3.2 ადამიანს, მაშინ როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 0.5-ს არ აღემატება. ძალიან დიდა და სულ უფრო იზრდება თანდაყოლილი პათოლოგიების რიცხვი, ცხოველებში და მცენარეებში მუტანტების დაბადება.

ბელარუსის კიდევ ერთი ეკოლოგიური პრობლემაა ლანდშაფტების ტექნოგენური დეგრადაცია, რასაც მიწიდან სასარგებლო წიაღისეულის არასრული ამოღება და მისი არაკომპლექსური გადამუშავება იწვევს. ეს, თავის მხრივ, ე.წ. „ცარიელი ქანების“ უზარმაზარი მასების დაგროვებას იწვევს, ხშირად წარმოიქმნება მტვრის ქარები და მავნე ელემენტები ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, რომელიც შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ყოფილიყო გამოყენებული. ამიტომ რესპუბლიკაში მწვავედ დგას სამრეწველო ნარჩენების და უტილიზაციის საკითხი. 2017 წელს 24.5 მლნ ტონა სამრეწველო ნარჩენებიდან უტილიზებული იყო მხოლოდ 16.7%. გამოუყენებელი ნარჩენების ძირითადი ნაწილი - 80.5% წადებულია სპეციალურ პოლიგონებზე, გარკვეული ნაწილი დარჩა საწარმოების ტერიტორიებზე, დაიწვა, ჩაისხა კანალიზაციებში ან გატანილია არასანქცინირებულ ადგილებზე. რესპუბლიკაში პოლიგონებს უკავია 3 ათას ჰექტარამდე ტერიტორია. დღეისათვის რესპუბლიკაში 700 მლნ ტონა ნარჩენია დაგროვილი და მათი უტილიზაციის მოცულობა 18.4%-ს არ აღემატება. უტილიზაციას ყველაზე მეტად ექვემდებარება საკვები პროდუქტები - 67.4%, ყოფითი მოხმარების ნარჩენები - ქალაქი და მუყაო - 76%, მინა - 74.9%.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად რესპუბლიკაში შექმნილია გარემოს დაცვის გეგმა, რომლის მიხედვითაც, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ბუნებისდაცვითი სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ოზონის შრის და კლიმატის შესანარჩუნებელი, ჩამდინარე წყლების შეგროვების და დასუფთავების, წყლის რესურსების დაცვის და რაციონალური გამოყენების, ნარჩენების მართვის და გარემოზე მათი საზიანო გავლენის თავიდან აცილების ღონისძიებები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შენარჩუნებასა და განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით ქვეყანაში ფუნქციონირებს ნაციონალური ეკოლოგიური ქსელი, რომლის მიზანია ცოცხალი ორგანიზმების ბუნებრივი მიგრაციული პროცესების უზრუნველყოფა, ბუნებრივი ეკოლოგიური, ბიოლოგიური სისტემების და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ფლორის და ფაუნის იშვიათი ჯიშების, მათი პოპულაციის და გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და აღდგენაზე ზრუნვა, რაც ბელარუსის რესპუბლიკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი განსაკუთრებული სექტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://studfiles.net/preview/830145/page:3/> Экологические проблемы республики беларусь
2. https://ecoportal.info/ekologicheskie-problemy-belarusi/01_апреля_2017_в_19:18_40_0253Экологические_проблемы_Беларуси
3. <https://studfiles.net/preview/1559080/page:38/>Экологические проблемы Республики Беларусь.
4. [http://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/makroekonomika-i-okruzhayushchaya-sreda/okruzhayuschaya-sreda/Совокупные расходы на охрану окружающей среды ` по видам экономической деятельности ОКРБ 005-2011 \(сопоставим с NACE Rev. 2.0\)](http://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/makroekonomika-i-okruzhayushchaya-sreda/okruzhayuschaya-sreda/Совокупные расходы на охрану окружающей среды ` по видам экономической деятельности ОКРБ 005-2011 (сопоставим с NACE Rev. 2.0))
5. Природные ресурсы | в республике беларусь gstu.by/sites...resursy_i...ispolzovanie_v...belarus.pdf

*Medea Melashvili
Nunu Kistauri
Ketevan Kveladze*

**SOME ASPECTS OF THE ECOLOGICAL SYSTEM OF
THE REPUBLIC OF BELARUS
Summary**

The work is dedicated to one of the most pressing problems of today, such as disrupting the Earth's ecological balance and interdependence of environment protection and care.

The process of the highest rate of growth of industry has significantly changed the climate on the earth. All these are the reason of pollution and exhaustion of water and soil resources; many species of plants and animals have disappeared and some are on the verge of disappearance. Catastrophic are the rate of increase and frequency of illnesses caused by the pollution of environment with industrial wastes. One of the post-communist countries – the republic of Belarus was precisely ecologically damaged by the Chernobyl disaster.

The main causes of the ecological crisis in Belarus are: pollution by radionuclides and its impact on human health and the country's flora and fauna; Ambient air pollution, including in cities; Deterioration of water quality and pollution of reservoirs, disturbance of water balance; Deterioration of soil ecological status; Technogenic degradation of landscapes; Problem of utilization of contaminated waste.

ციცინო თეთრაული

**ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზოგიერთი საკითხი
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ბუნებრივი რესურსების როლი და მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში. ადამიანი უხსოვარი დროიდან ზემოქმედებს ბუნებაზე. ნიადაგის არასწორი გამოყენება რჩება თანამედროვე საზოგადოების საფრთხედ, მაშინ როდესაც მსოფლიო მოსახლეობა სწრაფად იზრდება, ნაყოფიერი ნიადაგების რაოდენობა კი წლიდან-წლამდე მცირდება. ნიადაგის ეროზია და დეგრადაცია უკვე გლობალურ პრობლემადაა მიჩნეული ისევე, როგორც გლობალური დათბობა, გაუდაბნობა, ნარჩენების მართვა, ოზონის შრის შემცირება და ა.შ. ნაშრომში გაშუქებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების ხორვატიისა და უკრაინის მაგალითები ბუნებრივი რესურსების დაცვის კუთხით, კერძოდ ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგის ეროზია, გაუდაბნობა, 'მწვანე ეკონომიკა', ეკოლოგია, ლანდშაფტი.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველია იმ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რომელიც ქვეყანას გააჩნია. ხბვ საუკუნეში გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო დადგა ისეთი გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე, როგორცაა: გლობალური დათბობა, ოზონის შრის შემცირება, გაუდაბნობა, მიწის ეროზია, ნარჩენების მართვა, სურსათის უსაფრთხოება და ა.შ. მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსების მარაგი კი მცირდება.

ტექნიკური განვითარების კვალდაკვალ კაცობრიობა შეიძლება დადგეს ეკოლოგიური აპოკალიფსის წინაშე, ამიტომ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება როგორც განვითარებული, ისე განვითარებული ქვეყნების უპირველესი ამოცანაა.

•••

ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეში გადასვლამ პოსტკომუნისტური ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, როგორც გ. მენქიუ ამბობს: `არც ყველაზე მდიდარი ქვეყნებისთვის არის სრულად გარანტირებული მათი შემდგომი აყვავება და არც ეკონომიკური აუტსაირები არიან განწირულნი სამუდამო სიღატაკისათვის`.

მიწა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა და სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება მიწა უნიკალური ბუნებრივი რესურსია. სიცოცხლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის ისტორიასთან, მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და ამოწურვადი რესურსი. მისი საშუალებით კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე თითქმის მთლიანად იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას.

ხორვატია სიდიდით მსოფლიოში 127-ე ქვეყანაა. იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ქვეყნის ტერიტორია 56494 კმ²-ია. ქვეყნის ცენტრალური და სამხრეთ რეგიონები ადრიატიკის ზღვის სანაპირო ხაზისა და კუნძულების მახლობლად წარმოადგენს დაბალ მთებს და ტყით დაფარულ ზეგანებს, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი ბორცვიანი ვაკეა, დასავლეთ ნაწილი კი მთიანი (დინარის ალპები). ქვეყანაში მოიპოვება წარმოებისათვის საკმარისი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბოქსიტი, რკინის საბადო, კალიუმის ქანები, თაბაშირი, სილკა, კარსტული მღვიმეები ხორვატიის ტერიტორიის ნახევარზე უფრო მეტი ნაწილისათვისაა დამახასიათებელი. ხორვატიას მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტი გააჩნია. ხორვატია იყოფა რამდენიმე ეკორეგიონად კლიმატისა და გეომორფოლოგიის მიხედვით. იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ევროპაში ბიომრავალფეროვნების მიხედვით.

ხორვატიასა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში გამოყოფენ ბიოგეოგრაფიული რეგიონის 4 ტიპს: 1) სანაპირო ზოლის გასწვრივ და მის უშუალოდ მიმდებარედ; 2) ალპური ზონა, ლიკას უმეტესი ნაწილი; 3) პანონიური მდინარეები. დრავასა და დუნაის გასწვრივ; 4) კონტინენტური - დანარჩენი რეგიონები. ხორვატიაში არის კარსტული მღვიმეები და მიწისქვეშა ნიშები. კარსტული გეოლოგია ხორვატიაში მოიცავს 7000 მღვიმესა და ჭას.

ხორვატია მდიდარია ტყეებით, ისინი ფარავენ 2490000 ჰა-ს, ტერიტორიას, რაც ხორვატიის სახმელეთო ზედაპირის 44%-ს შეადგენს. ბუნების მსოფლიო ფონდი ხორვატიაში განიხილავს 3 ეკორეგიონს: 1) პანონიურს - შერეული ტყეებით; 2) დანარის მთიურ ზონას - შერეული ტყეებით და 3) ილირიულ ზონას - ფოთოლმცვენი ტყეებით. ხორვატიაში ბინადრობს და იზრდება 1000-ზე მეტი ენდემი, რაც ქვეყნის კანონმდებლობითაა დაცული, ხორვატიაში ღრმა მღვიმეების დიდი რაოდენობაა. აქედან 49 მღვიმე 250 მეტრზე უფრო ღრმაა; 14 მღვიმე - 500 მეტრზე, 4 მღვიმე კი - კილომეტრზე უფრო ღრმა. ხორვატიის ყველაზე უფრო ცნობილი ტბები პლიტვიცის ტბებია. ესაა 16 ტბის სისტემა, რომელთაც აერთებს ერთმანეთთან დოლომიტის და კირქვის კასკადებზე ჩამომავალი ჩანჩქერების ნაკადს, ტბები ცნობილია თავიანთი განსხვავებული ფერებით, რომელიც იცვლება საფირონის ფერიდან ხასხასა მწვანემდე ან ლურჯამდე. პლიტვიცის ტბების ეროვნული პარკი იუნესკოს მსოფლიო

მემკვიდრეობის ძეგლია. 2005 წელს ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული ეკოლოგიური ქსელი, რაც წარმოადგენდა ევროკავშირთან მიერთებაში ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობითა და მდიდარი ლანდშაფტით ხორვატიას ევროპის მარგალიტსაც უწოდებენ.

ხორვატიაში განვითარებულია მიწათმოქმედება, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, კანაფი, სელი, საკვები კულტურები. განვითარებულია მეზღვაობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, ამზადებენ ხე-ტყეს, განვითარებულია მეცხოველეობა და თევზჭერა. უდიდესი ნავსადგურია რიეკა. ხორვატიის ადრიატიკის ზღვის სანაპირო მოიცავს 1000 კუნძულზე მეტს. ხორვატიის უმეტესი ნაწილისთვის დამახასიათებელი კონტინენტური ჰავა. კიოპენის კლიმატის კლასიფიკაციით საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს მინუს 3°C-დან (იანვარი) პლუს 18°C-მდე (ივლისი). საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა მერყეობს: 600 მილიმეტრიდან 3500 მილიმეტრამდე გეოგრაფიული რეგიონის და ჰავის მიხედვით. ყველაზე მცირე ნალექებია გარე კუნძულებზე (ვისი, ლასტოვო, ბიშეკო, სვეტაცი). სლავონიის აღმოსავლეთ რეგიონში გვალვა უმეტესად ემთხვევა ხოლმე მოსავლის ზრდის სეზონს, ამიტომ აუცილებელია ხელოვნური მორწყვა (ირიგაცია). ქვეყნის ყველაზე უფრო მზიანი ნაწილებია გარე კუნძულები, ჰვარი და კორჩულა, სადაც წლიურად 2700-ზე მეტი მზიანი საათია დაფიქსირებული.

ხორვატიის ნიადაგები მრავალფეროვანია, დუნაის ვაკეზე ჭარბობს შავმიწა ნიადაგები, მთაში – ტყის ყომრალი ნიადაგები, არის წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერი, მურა-წაბლა და სხვა ნიადაგები, ხორვატიის მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვას. ქვეყანაში მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი ნიადაგის ეროზიისა და მისი დეგრადაციის თავიდან აცილების მიზნით. ნიადაგის გამოკვლევა და ანალიზი – ეს ყველაფერი ხდება ევროკავშირის დახმარებით. ევროკავშირი სასოფლო-სამეურნეო პლატფორმა მოიცავს 150-ზე მეტ დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო პალატების საქმიანობას ევროპის ქვეყნებში. მასში 15000 დასაქმებულია, რომლებიც საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ 5 მლნ ფერმერს. პალატები ახორციელებენ მრავალი ექსპერიმენტული სადგურისა და საკვლევო ლაბორატორიის მართვას. ევროკავშირის მიზანია მასში შემავალი ქვეყნების აგრარული სფეროს სწორი განვითარება და მხარდაჭერა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭიროა ნიადაგის ანალიზი, ეროზიის დონის განსაზღვრა და მის აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც ძვირადღირებული პროცესია. ამიტომ მიიღო ევროკავშირმა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო რეფორმის პოლიტიკის ფარგლებში ფუნდამენტური გეგმა, რომელიც ეფუძნება სუბსიდირების გამოყოფას ფერმერებისთვის. ეს სისტემა მოიცავს: ფერმერების სუბსიდირებას ბიუჯეტიდან, რაც მათ საშუალებას აძლევს, ჩაატარონ ნიადაგის ანალიზი ეროზიაზე, უწყვეტი მონიტორინგი და დროულად მიიღონ სათანადო ზომები რათა ნიადაგი დაიცვას დეგრადაციისაგან. ხორვატია ყველაზე გვიან, 2014 წელს გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა. იქამდე მან მეტად რთული გზა გაიარა, 5 წელი ომი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ომის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი და მაქსიმალური ძალისხმევა ევროკავშირში გაწევრიანებისას ხორვატიამ ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტებმა ქვეყნებმა (ლიეტუა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, პოლონეთი), მოითხოვა ევროკავშირისაგან რამდენიმე წლით სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის შეჩერების უფლება მიწაზე გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის გამო, ვინაიდან ქვეყანაში უნდა მოგვარებულიყო მიწის პრივატიზაცია, საკადასტრო მონაცემების სრულყოფა, რუკების შედგენა და ა.შ.

ხორვატიას მაღალშემოსავლიანი ეკონომიკა აქვს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 3,1% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ხორვატიაში ღვინის მწარმოებელი 2 გამოკვეთილი რეგიონია. კონტინენტური რეგიონი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, განსაკუთრებით სლოვენია ორიენტირებულია მაღალფასიანი, ძირითადად თეთრი ღვინის წარმოებაზე. ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ ისტრიის და კრკის ღვინოები, იტალიაში წარმოებული ღვინოების მსგავსია, დალმაციაში კი წითელ ღვინოებს ქმნიან ღვინის ყოველწლიური წარმოება 150 მილიონ ლიტრს აჭარბებს. XVIII საუკუნემდე ხორვატია ძირითადად ღვინის მწარმოებელი ქვეყნად რჩებოდა. შემდგომ პერიოდში კი ლუდის მასიური წარმოება და მოხმარებაც დაიწყო.

ხორვატიაში ბევრია კულტივირებული მცენარეებისა და მოშინაურებული ცხოველების ჯიშები, მათ რიცხვში შედის ცხენების 6 ჯიში, ცხვრის 8 ჯიში, ღორის 3 ჯიში და შინაური ფრინველის 2 ჯიში, ამ აბორიგენულ ჯიშებს შორის 8-ს საფრთხე ემუქრება. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ინვაზიური წყალმცენარეების გამრავლება, ამის გამო რეგულარულად მონიტორინგება და ხორციელდება მათი მოცულობა ბენტოსური არეალებიდან, ხორვატიაში არის სრულიად გამოუყენებელი, დაუზიანებელი წყლიანი არეალები სადაც შექმნილია ბუნების ნაკრძალები და ცისფერი დროშის მქონე 117 საწყალოსნო ადგილი. ხორვატიაში მდებარეობს 444 დაცული არე, რაც ქვეყნის ტერიტორიის 9%-ს შეადგენს. აქ შედის 8 ეროვნული პარკი, 2 მკაცრი ნაკრძალი და 10 ბუნებრივი პარკი. ველებიტის ბუნებრივი პარკი წარმოადგენს იუნესკოს ადამიანისა და ბიოსფეროს პროგრამის ნაწილს. მკაცრ და სპეციალურ ნაკრძალებს, ისევე, როგორც ეროვნული და ბუნებრივ პარკებს, მართავს და იცავს ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება. ხორვატიაში მკაცრად კონტროლდება კანონი `ტყის მართვის` შესახებ, კანონი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. გრუნტის წყლების დაბინძურებასთან დაკავშირებით ტარდება მონიტორინგი. ამჟამად ხორვატიის მთავრობა ევროკავშირის დახმარებით ინტენსიურად მუშაობს ნარჩენების მართვის რეციკლირების კუთხით.

თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და მდიდარი ლანშაფტის წყალობით ხორვატია ევროპაში განთქმული ტურისტული ქვეყანაა. ჯერ კიდევ 2011 წელს ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა 6,65 მილიარდი ევრო შეადგინა. ტურიზმის დადებითი ეფექტი ხორვატიის მთლიან ეკონომიკაზე აისახება. ტურიზმის ინდუსტრია ხორვატიაში საექსპორტო ბიზნესადაა მიჩნეული. ხორვატიის დამოუკიდებლობისათვის ომის დასრულებისთანავე ტურიზმის ინდუსტრიამ სწრაფი ზრდა დაიწყო, ტურისტების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა და წელიწადში 13 მილიონზე ტურისტზე მეტი შეადგინა, ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი ნაწილი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ყვავის. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან პირველი კურორტი იყო ოპატია. შემდგომ ის ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამაჯანსაღებელი კურორტო გახდა. მოგვიანებით კურორტთა დიდი რაოდენობა გაშენდა ზღვის სანაპიროსა და მრავალ კუნძულზე, სადაც ტურისტების მრავალ სერვისს სთავაზობენ. უმნიშვნელოვანესია საწყალოსნო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რომელიც დაკავშირებულია შუა საუკუნეების სანაპირო ქალაქებთან და მრავალ კულტურულ ღონისძიებასთან, რომელიც ზაფხულობით იმართება. ქვეყნის შიდა ნაწილებში ტურისტების განკარგულებაშია სამთო კურორტები, აგროტურიზმი და სპა. მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილია ზაგრები, ხორვატიის დედაქალაქი, რომელიც კონკურენციას უწევს მთავარ ანაპირო ქალაქებსა და კურორტებს. განვითარებულია აგრეთვე შიდა ტურიზმი.

თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ტექნოლოგია უზრუნველყოფს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას, მაგრამ ტექნოლოგია უბრალოდ ვერ მოაგვარებს პრობლემს რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების წარმოქმნასთან შედარებით მის უფრო სწრაფ მოხმარებას. ერთ დღეს ჩვენ ამოვწურავთ მას. უფრო მეტიც გლობალიზაციის პირობებში ურთიერთდაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკა და მსოფლიო მოსახლეობა ნიადაგის მართვას უფრო მნიშვნელოვანს ხდის ახლა, ვიდრე კაცობრიობა ისტორიის ნებისმიერ დროს, ძირითადი რესურსებისთვის ერთმანეთთან დააპირისპირებს ჩვენს შთამომავლებს თუ ჩვენ უფრო გონივრულად არ ვმართავთ ნიადაგს. ნიადაგის ორგანული ნივთიერებები შემცირებას განიცდიან უწყვეტი კულტივაციის პირობებში. ამიტომ ნიადაგი მით უფრო მეტად განიცდის ეროზიას, რაც უფრო დიდხანს ხდება მისი დამუშავება. ეროზირებულ ნიადაგის 10 სმ-იანი ფენის აღდგენის ათეული წლები და ზოგჯერ საუკუნე სჭირდება, ამიტომ ნიადაგის კონსერვაცია მიწის რესურსების დაცვის უალტერნატივო საშუალებაა.

პოსტსკომუნისტურ ქვეყნებში უკრაინა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. უკრაინაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 70%-ია, მათ შორის სახნავი მიწა საშუალოდ 55%. მათი უმეტესი ნაწილი შავმიწა ნიადაგებია. უკრაინა აგრარული განვითარებით მაღალ დონეზეა, თუმცა განსხვავდება ბუნებრივი ზონების თანაფარდობით. შერეული ტყეების ზონაში სოფლის მეურნეობა მცირეა, ვიდრე სტეპის ზონაში. ქვეყნის ჩრდილოეთით ჭარბობს სხვადასხვა სახის კორდიან-ეწერი ნიადაგები, გავრცელებულია მდელო-ჭაობისა და ტორფიანი-ჭაობის ნიადაგი, გაეწერებული და ტიპური შავმიწები, სტეპის ზონაში. სანაპიროზე მუქი წაბლა. უკრაინის კარპატებში კორდიან-ეწერი, გაეწერებული ტყის ყომრალი, მთა-მდელოსა და მთის ტორფიანი ნიადაგები, სამხრეთ სანაპიროზე წითელ-მურა და ყავისფერი ნიადაგები. უკრაინა ნიადაგის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქვეყნის მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება მოითხოვს ისეთი არასასურველი პროცესების პრევენციას, როგორცაა: ნიადაგის ეროზია, დამლაშება, დეგრადაცია, დაბინძურება და ა.შ. ეროდირებული (წარსულის მიწები, ძველი მიწები) ნიადაგის ფართო ტერიტორიები ხელმისაწვდომია: დონეცკის, ლუგანსკის, ნიკოლაევის, კოროვოგრადის, ხარკოვის რაიონებში. ჩერნობილის ავარიის შედეგად დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 8.400 000 ჰა გამოვიდა ბრუნვიდან, ამაზე ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებთ, უკრაინაში ვითარდება ეროვნული სახმელეთო დაცვის პროგრამა იგი ითვალისწინებს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ღონისძიებების გატარებას. ქვეყნის მიწის რესურსებზე შესამჩნევია ანთროპოგენური ზემოქმედების გამო ნიადაგის რაციონალური გამოყენება და დაცვა მთავარ პრობლემად რჩება. აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მელიორაციული ღონისძიებების გაუმჯობესება და ნიადაგის ღრმა ეროზიის შეჩერება. აგრეთვე ლანდშაფტის სტრუქტურის თავისებურებების გათვალისწინება, სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენებისა და ეკოლოგიურად სუფთა სისტემის შექმნა.

უკრაინის ბუნება მრავალფეროვანია, ჰავა ზომიერი, ძირითადად კონტინენტურია. მთავარი მდინარე დნეპრი უკრაინის ტერიტორიას ყოფს 2 ნაწილად - მარჯვენა და მარცხენა ნაპირად. აგრეთვე მიედინება მდინარეები: დნესტრი ტისა, პრუტი, დუნაი, ბუგი. დიდი მდინარეები სანაოსნოა, აგებული ჰესები, უკრაინაში 7000-ზე მეტი ტბაა, 23 000-ზე მეტი ხელოვნურ ტბა და წყალსაცავია, უკრაინაში მცენარეების დაახლოებით 16 000 სახეობაა. ჭარბობს ფართოფოთლოვანი ტყეები, ტყეტიპის ზონაში ტყეს უკავია ტერიტორიის 11%. გვხვდება მუხა, წიფელი, ფიჭვი, რცხილა, ნიკერჩხალი, ცაცხვი, წიფლნარი, ნაძვი, სოჭი. მაღალ ადგილებში ბუჩქნარი და მაღალმთიანი მდელოები.

ტყეებში ბინადრობენ: დათვი, გარეული ღორი, მგელი, მელა, ფოცხვერი, მაჩვი, ციყვი, ძილგუდა და სხვა. ფრინველებიდან - როჭო, სოლო, წიწკანა, კოდალა, მოლალური. მდინარეები და ტბები მდიდარია თევზით. უკრაინაში არის 25 სახელმწიფო ნაკრძალი უკრაინის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა საშემოდგომო ხორბალი, მოჰყავთ სიმინდი, ჭვავი, წიწიბურა, ფეტვი, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, სართავი სელი, კანაფი, სვია, თამბაქო და სხვა.

განვითარებულია მესაქონლეობა - სარძეო, სახორცე-სარძეო, სარძეო-სახორცე. მეცხვარეობა, მეღორეობა, განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. ახლა შევხებით ისეთი უდიდესი მასშტაბის ტრაგედიას, როგორც იყო ჩერნობილის ავარია. 1986 წელს 26 აპრილს მოხდა უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე ჩერნობილის ატომური რეაქტორის სადგურის მე-4 ბლოკის ავარია, ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო სკალით მე-7 დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე მთლიანი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ავარია მოხდა კიევიდან 110 კმ-ს დაშორებით.

ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა სსრკ-ს ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთ ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი, აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილი. რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელარუსიის ტერიტორიაზე. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო 200 000 ადამიანი.

სასოფლო-სამეურნეო ადგილებში პირველივე თვეებში რადიოაქტიური ნივთიერებები მცენარეებსა და ბალახზე ილექებოდა, ამიტომ დაბინძურებამ ბალახიჭამია ცხოველებზე იმოქმედა. ნიადაგის ფენებზე აღმოჩნდა ცეზიუმ - 137-ის დიდი კონცენტრაცია, საიდანაც ის მცენარეებსა და სოკოებში ხვდება, დაბინძურება ასევე მოქმედებს მწერებსა და ცხოველებზე, რომლებიც ამ მცენარეებით იკვებებიან. პლუტონიუმის რადიოაქტიური იზოტოპი და ამერიციუმი ინახება თითქმის 100 და შეიძლება 1000 წლის მანძილზე. თუმცა ამჟამად აფიქსირებენ, რომ მათი რადიაცია საშიშროებას არ წარმოადგენს. ყველაზე ძლიერ დაბინძურდა ის ტერიტორია, სადაც იმხანად წვიმდა. ამჟამად ისევ დიდ საშიშროებას წარმოადგენს სტრონციუმის იზოტოპი და ცეზიუმი, რომელთაც ნახევრად დაშლის პერიოდი 30 წელი აქვს, რადიოაქტივობა ვრცელდებოდა აეროზული სახით, აირები ატმოსფეროში გაიფანტა. ის ავარიის პირველ დღეებში ქარის მიმოქცევაზე იყო დამოკიდებული. ატომური ელექტროსადგურის გარშემო შეიქმნა ღია 30 კმ-იანი "განადგურების ზონა". განადგურებული და დამარხებულია ასობით პატარა დასახლებული პუნქტი.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ტყეების მნიშვნელოვანი დაბინძურება მოხდა იმიტომ, რომ ტყის ეკოსისტემაში თეზიუმი გამოსვლის მაგივრად მუდმივად ცირკულირებს. ამიტომ ტყის პროდუქტები, როგორცაა: სოკო, კენკრა, გარეული ფრინველი, დაბინძურების დონით ჯერ კიდევ სახიფათოდ არის მიჩნეული რუსეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვედეთის არქტიკულ მხარეში ხავსურასა და ირმის ხორცში თეზიუმ - 137-ის სიჭარბე აღმოაჩინეს.

მე-4 რეაქტორზე, სადაც 134 თანამშრომელი და მაშველი ჯგუფი იყო, 28 თანამშრომელი დაიღუპა. ორგანიზაცია "ჩერნობილის საბჭოს" მონიტორინგით 165 000 ადამიანი დაინვალიდდა. უდიდესი დოზით დასხივდა თითქმის 1000 ადამიანი, ვინც აფეთქების მომენტში რეაქტორთან ახლოს იმყოფებოდა და მონაწილეობას იღებდა ავარიულ სამუშაოებში დაფიქსირდა 10000 ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევა, ჩერნობილის მე-4 ბლოკში მომხდარი ავარიის შემდეგ შეაჩერეს ელექტროენერჯის მუშაობა, 1986 წლის ოქტომბერში ტერიტორიის დეაქტივაციისა და სარკოფაგის

აშენების შემდეგ ჰ და ჰჰ ენერგობლოკები ახლიდან ამუშავდა, 1987 წელს ამუშავდა მე-3 ბლოკიც. 1991 წელს მე-2 ბლოკში გაჩნდა ხანძარი და იმავე წელს გამოვიდა მწყობრიდან. 1995 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა მემორანდუმს უკრაინის მთავრობას, ევროპის საბჭოსა და დიდ შვიდიანს შორის, რომლის მიხედვითაც 2000 წელს დაიწყო სადგურის დახურვის პროგრამა. 2000 წლის დეკემბერში მე-3 ბლოკი სამუდამოდ დაიხურა. სარკოფაგი, რომელიც აფეთქებულ მე-4 ბლოკზე ააშენეს, თანდათან ინგრევა. საფარის დანგრევა კი გამოიწვევს მასში დარჩენილი რადიაქტიური ნივთიერებების ძალიან დიდ მანძილზე გაფრქვევას. 2004 წელს რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა გამოაცხადა ტენდერი ჩერნობილის ელექტრო-სადგურის სარკოფაგის რეკონსტრუქციაზე. ტენდერში გამარჯვებულად 2007 წელს ფრანგული კომპანია გამოცხადდა.

გრინპისი და საერთაშორისო ორგანიზაციები - “ექიმები ატომური ომის წინააღმდეგ” ამტკიცებენ, რომ ავარიის შედეგად 10000 ადამიანი დაიღუპა, აღნიშნულ მოვლენებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ანთროპოგენური ზემოქმედების მოხსნამ დადებითად იმოქმედა რეზერვების ეკოსისტემაზე. მუტაციის რაოდენობა მცენარეებსა და ცხოველებში არცთუ ისე შესამჩნევად, მაგრამ მაინც გაიზარდა. მდინარეებისა და გარემოს დაბინძურების დონე დღესდღეობით დაბალია, თუმცა ზოგიერთ “დახურული” ტბაში, სადაც გამავალი და შემავალი წყლები არ არსებობს, წყალში არსებული ცეზიუმის კონცენტრაციის და თევზების დაბინძურება დღეს ჯერ კიდევ საშიშროებას წარმოადგენს.

ამჟამად დაბინძურების დონემ ძლიერ დაიწია და ახლა რადიაციის დონე უმეტეს ადგილებში დაუბრუნდა ფონურ ნიშნულს. ჩერნობილის სტრატეგია მართლაც უდიდესი გაკვეთილია არა მარტო პოსტკომუნისტური ქვეყნების, არამედ მთელი პლანეტისთვის.

დასკვნა

მდგრადი ეკონომიკური განვითარება და “მწვანე ეკონომიკა” კაცობრიობას შეუნარჩუნებს იმ ბუნებრივი რესურსების პოტენციალს, რაც დღესდღეობით გააჩნია, რათა მომავალი თაობები არ დადგნენ სურსათის უსაფრთხოებისა და იმ გლობალური ეკოლოგიური კატასტროფების წინაშე, როგორცაა, გაუდაბნობა, მიწის ეროზია, და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
2. თეთრაული ც. ხორვატიის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი. 2016.
3. <[https://studbooks.net/1873/geografia/zeme Inye resursy](https://studbooks.net/1873/geografia/zeme%20Inye%20resursy)>.

**SOME ISSUES OF NATURAL RESOURCES USE
IN POST-COMMUNIST COUNTRIES**

Summary

Life history is closely linked to soil history. Because land is an indispensable, immovable, and inexhaustible resource everything comes from him and everything goes back to him. The contradiction between population growth and food security is especially evident when it comes to the use of land resources, with an annual turnover of 7-8 million hectares of arable land. Soil erosion is a global problem. The only alternative to conservation of land resources is its conservation, as well as the transition to natural methods of land cultivation to preserve for future generations vital intergenerational resources such as land. Natural resources are shrunk as "shagreen skins" and if humanity does not take this fundamental problem wisely, future generations will surely face an ecological apocalypse.

ლია დვალიშვილი

გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და საქართველო

ანოტაცია. ნაშრომში მიმოხილულია ეკოლოგიური პრობლემების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ, მითითებულია ამ პრობლემათა საზოგადოებაზე ზემოქმედების მასშტაბებზე.

ვრცლად მიმოხილულია გლობალურ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირსა და გლობალურ გარემოში საზოგადოების საქმიანობის შედეგებზე.

გამოკვეთილია ბიოუსაფრთხოების საკითხების მჭიდრო ურთიერთკავშირი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ კომპონენტებთან.

აღნიშნულია საქართველოს მდგომარეობა სხვადასხვა დამაბინძურებლის გამონაბოლქვის ფონზე და ამ მიმართულებით გარემოს დაცვის პოლიტიკის განსაკუთრებული აქცენტების შესახებ.

მითითებულია, როგორ უნდა შეფასდეს გარემოს დაცვა და რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და შექმნილი კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნულია ადამიანების ბუნებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დეგრადაცია, ბუნებრივი გარემო, ექსტერნალიები, საკანონმდებლო სისტემა, ეკოლოგიური კანონმდებლობა, ეკოლოგიური დამბინძურება, ბუნებათსარგებლობის გლობალური ხასიათი, ეკოლოგიური წონასწორობა.

გარემოს გლობალური გაბინძურების ახლანდელი ტემპის შენარჩუნება სასწორზე დებს თანამედროვე ცივილიზაციას და მთლიანად ბიოსფეროს გადარჩენის პრობლემას და ბუნებაში „ნასროლი ბუმერანგი“ ადამიანს უკანვე უბრუნდება. მეცნიერთა შეფასებით, ბუნებათსარგებლობის შერწყმა ბუნების დაცვასთან, თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის ძირითად პირობადაა მიჩნეული.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკოლოგიური ტენდენციები აშკარად შემაშფოთებელია, ამიტომ ადამიანისთვის სასიცოცხლო სივრცის, გეოგრაფიული გარემოს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნება არა მარტო

გარკვეული ქვეყნების შიდა, არამედ საერთაშორისო პრობლემაა, რადგან ეკოლოგიური პრობლემებისთვის არ არსებობს ცნება „სახელმწიფო საზღვარი“.

გლობალური სასიცოცხლო გარემოს დეგრადაციამ თავისი ასახვა პოვა ადამიანის ერთადერთი სასიცოცხლო სივრცის შენარჩუნებაზე. ბუნებათსარგებლობას აქვს არარაციონალური ხასიათი, რომლის პირობებშიც ბუნებრივი რესურსები მოიხმარება ზემასშტაბურად, ბუნების რესურსული და ეკოლოგიური პოტენციალის გაუთვალისწინებლად. უხეშად ირღვევა რაციონალური ბუნებათსარგებლობის მთავარი პრინციპი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მათი დაცვა-აღდგენის ერთიანობის შესახებ. ყოველივე ამან გამოიწვია ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია და სასწორზე აღმოჩნდა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების მდგომარეობა.

არარაციონალური ბუნებათსარგებლობით გამოწვეული დეგრადაცია შეეხო ბუნების ყველა ელემენტს. მისი შედეგია სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართომასშტაბიანი გაუდაბნობა, ტყის საფარველის თითქმის განახევრება, ატმოსფეროსა და წყლის ძლიერი დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება.

გლობალური ეკოლოგიური სისტემის დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად (მიზეზად) მიჩნეულია წარმოების და სხვა სახის ნარჩენებით (ყველა აგრეგატული მდგომარეობით) ზეგაბინძურება. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მთლიანი ნედლეულის 95%-მდე ნარჩენებზე მოდის. მყარი ნარჩენების საერთო რაოდენობა კი, რომელიც განთავსებულია ნაგავსაყრელებზე, საცავებზე, პოლიგონებზე და სხვ. 80 მლრდ ტონას აღწევს. მრავალნარჩენიანი ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებიდან უპირველესად გამოსაყოფია რუსეთი, სადაც საშუალო წლიურად 7 მლრდ ტონა მყარი ნარჩენი გროვდება.

გაბინძურების შედეგად მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია შეიქმნა ატმოსფეროში. ატმოსფეროს ჰაერის დეგრადაცია გამოიხატება ქიმიური, ფიზიკური და სითბური გაბინძურებით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია გლობალური დათბობის ნათლად გამოხატული ტენდენცია, რაც თანამედროვე გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა.

ასევე გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის (კრიზისის) ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ეკოლოგიური შედეგია პლანეტის გენოფონდის გაღარიბება და ბიომრავალფეროვნების შემცირება.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი გლობალური ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სიმწვავეითაა გამოხატული. მისი გამომწვევი ფაქტორებია: ფიზიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და რესურსული ფაქტორები. ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა ქმნის განსაზღვრულ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ სიტუაციას.

ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა ეხება საქართველოსაც.

გარემოს დაცვის საკითხები XXI საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისათვის და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მოუტანოს მსოფლიო ეკონომიკას.

ბუნების დეგრადაციაზე რეაქცია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში გამოიხატა გარემოს დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის შექმნით. მოცემულ სახელმწიფოებში გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის განვითარების არსებით იმპულსად მიჩნეული იყო და არის საზოგადოებრივი ეკოლოგიური მოძრაობა. გარემოს

დაცვის სფეროში მიღებული კანონები უმეტესწილად არის რეაქცია მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემაზე.

ქვეყნებს შორის გარემოს დაცვის საკითხები განსხვავებულია. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყანა არეგულირებს გარემოს დაბინძურებას, ქიმიური ნარჩენების გადამუშავებას, სამუშაოზე ქიმიური მასალების გამოყენებას სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. ეს კანონები არ გააჩნია ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას, რაც მულტიეროვნულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, იმაზე უფრო მაღალი დონით დააბინძურონ გარემო, ვიდრე დასაშვები იქნებოდა მათ ქვეყნებში.

რამდენადაც საერთაშორისო კომპანიებს ზოგიერთ ქვეყანაში არ მოეთხოვებათ გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება, რაც საკმაოდ დანახარჯიანია, ისინი, წარმოების დანახარჯების შემცირების მიზნით, იყენებენ ამ შესაძლებლობას და ამით რეალურ საფრთხეში აგდებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ასეთ კომპანიებს ურჩევნიათ დაბალი დანახარჯებით აწარმოონ პროდუქცია და ამით მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა.

„ბუნებრივი გარემო“ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ნაწილი, რომელიც „საერთო საკუთრებაა“ და დაუშვებელია მისი განადგურება. თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციებმა შეიძლება ხელი შეუწყონ „საერთო საკუთრების“ გლობალურ ტრაგედიას ნარჩენების გადატანით იმ მიდამოში, სადაც მათ თავისუფლად შეუძლიათ ატმოსფეროს დაბინძურება. ასეთი ქმედებებით კომპანიები არღვევენ ეთიკურ ნორმებს და თავიდან იხსნიან სოციალურ პასუხისმგებლობას.

ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონახობა და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ნაწილი, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა სახელმწიფო მმართველობის გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მაინც ექვემდებარება ამ საერთაშორისო პროცესს.

1995 წლის კონსტიტუციით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას.

საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას. საქართველომ საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე დააფიქსირა საკუთარი პოლიტიკური ნება, წვლილი შეიტანოს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში.

გასული 25 წლის განმავლობაში გლობალურ ეკონომიკაში მოხდა სწრაფი ცვლილებები. ეკონომიკური წინსვლა აისახება იმაში, რომ უფრო მეტი ერები უერთდებიან განვითარებულ მსოფლიოს. ფართო გლობალიზაციას აქვს თავისი რისკებიც. საქართველო განიცდის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს, რადგან ცდილობს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ქვეყანას ამ სისტემაში სწრაფი ინტეგრაციის შესაძლებლობა რომ მიეცეს, საჭიროა მას გააჩნდეს გლობალური ეკონომიკის ხედვა, დამყარებული თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე.

ქვეყანა რთული გამოწვევების წინაშეა. საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, ეს პროცესი ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების წარმოებაში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას ითხოვს, რადგან ექსტერნალიები არღვევს წონასწორობას საზოგადოებას, ეკონომიკასა და ბუნებას შორის.

ეს მოვლენა განსაკუთრებით ეხება საქართველოს, სადაც ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობის, მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. ასეთი ტექნოლოგიები ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებასა და ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიური და მენეჯერული უზრუნველყოფით უნდა განვითარდეს, რაც მნიშვნელოვნად შეაკავებს გარემოზე დატვირთვის ზრდას.

სწორედ ამიტომაც ეს პრობლემა აქტიური განსჯის თემა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მწვავედება გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. გარემოს დაცვამ ფართო მასშტაბები შეიძინა და სახელმწიფო რეგულირების ორბიტაში მოექცა.

საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. ეკონომიკის განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგის გაზი, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს, ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიზარდოს სტიქიურ კატაკლიზმებში.

აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მომწამვლელი აირებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტის გამონახლოქვი რჩება. კერძოდ, ნახშირორჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესამჩნევი ხდება ღია სივრცეების და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე. ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან ჟანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. ერთი ჰექტარი ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი.

გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ასევე ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენით მოუწესრიგებელი ნაგავ-

საყრდენებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს. გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისაგან, ასევე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რესურსეფექტურობას და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების გაცალკევებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

რადგან ჩვენი ქვეყნის წინაშე ბუნებრივი გამოწვევებია, საჭიროა ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გრემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად, რაც ახალ პროფესიულ ჰორიზონტს გახსნის ქვეყნისათვის.

საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მეთოდებისა და ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისთვისაა მიზანშეწონილი, სახელმწიფომ კი, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველმა, უნდა დაადგინოს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური წარმოების საზღვრები. ეკოლოგიური კანონმდებლობა ხომ მოსალოდნელი ზარალის თუ საფრთხის აცილებისკენაა მიმართული.

რადგან ეკოლოგიურ დაბინძურებას საზღვრები არ გააჩნია, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და შექმნილი კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საკმარისი არაა დამოუკიდებელ, სტაბილურ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, აქ საჭიროა ყველა სახელმწიფოს ჩართულობა, რადგან ბუნებათსარგებლობის გლობალური ხასიათი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ითხოვს სახელმწიფოთა მხრიდან ერთობლივ მოქმედებას. სასურველია გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, როგორ ანდომებენ თავიანთ შრომას და ძალისხმევას მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას რეგიონში, ერთობლივი ძალისხმევით როგორ მუშაობენ საერთო მიზნის - გარემოს დაცვისა და მდგრადი მომავლის აშენების მიმართულებით და საერთოდ რას ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნის სტრატეგიული გეგმა გარემოს დაცვის მიმართულებით.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ გარემოს ვქმნით ჩვენ. ჩვენმა არაგონივრულმა დამოკიდებულებამ ბუნებისადმი შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას.

დიდია ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობა ბუნების წინაშე. გლობალურ სამყაროში სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის გამო მრავალი ეთიკური პრობლემა ჩნდება. ცნობილია, რომ რაც ერთ ქვეყანაში მიჩნეულია ჩვეულებრივ ქმედებად, მეორეში არაეთიკურია. ამ პრობლემებს შორისაა მოქცეული ეკოლოგიური წესრიგის სფერო. მომწამვლელი ნივთიერებებისაგან მომუშავეთა დაცვა ერთნაირად სჭირდება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობას.

ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მოკრძალებული დამოკიდებულება ბუნების მიმართ. ადამიანმა თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები უნდა მიმართოს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ხომ ეკოლოგიური წონასწორობის დაცვაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დვალიშვილი ლ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 2019.
2. დვალიშვილი ლ., ატმოსფეროს დაცვა - მდგრადი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული, მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები, თბილისი, 2017.
3. სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., მარგველანი გ., ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია, თსუ გამომცემლობა, 2011.
4. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
5. www.wikipedia.org.ge.
6. <http://www.Unece.org/env/epr/>
7. <http://ecolog.ru/mejdunarodnij-org-opit-v sfere-ohrani-atmosfernogo-vozduha-razviti.htm/>
8. www.rec.org.

Lia Dvalishvili

GLOBAL ECOLOGICAL PROBLEMS AND GEORGIA Summary

The paper reviews the general environmental significance of ecological problems and indicates the magnitude of their impact on society.

The overview of the close relationship between global problems and the results of community action in a global environment is discussed in greater detail.

The close relationship between biosafety issues with the most important ecological components of the country is highlighted.

ზურაბ ნოზაძე

ეკოლოგიური მენეჯმენტის მექანიზმი და მისი მნიშვნელობა მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში

ანოტაცია. ეკოლოგიური პოლიტიკა მიმართულია იმ ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს მდგრად განვითარებას.

ეკოლოგიური პოლიტიკა სტანდარტის მიხედვით განსაზღვრავს ეკოლოგიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საწარმოს მოვალეობას ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში. ეკოლოგიური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასება – ეს არის მონაცემების შეკრების, ანალიზისა და ინფორმაციის მუდმივი პროცესი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. საწარმოს ეკოლოგიური

მენეჯმენტი წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის მენეჯმენტის ნაწილს, ერთ-ერთ მიმართულებას საწარმოს საბაზრო ურთიერთობაში.

ეკონომიკური მენეჯმენტის სისტემა შედის საწარმოს მენეჯმენტში და მისი ხელმძღვანელია საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვიყენოთ ინოვაციური მეთოდები საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის განხორციელებისას.

ეკოლოგიური მაჩვენებლები ახასიათებს წარმოების პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამხმარე საქმიანობას, ისინი ახასიათებენ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების ფუნქციონირებას და ხელმძღვანელობის მოქმედებას მის გასაუმჯობესებლად. აუცილებელია, პერიოდულად მოხდეს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების აუდიტი იმ მიზნით, შეესაბამება თუ არა კრიტერიუმებისა და სტანდარტების მოთხოვნებს. საწარმოს ხელმძღვანელი პერიოდულად უნდა განიხილავდეს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის მუშაობას მისი ადეკვატურობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები. ეკოლოგიური პოლიტიკა, ეკოლოგიური მენეჯმენტი, მდგრადი განვითარების ეკოლოგიური მაჩვენებლები, ინოვაცია, ბუნებათსარგებლობა, ეკონომიკური ეფექტიანობა.

ეკოსისტემის სხვადასხვა ტიპის განხილვისას საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ეკოსისტემის სტრატეგიის განვითარებისათვის განმსაზღვრელი ფაქტორია სისტემის ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელება. ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება მიმართულია ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს მდგრად მდგომარეობას.

საერთაშორისო დოკუმენტები სტანდარტიზაციის შესახებ ეკოლოგიური პოლიტიკის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა:

- ეკოლოგიური პოლიტიკა ეს არის საწარმოს განაცხადი თავის მიმართულებაზე, პრინციპებზე, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საერთო ეფექტიანობაზე. ეკოლოგიური პოლიტიკა სტანდარტის მიხედვით განსაზღვრავს ეკოლოგიური საქმიანობის მიზანსა და ამოცანებს, საწარმოს მენეჯმენტის ეკოლოგიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საწარმოს მოვალეობას ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში. საბოლოო ანგარიშით, ამ პირობების დაცვა განსაზღვრავს საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ეკოლოგიური ეფექტიანობის შეფასება – ეს არის მონაცემების შეკრების ანალიზისა და ინფორმაციის მუდმივი პროცესი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მდგრად განვითარებას.

ეკოლოგიური ეფექტიანობის შეფასების მეთოდებს განასხვავებენ დასახული მიზნების ურთიერთკავშირში, მაგრამ ნებისმიერ ვარიანტში ყველა მეთოდისათვის საერთოა მაჩვენებლთა ერთგვაროვნება, ინტეგრირებული სისტემური მიდგომა და შეფასების არსებული სიდიდის გამოყენება.

ყველა შეფასებითი ეკოლოგიური მაჩვენებლები ჯგუფდება შემდეგნაირად:

- ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ეფექტიანობის ინდიკატორები, რომლებიც სისტემას უზრუნველყოფს ინფორმაციით, რომლებიც ეხება მმართველობით გადაწყვეტას, ეკოლოგიური ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

- ამასთან ერთად, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკა და პროგრამა, შესაბამისი მოთხოვნილებები, ფინანსური შესაძლებლობები, საზოგადოებასთან ურთიერთობების ორგანიზაცია.

- ფუნქციონირების ეფექტიანობის ინდიკატორები, რომლებიც იძლევა ინფორმაციას საწარმოს ეკოლოგიური ეფექტიანობის შესახებ, ანუ საწარმოს ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე; ფუნქციონირების ეფექტიანობის მაჩვენებლები შეიძლება დავეყთ შემდეგნაირად: შემადგენელი (ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია, გაზი); წარმოების საშუალებები და მოწყობილობები (შენობები, ნაგებობები, დანადგარები, მწვანე ზონები, სატრანსპორტო გამონაბოლქვები); გამოსული ნაკადების მაჩვენებლები (გამოფრქვევები ატმოსფეროში, ჩამდინარე წყლებში ჩაშვებული მავნე ნივთიერებები, პროდუქციის შემადგენლობაში მოხვედრილი მავნე ნივთიერებები).

ეს ყველაფერი არის ინსტრუმენტი წარმოდგენილი მონაცემების ექსპლუატაციის შესახებ, აგრეთვე შეიძლება იყოს საფუძველი:

ბუნებადამცავი მოქმედების ფინანსური მართვისათვის.

- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას აძლევს საწარმოს, გამოავლინონ თავიანთი ახლანდელი და პოტენციური გავლენა ეკოსისტემაზე (მაგალითად, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის განსაზღვრა ატმოსფეროში, ნიადაგში, წყალში). ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების შემუშავება და მიღება უმეტესწილად წარმოდგენს ადგილობრივი, რეგიონული, ნაციონალური, საერთაშორისო სამთავრობო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფუნქციას.

- ეკოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებლების ერთობლიობა პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული რენტაბელობასთან, ორგანიზაციის ტიპისა და ზომის შესატყვისობასთან, მის მოთხოვნილებასა და პრიორიტეტებთან, პირველ რიგში აღნიშნოს საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზემოქმედება.

- ეკოლოგიური ეფექტიანობის შედეგების შეფასების ანალიზის დროს, როგორც წესია, ითვალისწინებენ:

- საწარმოო დანახარჯებით მიღწეული შედეგების ეფექტიანობას;

- ეკოლოგიური ეფექტიანობის მიღწევის პროგრესი;

- საწარმოს მიერ აღებული ეკოლოგიური ეფექტიანობის კრიტერიუმების მისაღებლობა;

- მონაცემების წყაროების გამოყენება, მისი ხარისხი, აგრეთვე ინფორმაციის შეკრების მონაცემთა მეთოდები, რომლებიც მიღწეულია ეკოლოგიური ეფექტიანობის შეფასებისას.

- აუცილებელი მოქმედების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური ეფექტიანობის შესაბამისობას დადგენილ კრიტერიუმებთან;

- ძირითადი ეკოლოგიური ასპექტების იდენტიფიცირება;

- ეკოლოგიური ასპექტების მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა;

- ეკოლოგიური ეფექტიანობის ცვლილების ტენდეციების გამოვლენა;

- საწარმოს, ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის და შედეგიანობის ამაღლება;

- სტრატეგიული შესაძლებლობების იდენტიფიცირება, საწარმოს მართვის ეფექტიანობის შეფასების გამოკვლევისას მისი ეკოლოგიზაციის პროცესში მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: ინფორმაციის შეკრება, ანალიზის გაკეთება, სისტემატიზაცია, განზოგადება, ფორმირების (სერტიფიკაციის) პერიოდის მომცველობა, საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ფუქნციონირება;

- საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტი წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის მენეჯმენტის ნაწილს, ერთ-ერთ მიმართულებას საწარმოს საბაზრო ურთიერთობაში.

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური მენეჯმენტი მოცემულ სტრუქტურაში შედის საწარმოს მენეჯმენტში და მისი ხელმძღვანელია საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილე (მმართველი, მენეჯერი). მმართველობის ასეთ სისტემაში ეკოლოგიური მენეჯმენტი შეიძლება გამოდიოდეს იურიდიული პირის სახით. მარკეტინგული გამოკვლევების ანალოგიების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის და ბიზნეს დაგეგმვით პროდუქციის წარმოება და შეკვეთა უნდა იყოს გათვალისწინებული საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში.

- საწარმოს ეკოლოგიურმა პოლიტიკამ და მენეჯმენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგი ფაქტორების გავლენაზე:

- ეკოლოგიური მოღვაწეობის მდგომარეობის ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის ტერიტორიის საწარმოს თავისებურებები;

- ეკოლოგიური საქმიანობისას გაითვალისწინოს მოსალოდნელი ფინანსური ხარჯები და მოძებნოს მისი დაფარვის წყაროები;

- გაითვალისწინოს ეკოლოგიური რისკები, მეთოდები მისი რეგულირები-სათვის და კომპენსაცია მოცემული ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და ზიანით და შეიმუშაოს ეფექტიანი მეთოდები ამ მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად და შესამცირებლად.

- შეიმუშაოს ღონისძიებები ავარიული და კატასტროფული სიტუაციების დიაგნოსტიკისა და აღმოფხვრისათვის;

- მასალების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების რეგულირება. ენერგომატარებლების, მასალების, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვა;

- პროდუქციის გამოშვების ციკლის ანალიზი და მისი შესატყვისობა ბუნებრივი გარემოს მოთხოვნილებასთან;

- საწარმოს მომსახურე პერსონალის და სპეციალისტების მომზადება საწარმოს საქმიანობის ეკოლოგიზაციის პრობლემებზე;

- განათლება და მმართველობის სპეციალიზებული სტრუქტურების დანერგვა;

- ბუნებრივი გარემოს დაცვის მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული უფლებრივი აქტების შესრულების მოვალეობა;

- საწარმოს მიერ იმ ღონისძიებების შესრულება, რომელიც ეხება ბუნებრივი გარემოს დაცვას, ტექნიკურ უსაფრთხოებას, სანიტარული პირობების დაცვას, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

- საწარმოს საქმიანობის შეფასება და ეკოლოგიური პარამეტრების მონიტორინგი და მათი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე;

- საწარმოს პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის ეკოლოგიური პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტაციის საერთო-სახალხო მისაწვდომობა, რადგანაც ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა საერთო მმართველობის მექანიზმის ნაწილია, ის უნდა იბრძოდეს საერთო მიზნების მისაღწევად და შეასრულოს განსაკუთრებული ფუნქციები ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

- ეკოლოგიური მენეჯმენტი საწარმოში ჯერ კიდევ არ არის იმდენად სრულყოფილი, მიიღოს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილება საწარმოს ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესების საქმეში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საწარმოს

ეკოლოგიური მენეჯმენტის განხორციელებისას გამოვიყენოთ ინოვაციური მეთოდები.

განვიხილოთ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის საწარმოში განხორციელების პროცესების შესაძლო სქემა:

- პირობების შექმნა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარებისათვის;
- ეკოლოგიური ასპექტების კონტროლი;
- კანონმდებლობასთან მოთხოვნილების შესაბამისობა;
- საქმიანობის ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება;

- საგარეო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შექმნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინასწარი ეკოლოგიური შეფასება, ობიექტური დამოუკიდებელი, დასაბუთებული სისტემური მიდგომა, საწარმოს სიტუაციის დოკუმენტირებული შეფასება, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის მომენტისათვის მისი შემდგომი დამუშავების რეკომენდაციების გაუმჯობესება. იგულისხმება, რომ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა ინტეგრირებულია საწარმოს, ორგანიზაციის მართვის საერთო სისტემასთან.

ასეთი შეფასების მიზანია აუცილებელი მონაცემების შეკრება, რომელიც ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას და ანალიზს შეუწყობს ხელს და უფრო ეფექტურს გახდის ბუნებათსარგებლობას.

ეს შეფასება მოიცავს კვლევისა და ანალიზის შემდეგ ელემენტებს:

- აუცილებელი პროცედურების მიღება და დოკუმენტირება;
- საწარმოს საქმიანობის შესაბამისობა საკანონმდებლო და ნორმატიულ მოთხოვნილებასთან;
- წარდგენილი ეკოლოგიური პოლიტიკა საწარმოში;
- ნედლეულისა და დამხმარე მასალების გამოყენება;
- ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება და საწარმოს საქმიანობის ეკოლოგიური ასპექტები;

- გაზრდილი რისკის ფაქტორი და მზადყოფნა მოულოდნელ, არაშტატიან სიტუაციაზე;

- დაინტერესებულ მხარეებთან საწარმოს ზემოქმედების შემდეგი ეტაპია – ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, მოცემულ სიტუაციაში ეს არის სპეციალური დოკუმენტი საწარმოს პრინციპებისა და განზრახულობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს საფუძველს საწარმოს ეკოლოგიური მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისათვის. ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ბუნებაში ეკოლოგიური ზემოქმედების მასშტაბებს, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობასა და მომსახურებაში.

დოკუმენტი უნდა გაეცნოს საწარმოს, ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებრიობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის კანონმდებლობის ფარგლებში.

ეკოლოგიური ზემოქმედების, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნილების გათვალისწინებით საწარმომ, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ეკოლოგიური მიზნები და ამოცანები.

მიზნები და ამოცანები დაფუძნებული უნდა იყოს საწარმოს ეკოლოგიურ პოლიტიკაზე და განსაზღვრული უნდა იყოს მათი ფუნქციები და დონეები. დასახული მიზნების მისაღწევად საწარმოში მუშავდება ეკოლოგიური მენეჯმენტის პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

პროგრამის განხორციელებისათვის მუშავდება განსაკუთრებული პროცედურები და განისაზღვრება პრიორიტეტები. საწარმომ უნდა განახორციელოს საწარმოს საქმიანობის მონიტორინგი ან ძირითადი პარამეტრების გაზომვა, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს ბუნებრივ გარემოზე.

პროცედურებმა უნდა მოიცვას საწარმოს საქმიანობის ყველა მხარე სანედლეულო მასალების მიწოდებიდან, მზა პროდუქციის რეალიზაციამდე, ყველა ასპექტი, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს ბუნებრივ გარემოზე.

ეკოლოგიური მაჩვენებლები ახასიათებს წარმოების პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც ძირითად, ისე დამხმარე საქმიანობას.

ისინი ახასიათებენ ეკოლოგიური სისტემების და მენეჯმენტის ფუნქციონირებას და ხელმძღვანელობის მოქმედებას მის გასაუმჯობესად. აგრეთვე აღწერენ ინფორმაციას ადგილობრივ რეგიონულ, გლობალურ დონეზე, ეკოლოგიურ ან ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას მიმდინარე მომენტში.

აუცილებელია, პერიოდულად მოხდეს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების აუდიტი იმ მიზნით, შეესაბამება თუ არა ის კრიტერიუმებისა და სტანდარტების მოთხოვნილებებს, აუდიტი შეიძლება განხორციელდეს როგორც საწარმოს, ისე სხვა მხარის მიერ.

საწარმოს ხელმძღვანელი პერიოდულად უნდა განიხილავდეს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის მუშაობას მისი ადეკვატურობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, საწარმომ უნდა გამოაქვეყნოს ყველა პროცედურა და მათი შედეგები, მონიტორინგის მონაცემები.

სამრეწველო საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი

№	ეკოლოგიური საქმიანობის მიმართულებები	ეკოლოგიური ნორმატივები
1	ბუნებათსარგებლობა	მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯები
2	ბუნებრივი გარემოს დაცვა	მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯები. მარაგები და რეზერვი
3	პროდუქციის წარმოქმნის ტექნოლოგიის ეკოლოგიის ეკოლოგიზაცია	მოგების გეგმიური ნორმა ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისაგან
4	ეკოლოგიური ინფორმაციული უზრუნველყოფა	საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასება
5	ეკოლოგიური უსაფრთხოება ავარიული სიტუაციების დროს	ეკოლოგიური ზიანის მიყენების შეფასება
6	საწარმოს ეკოლოგიური მდგომარეობა	ნორმატიული დანახარჯები სერტიფიკაციაზე

გამოყენებული ლიტერატურა

1. Белов Г. В. - „Экологический менеджмент предприятия“ - Москва, 2006.
2. Трифонов Т. А. - „Экологический менеджмент“, Москва, 2005.
3. Данилов – Данильян В. И., Лосев К. С. - „Экологический вызов и устойчивое развитие“ – Москва, 2007.
4. Глухов В.В., Некрасова Т.П. - „Экономические основы экологии“ - Москва, 2003.
5. Федцов В.Г., Дрягилев Л.А. - „Экология и экономика природопользования“ - Москва, 2003.
6. Сорокин Н. Д., Цокорнова Т.В. - „Оценивание Экологической эффективности в рамках систем менеджмента“ - Москва, 2006.

ECOLOGICAL MANAGEMENT MECHANISM AND ITS IMPORTANCE IN THE DEVELOPMENT OF A SUSTAINABLE ECONOMY

Summary

Environmental policy-making is aimed at addressing key goals and objectives that contribute to the sustainable development of the natural environment.

The environmental policy defines the organizational structure of the ecological standardization, the responsibility of the enterprise in protecting the natural environment according to the standard. Evaluating the effectiveness of environmental management is a continuous process of data gathering, analysis and information that determines the sustainable development of the economy. Environmental management of an enterprise is a part of the management of an enterprise, one of the areas in the enterprise's market relations.

The economic management system is included in the management of the enterprise and is headed by the Deputy CEO.

It is advisable to use innovative methods in environmental management of the enterprise.

Ecological indicators characterize the production process, which includes both primary and auxiliary activities, characterize the functioning of environmental management systems, and guide action to improve it. Environmental management systems need to be audited periodically to determine whether criteria and standards requirements are met. The head of the enterprise should periodically review the performance of the ecological management system in terms of its adequacy and effectiveness.

Кристине (Кетеван) Кураташвили

ЧЕЛОВЕЧЕСКИЙ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНЫЙ КАПИТАЛ И ФАКТОР КУЛЬТУРЫ

Аннотация. Исследование проблем человеческого капитала является одной из наиболее важных направлений в экономической науке, ибо человек играет главную роль в функционировании экономики и общественной жизни.

Притом, особое значение имеет человеческий интеллектуальный капитал, так как интеллект приобретает принципиальную значимость в современном цивилизованном мире.

В качестве человеческого интеллектуального капитала в научном труде рассматривается, прежде всего, фактор культуры, и, в частности, духовная культура – как необходимая интеллектуальная основа социально-экономического прогресса.

Ключевые слова: Человеческий интеллектуальный капитал, Фактор культуры, Социально-экономический прогресс.

Введение

Постановка проблемы. С учётом значимости человеческого капитала, особой необходимостью является исследование проблем человеческого интеллектуального капитала, ибо человеческий интеллект играет главную роль в процессе функционирования экономики и управления обществом и государством.

Притом, решение проблем человеческого интеллектуального капитала непосредственно связано с фактором культуры, и, в частности, с духовной культурой.

Следовательно, именно вышеотмеченным определяется актуальность темы исследования.

Анализ последних исследований. Анализ имеющихся научных исследований приводит к научно обоснованному выводу о том, хотя проблемам человеческого капитала уделяется немалое внимание, но, вместе с тем, не уделяется должное внимание исследованию человеческого интеллектуального капитала, а, тем более, его связи с фактором культуры, и, в частности, с духовной культурой.

Хотя исследование данных проблем имеет принципиальное значение для эффективного функционирования экономики и для социально-экономического прогресса в целом.

Цель и задачи исследования. Целью научного исследования является внедрение, как в процессе научных исследований, так и в управлении обществом и государством, фактора культуры, и, в

частности, духовной культуры – как необходимой интеллектуальной основы эффективного функционирования человеческого фактора и социально-экономического прогресса в целом.

Задачей научного исследования является обоснование принципиальной важности внедрения, как в процессе научных исследований, так и в управлении обществом и государством, фактора культуры, и, в частности, духовной культуры – как необходимой интеллектуальной основы эффективного функционирования человеческого фактора и социально-экономического прогресса в целом.

Научная новизна. Главной новизной научного исследования является рассмотрение фактора культуры, и, в частности, духовной культуры – как необходимой интеллектуальной основы эффективного функционирования человеческого фактора и социально-экономического прогресса в целом, что требует внедрения фактора культуры, и, в частности, духовной культуры, как в процессе научных исследований, так и в управлении обществом и государством в международном масштабе.

Изложение основного материала

Исследованию проблем человеческого капитала уделяется большое внимание в экономической научной литературе, что и неудивительно, так как человеку принадлежит главная роль в функционировании экономики и общественной жизни.

Притом, особая важность придаётся человеческому интеллектуальному капиталу, так как именно интеллект приобретает принципиальную значимость в функционировании экономики в современном цивилизованном мире.

Вместе с тем, исследованию проблем человеческого интеллектуального капитала не уделяется должное внимание, хотя при исследовании проблем человеческого капитала часто упоминается образование, наука и т.д.

В научных исследованиях, тем более, не уделяется должное внимание, фактору культуры, и, в частности, духовной культуре – как необходимой интеллектуальной основе эффективного функционирования человеческого капитала, принципиальная значимость которой не должна подлежать сомнению.

В частности, как отмечается, например, в Экономическом словаре:

«Человеческий капитал – термин, обозначающий накопленные знания, умение и мастерство, которыми обладает работник, и которые приобретаются им благодаря общему и специальному образованию, профессиональной подготовке, производственному опыту» [1].

В Энциклопедии Нестеровых, посвящённых Человеческому капиталу, даётся следующее определение человеческого капитала:

«Человеческий капитал представляет собой результат различных видов деятельности человека: получения образования, воспитания, трудовых навыков. Затраты на приобретение знаний расцениваются при этом как инвестиции, формирующие капитал, который впоследствии будет приносить его владельцу регулярную прибыль в виде более высокого заработка, престижной и интересной работы, повышения социального статуса и т.д.» [2].

Там же отмечается следующее:

«Теория человеческого капитала делает акцент на добавленной стоимости, которую люди могут создать для организации. Она рассматривает людей, как ценный актив и подчеркивает, что инвестиции организации в людей генерируют доходы, которые стоят затраченных средств. Устойчивого конкурентного преимущества можно достичь только тогда, когда у фирмы есть запас человеческих ресурсов, который не смогут имитировать или воспроизвести ее конкуренты, благодаря найму работников с ценными с точки зрения конкуренции знаниями и навыками, многие из которых трудно сформулировать» [2].

Затем, в Энциклопедии Нестеровых обращено внимание на сущность теории человеческого капитала:

«Суть теории человеческого капитала, – как отмечается в данной Энциклопедии, – заключается в том, что основной формой богатства являются материализованные в человеке знания и его способность к эффективному труду» [2].

«Основным положением теории человеческого капитала, – как отмечается далее в Энциклопедии, – является утверждение, что умение работника или группы работников добиться лучшего результата приводит к повышению их заработной платы. Для накопления и использования человеческого капитала, необходимы затраты на здравоохранение, образование, профессиональное, техническое обучение и другую деятельность, способствующую повышению производительности и качества труда» [2].

Таким образом, в исследовании проблем человеческого капитала, почти не выделяется человеческий интеллектуальный капитал, хотя при исследовании проблем человеческого капитала, *как уже отмечалось выше*, часто упоминается образование, наука и т.д.

Притом, важно ещё раз отметить, что в научных исследованиях, тем более, не уделяется должное внимание, фактору культуры, и, в частности, духовной культуре – как необходимой интеллектуальной основе эффективного функционирования человеческого капитала.

Вместе с тем, культура, под которой подразумевается, *прежде всего*, духовная культура, мной посвящено немало научных трудов [3; 4; 5; и др.].

В частности, «под культурой подразумевается мной, прежде всего, духовная культура: образование – как культура, наука – как культура, а также правовая культура, управленческая культура и т.д., что рассматривается в моих исследованиях, как комплексный фактор культуры.

Вместе с тем, фактор культуры в вышеотмеченном понимании, по моему убеждению, преимущественно представляет собой – непосредственно действующий фактор, тогда как художественная культура мне представляется в качестве преимущественно опосредованно действующего фактора государственного управления и социально-экономического прогресса.

Заслуживает быть отмеченным, что значение фактора культуры приобретает особое значение в условиях функционирования преимущественно рыночных отношений, нацеленных на получение максимальной прибыли.

Следовательно, в условиях преимущественно рыночных отношений, без эффективного использования фактора культуры, вообще, и, в частности, без использования правовой и управленческой культуры, ориентированной на реализацию интересов народа, рыночные отношения, в соответствии с их внутренней природой, могут привести лишь к антисоциальным результатам» [5, с. 589].

Следовательно, особая значимость человеческого интеллектуального капитала и принципиальная важность фактора культуры, и, в частности, духовной культуры – как необходимой интеллектуальной основы эффективного функционирования человеческого капитала и социально-экономического прогресса в целом, не подлежит сомнению.

Выводы

В заключение важно отметить безусловную значимость исследования проблем человеческого капитала и его эффективного использования в интересах народа.

Притом, особенно важно учесть значимость исследования проблем человеческого интеллектуального капитала и в связи с этим значимость исследования проблем культуры, и, в частности, духовной культуры – как необходимой интеллектуальной основы эффективного функционирования человеческого капитала.

Более того, фактор культуры, и, в частности, духовная культура является необходимой интеллектуальной основой не только эффективного функционирования человеческого капитала, но и социально-экономического прогресса в целом.

Использованная литература

1. Экономический словарь.

http://abc.informbureau.com/html/xaeiaaxaneee_eaieoae.html

2. Нестеров А.К. Человеческий капитал // Энциклопедия Нестеровых.

<http://odiplom.ru/lab/chelovecheskii-kapital.html>

3. Кураташвили Кетеван А. Культура – как важнейший фактор модернизации государственного управления. «Модернизационные процессы государственного и муниципального управления». Материалы Международной научно-практической конференции (4 апреля 2014 года). Часть вторая. Академия муниципального управления (Киев, Украина). Киев: Издательско-полиграфический центр Академии муниципального управления, в 2-х частях. Ч. 2, 2014. – с. 146-147.

4. Кураташвили Кетеван А. Иновационный подход к решению социально-экономических проблем: Культура и качество жизни. Международный научный журнал «Прогресс», 2017, №5-6. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2017. – с. 71-74.

5. Кураташвили Кетеван А. Фактор культуры и социально-экономический прогресс. Парадигмальные сдвиги в экономической теории XXI века: Материалы III Международной научно-практической конференции. 2-3 Ноября 2017 года. Киев: Киевский национальный университет имени Тараса Шевченко (Украина), 2017. – с. 588-591.

HUMAN INTELLECTUAL CAPITAL AND FACTOR OF CULTURE

Summary

The study of the problems of human capital is one of the most important areas in economic science, because a person plays a major role in the functioning of the economy and social life.

Moreover, human intellectual capital is of particular importance, since intelligence is of fundamental importance in the modern civilized world.

As a human intellectual capital in scientific work is considered, first of all, the factor of culture, and, in particular, spiritual culture – as a necessary intellectual basis of social-economic progress.

Key words: *Human intellectual capital, Factor of culture, social-economic progress.*

*ქეთევან შენგელია
ნიჩო მაღლაკელიძე*

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესის გავლენა მომავლის საგანმანათლებლო სისტემაზე

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესის როლი თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პროცესში და მისი გავლენა მომავლის საგანმანათლებლო სისტემაზე.*

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მომავლის განათლება, გლობალური სამყარო, ფრიეციული და სტრუქტურული უმუშევრობა, დასაქმება.*

შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად სამყაროში. ტექნოლოგიები წარმოუდგენლად სწრაფად იცვლება. განსაკუთრებით ეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ეხება. ინტერნეტმა სამყარო რადიკალურად შეცვალა, უფრო პატარა, გამჭვირვალე, გლობალურ-ვირტუალურ სივრცედ გადააქცია. ჩვენ წამებში ვიგებთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მომხდარ სიახლეებს.

ცხადია, ეს ყოველივე გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე. გამოწვევები განათლების მიმართ მუდმივად იცვლება. თუკი ადრე უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ადამიანს ათეული წლების განმავლობაში თან დაყვებოდა და არ იცვლებოდა, დღევანდელი კურსდამთავრებულისთვის სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. უნივერსიტეტში მიღებული ინფორმაცია ახალგაზრდამ მუდმივად უნდა განაახლოს და პრიორიტეტი თვითგანვითარებას მიანიჭოს. თუმცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწავლა საჭირო არ არის, ან ახალ ინფორმაციას ინტერნეტიდანაც მივიღებთ, რა საჭიროა უმაღლესი განათლება და სხვა, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. სკოლაც და უმაღლესი განათლებაც უნდა იყოს იმდაგვარი, რომ ახალგაზრდას განუვითაროს მახსოვრობა, კრეატიული აზროვნება, სიახლეებისაკენ სწრაფვა და თვითგანვითარების უნარი. ეს არ არის მარტივი საქმე.

გადავხედოთ საქართველოს შრომის ბაზარს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობა აღემატება 12,7%-ს, თუმცა NDI უფრო მაღალ მაჩვენებელზე მიგვითითებს. რამდენი შრომასმოწყურებული ადამიანია, რომელსაც სურს იპოვოს შესაბამისი სამსახური, მაგრამ არ ყოფნის კვალიფიკაცია ან არც არის სამუშაო ადგილები. იზრდება როგორც ფრიეციული, ასევე სტრუქტურული უმუშევრობა, რაც

მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი - 20,1% საკმაოდ მაღალია ასეთი პატარა ქვეყნისთვის.

უმუშევრობის დასაძლევად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კერძო სექტორს, რომელიც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით მოეკიდება თითოეულ ადამიანს. ინტელექტუალური კაპიტალის განვითარება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრების დონის ასამაღლებლად და სიღარიბის დასაძლევად. ასე ქვეყანაც უფრო ძლიერი გახდება და საზოგადოებაც განვითარდება.

განათლებისადმი მზრუნველობით მუდამ გამოირჩეოდა ევროპა. ვოლტერი, დიდრო, რუსო, მონტესკიე, კანტი, ჰეგელი და სხვათა პროგრესული იდეები დღესაც უნათებს ევროპელებს არცოდნის სიბნელეს. ისინი სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებენ და ყველაზე ფასეულად ცოდნას, გონებას მიიჩნევენ. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორმა თომას ჯეფერსონმაც იგივე მოსაზრება გაიზიარა, როცა აღნიშნა, რომ უცოდინარი ერი არასოდეს იქნება თავისუფალი. კაცობრიობის განვითარება მხოლოდ ცოდნას (განათლებას) ეფუძნება. ცოდნაა მისი პროგრესის უმთავრესი და უშრეტი რესურსი. ძველი ჩინური ანდაზაც ამაზე მიგვანიშნებს: ერთწლიანი გეგმის შედეგი შეიძლება იყოს ბრინჯი, ათწლიანი გეგმისა ხე, ხოლო მთელი სიცოცხლით დაგეგმვისათვის უნდა ასწავლო ხალხს.

სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად სწორედ **კრეატიულ-კოგნიტური აზროვნების განვითარებაა** მნიშვნელოვანი. ძირითადი აქცენტი ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებაზე უნდა გაკეთდეს. მომავალში მრავალი დარგი გაქრება, მაგრამ გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები სხვა სფეროში, რასაც ადამიანთა გადაძახდება დასჭირდება. ვინ აიღებს თავის თავზე ამ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო თუ ბიზნესი? ცხადია, ეს უნდა განხორციელდეს კერძო ბიზნესის ძალისხმევით და სახელმწიფოს ხელშეწყობით.

რაც შეეხება მომავლის განათლებას, როგორი იქნება ის, ამის წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია, ისევე, როგორც ჯონ როკფელერს ვერ წარმოედგინა ანტიბიოტიკების, მობილური ტელეფონის ან ინტერნეტის არსებობა. აბრაამ ლინკოლნმა არაფერი იცოდა ავტომობილების, თვითმფრინავების, რადიოს თუ ელექტრონათურების შესახებ. რუზველტი ვერც კი იფიქრებდა ქსეროქსზე ან მაგნიტოფონზე. ჯონ კენედი ვერც კი წარმოიდგენდა კომპიუტერების, DVD-ის და ინტერნეტის არსებობას...

ახალი ტექნოლოგიები ახალ ბაზრებსა და შესაძლებლობებს აჩენს. როდესაც ძველი ინდუსტრიები ახალ ტექნოლოგიებს ებრძვიან, ისინი კვდებიან. აშშ კვლევასა და განვითარებაზე წელიწადში 300 მილიარდზე მეტს ხარჯავს. დღეს მეცნიერები ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ფართო წრეს იკვლევენ, დაწყებული მზის ენერჯით, ელექტრომანქანებით, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებით, დამთავრებული ხმით მართვადი კომპიუტერებით და გენური ინჟინერიით.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ არის IT ევოლუცია, ინფორმაციული ბაზრის განვითარება. იგი საშუალებას იძლევა უფრო ნაკლები დანახარჯებით შეიქმნას სრულყოფილი ბიზნესმოდელი. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის“ სისტემაში მოსახვედრად საკმარისია ინტერნეტთან მიერთება, რათა შესაძლებელი გახდეს ინფრასტრუქტურის და პროგრამული უზრუნველყოფის სერვისების გამოყენება. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სერვისებთან დაშვება შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან სხვადასხვა მოწყობილობების (ნოუთბუქების თუ პლანშეტების)

გამოყენებით. თუმცა ჯერ არ არის ყველა ორგანიზაცია მზად ასეთი ტექნოლოგიების და გადაწყვეტილებების მისაღებად.

მაიკროსოფტის ლიცენზირებული „დრუბლოვანი ტექნოლოგია“ წარმატებით დაინერგა ჯორჯიან ავია სერვისის ეიჯენსიში (GASA). ეს არის office 365, მათ შორის დრუბლოვანი საცავი “One Drive ბიზნესი”, სადაც ტექნიკური სამუშაოები განახორციელა კომპანია „სინტაქსმა“. აღნიშნულმა კომპანიამ ასევე განახორციელა „დრუბლოვანი ტექნოლოგიის“ ტექნიკური სამუშაოები კომპანია „აქსისში“, რომელიც მიმდინარეობდა „მაიკროსოფტთან“ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. “One Drive ბიზნესის” დახმარებით შესაძლებელი ხდება ელექტრონულ დრუბლოვან საცავში შენახული ფაილები ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ინტერნეტის მეშვეობით.

მაიკროსოფტის ლიცენზირებული დრუბლოვანი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს ოპერატიული ინფორმაცია განათავსონ 2 კონტინენტზე გადაზღვეულ დაცულ დრუბლოვან საცავში, რაც მკვეთრად ამცირებს მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კომპანიებს მეტი დრო რჩებათ ბიზნესის განვითარებისათვის. საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფლებამინიჭებული თანამშრომლებისთვის. არსებობს კონტროლის არაერთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ქსელურ უსაფრთხოებას და დაცულობას. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება ინერგება სასწავლო პროცესებშიც, ელექტრონული სწავლების განვითარების მიმართულებით, ასევე სხვადასხვა არქიტექტურის და ოპერაციული სისტემის მქონე მოწყობილობებისთვის¹².

მიუხედავად დიდი გარანტიებისა, რასაც გვთავაზობს „მაიკროსოფტის“ და გუგლის ლიცენზირებული „დრუბლოვანი ტექნოლოგია“, რისკები მაინც არსებობს. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ არის კიბერშემოტევის ცალკეული შემთხვევები, რომლის დროსაც ტრადიციული დაცვის მექანიზმები სრულიად უშედეგო ხდება. დღეს მსოფლიოს გამოცდილი პროვაიდერები მუდმივად ცდილობენ რისკების აღმოჩენას და მათ გაუვნებელყოფას.

მუდმივად ვითარდება ხელოვნური ინტელექტი. ილონ მასკი აცხადებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ბევრად უფრო ჭკვიანი იქნება, ვიდრე ყველაზე გონიერი ადამიანი. როგორც შიმპანზე ვერ გაუგებს ადამიანს, ისე ვერ გაუგებს ადამიანი ხელოვნურ ინტელექტს. მასკი ამ ყველაფერში დადებით გავლენასთან ერთად ადამიანისთვის დიდ საფრთხესაც ხედავს. იგი აცხადებს, რომ ამჟამად მუშაობს თავის ტვინის მიკროჩიპებზე, რომლებიც ადამიანის ტვინს კომპიუტერთან დააკავშირებს. მან მსოფლიოს ნეირომეცნიერებს მოუყარა თავი ლაბორატორიაში, კალიფორნიის უნივერსიტეტში და ამ კვლევისთვის 100 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ტვინის და კომპიუტერის დაკავშირების ახალი ტექნოლოგიების შექმნის მცდელობისთვის მრავალი ადამიანია აღფრთოვანებული. ჯერ კიდევ პლატონი ოცნებობდა, ნეტავ შეიძლებოდეს „ორი სულის სიახლოვით ერთი სულიდან მეორეში სიბრძნის გადასხმა, ისევე, როგორც წყალი გადაისხმება სავსე თასიდან ცარიელში“. ამ ოცნების ასრულებაზე მუშაობს სწორედ ილონ მასკი. თუმცა არიან სკეპტიკურად განწყობილებიც. ფრაიბურგის უნივერსიტეტის მიკროტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლის თომას შტიგლიცის აზრით, ფანტასტიკას უფრო ჰგავს მოსაზრება

¹² ქეთევან შენგელია, „პროექტების მართვის და ბიზნეს სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები“, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, 2018, №4, გვ. 66.

იმის შესახებ, რომ არსებული ინფორმაცია შეიძლება მიკროჩიპით ჩაიტვირთოს ადამიანის ტვინში. იგი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ეთიკურ-სამართლებრივი მხარე საკმაოდ ბუნდოვანია. ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შესაძლოა ადამიანთა არსებობას საფრთხე შეუქმნას. თუმცა ვინ იცის?! მრავალი ფანტასტიკა ხომ აცხადდა...

მაგრამ საზოგადოებას პირველ რიგში ახალი ტექნოლოგიების უსაფრთხოება სჭირდება. იქნება გარკვეული რეგულირება მომხმარებელთა დასაცავად, რათა შეიქმნას ცხოვრების ჯანმრთელი, უკეთესი ხარისხი. როგორც ბრაიან თრეისი, მრავალი ბესტსელერის ავტორი აღნიშნავდა, ადამიანთა ბედნიერების 85% მომდინარეობს ადამიანური ურთიერთობებიდან, ხოლო მხოლოდ 15% მოაქვს პროფესიულ წარმატებებს.

მნელი წარმოსადგენია რა იქნება მომავალში. ერთი რამ კი ცხადია, თანამედროვე ადამიანისთვის გონების განვითარებაა მნიშვნელოვანი. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ ინტერნეტტექნოლოგიებით, გაჯეტებით არ შეიძლება. პირიქით, ზოგ შემთხვევაში საზიანოც კია. მაგალითად, საფრანგეთში სკოლის მოსწავლეებისთვის აიკრძალა მობილური ტელეფონებით სარგებლობა. მედიცინა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე გაჯეტები ერთი მხრივ აწვითარებს გონებას, მეორე მხრივ კი თრგუნავს მას. მოზარდები გადაეჩვივნენ საუბარს, ურთიერთობას და ვირტუალურ სამყაროს ამჯობინებენ. მათი გონება ზარმაცდება. პატარა ბავშვები ვერ იწყებენ ლაპარაკს იმის გამო, რომ ნაადრევად ეჩვევიან და ინტერნეტდამოკიდებულნი ხდებიან. უნივერსიტეტის სტუდენტებსაც უჭირთ მეტყველება და საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა. დაუქვეითდათ მახსოვრობის უნარი. ჩვენი დედები და მამები სკოლაში საზეპიროებს რომ სწავლობდნენ, ეს შეიძლება არაფერში გამოადგათ, მაგრამ მათი გონება ბევრად უფრო გამოწრთობილი იყო. როგორც ფოლადი იწრთობა მაღალ ტემპერატურაზე, ისე იწრთობოდა ადამიანის ტვინი სხვადასხვა ტექსტების დამახსოვრებით. სამწუხაროდ, ამას ბევრი უგულვებელყოფს. ოპონენტები იტყვიან..... თუმცა რეალობა ასეთია.

მართალია, მომავლის საგანმანათლებლო სისტემა პროფესორის მოვალეობას მნიშვნელოვნად ცვლის, შემფასებლის ფუნქცია მას უკვე ჩამოშორდა, მაგრამ იგი ყოველთვის დარჩება მიმართულების „შუქურად“, მნიშვნელოვან კონსულტანტად. სტუდენტისთვისაც პროფესორთან უშუალო დიალოგი, ლექციის მოსმენა ან მასალის მოყოლა კიდევ უფრო საჭირო და სიღრმისეული გახდება. ზოგჯერ სტუდენტი ფიქრობს, რომ მასალა სწორად გაიგო, მაგრამ დიალოგში აღმოჩნდება, რომ რაღაცას სრულყოფილად ვერ ჩასწვდა. შესაბამისად, მასალის სიღრმისეული ანალიზისთვის სტუდენტს მუდმივად სჭირდება ცოცხალი დიალოგი პროფესორთან. მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი.

ისევე, როგორც ძველი ბერძენი მოაზროვნეების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს შეგონებები არ კარგავს აქტუალურობას და დღესაც ღირებულია, ასევე იქნება ღირებული მოაზროვნე პროფესორთა რჩევები ცოდნის შესახებ მომავალშიც. პლატონი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება“, შესაბამისად ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბუნებრივი მონაცემების, ნიჭის, აზროვნების, ენერჯის მიხედვით. ცხადია, ამ განსხვავებას ილონ მასკის „ტვინის მიკროჩიპები“ ვერ შეცვლის. ისევე, როგორც წიგნის გამოგონებამ გარკვეული „ყავარჯნები“ შეუქმნა ადამიანის მახსოვრობას, მსგავსი „ყავარჯნების“ როლს შეასრულებს მომავლის მიკროჩიპები სავარაუდოდ. ისიც გარკვეული საფრთხის სანაცვლოდ. მედიკოსები აღიარებენ, რომ ადამიანის ტვინში

ამგვარი მიკროჩიპების ჩანერგვამ შეიძლება ტვინის შემუშავებაც კი გამოიწვიოს. თუმცა ეს მომავლის მოვლენაა... ზედმეტმა ტექნოლოგიამ შეიძლება ადამიანი თავის პირვანდელ მდგომარეობაში, ადამის და ევას ეპოქაშიც კი დააბრუნოს...

ახლა კი უნდა ვიფიქროთ უშუალოდ დღევანდელიობაზე. საქართველოს შესაძლებლობები – შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას მუდმივად იზიდავს. მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართველოს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი.

ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში აუცილებელია, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებასაც – ტელეკომუნიკაციები, ენერჯეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები¹³.

საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტირებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია ევროპა (მოსახლეობა 495 მილიონი), შავი ზღვის აუზის ქვეყნები (მოსახლეობა 243 მილიონი), თურქეთი (მოსახლეობა 73 მილიონი), კავკასიის რეგიონი (16 მილიონი). უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. საქმე ისაა, რომ ინტეგრაციის პროცესი თანაბარზომიერად არ მიმდინარეობს და ამ პროცესში ის ქვეყნები აწყდებიან გართულებებს, რომლებიც ისევე სწრაფად ვერ ერთიანდებიან გლობალურ ეკონომიკაში როგორც სხვები. ბოლო გამოკვლევების მიხედვით, ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას. ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ხოლო მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

საქართველოს ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს ახალი საუნივერსიტეტო პროექტი, რომელიც იგეგმება ქალაქ ქუთაისში მიუნხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებით, რაც ამ ქალაქს გადააქცევს ევროპული სტანდარტის საუნივერსიტეტო ჰაბად. ამ პროექტში ერთი მილიარდი ინვესტიცია განახორციელა ქართველმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა. ახალ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორ-

¹³ ქეთევან შენგელია, „გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები.“ ჟურნ. ეკონომიკა, 2016წ. №3-4, გვ. 331-342.

მასწავლებლები ქართველებთან ერთად წაუკითხავენ ლექციებს სტუდენტებს. სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება 2020 წლის შემოდგომიდან იგეგმება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე (1981). რიტორიკა. თბ., „თსუ“.
2. პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VI, წიგნი VII.
3. ქეთევან შენგელია, „პროექტების მართვის და ბიზნეს სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები“. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, 2018, №4, გვ. 66.
4. ქეთევან შენგელია, „გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები“. ჟურნ. ეკონომიკა, 2016, №3-4.
5. ling Dong, Lun Han et al, The Shallow Analysis of the Enlightenment of Cloud Computing to Distance Education, 2010 International Conference on e-Health Networking, Digital Ecosystems Technologies pp-301-303.
6. <http://www.aum.news/nauka/1206-poslednyaya-statya-s-p-kapitsy>
7. www.microsoft.com

*Ketevan Shengelia
Nino Maglakelidze*

THE INFLUENCE OF INFORMATION TECHNOLOGIES BUSINESS ON THE FUTURE EDUCATION SYSTEM Summary

We live in rapidly changeable world. Technologies change so fast that it was absolutely impossible to imagine ten years ago. Especially it concerns information technologies. Internet has radically changed the world, it made in small, transparent, global-virtual space. We get information about the latest events happened in any corner of the world in few seconds.

It is evident, that educational system is under influence. Challenges towards the educational system change permanently. If knowledge got in University was enough for several decades and was unchanged, for graduates situation is importantly changed. Knowledge received in University must be permanently renewed by the young generation and give reference to self – development. School and University must improve skills of memory, creative thinking, aspiration towards the innovations and self-development. This is not a simple case.

To overcome the unemployment the priority must be awarded to private sector, which will have a high social responsibility to each person. The development of the intellectual capital is the most important for the elevation of the life quality and defeat the poorness. In such way country will get stronger and society will develop.

თამარ ვანიშვილი

მიზნის მართვით მიღებული წარმატების შედეგი თანამედროვე ორგანიზაციაში

ანოტაცია. შეუძლებელი არაფერია თუ ზუსტად განსაზღვრავ რისი გაკეთება გსურს და რისი მიღწევა შეგიძლია. ოცნებების რეალობად ქცევაში იღბალი დიდ როლს თამაშობს, თუმცა მხოლოდ იღბალი არ განაპირობებს ოცნებების ასრულებას, მთავარია, სასურველი ცვლილებების განხორციელებით მიღებული შედეგების არ გვეშინოდეს. ცვლილებები აუცილებელია, საჭიროა.

სწორად შერჩეული მიზანი წარმატების საწინდარია. მიზანდასახული ადამიანისთვის მღელვარების ნახევარი უნდა ქრებოდეს, როდესაც იღებს ნათელ, განსაზღვრულ, მკაფიო გადაწყვეტილებას, მღელვარების დარჩენილი ნაწილი კი თავისთავად გაქრება, როდესაც უშუალოდ მიზნის განხორციელების პროცესი დადგება. მთავარია ზუსტად ვიცოდეთ რა გვინდა. როდესაც შენ ფრაზას ასეთი სახე აქვს: ზუსტად არ ვიცი საიდან დავიწყო...; არა ვარ დარწმუნებული ჩემი იდეის სისწორეში..., ლოგიკურია, რომ შენ უახლოეს მომავალში არ გექნება წარმატება. შეუძლებელია ადამიანის წარმატება მისი ტვინის „განსაკუთრებულ ხარისხს“ მივაწეროთ. ამ პრობლემის გასაღები კი ერთია: ვაკეთოთ და შევძლოთ დანახვა იმის, რაც უშუალოდ ჩვენს წინაშეა. მითია, თითქოს ცვლილებები ერთ ღამეში ხდებოდეს, სწორი პასუხები რომ მაშინვე წარმატების მომტანი იყოს ან დიდი იდეები ელვისებურად ხორციელდებოდეს, ეს ყოველთვის (თითქმის ყოველთვის) წვეთ-წვეთად ნაგროვები მცდელობების შედეგია.

საკვანძო სიტყვები: მიზანი, გუნდი, მართვა, რგოლური სისტემა, ჯაჭვური ეფექტი.

შესავალი

საუკუნოვანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადამიანის ნებისმიერი ქმედება წინასწარგანზრახული და მიზნობრივია: „სანამ მიაღწევდე ჯერ უნდა დაინახო“. დაინახო მიზანი, რომლის შედეგს საწყის ეტაპზევე ხედავ და დაუღალავად იშრომო ამ მიზნის შესრულებისთვის, ეს მხოლოდ წარმატებულ ორგანიზაციაში ხდება.

მართვის თანამედროვე მიდგომა გულისხმობს საზოგადოების კონცენტრირებას დღევანდელი დღის საქმეების საუკეთესოდ შესასრულებლად, რაც სამომავლოდ განვითარების და წინსვლის გარანტირებული შედეგია.

ინგლისელი ლექსიკოგრაფი, კრიტიკოსი **სამუელ ჯონსონი** ამბობდა: „ცხოვრების მიზანი წინსვლაა“. ზოგადად, თუ მიზნად დავისახავთ თვითგანვითარებას და განვითარებას ლოგიკურია, შედეგი წინსვლა იქნება, ამისთვის მუდმივად უნდა ვიზრუნოთ მიზნების შემუშავებაზე, ფორმირებასა და სრულყოფაზე, რადგან მიზანი - ეს არის შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიო. შედეგი წარმატებულია, როდესაც ცვლი არა მიზანს, არამედ ქცევას. **თომას ედისონმა** ელექტრონული ნათურა შექმნა 1000 წარუმატებელი ცდის შემდეგ. ის არ ცვლიდა მიზანს, ცვლიდა მიღწევის გზებს.

წარმატებული ადამიანის თავდაუზოგავი შრომის შედეგი რეალიზებული მიზანია. ასეთი ადამიანი ერთი სიტყვით „ადამიანი წარმატებაა“, მას აქვს ბალანსი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებს შორის, რაც აუცილებელია ბედნიერებისთვის. ყოველი ადამიანის წარმატება განპირობებულია საკუთარი გონიერების ძალით, ანუ ჩვენ ვხდებით ცხოვრებაში ის, ვისაც თავადვე ვქმნით. შეუძლებელი არაფერია, ყველაფერი მონდომებაზეა. თუ ეს შეძლო და გააკეთა თუნდაც ერთმა ადამიანმა სამყაროში, შეძლებთ თქვენც, თუ ვერ შეძლო ვერავინ, მაშინ თქვენ პირველი იქნებით! მოინდომეთ და მიუღწეველი არაფერია! ეს არის ცხოვრების დევიზი, რომელსაც ყველა წარმატებული ადამიანი იზიარებს. თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ ყველაფერი, რაც დაგაახლოვებთ მიზანთან, თქვენ შეგიძლიათ გახდეთ უკეთესი ხელმძღვანელი, ლიდერი [ვანიშვილი თ., 2017:148], ცხოვრება და სიცოცხლე ხომ მოძრაობას და განვითარებას გულისხმობს.

ურთიერთობები ყველაფერია! შეუძლებელია სამყაროში ადამიანთა გარემოცვის, ურთიერთობების, კონტაქტის გარეშე ცხოვრობდე. იმისთვის, რომ რაიმე მნიშვნელოვანს და არსებითს მიაღწიო, ბევრი ადამიანის დახმარებაა საჭირო. სასურველ გეგმას ვერ განახორციელებ მარტო, ეულად, განცალკევებით. ორგანიზაციაში გუნდი წარმოდგენილია რგოლური სისტემით, რომელსაც ჯაჭვური ეფექტი აქვს, სადაც, ყოველი რგოლი მიმაგრებულია მეორესთან და ასე უწყვეტად, აქ ნებისმიერი ერთი რგოლის დაზიანება თუ გამოთიშვა იწვევს რგოლური სისტემის დაშლას. ასევე მნიშვნელოვანია იმ ადამიანთა გარემოცვა, ვისთან ერთადაც თქვენ მუშაობთ, გიხდებთ ყოველდღიური ურთიერთობა, ატარებთ დღის უმეტეს ნაწილს. ეს ხომ თქვენი გუნდია, რომელიც თქვენთან ერთად უზრუნველყოფს თქვენი, კომპანიის, ორგანიზაციის მიზნების მიღწევას.

გაატარეთ თქვენი ცხოვრება მათ შორის, ვისი ცხოვრებითაც და მიღწევებითაც აღფრთოვანებული ხართ ყველაზე მეტად იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც შეგიძლიათ უწოდოთ გმირები [მებონია ხ., 2012].

წლების განმავლობაში ხელმძღვანელებზე ჩატარებულმა სამასზე მეტმა კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს ერთი გამორჩეული ნიშან-თვისება, რომელიც ყველა დიდ წინამძღოლს ახასიათებდა და ახასიათებს. ეს არის მომავლის ხედვის უნარი, რომელიც მხოლოდ ლიდერებს აქვთ. დროის უმეტეს ნაწილს რაზეც ფიქრობ, იმად იქცევი. მიზანდასახული ადამიანები, მათ შორის ბუნებით ლიდერები, სწორედ მომავალზე ფიქრობენ, იმაზე, თუ რით მიდიან და იქ მოსახვედრად რისი გაკეთება შეუძლიათ, ხოლო ისინი, ვინც ლიდერები არ არიან, ფიქრობენ იმაზე, რაც უკვე მოხდა და რისი შეცვლაც შეუძლებელია [თრეისი ბ., 2017:69]. *მიუჯახუნეთ კარი წარსულს! მომავალი - დღესაა!* [კარნეგი დ., 2013:10].

„როდესაც მომავლის სარკმელს ალებთ, წარსულის კარი დახურეთ, რათა ორპირმა ქარმა აწყო არ გაფანტოს” - გონივრული, ბუდისტური გამონათქვამია, თუმცა თეორიული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარსულის გამოცდილების გათვალისწინება საუკეთესო მომავლის მისაღებად არანაკლებ გონივრულია.

რწმენა-წარმოდგენები მუდმივად გამოიხატება სიტყვებსა და მოქმედებებში. **ემეტ ფოქსის** მოსაზრებით: *„შენი ძირითადი საქმე შენში იმის გონებრივი კვივალენტის შექმნაა, ცხოვრებაში რისი მიღწევაც და რითი სიამოვნებაც გინდა”*.

ორმოცდაათწლიანი კვლევის შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, **ედვარდ ბენფილდმა** დაასკვნა, რომ ცხოვრებაში ფინანსური და პირადი წარმატების მიღწევისთვის „გრძელვადიანი პერსპექტივა” უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. მან

„გრძელვადიანი პერსპექტივა” შემდეგნაირად განსაზღვრა: *„უნარი, იფიქრო რამდენიმეწლიან მომავალზე და მიიღო გადაწყვეტილება აწყოში”* [თრეისი ბ., 2017].

ურთულესია სწორი არჩევანის გარანტირებული, წარმატებული შედეგის პროგნოზირება, თუმცა მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაულაღავი შრომით სვლა, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, საუკეთესო მომავალზე ორიენტირება შესაძლებელია. საკუთარი მიზნისკენ სწრაფვისას, იმაში, თუ ვინ შეიძლება იყო, რა შეგიძლია გააკეთო და რა შეიძლება გქონდეს, საერთოდ არ ხარ შეზღუდული. **სურვილი ნიშნავს მიღებას, მისწრაფება კი - მიღწევას.** გასაღები ყველა კარს აქვს, თუმცა ნებისმიერი გასაღებით ყველა კარს ვერ გააღებ. სწორი არჩევანი, ნათელი ხედვა, გონებამახვილობა, მოქნილობა და სისხარტე, ესაა, რაც ნებისმიერი წარმატებული საქმიანობის სრულყოფილებისთვისაა საჭირო. მიზნის დასახვის და მიღწევის რაიმე ფორმულირება არ

არსებობს, წარმატების მიღწევა შეუძლებელია „მზა რეცეპტის“ გამოყენებით. ყველა ადამიანი თვითონ ქმნის თავისთვის საჭირო მომავალს და ზუსტად ისეთს, როგორსაც ის ხედავს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში აირჩიო „ეს“ თუ „ის“ გზა საჭიროა ზოგადი პრინციპების გათვალისწინება, როგორც კი მკაფიოდ წარმოიდგენ, რა გინდა და მიეჩვევი იმის გაკეთებას, რაც ამ მიზნის მიმართულებით წაგიყვანს, შენი წარმატება თითქმის გარდაუვალი იქნება. ყველაზე ადვილი ხომ იმ ოცნებების ახდენაა, რომელშიც ეჭვი არ ეპარებათ. სიცოცხლე მოძრაობაშია, სიკვდილი უძრაობაში. ის, ვინც მუდმივად, უწყვეტად ვითარდება, მოძრაობს, შეუძლებელია ერთ ადგილზე გაიყინოს.

სასურველია, დრო, რომელიც გვეძლევა ხვალინდელი პრობლემის გადასაწყვეტად, გამოვიყენოთ, ვიდრე იმაზე ვინაღვლოთ, რა მოხდა გუშინ. ხვალინდელი დღის საუკეთესოდ შესახვედრად საჭიროა მოვახდინოთ მთელი ინტელექტის, ენთუზიაზმის კონცენტრირება დღევანდელი დღის საქმეების საუკეთესოდ შესასრულებლად. საინტერესო შეკითხვაა: „როგორ შევჭამოთ სპილო?“ პასუხია: „ლუკმა-ლუკმა.“ დიდი მიზნების მიღწევა ნაბიჯ-ნაბიჯ, თითო-თითო ამოცანის შესრულებით, თითო-თითო საზომი კრიტერიუმის ნელ-ნელა, ეტაპობრივად დაკმაყოფილებით ხდება. „ადამიანისთვის, რომელიც წინ აუჩქარებლად და მიზანმიმართულად მიიწევს, გზა უსასრულოდ არ გაიჭიმება; მისთვის, ვინც დიდი მოთმინებით ემზადება, მიუწვდომელი ჯილდოები არ არსებობს /ჯან დე ლა ბრუიელი) [თრეისი ბ., 2017:185].

დასკვნა

ჯგუფი, ორგანიზაცია ან ერთი სწორი მიმართულებით რომ წაიყვანო მას სჭირდება ხელმძღვანელი, ლიდერი, რომელიც იღებს ნათელ, მკაფიო, სწორ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არა მხოლოდ მისთვისაა სასარგებლო, არამედ გუნდისთვისაც, რომელიც მასთან ერთად მონაწილეობს ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში [ადაირი ჯ., 2014]. გუნდი შეიძლება შევადაროთ სწორად აწყობილ და ზუსტად მომუშავე მექანიზმს, რომლის ყველა ნაწილი იდეალურად არის ერთიმეორეზე მორგებული. ამ მოსაზრების გამყარებაში **სტივ ჯობსის** გენიალური გამონათქვამი დაგვეხმარება: „თუ გინდათ იაროთ ჩქარა, იარეთ მარტო, მაგრამ თუ გინდათ წახვიდეთ შორს, იარეთ ერთად.“ შეუძლებელია, მიაღწიო მიზანს, დაიპყრო მწვერვალები, სხვათა დახმარების, გუნდის არსებობისა და თანადგომის გარეშე. ღმერთი ადამიანს მარტო არსებობისთვის არ აჩენს, ყველას თავისი მისია აქვს და ბედნიერია ის, ვინც ამ მისიას წარმატებით ასრულებს. **მისია მიზნის გარეშე არ არსებობს, მიზანი კი შედეგის გარეშე.** მიზანი ყოველთვის დაკავშირებულია რაიმე პრობლემის გადაწყვეტასთან. იგი კავშირშია წარმატებულ შედეგთან და საბოლოო ჯამში ყველაფერი ერთად განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობას და მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

როდესაც გავაცნობიერებთ რა გვინდა სინამდვილეში, გვექნება ნათელი და მკაფიო მიზანი, გვეყოლება გუნდი, რომელიც ჩვენი თანამოაზრეა, მისწრაფება მიღწევად გადაიქცევა!

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადაირი ჯ., 2014, ლიდერობის ფსიქოლოგია. თბილისი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.
2. ვანიშვილი თ., 2017. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
3. თრეისი ბ., 2017, მიზნები. თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 69.

4. კარნეგი დ., 2013, როგორ დავძლიოთ მღელვარება და დავიწყოთ ცხოვრება. თბილისი, გამომცემლობა „გეო“, გვ. 10.

5. <https://mebonia.com/saavtoro-statiebi/warmatebis-sami-faqtori.html?fbclid=IwAR2vi6rUYfVJDj1g5FiuggLM9pidvg8kNFWm60SJodmJGA4YG7R6BScTxrA>

Tamar Vanishvili

THE RESULT OF OBTAINED BY AIM MANAGEMENT SUCCESS IN MODERN ORGANIZATION

Summary

It is impossible to determine exactly what you want and what you can achieve. Luck plays a big part in making dreams come true, but only luck alone does not to provide dreams come true. The keystone is not to be frightened of results obtained due carrying out of desired changes. Changes are obligatory and necessary.

The proper selection of aim is the key to success. Half of the thrill for a purposeful person should fade when he makes a clear, definite, obvious decision, and the rest of the thrill will disappear by itself when the process of accomplishing the goal begins.

The keystone is to know exactly what we want. When your phrase looks like this: I don't know exactly from what to start ...; Not sure about my idea ..., it is logical that you will not succeed in the near future. It is impossible to attribute person's success to the 'special quality' of his brain. The key to this problem is one: to do and be able to see what is relevant in front of us. The myth is that if changes happen overnight, the right answers are immediately successful, or the big ideas performed immediately, this is always (almost always) a result of drop-in attempt.

Keywords: *purpose, team, manage, link system, chain effect.*

როინ თათეშვილი

გიორგი ჯვარიძე

**მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის და მიგრაციული განწყობის
გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში**

ანოტაცია. სტატიაში განხილულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა. ამ მიზნით ჩატარებულია 100 კაციანი სამიზნე ჯგუფის სოციოლოგიური გამოკითხვა. კვლევა ჩატარებულია შემოსავლების უთანასწორობისა და მიგრაციული განწყობის ტესტით. გამოკითხული მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით გამოთვლილმა უთანასწორობის კოეფიციენტმა, ანუ ე. წ. ჯინის კოეფიციენტმა, შეადგინა 0,63, ანუ უფრო მეტი ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ეს ადასტურებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის უფრო დიდ ეკონომიკურ უთანასწორობას. ამ მიზეზით გამოკითხული მოსახლეობის მიგრაციული მზაობაც ძალიან მაღალია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა; მიგრაციული განწყობა; ცხოვრების დონე; სიღარიბე.

შესავალი

იმ პრობლემებს შორის, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა არის მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობის მაღალი დონის პრობლემა. შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის მკვეთრი დიფერენცირება უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ

მაჩვენებლებზე და მან შეიძლება სოციალური ერთობისა და სამოქალაქო ჩართულობის შემცირება გამოიწვიოს, რაც დროთა განმავლობაში, პოლიტიკურ არასტაბილურობაში გადაიზრდება. კვლევებით დადასტურებულია, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი უთანასწორობის დონესა და სოციალური ერთობის ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს შორის, როგორც არის დანაშაული, ფსიქიკური აშლილობა და სხვა. სერიოზული უთანასწორობა ზღუდავს მთავრობის შესაძლებლობასაც, გამოიყენოს მნიშვნელოვანი საბაზრო მექანიზმები, რადგან ზოგიერთი მათგანი კიდევ უფრო აღრმავებს უთანასწორობას.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის საქართველო უთანასწორობით ერთ-ერთი მაღალი დონის მქონე ქვეყანაა (0,45 მთლიანი ხარჯების მიხედვით) [1, გვ. 59]. ეს დონე საქართველოს რეგიონებში სხვადასხვანაირია. მოცემულ სტატიაში ვიანგარიშეთ და შევაფასეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა და მათი მიგრაციული განწყობა.

არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოს-სპეციალისტების უმრავლესობა აღიარებს, რომ მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების მაღალი დონის უთანასწორობა სერიოზულ საფრთხეს შეიცავს და მან სოციალური აფეთქებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა, ყველა ქვეყნის მეცნიერებს შექმნილ უთანასწორობის „პულსზე ედოთ ხელი“ და მისი ცვლილების ტრენდს გამუდმებით აკვირდებოდნენ. თუ ჯინის კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო, მაშინ განგაშია ასატეხი, ხოლო თუ კლება, მაშინ – სიმშვიდე შეიძლება.

განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს ქვეყნის ღარიბი, დეპრესირებული რეგიონები. საქართველოში ასეთთა რიცხვშია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. ჩვენ სწორედ ამ მოსახლეობიდან შევადგინეთ 100 კაციანი სამიზნე ჯგუფი და მათი ეკონომიკური უთანასწორობის დასადგენად ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკითხული იქნა:

18 წლიდან - 46 წლამდე - 25 ადამიანი; 46 წლიდან - 60 წლამდე - 35 ადამიანი; 61 წლიდან - 75 წლამდე - 20 ადამიანი; 75 წლის ზევით - 20 ადამიანი კვლევაში ჩართული რესპონდენტები სხვადასხვა ეროვნების (ძირითადად ქართველები და სომხები) და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ.

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი ჩვენ მიერ შემუშავდა კვლევის მიზნიდან გამომდინარე. ამ მიზნით ძირითადად გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის სქემა ასეთია:

პირველი ეტაპი – კვლევის ინსტრუმენტის შერჩევა. უპირატესობა მივეცით ინტერვიუს და ღრმა ინტერვიუს.

მეორე ეტაპი – შევადგინეთ კითხვარი.

მესამე ეტაპი – შევკარით სამიზნე ჯგუფი.

მეოთხე ეტაპი – გამოვკითხეთ სამიზნე ჯგუფის მონაწილენი.

მეხუთე ეტაპი – რესპონდენტთა პასუხები დავამუშავეთ კომპიუტერულად.

მექვსე ეტაპი – გავანალიზეთ შედეგები და გავაფორმეთ ტექსტი.

გამოკვლევა ჩავატარეთ ორი ტესტით: 1. უმუშევრობის, სიღარიბის და ეკონომიკური უთანასწორობის გამოსაკვლევი ტესტი. 2. მოსახლეობის მიგრაციული განწყობის გამოსაკვლევი ტესტი.

20 შეკითხვა და შეკითხვებზე გაცემული პასუხები, რომლებიც პროცენტულად არის გამოხატული (გამოკითხულთა საერთო ჯამის მიმართ), ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული (ცხრილი 1).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობიდან შერჩეულ რესპონდენტთა
სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (%%-ში)

	სულ გამოკითხულების პასუხები
1. სწავლობთ თუ მუშაობთ?	
ა) ვსწავლობ	18,4
ბ) ვმუშაობ	6,3
გ) არ ვმუშაობ	65,9
დ) პენსიონერი ვარ	9,4
2. რა გაქვთ დამთავრებული?	
ა) საშუალო სკოლა	13,4
ბ) კოლეჯი (ტექნიკუმი)	2,1
გ) უმაღლესი სასწავლებელი	84,5
3. თქვენი პროფესიით მუშაობთ თუ არა?	
ა) კი	24
ბ) არა	76
4. საბჭოთა პერიოდში უკეთ ცხოვრობდით თუ ამჟამად?	
ა) საბჭოთა პერიოდში	81
ბ) ამჟამად	-
გ) მაშინაც ღარიბი ვიყავი	19
5. თუ თქვენ ღარიბი ხართ, გალიზიანებთ სხვისი სიმდიდრე?	
ა) კი	21
ბ) არა	68,2
გ) არცთუ ძალიან	10,8
6. რამდენია თქვენი ხელფასი თვეში?	
ა) 300 ლარამდე	68,8
ბ) 500 ლარამდე	21,3
გ) 1000 ლარამდე	7,6
დ) 1000 ლარზე მეტი	2,3
7. რამდენია თქვენს კმაყოფაზე ოჯახში?	
ა) მარტოხელა ვარ	5,0
ბ) ერთი	20,0
გ) ორი	8,6
დ) სამი და მეტი	66,4
8. რა აზრის ბრძანდებით არსებული შემოსავლების უთანასწორობაზე?	
ა) უარყოფითი	87,1
ბ) ნაწილობრივ უარყოფითი	12,4
გ) დადებითი	-
9. მოგწონთ რომ ღარიბი მოსახლეობა ემიგრაციაში მიდის?	
ა) კი	43
ბ) არა	57
10. როგორ ფიქრობთ, სიღარიბის შესამცირებლად სახელმწიფო ძალისხმევაა საჭირო, თუ პირადად თქვენი?	
ა) სახელმწიფოსი	81,7
ბ) ჩემი	2,0
გ) ორივესი ერთად	16,3
11. თქვენს თავს თვლით:	
ა) ღარიბად	60,4
ბ) დატაკად	20,0
გ) საშუალოდ	14,3
დ) შეძლებულად	4,1

ე) მდიდრად	1,2
12. სხვა შემოსავალიც გაქვთ?	
ა) კი	11
ბ) არა	89
13. თქვენ რომ მდიდარი იყოთ, გადაუნაწილებდით თქვენს შემოსავალს ღარიბებს?	
ა) არა	54,7
ბ) კი	-
გ) ნაწილობრივ	5,3
14. აკეთებთ თუ არა დანაზოგს ბანკში?	
ა) არა	90,7
ბ) ძალიან მცირეს	7,0
გ) კი (ქონების შესაძენად)	2,3
15. პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად გყოფნით შემოსავალი?	
ა) არ ყოფნის	77,3
ბ) ყოფნის	19,3
გ) შემძლია სხვა საქონლის შეძენაც	3,4
16. გყოფნით შემოსავალი მიიღოთ კარგი განათლება?	
ა) არა	88,9
ბ) კი, მხოლოდ საქართველოში	9,6
გ) საკმარისია საზღვარგარეთ სწავლისთვისაც	1,5
17. გყოფნით შემოსავალი უმაღლესი დონის მედიკოსებთან სამკურნალოდ?	
ა) არა	82,4
ბ) ყოფნის	16,3
გ) ჭარბად ყოფნის თუნდაც საზღვარგარეთ	1,3
18. რამდენი გაქვთ სხვა შემოსავალი წელიწადში?	
ა) 5000 - 10000 ლარი	7,3
ბ) 10000 - 20000 ლარი	12,1
გ) 20000 ლარზე მეტი	1,6
19. გაქვთ თუ არა ბიზნესი ან თუ აპირებთ მის დაწყებას?	
ა) არ მაქვს და არც ვაპირებ	61,4
ბ) მაქვს	35,5
გ) მაქვს დიდი ბიზნესი	3,1
20. შეგბულების დროს სად ისვენებთ?	
ა) სახლში	8,8
ბ) სოფელში	17
გ) საზღვარგარეთ (თურქეთი, ესპანეთი და სხვ.)	1,2

ჩვენ მიერ დასმული ყველა კითხვის მიზანი იყო, გაგვეჩვენა, რას საქმიანობენ რესპონდენტები, რა შემოსავლები აქვთ, როგორია შემოსავლების უთანასწორობა მათ შემოსავლებში და აპირებენ თუ არა ბიზნესში დასაქმებით გამოსწორონ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტებიდან მხოლოდ 6,3% მუშაობს. მომუშავეთაგან 76% პროფესიით არ მუშაობს. 300 ლარამდე ხელფასი აქვს 68,8%-ს, 500-მდე – 21,3%-ს, 1000 ლარამდე 7,6%-ს, 1000-ზე მეტი 2,3%, 20% – თავს თვლის ლატაკად, 60,4% – ღარიბად, 14,1 – საშუალოდ, 4,1% – შეძლებულად, 1,5% – მდიდრად. 73,3%-ს არ ყოფნის შემოსავალი პირველადი მოთხოვნილების პროდუქტების შესაძენად, 19,3%-ს ყოფნის, ხოლო 3,4%-ს შეუძლია სხვა საქონლის შეძენაც. კარგი განათლების მიღება არ შეუძლია გამოკითხულთა 88,9%-ს. ასევე, 82,1%-ს არ ყოფნის შემოსავალი კარგ მედიკოსებთან სამკურნალოდ. ბანკებში დანაზოგი არა აქვთ

გამოკითხულთა 89%-ს. გამოკითხულთა 89,5% შევებულებას ატარებს სახლში ან სოფელში ნათესავებთან. ბიზნესი არა აქვს და არც აპირებს ჰქონდეს 61,4%-ს, 35,5% აქვს მცირე ბიზნესი, გამოკითხულთა 3,1%-ს კი აქვს დიდი ბიზნესი.

რესპონდენტთა შემოსავლების სიდიდეებმა (300 ლარამდე, 500 ლარამდე, 1000 ლარამდე, 1000 ლარის ზევით) საშუალება მოგვცა ახალციხის მოსახლეობის ჯინის კოეფიციენტის საანგარიშო. ჩვენ მიერ გაანგარიშებული ეს საწყისი მაჩვენებლები მოცემული გვაქვს ცხრილში 2.

ამ ცხრილში გამოთვლილი საწყისი მონაცემები გვჭირდება ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოდ. იგი იანგარიშება ფორმულით:

$$k = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i+1} q_i$$

ცხრილში მოცემული ჩვენი გამოთვლის მიხედვით:

$P_1 = 0.69$	$q_1 = 0.4$	$P_3 = 0.98$	$q_3 = 0.83$
$P_2 = 0.9$	$q_2 = 0.66$	$P_4 = 1.0$	$q_4 = 1.0$

ფორმულაში ამ სიდიდეების ჩასმით მივიღებთ ჯინის კოეფიციენტს:

$$\begin{aligned} k &= [P_i q_{i+1} - \sum P_{i+1} q_i = [(0,69 \cdot 0,66) + (0,9 \cdot 0,83) + (0,98 \cdot 1,0)] - \\ &- [(0,9 \cdot 0,4) + (0,98 \cdot 0,66) + (1 \cdot 0,83)] = (0,4554 + 0,747 + 0,98) - \\ &- (0,36 + 0,3468 + 0,83) = 2,1824 - 1,5468 = 0,63 \end{aligned}$$

მაშასადამე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობიდან ამორჩეულ სამიზნე ჯგუფის შემოსავლის მიხედვით შემოსავლების განაწილების უთანასწორობის კოეფიციენტი არის 0,63, ანუ საქართველოს საშუალო ჯინის კოეფიციენტზე მეტი. ეს იმით არის გამოწვეული, რომ რეგიონი არის მეტისმეტად ღარიბი, მოსახლეობა დაუსაქმებელი და აქედან გამომდინარე, ღარიბ-ღატაკი.

აქედან იმ დასკვნას ვაკეთებთ, რომ რადგან საქართველოს დეპრესირებული რეგიონის – სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შემოსავლებში ეკონომიკური უთანასწორობა საშუალოდ საქართველოს უთანასწორობაზე მაღალია, ეს ავალებს როგორც რეგიონის მუნიციპალურ ხელისუფლებას, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ იზრუნონ ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე.

იმისათვის, რომ გაგვეგო თუ რას გეგმავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დავსვით ორი კითხვა:

1. აქვთ თუ არა ბიზნესი, ანდა აპირებენ თუ არა მის დაწყებას.
2. ხომ არ ფიქრობენ ემიგრაციაში წასვლას სამუშაოს საძებნელად.

პირველ კითხვაზე გამოკითხულთა 61,4%-მა გვიპასუხა, რომ არა აქვს ბიზნესი და არც აპირებენ მის დაწყებას, რადგან საამისოდ არც ცოდნა და გამოცდილება აქვთ და არც ფული.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შემოსავლების ინფორმაცია
ჯინის კოეფიციენტის საანგარიშოდ

შემოსავალი თვეში	რესპონდენტთა რაოდენობა, კაცი	რესპონდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო ხელფასი, ლარი	გამოკითხულთა საერთო შემოსავალი	რესპონდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზრდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით, P_1	შემოსავლების მიხედვით, q_1
100-დან 300 ლარამდე	69	69	200	$69 \cdot 200 = 13800$	0,69	$\frac{13800}{34200} = 0,4$	0,69	0,4
301 ლარიდან 500 ლარამდე	21	21	400	$21 \cdot 400 = 8400$	0,21	$\frac{8400}{34200} = 0,26$	$0,69+0,21=0,9$	$0,4+0,26=0,66$
201 ლარიდან 1000 ლარამდე	8	8	750	$8 \cdot 750 = 6000$	0,08	$\frac{6000}{34200} = 0,17$	$0,9+0,08=0,98$	$0,66+0,17=0,83$
1000 ლარზე მეტი	2	2	3000	$2 \cdot 3000 = 6000$	0,02	$\frac{6000}{34200} = 0,17$	$0,98+0,02=1,0$	$0,83+0,17=1,0$
სულ	100	100,0	-	34200	1,0	1,0	-	-

რაც შეეხება მეორე კითხვას, ანუ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციულ განწყობას, ის ჩვენ 25 კითხვიანი ანკეტით შევისწავლეთ და მივიღეთ ცხრილში წარმოდგენილი შედეგები (ცხრილი 3).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის
მიგრაციული განწყობის კითხვარი


№	კითხვები:	გამოკითხულთა ხვედრითი წონა (%)
1	დაასახელეთ თქვენი ეროვნება	
	ქართველი	69
	სომეხი	20
	ოსი	-
	რუსი	7
	სხვა დანარჩენი	4
2	დაასახელეთ თქვენი ასაკი	
	18-დან – 45 წლამდე	25
	46-დან – 60 წლამდე	35
	61-დან – 75 წლამდე	20
	75-ის ზევით	20
3	როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?	
	ქორწინებაში არ მყოფი	21
	დაოჯახებული	60
	განქორწინებული	19
4	ნამყოფი ხართ თუ არა ემიგრაციაში?	
	კი	18
	არა	82

5	აპირებთ თუ არა ემიგრაციაში წასვლას?	
	კი	77
	ჯერჯერობით არა	15
	საერთოდ არა	8
6	რომელ ქვეყანაში გსურთ გამგზავრება?	
	აშშ-ში	63
	ავსტრალიაში	6
	რუსეთში	25
	ევროკავშირის ქვეყნებში	6
	სხვა დანარჩენ ქვეყნებში	-
7	რატომ მაინცდამაინც ამ ქვეყანაში გსურთ გამგზავრება?	
	იქ არიან ჩემი ნათესავები	54
	იაფი ჯდება წასვლა	16
	ადვილია სამუშაოს შოვნა	20
	მალალია შრომის ანაზღაურება	10
8	როგორ მოახერხებთ წასვლის ორგანიზებას?	
	ლეგალურად	-
	არალეგალურად	100
9	რა წყაროთი შეძლებთ ხარჯების დაფინანსებას?	
	სახლის გაყიდვით (დაგირავებით)	18
	უცხოეთიდან ნათესავების გზავნილებით	82
	დანაზოგებით	-
10	რა არის მიზეზი ემიგრაციაში წასვლის თქვენი მზადყოფნისა?	
	განათლების მიღება	7
	სიღარიბე, უმუშევრობა	35
	იქ ცხოვრობენ ჩემი ოჯახის წევრები	54
11	იცით თუ არა რომელიმე უცხო ენა?	
	არა	60
	კი	40
12	თუ უცხო ენა არ იცით, როგორ აპირებთ უცხოეთში დასაქმებას (სწავლებას)?	
	ვისწავლი და ისე წავალ	14
	რომ ჩავალ, იქ ვისწავლი მინიმალურ დონეზე მაინც	86
13	თუ წასვლას გეგმავთ, რა მოიმოქმედეთ უკვე?	
	ენას ვსწავლობ	10
	წასვლისთვის ფულს ვაგროვებ	90
14	რა საქმეზე შეძლებთ უცხოეთში მუშაობას?	
	ოჯახში დამხმარედ, ბავშვის და მოხუცის მომვლელად	62
	მძღოლად	15
	ხელოსნად	18
	დავსაქმდები საშუაშაველო საქმეში	5
15	თქვენთვის სულ ერთია რა საქმეზე დასაქმდებით?	
	კი, მთავარია ვიმუშავო	94
	არა, მხოლოდ პროფესიის მიხედვით	6
16	რა სიდიდის ანაზღაურებაზე იქნებით თანახმა უცხოეთში მუშაობისას?	

	არანაკლებ 500 ევრო	50
	არანაკლებ 500 აშშ დოლარი	36
	800 ევრო და მეტი	14
17	ვინ დაგეხმარებათ უცხოეთში სამუშაოზე მოწყობაში?	
	იქ მყოფი მეგობრები და ნათესავები	37
	დამოუკიდებლად მოძებნი განცხადებებით	63
18	თუ პროფესიით ვერ დასაქმდით, სხვა რა საქმეზე იმუშავებთ?	
	ყველანაირ საქმეზე ვიმუშავებ	94
	პროფესიული საქმის გარდა არ ვიმუშავებ და უკან დავბრუნდები	6
19	თუ ოფიციალურად ვერ მოახერხებთ უცხოეთში წასვლას, არალეგალურ წასვლაზე დათანხმდებით?	
	კი	93
	არა	7
20	გთავაზობთ ვინმე საზღვარგარეთ დასაქმებას?	
	იქ მყოფი ნათესავები, მეგობრები	90
	იქაური სათვისტომო	10
21	რამდენს ითხოვენ შუამავლები საზღვარგარეთ გაყვანასა და დასაქმებაში?	
	აშშ-ში 20-25 ათას დოლარს	43
	სხვა ქვეყნებში 5 ათას დოლარს	34
	ევროკავშირში 10 ათას ევროს	20
22	გინდათ წასვლა, მაგრამ მაინც აქ ხართ – სამშობლოში, გვითხარით, რა გიშლით ხელს?	
	არ მაქვს ფული	92
	ჯერ არ ვიცი უცხო ენა	6
	მშობლები ავადმყოფობენ	2
23	თუ მოგეცათ შესაძლებლობა და წახვედით მთელ ოჯახს (ახლა ან შემდეგ) წაიყვანთ?	
	სიტუაცია მიჩვენებს	20
	აუცილებლად	80
24	თუ წახვედით საზღვარგარეთ, როგორ გეგმავთ, დაბრუნდებით სამშობლოში?	
	სიტუაცია მიჩვენებს	20
	არა, იქ შევქმნი ახალ ოჯახს	80
25	შრომის რა სიდიდის ანაზღაურება უნდა გქონდეთ საქართველოში, რომ აღარ იფიქროთ უცხოეთში წასვლა?	
	2-3 ათასი ლარი თვეში	90
	მაღალი ხელფასიც ვერ გამაჩერებს, რადგან წესრიგი არ არის ქვეყანაში	10

მე-3 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის განწყობა ემიგრაციაში წასასვლელად ძალიან მაღალია. რესპონდენტთა 77% ახლავს მზადაა წასასვლელად, 15% ჯერჯერობით არ მიდის და მხოლოდ 8% არასოდეს წავა საზღვარგარეთ (იხ. ნახაზი 1).

გამოკითხულთა 63% აშშ-ში აპირებს წასვლას და კითხვაზე, თუ რატომ ამ ქვეყანაში და რა წყაროთი აპირებენ ხარჯების დაფარვას, მათი 54% აცხადებს, რომ იქ არიან მათი ნათესავები და მათი გამოგზავნილი ფულით დაფარავენ ხარჯებს.



ნახაზი 1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის ემიგრაციული მზადყოფნა

გამოკითხულთა 54% საზღვარგარეთ წასვლის მიზეზად იქ მყოფ ნათესავებს ასახელებს, 35% სიღარიბეს და უმუშევრობას და მხოლოდ 7% განათლების მიღებას.

ემიგრაციაში წასვლის არალეგალური ფორმა მისაღებად მიაჩნია გამოკითხულთა მთელ რაოდენობას. რესპონდენტთა 86%-მა არ იცის უცხო ენა, მაგრამ ეს მნიშვნელოვან ბარიერად არ მიაჩნიათ – „ჩავალ და იქ ვისწავლი“ აცხადებენ ისინი. რესპონდენტთა 94%-თვის მთავარია იმოგვოს სამუშაო და მისთვის სულ ერთია რა სამუშაო იქნება. მხოლოდ 6%-მა გამოაცხადა, რომ იმუშავებს მხოლოდ პროფესიის მიხედვით, თუ არა და უკან დაბრუნდება.

რესპონდენტთა 43% თანახმაა გადაიხადოს ამერიკაში გასასვლელად 20-25 ათასი დოლარი, მაგრამ ეს ფული დღეს რომ არა აქვს, 92% სწორედ ამიტომ კიდევ სამშობლოშია, და არ არის წასული.

კითხვაზე – თუ რა სიდიდის ხელფასი უნდა ჰქონდეთ საქართველოში, რომ აქ დარჩნენ და აღარ წავიდნენ საზღვარგარეთ, 90%-მა თვეში 2-3 ათასი ლარი დაასახელა. ასეთი ხელფასები საქართველოში მხოლოდ საჯარო სექტორშია (ისიც მაღალ თანამდებობებზე). ასე რომ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის 90%-სთვის საქართველოში, ასეთი ხელფასები ჯერჯერობით და, ალბათ, დიდხანს ვერ იქნება. იქამდე კი, ეს ქალაქიც და მთელი რეგიონიც დაიცლება მოსახლეობისგან.

დასკვნა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ასეთი შემაჯამებელი დასკვნა: რადგან სამცხე-ჯავახეთი სასაზღვრო ზონაა თურქეთთან, მისი დაცლა მოსახლეობისგან საქართველოსთვის დაცლილი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხესაც შეიცავს. ასე რომ, ამ რეგიონის შემოსავლების უთანასწორო განაწილება და ამ მიზეზით გამოწვეული სიღარიბე, რომელმაც ძირძველი მოსახლეობა მასიურად ემიგრაციისთვის განაწყო, საქართველოს მთავრობისგან რეალური ქმედითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2018, გვ. 59.
2. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007, გვ. 497.

INVESTIGATION OF ECONOMIC INEQUALITY AND MIGRATION MOOD IN THE SAMTSKHE-JAVAKHETI REGION POPULATION

Summary

The article discusses the Samtskhe-Javakheti region, in particular, economic inequality in Samtskhe-Javakheti region population. For this purpose, a sociological survey of 100 target groups was conducted. The study is conducted with the income inequality Test and the Migrant Mood Test. The inequality ratio, so called the Gini coefficient, calculated by the income of the surveyed population was 0.63, which is higher than the average in Georgia. This confirms the greater economic inequality in Samtskhe-Javakheti region population. The migration readiness of the population interviewed for this reason is also very high.

Key words: *Economic inequality; Migrant sentiment; Standard of living; Poverty.*

Фидан Эльдар кызы Исмаилова

ОСОБЕННОСТИ ДЕНЕЖНО-КРЕДИТНОЙ ПОЛИТИКИ ПОСТКОММУНИСТИЧЕСКИХ СТРАН В РЕГИОНАЛЬНЫХ СОЮЗАХ (КЕЙС АЗЕРБАЙДЖАН-ГРУЗИЯ)

Аннотация. *В данном научном труде раскрываются некоторые особенности денежно-кредитной политики посткоммунистических стран в различных интеграционных международных структурах (на примере ЕС и ЕАЭС). Рассматриваются вопросы влияния степени участия государства в указанных интеграционных международных структурах на ряд макроэкономических показателей в условиях глобального кризиса. Осуществлен сравнительный анализ этих показателей по Азербайджану и Грузии с соответствующими индикаторами по странам ЕС и ЕАЭС.*

Ключевые слова: *интеграция, ВВП, инфляция, международные резервы, государственный долг, интеграционные процессы.*

Введение

В условиях ускорения глобализации мировой экономики, особенно в контексте финансового кризиса 2007-2008 гг., усилилась корреляция между степенью участия финансово-банковского сектора страны в интеграционных процессах и ее устойчивостью к кризисам. Анализ макроэкономических показателей государств Европейского Союза (ЕС) и Европейско-Азиатского Экономического Союза (ЕАЭС) показал, что они, в отличие от не входящих в эти союзы европейских и постсоветских стран, проявили более высокую устойчивость к последнему мировому финансовому кризису. В то же время Азербайджан и Грузия, не участвующие в названных союзах, сравнительно менее болезненно перенесли вызовы этого глобального коллапса. Несмотря на это, представляется целесообразным ускорение реализации потенциальных возможностей создания их двустороннего экономического союза (ЭС), с последующим переходом к валютной интеграции, что обусловлено геополитической и геоэкономической близостью этих стран. В данной связи денежным властям Азербайджана и Грузии необходимо интенсифицировать процессы постепенной консолидации финансовых рынков, взаимной гармонизации валютного и банковского законодательств, унификации таможенных пошлин и налогов.

Изложение основного материала

Процесс координации национальных денежно-кредитных и валютных политик посткоммунистических государств как важного вектора обеспечения финансовой стабильности находится на начальной стадии развития. В этих странах используются различные модели осуществления банковского регулирования и надзора, каждая из которых имеет свои осо-

бенности и разную результативность[1]. Проведенная нами диагностика данного процесса позволила выявить проблемные области в системе регулирования финансовых рынков посткоммунистических государств, определить цели и меры по их устранению.

В частности, на уровне ЕАЭС актуальным является создание в государствах – членах Союза инструментов финансовой стабилизации на макроуровне, включая пул валютных свопов для регулирования платежного баланса, межгосударственное кредитование для управления государственным долгом. Как известно, обеспечение финансовой стабильности представляет собой комплексную задачу, включающую макроэкономический мониторинг, управление системными рисками и контроль за деятельностью системно значимых финансовых институтов.

В части оценки действующих концептуальных документов в области развития финансовых рынков постсоветских государств на предмет соответствия международным стандартам в области регулирования и надзора финансовых рынков выделяются следующие направления [2, с. 491-538]:

Таблица 1

Направления оценки действующих концептуальных документов в области развития финансовых рынков постсоветских государств

1. Оценка наличия в концептуальных документах указаний на выполнение/внедрение международных стандартов, степени учета международных стандартов при определении направления развития регулирования финансовых рынков.	2. Соответствие направлений развития системы регулирования финансового рынка посткоммунистических государств рекомендациям и принципам G20/FSB [3] ¹⁴ (в области макропруденциального надзора, контроля за системообразующими организациями, расширения рамок регулирования и борьбы с теневым банковским сектором).
---	---

Нами на примере стран-участников ЕАЭС проведен анализ состояния дел в названных направлениях, выявивший следующие особенности:

1. Анализ соответствия принятых в этих странах концептуальных документов международным стандартам в области регулирования и надзора финансовых рынков показал, что в этом направлении во всех из них проделана определенная работа (Таблица 2).

Таблица 2

Страны-члены ЕАЭС	Результаты проведенной работы
Россия	В рамках реализации Плана мероприятий и Дорожной карты по созданию Международного Финансового Центра в г. Москва внедрены положения Принципов для инфраструктуры финансового рынка и стандарты Комитета по платежным и расчетным системам Банка международных расчетов, осуществлено присоединение к Многостороннему меморандуму о взаимопонимании IOSCO. Наряду с этим, проведены реформа регулирования банковского сектора в соответствии с рекомендациями FSB, внедрение основных императивов Базель II и III, а также целенаправленная работа по реализации основополагающих принципов эффективного надзора Базельского комитета по банковскому надзору(БКБН).
Беларусь	При подготовке Стратегии развития банковского сектора было обеспечено максимальное сближение национальной и международной методологий расчета публикуемых статистических и иных показателей (в соответствии с требованиями МВФ), а также внедрение стандартов БКБН и международных финансовых организаций (на базе полной реализации основополагающих принципов эффективного банковского надзора). Как и в Казахстане, последовательно вводятся в банковскую практику международные стандарты капитала и ликвидности БКБН (Базель III). Помимо этого, принципы IOSCO внедрены в систему регулирования рынка ценных бумаг (РЦБ) и использованы при доработке законопроектов «О РЦБ» и «Об инвестиционных фондах».
Казахстан	При разработке Концепции развития финансового рынка на период до 2030 года учтены выводы и рекомендации МВФ, Международной организации комиссий по ценным бумагам (IOSCO), стандарты стран Организации экономического сотрудничества и развития

¹⁴FSB – Financial Stability Board (Совет по финансовой стабильности).

	(ОЭСР), принципы G20/FSB (для инфраструктур финансового рынка). Поэтапно внедряются стандарты капитала, предусмотренные в Базель III.
Кыргызстан	В рамках реализации Национальной стратегии на 2013-2017 гг. осуществлена гармонизация надзора с принципами БКБН и задействованы ключевые принципы Базель II и III.
Армения	В 2012-2014 гг., как было предусмотрено в Стратегии Центрального банка Российской Федерации, республиканское законодательство приведено в соответствие с принципами и критериями надзора IOSCO, а также обеспечено постепенное внедрение основных принципов Базель II и III.

2. Относительно рекомендаций в области макропруденциального надзора следует отметить высокий уровень соответствия по всем основным направлениям рекомендаций у России и Казахстана (развитая нормативно-правовая база, активная практика применения, мониторинг системного риска, развитая система инструментов, взаимодействие между регуляторами и центральным банком). При этом система макропруденциального надзора находится в состоянии активного развития.

В Армении, Казахстане и России для контроля рисков финансового рынка в целом создан единый финансовый регулятор, к функциям которого отнесен контроль за финансовой стабильностью. В Беларуси такой контроль отнесен к функциям Национального банка (НБ) Республики Беларусь. В Кыргызстане эти функции разделены между НБ Республики Кыргызстан (банки) и Госфиннадзором (небанковские финансовые организации). При этом в четырех странах на базе уполномоченного регулятора выделено отдельное подразделение финансовой стабильности (в Казахстане – отдельный орган – Совет по финансовой стабильности и развитию, в России – аналогичное подразделение дополнительно выделено на базе Минфина, в Кыргызстане по состоянию на апрель 2015 г. – не выделено). Наблюдается также высокая степень выполнения рекомендаций по раскрытию информации о результатах мониторинга финансовой стабильности: все центральные банки рассматриваемых стран публикуют отчеты о финансовой стабильности на ежегодной (Беларусь, Казахстан) и полугодовой основе (Армения, Кыргызстан, Россия). При этом охватываются все сектора – банковский, страховой и иные финансовые посредники. Собственно индикаторы финансовой стабильности и их значения раскрываются у Армении, Казахстана и Кыргызстана. Однако их состав различается, как числом, так и степенью дифференциации, приверженностью к собственным индикаторам или заимствованным из перечня, разработанного МВФ [3].

Так, относительно рекомендаций G20 по усилению системы широкого мониторинга и использования индикаторов финансовой стабильности следует отметить, что большее число индикаторов применяется в Казахстане (для банков – 12 базовых и 13 рекомендуемых, для небанковских организаций – 2). Для сравнения: в Кыргызстане – соответственно 8 и 6 для банков и 2 для финансовых корпораций; в Армении – всего 7 для банковских организаций. В России и Беларуси система индикаторов финансовой стабильности отдельно не раскрывается, однако содержание отчетов указывают на их широкий набор. В России используется сводный индикатор финансовой стабильности, в Беларуси – разрабатывается агрегированный индекс финансовой стабильности.

Проведенный нами мониторинг позволил выявить проблемные области в системе регулирования финансового рынка государств-членов ЕАЭС (Таблица 3).

В отношении регулирования системно значимых финансовых институтов большее соответствие демонстрирует Россия, на втором месте – Казахстан и Кыргызстан, далее – Беларусь и Армения. В целом, с учетом этого фактора, а также внедрения ключевых атрибутов урегулирования несостоятельности финансовых институтов, по степени соответствия страны можно ранжировать в следующем порядке: Россия, Казахстан и Кыргызстан, Армения, Беларусь.

Цели и меры по устранению проблемных областей в системе регулирования финансового рынка государств-членов ЕАЭС

Проблемные области	
Неполная информативность системы индикаторов финансовой стабильности, различия в их составе по государствам – членам ЕАЭС, недостаточная ориентированность отчетности профессиональных участников финансового рынка на нужды макропруденциального надзора.	Ограниченное развитие механизмов предупреждения и программ действий в специальных ситуациях (финансовые шоки, внезапное бегство капиталов, валютные паники, сверх концентрации системного риска) на основе анализа индикаторов финансовой стабильности.
Незавершенность введения в практику концепции системно значимых финансовых институтов (СЗФИ) ¹⁵ , в ряде государств-членов (за исключением России) не закончено выделение СЗФИ как особенного объекта регулирования.	Большинство из этих стран (кроме России) характеризуются частичным внедрением атрибутов урегулирования несостоятельности финансовых институтов. Прогнозируется необходимость наращивания ресурсов ЕАЭС для удержания финансовой стабильности.
Цели по их устранению	
Снижение системного риска на основе развития системы макропруденциального надзора (мониторинг, оценка и урегулирование системных рисков финансовых рынков).	Организация информационного взаимодействия и координации действий национальных регуляторов при специальных ситуациях.
Создание системы «раннего оповещения».	Внедрение надзора за системно значимыми финансовыми институтами.
Меры по их устранению	
Институционализация механизмов поддержки центральными банками ликвидности крупнейших финансовых институтов, а также взаимной поддержки центральных банков с целью стабилизации финансовых рынков и противодействия кризисным ситуациям.	Создание Совета по финансовой стабильности ЕАЭС, основная функция которого – поддержание финансовой стабильности в государствах – членах ЕАЭС путем содействия в согласовании действий национальных регуляторов в части урегулирования системного риска.
Развитие механизмов предупреждения и программ действий на основе индикаторов финансовой стабильности, экспертной системы прогнозирования и оценки уровня рисков.	Формирование совместных планов действий денежных властей и национальных регуляторов государств – членов ЕАЭС, программ внутреннего и международного обмена информацией в «специальных ситуациях».

Для определения направлений совершенствования механизма регулирования финансово-банковского сектора экономики большое значение приобретает оценка связи между уровнем государственного вмешательства в данную сферу и её устойчивостью к кризисам.

Известно, что на современную экономическую систему непосредственное воздействие оказывают не только субъекты рынка, но также и государство. Важная роль последнего неоспорима в деле эффективного функционирования рыночной системы, т.е. в создании базовых условий для предпринимательской деятельности (инфраструктура, безопасность и др.) и совершенных механизмов конкуренции, а также осуществлении справедливого контроля над установленными «правилами игры». Однако при чрезмерном государственном вмешательстве в процесс формирования цен, свободного движения товаров, услуг и рабочей силы происходит аккумуляция больших денежных ресурсов для государственного финансирования и одновременно вытеснение частного сектора. Это, в конечном счете, ограничивает рамки «созидательного разрушения», затрудняя, тем самым, процедуру самоочищения и оздоровления рынка. Увеличение уровня государственного вмешательства приводит к снижению «кризисного иммунитета» экономических субъектов, ослаблению их способности быстро и эффективно реагировать на происходящие в данной связи процессы. В указанном аспекте определение эффективного уровня государственного вмешательства в экономику приобрета-

¹⁵Понятие СЗФИ сформулировано только по отношению к системно значимым банкам.

ет особое значение с точки зрения, как экономического роста, распределения прибыли и т.д., так и повышения устойчивости экономики к кризисам.

Полученные нами на основе проведенного анализа эмпирические выводы подтверждают тезис о том, что увеличение уровня государственного вмешательства в экономику приводит к ослаблению ее устойчивости к кризисам. Анализ и оценка взаимосвязи между уровнем государственного вмешательства в экономику и устойчивостью ее к кризисам по 57 странам на стадии наибольших кумулятивных потерь (2009-2010 г.г.) последнего глобального кризиса дают основание утверждать, что самую слабую реакцию на кризис и наибольшие кумулятивные потери понесли именно те страны, где до начала кризиса уровень государственного вмешательства в экономику был на более высоком уровне [4].

Основной вывод, имеющий методологическое значение для формирования экономической политики, заключается в том, что уменьшение уровня государственного вмешательства в экономику, особенно в свободное движение капитала (отсутствие административно-экономических препятствий), рыночное ценообразование (невмешательство государства в процесс образования цен) и отсутствие (путем лицензирования) жестких ограничений для входа-выхода на рынок (либо нахождение его на минимальной отметке) усиливает «иммунитет» экономики и создает необходимые условия для ее эффективной и своевременной реакции на кризисы.

Для более полного раскрытия динамики государственного вмешательства в финансово-банковский сектор экономики необходимо выявить степень влияния участия отдельной страны в различных международных ЭС (в том числе валютных) на динамику её роста. Этому в значительной степени будет способствовать анализ макроэкономических показателей стран ЕС и ЕАЭС, а также Азербайджана и Грузии (ВВП на душу населения, инфляция, отношение государственного долга к ВВП, международные резервы) за период 2008-2017 гг., результаты которого представлены в Таблице 4.

Анализ четырех макроэкономических показателей по Азербайджану и Грузии показал негативные тенденции по трем из них. При этом по уровню инфляции и снижению запасов международных резервов Азербайджан среди анализируемых стран занял место в первой четверке. В условиях глобализации экономики, особенно в контексте мирового финансового кризиса, на макроэкономические показатели определенное воздействие оказывает участие страны в интеграционных процессах. На пространстве Центральной Евразии (ЦЕА), в ареал которого включаются такие государства, как Азербайджан, Армения и Грузия, эти процессы проявляются по различным направлениям и находятся на разных стадиях развития.

Таблица 4

Результаты сравнительного анализа макроэкономических показателей Азербайджана и Грузии со странами ЕС и ЕАЭС за период 2008-2017 гг.

Макроэкономические показатели	Результаты анализа
ВВП на душу населения	Изменение показателя ВВП на душу населения за последние четыре года происходило, в основном, в сторону увеличения, при этом показатели изменения по ЕС и зоне евро были практически одинаковыми. Страны, не входящие в зону евро, но являющиеся членами ЕС (Великобритания, Дания, Норвегия, Польша, Швеция) показали положительную динамику этого показателя. Для стран ЕАЭС была характерна разнонаправленная динамика показателя ВВП на душу населения: в России и Беларуси он снизился, а в других трех странах наблюдалась положительная динамика. В среднем по ЕАЭС данный показатель, хотя и увеличился, но был значительно ниже, чем в среднем по ЕС и еврозоне. В Латвии, Литве и Эстонии (т.е. в государствах, недавно вошедших в ЕС и зону евро) он демонстрировал в анализируемом периоде существенный рост, почти вдвое превышающий средние показатели по ЕС и еврозоне. В Азербайджане показатель ВВП на душу населения увеличился незначительно (+39), тогда как в Грузии отмечалась более существенная динамика роста (+610).
Инфляция	В большинстве стран ЕС темпы снижения показателей инфляции были дифференцированными. В то же время по странам, входящим в ЕАЭС, они показали разнонаправленную динамику. Так, если в Беларуси инфляция в анализируемом пе-

	риоде снизилась на 109%, а в России – на 1,5%, то в Киргизии она осталась практически без изменений, а в Казахстане выросла на 1%. Такие же реверсивные изменения наблюдались в странах Балтии (Латвии, Литве и Эстонии): если в Латвии и Эстонии инфляция уменьшилась, то в Литве, наоборот, увеличилась. На ведущих позициях по темпам роста инфляции среди анализируемых стран оказался Азербайджан (+9.2%) и Грузия (+5,5%).
Отношение государственного долга к ВВП	Страны, входящие в ЕС, но не вошедшие в валютный союз, за период 2008-2016 гг. показывали невысокий уровень прироста этого показателя (в пределах 0,4-13,2%), значительно отставая от средних значений по еврозоне и ЕС. Единственной страной, где было отмечено его снижение, оказалась Норвегия (на 7,5%). В то же время в таких странах, как Испания, Италия, Великобритания (не входит в зону евро), Франция, Финляндия, показатель заимствований со стороны правительств увеличился существенно (от 30,9% до 60,0%), что значительно превышало средние показатели по ЕС и Евросоюзу. Страны – члены ЕАЭС (за исключением Армении) также показали невысокие темпы роста внешних заимствований: они более чем вдвое уступали усредненным показателям по еврозоне и ЕС. Балтийские страны показали дифференцированный рост: Латвия – 21,4% (это соответствовало среднему показателю по ЕС), Литве – 25,6%, а в Эстонии – лишь 5%. В Азербайджане государственный долг рос достаточно быстро – +30,4%, тогда как в Грузии намного медленнее (+16,3%).
Международные резервы	Ярко выраженной тенденции к росту или снижению за анализируемый период по ним не наблюдалось. Такой вывод приемлем практически для всех анализируемых групп. Среди стран ЕС, не входящих в еврозону, Швеция продемонстрировала рост, не имеющий аналогов среди анализируемых стран, – на 435,3 млрд долл. Среди стран, входящих в ЕАЭС, за рассматриваемый период сильное снижение показателя международных резервов отмечалось у России – 81,8 млрд долл., а у остальных он фактически остался без изменений (Армении, Грузии и Киргизии) или продемонстрировал незначительный рост (Беларусь и Казахстан). В Азербайджане же наблюдалось снижение данного показателя – 9,8 млрд долл.

Наличие различных вариантов экономической интеграции стран ЦЕА позволяет сделать следующий вывод: они отличаются друг от друга по целям, условиям, необходимым для их формирования, и механизмам. Экономические отношения Азербайджана, Армении и Грузии развиваются в широтном («Запад-Восток») и в меридиальном («Север-Юг») направлениях. При этом Армения, вступив в ЕАЭС, выбрала «Север» (Россия, Белоруссия) и «Восток» (Казахстан, Киргизия), а Грузия, готовясь вступить в ЕС, – «Запад». Что касается Азербайджана, то он настоящее время балансирует между «Севером», «Западом» и «Югом», к которому можно отнести Иран, Ирак, Турцию и Пакистан. Скорее всего, в ближайшей перспективе Азербайджан не присоединится ни к одному из них. В то же время его ЭС с Грузией, или – что более осуществимо с практической точки зрения – создание здесь общей валютной зоны, представляется вполне реальным.

В этой связи считали бы уместным рассмотреть позиционирование Азербайджана и Грузии по отдельным макроэкономическим показателям с целью определения для них потенциальных возможностей создания двустороннего ЭС.

Известно, что для определения перспектив валютной интеграции с точки зрения ее оптимальности необходимо обозначить ряд условий [5, с. 109].

1. *Мобильность факторов производства.* В ЕС и ЕАЭС ограничения на пути движения рабочей силы и капитала полностью сняты. Грузия и Азербайджан в настоящее время также начали придавать динамичность процессу внутрирегиональной мобильности (капитала, рабочей силы) и уже получили в данном направлении положительные результаты.

2. *Уровень развития взаимных торговых отношений.* Из анализа представленных выше данных это условие не вытекает. Однако, к примеру, в 2007 г. Азербайджан и Грузия по двухстороннему экспорту имели показатели на уровне соответственно 31,7% и 29,3%, и за последнее время они продолжают расти.

3. *Схожесть институциональных форм хозяйствования.* Во всех без исключения странах ЕС преобладают рыночные методы ведения хозяйства. В ЕАЭС к управлению национальными экономиками применяются различные подходы. Так, если в Беларуси, Кыргыз-

стане и в большей степени в России сохраняется значительный государственный контроль над основными секторами производства, то в Казахстане и Армении преимущественно действуют рыночные методы. Последнее характерно также для Азербайджана и Грузии.

4. *Диверсификация производства.* В странах ЕС она существует и развивается. В странах ЕАЭС экспорт имеет, главным образом, сырьевую направленность (за исключением России, хотя и у нее в доходах бюджета примерно 27% составляет сырьевой компонент), и ограничивается несколькими товарными позициями. В Азербайджане и Грузии наблюдается слабая диверсифицированность отраслевой структуры производства, что делает их крайне подверженными внешним шокам, но это, в свою очередь, предопределяет потенциальную возможность для стимулирования совместных мероприятий по их преодолению.

5. *Финансовая интеграция.* В научных исследованиях приводятся исчерпывающие факты гармонизации законодательства по регулированию финансовых рынков, как со стороны стран ЕС, так и в странах, входящих в ЕАЭС [2]. Аналогичные процессы постоянно происходят в рамках двухсторонних отношений между Азербайджаном и Грузией, и дополнительный толчок их интенсификации должна придать политическая воля со стороны руководства этих государств.

6. *Синхронность экономической динамики.* В Азербайджане и Грузии по состоянию на декабрь 2012 г. наблюдалась существенная разница по первому проанализированному показателю – ВВП на душу населения (соответственно 5820 и 3470 долл.). Но в анализируемом периоде они показали динамику к сближению, и разрыв между ними, который по-прежнему остается существенным, сокращается. Особо следует отметить, что наибольшее увеличение второго анализируемого показателя – инфляции – среди представленных 23 государств продемонстрировали Азербайджан и Грузия. У первой страны этот показатель увеличился на 9,2% (до 14%), у второй – на 5,5% (до 5,7%). Важно отметить, что на начало анализируемого периода разница между показателями отношения госдолга к ВВП в Азербайджане и Грузии превышала 20% (соответственно 7,3% и 27,6%). Динамика их роста в отдельные периоды также заметно отличалась. Однако к концу 2016 г. этот разрыв существенно сократился, и сейчас можно констатировать их значительное сближение: в Азербайджане – 37,7%, Грузии – 43,9%. И только по международным резервам – четвертому проанализированному показателю – Азербайджан и Грузия показали разнонаправленные изменения. В Азербайджане они снизились на 9 млрд долл., тогда как в Грузии – увеличились на 0,4 млрд долл. Но это является общим трендом, одновременно относящимся к странам как ЕС, так и ЕАЭС.

Заключение

Проведенный анализ позволяет сформулировать ряд выводов по поводу оптимальности требований к валютной интеграции по ЕС, ЕАЭС, Азербайджану и Грузии:

1. Анализ условий, необходимых для валютной интеграции, показал, что ЕС отвечает оптимальным требованиям к его функционированию. Даже при наличии разнонаправленной динамики по ряду проанализированных показателей, в ЕС проявляется специфика экономического развития отдельных стран, но это не касается проблемы в целом по Союзу. Причём по ряду индикаторов (ВВП на душу населения, отношению госдолга к ВВП, росту международных резервов) страны ЕС, не входящие в еврозону, продемонстрировали лучшие результаты.

2. В сравнительно недавно вошедших в ЕС и зону евро Латвии, Литве и Эстонии преобладающее число показателей (за редким исключением) изменилось также с положительным эффектом.

3. Страны ЕАЭС по большинству проанализированных условий и показателей не продемонстрировали полную готовность к развитию полноценного ЭС. Однако наблюдаемые в последние годы позитивные тенденции по всем вышеперечисленным направлениям дают основания полагать, что в долгосрочной перспективе будут созданы оптимальные предпосылки для его формирования.

4. Азербайджан и Грузия также находятся вне ЭС-ов. К 2012 г. их изначальное экономи-

ческое положение было дифференцированным: по многим показателям лидировал Азербайджан. Но с изменением цен на сырьевые ресурсы произошло резкое снижение многих показателей его экономического развития и сближение их абсолютных и относительных величин с Грузией. При этом почти по всем условиям оптимального экономического (валютного) союза эти два государства близки друг к другу. Отмечается и геополитическая близость, в том числе в своей неготовности (по разным причинам) к полной интеграции в ЕС и ЕАЭС. По нашему мнению, регуляторам в данных странах необходимо интенсифицировать процессы по постепенной консолидации финансовых рынков, взаимной гармонизации валютного и банковского законодательства, унификации таможенных пошлин и налогов.

Использованная литература

1. Папова В.Г., Беридзе Т.А. Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии). Москва: Дело и сервис, 2005. 287 с.
2. Отчет о научно-исследовательской работе по теме «Разработка Стратегии развития финансовых рынков государств-членов ТС и ЕЭП на период до 2025 года». 2 этап. Москва: ОАО Инвестиционная компания «Еврофинансы», 2015. 715 с.
3. Financial Soundness Indicators: Compilation Guide. Washington: IMF, 2009. xii, 312 p.
4. Музаффарли (Иманов) Н. Социальная ориентированность экономики в правистских и левистских системах. Баку: Издательский Дом Шарг-Гарб, 2014, 280 с.
5. Исмаилов Э. Валюты стран Центральной Евразии в контексте финансовой глобализации. Стокгольм: Издательство «SA&CCPress», 2009. 132 с.

Fidan Ismayilova

FEATURES OF MONETARY POLICY POST-COMMUNIST COUNTRIES IN REGIONAL UNIONS (CASE OF AZERBAIJAN-GEORGIA)

Summary

This scientific work reveals some features of the monetary policy of post-communist countries in various international integration structures (on the example of the EU and the EAEU). The questions of the influence of the degree of state participation in these international integration structures on a number of macroeconomic indicators in a global crisis are considered. A comparative analysis of these indicators for Azerbaijan and Georgia with the corresponding indicators for the EU and EAEU countries has been carried out.

მაია გრიგოლია

პოსტკრიზისული პერიოდის ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური შეფასების ანალიზი

ანოტაცია. მსოფლიოს ბოლო, 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ფისკალური და ზოგადად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა და ხელახალი გააზრება გამოიწვია და შედეგად აღსანიშნავია, რომ ფინანსური კრიზისის შემდგომ დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ რიგ საკითხებში ფისკალური პოლიტიკა უფრო ეფექტიანია და რწმენა იმის შესახებ, რომ მონეტარული პოლიტიკა უფრო მოქნილია და ადვილად შეიძლება იყოს დაცული პოლიტიკური წნეხებისგან, თანდათან გაქარწყლდა.

საკვანძო სიტყვები: პოსტკრიზისული პერიოდი, ფისკალური პოლიტიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

2008 წლის კრიზისის შემდგომ როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყნებმა მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ ფისკალური სტიმულირების პროგრამა შემოიღეს (Shome 2012). ეკონომიკის აქტიურობის ხელშეწყობისკენ მიმართული მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ფულის მასის ზრდას გულისხმობდა, შედეგს არ იძლეოდა, რადგან ფულის მულტიპლიკატორი და საბანკო მიმოქცევა ჩამოშლილი იყო. ვინაიდან რიგ შემთხვევებში მონეტარული პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა, სიტუაციის გამოსასწორებლად ძირითადი იმედები ფისკალურ სტიმულებზე მყარდებოდა, რომელიც გადასახადების შემცირებისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდის გზით იძლეოდა მოქმედების შესაძლებლობას. თუმცა, იმის გამო, რომ ძირითად შემთხვევებში არ არსებობდა მსგავსი გამოცდილება, კრიზისში ჩავარდნილი ქვეყნების პოლიტიკის გამტარებლებს უწევდათ იმპროვიზაციული გადაწყვეტილებების მიღება.

ბოლო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დარჩა ბევრი უპასუხო კითხვა როგორც მონეტარული, ისე ფისკალური პოლიტიკის გატარების მიმართ. დაისვა საკითხი ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის სისწორესთან დაკავშირებით. გამოიკვეთა მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების დანერგვის საჭიროება. კრიზისამდელ პერიოდში სახელმწიფო ვალებზე დაწესებული ზღვრები არ აღმოჩნდა საკმარისი კრიზისიდან მდგრადად გამოსავლენად. მიმდინარე ანგარიშის დასაბალანსებლად დადგა ლიმიტების დაწესების საჭიროება. სტატიაში მოცემული ანალიზი აჯამებს და აანალიზებს ამ მიმართულებით დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას პოსტ-კრიზისულ პერიოდში იმ რწმენით, რომ მომავალში საჭიროების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის საშუალებით ეკონომიკის სტიმულირება მეტად გააზრებულიად და ეფექტიანად მოხდეს.

განვითარებადი ეკონომიკებისთვის, 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი 80-იან და 90-იანი წლების კრიზისებისგან თვისებრივად განსხვავებული იყო. ამ პერიოდების კრიზისების უმრავლესობა იყო პოლიტიკის ან გარდამავალი ბაზრის ქვეყნებში ინსტიტუციური პრობლემების შედეგი. ეს პრობლემები მოიცავდა სუსტ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ცუდ მმართველობას ან სუსტ ინსტიტუციებს, რაც იწვევდა არასტაბილურობას, ზრდის დაბალ ტემპს, მაღალ ინფლაციას, საკრედიტო კოლაფსსა და საგადახდელო ბალანსის პრობლემებს (Indrawati 2012). ახალი ათასწლეულის პირველ დეკადაში კი, წინა წლებისგან განსხვავებით, განვითარებადმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს შიდა პოლიტიკის გასაძლიერებლად, რაც მდგრად მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას გულისხმობდა. განვითარებად და გარდამავალი ბაზრების მქონე ქვეყნებში ბევრმა ცენტრალურმა ბანკმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. მათ მიიღეს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკა გახდა უფრო პრუდენციული. საქართველოს მსგავსად (საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, 2011, matsne.gov.ge), ზოგმა ქვეყანამ ფისკალურ მაჩვენებლებზე მიიღო შეზღუდვები, რომელიც, მაგალითად, ინდონეზიის შემთხვევაში ზღუდავდა ფისკალური დეფიციტის მთლიან სამამულო პროდუქტთან თანაფარდობას 3 პროცენტზე. ინდონეზიამ ასევე მიიღო სესხის GDP-სთან თანაფარდობის 60 პროცენტის ზღვარი. თითქმის ყველა განვითარებადმა ქვეყანამ ჩადო ფული სტრუქტურულ რეფორმებში არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების მიმარ-


თულებით, არამედ ინვესტიციების და სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებითაც (Blanchard, O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. E. 2012).

შედეგად, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ წინ წაიწია მაკროეკონომიკური და ფისკალური სივრცის განვითარებაში. ამ ბუფერებმა კიდევ უფრო გაამძლიერეს ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა. თუმცა, ძლიერმა შიდა სიტუაციამ გარდამავალი ბაზრები ვერ აარიდა გარე შოკებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყნებმა სცადეს, ჰქონოდათ უფრო გახსნილი სავაჭრო სივრცე და უცხოური ინვესტიციები და მეტად ინტეგრირებულნი ყოფილიყვნენ გლობალურ ეკონომიკასთან. შედეგად, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისთვის 2008 წლის კრიზისი განსხვავდებოდა წინა კრიზისებისგან. შოკის წყარო გარეგანი ფაქტორები იყო, რომელიც გლობალური ეკონომიკისგან მოდიოდა (Indrawati 2012).

განვითარებადი ეკონომიკებისთვის ყველაზე კრიტიკული პოლიტიკური ბერკეტი გარე და შიდა მოთხოვნის შემცირებაზე საპასუხოდ იყო ფისკალური პოლიტიკის გამოყენება (Kabash 2016). ფისკალური პოლიტიკის შესაძლო ეფექტების დათვლა, ანუ მთავრობის დანახარჯების ზრდისა თუ გარკვეული გადასახადების დაცემის ეკონომიკური შედეგების დათვლა, ხდება მიახლოებული ფისკალური მულტიპლიკატორების გაანგარიშებით (Ilzetzki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010). პრობლემა ისაა, რომ ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასების არსებული მეთოდებით გაანგარიშებული მულტიპლიკატორის ზომა დიდი ინტერვალით მერყეობს, გვხვდება როგორც უარყოფითი მაჩვენებლები, ასევე შეიძლება ვნახოთ კვლევები, რომლებიც მნიშვნელოვნად დადებით მაჩვენებელს იღებს შედეგად. სწორედ ამიტომ ჩნდება უნდობლობა ფისკალური მულტიპლიკატორის მიმართ (Alesina, A. F., Ardagna, S. 2009). ისინი, რომლებიც უარყოფითად უყურებენ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადად პოულობენ მცირე ზომის მულტიპლიკატორებს და ისინი კი, ვინც მათ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას ეთანხმება, პოულობენ უფრო დიდ რიცხვებს. თუმცა ეს ტენდენცია გადაქცეულია ჯანმრთელ კრიტიკად. ნაკლებად სავარაუდოა ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე კონსენსუსამდე მისვლა, თუმცა სასარგებლო იქნება თუ სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მულტიპლიკატორის მაჩვენებლების დიაპაზონი დავიწროვდება (Shome 2012).

ფისკალური მულტიპლიკატორების გამოყენების სიმწიფეები კარგად არის წარმოჩენილი ილზეცკისა და სხვათა ნაშრომში (Ilzetzki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010), სადაც მათ აჩვენეს, რომ ფისკალური სტიმულის ეფექტი ეკონომიკის გარკვეულ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორები ახასიათებთ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს, ნაკლებად გახსნილი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, დაფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე სახელმწიფოებს, ნაკლები საჯარო ვალის მქონე და იმ ქვეყნებს, სადაც ინვესტიციები წამყვანია (გრაფიკი 1). იმის გამო, რომ ერთი და იგივე ფისკალური დეფიციტი ყოველ ერთეულ GDP-ზე სხვადასხვა ფისკალურ სტიმულს იძლევა ქვეყნების მიხედვით, ფისკალური დეფიციტის GDP-სთან თანაფარდობის ინდიკატორად გამოყენება რთულდება.

**გრაფიკი I. ფისკალური მულტიპლიკატორი სხვადასხვა ქვეყანაში
ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, 2010**



წყარო: (Ilzetzki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010)

რადგანაც ფისკალური მულტიპლიკატორები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფისკალურ დეფიციტს ერთ ერთეულ GDP-ზე თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებული სტიმულების შექმნა შეუძლია. ქვეყნები, რომლებსაც დაბალი ფისკალური მულტიპლიკატორი აქვს, უწევთ მაღალი დეფიციტის შენარჩუნება, მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით. ამიტომ, ხელაღებით დეფიციტის შემცირების პოლიტიკა თანაბრად ვერ გაამართლებს სხვადასხვა ქვეყანაში (Ilzetzki, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. 2010).

სახელმწიფო ვალების სწრაფად ზრდასთან ერთად დადგა ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროების საკითხი. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ფისკალური კონსოლიდაციის სტრატეგიებზე რამდენიმე ასპექტი უნდა გამოიყოს: პირველი - ბევრ განვითარებად ქვეყანას აქვს ვიწრო საგადასახადო ბაზა. მათთვის, სტრუქტურული რეფორმის პრიორიტეტია საგადასახადო ბაზის გაფართოება, შემოსავლების გაუმჯობესება და ავტომატური სტაბილიზატორების დამატება, რომლებიც ფარავენ რეალური ეკონომიკის უმეტეს ნაწილს; მეორე - ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ ზედა ზღვარი დისკრეციულ ხარჯებზე, რაც ასევე ქმნის უკეთეს ფისკალურ დისციპლინას. ეს ასევე თავიდან იცილებს დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის პოლიტიზებას კრიზისის დროს; მესამე - ქვეყნებს სჭირდებათ, რომ ფოკუსირდნენ მათი ხარჯვის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვანი ხდება კრიზისის დროს (Romer, What have we learned about the fiscal policy from the crises? 2012). სოციალურ სექტორსა და ინფრასტრუქტურაში ხარჯების პრიორიტეტებად დაყოფა, ისევე, როგორც იმის უზრუნველყოფა, რომ ხარჯვა არის მიზანმიმართული, შეიძლება აღმოჩნდეს უმნიშვნელოვანესი.

ცალსახად ბიუჯეტის პრობლემების საპასუხოდ მიღებული ფისკალური პოლიტიკა დიდად სარგებლიანია, თუმცა ეს უპირატესობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადაიფაროს ბარიერი, რომელიც საზოგადოების დაბალი ფისკალური განათლების გამო წარმოიქმნება (Caplan 2007). გრძელვადიანი ფისკალური პოლიტიკის შესახებ საზოგადოების დაბალი განათლებიდან გამომდინარე, მოქალაქეები უარყოფითად აფასებენ გეგმას, რომელიც შეეხება მოხმარების შემცირებას ან არსებულ პოლიტიკასთან შედარებით გადასახადების ზრდას (Romer, Misconceptions and Political Outcomes 2003). რომერი თვლის, რომ გაკვეთილები, რომელიც მსოფლიომ 2008 წლის კრიზისის დროს მიიღო, ძალიან ცუდ დღეში აგდებს დაბალი შემოსავლების მქონე

ქვეყნებს და იმ კანონმდებლებს, რომლებსაც სჯერათ ამ გაკვეთილების. მათ წინაშეა როგორც სერიოზული მოკლევადიანი პრობლემები, ისე გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვის წინააღმდეგ აღმართული საზოგადოება. დიდმა დეპრესიამ მოიტანა ინსტიტუციური ცვლილებები - სადეპოზიტო დაზღვევა, ფინანსური რეგულაციები და სტაბილურობის პოლიტიკისადმი ყურადღების გამახვილების საჭიროება - რომლებმაც შეამცირა განმეორების შანსი. არაფერი მნიშვნელოვანი არ შეგვიძლია ავიღოთ ბოლო კრიზისიდან. მსოფლიოს გარშემო იყო რამდენიმე ფინანსური რეგულაციის რეფორმა, მაგრამ მათი ეფექტიანობა ჯერაც გაურკვეველია. პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უფრო რთული გახადოს მომავალი კრიზისების დროს მონეტარული, ფინანსური და ფისკალური ხელსაწყოების გამოყენება. ფინანსურმა კრიზისმა გააუარესა ქვეყნების გრძელვადიანი ფისკალური პრობლემები. ეს, თავის მხრივ, ამცირებს ფისკალური პოლიტიკის სივრცეს, რომელიც მომავალი კრიზისების დროს საპასუხო რეაგირების გარანტიად უნდა იქცეს (Romer, Misconceptions and Political Outcomes 2003).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პორტუგალიელი ეკონომისტი ვიტორ გასპარი წიგნისთვის - „პროგრესი და დაბნეულობა“ (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016) მომზადებულ სტატიაში მწვავედ განიხილავს სახელმწიფო პოლიტიკის დროულობის, რისკების შეფასებისა და ინტერვენციის ეფექტიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს (Gaspar 2016). მისი აზრით, საჯარო ფინანსები და ფისკალური პოლიტიკა ახალ პარადიგმას საჭიროებს. რიჩარდ მასგრეისმა საჯარო ფინანსების ფუნქციები შემდეგნაირად განსაზღვრა: განაწილება, მიწოდება და სტაბილიზაცია (Musgrave 1959). მისეული განსაზღვრება ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე მოძველებულია და აქტუალობას ჰკარგავს. მსგავსად წინამორბედისა, მომდევნო პარადიგმა, რომელიც მთავრობის ჩარევას საბაზრო ჩავარდნით ხსნის, დროს ვერ უძლებს. თეორიული დაშვებები, რომლებიც აუცილებელია ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის ნაკლებად სავარაუდოა, რომ რეალურ სამყაროში მოქმედებდეს (Gaspar 2016). დღეს უკვე ვიცით, რომ საბაზრო ჩავარდნა თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია და რთულია იმის განსაზღვრა თუ როდისაა აუცილებელი მთავრობის ჩარევა და როდის - არა. ცხადია, სრული სიმეტრიული ინფორმაცია, სრულყოფილი ბაზრები, გარე ფაქტორების არარსებობა, სრულყოფილი კონკურენცია და გარიგებებთან დაკავშირებული ხარჯები და დაშვებები ნამდვილ სამყაროში არარეალურია. ამას ემატება მთავრობის ინტერვენციების შესაძლო ჩავარდნაც. როგორც ბრედფორდ დელონგი ამბობს: „ისედაც მძიმე საბაზრო ჩავარდნები მთავრობის წყალობით შესაძლოა უფრო მტკივნეული გახდეს“ (DeLong 2015).

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, მიმდინარე პერიოდში, რომელსაც შეიძლება მშვიდობის პერიოდიც ვუწოდოთ, სახელმწიფო ვალი უპრეცედენტო დონეებს აღწევს. საჯარო ფინანსების რისკები, დღესდღეობით, ფართო და მრავალფეროვანია. არსებული რისკები ზოგიერთ განვითარებულ ეკონომიკაში დაბალი ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის შედეგად წარმოიქმნება (Gaspar, V., Hughes, R., Jaramillo, L. 2015). განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის ქვეშ დგანან. საქონლის მერყევი ფასები საფრთხეს უქმნის საქონლის ექსპორტიორებს. წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებში, მონეტარული პოლიტიკის განსხვავებულად წარმართვის პირობებში, არსებობს საპროცენტო განაკვეთების სწრაფად მატების რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ვალის მდგრადობას (Blanchard 2014). გარდა ამისა, დემოგრაფიული ტენდენციები ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ყველა ქვეყანაში. მაშინ,

როცა ქვეყანაში ინსტიტუციური მოწყობა სუსტია, ვალდებულებების წარმოქმნის წინასწარ განსაზღვრა რთულდება, რადგან სახელმწიფო ძირითადად გამოდის უკანასკნელი დამზღვევის როლში, როდესაც რაიმე რიგზე ვერაა ეკონომიკაში (Fund, Debt Sustainability Analysis for Market Access Countries 2018). ასეთი სიტუაცია მალევე შეიძლება გადაიზარდოს რეგიონულ ან თუნდაც გლობალურ კრიზისში.

მაღალი ვალისა და ლატენტური რისკების პირობებში ფისკალური პოლიტიკის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურ როლს იძენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად განიხილავს გზებს, თუ როგორ შეიძლება უკეთ გაიზომოს და მაქსიმალურად შემცირდეს ფისკალური რისკები იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის მჭიდრო კორელაციაა, ინფორმაცია ასიმეტრიულია და ხასიათდება არაწრფივი კავშირით (Blanchard 2014) (Caballero 2010) (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016). ასევე მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების შეფასების შედეგების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ყოველივე დააბალანსებს ინკლუზიურ ზრდას, სტაბილურობასა და ხელს შეუწყობს რისკების მართვის განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონეტარულ კავშირებში (Buti 2016). ანალიზმა ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს ფისკალურ პოლიტიკაზე, როგორც ეკონომიკური მდგრადობისა და ზრდის ხელშემწყობ მექანიზმზე როგორც მოკლე, ისე საშუალოვადიან პერიოდში (Fund, Will it Hurt? Macroeconomic Effects of Fiscal consolidation 2010). როგორც მარტინ ფელდშტეინი ამბობდა (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), ფისკალური პოლიტიკა თამაშობს არსებით როლს, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური რყევების გამწვავება. ასეთ დროს წამახალისებელმა ფისკალურმა პოლიტიკამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს კერძო ინვესტიციების ზრდას, რაც ასოცირდება უფრო დაბალ რისკთან ვიდრე მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივა. ფელდშტეინი ასევე მიიჩნევს, რომ შემოსავლებისგან ნეიტრალური საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციების წახალისების ალტერნატივაა.

რა თქმა უნდა, დრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განსაზღვრავს როგორც მონეტარული, ისე ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას. ფელდშტეინის აზრით (Feldstein, The Future of Fiscal Policy 2016), დროის ფაქტორი მოთხოვნის სტიმულირებაში მონეტარულ პოლიტიკას ფისკალურთან შედარებით უფრო მიმზიდველს ხდის, რადგან ფისკალური სტიმულების ამოქმედება დროში მეტად იწელება. ტრადიციულად, რეცესიები გასულ საუკუნეში საშუალოდ ათი თვე გრძელდებოდა. თუმცა ეს იმაზე ნაკლები დროა, რაც ფისკალური პოლიტიკის სტიმულების განხორციელებას სჭირდება - გადასახადების შეცვლის შესახებ ახალი კანონის განხილვა, მისი ძალაში შესვლა და ბოლოს იმის ლოდინი თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს ეკონომიკაზე. ასე რომ, შესაძლოა, ფისკალურმა პოლიტიკამ მოქმედება დადმავლობის ციკლის დასრულების შემდეგ დაიწყოს. ამიტომ, განსაკუთრებით მომგებიანი იქნება ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გამოყენება მაშინ, როცა რეცესიის განჭვრეტა წინასწარ არის შესაძლებელი და მოსალოდნელი რეცესია დიდხანს გასტანს მძიმე შედეგებით.

დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც ფინანსური სისტემა გაიყინა და მონეტარული პოლიტიკის გავლენა შესუსტდა, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიმართა სწრაფად კლებადი ერთობლივი მოთხოვნის შესაჩერებლად, რომლის შედეგიც საბოლოოდ სახელმწიფო ვალის GDP-სთან გაზრდილი მაჩვენებლებია. ამის შემდეგ სახელმწიფოები ეკონომიკის

სტიმულირებიდან ვალის სტაბილიზაციის პოლიტიკისკენ გადაერთვნენ, მაშინ როდესაც ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული კრიზისით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი შემცირების შოკიდან. სწორედ ამიტომ, ფისკალური პოლიტიკის ეფექტების ღრმად შესწავლა და ახალი პარადიგმის დანერვის საჭიროებაა ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც ბოლო ეკონომიკურმა კრიზისმა დაგვიტოვა. ფელდშტეინის დასკვნით (Feldstein, *The Future of Fiscal Policy* 2016), რეცესიები და განსაკუთრებით ფინანსური კრიზისით გამოწვეული რეცესიები საკმარისად ხანგრძლივად გრძელდება იმისთვის, რომ დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა იქნეს გამოყენებული როგორც მასტიმულირებელი მექანიზმი. მხოლოდ, მნიშვნელოვანია რომ დაინერგოს სწორი ინტრუმენტები და შემუშავდეს ფისკალური ინდიკატორები, რომლებიც დროულად შეძლებენ რისკების იდენტიფიცირებას. მარკო ბუტი (Buti 2016) ყურადღებას ამახვილებს ფისკალური პოლიტიკის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი დაგეგმვის მნიშვნელობაზე იმიტომ, რომ კრიზისულ პერიოდებში ქვეყნებმა თამამად შეძლონ საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება. ბრედფორდ დელონგი (DeLong 2015) დისკუსიის მნიშვნელოვან ნაწილად ოცდამეერთე საუკუნეში არსებულ სახელმწიფო ვალის დონესა და გაზრდილ სახელმწიფო დანახარჯებს ასახელებს. მისი აზრით, უნდა მოველოდეთ სახელმწიფო ზომების ზრდას, რამდენადაც ეკონომიკების უმრავლესობა ნელ-ნელა ინაცვლებს ისეთი სექტორებისკენ, სადაც საბაზრო ჩავარდნების თავიდან არიდება შეუძლებელია (განათლება, ჯანდაცვა, საინფორმაციო საქონელი) და სწორედ ამიტომ ფისკალური პოლიტიკის როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, 2011, matsne.gov.ge
2. Afonso, A., Jalles, J. T. 2012. "Fiscal Volatility, Financial Crisis and Growth." *Applied Economics Letters* 1821–26.
3. Alesina, A. F., Ardagna, S. 2009. "Large Changes in Fiscal Policy: Taxes vs. Spendings." *National Bureau of Economic Research* Cambridge, MA.
4. Bernanke, B. 2000. "Japanese Monetary Policy: A case of self-induced paralysis." *Institute for International Economics* 149-166.
5. Blanchard, O. 2014. "Where Danger Lurks." *Finance & Development*.
6. Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016. *Progress and Confusion, the State of Macroeconomic Policy*. London: The MIT Press.
7. Blanchard, O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. E. . 2012. *In the Wake of Crisis*. London: MIT press.
8. Buti, M. 2016. "What Future for Rules-Based Fiscal Policy?" In *Progress and Confusion*, by O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. Blanchard, 183-195. London: MIT Press.
9. Caballero, R. J. 2010. "Macroeconomics after the crises: Time to deal with the Pretense-of-Knowledge syndrome." *Journal of Economic Perspectives* 85-102.
10. Caplan, B. 2007. *The Myth of the Rational Voter: Why Democracies Choose Bad Policies*. Princtone: Princtone University Press.
11. Chodorow-Reich, G., Feiveson, L., Zachari, L., Woolston, V. G. . 2012. "Does State Fiscal Relief During Recessions Increase Employment? Evidence from the American Recovery and Reinvestment Act."
12. Christiano, L., Motto, R., Rostagno, M. 2010. *Financial factors in economic fluctuations*. European Central Bank.
13. Coenen, G. 2010. *Effects of Fiscal Stimulus in Structural Models*. Working Paper, Washington: International Monetary Fund.

14. DeLong, B. J. 2015. *Draft for "Rethinking Macroeconomics" Conference Fiscal Policy*. April 6. Accessed December 2, 2019. www.bradford-delong.com.
15. Feldstein, M. 2009. "Rethinking the Role of Fiscal Policy." *American Economic Review* 556-59.
16. Feldstein, M. 2016. "The Future of Fiscal Policy." In *Progress and Confusion*, by Rajan, R. G., Summers, L. H. Blanchard. O., 177-181. London: The MIT Press.
17. Fishback, P., Kachanovskaya, V. 2010. "The Search of the Multiplier for Federal Spending in the States During the New Deal." *National Bureau of Economic Research*.
18. Gaspar, V. 2016. „Fiscal Policy for the Twenty-First Century: Testing the Limits of the Tax State?“ *Progress and Confusion*-θο, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. Blanchard-ος θογϋ, 165-176. Londong: The MIT Press.
19. Gaspar, V., Hughes, R., Jaramillo, L. 2015. *Dams and Dykes for Public Finances*. March 18. Accessed December 2, 2019. <https://blogs.imf.org/2015/03/18/dams-and-dikes-for-public-finances/>.
20. International Monetary Fund. 2010. *The Measurement of FISIM and Effects on the Statistics*. Washington: IMF Committee on Balance of Payments Statistics.
21. International Monetary Fund. 2018. *Debt Sustainability Analysis for Market Access Countries*. International Monetary Fund.
22. International Monetary Fund. 2015. *Now is the Time: Fiscal Policies for Sustainable Growth*. Washington: IMF.
23. International Monetary Fund. 2015. "Fiscal Monitor." *Now Is the Time-Fiscal Policies for Sustainable Growth*, April.
24. International Monetary Fund. 2010. *Will it hurt? Macroeconomic Effect of Fiscal Consolidation*. Washington: World Economic Outlook.
25. Ilzetzi, E., Mendoza, E. G., Carlos A. V. . 2010. "How Big (Small) are Fiscal Multipliers?" *National Bureau of Economic Research*.
26. Indrawati, S. M.. 2012. "Fiscal Policy Resonances to Economic Crisis: Perspectives from an Emerging Market." In *In the Wake of Crisis*, by O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. Blanchard, 67-71. London: MIT Press.
27. Jonung, L. 2014. "Reforming the Fiscal Framework. The Case of Sweden 1973-2013." *Working Paper 2014:26* .
28. Kabash, R. 2016. "Macroeconomic effects of fiscal policy in the European Union, with particular reference to transition countries." *National Bank of the Republic of Macedonia*.
29. Kraay, A. 2011. "How Large is the Government Spending Multiplier? Evidence from the World Bank Lending." *Quarterly Journal of Economics*.
30. Musgrave, R. 1959. *The Theory of Public Finance*. New York: McGraw-Hill.
31. Nakamura, E., Stainsson, J. . 2011. "Fiscal Stimulus in Monetary Union: Evidence from U.S. Regions." *National Bureau of Economic Research*.
32. New York Times. 2008. www.nytimes.com. November 2008. Accessed December 1, 2019. <https://www.nytimes.com/2008/11/16/washington/summit-text.html>.
33. Romer, D. 2003. "Misconceptions and Political Outcomes." *Economic Journal* 1-20.
34. Romer, D. 2012. "What have we learned about the fiscal policy from the crises?" In *In the Wake of Crisis*, by O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. Blanchard, 57-66. London: MIT press.
35. Rudebusch, G. D. 2009. "The Fed's Monetary Policy Response to the Current Crisis." *Federal Reserve Bank of San Francisco Economic Letter*.
36. Schumpeter, J. A. 1918. *The Crisis of the Tax State*. Reproduced in: Swedberg R, 1991.
37. Serrato, S., Carlos, J., Wingender, P. . 2011. *Estimating Local Fiscal Multipliers*. University of California.
38. Shoag, D. 2010. *The impact of Government Spending Shocks: Evidence on the Multiplier from State Pension Plan Returns*. Harvard University.
39. Shome, P. 2012. "Fiscal Stimuli and Consolidation." In *In the Wake of Crisis*, by O., Romer, D., Spence, M., Stiglitz, J. E. Blanchard, 49-55. London: MIT press.

40. Solow, R. 2012. "Fiscal Policy." In *In the Wake of Crisis*, by O., Romer, D., Spense, M., Stiglits, J. Blanchard, 73-76. London: MIT Press.
41. US Council of Economic Advisers. 2009. "The Effect of Fiscal Stimulus: A Cross-Country Perspective." Washington.
42. Weber, M. 1978 . *Economy and Society: An Outline of Interpretive Sociology*. New York: University of California Press.

Maia Grigolia

**THE ANALYSIS OF MACROECONOMIC ASSESSION OF
FISCAL POLICY IN POSTCRISIS PERIOD
Summary**

The last economic crisis in 2008-2009 led to rethinking the effectiveness of macroeconomic and fiscal policies. During the 2008-2009 recession, both developed and developing countries had to make an improvised policy decision to stimulate the economy by increasing aggregate demand. While in the pre-crisis period, more frequently monetary policy was addressed for stimulating the economy, already in the post-crisis era, most economists agree that in some situations fiscal policy can be more effective, and the opinion that monetary policy is more flexible and can be free from political pressure gradually diminishes (Blanchard, O., Rajan, R. G., Rogoff, K. S., Summers, L. H. 2016).

After the 2008 crisis, both developed and developing countries have introduced fiscal stimulus programs in response to economic downturns (Shome 2012). The monetary policy aimed at boosting economic activity by raising the money supply did not work as the money multiplier and bank circulation collapsed. As monetary policy has been weak in some cases, the main hopes for economic recovery have been fueled by fiscal stimulus, which has an opportunity to act through tax cuts and increased government spending. However, because of a lack of experience and lack of predictability, policymakers in crisis countries had to make unforeseen decisions, which resulted in rapidly increased government dept ratios to GDP.

Since then, states have shifted from a stimulating economy to a debt stabilization policy, while countries have yet to recover from the shock of a sharp decline in aggregate demand caused by the crisis. That is why a deeper study of the effects of fiscal policy and the need to introduce a new paradigm is one of the lessons we have learned from the recent economic crisis.

To Feldstein's opinion, recessions, especially recessions caused by the financial crises last long enough to implement the fiscal policy as a stimulating mechanism (Feldstein, *The Future of Fiscal Policy* 2016). Only, it is important to introduce the right fiscal instruments and develop new fiscal indicators that can identify risks in a timely manner. Buti (Buti 2016) emphasizes the importance of planning long-term fiscal policy so that countries can aggressively use the fiscal instrument needed in times of crisis. DeLong also, (DeLong 2015) discusses the level of public debt in the twenty-first century and increased government spending. Even more, we should expect larger government size in the future since most economies are gradually shifting to sectors where market failures are more likely to happen (education, healthcare, information products) and therefore the role of fiscal policy is expected to increase in the future (DeLong, 2015).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ინდიკატორები
(მეთოდოლოგიური საფუძვლები)

ანოტაცია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მოდელი ძალიან აქტუალური საკითხია ნებისმიერი ქვეყნისათვის, ამ მოდელმა განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ზეც მოახდინა გავლენა. აღნიშნული მიდგომის თანახმად, განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ფართო დიალოგს, რომელშიც, ექსპერტების და პოლიტიკოსების გარდა, ღარიბები და დაბალი შემოსავლის მქონე პირებიც მიიღებენ მონაწილეობას. მსოფლიო ბანკის ექსპერტების თანახმად, ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს: 1) ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას; 2) ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას. პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი - ადამიანური რესურსების - მაქსიმალურ ათვისებას უწყობს ხელს. შემოსავლების უთანასწორობა და საგადასახადო პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებასთან. შემოსავლების უთანასწორობა ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც სიღარიბისა და სოციალური დაძაბულობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. ეფექტიან საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია შეამსუბუქოს შემოსავლების უთანასწორობა საზოგადოების ფენებს შორის, რაც საბოლოო ჯამში მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გარანტი იქნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია სახელმწიფოს კეთილი ნება, ეფექტიანი მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საზოგადოების თითოეული წევრის მაქსიმალური ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების უთანასწორობა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები, ინკლუზიური განვითარების ინდექსი, ინკლუზიური ზრდის მეთოდოლოგიური საფუძვლები, გლობალიზაცია.

ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ინდიკატორები

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მიხედვით


ცხოვრების სტანდარტების მხოლოდ მცირე ტემპით გაუმჯობესებამ და მსოფლიოში არსებულმა უთანასწორობამ როგორ განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, დღის წესრიგში დააყენა კონსენსუსის საჭიროება ეკონომიკური ზრდის უფრო ინკლუზიური და მდგრადი მოდელის საჭიროებაზე. მრავალი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკურ პროგრესს აფასებს არა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის მიხედვით, არამედ მათი ცხოვრების სტანდარტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მრავალგანზომილებიან მაჩვენებელს, მოიცავს რა შემოსავლებს, დასაქმების შესაძლებლობას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ცხოვრების ხარისხს და ა.შ. [Blanke J., Samans R., 2018: 1-2].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდა არის საჭირო, თუმცა არასაკმარისი პირობა ცხოვრების საშუალო სტანდარტების გასაუმჯობესებლად. მთლიანი შიდა პროდუქტი არ წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების საუკეთესო საზომს, რადგანაც ყურადღების მიღმა ტოვებს არაეკონომიკურ ასპექტებს. ალტერნატიულად, სხვადასხვა ორგანიზაციები გვთავაზობენ გაუმჯობესებულ მაჩვენებლებს, მაგალითად, სტიგლიცის კომისიის

მოხსენება¹⁶(Stiglitz Commission Report) ყურადღებას ამახვილებს ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა მოხმარება, შემოსავალი, სიმდიდრე და მათი გადანაწილება. ევროკომისია (European Commission-EC) მხედველობაში იღებს გარემოს დაცვასა და ცხოვრების ხარისხს (შემოსავლების, ჯანდაცვის, განათლების, გარემო ასპექტების გათვალისწინებით), ადამიანური განვითარების ინდექსი (Human Development Index) მოიცავს 3 კომპონენტს: სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლება, ცხოვრების სტანდარტი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic CO-Operation and Development-OECD) იყენებს Better Life Index-ს, New Economics Foundation - Happy Planet Index-ს , მსოფლიო ბანკი(World Bank)- Human Opportunity Index¹⁷-ს და ა.შ.

GDP-ს ალტერნატიულად, ინკლუზიური განვითარების კომპოზიტიური ინდექსი (Inclusive Development Index (IDI)) მოიცავს უფრო ზუსტ მაჩვენებლებს, რომელთა საშუალებითაც მსოფლიოს მოსახლეობა აფასებს ცხოვრების სტანდარტებს და, შესაბამისად, ეკონომიკურ პროგრესს. უნდა აღინიშნოს, რომ IDI და GDP-ს შორის მჭიდრო კორელაციაა(0.75), რადგან ინკლუზიური განვითარების ინდექსი მოიცავს GDP-ს, როგორც მის ერთ-ერთ შემადგენელ ინდიკატორს. თუმცა აღნიშნული ინდიკატორები ყველა შემთხვევაში ერთი მიმართულებით არ მოძრაობენ. მაგალითად, ჩეხეთის, სლოვაკეთის და ახალი ზელანდიის IDI ინდექსი 10 პოზიციით უსწრებს 1 სულზე GDP-ის მაჩვენებელს [The Inclusive Growth and Development Report 2017:20]. გრაფიკი 1 გვიჩვენებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის შემადგენელ მთავარ მაჩვენებლებს, რომელიც 2018 წლის მონაცემებით არის განახლებული 103 ქვეყნისათვის.

გრაფიკი 1. ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მთავარი ინდიკატორები (World Economic Forum)



წყარო: World Economic Forum, The Inclusive Growth and Development Report 2017, pp. 12

ზრდა და განვითარება მოიცავს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების 4 ინდიკატორს: მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულზე, დასაქმება, პროდუქტიულობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

¹⁶ სტიგლიცის კომისია დაარსდა 2008 წელს, კომისიის მიზანია სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილების საკითხების კვლევა.

¹⁷ ადამიანური შესაძლებლობების ინდექსი (Human Opportunity Index)-ეფუძნება 3 მაჩვენებელს: განათლება, ბინათსარგებლობა, ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ინკლუზიურობა მოიცავს სოციალური ინკლუზიურობის 4 ძირითად ინდიკატორს: შინამეურნის საშუალო შემოსავალი, ჯინის კოეფიციენტი შემოსავლების მიხედვით, ჯინის კოეფიციენტი სიმდიდრის და ქონების მიხედვით და სიღარიბის მაჩვენებელი.

ეკონომიკური მდგრადობა აერთიანებს შემდეგ 4 ინდიკატორს: წმინდა დანაზოგები, რომელიც ზომავს რეალურ ეკონომიკაში განხორციელებულ ინვესტიციებს ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების შემდგომ, გარემოს მდგრადობა და ბუნებრივი რესურსების შემცირება, გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ზარალი, სახემწიფო ვალის სიდიდე მშპ-სთან მიმართებაში და მთავრობისადმი ნდობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ეფექტიანად განხორციელებისათვის [Blanke J., Samans R., 2017:12-13].

ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მთავარი ინდიკატორები OECD-ის მიხედვით

რაც შეეხება OECD-ის მიერ შემოთავაზებულ ინდიკატორებს [Ramos R., 2018:21-23], რომლებიც შემუშავებულია ქვეყნების ეკონომიკური ზრდასა და მდგრადობაზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად და ეფექტიანად ზომავს ინკლუზიური ზრდის მთავარ დინამიკას, წარმოდგენილია 4 მსხვილი კატეგორიის სახით:

1. **სტაბილური ეკონომიკური ზრდა და მისგან მიღებული სარგებლის თანაბრად გადანაწილება:** აღნიშნული კატეგორია აფასებს, რამდენად ვითარდება ან ვითარდება თუ არა ეკონომიკა და როგორია ზრდისგან მიღებული სარგებლის გადანაწილება საზოგადოების ფენებს შორის, შემოსავლების, ასაკის, რეგიონების და სხვა მაჩვენებლების ჭრილში.

2. **ინკლუზიური და კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები:** აღნიშნული კატეგორია ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის სტრუქტურასა და ბაზრებზე, როგორც ეკონომიკური ზრდის და ინკლუზიურობის მთავარ სტიმულატორზე და აქცენტს აკეთებს პროდუქციისა და შრომის ბაზრებზე. აღნიშნული კატეგორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის ცხოვრების დონის ფორმირებასთან.

3. **მომავალში მისაღები საზოგადოებრივი სიკეთეების/დოვლათის მოხმარების თანაბარი შესაძლებლობები:** აღნიშნული კატეგორიის ინდიკატორები აერთიანებს ჯანდაცვას, განათლებას, სოციო-ეკონომიკურ მდგრადობას, გარემოს ხარისხს და ა.შ. ინდიკატორები გამოკვეთავს საზოგადოების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ და სოციალურ აქტივობებსა და პროგრამებში.

4. **მმართველობა:** ითვალისწინებს სამთავრობო პოლიტიკის ნაბიჯებს ინკლუზიური ზრდის მიმართულებით, აღნიშნული ნაბიჯების ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, ასევე დადებით ასპექტებს, მათ პასუხისმგებლობას, ჩარჩო-პოლიტიკის მოქმედების არეალს და ა.შ.

გრაფიკი 2. ინკლუზიური ზრდის ინდიკატორები, OECD-ის კლასიფიკაცია


კატეგორია	ინდიკატორი
1. სტაბილური ეკონომიკური ზრდა და მისგან მიღებული სარგებლის თანაბრად გადანაწილება	-GDP-ის ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე(%) -შინამეურნის საშუალო შემოსავლის ზრდა(%) და მსყიდველობითი უნარი (USD) -ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის წმინდა შემოსავალსა და ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 40%-ის წმინდა შემოსავალს შორის ფარდობა

	<ul style="list-style-type: none"> -სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა(წლები) -გარემოს დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა(გარდაცვლილთა რაოდენობა მილიონ მოსახლეზე) -სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებელი (%)
2.ინკლუზიური და კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები	<ul style="list-style-type: none"> -შრომის ნაყოფიერების ყოველწლიური ზრდა(%) -დასაქმებულთა ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში(%) -გამომუშავებული შემოსავლების დისპერსია -დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის სხვაობა(%) -ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა რაოდენობა -თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე წვდომა (%) (ინტერნეტი, კავშირგაბმულობა,...) -მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების წილი მთლიანი ბიზნესის სესხებთან მიმართებაში(%)
3.მომავალში მისაღები საზოგადოებრივი სიკეთეების/დოვლათის მოხმარების თანაბარი შესაძლებლობები	<ul style="list-style-type: none"> -თაობათა მიერ გამომუშავებულ შემოსავლებს შორის კორელაცია(კოეფიციენტი) -ბავშვთა(0-2 წლის ასაკის) ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა(%) -18-24 წლამდე ახალგაზრდათა რაოდენობა, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ, არ გადიან ტრენინგს (%) -წერა-კითხვის არმცოდნე მოზარდთა რაოდენობა(%) -სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობათა შორის სხვაობა რეგიონების მიხედვით(%)
4.მმართველობა	<ul style="list-style-type: none"> -მთავრობისადმი ნდობა (%) -ამომრჩეველთა ბრუნვა, რაოდენობა(%) -ქალთა მონაწილეობა და ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში(%)


წყარო: Gabriela, Ramos, OECD , A Framework for Policy Action on Inclusive Growth, 2018, pp.28-30

ქვემოთ წარმოდგენილია გრაფიკები (გრაფ. 3,4,5,6,7), რომლებიც მთლიანი შიდა პროდუქტის, საშუალო შემოსვლის, სიღარიბის, პროდუქტიულობის და მთავრობისადმი ნდობის ტრენდს ასახავს 2010-2017 წლების დიაპაზონში [Ramos G., 2018: 37]. როგორც გრაფიკებიდან ირკვევა, მთლიანი შიდა პროდუქტისა და საშუალო შემოსავლების ზრდის პარალელურად, სიღარიბის მაჩვენებელი იზრდება, ხოლო პროდუქტიულობა და მთავრობისადმი ნდობა მცირდება, რაც ხელს უშლის გრძელვადიან ინკლუზიურ ზრდასა და განვითარებას.


გრაფ. 3. GDP-ის ყოველწლიური ზრდის ტემპი




გრაფ. 4. საშუალო შემოსავლის დონე(USD)




გრაფ. 5. პროდუქტიულობის ზრდა (%)



გრაფ. 6. შეფარებითი სიღარიბის მაჩვენებელი



გრაფ. 7. მთავრობისადმი ნდობა (%)



წყარო: OECD , A Framework for Policy Action on Inclusive Growth, 2018, pp.37

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ინკლუზიური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები ჯერჯერობით ფორმირების ეტაპზეა, რადგან აღნიშნული ფაქტორების შერჩევა და გამოვლენა საჭიროებს ეკონომიკურ პროცესებზე მკაფიო დაკვირვებას და მათი დიდი სიფრთხილით შერჩევას. მხოლოდ ერთი რომელიმე ფაქტორი ვერ იქნება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი, ამის საპირისპიროდ აუცილებელია ფაქტორთა ისეთი კომბინაციის შეჩვევა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ინკლუზიურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას [Blake J., Samans R., 2017: 55]. მაგალითად, დასაქმების შედეგად შემოსავლების უფრო თანაბარი გადანაწილება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ამ პროცესს თან ახლავს განათლებაზე ხელმისაწვდომობა საზოგადოების ფენების მიერ. ასევე, კერძო სექტორის ინვესტიციები მეტად ეფექტურია მაშინ, როდესაც სამთავრობო და ბიზნესის აქტივობა არის გამჭვირვალე და ეთიკური. რა თქმა უნდა, ინკლუზიური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შერჩევისას გასათვალისწინებელია ქვეყნის სპეციფიკური პირობები და მდგომარეობა.

აზიის განვითარების ბანკი გვთავაზობს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კომპოზიტიური ინდექსის გამოანგარიშების ქვემოთ წარმოდგენილ მეთოდს, ასევე აღსანიშნავია, რომ თითოეული ინდიკატორის წონა ეყრდნობა ფართოდ აღიარებულ რეკომენდაციებს, ხოლო ქულათა შეფასების სისტემა მერყეობს [1-10] საზღვრებში, სადაც [1-3] დიაპაზონი არადამაკმაყოფილებელია, [4-7] დამაკმაყოფილებელი ინკლუზიური პროგრესი, [8-10] ძალიან კარგი ინკლუზიური პროგრესი [McKinley T., 2018: 18].

გრაფიკი 8. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კომპოზიტიური ინდექსი, აზიის განვითარების ბანკი

კატეგორია	ქულა	წონა	სულ
ზრდა	6	0.25	1.50
დასაქმება	4	0.15	0.60
ინფრასტრუქტურა	6	0.10	0.60
სიღარიბე	6	0.10	0.60
უთანასწორობა	6	0.10	0.60
ჯანდაცვა	5	0.05	0.25
განათლება	3	0.05	0.15
წყალსა და სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობა	2	0.05	0.10
სოციალური დაცვის სისტემა	5	0.10	0.50
გენდერული ასპექტები	5	0.05	0.25
სულ		1.00	4.55

წყარო: ADB, Inclusive Growth Criteria and Indicators: An Inclusive Growth Index for Diagnosis of Country Progress, pp. 18

რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მეთოდოლოგიას, ინკლუზიური ზრდის ინდიკატორების გამოვლენისათვის ორგანიზაცია იყენებს 2 ტიპის წყაროს: 1) წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემები და 2) World Economic Forum-ის კვლევა, რომელიც კითხვარების საფუძველზე აფასებს, დაახლოებით 14000 ფირმის პერსპექტივებს და მოლოდინს მათ ეკონომიკურ აქტივობასთან, ეკონომიკურ და ბიზნესგარემოსთან, პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით და ა.შ. კვლევა მოიცავს 109 ქვეყანას ყველა რეგიონიდან, კითხვარებში დაფიქსირებული ინდიკატორების ქულები მერყეობს [1-7] დიაპაზონში, 1-უარესი, 7-საუკეთესო, თითოეული ინდიკატორისათვის გამოიყენება არითმეტიკული საშუალო და წრფივი მინი-მაქსის მეთოდი [Blake J., Samans R., 2017: 95]. მაგალითად, კატეგორია i, რომელიც შედგება K ინდიკატორისგან ექნება შემდეგი სახე:

$$\text{კატეგორია } i = \frac{\sum_{k=1}^K \text{ინდიკატორი } k}{K}$$

გრაფ. 9. World Economic Forum-ის 7 Pillar-ი ინდიკატორების მიხედვით:

Pillar 1 -განათლება და უნარები
მასწავლებლების ხვედრითი წილი მოსწავლეებზე(კოეფიციენტი)
წერა-კითხვის მცოდნე მოსწავლეთა რაოდენობა
სწავლების საშუალო ხანგრძლივობა (კვანტილი, q1/q5)
საშუალო სკოლის დამთავრების მაჩვენებელი (კვანტილი, q1/q5)
უმაღლესი სკოლის დამთავრების მაჩვენებელი (კვანტილი, q1/q5)
Pillar 2-სერვისი და ინფრასტრუქტურა
ტრანსპორტი
ელ.ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა %
სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა %
სანიტარულ და ჰიგიენურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა %
საკვებზე ხელმისაწვდომობა %
ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი %
Pillar 3-კორუფცია
კორუფციის მაჩვენებელი
Pillar 4-ფინანსური გარემო და რეალური ეკონომიკა
კერძო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში

არაფინანსური კორპორაციების საბანკო დაფინანსება
ადგილობრივი ბანკების მიერ კერძო სექტორის დაფინანსება (% of GDP)
Pillar 5-მეწარმეობა
მოგების განაწილების მაჩვენებელი
სამეწარმეო აქტივობა
Pillar 6-დასაქმება და სამუშაო ძალაზე გაცემული კომპენსაციები
დასაქმებულთა რაოდენობა %
სრულ და ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა რაოდენობა
აქტიურ სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები (% of GDP)
მომუშავეებზე გაცემული კომპენსაციები
Pillar 7-ფისკალური ტრანსფერები
კაპიტალზე დაწესებული გადასახადი
ქონებაზე გადასახადი
უმუშევართა დაზღვევა
საპენსიო ტრანსფერები
სოციალური დახმარებები და დაზღვევა

წყარო: Blake J., Samans R., World Economic Forum, The Inclusive Growth and Development Report 2017, pp 97

დასკვნა

ეკონომიკური ზრდა და განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს, რომელიც საჭიროებს მრავალი პირობის ერთობლივად არსებობას: ეფექტიანი განათლების სისტემა, ჯანდაცვა, შრომის კანონმდებლობა, ჯანსაღი კონკურენცია, სოციალური დაცვის სისტემები, საინვესტიციო კლიმატი, ანტიკორუფციული წესები და ა.შ. ეფექტურად ფუნქციონირებადი ბაზრები და ჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას არა განაწილების პოლიტიკით, არამედ მათი ჩართულობით ეკონომიკურ აქტივობაში. ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ეკონომიკურ განვითარებას, რომელსაც საზოგადოების ყველა ფენისათვის მოაქვს სარგებელი და განაპირობებს ზრდისაგან მიღებულ არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ეფექტსაც. თუმცა ის, თუ რამდენად ისარგებლებს საზოგადოების ყველა ფენა აღნიშნული პროგრესისაგან, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამოქმედო ჩარჩო-პირობებზე, არსებულ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებსა და სტიმულებზე, რომლებიც ადამიანური კაპიტალის, ინვესტიციების, სამუშაო ძალის, სოციალური პოლიტიკის, ინოვაციების, ეფექტიანი ბაზრების, მეწარმეობის ფორმირებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია ნ., ინსტიტუციური ტრანსფორმაციის მახასიათებლები და საქართველო, 2017, გვ. 2-3.
2. ჟორჯიკაშვილი ნ., შემოსავლების უთანასწორობისა და საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ინკლუზიურ ზრდაზე, 2019, გვ. 5-7.
3. ხადური ნ., ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2018, გვ. 37-40.
4. Blake J., Samans R., The Inclusive Growth and Development Report, 2017, pp. 1-23, 30, 53-58, 95-97.
5. Blake J., Samans R., World economic Forum, The Inclusive Development Index 2018 Summary and Data Highlights, 2018. pp.1-2.
6. Ramos G., OECD, 2018, A Framework for Policy Action on Inclusive Growth, 2019, pp. 2, 21-23, 37

7. McKinley T., ADB, Inclusive Growth Criteria and Indicators: An Inclusive Growth Index for Diagnosis of Country Progress, 2018, pp. 18.

Nino Zhorzhikashvili

INDICATORS OF INCLUSIVE ECONOMIC GROWTH AND DEVELOPMENT (METHODOLOGICAL FOUNDATIONS)

Summary

In the last few years, the model of inclusive growth and development is a very important issue for any country, this model has also influenced the development strategy "Georgia 2020". According to this approach, development policy should envisage participation of the poor and low income people, who should be benefited mostly. According to World Bank experts, the inclusive growth provides: 1) involvement of all the layers of society in the process of economic and non-economic activities 2) fair distribution of the results as much as possible. Priority is given primarily to maximal utilization of the human resources.

The small improvement in living standards in the world, as well as in developing countries, has put the consensus on the agenda on the need for a more inclusive and sustainable model of economic growth. Today, living standards and well-being, economic progress is not assessed according to the growth rate of gross domestic product, but with a multidimensional indicators, which includes income, employment, economic safety, quality of life, etc. Inclusive growth means improving poor conditions not by redistribution policies, but by their involvement in economic activity. Also, the inclusive growth implies economic development, which ensures all the layers of the society to be benefited, which means not only quantitative but also qualitative effect from growth.

Keywords: *Income inequality, inclusive economic growth indicators, inclusive development index, methodological foundation of inclusive growth, globalization.*

*გიორგი ქურასბედიანი
ბელა დედანაშვილი*

საქართველოს სატრანსპორტო ფუნქციის გააქტიურების მაკროეკონომიკური პრობლემები

ანოტაცია. საქართველო წარმოადგენს ევროპის აზიასთან დამაკავშირებელ ტერიტორიულ ხიდს დასავლეთისათვის, შესაბამისად მის ტერიტორიაზე გაედინება ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, ამასთან, საქართველოს ეკვრის შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მოხერხებული ბუნებრივი წანამძღვრებია საქართველოს ტრანსპორტის განვითარებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, დაჩქარებულ განვითარებას საჭიროებს საქართველოს ტრანსპორტის ყველა სექტორი, რაშიც გადამწყვეტი, ყველაფერთან ერთად, მაკროეკონომიკური ფაქტორებია, რომლებიც შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- ქვეყანაში საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იმგვარად, რომ უზრუნველყოფთ ფასიანი ქაღალდების, სასაქონლო და შრომითი ბირჟების სრულად ფუნქციონირება;

- საგადასახადო სისტემის სრულყოფა, სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანიებისათვის შეიქმნას შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სისტემა გახდეს დიფერენცირებული, არაპროპორციული და გათვალისწინებული იქნეს დაბალი საგადასახადო განაკვეთები პრიორიტეტული დარგებისათვის;

- გაუმჯობესდეს ფულად-საკრედიტო სისტემა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული ვალუტის - ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა სხვა მსოფლიო

თავისუფლად კონვერტირებად ვალუტებთან მიმართებაში (აშშ-ს დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი), ამასთან, სატრანსპორტო კომპანიებისათვის განისაზღვროს შეღავათიანი კრედიტები მსგავსად სახელმწიფო პროგრამისა - „აწარმოე საქართველოში“.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანსპორტი, სატრანსპორტო სისტემა.

შესავალი

საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც ტრანსპორტის დაჩქარებული განვითარების საშუალებას იძლევა. სატრანსპორტო სისტემის შემადგენლებიდან ყველაზე სტაბილურად ვითარდება და ფუნქციონირებს მილსადენი ტრანსპორტი ორივე - აღმოსავლეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებებზე.

საქართველოზე გადის ორი ნავთობსადენი: ბაქო-ჯეიჰანის (BTC, Baku-Tbilisi-Ceyhan) და ბაქო-სუფსის (WREP, Western Route Export Pipeline).

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გამტარუნარიანობა (სიმძლავრე) 50 მილიონი ტონა ნედლი ნავთობია წელიწადში. იგი სათავეს იღებს სანგაჩალის ტერმინალიდან და თურქეთის ტერიტორიის ხმელთაშუა ზღვის ჯეიჰანის ტერმინალამდე გრძელდება. საქართველოს ფარგლებში მისი სიგრძე - 248 კმ-ია. სატრანზიტო გადასახდელის სახით (სუფთა შემოსავლები) საქართველო ყოველწლიურად დაახლოებით 50 -55 მლნ აშშ დოლარს იღებს. მილსადენით სარგებლობენ არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ ყაზახეთისა და თურქმენეთის კომპანიებიც, რის ხარჯზეც სიმძლავრის გამოყენება 80 %-ს აღემატება.


ბაქო-სუფსის ნავთობსადენი სათავეს იღებს იგივე სანგაჩალის ტერმინალიდან და მთავრდება სუფსაში, მისი სიგრძე 837 კმ-ია, სიმძლავრე 7 მლნ ტ ნედლი ნავთობი წლიურად. ამ ნავთობსადენზეც სიმძლავრის გამოყენების მაღალი მაჩვენებელია, რაც განპირობებულია ალტერნატიული ბაქო-ნოვოროსისკის მილსადენის გადაქაჩვის მაღალი ღირებულებით, ამ უკანასკნელის ფასი ბაქო-სუფსის მიმართულების ფასს თითქმის 4-ჯერ აღემატება [6].

გარდა ნავთობსადენებისა, საქართველოს ტერიტორიაზე გაედინება ორი გაზსადენიც - ბაქო - ერზერუმის და ე.წ. ჩრდილო-სამხრეთის (რუსეთი-საქართველო-სომხეთი). პირველის სიმძლავრე (გამტარუნარიანობა) 20 მლრდ მ³ გაზია წლიურად და მისი ათვისების მაჩვენებელი მაღალია, ხოლო ჩრდილო-სამხრეთის მილსადენის სიმძლავრე (გამტარუნარიანობა) 12 მლრდ მ³ -ია და იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოიყენება.

ბაქო-ერზერუმის მილსადენი ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურია, შესაბამისად მათი სიგრძეც თითქმის ერთნაირია.



სურ. 1. ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების მარშრუტები




სურ. 2 ბაქო-ერზურუმის გაზსადენის სქემა

გაზსადენებთან განსხვავებით, ბოლო წლებში უარესდება საქართველოს რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც გამოწვეულია გადაზიდული ტვირთების მოცულობის შემცირებით. 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და შესაბამისად ტვირთბრუნვაც თითქმის ორჯერ შემცირდა.

ცხრილი 1

საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთები და ტვირთბრუნვა [1, 195]

წლები	გადაზიდული ტვირთების მოცულობა (ათასი ტონა)	ტვირთბრუნვა (მლნ ტ-კმ)
2006	22 643.3	7 393.2
2007	22 230.0	6 927.5
2008	21 181.2	6 515.7
2009	17 104.0	5 417.0
2010	19 930.1	6 227.5
2011	20 123.4	6 054.8
2012	20 076.0	5 976.6
2013	18 185.0	5 525.9
2014	16 673.3	4 987.6
2015	14 142.7	4 261.3
2016	11 881.7	3 423.1



რკინიგზა - საქართველოს ტრანსპორტის ის ძირითადი სექტორია, რომელსაც გაცილებით დიდი პოტენციური გააჩნია დღევანდელ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით. მან შეიძლება გაცილებით მეტი სარგებელი მოუტანოს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამავე დროს გაზარდოს დასაქმებულთა რიცხოვნობა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში - გასული საუკუნის 80-იან წლებში - საქართველოს რკინიგზას ფაქტობრივ გადაჰქონდა 40 მლნ ტ ტვირთი და გადაჰყავდა 12 მლნ მგზავრზე მეტი [5; 154-155]

მართალია, მაშინ ფუნქციონირებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა და საქართველოს ეკონომიკაც უკეთ იყო განვითარებული, მაგრამ რკინიგზის სიმძლავრეს მნიშვნელოვანი კლება არ განუცდია, შეიძლება ითქვას, გაიზარდა კიდევ. ამიტომ ამ მიმართულებით არსებული რეზერვები არსებობს და აუთვისებელია.

რკინიგზის მუშაობის მოცულობით უმეტესწილად განისაზღვრება საქართველოს პორტების დატვირთვაც. საქართველო საზღვაო ქვეყნის სტატუსის მატარებელია, მაგრამ მიეკუთვნება იმ უმცირეს ქვეყანათა ჩამონათვალს, რომელთაც არ ჰყავს საკუთარი საზღვაო ფლოტი და საზღვაო ტრანსპორტს მხოლოდ პორტები წარმოადგენს.

საქართველოში სრულფასოვნად ბათუმის და ფოთის პორტები ფუნქციონირებს, ყულევის და ანაკლიის პორტები მშენებლობის პროცესშია, ასევე ფუნქციონირებს სუფსის ტერმინალიც, მაგრამ აქაც პოტენციური შესაძლებლობა გაცილებით მეტია.

სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი - საავტომობილო ტრანსპორტი ბოლო პერიოდში აღმავლობას განიცდის. საქართველოში განუწყვეტლივ მატულობს ავტომობილების რაოდენობა. 2015 წლის ბოლოს ქვეყანაში 1,1 მლნ მანქანა იყო რეგისტრირებული, ამ რიცხვმა 2017 წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ 1,3 მლნ-ს მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში თითქმის ყოველ მეორე ადამიანს, ანუ ზრდასრული მოსახლეობის 40%-ზე მეტს მანქანა ჰყავს [ჩიტაია, 2].

ავტოპარკის 81,6%-ს მსუბუქი და მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანები შეადგენს. სამგზავრო ავტომანქანების წილი საქართველოს ავტოპარკში 4,5%-ია, ხოლო სატვირთოების - 8,3%. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს. [3]. ავტოპარკში სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების დაბალი ხვედრითი წილი იმის მაჩვენებელია, რომ საავტომობილო სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებში ქართული კომპანიების წილი მოკრძალებულია.

საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით შეადგინა 30 მლნ ტ-ზე მეტი, ხოლო ტვირთბრუნვამ მხოლოდ 673 მლნ ტ-კმ [1; 195], რაც მიუთითებს იმაზე, რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების უმეტესობა ხორციელდება მოკლე მანძილებზე და ტრანსპორტის ამ სახეობით ტრანზიტული ტვირთების მომსახურებას ქართული სატრანსპორტო კომპანიები სათანადოდ ვერ იყენებენ.

აღნიშნულის დამადასტურებელია ისიც, რომ საქართველო სრულად ვერ ითვისებს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებში ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილ ვოტებს (ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე დგინდება გადაზიდვის და სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური რაოდენობის ლიმიტები). შესაბამისად, ECMT-ს ლიცენზიის მფლობელი გადამზიდველები საქართველოში მხოლოდ 444-ია, მათ შორის მრავალმხრივი კვოტა გამოყოფილი გვაქვს EURO-V-ის კატეგორიაში გრძელვადიანი 300 და მოკლევადიანი 120, მათგან მხოლოდ 10-ია ათვისებული [4].

საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენცია გააჩნია საავიაციო გადაყვანების და ტვირთის გადაზიდვის მიხედვითაც, რომლის გამოყენებაც ვერ ხერხდება.

აღნიშნული სატრანსპორტო სისტემის არადაამაკმაყოფილებელი განვითარების ტემპები მიუთითებს ტრანსპორტის დარგისადმი მაკროეკონომიკური მიდგომების განვითარება-სრულყოფის აუცილებლობაზე.

დასკვნა

იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სატრანსპორტო პოტენციალი, საჭიროა მაკროეკონომიკური ღონისძიებების ინტენსიურად გატარება, რაც ძირითადად შემდგომ მიმართულებებში გამოიხატება:

— ხელი შეეწყოს საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. უზრუნველვყოთ სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების და შრომითი ბირჟების სრულყოფილად ფუნქციონირება, რაც ჯერჯერობით მიუღწეველია;

— სატრანსპორტო გადამზიდავი კომპანიებისათვის შეიქმნას შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სისტემა გახდეს დიფერენცირებული, არაპროპორციული და პრიორიტეტული დარგებისათვის გათვალისწინებული იყოს დაბალი საგადასახადო განაკვეთები;

— გაუმჯობესდეს ფულად-საკრედიტო სისტემა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული ვალუტის - ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა მსოფლიოს თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებთან (აშშ-ს დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი), ამასთან, სატრანსპორტო კომპანიებისათვის განისაზღვროს შეღავათიანი კრედიტები მსგავსად სახელმწიფო პროგრამისა „აწარმოე საქართველოში“;

— მოწესრიგდეს სამეურნეო სამართლიანობის უზრუნველყოფის მექანიზმი, განსაკუთრებით სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის და აღსრულების ოპერატიულობის მისაღწევად.

ამ ღონისძიებათა გატარება უზრუნველყოფს ტრანსპორტის დაჩქარებულ განვითარებას დროის მცირე მონაკვეთში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2017. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2018. გვ. 195.

2. მარი ჩიტაია. საქართველოში 1,1 მლნ ავტომობილი მოძრაობს. გაზეთი „რეზონანსი“. 03.02.2016.

http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=27921. გადამოწმებულია 17.12.2018.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. საინფორმაციო ცენტრი. ავტოპარკი 2016.

<https://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/2017/autoparki-2016-5.pdf>

გადამოწმებულია 17.12.2018.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მონაცემები. საიტიდან:

<http://ita.gov.ge/doc/satvirto%20gadazidvebi/2018/ECMT%202018-danarti-44.pdf>.

გადამოწმებულია 17.12.2018.

5. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Тбилиси 1988.с.154-155.

6. Нефтепровод Баку — Сунца. საიტზე:

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B5%D1%84%D1%82%D0%B5%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B4_%D0%91%D0%B0%D0%BA%D1%83_%E2%80%94%D0%A1%D1%83%D0%BF%D1%81%D0%B0. გადამოწმებულია 05.11.2018;

*George Kurasbediani
Bela Dedanashvili*

ECONOMIC DIRECTIONS OF ACTIVATION OF GEORGIA'S TRANSPORT FUNCTION Summary

Georgia represent a territorial bridge connecting West Europe with Asia, and accordingly on its territory passes the shortest land route connecting Europe to Asia and vice versa, and a significant part of the Black Sea is coast of Georgia. This is a convenient natural way to develop Georgia's transport.

In addition all sectors of Georgian transport require urgent development, where decisive factors with other ones are with other factors decisive are macroeconomic ones that are formed in the following way:

- Improvement of market infrastructure in the country to ensure full functionality of commodity, securities and labor exchanges;
- Perfection of tax system. To create preferred tax system for transportation and forwarding companies. Tax system should become differentiated, disproportionate and low tax rates for the priority sector envisaged;
- To improve the money-credit system in order to ensure the stability of the national currency Lari exchange rate with other world freely converted currencies (US Dollars, Euros, Pounds Sterling), as well as to determine for transport companies preferential credits similar to state program "Produce in Georgia".

დერივატივების ბაზრების შედარებითი ანალიზი
განვითარებად და განვითარებულ ეკონომიკებში

ანოტაცია. ფორმირებადი ეკონომიკის (EME) დერივატივების ბაზრების ბრუნვა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოწინავე ეკონომიკის. ამჟამად ყველაზე მსხვილი ფორმირებადი დერივატივების ბაზრები მდებარეობს კორეაში, ბრაზილიასა და აზიის ორ ფინანსურ ცენტრში – ჰონგ კონგსა და სინგაპურში. დერივატივების ბრუნვის მხოლოდ 10%-ია ფორმირებადი ბაზრის ეკონომიკის ვალუტით განსაზღვრულ ხელშეკრულებებში, რაც ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ამ ეკონომიკების წილი გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტს ან მსოფლიო ვაჭრობაში. EME-ის ვალუტაში არსებული დერივატივები ასევე ნაკლებად კომპლექსურია და, სავარაუდოდ, უფრო შიდა ეკონომიკის გარეთ ვაჭრობენ, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. განსხვავებები ვლინდება მაშინაც, როდესაც დერივატივების ბრუნვის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს ვაანალიზებთ ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა ობლიგაციების ბაზრის მოცულობა, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის გახსნილობა, საგარეო ვაჭრობის ოდენობა და საგარეო ვალის მოცულობა. გარდა ამისა, EME დერივატივების ბაზრების მცირე წილი ასახავს განსხვავებებს შემოსავლებში ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის მცხოვრებთა მიერ მსხვილი საგარეო აქტივების ფლობა მჭიდრო ურთიერთკავშირშია დაბალ ბრუნვასთან, ალბათ იმიტომ, რომ ჰეჯირების სახით გამოიყენება ქვეყანაში შესაძლო რისკების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: დერივატივები, ბირჟის გარეთ ვაჭრობა, ფორვარდები, ფიუჩერსები, ოფციონები.

შესავალი

დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ინტერესის საგნად დერივატივების ბაზრის განვითარება მკვლევარებს, პოლიტიკის გამტარებლებსა და საფინანსო სააგენტოებს შორის. იგი უშუალოდ თამაშობს სასიცოცხლო როლს ფინანსურ სისტემაში და უდიდესი წვლილი შემოაქვს მთლიანად ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტში. ლიენი და ჟანგი (2008) დერივატივების ბაზრის როლსა და ფუნქციებს განვითარებად ეკონომიკებში თეორიულ და ემპირიულ კვლევებში¹⁸ აჯამებენ. პირველი, დერივატივების ბაზარი გვთავაზობს ეფექტურ მექანიზმს, რომელიც აიოლებს ფასების რისკების გაზიარებას ბაზარზე არსებული საქონლის მიმართ და ამით ეხმარება მწარმოებლებს, თავი გაართვან ფასების ცვალებადობას. ასევე, კაპიტალის შემოდინების ხელშეწყობით, განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე იგი ძირითად როლს თამაშობს სწორ ჰეჯირებასა და რისკის მართვაში, მაგრამ უფრო არაპროგნოზირებადი კრიზისის დინამიკის დანერგვით იგი უარყოფითად მოქმედებს ფინანსურ სისტემებზე და წარმოადგენს ჯაჭვური რეაქციის ამოქმედების მექანიზმს. მეორე, ფართოდაა მიღებული, რომ დერივატივების ბაზრის ფუნქცია არის რისკის შემცირებისა და გადანაწილების მეთოდი, ფასის აღმოჩენის საშუალება და ფასის სტაბილიზატორი. სხვადასხვა დერივატივების ბაზარი, როგორც ჩანს, შეესაბამება სხვადასხვა აგენტის მიერ, მაგ., ჰეჯერების ან, უბრალოდ, მაყურებლების, უპირატესობამინიჭებულ რისკებს. დერივატივების ბაზრები, სავარაუდოდ, ბაზარზე ზრდის ინფორმაციის ნაკადებს.

¹⁸ Lien, Donald, and Mei Zhang. 2008. A survey of emerging derivatives markets. *Emerging Markets Finance and Trade* 44: 39–69. [CrossRef]

ინფორმაცია მომავალი ფასების შესახებ შეიძლება ასახავდეს მომავალ მოთხოვნასაც, და ამით ზემოქმედებდეს წარმოებისა და შენახვის გადაწყვეტილებებზე და თანდა-თანობით ამცირებდეს სპოტ-ფასის ცვალებადობას. განვითარებადი ქვეყნების არსებული დერივატივების შესახებ ლიტერატურის განახლებულად გამოკვლევას გვთავაზობს ატილგანი, რომელიც ემპირიულ გამოკვლევებს ჰყოფს ჯგუფებად დერივატივების ბაზრის ფუნქციის შესაბამისად. ჰეჯირებასა და რისკების მართვაზე დერივატივების ბაზრის ფუნქციის, ასევე სპოტ-ბაზარზე ფასების აღმოჩენის გარდა, ისინი ავლენენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება როგორც ბაზრის სტრუქტურასა და ეფექტურობას, ასევე რისკისა და ფასის გაზომვას¹⁹.

ზოგი თანამედროვე კვლევა გვიჩვენებს კავშირს რისკსა და ეკონომიკის ზრდას შორის, რომლებიც ირიბად ასახავს დერივატივების ბაზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს²⁰. ასემოდლუ და ზილიბოტი (1997) გვთავაზობენ მოდელს, რომელშიც აგენტის არადივერსიფიცირებული რისკები ზემოქმედებას ახდენს მთლიანად ცვალებადობასა და ეკონომიკურ ზრდაზე ფინანსების განაწილების გზით: აგენტები ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებენ უფრო მაღალი ამონაგების პროექტებში, რომლებსაც დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით²¹ უკეთესი შესაძლებლობები აქვს. კრებსი აცხადებს, რომ იდიოსინკრატიული რისკის შემცირება იწვევს ფიზიკური და ადამიანის კაპიტალის კოეფიციენტის შემცირებას და საინვესტიციო ამონაგებისა და კეთილდღეობის დონის ზრდას. ზოგადად, მოწინავე ფინანსური ინსტრუმენტები ხელს უწყობს რესურსების უკეთ განაწილებას უფრო შედეგიან საქმიანობებს შორის, იქნება ეს ადამიანთა თუ ფინანსური რესურსები, და ამით საკუთარი წვლილი შეაქვს ეკონომიკის ზრდაში²².

დერივატივების ბაზრები

განვითარებად და განვითარებულ ეკონომიკებში

განვითარებადი ბაზრის ეკონომიკების (EME-ის) ფინანსური ბაზრები და ეკონომიკა მეტი ვალატურობით ხასიათდება (გარკვეული გამონაკლისის გარდა) ვიდრე განვითარებული ეკონომიკის. ამ ცვალებადობის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰეჯირების ბაზრები ფორმირებად ბაზრებზე კარგად არის განვითარებული თუმცა კვლევები საპირისპიროს გვიჩვენებს. EME შეადგენს გლობალური ეკონომიკის დაახლოებით ერთ მესამედს, როდესაც მას ვზომავთ საბაზრო სავალუტო კურსების შესაბამისად და მხოლოდ ერთ ნახევარზე ნაკლებს, თუ გავზომავთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. მათი წილი გლობალურ ვაჭრობაში 36% შეადგენს. მიუხედავად ამისა, დერივატივები, რომლებიც ავლენენ თავიანთ ვალუტას ან საპროცენტო განაკვეთს, შეადგენს მხოლოდ ამ კონტრაქტების გლობალური ბრუნვის 10%-ს, ერთი შეხედვით, შესამჩნევი ზრდის მიუხედავად²³.

მაგრამ ჰეჯირების სურვილს არ სჭირდება ლიკვიდური ბაზარი, თუ არ არის ვინმე, ვისაც სურს საწინააღმდეგო მხარე დაიჭიროს. იდიოსინკრატიკული რისკებისთვის,

¹⁹ Atilgan, Yigit, K. Ozgur Demirtas, and Koray D. Simsek. 2016. Derivative markets in emerging economies: A survey. *International Review of Economics and Finance* 42: 88–102. [CrossRef]

²⁰ Haiss, Peter, and Bernhard Sammer. 2010. The Impact of Derivatives Markets on Financial Integration, Risk, and Economic Growth. Available online: <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1720586> (accessed on 4 October 2018).

²¹ Acemoglu, Daron, and Fabrizio Zilibotti. 1997. Was Prometheus unbound by chance? Risk, diversification, and growth. *Journal of Political Economy* 105: 709–51. [CrossRef];

²² Krebs, Tom. 2003. Growth and welfare effects of business cycles in economies with idiosyncratic human capital risk. *Review of Economic Dynamics* 6: 846–68. [CrossRef]

²³ Bank for international settlement <https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>

რომლებიც ადვილად დივერსიფიცირებადია, ფინანსურ შუამავალს შეუძლია შესთავაზოს სათანადო დაზღვევა, მაგრამ ბაზრის შექმნა მაკროეკონომიკური რისკებისთვის, როგორებიცაა ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები, ბევრად უფრო რთულია, თუ არ არსებობენ აგენტები, რომლებიც საწინააღმდეგო გზით ექვემდებარებიან აღნიშნულ რისკებს.


ამის მკაფიო მაგალითია დერივატივების ფორმირებადი ბაზრების ვალუტის კურსის ცვლილების ანალიზი. რეზიდენტები და უცხოელი ინვესტორები, სავარაუდოდ, დაინტერესდებიან, დაიცვან თავი ვალუტის კურსი გაუფასურებისგან, მაგრამ ნაკლებად ნათელია, ვის მოესურვება საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერა. რა თქმა უნდა, უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებსაც არ აქვთ ინტერესი ვალუტასთან დაკავშირებულ რისკებთან, შეუძლიათ შესთავაზონ ასეთი დაცვა, მაგრამ ისინი ალბათ ძალიან გაზრდილ ფასს მოითხოვენ. უფრო მიმზიდველი პირობები შეიძლება იყოს მიღებული ბაზრის მონაწილეებისგან, რომლებსაც სურთ საკუთარი თავის დაცვა მაღალი ფასისგან. მაგალითად, საგარეო აქტივების შიდა მფლობელები ან უცხოელები, რომლებიც დავალიანებას გასცემენ შიდა ვალუტაში.

BIS-ის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე განვიხილავთ დერივატივებით ვაჭრობის განვითარებას ფორმირებად ბაზრებზე ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ვალუტის კურსების მკვეთრმა ცვლილებამ შენიღბა EME დერივატივების აქტიურობის მყარი ზრდა. FX და EME ვალუტაში დენომინირებული საპროცენტოგანაკვეთიანი დერივატივების საშუალო დღიური ბრუნვა 2016 წლის აპრილში \$0.8 ტრილიონზე რჩებოდა.

დიაგრამა 1

მზარდი ძირითადი საქმიანობა კომპენსირებული ვალუტის კურსის მოძრაობით²⁴




ისევე, როგორც 2013 წლის აპრილში, ბაზარზე ერთი თვის შემდეგ დაიწყო მკვეთრი ცვლილებები (ეგრეთ წოდებული პანიკა ფინანსურ ბაზრებზე), მაგრამ ეს აშკარა სტაგნაცია გვამღევს ბაზრის ძირითადი დინამიკის მცდარ სურათს, ვინაიდან ბევრი EME-ს ვალუტის კურსების მკვეთრმა გაუფასურებამ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში შეამცირა აშშ დოლარებში არსებული მოცულობები. ადგილობრივი ვალუტით გაზომილი ბრუნვა, ფაქტობრივად, გაიზარდა 25%-ით, თუმცა, დიდი განსხვავებებით ვალუტებს შორის (დიაგრამა 1).


²⁴ Bank for international settlement <https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>

დერივატივები ფორმირებად ბაზრებზე²⁵


მთლიანი ბრუნვა მშპ-სთან მიმართებით



FX დერივატივების ბრუნვა ვაჭრობასთან მიმართებით



მთლიანი ბრუნვა მთლიან საერთაშორისო საგარეო აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით



ფორმირებადი ბაზრების ეკონომიკები (წითელი) მოწინავე ეკონომიკები (ლურჯი)

დერივატივების ბაზრების მოცულობა და სიღრმე ძალიან განსხვავდება ვალუტების მიხედვით. ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ბაზარი მოდის ჩინურ ვალუტაში არსებულ ხელშეკრულებებსა და ჩინურ საპროცენტო განაკვეთებზე. მისი აქტიურობა გაიზარდა 50%-ით 2013 და 2016 წლებს შორის (55%, თუ განვსაზღვრავთ ადგილობრივ ვალუტაში) და მიაღწია \$150 მილიარდს 2016 წლის აპრილში. ეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვალუტას ხდის მერვე ყველაზე გაყიდვად ვალუტად დერივატივების გლობალურ ბაზარზე 2016 წელს, რაც უსწრებს ბრაზილიურ რეალს (\$108 მილიარდი), კორეულ ვონს (\$83 მილიარდი) და მექსიკურ პესოს (\$81 მილიარდი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავალუტო ბაზრის სწრაფი ზრდა წარმოადგენს ვალუტის უფრო ფართო ინტერნაციონალიზაციის ნაწილს²⁶. სხვა EME ვალუტები, ბაზრის მნიშვნელოვანი აქტიურობით, არის თურქული ლირა, ინდური რუპი და სამხრეთ აფრიკული რენდი, თითოეული დღეში \$50 მილიარდზე მეტი ბრუნვით.

მიუხედავად მათი სიდიდისა, ეს ციფრები, გაზომილი საერთაშორისო ვაჭრობის ან ინვესტიციების ჯგუფის მიერ, შედარებით მოკრძალებულია მშპ-თან ან ჰეჯირების მოთხოვნილებებთან მიმართებაში. ყველა ამ გათვლაში, შედარებით განვითარებული და ღრმა დერივატივების ბაზრის მქონე EME-ში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასთან შედარებით დაბალი ბრუნვაა გამოვლენილი. EME დერივატივების საშუალო ბრუნვა, უხეშად, წლიური მშპ-ს 5%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალია

²⁵ Bank for international settlement <https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>

²⁶ Moore, M, A Schrimpf and V Sushko (2016): "Downsized FX markets: causes and implications", *BIS Quarterly Review*, December, pp 35-51.


განვითარებული ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც უახლოვდება 20%-ს. განვითარებულ ეკონომიკებსაც კი, როგორებიცაა ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, ნორვეგია და შვედეთი, რომლებიც არ წარმოადგენენ არც ფინანსურ ცენტრებს და არც სარეზერვო ვალუტის გამომშვებებს, ბევრად უფრო მაღალი ბრუნვა აქვთ მშპ-თან მიმართებაში, ვიდრე EME-ს (გრაფიკი 2, ზედა პანელი). ერთადერთი EME ვალუტები, რომლებიც უახლოვდება განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, არის სამხრეთ აფრიკის რენდი და უნგრეთის ფორინტი, კოეფიციენტებით 15-20%. ეს სურათი ძალიან არ იცვლება, როდესაც დერივატივების ბრუნვა (მხოლოდ FX ხელშეკრულებებზე, ვინაიდან ამ კონტექსტში საეჭვოა საპროცენტოგანაკვეთიანი ხელშეკრულებების გამოყენება) შედარებულია საგარეო ვაჭრობასთან (შუა პანელი). ორივე შემთხვევაში, CNY ხელშეკრულებები ახლოსაა დისტრიბუციის ძირთან. როდესაც დერივატივების მოცულობები შედარებულია საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციებთან, განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებს შორის ნაკლებად თვალშისაცემია (ქვედა პანელი).

FX დერივატივების ბრუნვის დაბალი კოეფიციენტი EME-ში საგარეო ვაჭრობის მიმართ მიუთითებს, რომ ექსპორტიორები და იმპორტიორები ამ ქვეყნებში შედარებით რთულად მიიჩნევენ ვალუტის კურსის რისკების ჰეჯირებას, რაც დაკავშირებულია მათ ტრანსაქციებთან. თუმცა, არ შეიძლება ითქვას დაზუსტებით ვინაიდან არ არსებობს დეტალური მონაცემები მათ მიერ დერივატივების გამოყენების თაობაზე.

EME-ში წარმოებული დერივატივების ვაჭრობა მნიშვნელოვნად არის მიმართული FX კონტრაქტებზე, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ბრუნვის 75–90%-ს შეადგენს (დიაგრამა 3, პირველი პანელი). FX ხელშეკრულებებიც აჭარბებს საპროცენტოგანაკვეთიან ხელშეკრულებებს განვითარებულ ეკონომიკებში, თუმცა უფრო მცირე მარჯით. ვალუტები შედარებით დაბალი FX წილებით ბრაზილიის რეალში (56% წილით), უნგრეთის ფორინტში (59%), ჩილეს პესოში (66%), სამხრეთ ამერიკის რანდში (67%) და მექსიკურ პესოში (68%).

დიაგრამა 3

ბაზრის სტრუქტურა²⁷



²⁷ Bank for international settlement <https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>


EME დერივატივების ბაზრები განვითარებულ ქვეყნებში ხასიათდება არა მხოლოდ სიმცირით, არამედ ნაკლებად რთული ხელშეკრულებითაც. შედარებით თანამედროვე კონტრაქტები, როგორებიცაა საერთაშორისო სვოპები, FX ოპციონები, საპროცენტო განაკვეთის სვოპები და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები, უფრო მცირე წილით გამოდიან საერთო ბრუნვაში განვითარებად ბაზრებზე, ვიდრე განვითარებული ეკონომიკების დერივატივების ბაზრებზე (დიაგრამა 3, მეორე პანელი), მაგრამ აქ არსებობს ნიშნები, რომ ასეთი ხელშეკრულებები უფრო ხშირი ხდება ზოგიერთ EME-ში. მაგალითად, მექსიკისა და სამხრეთ აფრიკის შედარებით ლიკვიდური საერთაშორისო ვალუტის სვოპის ბაზრებზე. ოფციონებისათვის ბევრ ეკონომიკას განვითარებული აქვს საპროცენტო განაკვეთის სეგმენტი აქტიური ბირჟის გარეთა (OTC) ბაზრებზე.

სხვა თვისება, რომელიც განასხვავებს ზოგიერთ, თუმცა არა ყველა, დერივატივების ბაზარს, არის ვადიანი კონტრაქტების სიჭარბე. ბრაზილიური რეალის FX ფორვარდებისა და სვოპების ხელშეკრულებების სამი მეოთხედი და კორეული ვონის ხელშეკრულებების ორი მესამედი წარმოადგენს ვადიან ხელშეკრულებებს, ვინაიდან ისინი შედგენილია ერთ ვალუტაში. სხვა ბაზრები, ვადიანი ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი წილით, არის ახალი ტაივანის დოლარი (56%) და ინდური რუპი (47%). ვადიანი ხელშეკრულებების სიჭარბე ასახავს შეზღუდვების არსებობას ვალუტის კონვერტაციაზე, რაც ხელს უშლის ორ ვალუტაში დადგენილი ხელშეკრულებების განვითარებას. ეს ნიშნავს, რომ ვადიანი ხელშეკრულებების ბაზრებს შეუძლიათ გააგრძელონ არსებობა კონტროლის გაძლიერების შემდეგაც²⁸.

ზოგიერთი შესამჩნევი გამონაკლისით, EME FX და საპროცენტოგანაკვეთიანი დერივატივებით ძირითადად ვაჭრობენ შიდა ეკონომიკის გარეთ, ჩვეულებრივ, ისეთ ძირითად გლობალურ ფინანსურ ცენტრებში, როგორებიცაა ნიუ-იორკი, ლონდონი, ჰონგკონგი და სინგაპური (გრაფიკი 3, მესამე პანელი). ძალიან ცოტა EME-ს აქვს შიდა ბაზარი, რომელიც, აქტიურობის მხრივ, ახლოსაა უცხოურ ბაზრებთან. მხოლოდ ბრაზილიურ რეალს, რუსეთის რუბლსა და კორეულ ვონს აქვთ შიდა OTC ბრუნვა, რომელიც ჭარბობს უცხოურ ბრუნვას, თუმცა, მათ შეიძლება მიუახლოვდეს ინდური რუპი, ისრაელის ახალი შეკელი და სამხრეთ აფრიკული რანდი. საგარეო ვაჭრობა მიმდინარეობს იმავე დროის ზონაში. მაგალითად, ლათინოამერიკული ვალუტით ვაჭრობენ ნიუ-იორკში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ვალუტებით კი - ლონდონში, აზიის ვალუტებით - ჰონგ კონგსა და სინგაპურში.

²⁸ McCauley, R and C Shu (2016): "Non deliverable forwards: impact of currency internationalisation and derivatives reform", *BIS Quarterly Review*, December, pp 81-93.

ვალუტით ვაჭრობა ოფშორი, ადგილმდებარეობის მიხედვით²⁹



დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ EME დერივატივებით არაპროპორციულად ვაჭრობენ ბირჟის გარეთ. OTC ვაჭრობა ჭარბობს ვალუტაზე დაფუძნებულ ვაჭრობაზე სამი ფაქტორით. აქ ბრაზილია არის ერთადერთი ძირითადი ბაზარი, სადაც დერივატივების ვალუტას აქვს ყველაზე დიდი ბრუნვის წილი. ბევრ აქტიურ EME-ს გააჩნია აქტიური ვალუტა, შესყიდული გარკვეული ვადით, მაგრამ ეს უფრო კონცენტრირებულია საფონდო ინდექსზე და სასაქონლო ხელშეკრულებებზე, ვიდრე FX და საპროცენტოგანაკვეთიან ინსტრუმენტებზე. მაგალითად, 1 მილიარდამდე ხელშეკრულებიდან მხოლოდ 2.5 მილიონით ვაჭრობდა ჩინური დერივატივების ბირჟაზე 2016 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული საპროცენტო განაკვეთებით. „ევრომანის“ სავაჭრო მონაცემების შესაბამისად, საერთოდ არ არის ჩამოთვლილი სავალუტო კურსის კონტრაქტები ჩინეთში და ბრაზილიაშიც კი, სააქციო ხელშეკრულებები შეადგენს მთლიანი ბრუნვის 50%-ს (გაზომილი რიგი კონტრაქტებით); ამას მოჰყვება საპროცენტო განაკვეთიანი ხელშეკრულებები 28%-ით და FX - ხელშეკრულებები - 11%-ით.

დერივატივების ბაზრები EME ვალუტისა და საპროცენტოგანაკვეთისთვის ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე თავიანთი განვითარებული ოპონენტებისთვის, მშპ-სა და ვაჭრობასთან მიმართებაში. EME დერივატივების ბაზარი ასევე შემოიფარგლება უფრო ვიწრო ინსტრუმენტებით და, შესაბამისად, ვაჭრობა არაპროპორციული ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Haiss, Peter, and Bernhard Sammer. 2010. The Impact of Derivatives Markets on Financial Integration, Risk, and Economic Growth. Available online: <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1720586> (accessed on 4 October 2018).
2. Acemoglu, Daron, and Fabrizio Zilibotti. 1997. Was Prometheus unbound by chance? Risk, diversification, and growth. *Journal of Political Economy* 105: 709–51;
3. Krebs, Tom. 2003. Growth and welfare effects of business cycles in economies with idiosyncratic human capital risk. *Review of Economic Dynamics* 6: 846–68.

²⁹ Bank for international settlement <https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>

4. Lien, Donald, and Mei Zhang. 2008. A survey of emerging derivatives markets. *Emerging Markets Finance and Trade* 44: 39–69.

5. Atilgan, Yigit, K. Ozgur Demirtas, and Koray D. Simsek. 2016. Derivatives markets in emerging economies: A survey. *International Review of Economics and Finance* 42: 88–102.

6. Moore, M, A Schrimpf and V Sushko (2016): "Downsized FX markets: causes and implications", *BIS Quarterly Review, December, pp 35-51*

7. Bank for international settlement
<https://www.bis.org/statistics/derstats.htm?m=6%7C32%7C71>

Lela Scholer-Iordanashvili

COMPARATIVE ANALYSES OF DERIVATIVES MARKETS IN DEVELOPING AND DEVELOPED COUNTRIES

Summary

The growth of derivatives turnover in emerging markets remains more rapid than in advanced economies. The largest emerging market derivatives markets are now located in Korea, Brazil and the two Asian financial centers of Hong Kong and Singapore. Only 10% of global derivatives turnover is in contracts denominated in the currency of an emerging market economy (EME), much lower than the share of these economies in global GDP or world trade. Derivatives in EME currencies also tend to be less complex and more likely to be traded outside the home economy than those in advanced economy currencies. Differences persist even if we control for key drivers of derivatives turnover such as the size of the bond market, the openness of the capital account, the amount of foreign trade and the size of external liabilities. Instead, the small size of EME derivatives markets appears to reflect differences in per capita income. Large external asset holdings by residents of a country go hand in hand with lower turnover, perhaps because they are used as a hedge against country risk.

ბექა თოფურია

მომსახურების ხარისხი - სასტუმრო ბიზნესის გამოწვევა ქ. თბილისის მაგალითზე

ანოტაცია. თბილისში, ტურისტული ნაკადების ზრდისა და ქალაქის ეკონომიკური განვითარების პარალელურად, რეკორდულად იზრდება სასტუმროების რაოდენობა. საქართველოში სასტუმროების ვარსკვლავებით შეფასების დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკიდან გამომდინარე, ადგილობრივი სასტუმროების მომსახურების ხარისხი ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონკურენტულ უპირატესობას.

სტატიაში იდენტიფიცირებულია სასტუმრო ბიზნესში მომსახურების ხარისხთან მიმართებით არსებული გამოწვევები და გამოვლენილია ფრონტ ოფისისა და სასტუმროს მიმღები განყოფილების ორგანიზებისას არსებული ხარვეზები.

საკვანძო სიტყვები: მომსახურების ხარისხი, სასტუმრო ბიზნესი, ფრონტ ოფისი, სასტუმროს მიმღები განყოფილება.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი დინამიურად ვითარდება საქართველოში. მზარდი ტენდენციით ხასიათდება საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, შესაბამისად წლიდან წლამდე იზრდება განთავსების საშუალებების რაოდენობა. სასტუმროების რაოდენობის რეკორდული ზრდის პარალელურად, მომსახურების ხარისხი ხდება მნიშვნელოვანი გამოწვევა ქართული სასტუმრო ბიზნესისთვის (გარდა

საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროებისა), ვინაიდან ხარისხიანი მომსახურება სერვისული ბიზნესის წარმატების საწინდარია. სწორედ, რომ სასტუმროთა მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების ხარისხზეა დამოკიდებული მომხმარებლის კმაყოფილება, სადაც უმთავრეს როლს თამაშობს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ კლიენტის მოლოდინის გამართლება [Oliver, 1980:460]. კმაყოფილი მომხმარებელი მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობაა შემოსავლების მაღალი დონის მისაღწევად, რადგანაც მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ კლიენტის კმაყოფილება, როგორც წესი, ბიზნესის რეკლამირების ყველაზე იაფ საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, დაახლოებით ხუთჯერ მეტი დრო, ფული და რესურსია საჭირო ახალი მომხმარებლის მოსაზიდად, ვიდრე არსებულის შესანარჩუნებლად [Naumann, 1995:22].

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უახლესი მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 2 480 განთავსების ობიექტი, 37 255 ოთახითა და 90 793 საწოლი ადგილით. აღნიშნულიდან ოთახების და საწოლი ადგილების რაოდენობით მოწინავეა სასტუმროს ტიპის 958 განთავსების ობიექტი 26,193 ოთახითა და 60,7074 საწოლი ადგილით (ცხრილი I) (5).

ცხრილი 1

განთავსების ობიექტების რაოდენობა ტიპების მიხედვით

კატეგორია	განთავსების რაოდენობა	ოთახების რაოდენობა	საწოლი ადგილი
სასტუმრო	958	26,193	60,7074
საოჯახო სასტუმრო	975	6,570	17,469
სასტუმრო სახლი	394	2,887	7,679
სხვა	153	1,602	5,571
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - განახლდა 13.11.2019			

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2018 მიხედვით: 2018 წელს საქართველოში გახსნილ 120-ზე მეტ ახალ განთავსების საშუალებათა შორის საწოლი ადგილების რაოდენობით თბილისი ლიდერია 1,500-ზე მეტი დამატებითი საწოლი ადგილით (24%), შემდეგ მოდის გურია - 1,031 (16%) და იმერეთი 1,027 (16%). საქართველოში 2018 წელს არსებული 34 ბრენდირებული სასტუმროდან 16 თბილისში ფუნქციონირებს და ქმნის 4,086 საწოლ ადგილს(7), ხოლო საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოქტომბრის მონაცემებით, 2019 წელს თბილისში დასრულდა 11 სასტუმროს მშენებლობა 536 ოთახითა და 1 076 საწოლი ადგილით (7).

რეგიონული ჭრილის მიხედვით, დედაქალაქში რეგისტრირებულია 492 განთავსების ობიექტი, 10 244 ოთახითა და 23 072 საწოლი ადგილით. აღნიშნულიდან 72% (354) – 20-ზე ნაკლები ოთახის მქონე განთავსების საშუალებაა (5) (ცხრილი II)

განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობის და რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ხუთი და ნაკლები	6-10 ოთახი	11-20 ოთახი	21 და მეტი
საქართველო	903	652	497	428
აჭარა	68	133	147	132
გურია	32	16	35	27
თბილისი	100	121	133	138
იმერეთი	75	51	32	30
კახეთი	134	49	29	18
მცხეთა-მთიანეთი	76	45	30	18
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	48	16	4	4
სამეგრელო - ზემო სვანეთი	302	138	30	14
სამცხე-ჯავახეთი	47	72	48	45
ქვემო ქართლი	9	4	2	2
შიდა ქართლი	12	7	7	0

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - განახლდა 13.11.2019

დედაქალაქში სასტუმროების რაოდენობის ზრდის ფონზე მომსახურების ხარისხი გამოწვევის სახით ევლინება ქართულ სასტუმრო ბიზნესს (გარდა საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროებისა). აღნიშნულს აქტუალობას სძენს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ადგილობრივი სასტუმროებისთვის ჯერ კიდევ არ არსებობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ნებაყოფლობითი სარეიტინგო სისტემა, რომელიც მოახდენს სასტუმროთა დიფერენცირებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და, ამავდროულად, ტურისტს შეუქმნის წარმოდგენას ქართული სასტუმროების მიერ შემოთავაზებული სერვისის ხარისხზე. შესაბამისად, ქართულ სასტუმრო ბაზარზე დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა: სასტუმროს მეპატრონეები პირადი „სუბიექტური“ შეხედულებისამებრ „ანიჭებენ“ საკუთარ სასტუმროებს „ვარსკვლავებს“, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება როგორც ადგილობრივი სასტუმროების, ასევე ზოგადად ქვეყნის ტურისტულ იმიჯზე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „სასტუმროების, რესტორნების და კაფეების ფედერაციის“ დამფუძნებლის და პრეზიდენტის ქეთი მელამის მიერ დაანონსებული ევროპული Hotelstars Union _ის ვარსკვლავების სისტემით საქართველოში ადგილობრივი სასტუმროების შეფასების დაწყება მიმდინარე წელს რამდენჯერმე გადაიდო. ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ როდის და რა პირობებით შეძლებენ ადგილობრივი სასტუმროების მფლობელები აღნიშნული კლასიფიცირების სისტემით სარგებლობას (14).

მომსახურების ხარისხი რომ გამოწვევაა არა მარტო სასტუმრო ბიზნესისთვის, არამედ მთლიანად ქართული ტურიზმის სამომავლო განვითარებისთვის, ამას ცხადყოფს საქართველოს მთავრობის 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის, ტურიზმის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის თანახმად ტურიზმის როგორც ქვეყნის პრიორიტეტული დარგის, შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ აქცენტირებას მოახდენს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კონკრეტულად, გადამზადდება სფეროში მომუშავე პერსონალი მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის

მიზნით, ხელი შეეწყობა ტურიზმის დარგში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულებების განვითარებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები (სახანძრო უსაფრთხოების გამკაცრება, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის მოწესრიგება და სხვ.) (9).

ტურიზმის სექტორში არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიუთითებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) - მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2019 წლის ანგარიშიც (Travel & Tourism Competitiveness Index 2019) რომლის მიხედვით, საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის შეფასდა 68-ე ადგილით, ხოლო თუ ანგარიშს ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩინოთ მეტად საინტერესო რამდენიმე მაჩვენებელს როგორცაა, მაგალითად: სამუშაო ძალის კვალიფიკაცია - 70-ე ადგილი, პერსონალის მომზადების დონე - 112-ე ადგილი, მომხმარებელზე ორიენტირებულობის ხარისხი - 117-ე ადგილი, გამოცდილი თანამშრომლების პოვნის სიმარტივე - 111-ე ადგილი, მუშახელის ანაზღაურება და პროდუქტიულობა - 85-ე ადგილი(5).

ტურიზმის სფეროში შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვთავაზობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა 2018. მოცემული კვლევა საერთაშორისო პარამეტრების მიხედვით ახდენს ტურიზმის სფეროს დამსაქმებლების სრულმასშტაბიან გამოკვლევას (გენერალურმა ერთობლიობამ შეადგინა 8,417 საწარმო, რომლიდანაც გამოსაკვლევად შეირჩა 1000 საწარმო, მსხვილი 25 და საშუალო 129 საწარმო) და მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირებას. კვლევის მიხედვით გამოვლინდა რომ:

- „ტურიზმის სფეროში ვაკანტური პოზიციების შეუვსებლობის მიზეზთაგან ყველაზე ხშირად დასახელდა აპლიკანტთა არაკვალიფიციურობა, გამოცდილების ნაკლებობა და ასევე, აპლიკანტთა მხრიდან უფრო მაღალი ანაზღაურების მოლოდინი. ვაკანტური პოზიციების შეუვსებლობის მიზეზად არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირდა აპლიკანტთა ზედმეტი კვალიფიციურობა და დიდი კონკურენცია სხვა დამსაქმებელთა მხრიდან.

- ვაკანტური პოზიციების შევსების გამომწვევი მიზეზები ცალკეული პროფესიული ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია, კერძოდ, მენეჯერებისა და მომსახურების სფეროს მუშაკების ვაკანსიების შევსებისას უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა მათი კვალიფიკაცია და გამოცდილების არქონა, დამწყები კვალიფიკაციის მუშახელის ვაკანსიების შევსებისას კი შეთავაზებული დაბალი ხელფასი. კვლევის თანახმად, საწარმოთა ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში ძალზე შეზღუდულია, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ საწარმოთა მხოლოდ 5%-ს (409 საწარმო) ჰყავს დასაქმებული, რომლებსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის ტრენინგში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

- საწარმოების მხოლოდ 16%-ს აქვს თანამშრომელთა განათლებისა და გადამზადების სტრატეგია. რაც შეეხება თანამშრომელთა მოტივაციას, უმრავლეს შემთხვევაში საწარმოები არ იყენებენ რაიმე მექანიზმს (53,5%) და ისინი შემოიფარგლებიან მაღლობის გამოცხადებითა (20,9%) და ფულადი ჯილდოს მიცემით (17,8%). ამასთან, საწარმოთა მხოლოდ 4.5%-მა დაასახელა დაწინაურება, ხოლო 2.2%-მა ფასიანი საჩუქრის მიცემა“(10).

ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დასაქმებულების მიერ ნამუშევარი საათების საშუალო

მაჩვენებელი, ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace rev. 1.1) და სქესის მიხედვით. 2017-2018 წლების სტატისტიკიდან ირკვევა, რომ სასტუმროებსა და რესტორნებში ძირითად სამუშაოზე კვირაში ნამუშევარი ჩვეულებრივი საათების³⁰ საშუალო რაოდენობა 2017 წელს ქალისთვის 47.4, ხოლო კაცისთვის 52.2 საათი იყო. 2018 წლის მაჩვენებლებით გაზრდილია და შეადგენს ქალისთვის 51.1 ხოლო კაცისთვის 55.6 საათს(11). მაშასადამე, სტატისტიკა მეტყველებს, რომ დასაქმებულებს კანონით გათვალისწინებულზე ხანგრძლივად უწევთ მუშაობა. საქართველოს შრომის კოდექსით: დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს (12).

ზოგადად, სასტუმროს ტიპის განთავსების ობიექტების საოპერაციო ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში შემავალი ქვედანაყოფების რაოდენობა ცვალებადია სასტუმროს ზომისა და სასტუმროს მიერ უზრუნველყოფილი სერვისების მიხედვით, თუმცა ფრონტ ოფისი (Front office) მოიაზრება სასტუმროს „ცენტრალური ნაწილად“, „ნერვულ ცენტრად“, „ტვინად“, [Denney..., 2007:121] ვინაიდან აღნიშნული განყოფილების უმთავრესი მოვალეობა სტუმრებისთვის სერვისის მიწოდების მთელი ციკლის უზრუნველყოფაა - სასტუმროსთან პირველი კონტაქტით დაწყებული, სასტუმროდან გაწერით დამთავრებული. სასტუმროში დაბინავებისას სტუმრებს მუდმივი, ყოველდღიური კონტაქტი უწევთ სასტუმროს აღნიშნული ქვედანაყოფის თანამშრომლებთან და მათ მიერ უზრუნველყოფილი სერვისის ხარისხი პირდაპირ და უშუალოდ აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. მაშასადამე, ფრონტ ოფისის მაღალ დონეზე ფუნქციონირება ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს სასტუმროს კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისთვის. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ფრონტ ოფისის საქმიანობა, პერსონალის მოვალეობები თუ ვალდებულებები, განსხვავებულია სასტუმროების მიხედვით, ბაზრის სეგმენტაციის, ორგანიზაციული სტრუქტურის, კორპორაციული ფილოსოფიისა თუ ინდივიდუალური ლიდერობის საფუძველზე [Denney..., 2007:123], თუმცა ტიპური ფრონტ ოფისის პერსონალის შემადგენლობაში შედის: მიმღების კლერკი (desk clerk - იგივე სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორი), მოლარე, ჯავშნების მენეჯერი, კონსიერჟი, ღამის აუდიტორი, სატელეფონო ოპერატორი, „ზარის პერსონალი“ (bell staff - შვეიცარი, ბელბოი, პარკინგის თანამშრომელი) და ლიფტის ოპერატორი [James..., 2011:59].

ქართულ რეალობაში სასტუმროს ფრონტ ოფისის სამსახური (გარდა ბრენდირებული სასტუმროებისა) უმეტეს შემთხვევაში წამოდგენილია მიმღები განყოფილების (Front Desk) სახით, რის გამოც მიმღები ადმინისტრატორი ითავსებს: მოლარის, სატელეფონო ოპერატორის, ჯავშნების მენეჯერის, კონსიერჟის, რიგ შემთხვევებში გაყიდვებისა თუ მარკეტინგის ფუნქციებსაც. შედეგად ვიღებთ, რომ ფრონტ ოფისის მოვალეობები, რომლებიც, როგორც წესი, გადანაწილებულია რამდენიმე ადამიანზე, მთლიანად ან ნაწილობრივ დაკისრებულია მიმღებ განყოფილებაზე და მიმღების ადმინისტრატორზე, რაც ავტომატურად აისახება

³⁰ სამუშაო კვირის ჩვეულებრივი ხანგრძლივობა გულისხმობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კვირაში ყველაზე ხშირად ნამუშევარი საათების საშუალო რაოდენობას, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ჩათვლით. დასაქმებულები, რომლებმაც ვერ განსაზღვრეს სამუშაო კვირის ჩვეულებრივი ხანგრძლივობა, არ არის გათვალისწინებული გაანგარიშებაში.

სასტუმროების სერვისის ხარისხზე და წარმოადგენს სასტუმროებში სერვისის მენეჯმენტის პრობლემის საკვანძო ასპექტს.

ქ. თბილისის სასტუმრო ბიზნესში მომსახურების ხარისხზე ფრონტ ოფისის მენეჯმენტის ზეგავლენის შეფასებისთვის საჭირო გახდა ჩაგვეტარებინა კვლევა და მოგვეხდინა ანალიზი იმ კრიტერიუმებისა, რომლითაც ანიჭებენ უპირატესობას სასტუმროთა მფლობელები, მენეჯერები სასტუმროს მიმღები განყოფილების ადმინისტრატორის ვაკანსიის გამოცხადებისას. მეტად საინტერესო აღმოჩნდა იდენტიფიცირება იმისა, თუ რა უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ცოდნას მოითხოვენ, რა სახის შესასრულებელ მოვალეობებს აკისრებენ და რა საწყის ანაზღაურებას, როგორი სამუშაო პირობით სთავაზობენ სასტუმროები პოტენციურ კადრს ანიშნულ ვაკანსიაზე. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისას, ეკონომიკური ანალიზის, სტატისტიკურ-გაანგარიშებითი, შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით გაანალიზდა 40 ვაკანსიის განაცხადი, კონკრეტულად 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში ქალაქ თბილისში სასტუმროების მიერ მიმღები განყოფილებისთვის (Front Desk) გამოქვეყნებული ვაკანსიები (სახელწოდებით: სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორი, სასტუმროს ადმინისტრატორი, რეცეფციონისტი). ვაკანსიების პირველწყაროდ გამოყენებულ იქნა შემდეგი ვებგვერდები: HR.ge, Jobs.ge, Cv.ge.

სამუშაო გამოცდილება: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლების 30% სასტუმროს მიმღების თანამშრომლად გამოცხადებულ ვაკანსიაზე სავალდებულოდ მიიჩნევს გამოცდილების ქონას, დამსაქმებლების 20%-ის სურვილია, აპლიკანტს ჰქონდეს ანალოგიურ პოზიციაზე, ხოლო 10%-ის - მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. 25% ერთ წელზე ნაკლებ სამუშაო გამოცდილებას ითხოვს, 10% კი 1 წლიან სამუშაო გამოცდილების მქონე კადრს ეძებს. სასტუმროთა 51% აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებისთვის უპირატესობად თვლის სასტუმროში ან მსგავს პოზიციაზე, ხოლო 25% ონლაინ დაჯავშნის პლატფორმებზე (Booking.com, Expedia.com, Airbnb.com, TripAdvisor.com) მუშაობის გამოცდილებას.

რაც შეეხება განათლებას: სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციისთვის უმაღლესი განათლების მქონე კადრს დამსაქმებლების 30% ეძებს, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, განცხადებების 40%-ში განათლების მოთხოვნილი მინიმალური დონე არაა მითითებული, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი საშუალო განათლების მქონე კადრსაც მოიაზრებენ აღნიშნულ პოზიციაზე. ვაკანსიების მხოლოდ 5%-შია მითითებული პროფესიული განათლება საკვალიფიკაციო მოთხოვნების კომპონენტში.

უცხო ენები: დამსაქმებელთა 53% აღნიშნულ ვაკანსიაზე მოითხოვს ორი უცხო ენის - რუსული და ინგლისურის გამართულად ცოდნას, დამსაქმებლების 30% უცხო ენების სრულყოფილ ცოდნას ითხოვს, რა დროსაც აქცენტი კეთდება როგორც გამართულ მეტყველების, ასევე წერისა და კითხვის უნარებზე, ხოლო 17%-ს ამ ორი ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა სავსებით საკმარისად მიაჩნია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმღების ადმინისტრატორის პოზიციაზე ვაკანსიათა მხოლოდ 20%-შია სხვა დამატებითი ენის ცოდნა უპირატესობად მიჩნეული.

გენდერული ჭრილით მკვეთრად გამოხატული უპირატესობა რომელიმე სქესისადმი არ დაფიქსირებულა, იაშვიათი გამონაკლისების გარდა, სქესი ვაკანსიის განაცხადში არ არის მითითებული. განსხვავებით ასაკისა, განცხადებების 15%-ში აპლიკანტათვის მოცემულია მოთხოვნილი ასაკობრივი დიაპაზონი, რომელიც ვარირებს 18-დან 35 წლამდე.

მოთხოვნილი პიროვნული უნარ-ჩვევებიდან და თვისებებიდან ვაკანსიების 45%-ში დომინირებს: პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, კომუნიკაბელურობა, 35%-ში უპირატესობა ენიჭება თავაზიანობას, ყურადღებას დეტალების მიმართ და სტრესულ გარემოში ეფექტიანი მუშაობის უნარს, ხოლო გუნდური მუშაობისა და კონფლიქტების მართვის უნარებზე განცხადებების მხოლოდ 12%-შია ყურადღება გამახვილებული.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციისთვის დამსაქმებლების მიერ იდენტიფიცირებული მოვალეობები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ შრომატევადია სამუშაო ცვლის განმავლობაში შესასრულებლად და პირდაპირ აისახება სასტუმროს მომსახურების ხარისხზე, რადგან სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორი საქართველოში უმეტეს შემთხვევაში ითავსებს: მოლარის, სატელეფონო ოპერატორის, რეზერვაციების, გაყიდვების თუ მარკეტინგის სამსახურის ფუნქციებს.

სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობები ვაკანსიათა მიხედვით შემდეგია: სტუმრების მიღება, რეგისტრაცია (სასტუმრო შიდა ინფორმაციულ სისტემაში აღრიცხვის წარმოება), განთავსება, ანგარიშსწორება და გაცილება, ამასთანავე სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის მიღება და სრულყოფილი საინფორმაციო მომსახურების გაწევა როგორც სტუმრების ასევე სასტუმროს სერვისით დაინტერესებული ყველა პირისთვის (ტურისტული სააგენტოები, სხვადასხვა სერვისის მომწოდებლები). აღსანიშნავია, რომ განაცხადთა 45%-ში მიმღები ადმინისტრატორის შესასრულებელ მოვალეობებში გაერთიანებულია რეზერვაციების სამსახურის ფუნქცია, კონკრეტულად რეზერვაციის ელექტრონულ ვებგვერდებთან (Booking.com, Expedia.com, Airbnb.com, TripAdvisor.com) მუშაობა, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ ელექტრონულ პლატფორმებზე სასტუმროს პროფილის მართვასაც მოიაზრებს. ვაკანსიათა 28%-ის შემთხვევაში შესასრულებელ მოვალეობებს მიკუთვნებულია სოციალურ ქსელებში (Facebook.com, Instagram.com) სასტუმროს ელექტრონული გვერდების ადმინისტრირებაც, ანუ სასტუმროს შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის განთავსება და მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში. სტუმრების ტრანსფერებისა და ავტომობილით მომსახურების მოთხოვნის, უზრუნველყოფა მხოლოდ ვაკანსიათა 10%-ში იყო ასახული. გარდა ზემოთქმულისა, ადმინისტრატორის მიერ შესასრულებელი მოვალეობები განაცხადში მოცემულით არ ამოიწურება და საჭიროებისამებრ შესაძლოა გაფართოვდეს, მაგალითად, ვაკანსიათა 13%-ში მოვალეობებში მითითებულია მენეჯმენტის დავალებების შესრულება, ხოლო 15%-ში სხვადასხვა ადმინისტრაციული დავალებების შესრულება.

სამუშაო გრაფიკი და შესაბამისი ანაზღაურება: სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციისთვის, ვაკანსიებზე დაყდნობით ჩვენ მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სამი სახის გრაფიკი. ესენია: 24 საათიანი სამუშაო ცვლა ყოველ მესამე დღეს, ღამის ცვლა 12-15 საათიანი სამუშაო გრაფიკით ყოველ მესამე ღამეს და დღის ცვლა 12 საათიანი გრაფიკით კვირაში 6 სამუშაო დღე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განცხადებების 47,5%-ში დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ყოველ მესამე დღეს, მოცემული სამუშაო პირობით ანაზღაურების დიაპაზონი ვარიირებს ფიქსირებული მინიმალური 300-დან მაქსიმალურ 750 ლარამდე, უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული ფიქსირებული ხელფასის მაქსიმალური მაჩვენებელი - 750 ლარი დაფიქსირდა მხოლოდ 1 სასტუმროს განაცხადის შემთხვევაში. 24 საათიანი სამუშაო გრაფიკის განაცხადების 37%-ში დაფიქსირებული საწყისი მინიმალური ხელფასი 450, ხოლო საშუალო ხელფასი 459 ლარი.

საერთო საკვლევ ერთობლიობაში განცხადებების 35%-ით მეორე ადგილზეა სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის ვაკანსიები ღამის ცვლით - 12-15 საათიანი სამუშაო გრაფიკით ყოველ მესამე ღამეს, მომუშავე. ამ შემთხვევაში შემოთავაზებული ანაზღაურების დიაპაზონი ვარირებს ფიქსირებული 300-დან მაქსიმალურ 500 ლარამდე, ამ ტიპის განაცხადების 50%-ში დაფიქსირებული საწყისი მინიმალური ხელფასი 400 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი 426 ლარი.

სიხშირით ბოლო მესამე ადგილზეა განცხადებების 17,5%-ით, დღის ცვლით 12 საათიანი გრაფიკი კვირაში 6 სამუშაო დღე მომუშავე სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის ვაკანსიები. მოცემული სამუშაო პირობით შემოთავაზებული ანაზღაურება ვარირებს: ფიქსირებული მინიმალური 500-დან მაქსიმალურ 600 ლარამდე. დღის ცვლის ვაკანსიების 43%-ში დაფიქსირებული საწყისი მინიმალური ხელფასი 600 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი 469 ლარი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისას განსაზღვრული სამივე სამუშაო გრაფიკის საშუალო საწყისი შემოთავაზებული ხელფასია 451 ლარი, აღნიშნულის რეალურობასთან სიახლოვეს ადასტურებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა 2018“, რომლის მიხედვით სასტუმროს მიმღები ოპერატორის საშუალო ხელფასი 548 ლარია (13).

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომსახურების ხარისხი ე. თბილისში ადგილობრივი არაბრენდირებული სასტუმრო ბიზნესის გამოწვევაა, რაც განპირობებულია ფრონტ ოფისის მართვისას სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციის მნიშვნელობის არასათანადო გააზრებით. აღნიშნული დასტურდება შემდეგი ფაქტორებით: 1) შეთავაზებული დაბალი ხელფასი არ არის ორიენტირებული კვალიფიციური კადრის მოზიდვაზე; 2) დასაქმებულებს კანონით გათვალისწინებულზე მეტი სამუშაო საათი აქვთ კვირის განმავლობაში, რომელიც უმეტესად არ ანაზღაურდება; 3) სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციისთვის მოვალეობები არაჯეროვნადაა კომბინირებული; 4) დამსაქმებლები არ არიან დაინტერესებული შეიმუშავონ და დანერგონ კადრების განათლებისა და გადამზადების სტრატეგიები; 5) თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია.

მაშასადამე, სასტუმრო ბიზნესში ფრონტ ოფისის მართვისას, სასტუმროს მიმღების ადმინისტრატორის პოზიციის მნიშვნელობის სწორი გააზრება და აღნიშნული ხარვეზების მოგვარება, პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენს მომხმარებლის კმაყოფილებაზე. რის შედეგადაც ადგილობრივი არაბრენდირებული სასტუმროები შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ, საქართველოში ოპერირებად საერთაშორისო ბრენდირებულ სასტუმროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Denney Rutherford, Michael O'Fallon, 2007, Hotel Management and Operations, 4th edition, Willey & Sons, Inc, NJ, USA, Pp. 121-123.
2. James A. Bardi, EdD, CHA . 2011, Hotel Front Office Management 5th edition- The Pennsylvania State University, Willey & Sons, Inc, NJ, USA, Pp. 59.

3. Naumann, E. 1995, Customer Satisfaction Measurement and Management: Using the Voice of the Customer, Thomson Executive Press, Cincinnati, OH , Pp. 22. <https://searchworks.stanford.edu/view/10004029>
4. Oliver, R.L., 1980. "A cognitive model of the antecedents and consequences of satisfaction decisions". Journal of Marketing Research, Pp. 460-469.
5. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2019 წელი, საქართველო. http://reports.weforum.org/pdf/ttci-2019/WEF_TTCI_2019_Profile_GEO.pdf
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურისტული სერვისის მიმწოდებლები, განთავსების საშუალებები (განახლდა 13.11.2019) <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/>
7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2018. გვ. 30. <https://gnta.ge/ge/publication/2018-geo/>
8. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მშენებარე განთავსების საშუალებები (განახლდა 01.10.2019) <https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/>
9. საქართველოს მთავრობის 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა, სექტემბერი 2019. გვ. 23. http://gov.ge/files/68_73407_808965_სამთავრობოპროგრამა2019-2020.pdf
10. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა 2018, გვ. 44-46. <https://gnta.ge/ge/authors/საქართველოს-ეკონომიკისა/>
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ძირითად სამუშაოზე კვირაში ნამუშევარი ფაქტობრივი საათების საშუალო რაოდენობა, ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace rev. 1.1) და სქესის მიხედვით, 2017-2018. <https://www.geostat.ge/media/23706/14-dasaqmeba-saatebi-sqesi.xlsx>
12. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი. №4113-რს, მუხლი 14. სამუშაო დროის ხანგრძლივობა, გვ. 6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=12>
13. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა 2018, გვ.15 <https://gnta.ge/ge/authors/საქართველოს-ეკონომიკისა/>
14. საინფორმაციო სააგენტო-BM.ge, Hotelstars Union–ი საქართველოში სასტუმროებს ვარსკვლავებით სექტემბრიდან შეაფასებს, 30.მაისი .2019 10:20. <https://bm.ge/ka/article/hotelstars-unioni-saqartveloshi-sastumroebs-varskvlavebit-seqtembridan-sheafasebs/34581>

Beka Topuria

SERVICE QUALITY – THE CHALLENGE OF HOTEL BUSINESS: EVIDENCE FROM TBILISI

Summary

Along with the increase in tourism, demand for accommodation in Tbilisi is increasing, as evidenced by the increase number of hotels. The hotel market has a large share of small non-branded hotels (up to 20 rooms). Whereas in the absence of an internationally recognized voluntary rating system, for local hotels in Georgia, hotel owners subjectively “give” their hotels “stars”. Consequently, the importance of quality of service becomes more relevant in terms of creating competitive advantage and achieving a high level of revenue.

The article discusses non-brand, local hotels in Tbilisi. The importance of the hotel's front office role in customer relations is identified. It is analyzed the peculiarities of hotel reception service management in Georgian reality. Based on the research conducted, the gaps in organizing the position of hotel receptionist and its negative impact on service quality were detected.

Keywords: *Quality of service, Hotel business, Front office, Hotel reception.*

ლელო მამალაძე

ბლოკჩეინ ტექნოლოგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო

ანოტაცია. სტატიის მიზანია გამოიკვლიოს ციფრული ტექნოლოგიის ინოვაციის - ბლოკჩეინის არსი, შექმნისა და განვითარების ეტაპები, ფუნქციონირების საფუძვლები და შესაძლებლობები, კრიპტოგრაფიული აქტივების გამოყენების დადებითი მხარეები და კრიტიკა. კვლევაში გაანალიზებულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის მხრივ საქართველოში გადადგმული ნაბიჯები და შედარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებასთან.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, ციფრული ტექნოლოგია, საჯარო რეესტრი, საქართველო.

შესავალი

კრიპტოგრაფიულად დაცული³¹ ბლოკჩეინის ტექნოლოგია, როგორც რამდენიმე დოკუმენტის ერთ ბლოკში გამაერთიანებელი სისტემა, პირველად ჯერ კიდევ 1991 წელს, ჰაბერისა და სტორნეტის მიერ იქნა აღწერილი (Haber; Stornetta; 1991). 2008 წელს ბლოკჩეინის მეშვეობით აღირიცხებოდა სატომი ნაკამოტოს³² მიერ შექმნილ კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ტრანსაქციები. ბლოკჩეინი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც მუდმივად მზარდი ჩანაწერების სია, სადაც თითოეული ბლოკი შეიცავს წინა ბლოკთან დამაკავშირებელ ნიშანს და დაცულია კრიპტოგრაფიულად (Iansiti., Lakhani., 2017).

ბლოკჩეინის შემსწავლელი კვლევითი ინსტიტუტის (Institute for Blockchain Studies) მკვლევარი მელანი სვონი განმარტავს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის კლასიფიკაციას მისი გამოყენების სამი სფეროს მიხედვით: 1. Blockchain 1.0 არის ვალუტა (კრიპტოვალუტა გამოიყენება ოპერაციებში, რომლებსაც კავშირი აქვს ფინანსურ ტრანსაქციებთან, მაგალითად, ფულადი გზავნილები და ციფრული გადახდის სისტემები); 2. Blockchain 2.0 მოიცავს ფინანსური ბაზრის სფეროში განხორციელებულ ოპერაციებს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტის (აქციები, აქტივები, ობლიგაციები) გამოყენებით; 3. Blockchain 3.0 გულისხმობს ოპერაციებს, რომელთა დანიშნულებაც ვრცელდება არა მხოლოდ ფინანსური ტრანსაქციების, არამედ ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, საჯარო მმართველობა და სხვ. (Swan; 2017. ციტირებულია: კანდელაკი; 2019).

აღსანიშნავია, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბები ეტაპობრივად ფართოვდება და სხვადასხვა სფეროებში მკვიდრდება. ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში Deutsche Bank-მა ჩაატარა გამოკითხვა (Powering the flow of global capital), სადაც მონაწილე რესპონდენტთა 87% მიიჩნევდა, რომ უახლოეს წლებში

³¹ ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის მეთოდი.

³² კონკრეტული პიროვნება ან ჯგუფი, რომლის იდენტიფიცირება დღემდე ვერ მოხერხდა.

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება კიდევ უფრო გაიზრდება და მნიშვნელოვნად გარდაქმნის საფინანსო სისტემას (Deutsche Bank., 2016). ხოლო წამყვანი აუდიტორული კომპანია „დელიოიტის“ მიერ 2019 წელს ჩატარებული „ბლოკჩეინის გლობალური კვლევის“ მიხედვით, გამოკითხულთა 53% თვლის, რომ მიმდინარე წელს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვა მათი ორგანიზაციების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს კი შეადგენდნენ ათეულობით ქვეყნის (ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, ისრაელი, გერმანია, ლუქსემბურგი, სინგაპური, გაერთიანებული სამეფო, აშშ, გაერთიანებულ არაბთა საემიროები) ისეთი წამყვანი ფირმების აღმასრულებელი დირექტორები, რომელთა წლიური შემოსავალიც ასეულობით მილიონ ლარზე მეტია (Deloitte Insights., 2019).

საერთაშორისო გამოცდილება

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ბლოკჩეინ ტექნოლოგიას უკვე აქტიურად იყენებს განათლების, კომერციული ჯანდაცვის, სასამართლო, საკანონმდებლო და უსაფრთხოების სფეროებში. აშშ-ში აქტიურად მიმდინარეობს ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დამკვიდრება და ხელშეწყობა, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები. „ბლოკჩეინის ასოციაცია“ წარმოადგენს ბლოკჩეინის ტექნოლოგიით დაკავებული ბიზნესებისა და ინვესტორების ინტერესების დამცველ ლობისტურ ორგანიზაციას ვაშინგტონში, რომლის დამფუძნებლებიც წამყვანი კრიპტოვალუტების ბირჟები და ინვესტორები არიან. ბლოკჩეინის ასოციაციის მთავარი მიზანია, გახდეს ვაშინგტონში პოლიტიკის საკითხებში კრიპტოვალუტის ინდუსტრიის საუკეთესო ლობისტური ორგანიზაცია. ასოციაციის პირველი პრიორიტეტი აშშ-ს საგადასახადო კოდექსით კრიპტოვალუტების დაბეგვრის საკითხებზე განათლების გავრცელებაა (mybitcoin.ge).

გერმანიის შემთხვევაში, ბლოკჩეინ ტექნოლოგიას ეფუძნება Proof-of-Concept-ის (PoC) პროექტი, რომელიც ლტოლვილთა თავშესაფრის სისტემის მენეჯმენტისთვის შეიქმნა. PoC ორ ძირითად ბლოკჩეინის აპლიკაციაში გამოიყენეს: პირველი – ზუსტი და სანდო ციფრული პირადობების შექმნა ლტოლვილებისთვის, და მეორე – კომუნიკაციის გაუმჯობესება მუნიციპალურ და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის. (mybitcoin.ge) ფედერალური ოფისის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში (Supporting communication and cooperation in the asylum procedure with Blockchain technology) ბლოკჩეინის გამოყენება ლტოლვილებისთვის თავშესაფრის საკითხის მოწესრიგებაში დადებითად შეფასდა (Federal Office for Migration and Refugees; 2019).

ფინურმა რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანია „Arla“-მ კი თავისი საწარმოო ჯაჭვი - ფერმიდან რძის პროდუქტების წარმოებამდე - ღია გახადა საზოგადოებისთვის ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დახმარებით. საპილოტე პროექტის „Arla Milkchain“-ის მეშვეობით მომხმარებელს საშუალება აქვს ნახოს დეტალური ინფორმაცია თითოეული ეტაპის შესახებ. აღნიშნული ტექნოლოგია ჯერ არლას მხოლოდ ორგანულ რძეზე გამოიყენება (Single Estate Organic Milk), თუმცა, მომავალში მის გამოყენებას სხვა პროდუქტებზეც გეგმავენ (georgiandairy.org).

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბების ზრდის პარალელურად, რიგი სახელმწიფოები ცდილობენ, ქმედითი ნაბიჯები გადადგან რეგულირებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის მხრივ. ვაშინგტონის ციფრული კომერციის პალატის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი „ციფრული ტოკენები: ბაზრის მიმოხილვა და გზამკვლევი პოლიტიკის განმახორციელებლებისა და პრაქტიკოსებისთვის“ (Understanding digital tokens: Market Overviews and Proposed Guidelines for Policymakers

and Practitioners) არის ერთგვარი გზამკვლევი და მოცემულია ინიციატივები ბლოკ-ჩეინის ტექნოლოგიის დანერგვის პროცესში რისკების გამორიცხვის ხელშეწყობასა და პასუხისმგებლიანობის ზრდაზე (Token Alliance; 2018). 2018 წელს კი კანადის ინვესტიციების ინდუსტრიის მარეგულირებელი ორგანიზაციის (Investment Industry Regulatory Organization of Canada - IIROC) მიერ ჩამოყალიბებულ 2019 წლის პრიოტეტებში დასახელდა ბლოკჩეინის მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბება და სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს (mybitcoin.ge).

ბლოკჩეინ ტექნოლოგია და საქართველო

